

თსუ პაატა გუბუშვილის სახელობის

ეკონომიკის ინსტიტუტის

სამეცნიერო შრომების
კრებული

X

ექვთიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

100 წლის იუბილეს

თსუ პაატა გუბუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

თბილისი 2017

თსუ პაატა გუბუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის

სამეცნიერო შრომების კრებული

X

ექვთიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
100 წლისთავს

მთავარი რედაქტორი

რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

ნ. არევაძე, გ. ბერუღაია, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი
მდივანი), ვ. ბურდული, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კა-
კულია, მ. კვარაცხელია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ვლ.
პაპავა, თ. ჩხეიძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, რ. ჯავახიშვილი

თსუ პაატა გუბუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის გამომცემლობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

**PROCEEDINGS OF
SCIENTIFIC WORKS
OF PAATA GUGUSHVILI
INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU**

X

**Dedicated to 100th anniversary of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

Editor-in-chief

Ramaz Abesadze

Scientific-Editorial Board

N. Arevadze, G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, R. Javakhishvili, E. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, V. Papava

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS OF TSU**

UDC (გსჯ) 061.62: 33(479.22)(045)

ჯ – 121

The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to current actual economic problems.

The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.

The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information

© TSU Paata Gugushvili Institute of Economics, 2018

ISSN 1987 – 6904

წინასიტყვაობა

2017 წელს ინსტიტუტი აგრძელებდა მუშაობას შეიდწლიან სამეცნიერო პროგრამაზე – „ვეროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში“ (ხელმძღვანელი – ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე, პროექტის ხანგრძლივობა: 2015-2021).

2017 წელს დამუშავდა სამეცნიერო თემა:

“ვეროკავშირისა და მასში შემავალი ძველები ინოვაციური სისტემა და მისი უზრუნველყოფის ფინანსური ინსტრუმენტები”

კვლევის ძირითად შედეგებად შეიძლება ჩაითვალოს:

1. შესწავლილია ვეროკავშირისა და მასში შემავალი ქვეყნების სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემები და ინოვაციური ინფრასტრუქტურა, კერძოდ: 1. გაანალიზებულია ვეროკავშირის მიერ მიღებული ინოვაციებთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები: უნივერსიტეტების დიდი ქარტია; “ლისაბონის კონვენცია”, “სორბონის დეკლარაცია”; “ბოლონიის დეკლარაცია”; “უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხის შეფასების სტანდარტები და რეკომენდაციები”; “ლისაბონის დეკლარაცია”; “ლისაბონის სტრატეგია”, “ლიუბლიანის პროცესი”; “სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების ჩარჩო პროგრამები”; პროგრამები – “ევროპა 2020” და “ჰორიზონტი 2020”; “ევროპული ტექნოლოგიური პლატფორმები”; 2. გამოკვლეულია ვეროკავშირის ინოვაციური ინფრასტრუქტურის ისეთი ორგანიზაციების ფუნქციონირების თავისებურებები, როგორცაა: “ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი”; “ევროპული სამეცნიერო ფონდი”; “ევროპული კვლევითი საბჭო”; “ევროპის სამხრეთი ობსერვატორია”; “ევროპის მოლეკულურ-ბიოლოგიური ლაბორატორია”; “ევროპული მოლეკულურ ბიოლოგიური ორგანიზაცია”; “ბირთვული კვლევის ევროპული ორგანიზაცია”; “ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერი ევროპული ქსელები”, რომელიც თავისთავად მოიცავს: “ბიზნეს-ინოვაციური ცენტრების ქსელს”; “ინოვაციური რეგე ცენტრების ქსელს”; ქსელს – “ევროპის ინოვაციური რეგიონები”; “ტექნოლოგიების ტრანსფერის, ინოვაციებისა და სამრეწველო ინფორმაციის ევროპულ ასოციაციას” და მრავალ სხვას, რომლებშიდაც გაერთიანებულია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, ინოვაციის ცენტრები, ინოვაციური კლასტერები და სხვ;

2. შესწავლილია ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევაში ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ინოვაციური სისტემების ფუნქციონირების გამოცდილება;

3. დადგენილია ევროკავშირის ინოვაციური სისტემის ტრანსფორ-

მაციის ეკონომიკურ-სამართლებრივი თავისებურებები;

4. გამოკვლეულია ევროკავშირში ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებები;

5. დადგენილია ევროკავშირის ინოვაციური სისტემის მხარდამჭერი ფინანსური ინსტრუმენტები;

6. გამოკვლეულია მსოფლიოს ზოგიერთ მოწინავე ქვეყანაში ეროვნული ინოვაციური სისტემების განვითარების თავისებურებები;

7. შესწავლილია ევროკავშირის ინოვაციური ეკოლოგიური სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებები;

8. გამოკვლეულია ევროკავშირის წევრი და ზოგიერთი სხვა განვითარებული ქვეყნის ინოვაციური სისტემები.

თემის ფარგლებში დამუშავდა **8 სამეცნიერო პრობლემა:**

1. ევროკავშირის ინოვაციური სისტემა: განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებები (მაკროეკონომიკის განყოფილება, გამგე – აკადემიური დოქტორი ნანული არევაძე);

2. ევროკავშირის ინოვაციური სისტემის ტრანსფორმაციის ეკონომიკურ-სამართლებრივი თავისებურებები (ეკონომიკური თეორიის განყოფილება, გამგე – ემდ, პროფ. ალფრედ კურატაშვილი);

3. ეროვნული ინოვაციური სისტემების განვითარების თავისებურებანი მსოფლიოს ზოგიერთ მოწინავე ქვეყანაში (სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება, გამგე – ემდ, პროფ. ვახტანგ ბურდული);

4. ინოვაციური მცირე ბიზნესი ევროკავშირში: განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებები (ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილება, გამგე – ემდ, პროფ. გიორგი ბერულავა);

5. ევროკავშირის ინოვაციური სისტემის მხარდამჭერი ფინანსური ინსტრუმენტები (ფინანსებისა და საბანკო საქმის განყოფილება, გამგე – აკადემიური დოქტორი თეა ლაზარაშვილი);

6. ევროკავშირის ინოვაციური ეკოლოგიური სისტემა: განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებები (ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება, გამგე – აკადემიური დოქტორი მამუკა ხუსკივაძე);

7. ევროკავშირის, აშშ-ისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინოვაციური სისტემები (სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება, აგრარულ პრობლემათა კვლევის ლაბორატორია);

8. ევროკავშირის წევრი და ზოგიერთი სხვა განვითარებული ქვეყნის ინოვაციური სისტემები (ინსტიტუტის ყველა განყოფილება).

რამაზ აბესაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბ ე ბ მ უ რ ი
ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ნ ა შ რ ო მ ე ბ ი

პრობლემა 1.

რამაზ აბესაძე

ევროკავშირის ინოვაციური სისტემა¹

ანოტაცია. ნაშრომში შესწავლილია ევროკავშირის ინოვაციური სისტემის ძირითადი შემადგენელი ელემენტები: განათლებისა და მეცნიერების სისტემები და ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურა. ბუნებრივია, ევროკავშირის ინოვაციური სისტემა მოიცავს მასში შემავალი ქვეყნების ინოვაციურ სისტემებსაც, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის ერთიან ინოვაციურ სისტემაზე, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ცალკეულ ქვეყანაში ინოვაციების განვითარებაზე.

შესავალი

ინოვაციური ეკონომიკის ფუნქციონირება შეუძლებელია გამართული და ეფექტიანი ინოვაციური სისტემის გარეშე. მსოფლიოში არსებობს ინოვაციური სისტემის სხვადასხვა მოდელი, მაგრამ ბოლო დროს განვითარებულ ქვეყნებში ინერგება მოდელი, რომელიც ითვალისწინებს ინოვაციურ პროცესებში ყველა მთავარი მონაწილის ორგანულ კავშირს, ესაა – მეცნიერება (განათლება), ბიზნესი, სახელმწიფო. ყველა ტექნიკური, ტექნოლოგიური თუ ორგანიზაციული ხასიათის გადაწყვეტილება მიიღება მეცნიერთა ფართო მონაწილეობით.

ევროკავშირის გამოცდილების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დაადგნენ ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის გზას. ევროკავშირის ინოვაციური სისტემა მეტად რთული ორგანიზმია. იგი ეყრდნობა ისეთ დოკუმენტებს, როგორცაა: “უნივერსიტეტების დიდი ქარტია”; “ლისაბონის კონვენცია”, “სორბონის დეკლარაცია”; “ბოლონიის დეკლარაცია”; “უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში

¹ ფაქტობრივი მონაცემები აღებულია ნაშრომის ბოლოს მითითებული წყაროებიდან.

ხარისხის შეფასების სტანდარტები და რეკომენდაციები”; “ლისაბონის დეკლარაცია”; “ლისაბონის სტრატეგია”, “ლიუბლიანის პროცესი”; “სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების ჩარჩო-პროგრამები”; პროგრამა “ევროპა 2020”; “ჰორიზონტი 2020”; “ევროპული ტექნოლოგიური პლატფორმები”. აქ ასევე მოიაზრება ინოვაციური ინფრასტრუქტურის ორგანიზაციები: “ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი”; “ევროპული სამეცნიერო ფონდი”; “ევროპული კვლევითი საბჭო”; “ევროპის სამხრეთი ობსერვატორია”; “ევროპის მოლეკულურ-ბიოლოგიური ლაბორატორია”; “ევროპული მოლეკულურ ბიოლოგიური ორგანიზაცია”; “ბირთვული კვლევის ევროპული ორგანიზაცია”; “ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერი ევროპული ქსელები”, რომელიც თავისთავად მოიცავს: “ბიზნეს-ინოვაციური ცენტრების ქსელს”; “ინოვაციური რეგე ცენტრების ქსელს”; ქსელს – “ევროპის ინოვაციური რეგიონები”; “ტექნოლოგიების ტრანსფერის, ინოვაციებისა და სამრეწველო ინფორმაციის ევროპული ასოციაცია” და მრავალ სხვას, რომლებშიც გაერთიანებულია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, ბიზნესინკუბატორები, ტექნოპარკები, ინოვაციის ცენტრები, ინოვაციური კლასტერები და სხვ.

ევროკავშირის საგანმანათლებლო სისტემა

ევროკავშირის დაარსებისთანავე (1993) შეთანხმდნენ, რომ არ მოხდებოდა განათლების სისტემის სრული უნიფიკაცია. იგი რჩებოდა ცალკეული ქვეყნის კომპეტენციაში. მაგრამ, მისი გაფართოების შემდეგ (2000) გაჩნდა ტენდენცია ცალკეული ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებისა, რათა სკოლას უზრუნველყო ევროკავშირის ერთიანი შრომის ბაზრის შექმნა.

განათლების სისტემის განვითარების ერთ-ერთ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის კომუნიკე “გზაზე ცოდნის ევროპისკენ” (“Towards a Europe of Knowledge”), რომელიც მიიღეს 1998 წელს. მასში აღნიშნულია, რომ “სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე” (lifelong learning) წარმოადგენს “ცოდნის ევროპის” განვითარების საფუძველს XXI საუკუნეში [Животовская И. Г., 2013].

2001 წელს ევროპის საბჭომ მოიწონა მოხსენება “განათლებისა და სწავლების სისტემების მომავალი მიზნები” (The concrete fu-

ture objectives of education and training systems). ეს მიზნებია: 1. ევროკავშირის ქვეყნებში განათლების ეფექტიანობისა და ხარისხის გაზრდა, კერძოდ: მასწავლებელთა განათლების ხარისხის ამაღლება და პროფესიული სრულყოფა; 2. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან წვდომის უზრუნველყოფა; 3. “ცოდნის საზოგადოების” წარმატებით ფორმირებისათვის საჭირო კვალიფიკაციისა და კომპენტენციის განვითარება; 4. ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე სტუდენტთა მოზიდვის გაძლიერება; 5. დანახარჯების ზრდა განათლებაზე; 6. განათლების მიღების შესაძლებლობის გაფართოება ღია საგანმანათლებლო სივრცის შექმნისა და განათლების პროცესის სრულყოფის გზით; 7. ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ფორმირება, რაც შექმნიდა პირობებს: გაძლიერებულიყო კავშირი შრომის მსოფლიო ბაზარსა და კვლევით ინსტიტუტებთან; უცხო ენების შესასწავლის გასაძლიერებლად; მოსწავლეთა, სტუდენტთა და მასწავლებელთა მობილურობისა და გაცვლის გასაფართოებლად და სხვ.

ევროკავშირის საშუალო განათლების სისტემა [Савина А. К. 2014]. ევროპული საგანმანათლებლო სისტემების დაახლოება იწყება სკოლამდელი განათლების სფეროში. იგი წარმოადგენს საგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას. დაწყებითი განათლება კი წარმოადგენს მის ლოგიკურ გაგრძელებას. ყველაზე გავრცელებული ფორმაა განათლების შემდეგი სტრუქტურა: 1. დაწყებითი ანუ ძირითადი განათლება, რომელიც გრძელდება 5-6 წელი; 2. საშუალო განათლების დაბალი საფეხური, რომელიც გრძელდება 3-5 წელი; 3. საშუალო განათლების მაღალი საფეხური, რომელიც გრძელდება 2-3 წელი. ევროკავშირის სახელმწიფოთა უმეტეს ნაწილში ზოგადი სასკოლო სწავლება გრძელდება 12 წელი, 13 წლიანი სწავლებაა შემოღებულია დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, იტალიაში, ჩეხეთში, რუმინეთში. ზოგიერთ ქვეყანაში (დანია, შვედეთი, ფინეთი) დაწყებითი ანუ ძირითადი განათლება ცალკე საფეხურად არ გამოიყოფა. აქ სასკოლო განათლების პირველი დონე არის საბაზო განათლება 8-9 წლის ხანგრძლივობით. ქვეყნების (ავსტრია, ბელგია, გერმანია, ირლანდია, იტალია, ისლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, რუმინეთი, ჩეხეთი, და სხვ.) უმეტეს ნაწილში ბავშვები სკოლაში შედიან 6 წლის ასაკში. დიდ ბრიტანეთში – 5, ჩრდილო ირლანდიაში – 4,

ბულგარეთში, ლატვიაში, ლიტვაში, შვედეთში, ესტონეთში – 7 წლის ასაკში.

განათლების მართვა გათავისუფლებულია ფორმალიზმისა და დირექტივებისაგან. უფლებების მაქსიმუმი გადაცემული აქვთ ადგილობრივ თვითმმართველობებს, სკოლებს, მასწავლებლებს, მშობლებს, მოსწავლეებს. აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს მასწავლებელი.

ევროკავშირის უმაღლესი განათლების სისტემა [Борисов В. В., 2012]. ევროპული უმაღლესი განათლება არის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და მოთხოვნადი მსოფლიოში. აქ არის პედაგოგიური შემაღენლობის მაღალი დონე, სწავლების თანამედროვე სტანდარტები, განათლების უმაღლესი დონე, განვითარებული სამეცნიერო ბაზა და ა.შ. სტუდენტები იღებენ დიპლომს, რომელსაც აღიარებს მსოფლიო კომპანიების უმრავლესობა და მოთხოვნადია შრომის ბაზარზე.

სამრეწველო წარმოების განვითარებამ მოითხოვა პროფესიული საინჟინრო-ტექნიკურ მუშაკთა მომზადების გაძლიერება, რისთვისაც ხდებოდა სპეციალური სკოლების გახსნა, რომელთა ბაზაზე ჩამოყალიბდა “კოლეჯები”. შემდეგში ეს კოლეჯები გარდაიქმნა უმაღლეს სასწავლებლებად.

საუნივერსიტეტო ასოციაციები ახორციელებენ კავშირებს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის. ისინი მოწოდებულნი არიან, უნივერსიტეტებმა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და ცოდნა, მათი სამეცნიერო, პედაგოგიური და კულტურული საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. ისინი ფუნქციონირებენ ცალკეულ ქვეყნებში, ასევე წარმატებით ფუნქციონირებს **ევროპის საუნივერსიტეტო ასოციაცია (the European University Association, EUA)**, რომელიც გამოდის მთელი ევროპის უნივერსიტეტთა საზოგადოების სახელით.

1988 წელს ევროპაში ყველაზე ძველი ბოლონიის უნივერსიტეტის 900 წლისთავის იუბილის დღეებში მონაწილეებმა ხელი მოაწერეს საერთო დეკლარაციას, რომელსაც ეწოდა “**უნივერსიტეტების დიდი ქარტია**” (**Magna Charta Universitatum**) და რომელშიც გამოხატული იქნა პოზიცია უნივერსიტეტების საქმიანობის შემდგომი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტში, უპირველეს ყოვლისა, აღიარებული იქნა უნივერსიტეტთა ავტონომიურობის

პრინციპი, ამასთან, მათ იმედი უნდა ჰქონოდათ საზოგადოების ყოველმხრივი მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსურის. ასევე ყურადღება გამახვილდა უნივერსიტეტთა შორის თანამშრომლობაზე პროგრამების შემუშავების, სახელმძღვანელოების მომზადების, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილურობისა და სამეცნიერო საქმიანობის სფეროში. შემდგომ გაგრძელდა ბოლონის დეკლარაციასთან დაკავშირებული პროცესები სხვადასხვა მიმართულებით: უმაღლესი განათლების მიღების თანაბარი პირობების შექმნა; სწავლების პერიოდების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და სწავლების ციკლების ხანგრძლივობის განსაზღვრა; სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში; მათი შრომითი მოწყობა; დიპლომების ურთიერთაღიარება და სხვ.

1997 წელს ლისაბონში ხელი მოეწერა კონვენციას კვალიფიკაციის აღიარების შესახებ, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ევროპის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბების მიმართულებით.

კონვენციის თანახმად, უნივერსიტეტების ავტონომიურობის აღიარებასთან ერთად, უნდა მომხდარიყო სამართლებრივი ნორმების გარკვეული უნიფიკაცია, რომელიც დაკავშირებული იყო დიპლომებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის ურთიერთაღიარებასთან.

“ლისაბონის კონვენცია” ასევე აღიარებდა ადრე ევროსაბჭოსა და იუნესკოს მიერ მიღებულ შემდეგ კონვენციებს: ევროპის კონვენცია დიპლომების ეკვივალენტურობის შესახებ (1953); ევროპის კონვენცია საუნივერსიტეტო განათლების პერიოდების ეკვივალენტურობის შესახებ (1956); ევროპის კონვენცია საუნივერსიტეტო კვალიფიკაციის აკადემიური აღიარების შესახებ (1959); ევროპის კონვენცია საუნივერსიტეტო განათლების პერიოდების ეკვივალენტურობის შესახებ (1990); ევროპის კონვენცია სასწავლო კურსების, უმაღლესი განათლების დიპლომებისა და სამეცნიერო ხარისხების აღიარების შესახებ ევროპის სახელმწიფოებში (1979).

1998 წელს ხელი მოეწერა “სორბონის დეკლარაციას”, რომლის მთავარი მიზანი იყო ევროპის უმაღლესი განათლების ერთიანი ღია სივრცის შექმნა.

სორბონის დეკლარაციის შემდეგ 1999 წელს მირეს საყოველთაოდ ცნობილი “ბოლონის დეკლარაცია”, რომელშიც საუბარია

უნივერსიტეტების მიერ კადრების მომზადებაზე ერთიანი ევროპული შრომის ბაზრისათვის. ბოლონის პროცესი მოითხოვდა სერიოზულ გარდაქმნებს უნივერსიტეტების სტრუქტურაში, სასწავლო გეგმებში, სწავლების პროცესებში. თავდაპირველად გათვალისწინებული იყო სწავლების ორი საფეხური – ბაკალავრიატი და მაგისტრატურა, შემდეგ კი დაემატა დოქტორანტურა, რომელიც ანიჭებს დოქტორის ხარისხს (**ლათ. – Philosophiae doctor, შემოკლებით PhD**).

ბოლონის პროცესს დღეისათვის მიერთებულია შემდეგი ქვეყნები: ავსტრია (1999), აზერბაიჯანი (2005), ალბანეთი (2003), ანდორა (2003), ბელგია (1999), ბოსნია და ჰერცეგოვინა (2003), ბულგარეთი (1999), გერმანია (1999), დანია (1999), დიდი ბრიტანეთი (1999) ირლანდია (1999), ესტონეთი (1999), ესპანეთი (1999), თურქეთი (2001), ისლანდია (1999), იტალია (1999), კვიპროსი (2001), ლატვია (1999), ლიტვა (1999), ლიხტენშტეინი (1999), ლუქსემბურგი (1999), მაკედონია (2003), მალტა (1999), მოლდოვა (2005), მონტენეგრო (2007), ნიდერლანდები (1999), ნორვეგია (1999), პოლონეთი (1999), პორტუგალია (1999), რუმინეთი (1999), რუსეთის ფედერაცია (2003), საბერძნეთი (1999), საფრანგეთი (1999), საქართველო (2005), სერბეთი (2003), სლოვაკეთის რესპუბლიკა (1999), სლოვენია (1999), სომხეთი (2005), უკრაინა (2005), უნგრეთი (1999), ფინეთი (1999), შვეიცარია (1999), შვეცია (1999), ჩერნოგორია (2007), ჩეხეთის რესპუბლიკა (1999), წმინდა საყდარი ვატიკანი (2003), ხორვატია (2001), ყაზახეთი (2010).

ბოლონის პროცესსა და ინოვაციური განვითარების მჭიდრო კავშირზე მეტყველებს 2006 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული დოკუმენტი – **“ცოდნიდან პრაქტიკისაკენ. ევროკავშირის ფართო ინოვაციური სტრატეგია”** (*“Putting knowledge into practice: A broad-based innovation strategy for the European Union”*), რომელშიც აღიარებულია, რომ ინოვაციური განვითარების საფუძველია განათლება და მეცნიერება, მათი კავშირი პრაქტიკასთან ანუ ეკონომიკასთან (ბიზნესთან).

ბოლონის პროცესის ინოვაციურ განვითარებასთან მჭიდრო კავშირზე მეტყველებს ასევე ის, რომ ამ პროცესის მიზნებში აისახა მოთხოვნა სტუდენტების აუცილებელი მონაწილეობის შესახებ სამეცნიერო კვლევებში, კვალიფიკაციის ევროპული სტრუქტურის

შემუშავებისას განისაზღვრა ისეთი კომპეტენციები, რომლებიც ინოვაციური საქმიანობისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული. სწავლების პერიოდს დაემატა მესამე საფეხური – დოქტორანტურა.

ბოლონის პროცესის შესაბამისად შემუშავდა დოკუმენტი – **“უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხის შეფასების სტანდარტები და რეკომენდაციები” (Standards and Guidelines for quality assurance in the European Higher Education Area)**. 2008 წელს კი შეიქმნა **“უმაღლესი განათლების ხარისხის კონტროლის ევროპული რეგისტრი” (European Quality Assurance Register for Higher Education, EQAR)** [აბესაძე რ., 2016]

განათლების რეფორმირება ახლაც გრძელდება, რომელიც შესაბამება ცვლილებებს ეკონომიკაში, ინოვაციური ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

ევროკავშირის პროფესიული განათლების სისტემა. პროფესიული განათლება (vocational education) ევროკავშირში მეტად პოპულარული და მოთხოვნადია, ვინაიდან ფირმები განსაკუთრებით პრაქტიკული ჩვევებისა და უნარების მუშაკებს საჭიროებენ. პროფესიული განათლების სისტემები ევროკავშირის ქვეყნებში ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიული განათლების მისაღებად აუცილებელია საშუალო განათლების ქონა, სხვა ქვეყნებში ის საშუალო განათლების ნაწილია.

მათ, ვისაც არ აქვთ სურვილი, ხანგრძლივად ისწავლონ უმაღლეს სასწავლებლებში, შეუძლიათ კოლეჯებსა და პროფესიული განათლების სასწავლებლებში სწრაფად მიიღონ პროფესიულ-ტექნიკური განათლება. კოლეჯში შესვლა უფრო ადვილი და სწავლა უფრო იაფია. პროგრამები აქ ორიენტირებულია არა თეორიის შესწავლაზე, არამედ პრაქტიკული ჩვევებისა და უნარების შექმნაზე².

პროფესიული განათლების სისტემა დიდ როლს თამაშობს, ვინაიდან ინოვაციების განხორციელება შესაბამისი მაღალკვალიფიციური პერსონალის არსებობას მოითხოვს. იგი ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფისა და ზრდის ერთ-ერთი დიდი ფაქტორია.

² <http://www.meganom.org/useful/more/407.html>; <http://www.rajaleidja.ee/3-2/>

ევროკავშირის ერთიანი სამეცნიერო სისტემა [ახესაჟ რ., 2016]

2000 წელს ევროკომისარ ფილიპ ბასკინის მიერ წამოყენებულ იქნა ინიციატივა ერთიანი ევროპული სამეცნიერო სივრცის (European Research Area) შექმნის შესახებ, რომლის მთავარი ამოცანები ძირითადად იყო: ინვესტიციების გაზრდა ცოდნის სფეროში; წამყვანი სამეცნიერო ცენტრების ქსელის შექმნა; ეროვნული და ევროპული სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების კოორდინაცია; მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კოოპერაციის ხელშემწყობი გაერთიანებების შექმნა; სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის როლის გაზრდა; ევროპულ დონეზე მეცნიერთა კარიერისათვის ხელშეწყობა; ევროპულ მკვლევართა მობილურობის გაზრდა; რეგიონთა აქტივიზაციის ზრდა ევროპულ კვლევებში; კომპანიათა ინოვაციური განვითარებისათვის ხელის შეწყობა სარისკო კაპიტალდაბანდებებით და სხვა.

იმავე წელს ლისაბონში შეიკრიბნენ ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურები, რომელთაც მიიღეს რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც 2010 წლისათვის ევროკავშირი მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე უნდა გასულიყო. შემდგომ ამ რეზოლუციას ეწოდა “**ლისაბონის დეკლარაცია**”, ხოლო დასახულ მიზნებს, რომლებშიც ასახვა პოვა ფილიპ ბასკინის ინიციატივებმა – “**ლისაბონის სტრატეგია**”.

ლისაბონის სტრატეგიის მიხედვით, დანახარჯები კვლევებსა და შემუშავებებზე 2010 წლისათვის უნდა გაზრდილიყო მშპ-ს 3 პროცენტამდე ყველა ქვეყნის მიხედვით, ამასთან, კერძო სექტორის წილი უნდა ყოფილიყო აღნიშნული დანახარჯების ორი მესამედი.

ლისაბონის სტრატეგიის განხორციელებაში არსებული სიძნელეებისა და ნაკლოვანებების გამო, მათ შორის, კვლევებისა და შემუშავებების სფეროში, 2005 წელს ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟ. ბაროზუმ მოამზადა დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იყო ლისაბონის ახალი სტრატეგია და რომელშიც, სხვა უმნიშვნელოვანეს ამოცანებთან ერთად, მოითხოვებოდა ინვესტიციების ზრდა კვლევებსა და შემუშავებებზე, წარმოებაში ინოვაციათა დაჩქარება, ეკოლოგიური ინოვაციების ყოველმხრივი გავრცელება, წარმოების ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლება.

ევროკავშირის პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით, ევროკომისია მრავალ წინადადებას შეიმუშავებს, მაგრამ მათ მხოლოდ სა-

რეკომენდაციო ხასიათი აქვს წევრი-ქვეყნებისათვის. ამიტომ შემუშავდა “**კოორდინაციის ღია მეთოდი**” (**Open method of coordination, OMC**), რის მიხედვითაც განისაზღვრება სახელმწიფოთა მიერ შეთანხმებული პოლიტიკა. ეს მეთოდი იქნა გამოყენებული კვლევებისა და შემუშავებათა სფეროშიც. მაგალითად, 2003 წელს ევროსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ამ მეთოდის გამოყენებით შეფასებულიყო 2010 წლისათვის მიაღწევდა თუ არა კვლევებისა და შემუშავებათა დაფინანსება მშპ-ს 3 პროცენტს. შედეგები ანალიზისათვის გადაეცა ევროკავშირის სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების კომიტეტს (**Comité de Recherche Scientifique et Technique, CREST**, რომელსაც 2010 წელს ეწოდა “ევროპული კვლევითი სივრცის კომიტეტი” (**European Research Area Committee, ERAC**)). 2006 წელს აღნიშნულმა კომიტეტმა ამ მეთოდის გამოყენების მეშვეობით გამოაქვეყნა ანგარიში ინვესტიციების ზრდის შესახებ კვლევებისა და შემუშავების სფეროში. ანგარიშში მოცემული იყო რეკომენდაციები, საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებისას გამოყენებინათ კვლევებისა და შემუშავებათა მასტიმულირებელი ბერკეტები; დაეჩქარებინათ ცოდნის გადაცემა სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებიდან და უნივერსიტეტებიდან ეკონომიკაში და სხვ. ERAC-ი ასევე მონაწილეობს ევროპის კვლევებისა და ინოვაციების სფეროს ერთიანი სტრატეგიების შემუშავებაში. ბოლო წლებში მან მოამზადა რიგი დოკუმენტებისა კვლევების ერთიანი ევროპული სივრცის განვითარების სტრატეგიის შესახებ 2020 წლამდე, ასევე მოამზადა მიმოხილვა ევროპის ცალკეული ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის შესახებ და სხვ.

შემდგომში კვლავ არაერთი დოკუმენტი მომზადდა ევროპის კვლევითი სფეროს განვითარების სტრატეგიისა და წევრი ქვეყნების კვლევითი ეროვნული პოლიტიკის შესახებ.

ევროკავშირის კვლევითი სფეროს განვითარების გზაზე მნიშვნელოვანია “**ლიუბლიანას პროცესი**” (2008), რომელიც გულისხმობს პარტნიორობას ევროკავშირის წევრ-ქვეყნებსა და ასოცირებულ წევრებს შორის, ევროკომისიისა და ევროკავშირის სხვა სტრუქტურების მონაწილეობით.

ევროკავშირში თავიდანვე გათვითცნობიერებული იყო ის საკითხი, რომ კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამისათვის ინოვაციების განხორციელება დამოკიდებულია შესაბამისი

კადრების აღზრდაზე, ამიტომ დაიწყო განათლების სისტემის სრულყოფა, რასაც წინ უძღოდა შესაბამისი ერთიანი პოლიტიკის შემუშავება.

ევროკავშირის სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების ჩარჩო-პროგრამები [Клавдиенко В.П., 2007]. ევროკავშირში ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება სულ უფრო და უფრო გამოდის ეროვნული საზღვრებიდან და იღებს საერთო ხასიათს. წარმოიშობა საერთოევროპული ორგანიზაციები. გარდამტეხი მნიშვნელობა ამ მიმართულებით აქვს **“ევროკავშირის სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების ჩარჩო-პროგრამებს”**. ეს პროგრამები განსაზღვრავს ევროპული სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს, მათი შესრულების საშუალებებს, დაფინანსების წყაროებსა და მოცულობას. მათი რეალიზაცია კი ხორციელდება საწარმოების, კვლევითი ცენტრებისა და უნივერსიტეტების კოოპერაციის საფუძველზე. პირველი ასეთ პროგრამა შემუშავდა 1980 წელს და მიღებულ იქნა 1984 წელს. იგი გათვლილი იყო 1984-1987 წლებზე (დაფინანსება €3.75 მლრდ). 2013 წლამდე მიღებული იქნა 7 ჩარჩო - პროგრამა, რომლებიც განსხვავდებიან როგორც დაფინანსების მოცულობის, ისე მათი სტრუქტურის მიხედვით. მაგალითად, მე-7 ჩარჩო პროგრამის დაფინანსება 16-ჯერ მეტი იყო, ვიდრე პირველი ჩარჩო - პროგრამის. თუ პირველ ჩარჩო - პროგრამაში პრიორიტეტი იყო კვლევები ენერგეტიკის სფეროში, მეორეში (1987-1991; €5.4 მლრდ) – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ეკონომიკის ტრადიციულ დარგებში, მესამეში (1990–1994; €6.6 მლრდ) – კვლევები, რომლებიც აძლიერებდნენ შიგა ბაზრებს (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამრეწველო ტექნოლოგიები, ახალი მასალები), მეოთხეში (1994–1998; €13.2 მლრდ) და მესუთეში (1998–2002; €14.9 მლრდ) – კვლევები გარემოს, სიცოცხლის და ბიოტექნოლოგიების შესახებ. მეექვსეში (2002–2006; €17.9 მლრდ) – ერთიანი ევროპული კვლევითი სივრცის შექმნა, მდგრადი განვითარებისა და 2010 წლისათვის ევროკავშირის მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი ეკონომიკის მქონე რეგიონად გარდაქმნის მიზნით (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები, კვლევები მრავალფუნქციური მასალების, ეკოლოგიის, ავიაციისა და

კოსმონავტიკის სფეროში), მეშვიდეში (2007–2013; €54.6 მლრდ) – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და მათი გამოყენება ჯანდაცვის, მედიცინის, გარემოს დაცვის, განათლების, მრეწველობის დარგებში (საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციისათვის). განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ინოვაციური პროცესების ინტეგრაციის გაღრმავებაზე, ახალი ცოდნის გენერირებასა და მის საფუძველზე ახალი ტექნოლოგიების შექმნას შორის კავშირების გაძლიერებაზე.

მეექვსე პროგრამიდან დაწყებული, მათ განხორციელებაში მონაწილეობის უფლება ეძლევა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, ასევე უცხო ქვეყნებიდან პარტნიორებს.

ჩარჩო პროგრამების მართვას ახორციელებს ევროპის კომისია. პროგრამები მთლიანად ფინანსდება ევროკავშირის ფონდებიდან.

პროგრამა “ევროპა 2020”. 2010 წელს მიღებულ იქნა პროგრამა “ევროპა 2020”, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა პროგრესი განათლების, მეცნიერებისა და შემუშავებათა ანუ ინოვაციების სფეროში და ამის საფუძველზე დასაქმების მაღალი დონის მიღწევა, კლიმატის ცვლილებისა და ენერგეტიკის პრობლემათა გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა. პროგრამა “ევროპა 2020” მოიცავს მოქმედების 7 პროგრამას: ინოვაციური კავშირი (Innovation Union); “ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვა” (Youth on the move); ევროპის ციფრული ტექნოლოგიის განვითარება (A digital agenda for Europe); “რესურსებით ეფექტიანი მომარაგება (Resource efficient Europe); “სამრეწველო პოლიტიკის გლობალიზაცია” (Industrial policy for the globalisation era); “ახალი კვალიფიკაციისა და ახალი სამუშაო ადგილების ათვისების პროგრამა” (Agenda for new skills and jobs); “სიღარიბესთან ბრძოლის ევროპის პროგრამა” (European platform against poverty).

“ჰორიზონტი 2020” – სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ჩარჩო-პროგრამა. 2011 წელს ევროკომისიამ მიიღო ახალი პროგრამა – “ჰორიზონტი 2020 – სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ჩარჩო-პროგრამა” (**Horizon 2020 - The Framework Programme for Research and Innovation**), რომელმაც მოქმედება დაიწყო 2014 წლიდან. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 80 მილიარდ დოლარს. მე-7 ჩარჩო-პროგრამისაგან განსხვავებით, ამ პროგრამაში

ყურადღება გამახვილებულია სარისკო კვლევებსა და ინოვაციებზე, რათა მოხდეს გარღვევა ევროპის ეკონომიკაში. მისი მთავარი მიზანია ევროკავშირის ეკონომიკის გარდაქმნა მსოფლიოში ცოდნაზე დაფუძნებულ კონკურენტუნარიან და დინამიკურ ეკონომიკად. პროგრამა მოიცავს 3 პრიორიტეტულ მიმართულებას და თითოეული დაფუძნებულია ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების ინოვაციურ განვითარებაზე. ეს პრიორიტეტებია:

მოწინავე მეცნიერება (Excellent Science), რაც მოიცავს მხარის დაჭერას: ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერებისათვის ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად ევროპის კვლევითი საბჭოს (European Research Council (ERC)) ხაზით; თანამედროვე კვლევისადმი პერსპექტიულ დარგებში და მომავლის რადიკალურად ახალი ტექნოლოგიების (Future and Emerging Technologies (FET)), შემუშავებისადმი; მარია კიურის პროგრამის ჩარჩოში საკადრო პოტენციალის სრულყოფისადმი; ევროპაში კვლევითი ინფრასტრუქტურის (European research infrastructures) სრულყოფისადმი.

ინდუსტრიული ლიდერობა (Leadership in enabling and industrial technologies) – ინვესტირება ისეთ ახალ და სამრეწველო ტექნოლოგიებში, როგორცაა: საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მიკრო და ნანოელექტრონიკა, ფოტონიკა, ნანოტექნოლოგიები; ახალი მასალები; ბიოტექნოლოგიები; წარმოების ეფექტიანი პროცესები; კოსმოსი.

სოციალური გამოწვევები (Societal challenges) – კვლევებისა და ინოვაციების შედეგების ამაღლება შემდეგ სფეროებში: ჯანდაცვა, დემოგრაფიული ცვლილებები და კეთილდღეობა; კვების პროდუქტები, სოფლის მეურნეობა, ეკოსისტემები და ბიოეკონომიკა; უსაფრთხო, წმინდა და ეფექტიანი ენერგეტიკა; ეკოლოგიურად სუფთა, ინტელექტუალური ტრანსპორტი; კლიმატის გავლენა, რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, ნედლეული; ევროპის ქვეყნებში პროგრესული საზოგადოებრივი მოწყობა, რაც უზრუნველყოფს თავისუფლებას, უსაფრთხოებას და ყველასათვის თანაბარ შესაძლებლობებს.

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება: გაერთიანებული სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (Joint Research Center (JRC)), ევროკომისიის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგის მხარდაჭერაზე; ინოვაციებისა და ტე-

ქნოლოგიების ევროპული ინსტიტუტი; კვლევები, რომლებიც ტარდება ევროატომის შესახებ ხელშეკრულების ჩარჩოებში.

პროგრამის ასოცირებული წევრებია: ალბანეთი, ისრაელი, მაკედონიის რესპუბლიკა, ჩერნოგორია, ნორვეგია, სერბია, თურქეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ფარერის კუნძულები, მოლდოვა, შვეიცარია (ნაწილობრივი ასოცირება), საქართველო, სომხეთი, ტუნისი.

ევროკავშირის ინოვაციური ინფრასტრუქტურა

ევროკავშირში ინოვაციური იდეები ყველაზე მეტად წარმოიშობა უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში. მაგრამ, გარდა ამისა, ამ პროცესში ჩართულია ბევრი სხვა სტრუქტურა, სადაც საქმიანობენ სხვადასხვა სპეციალობის მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები.

ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი³. 2005 წელს წარმოიშვა ევროპის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაარსების იდეა. აქ სტუდენტებს, უმაღლეს განათლებასთან ერთად, უნდა მიეღოთ სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. მაშასადამე, ამ ინსტიტუტში უნდა გაერთიანებულიყო უმაღლესი განათლება, მეცნიერება და ინოვაციები. 2008 წელს, ევროპარლამენტისა და ევროკომისიის გადაწყვეტილებით, ასეთი ინსტიტუტი დაარსდა და მას “ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი” (*European Institute of Innovation and Technology, EIT*) ეწოდა.

ინსტიტუტის წესდების მიხედვით, საქმიანობა უნდა განხორციელდეს პარტნიორობის საფუძველზე. პარტნიორები უნდა იყვნენ უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის სფეროდან. ამ პარტნიორობას ეწოდა “ცოდნისა და ინოვაციების საზოგადოება” (**Knowledge and Innovation Communities, KICs**). აღსანიშნავია, რომ პარტნიორობას აქვს ტრანსნაციონალური ხასიათი. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია ევროკავშირის ბიუჯეტი და სხვა შემოსულობები.

ინსტიტუტის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ აქ ორგანიზაციის შერწყმული განათლება, მეცნიერება და ბიზნესი, რაც აჩქარებს ინოვაციურ პროცესებს იდეებიდან შედეგებამდე,

³ <http://ru.knowledgr.com/02043035/ЕвропейскийИнститутНовшестваИТехнологии>

ლაბორატორიიდან ბაზრამდე, სტუდენტიდან მეწარმემდე და რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციური პოტენციალის და, შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის ზრდას.

2011 წელს ინსტიტუტმა შეიმუშავა სტრატეგიული ინოვაციური განვითარების პროგრამა 2014-2020 წლებისათვის, რომელიც დაამტკიცა ევროსაბჭომ და ევროკომისიამ, რომელშიც მთავარი ყურადღება ექცევა მეწარმეობას. სტუდენტები უნდა იძენდნენ მეწარმის თვისებებს და ჩვევებს, ასევე მეცნიერებიც ორიენტირებულნი უნდა იყვნენ მეწარმეობაზე.

ევროპის უმაღლესი სასწავლებლები (უნივერსიტეტები). უნივერსიტეტებში წარმოებს როგორც გამოყენებითი, ისე ფუნდამენტური კვლევები. გერმანიის ჰანოვერის უნივერსიტეტის მაგალითი გვიჩვენებს, რომ კვლევების ძირითადი მიმართულება განისაზღვრება მრეწველობიდან შეკვეთებით (რომელიც პერიოდულად იცვლება), გერმანიისა და ევროკავშირის პროგრამებით, ასევე საკუთარი კვლევებით. ინოვაციური საქმიანობის დიდი ნაწილი დაფუძნებულია საკუთარი ტექნიკური მიღწევების კომერციალიზაციაზე. ტექნოლოგიების გადაცემის ძირითად ცენტრს წარმოადგენს დანაყოფი – Unitransfer, მის ძირითად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მრეწველობასთან კავშირების გამონახვისა, წარმოადგენს სრულიად ახალ იდეებზე მუშაობა, ანუ უნივერსიტეტის ბიზნესინკუბატორების განვითარება. ბიზნესინკუბატორში ყოფნის ვადაა 1 წელი.

უნივერსიტეტის მიერ დაარსებულია საწარმო-ტექნიკური ცენტრი (PZH), რომლის მთავარი კონცეფციაა – **“მეცნიერება და მრეწველობა ერთ ჭერქვეშ”**. აქ გაერთიანებულია უნივერსიტეტის ინსტიტუტები და ადგილობრივი საწარმოები. ევროკავშირის ქვეყნებში ფუნქციონირებს მრავალი უნივერსიტეტი, რომლებშიც მიმდინარეობს ანალოგიური სამეცნიერო-ინოვაციური საქმიანობა [Амелина К.Е., 2011].

ევროპული სამეცნიერო ფონდი (European Science Foundation ESF)⁴ არის ასოციაცია, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-ორგანიზაციულ საქმიანობას ევროპის 24 ქვეყანაში. იგი კოორდინაციას უწევს საერთოევროპულ სამეცნიერო ინიციატივებს მაღალი დონის სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის მიზნით. მასში

⁴ <http://www.wdcb.ru/grants/esf.html>

გაერთიანებულია 68 წევრი ორგანიზაცია. მის მიერ მხარდაჭერილ პროექტში უნდა მონაწილეობდეს სულ მცირე 6 ევროპული ქვეყნის წარმომადგენელი. ის ასევე ახორციელებს ექსპერტიზას თავისი საექსპერტო ქსელის მეშვეობით.

ევროპული სამეცნიერო ფონდი მხარს უჭერს შემდეგ ძირითად საქმიანობას: კვლევითი სემინარებისა და ევროპული სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება (EURESCO); მაღალი დონის სამეცნიერო პროგრამების შემუშავება, რომლებიც მიმართულია მსხვილი პროექტების განსახორციელებლად მრავალეროვნული (საშუალოდ 10 ქვეყანა) კოლექტივების მიერ; სამეცნიერო ქსელების მეშვეობით კვლევების განხილვა, დაგეგმვა, დანერგვა, ანალიზი და კოორდინაცია; ერთობლივი ევროპული სამეცნიერო პროექტები (EUROCORES), რომელშიც მონაწილეობს ეროვნული ფონდები; პროგრამა "ხედვა მომავლისაკენ", რომელიც ეხმარება ევროპულ სამეცნიერო ერთობას, ჩამოაყალიბოს შეხედულებები კვლევები მოკლე და გრძელვადიან განვითარებაზე.

ფონდის სამეცნიერო სფეროებია: ფიზიკა და საინჟინრო მეცნიერებები; სამედიცინო მეცნიერებები; ბიოლოგიური და ეკოლოგიური მეცნიერებები და მეცნიერებები მიწის შესახებ; ჰუმანიტარული მეცნიერებები; სოციალური მეცნიერებები.

ფონდის ბიუჯეტი ყალიბდება წევრების შენატანებისაგან.

ევროპის სამხრეთი ობსერვატორია (ESO, European Southern Observatory)⁵ წარმოადგენს კვლევით ორგანიზაციას, რომლის წევრია 15 ევროპული სახელმწიფო და ბრაზილია. კონვენცია მისი შექმნის შესახებ ხელმოწერილ იქნა 1961 წელს ბელგიის, გერმანიის, საფრანგეთის, ნიდერლანდების და შვედეთის მიერ, პირველი ტელესკოპი დაიდგა 1966 წელს.

მან ჩაატარა მრავალი ფუნდამენტური მნიშვნელობის გამოკვლევა და გამოიცა რამდენიმე ასტრონომიული კატალოგი. ბოლო გამოკვლევებიდან აღსანიშნავია: ყველაზე დაშორებული გამა-აფეთქება, შავი ხვრელის დადასტურება ჩვენი გალაქტიკის ცენტრში და სხვა.

ობსერვატორიის წევრი ქვეყნებია: ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, შვედეთი, დანია, შვეიცარია, იტალია,

⁵ https://ru.wikipedia.org/wiki/Европейская_южная_обсерватория#История

პორტუგალია, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, ესპანეთი, ჩეხეთი, ავსტრია, პოლონეთი, ბრაზილია.

ევროპის მოლეკულურ-ბიოლოგიური ლაბორატორია (European Molecular Biology Laboratory, EMBL)⁶ წარმოადგენს ფუნდამენტურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც ფინანსდება 20 წევრი და ერთი პარტნიორი ქვეყნის მიერ. მისი საქმიანობის სფეროებია: ფუნდამენტური გამოკვლევები მოლეკულური ბიოლოგიის სფეროში; მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება; ბიოლოგიური მასალების კვლევის უზრუნველყოფა მეცნიერებისათვის მონაწილე ქვეყნებიდან; ბიოლოგიური კვლევებისათვის ახალი ხელსაწყოებისა და მეთოდების შემუშავება, აქტიური მონაწილეობა ახალი ტექნოლოგიების გავრცელებაში, კვლევათა და დამუშავებათა შედეგების დაწინაურებაში.

ლაბორატორიის მონაწილე ქვეყნებია: ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, დანია, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, შვედეთი, შვეიცარია, საფრანგეთი, ბელგია, საბერძნეთი, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პორტუგალია, ფინეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ავსტრალია (პარტნიორი ქვეყანა).

ევროპული მოლეკულურ - ბიოლოგიური ორგანიზაცია (EMBO — European Molecular Biology Organization)⁷ არის წამყვანი ორგანიზაცია სიცოცხლის შესახებ მოლეკულური მეცნიერების სფეროში, ასევე მისი საქმიანობა მიმართულია ნიჭიერი მეცნიერების მოძიებასა და წახალისებისაკენ.

ბირთვული კვლევის ევროპული ორგანიზაცია (ფრანგ. Conseil Européen pour la Recherche Nucléaire – CERN)⁸ წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიას. აქ მიღებულია არაერთი დიდი მნიშვნელობის ფუნდამენტური მეცნიერული აღმოჩენა. მაგალითად W და Z-ბოზონების, ნეიტრალური დენების და მრავალი სხვა აღმოჩენა. ლაბორატორიაში ასევე აღმოჩენილი და შექმნილია მსოფლიო მნიშვნელობის ინტერნეტ ტექნოლოგიები. ორგანიზაციის წევრი ქვეყნებია: ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, დანია, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, შვედეთი, შვეიცარია, საფრანგეთი, ბელგია, საბერძნეთი, ირლანდია, ის-

⁶ https://ru.wikipedia.org/wiki/Европейская_молекулярно-биологическая_лаборатория

⁷ https://ru.wikipedia.org/wiki/Европейская_молекулярно-биологическая_лаборатория

⁸ <https://ru.wikipedia.org/wiki/ЦЕРН>

ლანდია, ესპანეთი, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პორტუგალია, ფინეთი, ხორვატია, ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვენია, ბულგარეთი. ასოცირებული ქვეყნის სტატუსი აქვს სერბიას, უკრაინას, თურქეთს, დამკვირვებელი ქვეყნები და ორგანიზაციებია: ევროპის კომისია, ინდოეთი, რუსეთი, აშშ, კანადა, იუნესკო, ჩინეთი, ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი (ურთიერთ სტატუსით – **ОИЯИ**)

ევროპული კვლევითი საბჭო (European Research Council, ERC)⁹ არის პირველი საერთოევროპული ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია მოახდინოს ევროკავშირში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტიმულირება. მას მართავს სამეცნიერო საბჭო რომელიც შედგება 22 ევროპელი მეცნიერისაგან. საბჭო განსაზღვრავს ორგანიზაციის სტრატეგიას.

ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერი ევროპული ქსელები [Лукша О., 2007]

ინოვაციური ქსელები არის ინფრასტრუქტურული ორგანიზაციების გაერთიანება ტექნოლოგიათა კომერციალიზაციისა და გადაცემის, ინოვაციური სტარტაპ კომპანიების შექმნისა და განვითარების მიზნით. ევროკავშირში არესებობს ასეთი ქსელების საკმაოდ დიდი რაოდენობა. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ინოვაციური რელე ცენტრების ქსელის (INNOVATION RELAY CENTRES NETWORK) მისიაა ინოვაციური და ტრანსეროვნული ტექნოლოგიური თანამშრომლობის მხარდაჭერა ევროპაში. მისი მომსახურების მთავარი სფეროა მცირე და საშუალო ბიზნესი, თუმცა მათ შეუძლიათ მომსახურება გაუწიონ მსხვილ საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს, ტექნოლოგიურ ცენტრებს, ინოვაციურ სააგენტოებს.

ქსელი – “ევროპის ინოვაციური რეგიონები” (INNOVATIVE REGIONS IN EUROPE NETWORK) შეიმუშავებს რეგიონული ინოვაციური სტრატეგიის პროექტებს, რომელიც დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. მისი ამოცანაა, წვევრ რეგიონებს, როლებიც შეიმუშავებენ და ახორციელებენ რეგიონულ ინოვაციურ სტრატეგიებს, გაუწიოს დახმარება ახალი ინოვაციური ინსტრუმენტებისა

⁹ https://ru.wikipedia.org/wiki/Европейский_исследовательский_совет

და მექანიზმების ათვისებაში. ქსელში გაერთიანებულია ევროკავშირის 235-ზე მეტი რეგიონი და ასოცირებული ქვეყანა.

ტექნოლოგიების ტრანსფერის, ინოვაციებისა და სამრეწველო ინფორმაციის ევროპული ასოციაცია (THE EUROPEAN ASSOCIATION FOR THE TRANSFER OF TECHNOLOGIES, INNOVATION AND INDUSTRIAL INFORMATION – TII) არის დამოუკიდებელ პროფესიონალთა ასოციაცია, რომელიც მხარს უჭერს ფორმებში ტექნოლოგიების ტრანსფერს და მათ ინოვაციურ განვითარებას. მასში გაერთიანებულია: მაღალკვალიფიციური კონსულტანტები და ტექნოლოგიური ბროკერები; ტექნოლოგიების ტრანსფერის ოფისები უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან; რეგიონული განვითარების სააგენტოებთან; სამრეწველო-სავაჭრო პალატები; სამეცნიერო პარკები; ინოვაციური ცენტრები და ინკუბატორები; საკონტრაქტო კვლევითი ორგანიზაციები; სამინისტროები, დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციები.

მეცნიერებისა და ტრანსფერის ევროპელ პროფესიონალთა ასოციაცია (ASSOCIATION OF EUROPEAN SCIENCE & TECHNOLOGY TRANSFER PROFESSIONALS – ASTP) შედგება ტექნოლოგიების ტრანსფერით დაკავებული მრავალეროვნულ მაღალპროფესიონალ სპეციალისტთაგან. მათი მომსახურების სფეროა: ტექნოლოგიების ტრანსფერის პრაქტიკა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში; ტექნოლოგიების ტრანსფერის ოფისთა მართვა; დაპატენტება; უნივერსიტეტთა Start-up კომპანიების ბიზნეს-ინკუბატორების ლიცენზირება; მეცნიერებატევადი ცოდნის ტრანსფერის სხვა ასპექტები.

ევროპის ბიზნეს-ინოვაციური ცენტრების ქსელი (European Community Business & Innovation Centre – EBN)¹⁰ არის წამყვანი ინოვაციური ქსელი, რომელიც აერთიანებს 160 ბიზნეს-ინოვაციურ ცენტრს, ასევე ინკუბატორებს, სამეწარმეო ცენტრებს და სხვ. ქსელი შეიქმნა ევროკომისიისა და სამრეწველო ლიდერების მიერ. ქსელი საკმიანობს შემდეგი მიმართულებების მიხედვით: თავისი წევრების ლობირება და განვითარებაში მხარდაჭერა; კავშირების განვითარება თავის წევრებს შორის და მხარდაჭერა ევროკომისიის მიერ შექმნილი მცირე და საშუალო საწარმოებისადმი;

¹⁰ <http://www.tpidea.ru/EBN>

ახალი ბიზნესცენტრების შექმნა და მათი ხელშეწყობა დაწინაურებაში და სხვ.

ევროპული ინოვაციური კლასტერები [Борисов В.В., Соколов Д.В., 2012]. კლასტერი წარმოადგენენ ფირმათა, კვლევით ორგანიზაციათა და სხვადასხვაგვარ დამხმარე სტრუქტურათა ერთობლიობას, რომელიც თავმოყრილია გეოგრაფიულად შეზღუდულ ტერიტორიაზე და რომელსაც გააჩნია საკმარისი მატერიალური და შრომითი რესურსები ინოვაციური განვითარებისათვის მრეწველობის ამა თუ იმ დარგში. აქ ყალიბდება საქმიანი და კეთილსასურველი გარემო კლასტერის მონაწილეთა შორის შემოქმედებითი კავშირების დასამყარებლად.

ევროპის ინოვაციური ტაბლოები. ყურადღებას იმსახურებს ევროკავშირში ინოვაციური განვითარების მონიტორინგის სისტემა, რომლის შემადგენელი ნაწილია “ევროპის ინოვაციური ტაბლოები”. ისინი წარმოადგენენ საბაზო სტატისტიკური მონაცემებისა და სპეციალური კვლევების შედეგად მოპოვებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ პირველად ინდიკატორთა ერთობლიობას, რომელიც შემდგომში აგრეგირდება გარკვეულ სუბ- და კრებსით ინდიკატორებში და მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნებისთვის შედარებადი მახასიათებლების წარმოება და მათი მონიტორინგი. საინტერესოა ასევე “ევროპის რეგიონული ინოვაციური ტაბლოები”, რომელთა მიზანია, წარმოაჩინოს ევროპის რეგიონების ინოვაციური პოტენციალი და განახორციელოს მისი მონიტორინგი [გოგოძე ი., 2013].

დასკვნები

1. ევროკავშირის ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება იწყება განათლებისა და სამეცნიერო სისტემების სრულყოფით (მოდერნიზაციით);

2. განათლება და მეცნიერება რჩება ცალკეული ქვეყნის კომპეტენციაში, მაგრამ, ევროკავშირის ერთიანი შრომის ბაზრისა და სერთოევროპული ფასეულობების შექმნის, ასევე კავშირის ერთიანი პოტენციალის გამოყენების მიზნით მიმდინარეობს როგორც მათი, ისე მთელი ინოვაციური სისტემის უნიფიკაცია. წარმოიშობა ხეივანივით ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა ხელს უწყ-

ყოფს წევრ ქვეყნებში ინოვაციური სისტემების განვითარებას თითოეული ქვეყნის თავისებურებათა შენარჩუნების პირობებში;

3. განათლების სისტემის განვითარების ერთ-ერთ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის კომუნიკე “გზაზე ცოდნის ევროპისაკენ”, რომლის მისაღწევადაც აუცილებელია “სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე”;

4. განათლების სისტემის სრულყოფისათვის ყურადღება გამახვილდა არა მხოლოდ უმაღლეს, არამედ სკოლამდელ და სასკოლო განათლებაზე. ამიტომ უპირველესი საზრუნავი გახდა მასწავლებელთა განათლების ხარისხის ამაღლება და პერსონალური სრულყოფა, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის განვითარება, ერთიანი საგამანათლებლო სივრცის შექმნა და სხვ.;

5. ევროპული უმაღლესი განათლება არის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და მოთხოვნადი მსოფლიოში. მისი განვითარება განაპირობა ეკონომიკისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მეცნიერებისა და მეწარმეობის განვითარების აუცილებლობამ;

6. უმაღლესი განათლების სრულყოფის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ისეთი დოკუმენტების მიღება, როგორცაა: “უნივერსიტეტების დიდი ქარტია”, “ლისაბონის კონვენცია”, “სორბონის დეკლარაცია”; “ბოლონიის დეკლარაცია” (ბოლონიის პროცესი); “უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხის შეფასების სტანდარტები და რეკომენდაციები”, მათ საფუძველზე განხორციელდა: უნივერსიტეტთა შორის თანამშრომლობის გაძლიერება პროგრამების შემუშავების, სახელმძღვანელოების მომზადების, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილურობის მიმართულებით; უმაღლესი განათლების მიღების თანაბარი პირობების შექმნა; სწავლების პერიოდების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და სწავლების ციკლების ხანგრძლივობის განსაზღვრა; სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში; სამართლებრივი ნორმების გარკვეული უნიფიკაცია, რომელიც დაკავშირებული იყო დიპლომებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის ურთიერთაღიარებასთან; უნივერსიტეტების ავტონომიურობის აღიარებასთან ერთად, უნდა მომხდარიყო: კვალიფიკაციის ევროპული სტრუქტურის შემუშავებისას ისეთი კომპეტენციების განსაზღვრა, რომლებიც ინოვაციური სა-

ქმიანობისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული; შეიქმნა “**უმაღლესი განათლების ხარისხის კონტროლის ევროპული რეგისტრი**”;

7. პროფესიული განათლება ევროკავშირში მეტად პოპულარული და მოთხოვნადია, ვინაიდან ფირმები განსაკუთრებით პრაქტიკული ჩვევებისა და უნარების მუშაკებს საჭიროებენ. იგი ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფისა და ზრდის ერთ-ერთი დიდი ფაქტორია;

8. ერთიანი ევროპული სამეცნიერო სივრცის შექმნის გზაზე მნიშვნელოვანი იყო “**ლისაბონის დეკლარაცია**”, “**ლისაბონის სტრატეგია**”, “**ლიუბლიანის პროცესი**”, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა: ინვესტიციების გაზრდა ცოდნის სფეროში; წამყვანი სამეცნიერო ცენტრების ქსელის შექმნა; ეროვნული და ევროპული სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების კოორდინაცია; მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კოოპერაციის ხელშემწყობი გაერთიანებების შექმნა; სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის როლის გაზრდა; ევროპულ დონეზე მეცნიერთა კარიერისათვის ხელშემწყობა; ევროპულ მკვლევართა მობილურობის გაზრდა; რეგიონთა აქტივიზაციის ზრდა ევროპულ კვლევებში; კომპანიათა ინოვაციური განვითარებისათვის ხელის შეწყობა; სარისკო კაპიტალ-დაბანდებებით ინვესტიციების ზრდა კვლევებსა და შემუშავებებზე; წარმოებაში ინოვაციათა დაჩქარება, ეკოლოგიური ინოვაციების ყოველმხრივი გავრცელება; წარმოების ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლება; პარტნიორობის გაძლიერება ევროკავშირის წევრ-ქვეყნებსა და ასოცირებულ წევრებს შორის ევროკომისიისა და ევროკავშირის სხვა სტრუქტურების მონაწილეობით;

9. ევროკავშირში ინოვაციური იდეები ყველაზე მეტად წარმოიშობა უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში. მაგრამ, გარდა ამისა, საჭიროა ბევრი სხვა სტრუქტურის მონაწილეობა, სადაც საქმიანობს სხვადასხვა მაღალი კვალიფიკაციის მუშაკი;

10. ევროკავშირში ერთიანი ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბებისა და სტიმულირებისათვის გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების ჩარჩო-პროგრამებს, რომელთა რეალიზაცია ხორციელდება საწარმოების, კვლევითი ცენტრების, უნივერსიტეტებისა

და ბიზნესის კოოპერაციის საფუძველზე, მთავრობის მონაწილეობით. 2013 წლამდე მიღებული იქნა 7 ჩარჩო-პროგრამა, რომლებიც განსვავდება როგორც დაფინანსების მოცულობის, ისე მათი სტრუქტურის მიხედვით. საერთო ტენდენციაა დაფინანსების ზრდა და მისი სტრუქტურის შესაბამისობა ინოვაციური ეკონომიკის განვითარების მოთხოვნებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ინოვაციური პროცესების ინტეგრაციის გადრმავებაზე, ახალი ცოდნის გენერირებასა და მის საფუძველზე ახალი ტექნოლოგიების შექმნას შორის კავშირების გაძლიერებაზე;

11. 2014 წლიდან მოქმედება დაიწყო ევროკავშირის ახალმა პროგრამამ – “ჰორიზონტი 2020”, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 80 მილიარდ დოლარს და მთლიანად ფინანსდება ევროკავშირის სახსრებიდან. მისი მთავარი მიზანია ევროკავშირის ეკონომიკის გარდაქმნა მსოფლიოში ცოდნაზე დაფუძნებულ კონკურენტუნარიან და დინამიკურ ეკონომიკად. პროგრამა მოიცავს 3 პრიორიტეტულ მიმართულებას (“მოწინავე მეცნიერება”, “ინდუსტრიული ლიდერობა”, “სოციალური გამოწვევები”) და თითოეული დაფუძნებულია ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების ინოვაციურ განვითარებაზე;

12. 2010 წელს მიღებულ იქნა პროგრამა “ევროპა 2020”, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა პროგრესი განათლების, მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში და ამის საფუძველზე დასაქმების მაღალი დონის მიღწევა, კლიმატის ცვლილებისა და ენერგეტიკის პრობლემათა გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა. იგი მოიცავს მოქმედების 7 პროგრამას;

13. 2008 წელს, ევროპარლამენტისა და ევროკომისიის გადაწყვეტილებით, დაარსდა “ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი”. ინსტიტუტის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ აქ ორგანულადაა შერწყმული განათლება, მეცნიერება და ბიზნესი, რაც აჩქარებს ინოვაციურ პროცესებს იდეებიდან შედეგებამდე, ლაბორატორიიდან ბაზრამდე, სტუდენტიდან მეწარმემდე და რაც ხელს უწყობს ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციური პოტენციალის და, შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის ზრდას;

14. ევროკავშირში ინოვაციური სისტემა ასევე მოიცავს არაერთ საერთოევროპულ ორგანიზაციას, რომელთა საქმიანობა

მიმართულია სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო და ინოვაციური პროცესების მხარდაჭერისადმი. მაგალითად: “ევროპული სამეცნიერო ფონდი”; “ევროპული კვლევითი საბჭო”; “ევროპის სამხრეთი ობსერვატორია”; “ევროპის მოლეკულურ-ბიოლოგიური ლაბორატორია”; “ევროპული მოლეკულურ ბიოლოგიური ორგანიზაცია”; “ბირთვული კვლევის ევროპული ორგანიზაცია”; “ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერი ევროპული ქსელები”, რომელიც თავისთავად მოიცავს: “ბიზნეს-ინოვაციური ცენტრების ქსელს”; “ინოვაციური რეგე ცენტრების ქსელს”; ქსელს – “ევროპის ინოვაციური რეგიონები”; “ტექნოლოგიების ტრანსფერის, ინოვაციებისა და სამრეწველო ინფორმაციის ევროპულ ასოციაცია” და მრავალ სხვას, რომლებშიც გაერთიანებულია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, ინოვაციის ცენტრები, ქვეყნები და ა.შ.;

15. კლასტერები წარმოადგენს ფირმების, კვლევითი ორგანიზაციებისა და სხვადასხვა დამხმარე სტრუქტურის ერთობლიობას თავმოყრილს გეოგრაფიულად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, რომელიც ფლობს საკმარის რესურსებს, მათ შორის, კვალიფიციურ კადრებს ეფექტიანი ინოვაციური განვითარებისთვის ინდუსტრიის სპეციალიზებულ სფეროში. აქ შექმნილია ყველა პირობა პროცესის მონაწილეთა შორის ინტენსიური ურთიერთობისა იდეის ჩასახვიდან, მათ რეალიზაციამდე. ევროპული კლასტერებისათვის დამახასიათებელია კოოპერაციის მაღალი დონე, ამისათვის ისინი გაერთიანებული არიან ბიზნეს-ინოვაციური ცენტრების ქსელში, ან თვითონ ქმნიან გაერთიანებებს, მაგალითად ევროპული კლასტერული ობსერვატორია, ევროპული კლასტერული ალიანსი და სხვ.;

16. ინოვაციური ინფრასტრუქტურის გასაფართოებლად შეიქმნა “კვლევითი ინფრასტრუქტურის ევროპის სტრატეგიული ფორუმი”. 2004 წელს ფორუმი შეუდგა “საგზაო რუკის” შედგენას შემდგომი 10-20 წლისათვის. “საგზაო რუკის” პირველი პროექტი ითვალისწინებდა 35 საკვლევი ინფრასტრუქტურის ახალ ობიექტს. 2008 წელს აღნიშნულ რუკაზე უკვე 44 ობიექტი აღინიშნებოდა.

17. ევროკავშირში ინოვაციური განვითარების მთავარი მიზანია კვლევების შედეგების დანერგვა ეკონომიკაში. ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ფორმაა სახელმწიფო-კერძო

პარტნიორობა, რომლის განსახორციელებლად აქ შეიქმნა ევროეთ წოდებული “ევროპული ტექნოლოგიური პლატფორმები”. მისი მთავარი დანიშნულებაა მასშტაბური პროექტების შესრულება ეკონომიკის სფეროში;

18. 2007 წელს პარტნიორობის მიმართულებით ევროკომისიამ შეიმუშავა კიდევ ერთი პროგრამა – “წამყვანი ევროპული ბაზრების განვითარება” (**Lead Market Initiative**), რომელიც ითვალისწინებდა იმ ბაზრების ინოვაციურ განვითარებას, რომლებზედაც მოსახლეობის დიდი მოთხოვნა იყო;

19. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ მეცნიერები ჩართულნი არიან ყველა პროგრამასა და გეგმაში. მეცნიერები მონაწილეობენ ინოვაციური პროცესის ყველა ეტაპზე პოლიტიკის განსაზღვრიდან, გეგმების შემუშავებამდე და მის განხორციელებამდე. მეცნიერებით გაჯერებულია ნებისმიერი ინოვაციური საქმიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. 2016. ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”

2. გოგოძე ი., 2013. ინოვაციური საქართველო: მიმდინარე სტატუსი. თბილისი.

3. Амелина К.Е. 2011, Инновационная деятельность вузов Германии. «НАУКА и ОБРАЗОВАНИЕ», Издатель ФГБОУ ВПО "МГТУ им. Н.Э. Баумана", Эл № ФС 77 – 48211.

<http://technomag.bmstu.ru/doc/275706.html>

4. Борисов В.В., 2012. Соколов Д. В. Инновационная политика: европейский опыт. М.

<http://riep.ru/upload/iblock/3ae/3aebdd8678d68f44ba42b6ffaae667f0.pdf>

5. Клавдиенко В.П. 2007. Рамочные программы исследований и развития ЕС: цели, приоритеты, механизмы реализации. ИННОВАЦИИ № 10 (108).

6. Животовская И.Г., 2013. Три десятилетия реформ образования в Европе. http://www.inion.ru/files/File/APE_2013_2_Zhivotovskaya.pdf

7. Лукша О., Пильнов Г., Тарасова О., Яновский А. Европейские сети поддержки инновационной деятельности
http://www.eurasiancommission.org/ru/act/prom_i_agroprom/dep_prom/SiteAssets/Европейские%20сети.pdf

8. Савина А.К. 2014. Образование Европейского Союза
<https://cyberleninka.ru/article/n/obrazovanie-v-evropeyskom-soyuze>

Ramaz Abesadze

EU INNOVATION SYSTEM

Summary

The work analyzes the main components of the EU innovation system: education and science systems and innovation system infrastructure. Naturally, the EU innovation system includes innovation systems in the countries involved, but the present work focuses on the unified innovation system of the EU, which has great influence on the development of innovations in a particular country.

ვლადიმერ პაპავა

**ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევაში
ევროკავშირის პოსტკომუნისტური ძველების
ინოვაციური სისტემების გამოცდილება**

შესავალი

კომუნისტური მმართველობის და მბრძანებლური ეკონომიკის დანგრევის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები დადგნენ უმძიმესი რეალობის წინაშე: მათი საწარმოების (განსაკუთრებით მრეწველობაში) უმრავლესობას არ შეეძლო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წამოება. შედეგად ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა ნეკროეკონომიკა [1-2]. მის არსებობას დიდად უწყობს ხელს სახელმწიფოს მხრიდან ნეკროსაწარმოების მხარდაჭერა.

როგორც აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტურ, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად შემოდის არა მარტო და არა იმდენად უახლესი, არამედ შედარებით მოძველებული (არც თუ იშვიათად, უკვე

ხმარებაში მყოფი) ტექნოლოგიები, რაც ხელს უწყობს ამ ქვეყნებში ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის შენარჩუნებას [3]. შედეგად, ჩამოყალიბდა რეტროეკონომიკა [4-5].

ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის პრობლემა აქტუალურია საქართველოსთვისაც და ამ უარყოფითი მოვლენის დასაძლევად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გამოცდილების შესწავლას, რომელიც დაგროვდა ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ამ გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას არაერთი კვლევა მიეძღვნა [6-15].

პრობლემის არსის გასარკვევად თავიდან ყურადღება ზოგიერთ თეორიულ საკითხზე შევახეროთ.

1. კომბინატორული წანამატის კონცეპცია

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევას. ამ უკანასკნელის უკეთ გააზრებისათვის მიზანშეწონილია ცნობილი ავსტრიელ-ამერიკელი ეკონომისტის, იოზეფ შუმპეტერის (Joseph Schumpeter) მიერ (წიგნში “ეკონომიკური განვითარების თეორია”) შემოთავაზებული ეკონომიკური განვითარების ინტერპრეტაციის გამოყენება. კერძოდ, შუმპეტერის თანახმად, ეკონომიკური განვითარება არის “ახალი კომბინაციების” განხორციელების პროცესი [16, გვ. 288; 17, გვ. 139]. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ახალი პროდუქციის და მომსახურების, ახალი წარმოების მეთოდების შექმნას, გასაღების ახალი ბაზრების და ნედლეულის ახალი წყაროების მოძიებას, წარმოების ახლებურ რეორგანიზებას [16, გვ. 159; 17, გვ. 66].

ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ თანამედროვე ტერმინოლოგიის მიხედვით ინოვაციის რეალიზაცია მხოლოდ რესურსების ინოვაციის სასარგებლოდ გადანაწილებას მოითხოვს. სინამდვილეში რეალობა ბევრად უფრო რთულია. კერძოდ, შუმპეტერი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ახალი კომბინაციები, როგორც წესი, წარმოიქმნება ძველი კომბინაციების გვერდით [16, გვ. 178].

მოყვანილი დებულება გარკვეული აზრით ეწინააღმდეგება იმავე შუმპეტერის სხვა ნაშრომში (კერძოდ, წიგნში “კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია”) შემოთავაზებული და განვი-

თარებულები ეკონომიკური დინამიკის თეორიას, რომლის მიხედვითაც, კაპიტალიზმის არსი არის “კრეატიული ნგრევის” პროცესი, ანუ ეკონომიკური მუტაციის პროცესი, რომელიც პრაქტიკულად უწყვეტად შიგნიდანვე ანგრევს ძველ სტრუქტურას და ქმნის ახალს [18, გვ. 127; 19, გვ. 83]. ამ წინააღმდეგობის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ კრეატიული ნგრევის პროცესის თანახმად ახალი კომბინაციები მხოლოდ ძველის ადგილს უნდა იკავებდნენ, მაშინ როცა თავად შუშპეტერი ზემოსხენებულ სხვა ნაშრომში (წიგნში “ეკონომიკური განვითარების თეორია”) არ გამოორიციხავს ახალი კომბინაციების შექმნას ძველისვე არსებობის პირობებში, როცა ახალი კომბინაციები იყენებენ პრინციპულად ახალ და არა ძველი კომბინაციების მიერ გამოყენებულ რესურსებს [20, გვ. 7-8].

როგორც წესი, ჭეშმარიტება სადღაც “შუაში” უნდა იყოს და ამ “შუის” არსი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი კომბინაციები და კრეატიული ნგრევის პროცესი ერთ სივრცეში, ერთმანეთის გვერდით მიმდინარეობენ, ანუ თანაარსებობენ. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა გარკვეულ ძველ კომბინაციებს კრეატიული ნგრევის შედეგად ჩაანაცვლებენ ახალი კომბინაციები, ხოლო სხვა ძველი კომბინაციები აგრძელებენ არსებობას და მათ არა იმდენად ანაცვლებენ, რამდენადაც მათ გვერდით იქმნებიან ახალი კომბინაციები.

თანამედროვე ეპოქაში, როცა წარმატებით ფუნქციონირებენ ეკონომიკის ისეთი ახალი სექტორები, როგორცაა კოსმოსის ათვისება, ატომური მრეწველობა და ელექტრონიკა, ახალი კომბინაციებისთვის, როგორც წესი, გამოუსადეგარიც კი არის ძველი კომბინაციების მიერ გამოყენებული რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი [21, გვ. 9].

აშკარაა, რომ ეკონომიკური სინამდვილის გათვალისწინებით ძველი და ახალი ტექნოლოგიები, არც თუ იშვიათად, როგორც ეს უკვე აღინიშნა ზემოთ, “თანაარსებობენ”, ანუ ერთდროულად არიან წარმოდგენილნი. ხშირ შემთხვევაში, ძველი და ახალი ტექნოლოგიების ეს “თანაარსებობა” იმითაცაა გარანტირებული, რომ ისინი ერთი და იმავე ქვეყნის სხვადასხვა დარგში (თუ ქვედარგში) არიან თავმოყრილნი, რაც უმთავრესად განპირობებულია განსხვავებული შინაარსის მატარებელი წარმოების საშუალებების

გამოყენებით, და რაც გამოწვეულია ამ საშუალებების ტექნიკური და ტექნოლოგიური ხასიათის არსებითი განსხვავებულობით.

საყურადღებოა, რომ ეკონომიკური კრიზისი, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარებას აფერხებს [21, გვ. 2], რაც სულაც არ არის გასაკვირი, რადგანაც ეკონომიკური კრიზისის პირობებში ყველაზე მეტად როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი მეცნიერება ზარალდება [21, გვ. 6]. სწორედ ამიტომ, პრინციპულად არ არის გამორიცხული ისეთი სიტუაცია, როცა კრიზისის დაძლევისთვის და პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ძველ კომბინაციებს ენიჭება [21, გვ. 9]. და ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ეკონომიკური კრიზისის პირობებში ახალი კომბინაციების რეალიზაციისათვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა ბევრად უფრო შეზღუდულია. შედეგად, ამ ვითარებაში, ახალი კომბინაციების რეალიზაცია სრულად თუ არ არის გამორიცხული, ძნელად მისაღწევი მაინც რჩება.

შუმპეტერისეული ეკონომიკური განვითარების თეორიის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს “კომბინატორული წანამატი” («комбинаторное наращение», “Combinatorial Augmentation”) კონცეპცია, რომლის თანახმადაც კომბინატორული წანამატი ეს არის ისეთი ახალი კომბინაცია, რომელსაც არ ესაჭიროება ძველი კომბინაციის რესურსები, რადგანაც ის თვისებრივად ახალ რესურსებს ეფუძნება [21-22].

კომბინატორული წანამატის პროცესის წახალისება სულაც არ უნდა ნიშნავდეს კრეატიული ნგრევის პროცესზე უარის თქმას, რადგანაც იქ, სადაც ეს შესაძლებელია ახალმა კომბინაციებმა ძველი აუცილებლად უნდა ჩაანაცვლოს.

მაშასადამე, შესაძლებლობის ფარგლებში ძველი ტექნოლოგიების ახლით ჩანაცვლების, ანუ კრეატიული ნგრევის პროცესის ხელშეწყობა, კომბინატორული წანამატის სტიმულირებასთან ერთად, უნდა გახდეს ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი.

თუ კი გავითვალისწინებთ ეკონომიკური ცვლილების ევოლუციური თეორიის რეკომენდაციებს [23], მაშინ სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების

სტიმულირების მიზნით, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს კომბინატორული წანამატის პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, კი უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც კრეატიული ნგრევის პროცესის განხორციელებას ხელოვნური შეფერხებები არ დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან აქტიური, კომპლექსური ღონისძიებების (განათლების სისტემის არსებითი გაუმჯობესება, ინოვაციური ტექნოლოგიების საბიუჯეტო სტიმულირება, გაკოტრების კანონმდებლობის სრულყოფა და სხვ.) გატარება [4-5].

2. დამწვევი ზრდის და აუტსაიდერული განვითარების მოდელის შესახებ

ევროკავშირში შემაჯავლი პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის, ამ კავშირის შედარებით ახალი წევრი-სახელმწიფოებისთვის, ისევე როგორც მთლიანად ევროკავშირისთვის, დამახასიათებელია ცოდნის ეკონომიკის დამკვიდრების გზით ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტაციის აღება, რაც “ლისაბონის სტრატეგიაშია” გაცხადებული [24, გვ. 14].

ახალ ტენოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარება თეორიაში “დამწვევი ზრდის” (catching up growth) მოდელის სახელწოდებითაა ცნობილი [25-26]. დამწვევი ზრდა კი თავის მხრივ ხელს უწყობს ეკონომიკურად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების დაახლოებას, კონვერგენციას (convergence) [27-28].

დამწვევი ზრდის მოდელი არ ნიშნავს ეკონომიკის უბრალოდ მკვეთრ ზრდას [29]. ამ მოდელის მიზანია ქვეყნის ისეთი განვითარება, როცა ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილი ქვეყანა ეკონომიკური განვითარების ღონით დაეწევა მოწინავე ქვეყნებს. ეს მოდელი ეფუძნება განვითარების საკუთარი რესურსების მოძიებას, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სისტემის პრინციპულ გაუმჯობესებას, სამეცნირო და საინჟინრო კვლევების ხელშეწყობას, რათა მაღალპროფესიონალმა კადრებმა არა მარტო და არა იმდენად ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიდან იმპორტირებული ტექნოლოგიების წარმატებით გამოყენება შეძლონ, არამედ ამ ტექნოლოგიების შექმნის პროცესში თავადაც აქტიურად ჩაერთონ.

დამწვევი ზრდის მოდელის საფუძველზე შესაბამისი ქვეყნები ავითარებენ ეკონომიკის ისეთ დარგებს, სადაც უფრო მეტი დამატებული ღირებულება იქმნება, რაც ხელს უწყობს ამ დარგებში შექმნილი პროდუქციის ექსპორტის გაფართოებას.

თეორიულად დამწვევი ზრდის მოდელის რეალიზაცია ყველაზე სწრაფად შუმპეტერისეული კრეატიული ნგრევის პროცესის გზითაა შესაძლებელი, თუმცა ამ შემთხვევაში დიდია წინააღმდეგობა ძველი კომბინაციების უკან მდგარი ძალების (უფრო კონკრეტულად, მათი მხარდამჭერი პოლიტიკური ძალების) მხრიდან.

კომბინატორული წანამატის პროცესის შემთხვევაში კი ასეთი წინააღმდეგობა ნაკლებია, რადგანაც ძველი და ახალი კომბინაციებს შეუძლიათ თანაარსებობა, რადგანაც ისინი ერთი და იმავე ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში (თუ ქვედარგში) არიან თავმოყრილნი. თავის მხრივ კი, ამ ძველი კომბინაციების კრეატიული ნგრევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მთავრობის მხრიდან კომბინატორული წანამატის პროცესის ხელშეწყობას, რადგანაც ამ შემთხვევაში ადგილი ექნება ზოგადად ეკონომიკის ზრდის შედარებით მაღალ ტემპებს, რაც, თავის მხრივ, ხელ შეუწყობს ძველი კომბინაციების საფუძველზე არსებული “ტენოლოგიური ხაფანგის” დაძლევას [30, გვ. 57].

დამწვევი ზრდის მოდელისგან პრინციპულად განსხვავებულია და “ჩამორჩენილი განვითარების”, ანუ “აუტსაიდერული განვითარების” (“falling behind”) მოდელი (მაგალითად, [31-34], რომელიც ხელს უწყობს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების არა კონვერგენციას, არამედ დაცილებას, დაივერგენციას (divergence).

როცა რომელიმე ქვეყნის საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაში დომინირებული ადგილი უკავია შრომატევადი (labour intensive) და რესურსტევადი დოვლათის (resource-based goods) წარმოებას, მაშინ სახეზეა ამ ქვეყნის ეკონომიკის აუტსაიდერული განვითარების ტენდენცია [32, გვ. 8].

ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია [35] იწვევს დამწვევი ზრდის ტემპების შენელებას და უარეს შემთხვევაში აუტსაიდერული განვითარების მოდელზე გადასვლას [36-37].

აუტსაიდერული განვითარების მოდელიდან დამწვევი ზრდის მოდელზე გადასასვლელად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება

ადამიანისეულ რესურსს (human resources). კერძოდ, განსკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ სპეციალისტებს, რომლებიც უნდა გახდნენ დამწვევი ზრდის უმთავრესი შემოქმედნი; მათ, როგორც წესი, განათლება მიღებული უნდა ჰქონდეთ საზღვარგარეთ, კერძოდ, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური ზრდა მაღალ ტექნოლოგიებს ეფუძნება [33]. მათი როლი დიდია ეროვნული საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემის ფორმირებასა და განვითარებაში, როცა ქვეყანას თავად შეეძლება საკუთარი რესურსებით დამწვევი ზრდის მოდელზე გადასვლა.

3. ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ინოვაციური სისტემების შესახებ

როგორც ცნობილია, ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს მიეკუთვნება: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი და ხორვატია. დღეს დამკვიდრებული ტერმინოლოგიით ამ ქვეყნების გეოგრაფიულ ერთობლიობას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას უწოდებენ. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე კი მთავარია არა მათი გეოგრაფიული მდებარეობა, რამდენადაც მათი წარმომავლობა, ბოლო პერიოდის ეკონომიკური წარსულის (იგულისხმება მბრძანებლური ეკონომიკა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა) გათვალისწინებით.

ხსენებული ქვეყნები მეტ-ნაკლებად სრულად არიან ინტეგრირებული ევროკავშირის ეკონომიკურ სისტემაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი უკვე ევროზონის წევრიცაა. ეს თავის მხრივ სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ თანამედროვე ეტაპზე როგორც ევროკავშირის ქვეყნები და ევროკავშირის ცალკეული რეგიონები ხასიათდებიან არათანაბარი განვითარებით [38-39].

თუ კი გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური, ანუ დამწვევი ზრდის მოდელით განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებას და გაფართოებას, აუცილებელია იმ ამოცდილების გააზრება, რომელიც ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს დაუგროვდათ ინოვაციური სისტემების შექმნის სფეროში.

დღეისთვის გაბატონებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებმა სრულად დაძლიეს კომუნისტური წარსულის მძიმე მემკვიდრეობა ნეკროეკონომიკის სახით, ხოლო რეტროეკონომიკა არ არის ეკონომიკის უმთავრესი მამოძრავებელი სექტორი. სიტუაცია, სინამდვილეში, ამ ქვეყნებში სულაც არ არის მარტივი.

ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე არსებითი ზეგავლენა იქონია ევროკავშირში შესავლელედ საჭირო მოსამზადებელმა პერიოდმა. კერძოდ, თითქმის ათწლიანი პერიოდის განმავლობაში მიზანმიმართულად მიმდინარეობდა ეკონომიკის რესტრუქტურისაცია, რომლის მიზანიც იყო საწარმოო დანახარჯების შემცირება და წარმოების თვისებრივი განახლება, რათა ის შესაბამისობაში ყოფილიყო ხარისხის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან (ISO – International Organization for Standardization) [40, გვ. 66]. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებისთვის ნეკროეკონომიკა, როგორც ასეთი, ძირითადად პრობლემა აღარ არის.

მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობაში, რომლებიც იმავდროულად იყვნენ “ვარშავის ხელშეკრულების” წევრი-სახელმწიფოები (სლოვენის და ხორვატიის გარდა), შექმნილი იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც უმთავრესად ორიენტირებული იყო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საჭიროებებზე. როცა ვსაუბრობთ ამ ქვეყნების სასტარტო ინოვაციურ პოტენციალზე, უწინარეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა და ინჟინერთა არსებობა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სამუშაოთა განხორციელებაში [41]. ამან, თავის მხრივ, ეს ქვეყნები განსაკუთრებით მიმზიდველი (უწინარეს ყოვლისა, აერო-კოსმიურ და ელექტრონულ მრეწველობაში, კავშირგაბმულობის საშუალებათა და რთულ ინსტრუმენტთა წარმოებასა, და ქიმიკო-ფარმაცევტულ დარგში [40, გვ. 66]) გახადა ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის ჯერ კიდევ მანამ, სანამ ეს ქვეყნები ევროკავშირში შევიდოდნენ. ამ მომენტს განსაკუთრებით უნდა ხაზგასმა, რადგანაც ევროკავშირში შესვლამდე ამ ქვეყნების შიგა

ბაზრები მათი სახელმწიფო საზღვრებით შემოიფარგლებოდა, რაც განაპირობებდა ამ ბაზრების შედარებით მცირე ზომებს.

თავის მხრივ კი, როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ქვეყნის შიგა ბაზრების მცირე ზომა, სხვა თანაბრ პირობებში, მნიშვნელოვნად ამცირებს ინვესტიციების ეკონომიკის რეალურ სექტორში განხორციელების მიმზიდველობას. ასევე ხაზი იმ გარემოებასაც უნდა გაესვას, შიგა ბაზრის მცირე ზომების გარდა, მოცემული პოსტკომუნისტური ქვეყნები უშუალოდ ესაზღვრებოდნენ ევროკავშირს, რაც გარკვეულად ზრდიდა ამ ქვეყნების მიმზიდველობას დასავლეთევროპელი ინვესტორებისთვის [42, გვ. 6].

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მარტო იმის იმედად ყოფნა, რომ ნეოლიბერალური და ნეოკლასიკური მოლოდინების პირობებში ევროკავშირის დიდ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია თავისთავად საკმარისი უნდა ყოფილიყო, რათა მომხდარიყო ევროკავშირში ინტეგრირებულ ქვეყნებში დამწვევი ზრდის მოდელზე გადასვლა – მცდარი აღმოჩნდა [34, გვ. 192].

საყურადღებოა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ხსენებულ მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა და ინჟინერთა დასავლეთევროპულ კოლეგებთან შედარებით დაბალი შრომის ანაზღაურება, როცა ნომინალური ხელფასის თანაფარდობა შრომის მწარმოებლურობასთან აშკარად იყო ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების სასარგებლოდ.

სწორედ ამ ქვეყნების ხსენებული სასტარტო ინოვაციური პოტენციალით გამოწვეული საინვესტიციო მიმზიდველობა იყო ის უმთავრესი ფაქტორი, რამაც გადაწონა ამ ქვეყნების შიგა ბაზრების მცირე ზომით განპირობებული პრობლემები. ამ გარეობამ ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები აქცია არა უმთავრესად მომხმარებელ, არამედ უმთავრესად მწარმოებელ ქვეყნებად.

ევროკავშირის ამ ქვეყნების (კერძოდ, პოლონეთში, სლოვაკეთსა და ჩეხეთში, განსაკუთრებით კი უნგრეთში) ეკონომიკაში ძალზედ მნიშვნელოვანია დასავლეთევროპული კაპიტალის მონაწილეობა [40, გვ. 69]. ამ კაპიტალის მოზიდვა კი შესაძლებელი გახდა უმთავრესად სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის გზით. ამ პროცესს ასევე შესაბამისმა საგადასახადო შეღავათებმაც შეუწყო ხელი.

შედგებად, ევროკავშირის პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა შეძლეს მეტ-ნაკლებად სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა და საექსპორტო პოტენციალის გაფართოება. იმავედროულად, პრაქტიკულად შეუძლებელია იმაზე საუბარი, რომ ამ ქვეყნებმა ასევე შეძლეს საკუთარი ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნა, რადგანაც მბრძანებლური ეკონომიკიდან მემკვიდრეობით მიღებული ინოვაციური პოტენციალი ფაქტობრივად “ათვისებულ” იქნა ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ საკუთარი და არა შესაბამისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე [40, გვ. 66].

ტრანსნაციონალური კორპორაციების დომინირების პირობებში, ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნისთვის ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს სულ უფრო ნაკლები რესურსი დარჩა (თუ კი საერთოდ დარჩა), რის გამოც ეს ქვეყნები ეკონომიკურად და ტექნოლოგიურადაც განვითარებულ (მათ შორის, დასავლეთევროპულ) ქვეყნებზე არიან სრულად დამოკიდებულნი [40, გვ. 66]. ცნობილი ფაქტია, რომ მცირე რაოდენობის რესურსების პირობებში ინოვაციურ საქმიანობაში წარმატების მიღწევის ალბათობა ძალზედ დაბალია, რის დასტურად ისიც გამოდგება, რომ, მაგალითად, აშშ-ში ინოვაციური საქმიანობის წარუმატებლობის დონე 90 პროცენტითაა შეფასებული [43, გვ. 82].

დასავლეთევროპულ ქვეყნების უმრავლესობაში მიმდინარე კომბინატორული წანამატის პროცესის შედეგად, ამ ქვეყნებისთვის აშკარად პრიორიტეტულად იქცა მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ფირმების განვითარების ხელშეწყობა და ტრადიციულ ე.წ. “დაბალ” ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოების ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გადატანა. სხვა სიტყვებით, თუ კომბინატორული წანამატის პროცესისთვის ზოგადად დამახასიათებელია ძველი და ახალი კომბინაციების თანაარსებობა სხვადასხვა დარგებსა თუ ქვედარგებში, ევროკავშირის ერთიანი ეკონომიკური სივრცის პირობებში ძველი კომბინაციების გადატანა უმთავრესად მოხდა ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მაშინ როცა დასავლეთევროპულ ქვეყნებში გამოკვეთილად პრიორიტეტული უმთავრესად მაღალ ტექნოლოგიებზე ორიენტაციის ადგება გახდა. ხოლო მაღალი ტექნოლოგიები, როგორც ცნობილია, ეკონომიკური განვითარების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია [44].

შედგებად, ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განხორციელებული გამოყენებითი კვლევები უმთავრესად დასავლეთევროპულ ქვეყნებში შექმნილი ტექნოლოგიების ადაპტაციაზეა ორიენტირებული. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ არსებული მაღალკვალიფიციური მეცნიერების და ინჟინრების ბევრად უფრო მაღალი ანაზღაურების ძიებისათვის მათ მიგრაციას დასავლეთევროპულ ქვეყნებსა, თუ აშშ-ში.

გარდა ამისა დასავლეთევროპულ ქვეყნებში შექმნილი ტექნოლოგიების უკეთ ადაპტაციისათვის ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნები სულ უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებულნი დასავლეთევროპული ნედლეულისა და დანადგარების იმპორტზე.

ამ მომენტების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკაში მკაფიოდ იკვეთება რეტროეკონომიკის ფენომენი.

სამწუხარო ფაქტია, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეროვნული ინოვაციური სისტემები სუსტადაა განვითარებული [40], რის გამოც ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია არა იმდენად დამწვევი ზრდის, რამდენადაც აუტსაიდერული განვითარების მოდელი, როცა ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება ტექნოლოგიურად აშკარად ჩამორჩება დასავლეთევროპული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სტანდარტებს.

დასკვნა

ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევა მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის პრიორიტეტულ ამოცანათა ჯგუფს განეკუთვნება. ამ პრობლემის არსის გახსნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შუამპეტერისეულ ეკონომიკური განვითარების თეორიას, კერძოდ ძველი კომბინაციების ახლით ჩანაცვლების მექანიზმს. ასევე ყურადსაღებია მისივე კრეატიული ნგრევის თეორია.

პრაქტიკიდან გამომდინარე ფაქტია, რომ, არც თუ იშვიათად, ძველი და ახალი ტექნოლოგიები ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა თუ ქვედარგში ერთდროულად არიან წარმოდგენილნი.

თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით შუამპეტერისეული ეკონომიკური განვითარების თეორიის გაგრძელებას “კომბი-

ნატორული წანამატის” კონცეპცია წარმოადგენს. მის თანახმად არსებობს ისეთი ახალი კომბინაციები, რომლებისთვისაც ძველი კომბინაციის რესურსები გამოუსადეგარია, რადგანაც ისინი თვისებრივად ახალი რესურსების გამოყენებას საჭიროებენ.

ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები, ისევე როგორც მთლიანად ევროკავშირი, მონაწილეობენ “ლისაბონის სტრატეგიის” განხორციელებაში, რომლის მიზანიცაა ცოდნის ეკონომიკის შექმნა. ამ სტრატეგიის განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს “დამწვეი ზრდის” მოდელის გამოყენებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკურად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების კონვერგენცია.

“აუტსაიდერული განვითარების” მოდელი კი პირიქით – ხელს უწყობს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების დაივერგენციას, რადგანაც ამ მოდელის შემთხვევაში საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაში დომინირებული ადგილი უკავია შრომატევადი და რესურსტევადი დოვლათის წარმოებას.

ადამიანისული რესურსის როლი გადამწყვეტია აუტსაიდერული განვითარების მოდელიდან დამწვეი ზრდის მოდელზე გადასასვლელად.

ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა ევროკავშირში გასაწვერიანებლად საჭირო მოსამზადებელ თითქმის ათწლიან პერიოდს, რომელიც დაეთმო ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას საწარმოო დანახარჯების შემცირებისა და წარმოების თვისებრივი განახლების მიზნით.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული ევროკავშირისთვის ხელსაყრელი იყო გეოგრაფიულად უშუალოდ მომიჯნავე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ინვესტიციების განხორციელება. კერძოდ, ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის ხელსაყრელი იყო მოცემული ქვეყნების მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა და ინჟინერთა დასავლეთევროპელ კოლეგებთან შედარებით დაბალი შრომის ანაზღაურება. ამ გზით შესაძლებელი გახდა ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მეტ-ნაკლებად სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა და საექსპორტო პოტენციალის გაფართოება.

სამწუხაროდ, ამ ქვეყნებმა ვერ შეძლეს საკუთარი ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნა, რადგანაც მბრძანებლური ეკონო-

მიკიდან მემკვიდრეობით მიღებული ინოვაციური პოტენციალი ტრანსნაციონალური კორპორაციებმა აითვისეს მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

კომბინატორული წანამატის პროცესმა ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განსაკუთრებული სპეციფიკით იჩინა თავი, როცა ძველი და ახალი ტექნოლოგიები არა უბრალოდ სხვადასხვა დარგსა თუ ქვედარგში “თანაარსებობენ”, არამედ გეოგრაფიულადაც დაშორდნენ ერთმანეთს: ახალი ტექნოლოგიები უმთავრესად დასავლეთევროპულ ქვეყნებში იქნა კონცენტრირებული, მაშინ როცა ძველი ტექნოლოგიები უმთავრესად ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ხვედრად გადაიქცა.

შედგავს, ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების დამოკიდებულება დასავლეთევროპულ ქვეყნებიდან ნედლეულისა და, განსაკუთრებით, დანადგარების იმპორტზე იზრდება. აშკარაა, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკა ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის საკმაოდ კარგი პოლიგონია რეტროეკონომიკის შესანარჩუნებლად კომბინატორული წანამატის პროცესის განსახორციელებლად.

ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებისთვის უმთავრესად დამახასიათებელია არა იმდენად დამწვევი ზრდის, რამდენადაც აუტსაიდერული განვითარების მოდელი, რაც არის იმის შედეგი, რომ, სამწუხაროდ, ამ ქვეყნებში ეროვნული ინოვაციური სისტემები სუსტადაა განვითარებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Papava V. “Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy.” *International Journal of Social Economics*, 2002, Vol. 29, No. 9-10.
2. Папава В. «Некроекономика – феномен посткоммунистического переходного периода». *Общество и экономика*, 2001, № 5.
3. Papava V. *Technological Backwardness – Global Reality and Expected Challenges for the World’s Economy*. Tbilisi: GFSIS, Expert Opinion, No. 70, 2016, <<https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/70-expert-opinion-eng.pdf>>.
4. Papava V. “Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy.” *Journal of Reviews on Global Economics*, 2017, Vol. 6, <<http://www.lifescienceglobal.com/independent-journals/journal-of-reviews->

on-global-economics/volume-6/85-abstract/jrge/2929-abstract-retro-economics-moving-from-dying-to-brisk-economy>.

5. Папава В. «О ретроэкономике». *Вопросы экономики*, 2017, № 10.

6. Burduli V., Abesadze R. “Experience of Transformation of National Innovation Systems in Developed Countries and Directions of its Use in Georgia.” *International Journal of New Economics and Social Sciences*, 2017, № 1 (5), <https://drive.google.com/file/d/1gGG8X8JAYL81whVD3focYjGBhGv_-FnW/view>.

7. Berulava G., Gogokhia T. “On the Role of In-House R&D and External Knowledge Acquisition in Firm’s Choice for Innovation Strategy: Evidence from Transition Economies.” *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 2016, Vol. 10, No. 3.

8. აბესაძე რ. “ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა”. წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IX*. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016, <http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/2016_Shromebis_krebuli.pdf>.

9. ჯავახიშვილი რ. “უნგრეთის ინოვაციური პოლიტიკა და მისი განხორციელების ინსტრუმენტები”. წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IX*. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016, <http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/2016_Shromebis_krebuli.pdf>.

10. ბურდული ვ. “დარგობრივი სტრუქტურული (სამრეწველო) პოლიტიკა, საწარმოების პოლიტიკა და მათი ფინანსური უზრუნველყოფის პრინციპები ევროინტეგრაციის პირობებში”. წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IX*. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016, <http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/2016_Shromebis_krebuli.pdf>.

11. ლაზარაშვილი თ., მელაშვილი მ. “ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკის ფინანსური ბერკეტები”. წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრე-*

ბული IX. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016,

<http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/2016_Shr_omebis_krebuli.pdf>.

12. თეთრაული ც. “სორვატიის ინოვაციური პოლიტიკა”. წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IX*. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016,

<http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/2016_Shr_omebis_krebuli.pdf>.

13. მელაშვილი მ. “ჩეხეთის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკა”. წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IX*. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016,

<http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/2016_Shr_omebis_krebuli.pdf>.

14. სიგუა გ. “ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ძირითადი ტენდენციები ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში”. წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IX*. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016,

<http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/2016_Shr_omebis_krebuli.pdf>.

15. Давлашеридзе Н. «Обеспечение инновационной политики государственными институтами и программами в Польше». წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IX*. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016,

<http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/2016_Shr_omebis_krebuli.pdf>.

16. Шумпетер Й. *Теория экономического развития (Исследование предпринимательской прибыли, капитала, процента и цикла конъюнктуры)*. Москва: Прогресс, 1982.

17. Schumpeter J. A. *The Theory of Economic Development (An Inquiry into Profits, Capital, Credit, Interest, and the Business Cycle)*. New Brunswick: Transaction Publishers, 2012.

18. Шумпетер Й. *Капитализм, социализм и демократия*. Москва: Экономика, 1995.

19. Schumpeter J. A. *Capitalism, Socialism, and Democracy*. New York: Harper Perennial Modern Thought, 2008.

20. Татаркин А. И., Сухарев О. С., Стрижакова Е. Н. «Шумпетерианская экономическая теория промышленной политики: влияние технологической структуры». *Журнал экономической теории*, 2017, № 2, <<http://www.uiec.ru/content/zhurnal2017/JET/02i2017i01iSuharev.pdf>>.

21. Сухарев О. С. «Новые комбинации в экономике и принцип комбинаторного наращения». *Экономический анализ: теория и практика*, 2013, № 25 (328), <<https://cyberleninka.ru/article/n/novye-kombinatsii-v-ekonomike-i-printsip-kombinatornogo-narascheniya>>.

22. Сухарев О. С. «Технологическое развитие и модель эффекта «комбинаторного наращения» (инновационный тип экономического роста и поведение агентов)». В кн.: *Шумпетеровские чтения. Schumpeterian Readings. Материалы 4-й Международной научно-практической конференции The Fourth International Scientific Research Conference Proceedings*. Пермь: Издательство Пермского национального исследовательского политехнического университета, 2014, <<http://www.sr.pstu.ru/files/SchumpeterianReadings2014.pdf>>.

23. Nelson R. R., Winter S. G. *An Evolutionary Theory of Economic Change*. Cambridge: Belknap Press of Harvard University Press, 1982.

24. Мешайкина Е. «Управление инновационными процессами на предприятии». В кн.: *Инновации в экономике: Текущие научные проблемы Восточной Европы*. Под ред. Э. Милош. Lublin: Politechnika Lubelska, 2013, <<http://bc.pollub.pl/Content/6014/innowacje-ros.pdf>>.

25. Abramovitz M. “Catching Up, Forging Ahead, and Falling Behind.” *The Journal of Economic History*, 1986, Vol. 46, No. 2, <<http://sites-fi-nal.uclouvain.be/econ/DW/DOCTORALWS2004/bruno/adoption/abramovitz.pdf>>.

26. Matthews J. “Catch-Up Strategies and the Latecomer Effect in Industrial Development.” *New Political Economy*. 2006, Vol. 11, Issue 3.

27. Korotayev A., Zinkina J., Bogevolnov J., Malkov A. “Global Unconditional Convergence among Larger Economies after 1998?” *Journal of Globalization Studies*, 2011, Vol. 2 No. 2, <http://cliodynamics.ru/download/Korotayev_et_al_JGS_2_2011.pdf>.

28. Lim L. K., McAleer M. 2004. "Convergence and Catching Up in ASEAN: A Comparative Analysis." *Applied Economics*, 2004, No. 36, Issue 2.

29. Papava V. "The Catch-Up Effect and Regional Comparisons of Growth Indicators (With the Eastern Partnership Countries as an Example)." *Problems of Economic Transition*, 2014, Vol. 57, No. 3.

30. Балацкий Е. В. «Институциональные и технологические ловушки». *Журнал экономической теории*, 2012, № 2.

31. Record R., Kumar P., Kandoole P. *From Falling Behind to Catching Up: A Country Economic Memorandum for Malawi*. Washington, DC: The World Bank, 2018,
<<https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/28683/9781464811944.pdf?sequence=2&isAllowed=y>>.

32. Nassif A., Feijó C., Araújo E. *Structural Change and Economic Development: Is Brazil Catching Up or Falling Behind?* UNCTAD Discussion Papers No. 211 October 2013,
<http://unctad.org/en/PublicationsLibrary/osgdp20131_en.pdf>.

33. Kim J. *Catching-up and Falling-behind in Economic Development: A Human Capital Approach*. Discussion Paper Series No. 07-07. Seoul: Institute of Economic Research, Korea University, 2007, April,
<<http://econ.korea.ac.kr/~ri/WorkingPapers/w0707.pdf>>.

34. Dunford M., Smith A. "Catching Up or Falling Behind? Economic Performance and Regional Trajectories in the "New Europe"." *Economic Geography*, Vol. 76, No.2, 2000.

35. Rowthorn R. E., Wells J. R. *De-Industrialization and Foreign Trade*. Cambridge: Cambridge University Press, 1987.

36. Palma, G. "Four Sources of 'De-Industrialization' and a New Concept of Dutch Disease." In *Beyond Reforms: Structural Dynamics and Macroeconomic Vulnerability*. Ed. by J. A. Ocampo. Stanford, CA: Stanford University Press and World Bank, 2005.

37. Rowthorn R., Ramaswamy R. "Growth, Trade and De-Industrialization." *IMF Staff Papers*, 1999, Vol. 46, No. 1,
<<http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.198.8676&rep=rep1&type=pdf>>.

38. Григорьев Л., Голяшев А., Павлюшина В., Бриллиантова В. *Неравномерность развития стран Евросоюза в 2000-х годах*. Бюллетень о текущих тенденциях мировой экономики 26, ноябрь. Москва: Аналитический центр при Правительстве Российской Федерации, 2017,

<<http://ac.gov.ru/files/publication/a/15555.pdf>>.

39. Григорьев Л., Голяшев А., Павлюшина В., Бриллиантова В. *Динамика развития регионов Евросоюза*. Бюллетень о текущих тенденциях мировой экономики 27, декабрь. Москва: Аналитический центр при Правительстве Российской Федерации, 2017.

40. Власкин Г. А., Ленчук Е. Б. «Инновационное измерение промышленной политики стран Центральной и Восточной Европы». *Инновации*, 2005, № 3 (80).

41. Абухович Ю. К. «Инновационная политика в странах Восточной Европы: Проблемы и перспективы». *Труд. Профсоюзы. Общество*, 2011, № 2.

42. Shah S. *Innovation Strategies in Central Europe: A Corporate Perspective*. Centre for the Study of Economic and Social Change in Europe Working Paper No. 18. London: SSEES, UCL, 2002, <<http://discovery.ucl.ac.uk/17561/>>.

43. Миндели Л. «Опыт промышленно развитых стран в регулировании инновационных процессов». В кн.: *Инновации и экономический рост*. Под ред. К. Миккульского. Москва: Наука, 2002.

44. Abesadze R. “High Technologies – the Most Important Factor of Economic Development.” In *Meandry współpracy sieciowej w Europie środkowej i wschodniej*. Ed. by S. Partycki. Lublin: Wydawnictwo KUL, 2014.

Vladimer Papava

**EXPERIENCE OF INNOVATION SYSTEMS OF
THE POST-COMMUNIST COUNTRIES
IN OVERCOMING TECHNOLOGICAL BACKWARDNESS**

Summary

The goal of the research is to analyse the experience of innovative systems of the EU post-Communist countries in overcoming technological backwardness. The paper is based on the Schumpeterian theory of economic development. The concept of Combinatorial Augmentation is used for better understanding the current situation in the innovation systems of these countries. The main conclusion is that EU post-Communist countries do not have national innovative systems because of the combinatorial augmentation in the Western countries of the EU.

პრობლემა 2.

აღფრედ კურატაშვილი ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლები

ანოტაცია. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ადამიანის უფლებების დაცვაზე და ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე მიმართული ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლები.

კერძოდ, დასაბუთებულია აღნიშნული საფუძვლების პრინციპული მნიშვნელობა ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

თემის აქტუალობა.

ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლების კვლევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

ევროპის კავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლების კვლევის განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ტრადიციული შეხედულებებისგან განსხვავებით, ეკონომიკას მართავს არა ეკონომიკა, არამედ მართავს მას პოლიტიკა, სათანადო სამართლებრივი საფუძვლების გამოყენებით.

სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მართვის სამართლებრივი საფუძვლების კვლევის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება თანამედროვე მსოფლიოში არსებული კრიზისების, პრობლემებისა და ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში.

სწორედ ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის პრინციპულად ახალი გზებისა და მექანიზმების ძიების აუცილებლობით არის განპირობებული ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლების კვლევის აქტუალობა.

პრობლემის კვლევის მიზანი და ამოცანები.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია ადამიანის უფლებების დაცვაზე და ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე მიმართული ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლების იმ პრინციპული მნიშვნელობის იურიდიული ნორმების დანერგვა საერთაშორისო მასშტაბით, რომელი ნორმების გამოყენების გარეშეც შეუძლებელი და წარმოუდგენელია ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა.

კერძოდ, შეუძლებელი და წარმოუდგენელია ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხალხის ინტერესების რეალიზაციის პრობლემების გადაჭრა და, შესაბამისად, ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა ისეთ ფუძემდებლურ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობის გარეშე, რომლებიც ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (დამტკიცებულია და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი).

რაც შეეხება სამეცნიერო ნაშრომის ამოცანას, აღნიშნულ ამოცანას წარმოადგენს ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლების, როგორც ადამიანის უფლებების დაცვაზე და ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე მიმართული იურიდიული ბაზისის, კერძოდ კი, იმ პრინციპული მნიშვნელობის სამართლებრივი ნორმების გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება, რომელი ნორმების გამოყენების გარეშეც მიუღწეველი იქნება ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვაზე და ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე მიმართული ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლების იმ პრინციპული მნიშვნელობის იურიდიული ნორმების საერთაშორისო მასშტაბით დანერგვის აუცილებლობის

დასაბუთება, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში, რომლებთან შესაბამისობაშიც მოყვანილი უნდა იქნეს სახელმწიფოთა კონსტიტუციები და მთლიანად ეროვნული კანონმდებლობები, და რომელი ნორმების გამოყენების გარეშეც შეუძლებელი და წარმოუდგენელია ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა.

* * *

ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლების კვლევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, ანუ იმ საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, რომელიც ხალხის – ყოველი ადამიანის – ინტერესებს ემსახურება.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებების დაცვაზე და ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე მიმართული ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლების იმ პრინციპული მნიშვნელობის იურიდიული ნორმების დანერგვას საერთაშორისო მასშტაბით, რომელი ნორმების გამოყენების გარეშეც შეუძლებელი და წარმოუდგენელია ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა.

აღნიშნული სამართლებრივი ნორმებიდან, ყურადღება უნდა გამახვილდეს, *უპირველეს ყოვლისა*, იმ ნორმებზე, რომლებიც მიმართულია ყოველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხალხის ინტერესების რეალიზაციის პრობლემების გადაჭრაზე, რომლებიც ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში [1] და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში [2], და რომელ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობის გარეშეც შეუძლებელი და წარმოუდგენელია ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიო-

ბის სოციალურად – *ჰუმანოსოციალურად* – გამიზნული ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლის თანახმად:

“ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ.

ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან” [1].

ხოლო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის – დისკრიმინაციის აკრძალვა – თანახმად:

“ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა” [2].

ამრიგად, ყოველი ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ნორმა, რომლის გარეშეც არ არსებობს და ვერ იარსებებს სამართლიანობა, და რომლის არარსებობა წარმოადგენს სახელმწიფოში დისკრიმინაციის რეალური და პოტენციალური არსებობის უდავო მაჩვენებელს, ასახულია საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, რომლებიც წარმოადგენს ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს, და რომლებითაც ხელმძღვანელობენ ევროკავშირის სახელმწიფოები.

კანონის წინაშე ყოველი ადამიანის თანასწორობა, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ნორმა, ასახულია ასევე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში.

კერძოდ, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის (და არა მარტო საქართველოს კონსტიტუციის) თანახმად:

“ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა,

სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა” [3, მუხლი 14].

მიუხედავად იმისა, რომ კანონის წინაშე ყოველი ადამიანის თანასწორობა აღიარებულია საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში და სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, აღნიშნული პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში მეტად აქტუალურია.

კანონის წინაშე ყოველი ადამიანის თანასწორობის პრობლემის გადაჭრის მნიშვნელობას განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება იმასთან დაკავშირებით, რომ არცთუ იშვიათად სახელმწიფოებში ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” ნორმატიული აქტების არსებობას, *მათ შორის*, სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, რომლებიც წინააღმდეგობაშია კანონის წინაშე ყოველი ადამიანის თანასწორობასთან, და, შესაბამისად, სამართლიანობასთან, და რომლებიც იწვევს მილიონობით ადამიანების დისკრიმინაციას (?!).

ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის მეცნიერულ საფუძველს – ადამიანის ინტერესების დაცვის, და აგრეთვე მთლიანად საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად მეცნიერულ მიმართულებას და აუცილებელ ინტელექტუალურ საფუძველს, – *როგორც მე ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ აღვნიშნავდი*, – წარმოადგენს ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია [4].

აღნიშნული თეორიის დანერგვა წარმოადგენს ჩემს მიერვე შექმნილი სოციალური მიზნის ფილოსოფიისა [5] და ხალხის ინტერესების უზენაესობის პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიის [6] პრაქტიკული განხორციელების აუცილებელ თეორიულ საფუძველს.

პრინციპულად მნიშვნელოვანია აქ გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ ზემოაღნიშნული პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიების სამართლებრივ სისტემაში დანერგვის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის უფლებების დაცვისა და ხალხის ინტერესების რეალიზაციის ეფექტიანი სამართლებრივი უზრუნველყოფა, და, შესაბამისად, ეკონომიკის, საზოგადოების,

სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა.

უპირველეს ყოვლისა, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის მოთხოვნები უნდა აისახოს სახელმწიფოთა კონსტიტუციებში – იმისათვის, რათა გადაილახოს წინააღმდეგობა, *მაგალითად*, პარლამენტის წევრთა (საკანონმდებლო ხელისუფლების წევრთა) უფლებებსა – მიიღონ კანონები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, და მათი პასუხისმგებლობის მექანიზმის არარსებობას შორის, მათ მიერ ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებების – ანტიკონსტიტუციური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მიღებაზე, *რაც იწვევს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას, ხოლო ზოგჯერ იწვევს, როგორც ცალკეული ადამიანების, ისე თითქმის მთელი ხალხის ძარცვასაც კი* (პარლამენტის წევრთა პასუხისმგებლობასთან და საქართველოს კონსტიტუციაში შესატან შესაბამის ცვლილებებთან დაკავშირებით ჩემი კონკრეტული წინადადებები იხილეთ: [4, გვ. 131-142]).

თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის აქტუალობა და მისი პრაქტიკაში განხორციელების აუცილებლობა კიდევ უფრო იზრდება იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფოთა კონსტიტუციებით “დაკანონებულია” ადამიანების უთანასწორობა კანონის წინაშე, მაშინ როდესაც საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციების თანახმად საყოველთაოდ აღიარებულია ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე [1, მუხლი 7; 3, მუხლი 14].

კერძოდ, მაშინ როდესაც ყოველი ადამიანი, *რომელიც თანამდებობის პირი არ არის*, პასუხს აგებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაზე, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს, *მაგალითად*, პარლამენტის წევრებს, რომლებიც ხმას აძლევენ ანტიკონსტიტუციური – ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების შემლახავი კანონების მიღებას, *რაც მათ მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების აშკარა გადამეტებას, სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და სისხ-*

ლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს [7, მუხლი 332, 333], არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ (?).

* * *

რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, უნდა ითქვას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები ზოგიერთ შემთხვევაში აღასრულებენ კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებულ” კანონებს და სხვა სამართლებრივ აქტებს, ხოლო ზოგჯერ თვითონაც არიან ანტიკონსტიტუციური, სრულიად უსამართლო “სამართლებრივი” აქტების შექმნის ინიციატორები, შემქმნელები და აღმსრულებლები, რითაც ილახება ადამიანების უფლებები და თავისუფლებები, თუმცა თავის ქმედებაზე ამ შემთხვევაშიც პასუხს არავინ არ აგებს, რამეთუ ამაზე პასუხი არავის არ მოეთხოვება (?).

ამრიგად, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის მოთხოვნათა შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ ასევე უნდა შემუშავდეს და დაინერგოს სამართლებრივი მექანიზმები, რათა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც დაეკისროთ სრული იურიდიული პასუხისმგებლობა თავისი მოღვაწეობის შედეგებზე – პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნება მათ უფლებებთან და მოვალეობებთან [4].

თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, იაპონიის კონსტიტუციის თანახმად (თავი 3, მუხლი 15): „ყველა საჯარო თანამდებობის პირი არის მთელი საზოგადოების, და არა მისი რომელიმე ნაწილის მსახური“ [8, გვ. 329].

ამასთან, ცხადია, რომ ეს იაპონელების აღმოჩენა კი არ არის, არამედ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რამეთუ სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირები ნებისმიერ ქვეყანაში უნდა იყვნენ თავისი ხალხის – მთელი საზოგადოების – მსახურნი, თუმცა პრაქტიკაში ამის განხორციელება ყოველთვის არ ხდება, რაც მწვავე სოციალურ და პოლიტიკურ-სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს.

კერძოდ, როდესაც თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციებით “დაკანონებულია” ადამიანების უთანასწორობა კანონის წინაშე,

როდესაც კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – ქმედებების (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და ა.შ.) შემთხვევაში სახელმწიფოებრივ თანამდებობრივ პირებს “კონსტიტუციური” ეგრეთ წოდებული “კრიშა” იცავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, აშკარაა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არის არა ხალხის – არა მთელი საზოგადოების მსახური, არამედ ის არის სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების, ანუ მხოლოდ თავისი თავის მსახური, რაც ხალხის – ადამიანების – დიდი უმრავლესობის დისკრიმინაციის უდავო ფაქტს წარმოადგენს (!!).

* * *

სამართლიანობისა და ხალხის ინტერესების უზენაესობის დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს სასამართლო ხელისუფლებამ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეს, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებრივ თანამდებობრივ პირებს, აუცილებლად უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა მის მიერ თავისი უფლებების გამოყენებაზე – სასამართლო ხელისუფლება პასუხს უნდა აგებდეს თავისი მოღვაწეობის შედეგებზე, ის პასუხს უნდა აგებდეს თავის დანაშაულებრივ ქმედებებზე – მის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომლის არაერთი ფაქტიც არსებობს, და რაც მოსამართლის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების აშკარა გადამეტებას და მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ანუ მოსამართლის მხრიდან სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს, რაზედაც მას პასუხი საერთოდ არ მოეთხოვება (!!).

სასამართლო ხელისუფლების – მოსამართლის – უფლებებთან დაბალანსებული მისი შესაბამისი პასუხისმგებლობის არარსებობის ერთ-ერთ აშკარა მაგალითს წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტი, რომ თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს, რომელსაც, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს, უფლება აქვს და ვალდებულიც არის, რომ მიიღოს (გამოიტანოს) მხოლოდ კანონ-

ნიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება, მაგრამ ზოგჯერ ეს მოსამართლე იღებს აშკარად კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, რაც მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების უდავო ფაქტს წარმოადგენს, რომელიც ლახავს ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებს და კანონიერ ინტერესებს, და რაც არცთუ იშვიათად შემდგომში დასტურდება ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებით, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების უდავო მაგალითს წარმოადგენს (?).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ამისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა, რადგან „მიჩნეულია“ და კანონსაწინააღმდეგოდ „ითვლება“, რომ თითქოსდა მოსამართლეს „შეცდომის“ დაშვების (ფაქტობრივად კი, თითქოს დანაშაულის ჩადენის) უფლება აქვს, რასაც თითქოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლო „გამოასწორებს“ (?).

უფრო მეტიც, ზოგიერთ სასამართლოში “მიაჩნიათ”, რომ თითქოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლო სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ქვედგომი ინსტანციის სასამართლოს „შეცდომები“, ფაქტობრივად კი, დანაშაულებრივი ქმედებები „გამოასწოროს“ (?).

ამასთანავე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს და ზოგჯერ ნამდვილად ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებას სააპელაციო (მეორე ინსტანციის) სასამართლოში, და აგრეთვე საკასაციო (მესამე ინსტანციის) სასამართლოში.

თუმცა, სამწუხაროდ, ამ შემთხვევებშიც არავის – იმ მოსამართლეთაგან, რომლებიც ღებულობენ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს, რაც სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების აშკარა გადამეტებას და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს, არ ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ანუ არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნებოდა მათ უფლებებთან და მოვალეობებთან – მიიღონ მხოლოდ კანონიერი, სამართლიანი გადაწყვეტილებები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აქ ის გარემოება, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფაქტობრივად წარმოადგენს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღების აღიარებას, რაც უნდა კვალიფიცირდებოდეს სწორედ როგორც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტება, როგორც მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, და, შესაბამისად, როგორც ამ მოსამართლის მიერ დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღება, რაც უნდა წარმოადგენდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლისათვის ბრალდების წაყენების საფუძველს და ფაქტობრივად უნდა წარმოადგენდეს საბრალდებო დასკვნასაც კი.

ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება უნდა კვალიფიცირდებოდეს როგორც ამ სახელმწიფოს ყველა ინსტანციის სასამართლოს კონკრეტული მოსამართლეების მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტება, სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, და, შესაბამისად, როგორც ამ კონკრეტულ საქმეზე მათ მიერ დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა ამ შემთხვევაშიც არცერთ მოსამართლეს არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (?!).

უფრო მეტიც, განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა კონსტიტუციები ფაქტობრივად ასრულებენ თვითონ კონსტიტუციის არსის, პრინციპებისა და დანიშნულების საწინააღმდეგოდ “დაკანონებული” ეგრეთ წოდებული “კრიშის” ფუნქციას მოსამართლეთათვის, რამეთუ სახელმწიფოთა კონსტიტუციებით ფაქტობრივად “დაკანონებულია” მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება – „დაკანონებულია” მოსამართლეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის დაუშვებლობა, რაც ათავისუფლებს მოსამართლეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან კა-

ნონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში (?!).

რას ნიშნავს ეს, თუ არა კრიმინალ მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სახელმწიფოთა კონსტიტუციებით “დაკანონებას”?!

აბა რას ნიშნავს ეს, თუ არა მოსამართლეთა დანაშაულებრივი ქმედებებისათვის მათ პასუხისმგებლობაზე სახელმწიფოთა კონსტიტუციებით “დაკანონებულ” “იმუნიტეტს” და ამით მრავალი სხვა ადამიანის დისკრიმინაციას?!

რას ნიშნავს ეს, თუ არა კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობის „დაკანონებას”, როდესაც დაუშვებელია – როდესაც კონსტიტუციით აკრძალულია – მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა?!

ნუთუ შესაძლებელია, რომ სამართლებრივი საფუძველი გააჩნდეს სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირის (*თანამდებობის პირების*) დანაშაულებრივ ქმედებაზე (*დანაშაულებრივ ქმედებებზე*) კონსტიტუციურად “დაკანონებული” “იმუნიტეტის” არსებობას?!

ნუთუ სახელმწიფოს კონსტიტუციით (*სახელმწიფოთა კონსტიტუციებით*) სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების დანაშაულებრივ ქმედებებზე “დაკანონებული” “იმუნიტეტის” არსებობა, და ამით მილიონობით ადამიანების დისკრიმინაცია, არ არის “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის” (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი) მე-14 მუხლით გათვალისწინებული – “დისკრიმინაციის აკრძალვის” [2] საწინააღმდეგო ქმედება სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან?!

ნუთუ ეს არის ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, როდესაც სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირებს გააჩნიათ “იმუნიტეტი” დანაშაულებრივ ქმედებაზე, რაც ამავე დროს მილიონობით ადამიანების კონსტიტუციურად “დაკანონებული” დისკრიმინაციის უდავო მაგალითს წარმოადგენს?!

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანობის დამკვიდრებისა და კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამოქმედებისათვის აუცილებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციიდან (იხევე,

როგორც სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებიდან) ამოღებული იქნეს „სამართლებრივი“, ხოლო, უფრო სწორად თუ ვიტყვით, ანტისამართლებრივი „ნორმები“, რომლებითაც კონსტიტუცია (სახელმწიფოთა კონსტიტუციები) მფარველობს მოსამართლეთა დანაშაულებრივ ქმედებებს, და რომლებითაც აკრძალულია მოსამართლეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველ პუნქტში [3] უნდა დარჩეს მხოლოდ სიტყვები: „მოსამართლე ხელშეუხებელია“, და ისიც უნდა დარჩეს *გარკვეული დაზუსტებით*, ხოლო სიტყვები: „დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა“, და ყველაფერი დანარჩენი ამოღებული უნდა იქნეს ამ პუნქტიდან.

ამასთან, სიტყვები: „მოსამართლე ხელშეუხებელია“, უნდა დაზუსტდეს შემდეგი სიტყვებით: „მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტი [3] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“მოსამართლე ხელშეუხებელია მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციაში ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შეტანით მოიხსნება გარკვეული – *თუმცა კი კანონსაწინააღმდეგო, მაგრამ კონსტიტუციურად „დაკანონებული“* – წინააღმდეგობა ადამიანის უფლებათა დაცვის გზაზე, მოიხსნება წინააღმდეგობა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის დამკვიდრების გზაზე.

კერძოდ, ამ შემთხვევაში მოიხსნება წინააღმდეგობა თანასწორობის დამკვიდრების გზაზე, ერთი მხრივ, მოსამართლეებს – როგორც სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირებს – შორის, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ, და ამით გარკვეულწილად დაძლეული იქნება მილიონობით ადამიანის დისკრიმინაცია.

თუმცა მოსამართლეების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამისი

ცვლილებები უნდა შევიდეს არა მარტო საქართველოს კონსტიტუციაში (და, საერთოდ, არა მარტო სახელმწიფოთა კონსტიტუციებში), არამედ აგრეთვე საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ [9].

ამ კანონიდან [9] – კერძოდ კი მე-40 მუხლის პირველი პუნქტიდან, და აგრეთვე მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან – ამოღებული უნდა იქნეს ის „სამართლებრივი ნორმები“, რომლებითაც აკრძალულია მოსამართლეთა მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რათა დაძლეულ იქნეს „დაკანონებული“ უსამართლობა და მოსამართლეებს პასუხი მოეთხოვოთ კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალური – გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველ პუნქტში შეტანილი უნდა იქნეს ისეთივე ცვლილებები, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველ პუნქტში, და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი [9] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“მოსამართლე ხელშეუხებელია მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

რაც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტს, ამ პუნქტიდან ამოღებული უნდა იქნეს ბოლო წინადადება, ანუ ამოღებული უნდა იქნეს შემდეგი სიტყვები: „არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“ [9], ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციიდან ამოღებული უნდა იქნეს 84-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად: „არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“ [3].

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან აღნიშნული სიტყვების ამოღების აუცილებლობა, ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციიდან 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის ამოღების აუცილებლობა, განპირობებულია იმით, რომ მოსამართლე – როგორც სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირი – უნდა ემსახურებოდეს ხალხს და ანგარიშგაღებული უნდა იყოს მის წინაშე ყოველ

კონკრეტულ საქმეზე, რამეთუ სწორედ ხალხის ხარჯზე ცხოვრობს და სწორედ ხალხის ხარჯზე ღებულობს მოსამართლე ყველაზე მაღალ ხელფასს, ხოლო, როგორც ცნობილია: „ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვთავს“!!!

გარდა ამისა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების ბოლოს, სიტყვები „...თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით – „...თავისი შინაგანი რწმენის გათვალისწინებით“, რომლის შემდეგ უნდა დაისვას მძიმე და უნდა დაემატოს შემდეგი სიტყვები: „რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და სხვა სამართლიან კანონებს“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში ზემოაღნიშნული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მოსამართლე მკითხავი არ არის და სრულიად დაუშვებელია, რომ მან გადაწყვეტილება მიიღოს თავისი საკუთარი დაუსაბუთებელი „მოსაზრებების“ და „თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე“ (?!).

ამიტომ, თუმცა მოსამართლემ შეიძლება გაითვალისწინოს და კიდევაც უნდა გაითვალისწინოს თავისი შინაგანი რწმენა, მაგრამ ყველა მოსამართლეს კარგად უნდა ესმოდეს, რომ მან თავისი შინაგანი რწმენა შეიძლება გაითვალისწინოს მხოლოდ კანონის ფარგლებში, ანუ მოსამართლემ თავისი შინაგანი რწმენით შეიძლება მიიღოს და უნდა მიიღოს არა კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილება, არამედ მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ კონსტიტუციის და კანონის ფარგლებში.

ამრიგად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი [9] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმე-

ბის, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და სხვა სამართლიან კანონებს“.

ამასთანავე, *ჩემი ღრმა რწმენით*, ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე – ღმერთი კი არ არის, არამედ ისიც ადამიანია, რომელიც (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი) შეიძლება ცდებოდეს.

ხოლო ზოგიერთი მოსამართლე *ცალკეულ შემთხვევებში* შეიძლება განზრახავდეს კი “ცდებოდეს” (?).

ზემოაღნიშნული აუცილებლად მოითხოვს, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [4; და სხვა] შესაბამისად, მოსამართლეების მიმართ შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების ამოქმედებას, და აგრეთვე ახალი სამართლებრივი მექანიზმების შექმნას და დანერგვას სახელმწიფოთა კონსტიტუციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის დონეზე.

სასამართლო პრაქტიკაში არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც მოსამართლე ვერანაირად ვერ გარკვეულა – ვერ ერკვევა (*ანდა თითქოსდა ვერ ერკვევა*) სამართლებრივი თვალსაზრისით უმარტივეს სადავო პრობლემაში, რომელიც არა მარტო იურისტისათვის, არამედ ნებისმიერი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისათვის იმდენად ხელოვნურად მოჩანს, რომ სადავოც კი არაფერი არ არის, და, მიუხედავად ამისა, სრულიად უსაფუძვლო ვითომდა “არგუმენტებზე” – *ფაქტობრივად კი ჭორებზე* – დაყრდნობით, ის – მოსამართლე – აშკარად კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებს, რაც მოსამართლეს არ უნდა ათავისუფლებდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას უნდა დაეკისროს – მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის.

უფრო მეტიც, საერთო სასამართლოების მოსამართლეებს უნდა დაეკისროთ არა მარტო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყოველ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაზე – მათ

მიერ მიღებულ ყოველ კონკრეტულ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებაზე, არამედ მოსამართლეებს უნდა ეკისრებოდეთ აგრეთვე პასუხისმგებლობა მათი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების შედეგად დაზარალებული პირის მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, რაც სათანადოდ უნდა იქნეს ასახული კანონმდებლობაში.

საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ თუმცა მოსამართლე მართლაც ხელშეუხებელი უნდა იყოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისას – *არავის არ უნდა ჰქონდეს მასზე ზეგავლენის მოხდენის უფლება და შესაძლებლობა*, მაგრამ მოსამართლე არ უნდა იყოს თავისუფალი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის – მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის და ა.შ., *ანუ* მოსამართლე არ უნდა იყოს თავისუფალი მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის.

მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ამკრძალავი “სამართლებრივი ნორმის“ ამოღება საქართველოს კონსტიტუციიდან აამოქმედებს მოსამართლეების მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს [7, მუხლი 332, 333], რაც კანონის მიმართ თანასწორ პირობებში ჩააყენებს მოსამართლეებს და ჩვეულებრივ ადამიანებს, *ანუ იმ ადამიანებს, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ*.

რაც შეეხება იმას, რომ თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ მოსამართლე შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ა.შ. მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, ეს სრულიად უსამართლო, კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – და ალოგიკური ნორმაა (?!).

ზემოაღნიშნული “სამართლებრივი ნორმის“ კონსტიტუციიდან ამოღების აუცილებლობა უდავოა, რამეთუ უმთავრესი ის არის,

რომ თუ მოსამართლემ გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, თუ მან ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, მაშინ ამ მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას არავისი ნებართვა – თანხმობა – არ უნდა სჭირდებოდეს, რადგან ამით ირღვევა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კონსტიტუციურად დაკანონებული და საერთაშორისო მასშტაბით საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმა, რითაც ამ შემთხვევაში ხდება კრიმინალი მოსამართლის სრულიად უსაფუძვლო „გამართლება“ ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გარეშე, და რითაც ხდება მოსამართლის მიერ მომავალში ახალი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის წახალისება (?).

ამრიგად, ყოველად გაუმართლებელია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს (*მიუხედავად მისი დამსახურებისა, სამართლიანობისა, კომპეტენტურობისა და ა.შ., ანუ მიუხედავად კონკრეტული პიროვნებისა*) უფლება ჰქონდეს დაარღვიოს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე და მან განსაზღვროს – დაუშვას თუ არა კრიმინალი მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რადგან არც ერთ კრიმინალს, მიუხედავად მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა, კონსტიტუციით “დაკანონებული” ეგრეთ წოდებული “კრიშა” არ უნდა იცავდეს, რამეთუ ეს აშკარად “დაკანონებული” უკანონობა და სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია (?).

ცხადია, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ მოსამართლე უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს, ხოლო თუნდაც მისი „შინაგანი რწმენით“ (?) კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ანუ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის – მას უნდა ეკისრებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რის გარეშეც სახელმწიფოში სამართლიანობა მხოლოდ ხალხის მოსატყუებელ ცრუ ლოზუნგად დარჩება.

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოდ დასტურდება ადამიანის უფლებების დაცვაზე და ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე მიმართული ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლების იმ პრინციპული მნიშვნელობის იურიდიული ნორმების საერთაშორისო მასშტაბით დანერგვის აუცილებლობა, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნება ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა.

ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დამტკიცებულია და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. თბილისი: გამომცემლობა “სამშობლო”, 1992.

http://www.parliament.ge/files/stajireba_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc

2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.

<http://www.parliament.ge/files/international-acts/conventions/3250-Is-09-06-2006.doc>

3. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.

<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

4. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

5. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი* (მონოგრაფია

ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

6. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის 22 ივლისი. №2287 რს.

http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf

8. Конституции зарубежных стран. Сборник. М.: ООО Издательство “Юрлитинформ”, 2000.

9. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. 2009 წლის 4 დეკემბერი. № 2257 – II ს.

http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto_sasamartloebis_sesaxeb_saqartvelos_kanoni.pdf

Alfred Kuratashvili

LEGAL FOUNDATIONS OF INNOVATION SYSTEMS OF THE EUROPEAN UNION

Summary

The scientific work examines the legal foundations of the European Union's innovation systems aimed at protecting human interests and realizing the interests of the people.

In particular, the fundamental importance of the bases for the effective functioning of the economy, society, the state and humanity as a whole is substantiated.

პრობლემა 3.

ვახტანგ ბურდული

ეროვნული ინოვაციური სისტემის ტრანსფორმაციის თავისებურებანი მსოფლიოს ზოგიერთ მოწინავე ქვეყანაში

შესავალი

თანამედროვე პირობებში ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა შეუძლებელია მასში ქმედითი ეროვნული ინოვაციური სისტემის (ეის) არსებობის გარეშე. ამიტომ ამჟამად საქართველოს წინაშე დგას სრულფასოვანი ეის-ის ფორმირების ამოცანა. ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია განვითარებულ ქვეყნებში ეის-ების მშენებლობისა და განვითარების გამოცდილების შესწავლა იმისათვის, რომ გადმოღებული იყოს მათი საქართველოს პირობებში მისაღები ელემენტები და მექანიზმები, მათ შორის იმ შედარებით მცირე ქვეყნების გამოცდილების, რომლებმაც განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე განახორციელეს (სხვადასხვა პერიოდში) ისეთი ეკონომიკური გარღვევა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მათი გასვლა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების რიგებში (მაგალითად, სამხრეთ კორეა, ფინეთი). ნაშრომში მოკლედ არის დახასიათებული მსოფლიოში მოქმედი ეის-ების ძირითადი მოდელები და გამოკვლეულია საფრანგეთის, სამხრეთ კორეის და ფინეთის ეის-ების განვითარების ხასიათი, რამაც ავტორს მისცა რამდენიმე რეკომენდაციის ფორმულირების შესაძლებლობა საქართველოში ეის-ის ზოგიერთი მიმართულების განვითარების თაობაზე.

ეის-ების ძირითადი მოდელები

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყოფა ეის-ების ოთხი ძირითადი მოდელი: “ევროატლანტიკური”, “აღმოსავლეთაზიური”, “ალტერნატიული” და “სამმაგი სპირალის მოდელი”, რომელიც ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ამჟამად თანდათანობით იწერ-გება.

მოდელების გაცნობამდე ორ პუნქტს შევეხებით:

პირველი, ეის-ების სტრუქტურაში დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ რეგიონულ შემადგენლებს: ტექნოპარკები, ტექნოპოლისები,

კონკურენტუნარიანობის პოლუსები, ინოვაციური კლასტერები და ა. შ.

მეორე, აღვნიშნავთ, რომ არც ერთ ქვეყანას, მით უმეტეს მცირეს, არ შეუძლია განვითარება სხვადასხვა ფორმით (ნოუ-ჰაუს და ლიცენზიების შექმნა, საწარმოო ტექნოლოგიების იმპორტი, უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი ინოვაციური საწარმოების ორგანიზაცია) ინოვაციების ნასესხობის (ე. ი. იმპორტის) გარეშე, რაც უნდა აისოხოს ფორმირებადი ეის-ის სტრუქტურაში.

ახლა მოკლედ დავახასიათოთ ეის-ების ძირითადი მოდელები.

ევროატლანტიკურ მოდელს, რომელიც სხვადასხვა ვარიანტით რეალიზებული იყო აშშ-ში, კანადაში, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის მცირეებშიც), გააჩნია ეის-ის სტრუქტურის ყველა კომპონენტი: ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება, გამოკვლევები და შემუშავებები, საცდელი ნიმუშების შექმნა და მასობრივ წარმოებაში მათი დანერგვა. ესე იგი ის წარმოადგენს სრული ინოვაციური ციკლის მოდელს ინოვაციური იდეის წარმოშობიდან მზა პროდუქციის მასობრივ წარმოებამდე [Модели ..., 2013]. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ეის-ები კონცენტრირდება მსხვილი უნივერსიტეტების ირგვლივ (მაგრამ რიგ ქვეყანაში – საფრანგეთი, დანია, შვედეთი და სხვა, დიდ როლს თამაშობს სხვა კვლევითი ინსტიტუტებიც და მეცნიერებათა აკადემიები). ინოვაციური საქმიანობის სფეროში დიდი როლი აქვს რეგიონულ პროექტებს აშშ-ის სილიციუმის ველის მსგავსად, მაგრამ მათი ორგანიზაციის და დაფინანსების პრინციპები სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით განსხვავებულია. გამოკვლევების და შემუშავებების დაფინანსებაში მსხვილ ბიზნესთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს მცირე და საშუალო ბიზნესი. ნიშანდობლივია, რომ ევროპის მცირე ქვეყნებში (შვედეთი, ნიდერლანდები) გამოყენებითი კვლევები, უპირველეს ყოვლისა, ფინანსდება გრანტებისა და მსხვილ ტრანსეროვნულ კორპორაციებთან ერთობლივი პროექტების ხარჯზე. “ამჟამად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ვითარდება ეის-ების გაერთიანების პროცესები ერთობლივ მეცნიერულ-ტექნიკურ და ინოვაციურ სივრცეში. ამ მიზნით შემუშავებულია სპეციალური მექანიზმები (სხვადასხვა პროგრამა, ტექნოლოგიური პლატფორმები)”. პან-ევროპული პროგრამების კოორდინირებად ინსტრუმენტებს წარმოადგენს ინოვა-

ციური ქსელები, ტექნოლოგიური პლატფორმები, ერთობლივი ტექნოლოგიური ინიციატივები, “საგზაო რუკები” ESFRI, ასევე პარტნიორობის ახალი სახეები. ამის მიუხედავად, ეროვნული ინოვაციური სისტემები რჩება ბირთვად [Глобальная ..., 2010; Модели ..., 2013].

ადმოსავლეთაზიური მოდელი ევროატლანტიკურისაგან იმით განსხვავდება, რომ, **ჯერ ერთი**, უნივერსიტეტები, როგორც ინოვაციური შემუშავებების ცენტრები, თამაშობს გაცილებით უფრო ნაკლებ როლს, ვიდრე კორპორაციების კვლევითი ლაბორატორიები, ამასთან, ამ ქვეყნების **ეის-ებს** თითქმის სრულად აკლდა ფუნდამენტური მეცნიერების კომპონენტი, **მეორე**, ეს ქვეყნები, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტზე ორიენტაციასთან ერთად, უპირატესად ახორციელებდნენ ახალი ტექნოლოგიების გადმოღებას (ნასესხობას) ქვეყნიდან ევროატლანტიკური ტიპის **ეის-ებით**, **მესამე**, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებებზე გაწეული დანახარჯების გადამეტებული წილი მოდიოდა კერძო სექტორზე (იაპონია, სამხრეთ კორეა, სინგაპური, ჰონკონგი, ტაივანი) [Авдокушин Е., 2010; Модели ..., 2013]. მაგრამ გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან ასეთმა სისტემამ გარკვეული ზომით ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ამ პერიოდიდან დაიწყო ამ ქვეყნების **ეის-ების** თანდათანობითი გარდაქმნა [Авдокушин Е., 2010; Глобальная ..., 2010; Модели ..., 2013].

ინოვაციური განვითარების **ალტერნატიული მოდელის** ფორმირება ხდებოდა უპირატესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყნებში, რომლებსაც არ აქვთ შესამჩნევი სამეცნიერო პოტენციალი, რის გამოც მათ **ეის-ებში** არ არსებობს ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ბლოკი. ამ ქვეყნებში **ეის-ის** ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცალკეული დარგების (მაგალითად, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, ტურიზმის) ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებას და ტექნოლოგიების ნასესხობას (სესხებას) და არა მათ შემუშავებას (ჩილე, ტაილანდი, პორტუგალია). მაგრამ თანდათანობით ამ ქვეყნებშიც დაიწყო ზოგიერთი მაღალტექნოლოგიური დარგის ათვისება და საჭირო ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება, მათ შორის ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების სფეროშიც. რამდენადაც ეს მოდელი ფაქტობრივად სრულად დაფუძ-

ნებუღია ახალი ტექნოლოგიების ნასესხობაზე – იგი ნაკლებად ხარჯვითია და მიმზიდველია იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც მაღალი ფინანსური დანახარჯების დაძლევის შესაძლებლობა და უნარი არ გააჩნიათ [Модели ..., 2013].

სამმაგი სპირალის მოდელი წარმოადგენს ევროატლანტიკური მოდელის განვითარების პროდუქტს და დასრულებული ფორმით ჯერ არ არსებობს არც ერთ ქვეყანაში. ყველაზე მეტად განვითარდა იგი აშშ-ში, მისი ცალკეული ელემენტები კი გავრცელებულია დასავლეთ ევროპის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, ბრაზილიასა და იაპონიაში [Модели ..., 2013]. ინოვაციური განვითარების მიმართებაში სამმაგი სპირალის მოდელი აღწერს სამი ინსტიტუტის (მეცნიერება, სახელმწიფო, ბიზნესი) ურთიერთობას ინოვაციური პროდუქტის შექმნის და დანერგვის ყოველ ეტაპზე. ამ მოდელში თითოეული ამ სამი ინსტიტუტიდან (უნივერსიტეტები (მეცნიერება და განათლება), სახელმწიფო, ბიზნესი) ნაწილობრივ იღებს თავის თავზე სხვა ინსტიტუციური სფეროების ფუნქციებს, ყოველი ამ ინსტიტუტის მიერ არატრადიციული ფუნქციის შესრულების უნარი კი წარმოადგენს ინოვაციების წყაროს. “პრაქტიკაში ეს გამოიხატება იმაში, რომ უნივერსიტეტები, ახორციელებენ რა საგანმანათლებლო მომსახურებას და კვლევებს, ასევე თავისი წვლილი შეაქვთ ეკონომიკის განვითარებაში უნივერსიტეტების ინკუბატორებში ახალი კომპანიების შექმნის ხარჯზე, ბიზნესი ნაწილობრივ ეწევა საგანმანათლებლო მომსახურებას, სახელმწიფო კი გამოდის როგორც საზოგადოებრივი მეწარმე, ამით თავისი ტრადიციული საკანონმდებლო და მარეგულირებელი როლის გაფართოებით” [Ицковиц Г., 2011; Катков Д., ..., 2012; Модели ..., 2013]. ფაქტობრივად სამმაგი სპირალის მოდელი ეყრდნობა სამი ძირითადი მონაწილის (სახელმწიფო, მეცნიერება, ბიზნესი) ურთიერთმოქმედებას ყველა დონეზე: რეგიონულ (ან დარგობრივ), ეროვნულ, ინტეგრალურ. ეს მიდგომა ხელს უწყობს რეგიონული ინოვაციური სისტემების ეფექტიან განვითარებას, სხვადასხვა რეგიონის დარგობრივ და დარგთაშორის ურთიერთმოქმედებას. მაშასადამე, რეგიონული და საერთო-ეროვნული განვითარების მიზნები უშუალოდ ურთიერთდაკავშირებულია და მიიღწევა სამი საკანონმდებლო მოთამაშის მონაწილეობით [Соловьева Ю., 2015: 133].

ახლა განვიხილოთ ეის-ების განვითარების გამოცდილება სამ ქვეყანაში (საფრანგეთი, სამხრეთ კორეა და ფინეთი), რომლიდანაც ბევრი სასარგებლო რამ შეიძლება ვისესხოთ საქართველოს ეის-ის ფორმირების პროცესში.

საფრანგეთის ეის-ის ტრანსფორმაცია

XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს საფრანგეთი სერიოზულ სტრუქტურულ პრობლემებს წააწვდა ეროვნულ ეკონომიკაში: მრეწველობის ინოვაციური განვითარებისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების არასაკმარისი დონე (სამრეწველო საწარმოების მხრიდან კვლევებისა და შემუშავებების ასიგნების შედარებით დაბალი დონე; ძირითადი კონკურენტებისაგან ჩამორჩენა დაპატენტების, კვლევებისა და შემუშავებების შედეგების ათვისების, ვენჩურული კაპიტალის განვითარებისა და ასევე ახალი ტექნოლოგიების წარმოებისა და გამოყენების სფეროში: არასაკმარისად ხელსაყრელი კლიმატი ახალი საწარმოების შექმნისათვის; საწარმოებსა და სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებს შორის თანამშრომლობის განვითარების დაბალი დონე); მსოფლიო ბაზარზე მაღალი ტექნოლოგიების რიგი საკვანძო დარგის სუსტი საკონკურენტო პოზიციები; სხვა ქვეყნებში საწარმოო სიმძლავრეების გადატანის საფრთხე; მნიშვნელოვანი რეგიონული დისპროპორციები სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ განვითარებაში; ახალგაზრდობის ინტერესის მკვეთრი დაქვეითება საინჟინერო სპეციალობების მიმართ და მაღალკვალიფიციური საინჟინერო კადრების დეფიციტი; სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ინსტიტუტის სისუსტე, რაც გახდა მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების (მკსსშ) შედეგების სამრეწველო ათვისების სფეროში ძირითადი კონკურენტებისაგან ქვეყნის არსებითი ჩამორჩენილობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი [Черноуцан Е., 2010: 43-44].

ჩამოთვლილმა და სხვა გარემოებებმა (გამოწვევებმა) განაპირობა საფრანგეთის ხელისუფლების ძალისხმევის აქტივიზაცია სამრეწველო (და მის შემადგენლობაში ინოვაციური) პოლიტიკის სტრატეგიების (პროგრამების) შემუშავებისა და მისი ინსტრუმენტების გაძლიერების სფეროებში – 2004 წელს პრეზიდენტმა ჟ. შირაკმა სამრეწველო პოლიტიკის აქტივიზაცია გამოაცხადა უმ-

ნიშვნელოვანეს სახელმწიფო პრიორიტეტად. ამ პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი ინსტრუმენტებია – ქვეყნის სამრეწველო და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის მობილიზაცია, სიახლეების შემოღების პროცესის (შექმნიდან რეალიზაციამდე) სტიმულირება როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული მასშტაბით. ამასობაში დიდი ყურადღება ეთმობა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის პარტნიორობის სხვადასხვა ფორმების განვითარებას, განსაკუთრებით ურთიერთქმედებას მეცნიერების, განათლებისა და ბიზნესის სფეროებს შორის. სახელმწიფოს ახალი სამრეწველო სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს პრინციპებად ხდება: კურსი ფართომასშტაბიანი ინოვაციური პროცესის განვითარებაზე (რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიას შეეხება) და ამ პროცესის ძირითადი მონაწილეების (საწარმოების, სამეცნიერო ლაბორატორიების, უმაღლესი სკოლის) ურთიერთქმედების სტიმულირება [Черноуцан Е., 2010: 43].

ამ ორმაგი ამოცანის გადასაწყვეტად ქვეყანაში იქმნება სპეციალური რეგიონული კლასტერები, ეგრეთ წოდებული კონკურენტუნარიანობის პოლუსები, რომლებიც გადაიქცევიან ქვეყნის ახალი სამრეწველო, ინოვაციური და რეგიონული პოლიტიკის საკვანძო ინსტრუმენტებად. ამ პოლუსების განსაზღვრება შემდეგნაირია (2004 წლის კანონი ფინანსების შესახებ): განსაზღვრულ ტერიტორიაზე საწარმოების (მსხვილებიდან წვრილებამდე), სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების (სახელმწიფო და კერძო) და უმაღლესი სკოლის დაწესებულებების დაჯგუფება, რომლებიც მოწოდებულები არიან, ერთად იმუშაონ ეკონომიკური განვითარების პროექტებისა და ინოვაციების დანერგვის მიზნით. მაგალითად, ოთხი წლის განმავლობაში (2007-2010) ამ ცენტრების მეშვეობით შესაძლებელი გახდა 4 მლრდ ევროზე მეტი მოცულობის პროექტების დანერგვა, რომელიც 30%-ით დაფინანსებული იყო სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ და 70%-ით – თვით საწარმოების მიერ [Калугина Е., 2010]. საფრანგეთში დღეისათვის არსებობს 71 კონკურენტუნარიანობის პოლუსი. საუკეთესო ინოვაციური პროექტებისათვის საფინანსო დახმარების მინიჭება უფრო ხშირად ხდება *ერთიანი სამინისტროთაშორისი ფონდის – Fond unique interministériel (FUI)* მეშვეობით. სამინისტროთაშორისი ფონდის გარდა პოლუსებში

შექმნილი საინტერესო პროექტების დაფინანსებაში მონაწილეობისათვის სახელმწიფო იზიდავს სხვა დაწესებულებებსაც. მაგალითად, Agence Nationale de la Recherche (ANR) – ეროვნულ კვლევით სააგენტოს, Caisse de dépôt et consignment (CDC) – სადეპოზიტო-სასესხო საღაროს ან ორგანიზაციას სახელწოდებით OSEO. OSEO – არის სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ასრულებს სამ მიზნად: დახმარება ინოვაციების განვითარებისათვის, საბანკო დაფინანსების და ინვესტიციების გარანტირება და, ბოლოს, საპარტნიორო დაფინანსება. ეს ორგანიზაცია უფრო ხშირად აფინანსებს მცირე და საშუალო საწარმოებს [Калугина Е., 2010.].

საფრანგეთის მთავრობა უკანასკნელ პერიოდში აქტიურად იყენებს რეგულირების და კოორდინაციის დირიჟისტულ პრინციპებს. ასე მაგალითად, 2010 წლის მარტში მთავრობამ გაასაჯაროვა ახალი ზომები ეროვნული მრეწველობის განვითარების სასარგებლოდ, რომლებშიც დასახული იყო ოთხი მთავარი მიმართულება: 1. სამრეწველო ინოვაციები; 2. ფრანგული საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება; 3. კომპეტენციების გაუმჯობესება, განსაკუთრებით პერსპექტიულ სექტორებში ცოდნებისა და ჩვევების განვითარებისათვის; 4. საწარმოო ჯაჭვების სტრუქტურისა და სტრატეგიის გაძლიერება [Калугина Е., 2010].

შესაბამის საბუთებში დიდი ყურადღება ენიჭება ფრანგული მრეწველობის დაფინანსების პრობლემებს, სტიმულირების ფისკალურ და ფინანსურ ზომებს, შესაბამისი კოორდინირებადი სტრუქტურების შექმნას (მაგალითად, სტრატეგიული კომიტეტების საწარმოო ჯაჭვების მიხედვით) და ა.შ. კერძოდ, 2008 წელს შექმნილი იყო ინვესტიციების სტრატეგიული ფონდი (FSI) 35 მლრდ ევროს კაპიტალით, რომლის ოფიციალური მიზანია პერსპექტიული ფრანგული საწარმოებისათვის დახმარების გაწევა მათი საკუთარი სახსრების გაზრდისათვის. ფონდი შედის სხვადასხვა საწარმოს კაპიტალში ან გამოდის როგორც ერთ-ერთი ინვესტორი [Калугина Е., 2010; Кондратьев В., 2014].

მაშასადამე, საფრანგეთის გამოცდილებიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ძირითადი დასკვნები: 1. გააქტიურდა სახელმწიფოს როლი ეკონომიკური, კერძოდ ინოვაციური განვითარების რეგულირებაში, ხარისხობრივად ახალ დონეზე აღორძინდა დირიჟისტული ტრადიციები, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებისათვის.

რების რეგულირების კეინზიანური მოდელისათვის: სახელმწიფო ამუშავებს საერთო ეროვნული და რეგიონული განვითარების სტრატეგიებს, ახორციელებს ინოვაციური განვითარების საგადასახადო სტიმულირებას, შექმნა და იყენებს ინვესტიციების სტრატეგიული ფონდის (FSI) სახსრებს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობაში მონაწილეებისათვის (მათ შორის ვენჩურული საწარმოების შექმნის დროს), შექმნილია ფონდები და სხვა ორგანიზაციები საუკეთესო ინოვაციური პროექტების საფინანსო დახმარებისათვის (FUI, ANR, CDC, OSEO). 2. სამრეწველო განვითარების კოორდინაციის პროცესში გამოიყენება კომპლექსური მიდგომა – მხარს უჭერენ არა მხოლოდ ინოვაციურ პროცესებს, არამედ სხვა ღონისძიებებსაც, რომლებიც ხელს უწყობს პროგრესულ ეკონომიკურ განვითარებას: საწარმოებში წილობრივი მონაწილეობა (რომელიც ყოველთვის არ არის დაკავშირებული ინოვაციურ გარდაქმნასთან), საწარმოო ჯაჭვების სტრუქტურის გაძლიერება (რისთვისაც იქმნება სტრატეგიული კომიტეტები საწარმოო ჯაჭვების მიხედვით). 3. მოხერხებულად, არატრიალურად გადაწყვეტილია რეგიონული პრობლემა კონკურენტუნარიანობის პოლუსების შექმნის სახით, სადაც რეგიონული და საერთო ეროვნული განვითარების მიზნები და ინსტრუმენტები უშუალოდ ურთიერთდაკავშირებული არიან და მიზნების მიღწევა ხორციელდება სამი საკვანძო მოთამაშის (მეცნიერება, სახელმწიფო, ბიზნესი) აწყობილი ურთიერთქმედების საფუძველზე.

“კორეის სასწაული”:

ინოვაციური მოდერნიზაცია სამხრეთ კორეაში

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში **სამხრეთ კორეა** ინოვაციური პროექტის რეალიზაციას არახელსაყრელ სასტარტო პირობებში შეუდგა: რესურსული პოტენციალის დეფიციტი, მკაცრი კონკურენტული გარემო, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა. ამ სიტუაციაში მოდერნიზაციის განხორციელება მხოლოდ საბაზრო მექანიზმებზე დაყრდნობით ჩასაფუძვლად იყო განწირული. მხოლოდ მიზანმიმართულმა სახელმწიფო პოლიტიკამ გახადა შესაძლებელი “ინოვაციური სასწაულის მოხდენა”. სამხრეთკორეულმა ხელისუფლებამ თავდაპირველად იმედი დაამყარა თავისი პატრონაჟის ქვეშ მსხვილი მონოპოლიების შექმნაზე,

რომელთაც ჰქონდათ ინოვაციური გარღვევის შესრულების უნარი თავიანთი პრივილეგიური მდგომარეობის ხარჯზე [Корейское ..., 2008]. ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის პროცესებმა გამოიწვია მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების (ჩეოლების) წარმოქმნა, რომლებიც აღმოცენდნენ მსხვილი სავაჭრო კომპანიების ბაზაზე და გადაიქცნენ მრავალდარგობრივ კონგლომერატებად (ოდნავ მოგვიანებით დაიწყო საშუალო და მცირე ბიზნესის აქტიური განვითარება). დაახლოებით ორმოცდაათი ჩეოლი (Hyundai, Samsung, Daewoo, LG და სხვა) საკვანძო როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. მათი გამოცდილება გვიჩვენებს, თუ რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს დაბანდებები მსხვილ მეცნიერებატევად ინოვაციურ წარმოებაში: ისინი მრავალპროფილურ ექსპორტზე ორიენტირებულ ჰოლდინგებად გადაიქცნენ (პირველ ხანებში მათ არ ჰქონდათ საკუთარი საბანკო სტრუქტურები და დაფინანსებას ღებულობდნენ სახელმწიფო ბანკებიდან, მაგრამ მოგვიანებით მათ შემადგენლობაში გაჩნდა კერძო ბანკებიც). სახელმწიფო მუდმივად ახალისებდა სტრუქტურულ რეფორმებს მრწველობაში, კერძოდ, საწარმოო ტექნოლოგიების შემოზიდვის იმპორტული ბაჟებისაგან გათავისუფლების გზით, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების (მკსსშ) სტიმულირების აქტიური საგადასახადო პოლიტიკის ჩატარებით და ა. შ. [Корейское ..., 2008; Селезнев П., 2014].

გასული საუკუნის 60-80-იანი წლების ინოვაციური მოდერნიზაციის პროცესში მთავარ როლს თამაშობდა საზღვარგარეთული ფაქტორი. გარღვევის პროგრამა თავდაპირველად შენდებოდა უცხოური ტექნოლოგიების შემოქმედებით კოპირებაზე. ამასთან ადგილი ჰქონდა გადმოღების (სესხების) ფორმების სიმრავლეს: კონტრაქტები “გასაღების ჩაბარებით” (контракты «под ключ»), ლიცენზირება, საკონსულტაციო მომსახურება. გადამწყვეტ როლს თამაშობდა იაპონურ პარტნიორებთან ერთობლივად ვენჩურული ინოვაციური კომპანიების შექმნა. მოგვიანებით დაიწყო საკუთარი ინოვაციური საწარმოო ტექნოლოგიების განვითარებაც, თუმცა, ამ დროისთვისაც (ამჟამადაც) შენარჩუნებულია სახელმწიფოს ძლიერი დამოკიდებულება უცხოური ტექნიკის და ტექნოლოგიების

შემოტანაზე ქვეყნის შიგნით საბაზო ტექნოლოგიების განვითარებლობის გამო [Селезнев П., 2014: с.289-290; Справка ..., 2011].

1990-იანი წლების ბოლოს განვითარებულმა კრიზისმა აიძულა სამხრეთ კორეის ხელმძღვანელობა ინოვაციური კურსის ფორმირებისაკენ, ამ მიზნით შემუშავდა და რეალიზდება სპეციალური პროგრამა, მიმართული განვითარების დაჩქარებასა და ინოვაციურ გარღვევებზე. ამ პროგრამის ჩარჩოებში რეგიონების ჭრილში სრულდება პროექტი ცნობილი, როგორც სქემა “4+9” (4 – სასტარტო სუბიექტებია, 9 – ტერიტორიები, რომლებიც პროექტს მოგვიანებით შეუერთდნენ). ინიციატივის “4+9” ძირითადი იდეა გულისხმობს ისეთი ეკონომიკური კლასტერების სერიის ფორმირებას, რომელთაგანაც ყოველს ექნებოდა გარკვეული სპეციალიზაცია. მაგალითად, ქ. დეჯონის სპეციალიზაციაა ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბიოწარმოება, მაღალტექნოლოგიური დეტალების და მასალების წარმოება, რობოტების კონსტრუირება, სანავსადგურო ქ. პუსანი კი გახდა ლოგისტიკისა და ტურიზმის ცენტრი. სამხრეთ კორეის ახალი სამრეწველო სტრატეგია საბოლოოდ გაფორმდა 2004 წელს. ის ეყრდნობა პროექტს “4+9” და მჭიდროდ დაკავშირებულია მის შედეგებთან. ამ სტრატეგიის თანახმად შეიქმნა “რეგიონული ინოვაციების საბჭო”, რომელშიც ყოველი პროვინციიდან შევიდნენ საწარმოები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები და არასახელმწიფოებრივი არაკომერციული ორგანიზაციები. საბჭოს დაეკისრა რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით სტრატეგიისა და ღონისძიებათა პროგრამის შემუშავების ვალდებულება [Абдурасулова Д., 2009; Селезнев П., 2014]. ეკონომიკის რეფორმირების შესახებ ფორმულირებული ამოცანების საფუძველზე კორეის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრა ქვეყნის ახალი ინდუსტრიული განვითარების სტრატეგია [Абдурасулова Д., 2009], რომელიც პირველ რიგში ითვალისწინებს ეროვნული ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისათვის საფუძველების ფორმირებას საწარმოო-ტექნიკური ბაზის, ინოვაციური განვითარებისათვის მექანიზმებისა და საინვესტიციო კლიმატის სტრუქტურირების საფუძველზე. ამ ჩარჩოებში ხდება ისეთი ღონისძიებების რეალიზაცია, როგორიცაა: რეგიონების დონეზე ინოვაციური სისტემების შექმნა, პირველ რიგში, მოცემულ ტერიტორიაზე

კონცენტრირებული მრეწველობის დარგების ბაზაზე და მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების განხორციელების მიზნით საწარმოებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ურთიერთქმედების სტიმულირების საფუძველზე, და, ასევე, ლოკალურ დონეზე ინოვაციების განვითარებისათვის ინსტიტუციური საფუძვლებისა და ხელსაყრელი გარემოს ფორმირების მეშვეობით (ამით იქმნება საჭირო პირობები ლოკალურ დონეზე “ზრდის წერტილების” – ტექნოპარკების, ტექნოლოგიური ინოვაციების ცენტრების და რეგიონული კვლევითი ცენტრების გაჩენისათვის); ქსელური კონტაქტების გამაგრება ინოვაციური პროცესის ძირითად მონაწილეთა (სამრეწველო საწარმოები, უმაღლესი განათლების დაწესებულებები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები) შორის; ადგილებზე ინოვაციური კლასტერების განვითარება საპილოტე პროექტების რეალიზაციის მეშვეობით [Абдурасулова Д., 2009; Селезнев П., 2014].

სამხრეთ კორეის გამოცდილებიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ძირითადი დასკვნები: 1. სამხრეთ კორეაში ინოვაციური ინდუსტრიული გარღვევისა და მისი განვითარებული ქვეყნების რიგებში გაყვანის განხორციელება შესაძლებელი გახდა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შედეგად, ე.ი. ამ გარღვევის წარმატებები 60-80-იან წლებში მიღწეული იყო აწყობილი და ინტენსიური სახელმწიფო დირიჟიზმის შედეგად. 2. ძირითადი როლი ინოვაციურ გარღვევაში ითამაშა ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფებმა (ფსჯ) – “ჩებოლებმა”, რომლებშიც საბანკო შემადგენელს 60-80-იან წლებში უპირატესად სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა [Селезнев П., 2014; Справка ..., 2011]. 3. ახალი ინდუსტრიული ეკონომიკა შენდებოდა სხვადასხვა ფორმით ახალი ტექნოლოგიების სესხების პრინციპით (ევროატლანტიკური მოდელის ეის-ის მქონე ქვეყნებსა და იაპონიიდან). 4. ინდუსტრიულ ინოვაციურ გარღვევაში დიდი როლი ითამაშა იაპონელ პარტნიორებთან ერთობლივად ინოვაციური (უპირატესად ვენჩურული) საწარმოების შექმნამ [Селезнев П., 2014; Справка ..., 2011]. 5. დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე დაიწყო როგორც ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის, ისევე სამხრეთ კორეის შევიწროება სწრაფად განვითარებადი ჩინეთის, ინდოეთის, თურქეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის

მხრიდან, რამაც აიძულა სამხრეთი კორეის ხელმძღვანელობა, მოეხდინა ინოვაციური კურსის ფორსიფიცირება: შემუშავებული იყო სპეციალური პროგრამა, მიმართული განვითარების დაჩქარებასა და ინოვაციურ გარდევებაზე, რომელიც ხორციელდება რეგიონების დონეზე (პროექტი “4+9”) საწარმო-ტექნიკური და ინოვაციური ბაზის, ინოვაციური განვითარებისათვის ინსტრუმენტებისა და ინოვაციური კლიმატის სტრუქტურირების გზით.

ფინეთის ეის-ის ფორმირების პროცესი და მისი რეფორმირების პრობლემები

ფინეთის მრეწველობამ 60-80-იანი წლების პერიოდში შეძლო დიდი მოცულობის დამატებული ღირებულების მქონე საქონლის წარმოებაზე გადასვლა სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტენსიური პარტნიორობის წყალობით [Справка ..., 2011]. მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური საქმიანობა ფინეთის ეკონომიკას გათავისებულები ჰქონდა მისი განვითარების მრავალი წლის განმავლობაში, შეიძლება იმის მტკიცება, რომ სწორედ 1980-იანი წლების ბოლოდან გახდა ინოვაციები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალად და საგარეო ბაზრებზე გასვლის საფუძვლად: თუ უფრო ადრე ინოვაციური პროცესის გამოცალკეება საწარმოო პროცესისაგან არ შეიძლებოდა, ხსენებული პერიოდისათვის ქვეყანაში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი, უპირატესად ექსპორტზე ორიენტირებული, ეკონომიკის მეცნიერებატევადი ინოვაციური სექტორი [Иновационная ..., 2014]. ის ფორმირდებოდა შემდეგი ორგანიზაციების მეშვეობით: მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში პოლიტიკის ფინეთის საბჭო პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, დასაქმების და ეკონომიკის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, ტექნოლოგიების და ინოვაციების განვითარების დაფინანსების ფინური სააგენტო Tekes-ი, ფინეთის ტექნიკური კვლევების ცენტრი BTT, ექსპორტის ხელშემწყობი ორგანიზაცია Finpro, სახელმწიფო ფონდი Finvera, ინოვაციების ეროვნული ფონდი Sitra, სხვა სამინისტროები და უწყებები, სამრეწველო კომპანიები, ტექნოლოგიური და პოლიტექნიკური უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები [Радченко А., 2011; Мальцева А., ..., 2012; Иновационная ..., 2014]. ფინეთის ინოვაციური ინფრასტრუქტურის საკენძო ელემენტებს, რომლებიც

უშუალოდ ახდენენ სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის და ინოვაციური საქმიანობის რეალიზაციას, წარმოადგენენ ფინეთის ტექნოპარკები [Мальцева А., ..., 2012: 114; Инновационная ..., 2014].

ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დაფინანსების ფინური სააგენტო “**Tekes**” (შექმნილია 1983 წელს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ) ყოველწლიურად გამოყოფს სახსრების 60%-ზე მეტს ფინეთში შემოთავაზებული პროექტისათვის (უმეტეს ნაწილს – პროექტებისათვის კერძო სექტორში, უმცირესს – სახელმწიფო სექტორში). პროექტების უმეტესობის ინვესტირება ხდება კერძო სექტორის მიერ მათი თანადაფინანსებით [Инновационная ..., 2014: 5; Мальцева А., ..., 2012: 111] (აქვე ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ ფინეთში **მკსსს**-ზე ხარჯების უმეტესი ნაწილი ხორციელდება კერძო კაპიტალის მიერ. ასე მაგალითად, 2010 წელს **მკსსს**-ზე საერთო დანახარჯებმა შეადგინა **მშპ**-ის 3,7%, ამ დანახარჯებში კერძო სექტორის წილი იყო 74,6%, ხოლო სახელმწიფო სექტორის – 25,4% [Сочнов Ф., 2011: 222]). სააგენტო ახდენს რიგი პროგრამის რეალიზაციას, რომელთა ჩარჩოებში მცირე ინოვაციურ საწარმოებს აწვდის შემდეგ სერვისებს: დაფინანსება (პროექტის რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურება დამტკიცებული ნორმატივების ჩარჩოებში); ექსპერტიზა; მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სტრატეგიული ცენტრების განვითარება; საერთაშორისო კოოპერაცია; ინფორმაციული მხარდაჭერა. მზარდი საწარმოებისათვის **Tekes**-ი სთავაზობს ბიზნეს-დამაჩქარებლების მომსახურებას, ძირითადად კერძო კომპანიების სახით, რომლებიც საინვესტიციო რესურსებსა და ბიზნეს-პარტნიორების ქსელებზე ხელმისაწვდომას უზრუნველყოფენ. ფინური ბიზნესდამაჩქარებლების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გამოდიან სტარტაპ კომპანიების არა კონკურენტებად, არამედ ინვესტორებად, და, მაშასადამე, კომერციულად არიან დაინტერესებული მათ ეფექტიან ფუნქციონირებაში [Мальцева А., ..., 2012: 112].

ინოვაციების ფინური ფონდი **Sitra** (ფინეთის პარლამენტთან არსებული დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ფონდი) შექმნილი იყო ჯერ კიდევ 1967 წელს. კერძოდ, ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე აწყობილი იყო ტექნოლოგიების და ინოვაციების დაფინანსების ფინური სააგენტოს **Tekes**-ის საქმიანობა, დანერ-

გილი იყო პერსპექტიული ტექნოლოგიური შემუშავებების კომერციალიზაციის სასტარტო დაფინანსების სისტემა, შექმნილი იყო **მკსსს**-ის ვენჩურული დაფინანსებისა და ინოვაციურ საქმიანობაში კერძო სახსრების მოზიდვის სისტემა. ამის გარდა, შექმნილია ბიზნესინკუბატორების ბაზაზე განვითარებადი საწარმოების მხარდაჭერის სისტემა [Иновационная ..., 2014: 7, 8]. ფონდი «**Sitra**» უზრუნველყოფს საფინანსო და კონსალტინგურ მხარდაჭერას ინოვაციური კომპანიებისათვის საწყის და ზრდის სტადიებზე რიგი მიმართულებების მიხედვით: ბიოეკონომიკა, ენერგეტიკა, ელექტრონული და ელექტროტექნიკური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, ხე-ტყის მრეწველობის კომპლექსი, კვების დარგი და სხვა [Мальцева А., ..., 2012: 112, 113; Радченко А., 2011]. ფონდი **Sitra** ფინეთსა და ევროპაში ვენჩურული საპარტნიორო ქსელების ინტეგრატორს წარმოადგენს, უზრუნველყოფს რა ინოვაციური კომპანიების დაშვებას ვენჩურულ საფინანსო რესურსებზე [Мальцева А., ..., 2012: 112, 113].

1. **ფინეთის ტექნიკური კვლევების სახელმწიფო ცენტრი BTT** ქვეყანაში წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია, წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას, არის ფინური ინოვაციური სისტემის ნაწილი და მოქმედებს ფინეთის დასაქმებისა და ეკონომიკის სამინისტროს ეგიდით. BTT დაფუძნებული იყო 1942 წლის იანვარში და ამჟამად აერთიანებს დაახლოებით 2700 მეცნიერს და სპეციალისტს ქვეყნის 10 ქალაქში. BTT-ის ბიუჯეტი 2009-2014 წლებში სტაბილურად იმყოფებოდა დაახლოებით 280 ევროს დონეზე. მასში სახელმწიფო დაფინანსების წილი დაახლოებით 90 მლნ ევროა [Иновационная ..., 2014: 6; Мальцева А., ..., 2012: 111].

ფინეთის აკადემია იმყოფება ფინეთის განათლების სამინისტროს ადმინისტრაციულ სტრუქტურაში და ისევე, როგორც **TeKes**-ს, თავის შემადგენლობაში არა აქვს სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფები. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსებამ ფინეთის აკადემიის ხაზით 2013 წელს შეადგინა 324 ევრო და განაწილდა შემდეგნაირად: უნივერსიტეტები – 80%-ზე მეტი; სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები – დაახლოებით 10%; უცხოური ორგანიზაციები – 8%-ზე მეტი. დაფინანსების ასეთი მოცულობა უზრუნველყოფს დაახლოებით 8000 სპეციალისტის მუშაობას უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში [Иновационная ..., 2014:

7; Мальцева А., ..., 2012: 111, 112].

2. ფინეთის ინოვაციური სისტემის სხვა წამყვან მონაწილეებს წარმოადგენენ: ვენჩურული დაფინანსების სახელმწიფო ფონდი **Finvera**, რომელიც შექმნილია, უპირველეს ყოვლისა, მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების სარისკო დაფინანსების (ძირითადად სესხები და გარანტიები) უზრუნველსაყოფად, მათი საერთაშორისო და საექსპორტო საქმიანობის განვითარებისათვის, ასევე, საექსპორტო ოპერაციებისა და საზღვარგარეთ ინოვაციური საქმიანობისაგან შესაძლო დანაკარგთა რისკების დასაფარად; ფინური ექსპორტის ხელშეწყობის ასოციაცია **Finpro**, რომლის ამოცანაა ფინური პროდუქციის წინ წაწევა და საერთაშორისო ბაზრებზე ფინური საწარმოების გასვლის ხელშეწყობა [Иновационная ..., 2014: 8; Мальцева А., ..., 2012: 113, 114].

ფინეთის ტექნოლოგიური შემუშავებების კომერციალიზაციის სისტემაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს **ტექნოპარკები**, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის ინოვაციური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს და ხელს უწყობენ თანამშრომლობის გაღრმავებას სახელმწიფო კვლევით ცენტრებს, უნივერსიტეტებსა და საწარმოებს შორის. ფინეთის ტექნოპარკების უმეტესობის თავისებურებას წარმოადგენს მათი უპირატესად მსხვილი ზომები ტერიტორიებისა და მომსახურებადი კომპანიების რაოდენობის მიხედვით, ასევე – ქსელური სტრუქტურა. ქსელური სტრუქტურა გულისხმობს პარკების ტერიტორიაზე მოქმედი უფრო მცირე მასშტაბების ინოვაციური ინფრასტრუქტურის არსებობას, რომლებიც წარმოადგენენ პარკის არენდატორებს და მუშაობენ კიდევ უფრო მცირე კომპანიების მოზიდვით. უკანასკნელნი ეწევიან სერვისულ მომსახურებას აუტსორტინგული პირობების მიხედვით. ამჟამად ფინეთში მოქმედებს 22 ტექნოპარკი, რომელიც შექმნილია ხელისუფლების მუნიციპალური ორგანოების მიერ 20 უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ბაზაზე. ინსტიტუციურ დონეზე ფინეთში სამრეწველო პარკების, ტექნოპარკების და კლასტერების განვითარების კოორდინაციას ახორციელებს ასოციაცია Tekel-ი (სრული სახელწოდებაა “ფინეთის სამეცნიერო პარკების ასოციაცია”). ეს ასოციაცია კურირებს 1700-ზე მეტი ინოვაციური კომპანიის საქმიანობას, რომლებშიც მუშაობს 37000 მეტი სპეციალისტი და

მეცნიერი [Справка ..., 2011; Мальцева А., ..., 2012: 114; Инновационная ..., 2014].

ფინეთის ინოვაციური სისტემა გარკვეულ პერიოდამდე ძალიან კარგად მუშაობდა. მაგრამ დაახლოებით 2008 წლიდან ამ ქვეყნის ინოვაციურ სისტემაში, კრიზისის გამო, დაიწყო შეფერხებები და ამ დროიდან იგი უკვე ვეღარ უზრუნველყოფდა ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერას. ქვეყნის მშპ-ს დონე დღევანდელ პერიოდამდე რჩება უფრო დაბალი კრიზისის წინა 2008 წლის დონესთან შედარებით, ამასთან “ფინეთის ექსპორტში მაღალი დამატებული ღირებულების მქონე საქონლის წილი შემცირდა 23%-დან 2000 წელს, 10%-მდე 2010 წელს, და 7%-მდე 2015 წელს. სტრუქტურული ცვლილებები ფინურ ექსპორტში ისეთი მეკეთრი და სწრაფი აღმოჩნდა, რომ მას არ გააჩნია საერთაშორისო პარალელები” [Бурнаева Е., 2017]. ჯერ კიდევ 2015 წელს ფინეთის ხელმძღვანელ წრეებში მოხდა ქვეყნის ინოვაციური სისტემის ცუდი მუშაობის ფაქტის კონსტატაცია, 2016 წელს კი ფინეთის მთავრობამ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) ექსპერტებს შეუკვეთა გამოკვლევა ქვეყნის ინოვაციური სისტემის მდგომარეობის შეფასებისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით [Бурнаева Е., 2017].

ეთგო-ს ექსპერტების შუალედური მოხსენების თანახმად (საბოლოო მოხსენება გამოქვეყნდება 2017 წლის ივნისში), ფინეთი ისევ მიეკუთვნება მსოფლიოს წამყვანი “კვლევითი ერების” ჯგუფს, მიუხედავად იმისა, რომ ლიდერის პოზიციები დაკარგა. 2000-2011 წწ. (2006-2007 წწ. გამოკლებით) მშპ-ში მკსსს-ზე დანახარჯების წილის მიხედვით ფინეთს ეკავა მეორე ადგილი ეთგო-ში ისრაელის შემდეგ (მაქსიმალური მნიშვნელობა მიღწეული იყო 2009 წელს და შეადგინა 3,749%), მაგრამ 2015 წლისათვის დაეშვა მეშვიდე ადგილზე (2,9%), დაუთმო რა სამხრეთ კორეას, იაპონიას, შვედეთს, ავსტრიას და დანიას [Бурнаева Е., 2017; uz: Gross ..., 2015].

ამასთან ერთად, ეთგო-ს ექსპერტებმა შუალედურ მოხსენებაში ყურადღება გაამახვილეს ფინეთის ინოვაციური სისტემის თანამედროვე მოდელის ნაკლოვანებებზე და ჩამოაყალიბეს რეკომენდაციები მისი ეფექტიანი ფუნქციონირების თაობაზე.

ეთგო-ს დასკვნის მიხედვით, ძირითად პრობლემას წარმოადგენს კომპანიების სუსტი ინოვაციური საქმიანობა და სახელმწიფოს მხრიდან მისი არასაკმარისი მხარდაჭერა სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომლებშიც ეკონომიკური ზრდა ეყრდნობა სწორედ საწარმოების მკსსს-ს. თუ 2000-2010 წლებში მრეწველობაზე მოდიოდა ფინეთში მკსსს-ს დაფინანსების 70%-ზე მეტი (მაქსიმალური 74,8% იყო 2008 წელს), 2015 წლისათვის ის დაქვეითდა 54,8%-მდე. ამასთან, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის აღდგენისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდისათვის ფინეთს ესაჭიროება მაღალტექნოლოგიური ექსპორტისა და ინოვაციური მეწარმეობის სექტორები. ეს ასევე ეხება ტრადიციული დარგების კომპანიებსაც (მაგალითად, ტყე-ქაღალდის მრეწველობას), რომლებსაც გლობალურ დონეზე უნდა ჰქონდეთ კონკურირების შესაძლებლობა. ექსპერტიზის მაღალი დონე და ახალი ტექნოლოგიები გამოყენებული უნდა იყოს უფრო ეფექტიანად, ვიდრე ადრე, იმისათვის, რომ იწარმოოს ისეთი ინოვაციები, რომლებსაც შეუძლიათ საბაზრო ზრდის მომატება [Бурнаева Е., 2017].

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ფინეთის ეროვნული ინოვაციური სისტემა უნდა ვითარდებოდეს როგორც ერთიანი მთლიანობა მისი ყველა მონაწილის ურთიერთქმედებაში. ყურადღება უნდა მიექცეს სისტემის საერთო მართვის განმტკიცებას და სამეცნიერო და საქმიან საზოგადოებებს შორის ურთიერთქმედების გაძლიერებას [Бурнаева Е., 2017].

ეთგო-ში თვლიან, რომ მკსსს-ის სახელმწიფო დაფინანსება მეტწილად მიმართული უნდა იყოს საწარმოების ინოვაციურ საქმიანობაზე. რეკომენდებულია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ახალი მოდელების განვითარება. ასევე უნდა გავრძელდეს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რეფორმირება და მეცნიერულ-კვლევითი ქვედანაყოფების გამსხვილება. ისეთი მექანიზმები, როგორცაა მოწინავე გამოცდილების ცენტრები, გამოყენებული უნდა იყოს იმისათვის, რომ წახალისდეს აკადემიურ დონეზე ინიცირებული და მრეწველობაზე ორიენტირებული გამოკვლევები, ასევე მეცნიერებისა და ბიზნესის ერთობლივი გეგმები [Бурнаева Е., 2017].

ფინეთის გამოცდილებიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ძირითადი დასკვნები: 1. ფინეთის ეის-ის ფორმირება კარგა ხნის

წინ დაიწყო და 2008 წლამდე შედარებით გამართულად მუშაობდა. 2008 წლიდან მშპ-ის დაცემა და ფინურ ექსპორტში მაღალი დამატებული ღირებულების მქონე საქონლის წილის შემცირება ბევრად იყო განპირობებული როგორც ძირითადი, ასევე ინოვაციების შემშუშავებელი წარმოებების გადატანით სხვა ქვეყნებში. საფრანგეთისგან განსხვავებით, სადაც ძირითადი წარმოების გადატანა საზღვარგარეთ განპირობებული იყო ქვეყნის შიგნით მაღალი გადასახადებით და ხელფასებზე მაღალი დანახარჯებით, ფინეთიდან ძირითადი წარმოების გადატანა უმეტესწილად ხდებოდა იმ ქვეყნებში, სადაც გარანტირებული იყო პროდუქციის მაღალი გასაღება, ინოვაციური სისტემების გადატანა კი სხვა ქვეყნებში გამართლებული იყო მოგების მიღებით ინოვაციების გაყიდვისაგან. ამის შედეგად ამ ქვეყნებში დაიწყო შესაბამისი პროდუქციის წარმოება და ფინეთიდან ანალოგიური პროდუქციის იმპორტი შეწყდა, რამაც ნეგატიური გავლენა მოახდინა ფინეთის ექსპორტის სტრუქტურაზე. **2.** ფინეთის ინოვაციური სისტემის მუშაობის მკვეთრი გაუარესება ბევრად იყო განპირობებული მისი ზომაგადასული უზარმაზარობით და, ამავდროულად, დაქსაქსულობით, ამასთანავე, ინოვაციების შემშუშავების სისტემებსა და საბოლოო პროდუქტის მწარმოებელ კომპანიებს შორის არასაკმარისად მკვეთრი კოორდინაციით. ამასთან, მცირე ქვეყანაში შეუძლებელია ბევრი “გარღვევითი” ინოვაციის შექმნა (არაა შესაძლებელი ამისათვის საჭირო საკმარისი რაოდენობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა, შემშუშავებისათვის საჭირო ინფორმაციის სხვა ქვეყნებიდან უსასყიდლოდ მიღება). ამიტომ, როგორც აღნიშნეს ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ექსპერტებმა, ამჟამად საჭიროა ფინეთის ეის-ის სიღრმისეული ტრანსფორმაცია. **3.** ამასთან ერთად, ფინური ეის-ის ფუნქციონირების წინამავალი გამოცდილებიდან საჭიროა ყურადღების მიქცევა ინოვაციური პროცესის მონაწილეებს შორის ურთიერთქმედების ზოგიერთ წარმატებით გამოყენებულ მექანიზმზე, მაგალითად, ბიზნესდამახჩარებლების (რომლებიც კერძო კომპანიებია) სტარტაპ-კომპანიებთან ურთიერთქმედების მექანიზმზე, რომლის პირობებში ბიზნესდამახჩარებლები სტარტაპ-კომპანიების არა კონკურენტები, არამედ ინვესტორები

არიან და ამიტომ კომერციულად დაინტერესებულნი მათ ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

დასკვნა

დასკვნაში მოკლედ შევაჯამოთ, თუ რისი ადგბა შეუძლია საქართველოს განხილული ქვეყნების გამოცდილებიდან ეის-ის წარმატებითი ფორმირებისათვის.

ქვეყანაში, რომელიც ეის-ის ფორმირებას პრაქტიკულად ნულოვანი დონიდან იწყებს, შეუძლებელია წარმატებული ინოვაციური პოლიტიკის გატარება სახელმწიფო დირიჟიზმის გაძლიერების გარეშე. კერძოდ, ეს უნდა განხორციელდეს არა მარტო რეგულირების ინსტრუმენტების მეშვეობით, არამედ მთავრობის მხრიდან ბიზნესის წარმომადგენლებთან შეთანხმებების დადებითაც. ასე მაგალითად, სამხრეთკორეული რეფორმების “მამამ” პრეზიდენტმა პაკ ჩონ ხიმ ცალკეულ ბიზნესმენებს (რომლებიც მუშაობდნენ ძირითადად ვაჭრობის სფეროში) დაუსვა ამოცანა, რომ მათ ხელი მოეკიდათ სულ სხვა ბიზნესისათვისაც (მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა, მაგნიტოფონები და ტელევიზორები, საყოფაცხოვრებო ქიმია, მსუბუქი მრეწველობა) და, ამასთან, დაპირდა მათ, რომ გაუწევდა საფინანსო და სხვა სახის მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან [Kopeйckoe ..., 2008]. შეიქმნა “ჩებოლები” (საფინანსო სამრეწველო ჯგუფები) და შედარებით მოკლე ვადებში გაჩნდა ბევრი მსხვილი უპირატესად ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება. სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთქმედების ასეთი მექანიზმი მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს საქართველოშიც.

ასევე დავამატებთ, რომ საქართველოში ინოვაციური პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავების საპირველრიგო ამოცანა უნდა გახდეს სამრეწველო და ინოვაციური საქმიანობის რეგიონული ცენტრების პროექტირების საკითხი, რომელთა სტრუქტურირება, ჩვენი აზრით, უნდა ხდებოდეს ფრანგული კონკურენტუნარიანობის პოლუსების მსგავსად.

განხილული ქვეყნების გამოცდილებიდან შეიძლება ზოგიერთი სხვა მექანიზმის გადმოღებაც: საჭიროა, სამხრეთ კორეის მსგავსად, ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების შექმნა მრავალდარგობრივი კონგლომერატების ორგანიზაციისა და მათ შემა-

დგენლობაში შემავალ საწარმოებში ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის, ასევე საჭიროა ახალი ინოვაციური (მათ შორის ვენჩურული) საწარმოების შექმნა; საჭიროა ინოვაციების სესხების ხერხების გადმოღება: ლიცენზიებისა და ნოუ-ჰაუების შექმნა, უცხოური ფირმებისათვის ახალი საწარმოების მშენებლობის შეკვეთა და მათ მიერ ადგილობრივი მეწარმეებისათვის მზა ობიექტების ჩაბარება; ინოვაციური საქმიანობისა და საწარმოების ინოვაციური განახლების სახელმწიფო დაფინანსების სფეროში საჭიროა, საფრანგეთის მსგავსად, საერთოეროვნული სახელმწიფო ფონდისა და სხვა (FSI, FUI, ANR, CDC, OSEO) მსგავსი ორგანიზაციების შექმნა მათი საქმიანობის შესაბამისი რეგლამენტაციით; ინოვაციური საქმიანობის საგარეო დაფინანსების სფეროში, კერძოდ, მცირე ევროპული ქვეყნების მსგავსად, საჭიროა შესაბამისი ურთიერთობების დამყარება გარკვეულ ტრანსეროვნულ კორპორაციებთან იმ მიზნით, რომ მოხდეს მათი დაინტერესება გრანტების გამოყოფაში ქვეყნის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ინოვაციური შემუშავებების დასაფინანსებლად, ასევე – ამ ტრანსეროვნულ კორპორაციებთან ურთიერთობების დამყარება ერთობლივი ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის; ამის გარდა, უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივად მეცნიერებატევადი ინოვაციური წარმოებების (საწარმოების) ორგანიზაცია თავისთავად გულისხმობს მათ წილობრივ მონაწილეობას ამ წარმოებების მშენებლობის დაფინანსებაში; ფინეთის გამოცდილებიდან შეიძლება ავითვისოთ ინვესტორების მხრიდან დამწყებ და ზრდის სტადიაზე მყოფი ახალი კომპანიების ფინანსური და კონსალტინგური მხარდაჭერის მექანიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abesadze R., Burduli V. 2009, Innovative Activities and Their Coordination under Advancing Globalization. J.: The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 3. Issue 4. CA&CC Press. SWEDEN, 2009. P. 68-79. – Электронный ресурс:
<http://cyberleninka.ru/article/n/innovative-activities-and-their-coordination-under-advancing-globalization>

2. Gross Domestic Spending on R&D, % of GDP (2015). – Электронный ресурс: <http://www.compareyourcountry.org/science-and-technology>

3. Абдурасулова Д., 2009, Промышленная политика Южной Кореи.16.02.2009. – Электронный ресурс: <http://instituciones.com/industry/897-promyshlennaya-politika-yuzhnoj-korei.html>

4. Абесадзе Р., 2016, Инновации, инновационные сети и общие направления формирования инновационной экономики в Грузии. – В сборнике: PRZEDSIĘBIORSTWO W STRUKTURACH SIĘCI. Lublin, Wydawnictwo KUL.

5. Авдокушин Е.Ф., 2010, Национальная инновационная система Японии. – Ж.: Вопросы новой экономики, № 4 (16).

6. Бурнаева Е. М. Финляндии необходимо новое видение национальной инновационной политики (ИМЭМО). 02.03.2017. – Электронный ресурс: http://www.imemo.ru/index.php?page_id=502&id=2959

7. Глобальная трансформация инновационных систем. Под ред. Н.И.Ивановой, М., ИМЭМО РАН, 2010.

8. Инновационная система Финляндии. 31.07.2014. – Электронный ресурс: www.rusfintrade.ru/files/article/3221/20140731_1.doc

9. Зверев А.В. Формирование национальной инновационной системы: мировой опыт и российские перспективы. Автореферат диссертации д.э.н. М., 2009. – Электронный ресурс: <http://dissers.ru/avtoreferati-dissertatsii-ekonomika/a840.php>.

10. Ицковиц Г., 2011, Модель тройной спирали. – Ж.: Инновационная Россия, №4.

11. Калугина Е. Ю., 2010. Промышленная политика Франции. В сборнике: Промышленная политика европейских стран (Институт Европы РАН). М., 2010. – Электронный ресурс: [ieras.ru/doclad/259/259-1%20\(1\).doc](http://ieras.ru/doclad/259/259-1%20(1).doc)

12. Катуков Д.Д., Малыгин В.Е., Смородинская Н.В. 2012. Институциональная среда глобализированной экономики: развитие сетевых взаимодействий. М., Институт экономики, 2012.

13. Кондратьев Владимир (ИМЭМО РАН), 2014, Свежее дыхание промышленной политики. – Электронный ресурс: http://www.perspektivy.info/rus/ekob/svezheje_dyhanije_promyshlennoj_politiki_2014-05-22.htm

14. Корейское чудо – уроки для России. 20.03.2008. – Электронный ресурс: <http://www.contrtv.ru/common/2641/>

15. Мальцева А. А., Кархунен П. Феномен Финляндии: развитие инфраструктуры генерации и трансфера инноваций как фактор экономического роста. Ж.: Контурь глобальных трансформаций: политика, экономика, право. Выпуск №6 (26), Том 5, 2012. Электронный ресурс: <http://cyberleninka.ru/article/n/fenomen-finlyandii-razvitie-infrastruktury-generatsii-i-transfera-innovatsiy-kak-faktor-ekonomicheskogo-rosta>

16. Модели формирования национальных инновационных систем. 13.09.2013. – Электронный ресурс: http://kapital-rus.ru/articles/article/modeli_formirovaniya_nacionalnyh_innovacionnyh_sistem/#

17. Национальные инновационные системы в России и ЕС, 2006. М.: ЦИПРАН РАН. Под редакцией: Иванова В. В. (Россия), Ивановой Н. И. (Россия), Розебума Й (Нидерланды), Хайсберса Х. (Нидерланды).

18. Национальные инновационные системы крупных западноевропейских стран (Великобритания, Германия, Франция, Италия). Минск, 2015. – Электронный ресурс: http://knowledge.allbest.ru/economy/2c0a65635b2ac69b4d43b89421316d36_1.html

19. Радченко А. Инновационная система Финляндии. – Ж.: Научная жизнь, №1 (16), 2011. – Электронный ресурс: <http://www.mirec.ru/2011-01/innovacionnaya-sistema-finlyandii>

20. Селезнев П. С., 2014, Инновационная политика современного государства: стратегии, модели, практика. Диссертация на соискание ученой степени д. п. н. Москва, 2014. Электронный ресурс: <http://www.library.fa.ru/files/Seleznev.pdf>

21. Соловьева Ю., 2015, Формирование и развитие системы трансфера технологий в России и за рубежом. – Ж.: Вопросы экономики. 2015, №4.

22. Соснов Ф. Г. Роль Франции в процессе инновационного развития Европейского Союза на современном этапе. – Ж.: Известия Тульского государственного университета. Экономические и юридические науки. 2011, №1-2. – Электронный ресурс: <http://cyberleninka.ru/article/n/rol-frantsii-v-protsesse-innovatsionnogo-razvitiya-evropeyskogo-soyuza-na-sovremennom-etape-1>

23. Справка о международном опыте инновационного развития, 2011. Министерство экономического развития Российской Федерации. Департамент координации, развития и регулирования внешнеэкономической деятельности. Электронный ресурс:

http://economy.gov.ru/minec/about/structure/depsvod/doc20110407_02

24. Черноуцан Е. М., 2010. Полюса конкурентоспособности как инструмент реализации инновационной политики Франции в условиях глобализации. – В сб.: Глобальная трансформация инновационных систем. Под ред. Н.И.Ивановой, М., ИМЭМО РАН, 2010. – Электронный ресурс: <http://www.imemo.ru/files/File/ru/publ/2010/10022.pdf>

Vakhtang Burduli

PECULIARITIES OF THE TRANSFORMATION OF NATIONAL INNOVATION SYSTEMS IN SOME DEVELOPED COUNTRIES

Summary

The work briefly characterizes the main models of national innovation systems (NIS) used in the world. The specifics of the formation and subsequent transformation of NIS in three developed countries - France, South Korea and Finland - are discussed. The main characteristic aspects of the transformation of their NIS are identified and formulated. With this in mind, the elements and economic mechanisms of the NIS of these countries are briefly presented, which should be used in the currently formed NIS of Georgia.

ქეთევან ქველაძე

ინოვაციური სისტემის ფორმირება და განვითარება ევროკავშირის ტერიტორიაში

ანოტაცია. თანამედროვე ტერიტორიის განვითარება დიდწილად დამოკიდებულია იმ ინოვაციების შემუშავებასა და დანერგვაზე, რომლებიც მიმართულია მომხმარებლების მომსახურების სრულყოფასა და ტურისტული სერვისების შესაძლებლობების გაფართოებისაკენ. ინოვაციები ტერიტორიის სფეროში შეიძლება საფუძვლად დაედოს არა მარტო მოცემული დარგის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი, როგორც ტერიტორიის ინოვაციური სის-

ტემების განვითარების საშუალება, განისაზღვრება ტურისტული ინფრასტრუქტურის, საერთაშორისო და შიდა კომუნიკაციების განვითარების დონით, სატრანსპორტო საშუალებების სრულყოფით და ა.შ.

სტატიაში განხილულია ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის ტურიზმის ინოვაციური სისტემა და შესწავლილია მისი ის ძირითადი ასპექტები და თავისებურებანი, რომელიც დამახასიათებელია ევროკავშირის ინოვაციური სისტემისათვის. გამოვლენილია, რომ ევროკავშირის ტურისტული ინდუსტრიის ინოვაციური სისტემების განვითარება მეტად რთული პროცესია, სადაც ჩართულია როგორც მომსახურების მიმღები მოქალაქეები, ასევე მართვის სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე ის ტურისტული ფირმები და ტურიზმის ინდუსტრიის ის საწარმოები, რომელთა საქმიანობა რეგლამენტირებულია ტურისტული და ინოვაციური საქმიანობის დარგში არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით. შესწავლილია ტურისტული ინოვაციური სისტემის ის ძირითადი სტრუქტურული ელემენტები, კლასტერები, რომლებიც განაპირობებენ მის წარმატებულ განვითარებას. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინოვაციური განვითარების ტენდენციები უშუალო გავლენას ახდენს ევროკავშირის ტურისტული ბაზრის ორგანიზებასა და ტურიზმის სფეროში ინოვაციური სისტემების დანერგვის პროცესზე.

* * *

XXI საუკუნეში ტურიზმი იქცა მსოფლიოს უმეტესი სახელმწიფოებისა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად. თანამედროვე ტურიზმის განვითარება მეტწილად დამოკიდებულია იმ ინოვაციების შემუშავებასა და დანერგვაზე, რომლებიც მიმართულია მომხმარებლების მომსახურების სრულყოფასა და ტურისტული სერვისების შესაძლებლობების გაფართოებისაკენ. ინოვაციები ტურიზმის სფეროში შეიძლება საფუძვლად დაედოს არა მარტო მოცემული დარგის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ცხოვრების დონის ამაღლებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

მსოფლიო ეკონომიკის მზარდი მოთხოვნები იწვევს საერთაშორისო, უფრო მეტად კი საქმიანი, კონტაქტების ზრდას. საქმიანი ადამიანების, ბიზნესმენების მოგზაურობათა პროგრამაში ძალიან ხშირად შედის სამეცნიერო ცენტრების, სხვადასხვა სამრეწველო საწარმოების მონახულება, რათა ადგილზე გაეცნონ იქ არსებულ ტექნიკურ მიღწევებსა და გამოცდილებას საკუთარი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, სადაც ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი, როგორც ტურიზმის ინოვაციური სისტემების განვითარების საშუალება, განისაზღვრება ტურისტული ინფრასტრუქტურის, საერთაშორისო და შიდა კომუნიკაციების განვითარების დონით, სატრანსპორტო საშუალებების სრულყოფით და ა.შ.

ტურიზმის სფეროში ინოვაციებისა და ინოვაციური სისტემების დანერგვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ ტურისტული საქმიანობა არის არა მარტო მოცემულ რეგიონში მოგზაურობების ორგანიზება, არამედ ასევე წარმოადგენს ამ რეგიონისთვის შემოსავლების წყაროს, რადგანაც ხელს უწყობს მეზობელი სექტორების დესტინაციების ეკონომიკის განვითარებას. დესტინაციების განვითარების მიზნით რესტრუქტურისაციის პროცესში გაჩნდა ტურიზმის განვითარებისადმი სისტემური მიდგომა, რასაც ქვეყნები ინოვაციების გზით ახორციელებენ. მაგ., **ესპანეთის** ტურისტული დარგი, რომელიც დღეისთვის დიდწილად დამოკიდებულია საზღვაო კურორტების მიმზიდველობაზე, ცდილობს ეროვნული კულტურული რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას. კულტურის და ისტორიული მემკვიდრეობის გამოყენების კარგი მაგალითია ქვეყანაში შექმნილი ოტელების სახელმწიფო სისტემა araderes („ფუნდუკი“), რომლის ანალოგიური მსოფლიოში არ არსებობს. ამ ინოვაციური სისტემის წევრი 86 ოტელიდან უმეტესობა განლაგებულია ესპანელი გრანდების უძველეს მონასტრებში, ციხე-სიმაგრეებში, ესპანელი გრანდების სასახლეებში. სერვისის და მომსახურების დონით ისინი უტოლდებიან ევროპის საუკეთესო ოტელებს. ამგვარ ოტელებში, ტურისტების განთავსების მიხედვით, შემუშავებულია საინტერესო მარშრუტები, რომლებიც საშუალებას იძლევა, მომხმარებელი გაეცნოს ქვეყნის სხვადასხვა ოლქის ისტორიას, წეს-ჩვეულებებს, სამზარეულოს.

ბევრ ქვეყანაში იქმნება სპეციალური ეროვნული ორგანიზაციები ტურიზმის სხვადასხვა სახის ინოვაციური სისტემების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით, რადგანაც უკვე ყველას ესმის, რომ სწორედ ინოვაციური აქტივობა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორს. მსგავსი ორგანიზაციები არსებობს დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, პოლონეთში და ბევრ სხვა ქვეყანაში.

ზოგადად, ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გავრცელებულია ეროვნული ტურისტული ადმინისტრაციების (HTA) ფორმირების პრაქტიკა, რომლებიც აყალიბებენ ტურიზმის განვითარების ეროვნულ პროგრამებს. მისი ძირითადი ამოცანაა ახალი ტურისტული პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე გატანა. ისინი, როგორც წესი, ეროვნული ტურისტული ადმინისტრაციების (HTA) პირდაპირ დაქვემდებარებაშია შესაბამისი პროფილის სამინისტროსთან (ეკონომიკის სამინისტრო, ტურიზმის სამინისტრო და სხვა), რომელიც ახორციელებს HTA-ს საქმიანობის კოორდინაციას, რომლებიც თავის მხრივ ასტიმულირებენ ტურიზმის სფეროში სხვადასხვა სახის ინოვაციური სისტემების დანერგვას.

ამ მხრივ სანიმუშოა ფინეთის მაგალითი, სადაც სახელმწიფო ორგანიზაცია „ტურიზმის საბჭო“-მ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

2011 წლიდან მოყოლებული, ფინეთმა დაიწყო მონაცემთა ეროვნული ბაზის, როგორც მომსახურების ერთ-ერთი ფორმის წარდგენა. ეს ბაზა აერთიანებს უამრავ ფაილს ღირსშესანიშნაობების, განთავსების საშუალებების, სხვადასხვა მოვლენების, ტურებისა და ექსკურსიების, ტურისტული ბიუროების ტელეფონების ნომრების შესახებ. ამ ინოვაციურმა მიდგომამ გამოიწვია პარტნიორული ურთიერთობების გაფართოება და გააჩინა პერსპექტივები ტურიზმის სექტორში თავისი ინფორმაციის მთელ მსოფლიოში გავრცელებისათვის, რამაც ძალიან მოკლე ხანში ფინეთი აქცია ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტურისტულ რეგიონად.

ტურისტული ინდუსტრიის ინოვაციური განვითარება მეტად რთული პროცესია, სადაც ჩართულია როგორც მომსახურების მიმღები მოქალაქეები, ასევე მართვის სახელმწიფო ორგანოები,

ასევე ის ტურისტული ფორმები და ტურინდუსტრიის ის საწარმოები, რომელთა საქმიანობა რეგლამენტირებულია ტურისტული და ინოვაციური საქმიანობის დარგში არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით. ტურისტული ბაზრის განვითარების დინამიკა განაპირობებს ტურიზმის სახელმწიფო ხელშეწყობის დარგში საკანონმდებლო აქტების მუდმივ სრულყოფას. ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში ხდება ტურიზმის მართვის ორგანიზაციული ფორმებისა და ტურისტული საქონლის ბაზარზე გატანის მეთოდების ევოლუცია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ევროპაში არცთუ ისე სწრაფად მიმდინარეობს. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ნათელია: ძალიან დიდი ხანი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ჩაკეტილები იყვნენ სოციალური ბანაკის ტურიტული ბაზრის ფარგლებში. ეს „ჩაკეტილობა“, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებდა ტურისტული ნაკადის მოცულობაზე, გეოგრაფიაზე, ინფრასტრუქტურაზე, ტურისტულ ინდუსტრიაზე მთლიანად. პრაქტიკულად, ყველა ეს ქვეყანა სოციალური სისტემის რღვევის შემდეგ ერთნაირი პრობლემების, ევროპულ ბაზარზე თავისი ტურისტული საქონლის დაბალი კონკურენტუნარიანობის წინაშე აღმოჩნდა. საბაზო ეკონომიკაზე გადასვლამ მოითხოვა ამ ქვეყნებში ტურისტული დარგის სტრუქტურული ცვლილებები, რისი მოგვარებაც თითოეულმა მათგანმა თავისებურად სცადა. დღეისათვის ტურისტული მომსახურების ბაზარი ამ ქვეყნებში თავისუფალია და კონკურენციის პირობებში ფუნქციონირებს. როგორც წესი, სახელმწიფო პირდაპირ არ ერევა ტურისტული ბიზნესის სუბიექტების საქმიანობაში, არაპირდაპირ კი ახდენს გავლენას გადასახადების მეშვეობით. მაგ., უნგრეთში მთავრობამ ტურიზმი სცნო ეკონომიკის სტრატეგიულ მიმართულებად (აქ იგი მშპ-ის 10%-ს იძლევა; დარგში დასაქმებულია 250 ათ. ადამიანი). დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა სლოვაკეთში, პოლონეთში, რუმინეთში.

ნებისმიერი კონკრეტული რაიონის შესწავლა აქ ინოვაციური ტურისტული სისტემების დანერგვისა და განვითარების მიზნით უნდა დაიწყოს ტურიზმის იმ სახეობათა დადგენით, რომლებიც ყველაზე მისადაგებული იქნება ამ რაიონის სპეციფიკისადმი. არსებობს ტურიზმის შემდეგი სახეობები:

რეკრეაციული – დაკავშირებულია მოქალაქეთა მკურნალობასთან. განსხვავება სხვა სახეობებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ იგი მჭიდროდ უკავშირდება საავიაციო ტრანსპორტს, განსაკუთრებით ჩარტერულ მგზავრობას. რეკრეაციული ტურიზმის ცენტრები ევროპაში შემდეგია: კარლოვი ვარი, მარინსკი ლანზი, ტეპლიცე (ჩეხეთი), თერმული წყლები (იტალია), ჰევიზე (უნგრეთი) და ა.შ.

საექსკურსო - უმეტესწილად შემეცნებითი მიზნით, ანუ კონკრეტული რაიმე ღირსშესანიშნაობის მონახულების მიზნით;

სამეცნიერო – სამეცნიერო-საქმიან კონგრესებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში და მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით;

საქმიანი – ბიზნესტურები საქმიანი შეხვედრების მიზნით;

ეთნიკური – ნათესავების ან წინაპრების სამშობლოს მონახულების მიზნით;

სათაუგადასავლო - გართობის განსაკუთრებულ სახეობათა მიღების მიზნით;

სპორტული – სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების ჩატარების მიზნით.

სასწავლო – ძირითადად უცხო ენების შესწავლის მიზნით;

რელიგიური ან მომლოცველობითი – სხვადასხვა რელიგიური წმინდა ადგილების მონახულებისა და მოლოცვის მიზნით;

ჰობი-ტურიზმი – განსაკუთრებული ჰობის განხორციელების მიზნით (მაგ., საჰაერო ბუშტით მოგზაურობა და სხვ);

შოპინგ-ტურიზმი – სხვადასხვა ნივთების შესაძენად და მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

დღეისათვის ძალიან პოპულარულია ინოვაციური ტურიზმის ისეთი სახეობები, როგორცაა ეკოლოგიური, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, რომანტიკული, კულინარიული, სასოფლო, კოსმიური, ასევე ტურიზმი ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის, აგრეთვე ბავშვებისათვის არდადეგების პერიოდის ტურიზმი.

ბაზარზე ინოვაციური ტურიზმის მომსახურებთა ახალი სახეობების გაჩენა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, მაგ.: ინოვაციურ სისტემას ტურიზმის დარგში იდეალურ შემთხვევაში უნდა გააჩნდეს სპეციალური ინოვაციური ინფრა-

სტრუქტურა (ეროვნული პარკები, კულტურული გასართობი ცენტრები, თანამედროვე ოტელები, სასტუმროები, ქალაქგარე კლუბები, გზები, ტრანსპორტი და სხვ). ტელეკომუნიკაციების, ქსელური გაერთიანებების მონაცემთა ბაზების შექმნის, გადა-მუშავებისა და ელექტრონული მარკეტინგის სფეროში უახლესი მიღწევები უზრუნველყოფს ტურისტული ბიზნესისათვის ახალ შესაძლებლობებს და მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ტრადიციული ბიზნესის მოდულებზე. ამიტომ ტურიზმში ცვლილებებისა და ინოვაციების გამოყენების ძირითადი სფერო სწორედ ICT (information and communication technologies) ტექნოლოგიებია. ბევრი ქვეყნის ინოვაციური ინფრასტრუქტურის ძირითად ელემენტს წარმოადგენს ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემები. ეს სისტემები ემყარება ინოვაციური საქმიანობის შედეგებისა და სუბიექტების შესახებ არსებული უამრავი ინფორმაციის მონაცემთა ბაზას, მათ შორის ინფორმაციას ინოვაციურ საქონელზე, მომსახურებაზე, ტექნოლოგიებზე და ა.შ.

ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები ტურისტულ საქონელს განსაკუთრებულ ფასს სძენს და ხელს უწყობს ჯაჭვებისა და კლასტერების განვითარებას. ამ ელემენტის წარმატებული ფუნქციონირების მაგალითებია ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემები ARIST, CORDIS, EPIPOS. ტელეკომუნიკაციური სისტემების მონაწილეები არიან – კავშირგაბმულობის ოპერატორები; – ინფორმაციის მიმწოდებლები (საინფორმაციო პორტალები, სერვისები) – მომხმარებლები.

თანამედროვე ინოვაციური ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემები ფაქტობრივად შლის საზღვრებს. ტრადიციული ტუროპერატორების, ტურსააგენტოების ადგილს დღეს იკავებენ ე.წ. ვირტუალური შუამავლები -ავიაკომპანიების, ტურისტული ფირმების, სისტემების, სავაჭრო აგენტების და ა.შ. საიტები. უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება აადვილებს პირდაპირი კონტაქტის დამყარებას მწარმოებელსა (სასტუმრო, ავიაგადამყვანები) და მომხმარებელს შორის, რაც ტურისტულ კომპანიებს იძულებულს ხდის, გამოიყენონ ინოვაციური მეთოდები თავიანთი კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად. უახლესი ტექნოლოგიების დანერ-

გვამ ტურიზმის დარგში გამოიწვია ახალი ტერმინების გაჩენა: ტურისტული ინფორმაციული სისტემა, E-ტურიზმი, E-მოგზაურობა.

E-ტურიზმი – ეს არის ონლაინ მომსახურება, რომელიც ახორციელებს არაპირდაპირი ტურისტული საქონლის შესყიდვებს.

E-მოგზაურობა – ონლაინ მომსახურება, რომელიც მოიცავს მთელ სიახლეებს მოგზაურობათა შესახებ.

არსებობს ტურის დინამიური შედგენა, ანუ დინამიური პაკეტიზაცია (Dynamic Packaging), რომელიც საშუალებას იძლევა, რეალურ დროში შედგეს მოგზაურობის გეგმა, სრული ჯაჭვი ავიატარიფების, ავტომანქანების დაქირავების, თავისუფალი დროის ორგანიზებისა და მომხმარებლების სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით. ამ სახის ტურების ორგანიზებამ გამოიწვია ერთ პაკეტში გაერთიანებულ მომსახურებათა გაყიდვების მუდმივი ზრდის ტენდენცია.

დღეისათვის მსოფლიოში არსებობს ალიანსი OTA (The Travel Industry's Leading Specifications Publication Organization), რომელშიც შედის 150 ტურისტული ორგანიზაცია ყველა სფეროდან. ალიანსი არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობს ერთიანი ელექტრონული ლექსიკონის შექმნაზე. ახლახან OTA-მ მსოფლიო ტურიტულ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება ერთიანი ენის შესაქმნელად საერთო ძალისხმევის გაწევის შესახებ.

ტურისტულ მომსახურებათა მიმწოდებლები გამოიყენებენ მთელ რიგ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს თანამგზავრების მეშვეობით, რომლის შედეგად შესაძლებელი ხდება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ამომწურავი ინფორმაციის შეუფერხებლად მიღება, მაგ., იქ მიმდინარე კონფერენციის, შეხვედრის შესახებ; ჩართვა ამ ღონისძიების მიმდინარეობაში ტელეფონის, ვიდეო საშუალებების დახმარებით და სხვ. ინფორმაციული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ავიაკომპანიების საქმიანობასაც – ელექტრონული სისტემები ეხმარება მარშრუტების დაგეგმვის, განრიგის შედგენის და კონტროლის პროცესში, საბუღალტრო აღრიცხვისას და ა.შ.

ბოლო დროს გაჩნდა ე.წ. „იაფი“ ავიაგადამყვანი LCC (LOW-COST CARRIERS). ისინი გათვლილია მოკლე დისტანციებზე და იყენებენ დაბალ ტარიფებს. ამის გამო მეტად მომგებიანია

მომხმარებლისათვის და წარმატებით გამოიყენება პოპულარული მიმართულებებით.

2005 წლისათვის მათი რიცხვი იყო 150 (მაგ., ირლანდიური - Ryanair, ჰოლანდიური - buzz, ინგლისური - Go и EasyJet და სხვ.), ხოლო მარშუტების რიცხვი, რომლებსაც ისინი ემსახურებოდნენ – 1000-ზე მეტი. დღეს ამ სახის კომპანიებით სარგებლობს მგზავრების 20%. ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ავიაგადაყვანების ბაზრის ლიბერალიზაციის შესახებ, რამაც იმპულსი მისცა „იაფი“ გადაყვანების ზრდას. მაგ., დაბალბიუჯეტიანმა ავიაკომპანიებმა მომხმარებელი დააკარგინა მსხვილ ავიაკომპანიებს, განსაკუთრებით ის სეგმენტი, რომელიც ევროპის ქალაქებში შაბათ-კვირის განმავლობაში მიემგზავრება. ბილეთების შექენა შესაძლებელია ინტერნეტით, რაც მომხმარებელს დროისა და შუამავალი სააგენტოების მომსახურების გადასახადი თანხის დაზოგვაშიც ეხმარება. ბოლო რვა წლის განმავლობაში Airbnb (ონლაინ ბაზარი და სასტუმროების სერვისი) გლობალური ბაზრის სერიოზული მოთამაშე გახდა. ის, ვინც ადრე სასტუმროში ჩერდებოდა, დღეს არჩევს კომფორტულ აპარტამენტში გაჩერებას 50-60 ევროს ფარგლებში, რაც სასტუმრო ნომრებზე გაცილებით იაფია.

2015 წელს ავიაციის გლობალურმა ქსელმა 3,5 მლრდ მგზავრი გადაიყვანა, 2030 წლისთვის ეს ციფრი თითქმის გაორმაგდება. იაფი გადაყვანები LCC (LOW-COST CARRIERS) დიდ როლს ასრულებენ ავიაციის ამ ექსტრაორდინალურ გაფართოებაში, მათ 2015 წელს გადაიყვანეს 984 მლნ მგზავრი, რამაც მსოფლიო რაოდენობის 28% შეადგინა, რაც 2014 წელთან შედარებით 10%-ით გაიზარდა. ევროპის მასშტაბით ისინი რეგულარულად ასრულებენ რეისების 41%-ს, აზიაში – 23%-ს, ხოლო აფრიკის რეგიონში მხოლოდ 9%.

ავიატრანსპორტთან წარმატებით კონკურირებს რკინიგზა, განსაკუთრებით მოკლე დისტანციებზე (700კმ-მდე). ამას ხელს უწყობს მაღალჩქაროსნული მაგისტრალების განვითარება, რომელიც ავიაკომპანიების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხს არაფრით ჩამოუვარდება. პირველი ასეთი მაგისტრალი გაჩნდა იაპონიაში 1965 წელს, რომელმაც შეაერთა ტოკიო და ოსაკა, ევროპაში იყო პარიზი-ლიონის მაგისტრალი (1981), 1989 წელს 15

ევროპულმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ევროპის ერთიანი მაღალჩქაროსნული სარკინიგზო ქსელის შექმნის შესახებ. ათი წლის განმავლობაში (1991-2000) მხოლოდ საფრანგეთში აშენდა 2000 კმ ჩქაროსნული რკინიგზა, რომლებზეც მატარებლები 300კმ/სთ სიჩქარით მოძრაობენ. ლონდონიდან მარსელში ჩასვლა ლა-მანშის გვირაბში გასვლით 6,5 სთ-ში შეიძლება. ასეთივე მატარებლები არსებობს გერმანიაში, იტალიაში, ბელგიასა და ესპანეთში. იტალიური რკინიგზის მატარებლები რომს ფლორენციასთან და მილანთან აკავშირებენ, ისინი უკვე ორი ათწლეულია ამ ხაზით მოძრაობენ. მატარებლების მაქსიმალური სიჩქარეა 300 კმ//საათში. ესპანეთში ჩქაროსნული მატარებლის AVE - "მადრიდი-ბარსელონა" როდესაც გაუშვეს, ესპანური ავიახაზის მგზავრობის ტარიფი 20%-ით დაეცა. ამჟამად ეს მატარებელი დადის ვალენსიასა და სევილიაშიც. ამის შედეგია ის, რომ სარკინიგზო მგზავრების რაოდენობა საავიაციოს 8-9-ჯერ ჭარბობს. 2010 წლისთვის ჩქაროსნული სარკინიგზო ტრანსპორტის წილი მოგზაურობათა 23%-ს, ხოლო საავიაციო – 20%-ს მოიცავს. 2015 წ. რკინიგზის ეფექტური ფუნქციონირება ევროკავშირის მასშტაბით უზრუნველყოფს 800 ათ. ადამიანის დასაქმებას, მისი ბრუნვა წელიწადში 73 მლრდ ევროს უტოლდება. ევროპის სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებში მის წილად მოდის 10%, რაც 13 მლრდ ევროს მოგებას იძლევა.

ბოლო წლებში იცვლება ასევე სასტუმრო ბიზნესის სტრუქტურა. სასტუმრო ბიზნესმა დაიწყო კონსოლიდაციის პროცესი – მუდმივად ხდება გაერთიანება, საპარტნიორო კავშირების შექმნა. დღეს მსოფლიოში ლიდერობს 50 წამყვანი კომპანია. ერთ-ერთი მათგანია კომპანია Accor, რომელიც ფუნქციონირებს მსოფლიოს 88 ქვეყანაში. სასტუმრო ბიზნესს მისთვის მოაქვს შემოსავლების 68%, დამხმარე ტურისტულ საქმიანობას (ტურისტული ფირმები, კაზინო, რესტორანი, კვების ობიექტები) – 26%, კორპორაციულ მომსახურებას – 6%.

სასტუმრო ბიზნესში ჩნდებიან კონგლომერატები, როგორცაა ამერიკული ორგანიზაცია Cerdant Corporations, რომელიც შესულია 100 ქვეყანაში. სასტუმრო ქსელების არსებობა დიდ პრობლემას უქმნის დამოუკიდებელ სასტუმროებს – ფრანჩაიზინგის განვითარება საშუალებას აძლევს მის მფლობელებს, გახსნან სასტუმ-

როები დამოუკიდებელი ოტელების სიახლოვეს და გადაიბირონ მათი მომხმარებელი. ამიტომ დამოუკიდებელი საწარმოები ცდილობენ გაერთიანდნენ ნებაყოფლობით კავშირებში. ეს მოძრაობა გაჩნდა ევროპაში და შემდეგ გავრცელდა ჩრდილო ამერიკაში. მსგავსი კავშირის ერთ-ერთი მაგალითია Best Western-ი, ასეთი პარტნიორობა ეხმარება საშუალო სასტუმროებს, წინ აღუდგნენ სასტუმრო ქსელებს.

სასტუმროში მომსახურების მაღალი დონის მიღწევა შეუძლებელია ახალი ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ახალი სისტემა ითვალისწინებს ბევრი სასტუმრო პროცედურის ავტომატიზაციას, ელექტრორეზერვირებას და ა.შ. ფართოდ გამოიყენება კომპიუტერები და იქმნება სასტუმროს ცენტრალური საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრები. მათი დახმარებით ხდება რეზერვირება, სტუმრების აღრიცხვა, ნომრების განაწილება, ინვენტარის განაწილება, კვების კონტროლი და ა.შ., მაგრამ არის ტურიზმისათვის ნეგატიური ფაქტორებიც: ტერორიზმი, კატასტროფები, უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სასტუმროების უსაფრთხოების პრობლემაც ინოვაციური ტექნოლოგიების დახმარებით ხორციელდება: თვალთვალის სატელევიზიო სისტემა, დაცვის სისტემა, თანამედროვე სახანძრო სისტემა და სხვა.

ერთ-ერთი ინოვაციური საშუალება ასევე არის სასტუმროს ნომრებში შიდა ელექტროსეიფების, ელექტროგასაღებების გამოყენება, რაც ძალიან ამცირებს გაქურდვების რისკს.

ტურისტული ბიზნესი მაქსიმალურად იყენებს ინტერნეტის მუდმივად მზარდ შესაძლებლობებს. 1996 წელს ინტერნეტში გაჩნდა ათასობით ტურსააგენტოების, სასტუმროების, ავიაკომპანიებისა და სხვა ტურმომსახურებათა საიტი. თუ 1997 წელს გლობალური ელექტრონული ბაზრის მოცულობა შეფასებული იყო 10 მლრდ დოლარით, 2005 წელს იგი გაიზარდა 350 მლრდ აშშ დოლარამდე. ევროკავშირში ინტერნეტის მომხმარებელთა წილი 2013 წელს 77% იყო [12]. ტურიზმს გააჩნია მნიშვნელოვანი უპირატესობა ელექტრონული ვაჭრობის სხვა მონაწილეებთან შედარებით – მისი მომხმარებელი „შექნილ საქონელს“ იღებს უშუალოდ მისი წარმოების ადგილზე, ტურისტულ ცენტრში, მას არ ესაჭიროება მომხმარებლამდე მიტანა. ინტერნეტით შექნილ მომსახურებათა 3/4 მოდის აშშ-ზე, სადაც ტურისტების 60%

იყენებს ინტერნეტს მისთვის მოსაწონი ტურების მოსაძებნად. მაგ., დღეისათვის საკმაოდ პოპულარულია საერთაშორისო ვებ-გვერდები: Booking.com (ნებისმიერი ტიპის განთავსების საშუალების მოძიების და დაჯავშნის სისტემა), TripAdvisor (კვების ობიექტებისა და სასტუმროების მოძიების სისტემა), Yahoo! Travel (ტურისტული ღირსშესანიშნაობებისა და ტურების საძიებო სისტემა), Expedia (ტურ-პაკეტების და ტურისტული შეთავაზებების საძიებო და დაჯავშნის სისტემა), Priceline (ტურისტულ მომსახურებებზე ფასდაკლებების მოძიების და დაჯავშნის სისტემა) და ა.შ. კვლევები აჩვენებს, რომ მოთხოვნა ძალიან არის დამოკიდებული ფასზე, ამიტომ საჭირო ინფორმაციის ოპერატიული მოძიება ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს. ახალი ონლაინ ტექნოლოგიების დანერგვა საკმაოდ გაზრდის ტურისტული მომსახურებების დაბრონვის რაოდენობას, ვებსაიტებით გაყიდვათა მოცულობას. ეს მაჩვენებელი მსოფლიოში 2009 წელს შეადგენდა 60%, ევროპაში – 2002 - 3,4% (7,6 მლნ ევროს), ხოლო 2006 წელს – 10%-ს (პირველ ადგილზე იყო დიდი ბრიტანეთი – 38%; შემდეგ გერმანია – 22%, საფრანგეთი – 12%, ფინეთი, ირლანდია და სკანდინავიური ქვეყნები – თითოეულს 11%. სხვა ევროპულ ქვეყნებში საშუალო მაჩვენებელი არ აღემატებოდა 8-9%-ს.

ასე რომ, ტურიზმში გამოყენებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინოვაციური სისტემა შედგება რეზერვების კომპიუტერული სისტემის, ტელეკონფერენციების ჩატარების სისტემის, ვიდეოსისტემის, კომპიუტერების, მართვის ინფორმაციული სისტემების, ავიახაზების ელექტრონული ინფორმაციული სისტემების, ფულის ელექტრონული გადაგზავნების სისტემების, სატელეფონო სისტემისაგან და სხვა. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიების ეს სისტემა ვრცელდება არა მარტო ტურაგენტების, სასტუმროების ან ავიაკომპანიების მიერ ცალ-ცალკე, არამედ ყველა მათგანის მიერ ერთად. უფრო მეტიც, ტურიზმის ცალკეული სეგმენტის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის გამოყენება მნიშვნელოვანია ყველა სხვა დანარჩენი დამხმარე დარგებისთვისაც. მსოფლიო ბაზარზე რეზერვების (ბრონირების) უმსხვილესი კომპიუტერული სისტემებია: AMADEUS-ი, Worldspan-ი და Galileo.

თუმცა ევროპაში ბევრი ტურისტული კომპანია ინტერნეტში თავისი ბიზნესის მოწინააღმდეგეს ხედავს. ინტერნეტი ტურისტულ კლიენტებს საშუალებას აძლევს, ყოველგვარი აგენტების ჩარევის გარეშე მოიწიოს დასვენება და მოგზაურობა. ამ შემთხვევაში „მოწინააღმდეგე“ უბიძგებს, შეიცვალოს კვალიფიკაცია და გადაიქცნენ ინტერნეტ-გიდებად თავიანთი მომავალი მომხმარებლისათვის. ინტერნეტი ტურისტულ სექტორს გადააქცევს „გამოსაცდელ პოლიგონად“ სხვადასხვა ახალი, მოწინავე ტექნოლოგიების გამოცდისთვის. მაგალითად შეგვიძლია გამოვიყენოთ ბრონირების კომპიუტერული სისტემა CRS (რაც ზემოთ აღვნიშნეთ), რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ბილეთები ონლაინ-რეჟიმში შეიძინოს.

დღეისათვის ბრონირების კომპიუტერული სისტემები გაერთიანებული არიან გლობალურ გამანაწილებელ სისტემაში (Global Distribution Systems GDS). თავიდან შეიქმნა ოთხი ძირითადი სისტემა: Galileo, Amadeus, Sabre, Worldspan. ბაზრის გლობალიზაციიდან გამომდინარე, თუ სისტემები ადრე სრულად ეკუთვნოდა ავიაკომპანიებს, ეხლა გადაიქცნენ ჰოლდინგებად, სადაც გაერთიანებულია მოგზაურობათა სფეროს ბიზნესების სხვადასხვა წარმომადგენლები. დღეს GDS-ებს წვდომა აქვს ავიაკომპანიების, რკინიგზების, სასტუმროთა ქსელების, ტურისტული ფირმებისა და ცენტრების, ავტომობილების გაქირავებისა და სხვა მონაცემთა ბაზებთან. ყველა ტექნოლოგიური „რევოლუცია“ დაკავშირებულია არა მარტო მოგებასთან, არამედ რისკებთანაც. ყველა ტექნოლოგიური პროგრესი იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას, პროფესიების გაქრობას, თუმცა მათ ადგილზე ჩნდებიან ახლები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების აღნიშნული ტენდენციები უშუალო გავლენას ახდენს ტურისტული ბაზრის ორგანიზებასა და ტურიზმის სფეროში ინოვაციების დანერგვის პროცესზე.

თანამედროვე ინოვაციური სისტემების განვითარების ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს ტურისტული კლასტერები, რომელიც აყალიბებს ტერიტორიის, რეგიონის ეკონომიკას და ხელს უწყობს დარგის კონკურენტუნარიანობის საგრძნობ ზრდას, რაც განპირობებულია კლასტერის ძირითადი თავისებურებიდან – ინოვაციური ორიენტულობიდან.

ტურისტულ კლასტერებში მოწინავე როლს თამაშობენ ტურისტული ორგანიზაციები (ტუროპერატორები, ტურფირმები), რომლებსაც თავიანთი მომსახურება გააქვთ რეგიონის, ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ტურისტული კლასტერები წარმოადგენს ტურისტული ორგანიზაციების და სამეცნიერო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ნებაყოფლობით გაერთიანებას ტურისტულ მომსახურებათა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

ტურისტული კლასტერები - ეს არის გლობალური მოვლენა. ისინი ძირითადად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ბოლო დროს გავრცელდა განვითარებად ქვეყნებშიც.

ტურისტული კლასტერების დასავლეთევროპული მოდელის (ბრიტანეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, იტალია) შემთხვევაში წამყვანი როლი მიეკუთვნება უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს. იტალიაში კლასტერები განვითარდა მსუბუქი მრეწველობის მცირე საწარმოთა კონცენტრაციის რაიონებში. იტალიური კლასტერები ხასიათდება მაღალი სპეციალიზაციით.

ტურისტული საქმიანობის ორგანიზაციის კლასტერი გამორჩევა ცენტრალიზებული გავლენის არქონით, ანუ თანაბარუფლებიანობის პრინციპით.

იტალიაში კლასტერული მიდგომა მეტად პროდუქტიული და სპეციფიკურია. აქ კლასტერებში ერთიანდებიან კონკურენციაში მყოფი მცირე ფირმები, სახელმწიფო ნაკლებად ერევა მათ საქმიანობაში უკვე მზა გადაწყვეტილებათა თავსმოხვევის ფორმით. მაგრამ საერთო, ზოგადი გადაწყვეტილებები საერთო მუშაობისა და თანამშრომლობის შედეგად მიიღება. ასეთ სტრუქტურას გააჩნია თავისი პლუსი - მოქნილობა, სწრაფი გადორიენტირების, ინიციატივიანობის შესაძლებლობა, ხოლო ძირითადი მინუსია ტექნოლოგიურად რთული პროდუქტის შექმნა. ამასთან, სახელმწიფო პოლიტიკა, რა თქმა უნდა, რჩება კლასტერის სტრუქტურის მნიშვნელოვან ელემენტად, თუმცა გამოიყენება ძირითადად მუნიციპალურ დონეზე და გამოიხატება კლასტერის მცირე საწარმოთა ურთიერთობებში.

2001 წელს დარგის შემდგომი სრულყოფის მიზნით იტალიაში მიღებულ იქნა კანონი „ტურისტული ეროვნული კანონმდებლობის

რეფორმის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი ტურისტული სისტემის კლასტერების შექმნას ტურისტულ ზონებში. ამ კანონის თანახმად შეიქმნა ტურისტულ წინადადებათა ერთობლივი ფინანსირების ფონდი. ასევე განისაზღვრა კლასტერების პარამეტრები, კერძოდ: ტერიტორიული ზონის ტურისტული მნიშვნელობა; ტურიზმის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები (მაგ., სამთო სპორტი, სპორტკომპლექსები, ზღვის ნაპირი და ა.შ.), ტურისტული რესურსები (რეკრეაციული შესაძლებლობები, ტურისტული საქონლის ინტენსიური ნაკადები და სხვ.).

იტალიაში მოქმედი კლასტერის მაგალითია ტურისტული სისტემა „ტრაზიმენის ტბა“ – უმბრიოში, რომელიც აერთიანებს ტურისტულ ორგანიზაციებს, განთავსებისა და კვების ორგანოებს, სავაჭრო ორგანიზაციებს, ფართო მოხმარების საგნების წარმოებას, რომლებიც სპეციფიკურია ამ ადგილისათვის (ღვინო, ზეთის ზეთი). ასევე მოქმედი კლასტერებიდან აღსანიშნავია „სალინუნტის თერმები“ სიცილიაში, „ადრიატიკის ზღვა და სანაპირო“, „ხელოვნების, კულტურისა და ბიზნესის ქალაქები“ – ემილია-რომანიაში. რეგიონთაშორისი კლასტერებიდან გამოირჩევა „TUR. GRATE 2“, რომელიც შეიქმნა ევროპული პროგრამა IPA-ის (ევროკავშირში შესასვლელად მომზადებული ქვეყნების დახმარების ინსტრუმენტი) ფარგლებში. პროექტის ინიციატორია მეზანიას (იტალია) მუნიციპალიტეტი; მონაწილეები კი – იტალია, ჩერნოგორია, საბერძნეთი, ალბანეთი. მოცემული პროექტი ტურიზმის სფეროში საერთაშორისო კლასტერული ურთიერთობების ნათელი მაგალითია, რომელიც ემსახურება როგორც დარგის, ასევე სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას, ტურისტული საქონლის ერთობლივ დაგეგმარებას, სერვისული ცენტრების შექმნას, ტურისტული საქონლის სპექტრისა და ხარისხის ზრდას, კულტურული დანატოვარის დაცვის ერთობლივი ღონისძიებების შემუშავებას, კულტურული ღონისძიებების ჩატარებას (კონფერენციები, გამოფენები, გალერეები, მუსიკალური ფესტივალები).

ტურიზმი საფრანგეთის ეროვნული შიდა პროდუქტის (ეშპ) 11%-ს ქმნის. საფრანგეთის ეკონომიკაში კლასტერულმა სტრუქტურებმა ფართო გავრცელება ჰპოვა. აქ ფუნქციონირებს რამდენიმე ტურისტული კლასტერი.

- თერმული წყლების კლასტერი „Aqui O Thermes“ ქ. დაკსში – 2009 წ. მის შემადგენლობაში შედის ჯანდაცვის, ჰიდროთერაპიის, ტურიზმის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები და დაწესებულებები. კლასტერი აწარმოებს წელიწადში 1500 ტ სამკურნალო ტალახს. იგი უნიკალურია არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში, როგორც SPA – მედიცინისა და ჰიდროთერაპიის ცენტრი.

საფრანგეთი ოდითგანვე ღვინის და მეღვინეობის ცენტრად ითვლება ევროპაში, რაც მსოფლიოში ტურისტთა დიდ ინტერესს იწვევს. სწორედ ტურიზმის ამ სახეობის განვითარებისათვის ქვეყანაში 2000 წელს შეიქმნა კლასტერი. „Le cluster Oenotourisme“ იგი აერთიანებს ბურგუნდიისა და აკვიტანიის ტერიტორიაზე 53 მეღვინე-პარტნიორს, 17 ფრანგული ვენახის წარმომადგენლებს. ტურისტული ტური ატარებს სახელს „დანიშნულების პუნქტი ფრანგული ღვინო“. არსებობს ტურისტული რუკა „ღვინის მარშ-რუტი საფრანგეთში“, რომელიც ყოველწლიურად 110 ათას ეგზემპლარად ვრცელდება; კლასტერი სისტემატიურად ატარებს სემინარებს „ღვინის ქარხნებზე“ ქ. ლიონში.

განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს ზღვისპირა დასვენება, რამაც საფუძველი დაუდო პროექტს: „საფრანგეთის სანაპირო.“ საფრანგეთის საზღვაო სანაპირო 5500 კმ-ია (ატლანტის ოკეანის, ხმელთაშუა ზღვის და ლა-მანშის სრუტის სანაპიროზე). პროექტი მოქმედებაში შევიდა 2000 წლიდან, გააჩნია 26 ცენტრი სამივე სანაპიროზე, თითოეული მათგანი დამოუკიდებელ ტურისტულ კლასტერს წარმოადგენს და ყველანი არიან ჩაბმული კოლექტიური სტრატეგიის „საუკეთესო ფრანგული სანაპირო“-ს რეალიზაციის პროგრამაში.

საფრანგეთი არის ტურიზმის მოკლევადიანი სახეობის მსოფლიო ლიდერი, რაც გამოწვეულია პარიზისა და ასევე პარიზის დისნეილენდის პოპულარობით (მსოფლიოში უცხოელუბის ვიზიტების 32%). 1993 წლიდან ფუნქციონირებს ქალაქური ტურიზმის კლასტერი, რომლის მიზანია მოკლევადიანი ტურიზმის მარშრუტებში საფრანგეთის სხვა ქალაქების ჩართვა. მასში 24 წევრია. ორიენტაცია აღებული აქვთ როგორც უახლოეს ბაზრებზე (ბრიტანეთი, გერმანია, ესპანეთი), ასევე შორეული ბაზრების ათვისებაზე (აშშ, იაპონია). საფრანგეთის ყველაზე ცნობილი

კლასტერებია ასევე GOazen, Paris du Val d'Europe; Toulouse; Cluster tourisme Littoral; Le cluster Montagne; Cluster tourisme des Outre-mer.

ფინეთის კლასტერის სკანდინავიური მოდელისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოს ინიციატივით ფორმირებული კლასტერები. ფინეთის კლასტერები იქმნებოდა სატყეო, საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო დარგების მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების ბაზაზე. თუმცა, გარდა ამისა, 2020 წლისათვის ფინეთი გეგმავს გახდეს ტურისტულად ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქვეყანა ევროპაში. ფინეთის ტურისტული და შთაბეჭდილებათა კლასტერი მომხმარებელს სთავაზობს სუფთა ბუნებას წელიწადის ოთხივე დროს და უნიკალურ კულტურას და მიმართულია ეკოლოგიურად უსაფრთხო ტურიზმის შექმნაზე, ტურისტებისათვის დაუვიწყარი შთაბეჭდილებების შექმნაზე არა მარტო დასვენების დროს, არამედ საქმიანი ვიზიტების დროსაც. კლასტერს გააჩნია ექსპერტიზების ცენტრები 5 ქალაქში: როვანიემი, იუვასკულია, სავონლინნა, ტურკუ და ჰელსინკი. ტურისტულ განათლებასა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დარგში ძირითადი მიმართულებებია: ინოვაციები შთაბეჭდილებათა მართვის სფეროში, ელექტრონული ბიზნესი და მომსახურებათა პროექტირება. ინოვაციები მუშავდება რეალური მომხმარებლების მონაწილეობით რეალურ პირობებში მოდელით - „Experience-Lab“ (შთაბეჭდილებათა ლაბორატორია). მსგავსი ლაბორატორიების გამოყენებით კლასტერი ახორციელებს ტურისტული ბიზნესის სრულყოფისათვის აუცილებელი პროცესების მხარდაჭერას.

პოლონეთის ელბლონგის ტურისტული კლასტერი აერთიანებს 41 წევრს. იგი ძირითადად მუშაობს ქ. ელბლონგის ტურიტულად საინტერესო იმიჯის შექმნასა და პოპულარიზაციაზე ბიზნეს-ტურიზმის, საქალაქო ტურიზმის, კულტურული ტურიზმის, სასოფლო ტურიზმის, რეკრეაციული, აქტიური და სპეციალიზებული ტურიზმის, ზღვის სანაპირო და ტრანზიტული ტურიზმის მიმართულებით.

ტურისტული კლასტერი „რძის და თაფლის მიწა“ აერთიანებს საწარმოებს ოპოლსკის ვოევოდსტვოში რამოდენიმე ოლქებს. კლასტერის შემადგენლობაში, სასოფლო საწარმოების გარდა, შედის ოპოლსკის უნივერსიტეტი და ოპოლსკის ტექნოპარკი.

ჯანმრთელობის კერა სუპრასლი მეზობელ ტერიტორიებთან ერთად ქმნის კომპლექსს, რომელიც კნიშინსკის ჭალაშია განლაგებული და ერთ-ერთი ულამაზესია პოლონეთში. კლასტერის ძირითად მიზანს კნიშინსკის ჭალის, როგორც ჯანმრთელობის კერის პოპულარიზაცია წარმოადგენს, რადგანაც აქ, არაჩვეულებრივ რბილ კლიმატთან, სამკურნალო ტალახებთან და ულამაზეს ბუნებასთან ერთად, ბევრი ისტორიული ობიექტი და ღირსშესანიშნაობაა. ასევე განვითარებულია ფეხით მოსიარულეთა, საცხენოსნო, საველოსიპედო, ბაიდარების და სათხილამურო ტრასები.

საბოლოოდ, ტურიზმი წარმოადგენს ევროპული ეკონომიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, რომელიც არის მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ფინანსური, სავაჭრო, ტურისტული ცენტრი. ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ეკონომიკათა ძირითად მიზანს წარმოადგენს ტურისტული საქონლის განვითარების ახალი ინოვაციური სისტემებისა და მოდელების დანერგვა სატრანსპორტო, სასტუმრო და სხვა მომსახურებთა სრულყოფისათვის, ადამიანური რესურსების ეფექტური გამოყენებისათვის, ადამიანის როლის ამაღლებისათვის, მოწინავე საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საორგანიზაციო-მმართველობითი საქმიანობისა და კლასტერების თანამედროვე ფორმების დანერგვისათვის; ფინანსური, ეკონომიკური და სოციალური სიძნელეების გადასალახავად და ა.შ. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ევროკავშირის წევრი-ქვეყნებს ტურისტული ინოვაციური სისტემების, ახალი სამეცნიერო-ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ცოდნის დანერგვა ტურიზმის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და ეკონომიკის სხვა სექტორებთან გაცვლების აქტივიზაციის საშუალებას აძლევს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://tourlib.net/books_tourism/novikov82.htm
2. РИА Новости <https://ria.ru/tourism/20170405/1491548114.html>
3. [file:///C:/Users/user/Downloads/771-770-1-PB%20\(1\).pdf](file:///C:/Users/user/Downloads/771-770-1-PB%20(1).pdf)
4. Влияние политической, экономической и социальной сфер...
sdamzavas.net/2-75833.html
5. Инновационные технологии в сфере туризма
studopedia.su/7_6364_innovatsionnie...v...turizma.html

6. Новиков В.С. Характерные черты туризма XXI века...
intacadem.ru>statji/novikov-v...harakternye...turizma...
7. <https://moluch.ru/archive/131/36459/> Библиографическое описание:
Цыринова Н. С. Современные инновационные технологии в туристической отрасли // Молодой ученый. — 2016. — №27.2. — С. 45-46.
8. Инновации в туризме - Туристическая библиотека
tourlib.net/statti_tourism/zhosanu.htm
9. <http://www.education-mgu.ru/news5.php> - ИННОВАЦИОННОЕ
РАЗВИТИЕ ТУРИСТСКОЙ ОТРАСЛИ В
10. Современные тенденции развития туризма в Европе
baza-referat.ru>Современные...туризма_в_Европе
11. Глава 8. Влияние научно-технических нововведений на...
nashaucheba.ru>v51921/новиков...инновации...туризме...
12. <http://www.vestifinance.ru/articles/61982>
13. Финляндия, [rusexporter.ru>docs/Finland.pdf](http://rusexporter.ru/docs/Finland.pdf)
14. <http://rcpp35.ru/wp-content/uploads/2016/03/Strategiya-Chast-4.pdf>
15. ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა ტურიზმის დარგში,
თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეც-
ნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თსუ პ. გუგუშვილის სახელო-
ბის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ. 2016. გვ. 105-114

Ketevan Kveladze

FORMATION AND DEVELOPMENT OF INNOVATION SYSTEM IN EU TOURISM

Summary

Modern tourism development is largely dependent on the development and implementation of innovations aimed at enhancing customer service and expanding tourism services. Innovations in the sphere of tourism can serve as the basis not only for the development of the sector, but also the entire country's economy. Economic-geographical factors, as a means of development of tourism innovation systems, are determined by the tourism infrastructure, the development of international and internal communications, by improving the means of transport, etc.

The article deals with the tourism innovation system of one of the most important sectors of the economy and studies its main aspects and features that are characteristic to the EU innovation system. It is evident that development of

innovation systems of the EU tourism industry is a very complicated process involving both service recipients, as well as state governing bodies, also tourism firms and tourindustry enterprises whose activities are regulated by the regulatory framework of tourism and innovative activities. The basic structural elements of the tourism innovation system, clusters, which are based on its successful development are studied. Innovative development trends of IT technologies directly affect the organization of the EU tourism market and the process of the introduction of innovative systems in tourism.

პრობლემა 4.

გიორგი ბერულავა
ეთერ კაკულია
თეიმურაზ გოგობია

ინოვაციური მცირე ფირმების (ბიზნესის) ფუნქციონირების თავისებურებები ევროკავშირის ქვეყნებში

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ლისაბონის სამიტის სტრატეგიის როლი ევროპაში ინოვაციური მცირე ბიზნესის ფუნქციონირებისათვის. შესწავლილია მცირე ინოვაციური საწარმოებისათვის „მცირე საწარმოების ევროპული ქარტია“, „ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტი“ და EaP – ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის როლი ინოვაციური მცირე ბიზნესის ფუნქციონირების და მკაფიო განვითარებისათვის ბიზნესგარემოს ფორმირებაში. ნაშრომში საუბარია ევროკავშირში ინოვაციური მცირე ბიზნესის არსზე, შეფასების კრიტერიუმებზე, განმასხვავებელ თვისებებზე სხვა ბიზნესფორმებისაგან. მოკლედ არის აღწერილი ის ღონისძიებები (პროგრამები), რომლითაც ხდება ევროპის ქვეყნებში ინოვაციური მცირე საწარმოებისთვის ბიზნეს გარემოს ფორმირება და ხელშეწყობა.

ევროპაში მცირე ინოვაციური ბიზნესის ფორმირების, ფუნქციონირების და განვითარების საკითხების შესწავლის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, სადაც საუბარია საქართველოში აღნიშნული მიმართულებით არსებული ჩამორჩენის დაძლევის მიზნით განსახორციელებელ სამუშაოებზე. კერძოდ, ქვეყანაში უნდა შეიქმნას ევროკავშირის ანალოგიურთან ადაპტირებული ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ, თანაბარი კონკურენციის პირობების დაცვით, ინოვაციური მცირე საწარმოების ფორმირება-განვითარებას, ეროვნული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.

შესავალი

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დიდია მცირე ბიზნესის როლი ინოვაციურ

საქმიანობაში და, მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების დონე სხვადასხვაა ამ ქვეყნებში, იგი აღიარებულია, როგორც ეკონომიკაში ინოვაციების უპირობო ფაქტორი. აქედან გამომდინარე, ევროკავშირში ინოვაციური და უფრო პროდუქტიული მცირე ფირმების განვითარებისა და სწრაფად ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ქვეყნის წინსვლასთან დაკავშირებული მიზნების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად არის აღიარებული.

ამდენად, საკვლევ თემაში შესწავლილია ინოვაციური მცირე ბიზნესი: არსი, შეფასების კრიტერიუმები, განმასხვავებელი თვისებები სხვა ბიზნესფორმებისგან, ევროკავშირის ქვეყნებში ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების საკითხები, ლისაბონის სტრატეგიის როლი ევროპაში ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებისათვის. ნაშრომში შესწავლილია „მცირე საწარმოების ევროპული ქარტია“ და „ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტი“ და EaP, როგორც ინოვაციური მცირე ბიზნესის მკვეთრი განვითარების და ფუნქციონირების მექანიზმი ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანი იყო ევროკავშირის ორგანიზაციების საქმიანობის და მათი როლის შესწავლა ინოვაციური მცირე ბიზნესის ფუნქციონირების და განვითარების საქმეში.

კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენს: ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის სამიტების, ღირეპქტორატების, საქართველოს მთავრობის, პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალები და სხვა.

ინოვაციური მცირე ბიზნესი: არსი, შეფასების კრიტერიუმები, განმასხვავებელი თვისებები სხვა ბიზნესფორმებისგან

საბაზრო ეკონომიკის მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დიდია მცირე ბიზნესის როლი ინოვაციურ საქმიანობაში და, მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების დონე სხვადასხვაა ამ ქვეყნებში, იგი აღიარებულია, როგორც ეკონომიკაში ინოვაციების უპირობო ფაქტორი. მასზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 60-70%. სანამ ევროპაში მცირე ბიზნესის

ფუნქციონირების თავისებურებებს გავეცნობით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევხერდეთ ინოვაციური მცირე ბიზნესის არსზე, იმ თვისებებზე, რომელიც განასხვავებს მას სხვა ბიზნესფორმებისგან, რითაც არის იგი ინოვაციური ბუნების მატარებელი.

მსოფლიო გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე, ეკონომიკის ნორმალური განვითარების ძირითად მახასიათებლად აღიარებულია მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესსექტორთა ოპტიმალური თანაფარდობა. მათ შორის ჭარბობს მცირე ბიზნესი მისი უპირატესობებიდან გამომდინარე. მცირე საწარმოები უფრო დინამიურები არიან, ისინი სწრაფად და ეფექტიანად რეაგირებენ ეკონომიკაში მიმდინარე აღმავალ თუ კრიზისულ მოვლენებზე. მცირე ბიზნესი ხშირად თამაშობს დისპროპორციის მარეგულირებლის როლს რიგ საქონლის ბაზრებზე. სახელმწიფო დანახარჯები მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად ეფექტიანია, რადგან მცირე ბიზნესის მეშვეობით ხდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარება, საქონლითა და მომსახურებით ბაზრის სწრაფი გაჯერება, მასზე მოდის ეკონომიკაში ინოვაციების მეტი წილი. მცირე ბიზნესს აქვს უნარი, უსწრაფესად დანერგოს ტექნიკური და კომერციული ინოვაციური იდეები.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის ფუნქციონირების დაკვირვებამ აჩვენა მისი რიგი უპარეტესობები ბიზნესის სხვა ფორმებთან მიმართებაში:

1. მცირე ბიზნესს შეაქვს შეუფასებელი წვლილი ჯანსაღი (ბუნებრივი) კონკურენტული გარემოს ფორმირებაში. კონკურენცია იწვევს შეჯიბრებას სამეურნეო სუბიექტებს შორის, რაც, თავის მხრივ, იწვევს დაინტერესებას მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისი საქონლის რაოდენობის და ხარისხის პროდუქციის შექმნაში. მცირე ბიზნესი თავისი ბუნებით ანტიმონოპოლიურია, გარდა ამისა, მუდმივი ბალანსირებული კონკურენციის პირობებით მცირე ბიზნესი მუდმივად ინოვაციურია, ამით არღვევს მსხვილი და საშუალო ბიზნესის მონოპოლიზმს ეკონომიკაში.

2. მაღალი მგრძობელობა (რეაქცია) საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებასთან ხდის მას მდგრადს და მანევრირებადს. მცირე ბიზნესის ეს უპირატესობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაშინ, როცა სამომხ-

მარებლო მოთხოვნების ინდივიდუალიზაციას, დიფერენციაციასა და საქონლისა და მომსახურების აქტიურ ზრდასთან გვაქვს საქმე.

3. მცირე ბიზნესს აქვს უნარი, უსწრაფესად დანერგოს ტექნიკური და კომერციული ინოვაციური იდეები. მცირე ბიზნესის სექტორის ყველა მონაწილე მოღვაწეობს კეთილსინდისიერი კონკურენციით, საკუთარი რისკის საფასურად მოგების მიღების მიზნით. სწორედ მონაწილეთა ასეთი სახით შეჯობრება (კონკურენცია), მათ ანიჭებს გზამკვლევის როლს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში. მაგალითად, აშშ-ს მცირე ბიზნესში იქმნება მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავების და ინოვაციების 50%-ზე მეტი [6].

4. მცირე ბიზნესი დიდი ოდენობით ასაქმებს სამუშაო ძალას. სამუშაო ადგილების შექმნით მცირე ბიზნესით აქტიურად წყდება მოსახლეობის დასაქმების პრობლემა. ეკონომიკაში ციკლური ჩაყარდნების და ეკონომიკის სტრუქტურული ძვრების პირობებში, ე.ი. იგი ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას და დასაქმების მაღალ დონეზე უზრუნველყოფას. ასე რომ, ეკონომიკაში მცირე ბიზნესი წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს საშუალო კლასის ფორმირებაში.

მოკლედ შეიძლება ჩამოყალიბდეს მცირე (და მცირე ინოვაციური) ბიზნესის უპირატესობები:

1. მონოპოლიის შესუსტებაზე გავლენის უნარი;
2. საქონლისა და მომსახურების ბაზრის სწრაფი გაჯერება;
3. დანახარჯების ამოსყიდვადობა და შედეგების ოპერატიულობა;
4. სამეურნეო სუბექტების დამოუკიდებელი ინიციატივების მობილიზაციის უნარი;
5. ძირითადად მცირე სასაქონლო წარმოება;
6. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალი ადაპტაციურობის თვისება;
7. ინოვაციების აქტიური განმახორციელებელი;
8. დამატებითი სამუშაო ადგილების განსაკუთრებით დიდი ოდენობით შექმნა;
9. საფუძველია ქვეყანაში საშუალო ფენის ფორმირების.

აქ ჩამოთვლილი უპირატესობანი ნათლად გვიჩვენებს მცირე ბიზნესის აუცილებლობას ეკონომიკაში, არა მარტო ეკონომიკური

სამეურნეო საქმიანობის განვითარების, არამედ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფორმირებისათვის.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ინოვაციური სფეროს მცირე ორგანიზაციებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

➤ ვენჩერული ორგანიზაციები - მცირე ტექნოლოგიური ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ მაღალი რისკის შემცველ პროექტებს. მათი დაფინანსებისათვის იქმნება სპეციალური ვენჩერული ფონდები. მათი განვითარების კონცეფცია მდგომარეობს შემდეგი ციკლის განხორციელებაში: იდეა – ინოვაცია – ინვესტიციები მეცნიერულ-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე - ინოვაციური საცდელი პროდუქციის პარტიის წარმოება - ბაზრის ნიშის დაპყრობა - სწრაფად გასვლა აქციების პირველადი გაყიდვების (IPO) ბაზარზე. ვენჩერული ტექნოლოგიური ბიზნესი წარმოადგენს ბაზას ქვეყნის თანამედროვე განვითარების, პოსტინდუსტრიული და ცოდნის ეკონომიკის შექმნით.

➤ მცირე ინოვაციური ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ინოვაციური პროექტების რეალიზაციას ან ინოვაციური პროდუქციის გამოშვებას. თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (OЭCP) წევრ-ქვეყნებში ინოვაციურად აქტიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-დან 80%-მდე. ინოვაციურ ეკონომიკებში ასეთი ორგანიზაციები მეტწილად ჭარბობს, რადგან თავისუფალი კონკურენციის პირობებში მხოლოდ მათ შესწევთ არსებობის უნარი, მათი კონკურენტული უპირატესობის ხარჯზე. ინოვაციური ორგანიზაციის ინვესტირების სტრატეგია – ინვესტიციების ძირითადი ნაწილის ჩადება ისეთ პერსპექტიულ ინოვაციურ პროდუქტზე, რომელიც დაცულია დამცავი დოკუმენტით (პატენტი, მოწმობა გამოგონებაზე). ინოვაციურ ორგანიზაციებში რისკის შემცირების მიზნით იქმნება საინვესტიციო პროექტების პორტფელი.

რუსეთში მცირე ინოვაციურ საწარმოდ (მის) ითვლება ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ჰქონდა ინოვაცია, ე.ი. ბაზარში დანერგილი ახალი ან საგრძნობლად გაუმჯობესებული პროდუქცია, ახალი ან საგრძნობლად გაუმჯობესებული მომსახურება ან მათი წარმოების მეთოდი, ასევე დანერგილი ბაზარში; ახალი ან საგრძნობლად გაუმჯობესებული

საწარმოო პროცესი, დანერგილი პრაქტიკაში. კონკურენციის პირობებში ყოველი ორგანიზაცია ვალდებულია დაკავდეს ინოვაციური საქმიანობით. კონკურენციის 1%-ით ზრდა ნიშნავს ინოვაციური საქმიანობის 3%-ით ზრდას. კონკურენცია – „ეჯიკავება“ წინ ინოვაციას [14].

ევროკავშირში კი კომპანიები გამოყოფილია სპეციალურ კატეგორიად, რომელსაც ინოვაციურ მცირე საწარმოებს უწოდებენ. ისინი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ:

- ბოლო სამი საანგარიშო წლიდან კვლევასა და შემუშავებაზე გაწეული ერთ-ერთი წლის ხარჯები უნდა აღემატებოდეს ბრუნვის 15%;

- ევროკავშირის შესაბამისმა წევრმა-სახელმწიფომ (მისმა კომპეტენტურმა სააგენტომ) უნდა დაადასტუროს, რომ საწარმოს პროდუქცია და მუშაობის მიმართულება კონკურენტუნარიანია ევროკავშირის ბაზარზე.

ამასთან, ევროკავშირი გვთავაზობს ახალგაზრდა საწარმოს განმარტებას. იგი ახალგაზრდად თვლის საწარმოს თუკი მისი ასაკი დაფუძნებიდან 6 წელს არ აღემატება [3].

ეკონომიკა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ინოვაციების გზით სიარული, გვერდს ვერ აუვლის მცირე ინოვაციურ საწარმოებს, რომლებიც ეკონომიკაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და ინოვაციების მეგზურები არიან. მთელი რიგი სიახლეები, მიმართული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისაკენ, კერძო სექტორში ვითარდება მცირე ბიზნესის ხარჯზე - იქნება ეს ბიოტექნოლოგია, პროგრამული უზრუნველყოფა თუ მეცნიერული ხელსაწყოთმშენებლობა.

მცირე ბიზნესის როლი ინოვაციებში მრავალმხრივია; ერთი მხრივ ის უზრუნველყოფს ინოვაციურ პროცესებს ეკონომიკაში, მართვისა და წარმოების განვითარების შესაძლებლობებით, მეორე მხრივ, ჩართულია რა უშუალოდ მეცნიერებატევადი პროდუქციის (მომსახურების) შექმნაში, წარმოშობს მოთხოვნას ახალ ტექნოლოგიებსა და ცოდნაზე, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ პროგრესს. ინოვაციურ სფეროში მცირე საწარმოების (ბიზნესის) უპირატესობა ძირითადად შემდეგში გამოიხატება:

1. მეწარმეობის მცირე ფორმაში უფრო მეტად იქმნება ხელსაყრელი პირობები შემოქმედებისათვის, რაც თავისთავად ინდივიდუალური ხასიათის მატარებელია;

2. შემოქმედებითი საქმიანობისთვის, თავისი არსიდან გამომდინარე უცხოა ზედმეტი ორგანიზებულობა, იერარქიულობა, რაც დამახასიათებელია მსხვილი წარმოებისთვის, მცირე ბიზნესი კი ამას გამორიცხავს. ამასთან, მცირე ბიზნესის თავისებური სწრაფვა თავისუფლებისაკენ, წარმატების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს დასახული მიზნის მისაღწევად.

3. მცირე საწარმოებში გამომგონებელი, მესაკუთრე და მენეჯერი ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ერთ პიროვნებას (საერთოდ საწარმოების ოგანიზაციული ფორმებიდან, მცირესთვის, ყველაზე მარტივია, ორგანიზაციის სწორხაზოვანი ფორმა), რაც პრაქტიკულად გამორიცხავს კორპორაციული მმართველობისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს.

4. მცირე ინოვაციური საწარმოების სამეწარმეო საქმიანობა იმით განსხვავდება სხვებისგან, რომ მათთვის დამახასიათებელია ვიწრო საგნობრივი სპეციალიზაცია, რაც განაპირობებს ძალისხმევასა და სასხსრების კონცენტრირებას სიახლის საბოლოო ფორმირების და მისი გავრცელების (დანერგვის, მასიური წარმოების) საწყის ეტაპზე. ეს ნიშნავს, რომ ფაქტობრივად საწარმო მეცნიერულ-სამეწარმეო საქმიანობას იწყებს უშუალოდ საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებით, რომლის მიზანია მაღალი ტექნოლოგიური ნაწარმის შექმნა და მისი სწრაფი გადაცემის უზრუნველყოფა მასიური წარმოებისთვის.

5. მეცნიერულ-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობაში დანახარჯები მცირე მაღალტექნოლოგიურ საწარმოებში არც ისე იშვიათია, მაგრამ ანალოგიური დანახარჯები მსხვილ საწარმოებში რამდენჯერმე მაღალია, რაც განაპირობებს მცირე საწარმოების სწრაფ და ეფექტიან გამოჩენას ინოვაციის ბაზრებზე.

6. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები, ხელსაყრელ პირობებს უქმნის მცირე საწარმოებს წარმატებული ფუნქციონირებისათვის, რაც ადრე ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მსხვილი საწარმოებისათვის.

90-იან წლებში მცირე საწარმოების როლმა და მნიშვნელობამ არსებითი ცვლილებები განიცადა. ემპირიულმა გამოკვლევებმა მცირე საწარმოების წარმატებული ინოვაციების ბევრი მაგალითი დაადასტურა. მცირე ინოვაციური ფირმები უნივერსიტეტებსა და ახლგაზრდა მეცნიერებთან თანამშრომლობით ხშირად ახორციელებენ ძირითად ტექნოლოგიურ გარდევებს და ინოვაციებს, რითაც წინ უსწრებენ მსხვილ კორპორაციებს. მცირე ინოვაციური საწარმოები წარმოადგენს აუცილებელ წყაროს ცოდნის შექმნაში. მათი ინოვაციები და ტექნოლოგიები ხშირად შეისყიდება და კომერციალიზდება მსხვილი საწარმოების მიერ. დღეს განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციების ნახევარს და რადიკალური ინოვაციების თითქმის 100%-ს ახორციელებს მცირე ბიზნესი. გარდა ამისა, ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა მცირე საწარმოებში საგრძნობლად მაღალია ვიდრე მსხვილში. ეს განპირობებულია იმით, რომ მცირე საწარმოებს, განსხვავებით დიდისგან, ახასიათებს ისეთ რისკზე წასვლა, რომლებიც წარმოიქმნება რადიკალური ინოვაციების რეალიზაციისას, რომელიც თავის თავში მოიცავს ტექნოლოგიურ გარდევებს ამა თუ იმ სფეროში. შესაბამისად, იმისთვის რომ ინოვაციური პროდუქტით გავიდეს ბაზარზე და გახდეს რომელიმე სფეროში ნოვატორი, მცირე ინოვაციური საწარმოებს უწევთ ამ რისკზე წასვლა. პირიქით, დიდი საწარმოების უმრავლესობა თავის საინვესტიციო საქმიანობაში ორიენტირებულნი არიან არა რადიკალურ არამედ განვითარებულ ინოვაციებზე. ანუ დიდ საწარმოებს გააჩნიათ დიდი სამრეწველო პოტენციალი და არ არიან მზად გაწიონ რისკი რადიკალური ინოვაციების შესაქმნელად.

მცირე ბიზნესის ეფექტიანობა ინოვაციურ პროცესებში განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: პირველ რიგში, მცირე ინოვაციური საწარმოები, როგორც წესი, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევიან ისეთ სფეროებში, რომელსაც დიდი საწარმოები არაპერსპექტიულად მიიჩნევენ მათი მაღალი რისკის შემცველობის გამო. მეორე მხრივ, ვიწრო საგნობრივი სპეციალიზაცია განაპირობებს ძალებისა და რესურსების კონცენტრაციას კვლევის კონკრეტული მიმართულებით და ასევე ინოვაციური პროდუქტების შემდგომ შემუშავებასა და გავრცელებაში. მესამე, მცირე ინოვაციური ფირმების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინოვა-

ციური პროცესების ერთიანობა კვლევებიდან საბოლოო პროდუქციის შემუშავებამდე, მართვის რთული სტრუქტურების მქონე მსხვილი საწარმოებისგან განსხვავებით, ერთიანდება ერთი ადამიანის ხელმძღვანელობის ქვეშ, რაც აჩქარებს ინოვაციური საქმიანობის პროცესს საბოლოო შედეგის მისაღებად.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში მცირე ინოვაციური ბიზნესი დაკავაბულია ისეთი სამეცნიერო-კვლევით სასდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებით, რომლებიც არ ითხოვს ფინანსური რესურსების მსხვილ დანახარჯებს და დასაქმებულთა დიდ რაოდენობას.

შექმნის მიზნების მიხედვით შეიძლება გამოიყოს მიკ-ის შემდეგი ტიპები:

- დამწერგავი კომპანიები. კომპანიები, რომლებიც შექმნილია მეცნიერული კვლევების შედეგების რეალიზაციისა და კომერციალიზაციის მიზნით.

- კომპანია „პიონერები“ - მცირე ფირმები, რომლებიც შექმნილია მსხვილი კომპანიების მიერ ახალი პროდუქციის ან ტექნოლოგიის აპრობირებისთვის.

- სტანდარტული ალიანსები: - კომპანიები, მ.შ. კონტრაქტული, რომლებიც შექმნილია მსხვილი კორპორაციების მიერ სკსს-ს შედეგების ერთობლივი რეალიზაციის მიზნით.

- კვლევითი კომპანიები - კომპანიები, რომლებიც შექმნილია კორპორაციებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებთან და რომლებიც სათავე კომპანიის პროფილის მიხედვით, მუდმივად არიან დაკავებულნი მეცნიერული კვლევებით.

- ვენჩერული კომპანიები: კომპანიები, რომლებიც შექმნილია ვენჩერული ფონდებით. ვენჩერული ფონდის კაპიტალის ეფექტური დაბანდების მიზნით, რომლის მოქმედების პრინციპები ითვალისწინებს კაპიტალის დაბანდებას რისკიან მაღალმომგებიან, როგორც წესი, მეცნიერებატევად პროექტებში.

მცირე ინოვაციური ფირმების საქმიანობის თავისებურებანი, იდენფიცირდება ორი მიმართულებით: მცირე საწარმოს სამეურნეო საქმიანობის თავისებურებები (ბიუროკრატიზმის არარსებობა; სი-ახლეების აპრობაციის სისწრაფე, ინოვაციებისგან მაქსიმალური ეფექტის მიღებისათვის რესურსების ეკონომიურობა) და ინოვაციური საქმიანობის თავისებურებები.

ინოვაციური საქმიანობა ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

1. ნეგატიური შედეგების ალბათური ხასიათი, რისკი და დაშვებულობა; ათვისებაზე გაწეული დანახარჯები ამოისყიდება დროის მნიშვნელოვან პერიოდში, რაც აუარესებს სამეურნეო სუბიექტის დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას. ამიტომ ინოვაციური საქმიანობა გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ბიზნესის დაგეგმვას.

2. პროდუქციის უნიკალური თვისებების განუმეორებლობა, რომელიც დაცული უნდა იყოს შესაბამისი კანონმდებლობით.

3. პროდუქციის ღირებულების ახალი სახის: „უნიკალური ღირებულების“ არსებობა. იგი გამოდის როგორც დამატებითი მოგება, რითაც ჯილდოვდება ინოვაციური საქმიანობა. ინოვაციური პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება არა მის შექმნაზე გაწეული დანახარჯებით, არამედ იმ სიახლით, რომელსაც შეიცავს მოცემული პროდუქტი, მისი შესაძლებლობით დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები ხარისხობრივად ახალ დონეზე. ეს „უნიკალური ღირებულება“ საშუალებას აძლევს ნოვატორ კომპანიებს, დაფაროს დანახარჯები, რომელიც მათ გაიღეს ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის პროცესში.

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში მცირე ინოვაციური ბიზნესი ყველაზე მეტად განვითარებულია შემდეგ სფეროში: მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, აღმოჩენების და გამოგონებების დანერგვა და გაშვება წარმოებაში, სხვადასხვა ინოვაციები, რომლებიც მაღალი რისკის შემცველია, მაგრამ აქვს პერსპექტივა.

განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, რომელიც წარმოდგენილია ინსტიტუციური სექტორით, ესენია: სახელმწიფო, კერძო სექტორი, „არაკომერციული“ (კვლევითი დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებსაც პრაქტიკულად არ გააჩნიათ მოგება და გათავისუფლებული არიან გადასახადებისგან) და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა, ანუ უმაღლესი სასწავლებლები.

ლისაბონის სტრატეგია: მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესისათვის „მცირე საწარმოების ევროპული ქარტია“

ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის ლისაბონის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი სტრატეგიის მიღების შესახებ, რომელიც მეტი სამუშაო ადგილის შექმნისა და კეთილდღეობის ზრდის უმთავრეს მექანიზმად ევროპის ინოვაციური გზით განვითარებას გულისხმობს. დაიწყო ევროპის საინოვაციო განვითარების ახალი ეტაპი, რომლის კონცეფცია და გეგმა ლისაბონის სტრატეგიის სახელითაა ცნობილი.

ლისაბონის სტრატეგიამ ევროპის საინოვაციო განვითარების პრობლემის გადაწყვეტა ინოვაციური მსხ მდგომარეობასა და შესაძლებლობებთან, მათი პოტენციალის სრულ გამოყენებასთან დააკავშირა. მის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ინოვაციური ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე და საშუალოს, დაწყებისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

ლისაბონის სტრატეგიის მიღებისთანავე, 2000 წელს, ევროკავშირმა შეიმუშავა და დაამტკიცა „მცირე საწარმოების ევროპული ქარტია“, სადაც მოყვანილია მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ათი ძირითადი მიმართულება:

1) განათლება და გადამზადება მეწარმეობის სფეროში, ევროპა იზრუნებს სამეწარმეო სულის აღზრდასა და მართვის უნარ-ჩვევების სწავლებაზე დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტამდე, სპეციალობის მიუხედავად და აგრეთვე, მცირე საწარმოების მენეჯერთა გადამზადებაზე;

2) საწარმოების უფრო იაფად და სწრაფად დაფუძნება, დაფუძნების ღირებულება მსოფლიოში ყველაზე იაფი უნდა გახდეს. წევრმა ქვეყნებმა, რომელთაც დაფუძნების პროცედურები ხანგრძლივი აქვთ, უნდა აიღონ სწორება მოკლეპროცედურიან ქვეყნებზე. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომპანიების დისტანციური ელექტონული რეგისტრაცია;

3) უკეთესი კანონმდებლობა და წესები, როგორც გაერთიანების, ასევე ქვეყნების დონეზე, უნდა გაკეთდეს კანონმდებლობის რევიზია, რათა მცირე ბიზნესისთვის გამარტივდეს წესები გაკორტრებისა და კონკურენციის სფეროებში. კანონმდებლობაში როგორც ევროპულ, ასევე ეროვნულ დონეზე, სადაც კი შესაძლებელია, მცირე ბიზნესისთვის უნდა გაკეთდეს არსებული რეგულა-

ციური ვალდებულებებისაგან გამათავისუფლებელი გამონაკლისები;

4) კვალიფიკაციის ამაღლების ხელმისაწვდომობა, ევროკავშირი უნდა დარწმუნდეს, რომ გადამზადების ინსტიტუტები და სამუშაოს მოუწყვეტლად სწავლების სქემები აწვდის მცირე ბიზნესისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს და უზრუნველყოფს უწყვეტ განათლებასა და კონსულტირებას;

5) ელექტრონული წვდომის გაუმჯობესება, საჯარო ადმინისტრაცია გააძლიერებს ელექტრონულ ურთიერთობას მცირე ბიზნესთან. გადასახადების დაბრუნება, კონსულტაცია და ინფორმაციის მიღება ონლაინ რეჟიმში უნდა გაიაფდეს და გაადვილდეს.

6) მეტი სარგებელი გაერთიანებული ბაზრისგან, მცირე ბიზნესმა უნდა იგრძნოს, რომ ბაზრის გაერთიანების დასრულება იმგვარად ხდება, რომ იგი მეგობრულ გარემოს ქმნის, პირველ რიგში ბიზნესისთვის კრიტიკულ სფეროებში, როგორცაა ელექტრონული კომერცია, ტელეკომუნიკაცია, კომუნალური სფერო, სახელმწიფო შესყიდვები, საზღვარგარეთ ფულის გადახდა და ახალ ბაზარზე შეღწევა.

7) დაბეგვრა და საფინანსო საკითხები, საგადასახადო სისტემამ უნდა წაახალისოს წარმატება, ბიზნესის დაწყება, მცირე საწარმოს გაფართოება, პერსონალური ეფექტიანობა. ფინანსების ხელმისაწვდომობა მცირე ბიზნესისთვის უნდა გაიზარდოს, რისთვისაც უნდა შემცირდეს ბარიერები პანევროპული კაპიტალის ბაზრისთვის, საფინანსო მომსახურების სამოქმედო გეგმისა და სარისკო კაპიტალის სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის. საბანკო სისტემასა და მცირე ბიზნესს შორის კრედიტებისა და სარისკო კაპიტალის მიწოდების პირობები უნდა შეიქმნას. სტრუქტურული ფონდებისა და ევროპული საინვესტიციო ბანკის ინიციატივების ხელმისაწვდომობა უნდა გაუმჯობესდეს დამწყებთათვის და მაღალტექნოლოგიური მცირე ბიზნესისთვის.

8) მცირე საწარმოების ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება, ევროკავშირი გააძლიერებს ტექნოლოგიების გავრცელებას მცირე საწარმოების მიმართლებით, აგრეთვე, მათ მიერ ტექნოლოგიების პოვნას, გადარჩევასა და ათვისების უნარის გაძლიერებაზე მიმართულ არსებულ პროგრამებს. გაძლიერდება ტექნოლოგიური კოოპერაცია და გაცვლა სხვადასხვა ზომის

კომპანიებს შორის, კერძოდ, მცირე საწარმოებს შორის. შემუშავდება უფრო ეფექტიანი კვლევითი პროგრამები, მიმართული ცოდნისა და ტექნოლოგიის კომერციულ გამოყენებაზე. მცირე საწარმოებისთვის მიღებული იქნება ხარისხისა და სერტიფიკაციის სისტემები. მნიშვნელოვანია ევროგაერთიანების პატენტის შემოღება და მისი მიღების გაადვილება. მხარდაჭერილი იქნება თანამშრომლობა მცირე საწარმოებს, უნივესიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებს შორის. ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ღონისძიებები ხელს შეუწყობს ფირმათა შორის კლასტერებისა და ქსელების წარმოქმნას, პანევროპულ თანამშრომლობას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. გამოვლინდება და გავრცელდება თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითები. ხელი შეეწყობა მცირე საწარმოების თანამშრომლობას, მიმართულს საერთოევროპულ და მესამე ქვეყნების ბაზრებზე გასვლაზე.

9) წარმატებული ელექტონული ბიზნესის მოდელები და უმაღლესი კლასის მცირე ბიზნესის მხარდაჭერა, ევროკომისია და წევრი-ქვეყნები იმოქმედებენ ერთობლივად ისეთ საინფორმაციო და ბიზნესის ხელშემწყობი სისტემების, ქსელებისა და მომსახურების შესაქმნელად, რომელიც ადვილად გასაგები და მისაწვდომი და ამავე დროს, ბიზნესის მოთხოვნილების რელევანტურია. ევროპის მასშტაბით იქნება უზრუნველყოფილი რჩევისა და დახმარების წვდომა, რისთვისაც ვებსაიტებიც იქნება გამოყენებული. მოქმედებას დაიწყებს მცირე და საშუალო საწარმოების ობსერვატორია.

10) ევროკავშირისა და ეროვნულ დონეებზე მცირე საწარმოთა ინტერესების წარმოდგენის გაძლიერება და ეფექტურობის გაზრდა. ევროკომისია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად კოორდინაციას გაუწევს ევროპულ და ეროვნულ პოლიტიკებს, გამოიყენებს მრავალწლიან პროგრამას საწარმოებისა და მეწარმეობის თაობაზე და სხვა მექანიზმებს, მონიტორინგს გაუწევს პროცესს, ხოლო შედეგებს ევროკავშირის გაზაფხულის სამიტს მოახსენებს [3].

უკვე 2004 წელს გაცხადდა, რომ თვალსაჩინო მიღწევების მიუხედავად, ლისაბონის სტრატეგიაში 2010 წლისათვის დასახული ამბიციური მიზნების ნაწილი ვერ იქნა მიღწეული. საჭირო იყო გარკვეული მიმართლებებით მუშაობის გაძლიერება და

სრულყოფა. მსს-თან მიმართებაში ეს 2006 წელს კვლევაში, შემუშავებასა და ინოვაციაში სახელმწიფო დახმარების ევროპული ჩარჩოს შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასა და 2008 წელს მიღებულ „ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტი“ აისახა.

„ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტი“ 10 პრინციპის სახით

მცირე ბიზნესის აქტში ჩამოყალიბებულია 10 პრინციპი ევროკომისიისა და ეროვნული მთავრობებისთვის, რომელიც მცირე საწარმოების ევროპულ ქარტიას ეყრდნობა, მაგრამ ახალი ხედვის გათვალისწინებით. ეს იყო გადაწყვეტილება მცირე ბიზნესთან დაკავშირებული საინოვაციო სტრატეგიის წინა ფრონტზე გადაწყვეის შესახებ. მისი მიზანია ინოვაციური მცირე ბიზნესის ფუნქციონირებისათვის, მათი მკვეთრი განვითარებისათვის სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ეკონომიკური გარემოს ფორმირება. აი ეს პრინციპები:

1) შეიქმნას გარემო, რომელშიც მეწარმეები და საოჯახო ბიზნესი მკვეთრ განვითარებას შეძლებს, ხოლო მეწარმეობა წარმატებული და მომგებიანი იქნება;

2) უზრუნველყოფილ იქნეს ხელახალი დაწყების შანსი იმ პატიოსანი მეწარმეებისთვის, რომლებიც გააკორდნენ;

3) მსს-თვის შემუშავდეს წესები „ჯერ მცირეზე იფიქრე“ პრინციპის შესაბამისად;

4) მიღებულ იქნას ზომები, რათა საჯარო ადმინისტრაციები მსს საჭიროებების მიმართ მგრძობიარენი გახდნენ;

5) საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტები მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებებს უნდა მიესადაგოს: უზრუნველყოფილ იქნეს მსს მონაწილეობა საჯარო შესყიდვებში და მათ ინტერესებში უკეთ იქნას გამოყენებული სახელმწიფო დახმარება;

6) უზრუნველყოფილ იქნეს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსების მისაწვდომობა და განვითარდეს სამართლებრივი და საქმიანი გარემო, რომელიც კომერციული ოპერაციების პროცესში მათთვის დროულად გადახდებს უზრუნველყოფს;

7) დახმარება აღმოეჩინოს მსს ერთიანი ბაზრისაგან მეტი სარგებლის მიღებაში;

8) დახმარება გაეწიოს მსს ცოდნის ამაღლებასა და ყველა ფორმის ინოვაციაში;

9) საშუალება მიეცეთ მსს, გარემოსდაცვითი გამოწვევები ბიზნეს-შესაძლებლობებად აქციონ;

10) შეიქმნას პირობები მსს საერთაშორისო თანამშრომლობისთვის.

ზემოაღწერილი მცირე ბიზნესის აქტი საკანონმდებლო დოკუმენტი არ არის. ეს არის სამოქმედო გეგმა. თითოეული პრინციპის რეალიზაციისთვის შედგენილია გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და მოთხოვნები ევროკომისიისა და უმთავრესად, ეროვნული მთავრობების მიმართ.

ზემოხსენებული პრინციპების შესაბამისად, ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ პროგრამებსა და გეგმებში აისახა მსს განვითარების საკითხები.

ევროპულ დონეზე, პირველ რიგში, ესაა: კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციის ჩარჩო-პროგრამა საინფორმაციო ტექნოლოგიების, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სფეროებში (3.6 მლრდ ევრო მსს-თვის 2007-20013 წლებში); კვლევისა და ინოვაციის მე-7 ჩარჩო-პროგრამა, რომელშიც 5 მლრდ ევრო მცირე საწარმოებში კვლევების დაფინანსებისთვის იყო გათვალისწინებული 2007-2013 წლებში.

ევროპული რეგიონული პოლიტიკის ჩარჩოებში: - რეგიონული განვითარების ფონდის, სოციალური ფონდისა და ერთობის ფონდის, აგრეთვე ევროპული საინვესტიციო ფონდის პროექტები და ინიციატივები და სხვა.

იაპონიასა და აშშ-თან შედარებით სარისკო კაპიტალი დაიწვეები საინოვაციო ბიზნესის მხარდასაჭერად ევროპაში მცირე (მის ყველა გამოვლინებაში - ბიზნეს ანგელოზები, ვენჩერული კაპიტალი, აქციების ბაზარი).ევროპული საინვესტიციო ფონდის მთავარი ამოცანა ამ ხარვეზის გამოსწორებაა. იგი აძლევს თანხებს არა ბიზნესს, არამედ საფინანსო ინსტიტუტებს, რათა მცირე ბიზნესის საინოვაციო პროექტებთან დაკავშირებული რისკები შეამციროს და სარისკო კაპიტალის ზრდა წაახალისოს.

მსს არასაფინანსო დახმარების მიმართულებით ევროპულ დონეზე აღსანიშნავია ორი მსხვილი ქსელის მოქმედება (და უწყვეტი განვითარება) - ევროპული ბიზნესის ქსელი და ქსელი ევროპული საწარმო (Enterprise Europe Network). მათი საქმიანობა მცირე ბიზნესის აქტის პრაქტიკულად ყველა პუნქტის შესრულებ

ბას უწყობს ხელს. ამავე დროს, ორივე ქსელი მსს მიმართ ეროვნული და რეგიონული ვალდებულებების შესრულებასაც ემსახურება, რადგანაც მათი ცენტრები ადგილებზე ემსახურებიან საწარმოებს.

ამრიგად ვხედავთ, რომ ევროკავშირში ლისაბონის სტრატეგიაში დეკლარირებული ინოვაციური მსს როლი და სტრატეგიის ჩარჩოები პრაქტიკულად ყოველწლიურად იზრდება, ხოლო მცირე ინოვაციური საწარმოების ნორმალური ფუნქციონირებისა და მკვეთრი განვითარებისათვის ბიზნესგარემოს ფორმირებისა და დახმარების აღმოჩენის ინსტრუმენტები ფართოვდება და იხვეწება.

ევროკავშირი, რომელიც პატიოსან კონკურენციას ყურადღებით ადევნებს თვალყურს და ამასთან დაკავშირებით კრძალავს საწარმოებისთვის ასიმეტრიულ დახმარებას (გამონაკლისებს და სხვა), უშვებს ერთ ფუნდამენტურ გამონაკლისს - ინოვაციური მცირე მეცნიერული საწარმოებისთვის (მმს-თვის) საფინანსო და არასაფინანსო (მომსახურებით) დახმარების გაწევას. ამ აქტზე დაყრდნობით შემუშავებულია რიგი ღონისძიებები, რათა გატარდეს ეროვნული პოლიტიკები ინოვაციური მმს სფეროში. ჩვენ აქ შევჩერდებით მათგან ზოგიერთ არსებითზე.

ევროკომისიამ ამ დოკუმენტით ბიზნესისთვის კვლევაში, შემუშავებასა და ინოვაციაში, ევროპული ჩარჩოს ფარგლებში, ეროვნული მთავრობებისთვის დაადგინა სახელმწიფო დახმარების ნაირსახეობები და საზღვრები, რომელიც პატიოსანი კონკურენციის ევროპული და საერთაშორისო პრინციპების დარღვევას არ იწვევს. ეს სამუშაო კონკურენციის გენერალურმა დირექტორატმა შეასრულა. მასვე ევალება აღნიშნული პრინციპების დაცვისთვის თვალყურის დევნება.

ამ აქტით დაშვებულია საწარმოებისთვის სახელმწიფო დახმარების გაწევის შემდეგი მიმართულებები:

1. კვლევა და შემუშავება;
2. წინასაპროექტო კვლევა და ტექნიკური დავალების შედგენა;
3. მსს-თვის სამრეწველო ინტელექტუალური საკუთრების ხარჯების დაფარვა;
4. ახალგაზრდა მცირე ინოვაციური საწარმოების დახმარება;

5. მომსახურების სფეროში პროცესებისა და საორგანიზაციო ინოვაციის დახმარება;

6. ინოვაციის სფეროში საკონსულტაციო და სხვა მხარდაჭერი სამსახურებისთვის დახმარება;

7. დახმარება უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოსაზიდად (კვლევითი ორგანიზაციიდან ან მსხვილი საწარმოდან);

8. საინოვაციო კლასტერებისთვის დახმარება.

ევროკავშირის ქვეყნებში არსებობს მცირე ინოვაციური ბიზნესის სახელმწიფოს მხრიდან დახმარების საგადასახადო და არასაგადასახადო წახალისების მეთოდები.

მცირე ინოვაციური ბიზნესის ფუნქციონირების თავისებურებანი ევროკავშირის ქვეყნებში ვლინდება აქ მათდამი დახმარების ევროპისეულ მექანიზმში:

არასაგადასახადო საფინანსო დახმარების მაგალითები:

- ახალგაზრდა მცირე ინოვაციური ბიზნესის წახალისება (ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის პუნქტი 4) გულისხმობს, რომ ინოვაციური იდეის მფლობელმა 6 წლამდე ასაკის საწარმომ შეიძლება მიიღოს გრანტი 1 მლნ ევრომდე (ჩამორჩენილ რეგიონებში 1.5 მილიონ ევრომდე). გრანტი გაიცემა მხოლოდ ერთხელ. იგი არ უშლის ხელს სხვა მიმართულებით გრანტების მიღებას და მათთან შეიძლება გაერთიანდეს. ეს წესი არ ნიშნავს, რომ წევრ-ქვეყანაში ასეთი გრანტები აუცილებლად უნდა გაიცემოდეს [3].

- ახალი ტექნოლოგიების სფეროში ინოვაციების წახალისების მიზნით, მთავრობები საწარმოებს პირდაპირ აფინანსებენ (სახელმწიფო დახმარების აქტით გათვალისწინებული წესების დაცვით). მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მცირე საწარმომ შეიძლება მიიღოს ახალი პროდუქტის შემუშავებასთან დაკავშირებული გრანტი, რომელიც გასაწევი მთლიანი ხარჯების 50% და მეტს შეადგენს. გრანტების სიდიდე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. გარდა ამისა, ერთსა და იმავე ქვეყანაში სხვადასხვა გრანტის გამცემ ორგანიზაციებს შეიძლება განსხვავებული წესები გააჩნდეთ. პრაქტიკაშია უპროცენტო სესხებიც – მაგალითად, შვედეთში და სხვა.

- დღეისათვის ევროპაში საკვანძო ამოცანაა დამწყები მსს-თვისა და, ზოგადად, მცირე და საშუალო საწარმოების საინოვაციო პროექტებისთვის, სარისკო კაპიტალის გაზრდა. მას ევროკომისია, ეროვნული და რეგიონული მთავრობები ერთობლივად წყვეტენ. სარისკო კაპიტალი სამი ტიპის დაფინანსებას მოიცავს: ბიზნესანგელოზების მხრიდან არაფორმალური ინვესტირება, ვენჩურული კაპიტალი და სწრაფად მზარდ კომპანიებზე ორიენტირებული აქციათა ბაზარი. სამივე საშუალების ზრდაზეა მიმართული ევროპული საინვესტიციო ფონდის (EIF) ღონისძიებები. იგი სარისკო ინვესტორებთან ერთად თანადაფინანსებლის როლში გამოდის.

საგადასახადო შეღავათები (წახალისება) ეს შეღავათები მთლიანად ეროვნულ პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

- ზოგიერთ ქვეყანაში საწარმოო მოწყობილობის ამორტიზაციის დაჩქარებული სისტემაა შემუშავებული. მაგალითად, ბელგიაში ზოგიერთი ტიპის მსს შეუძლია ჩამოწეროს მოწყობილობები (გააცხადოს სრული ამორტიზაცია) შეძენის წელიწადში. დიდ ბრიტანეთში დაშვებულია ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების მთლიანი ღირებულების 50% ჩამოწერა მათი ექსპლუატაციის პირველსავე წელიწადში. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ აჩქარებულ ამორტიზაციას ევროპაში სულ რამდენიმე ქვეყანა იყენებს.

- პრაქტიკაშია კვლევითი საგადასახადო კრედიტის (შეღავათის) დაწესება ან გარკვეული დროით გადასახადისგან გათავისუფლება (Tax holiday) [ვაშაკიძე თ., 2010].

მაგალითად, საფრანგეთში ახლად შექმნილი ინოვაციური მცირე საწარმოები სარგებლობენ ზემოთ ხსენებული „Tax holiday“-ით, ე.ი. გადასახადებიდან გათავისუფლებით.

მსგავსი სქემები მოქმედებს ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, შვედეთში, იტალიაში. კომპანიების მიერ კვლევაზე დახარჯული თანხის 100% შეიძლება დააკლდეს დასაბეგრი შემოსავლების ოდენობას.

მცირე ინოვაციური ბიზნესის სქემებიდან შეიძლება აღვნიშნოთ:

- ინოვაციური პროექტების რეალიზაციიდან მიღებული მოგების გადასახადისგან რამდენიმე წლით გათავისუფლება

- ინოვაციური კომპანიების აქციებიდან ფიზიკური და იუ-რი-დიული პირების მიერ მიღებული დივიდენდების შეღავათიანი დაბეგვრა.

- საწარმოს მიერ დაკვეთილი ან უნივერსიტეტთან (კვლევით ორგანიზაციასთან) ერთობლივი კვლევის შედეგის გამოყენებით მიღებულ მოგებაზე გადასახადის განაკვეთის შემცირება.

- ინტელექტუალური საკუთრების ცნებით განსაზღვრული არამატერიალური აქტივების: პატენტების, ლიცენზიების, ნოუ-ჰაუს და ა.შ. გამოყენებით მიღებული მოგების შეღავათიანი დაბეგვრა.

- დამწვებ ინოვაციურ კომპანიებში ინვესტიციების გადასახადისგან გათავისუფლება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში დამწვებ ინოვაციურ კომპანიებში ჩადებული დაუბეგრავი ინვესტიციის ოდენობა 150 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

- ინოვაციურ კომპანიებზე ან უმაღლესი სკოლის ორგანიზაციებზე მოწყობილობა-დანადგარების უსასყიდლო გადაცემის შემთხვევაში, გადამცემის დასაბეგრი მოგების შემცირება ამ მოწყობილობა-დანადგარების ღირებულებით.

- ინოვაციების დაფინანსებასთან დაკავშირებული ფონდების ანგარიშზე შენატანის გამოკლება ღონისძიების დასაბეგრი მოგებიდან და სხვა.

მცირე საწარმოებისთვის დახმარება სამრეწველო ინტელექტუალურ საკუთრებაზე (სის) უფლებების სფეროში

აქ ქვეყნებისა და რეგიონების მთავრობების დახმარება მსს ინტელექტუალური საკუთრების უფლების (გამოგონებაზე, სამრეწველო ნიმუშზე, სავაჭრო ნიშანზე) მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ საჯარო სახსრებით დაფარვაში გამოიხატება.

მაგალითად, ევროგაერთიანების ევროპული საწარმოს ქსელი თავისი ცენტრების მეშვეობით ესმარება მსს-ს კონსულტაციებით სის, ლიცენზირების, ტექნოლოგიის გადაცემაზე მოლაპარაკებებისა და ინოვაციების სფეროში. მრავალ ქვეყანაში განავითარეს ეროვნული ქსელები გამოგონებების გამოყენების, საპატენტო სისტემის პრომოუშენის და ინოვაციების სფეროში. მათი დახმარების ობიექტი არის მსს.

ნებისმიერი გრანტის ხარჯზე შექმნილი სის ეკუთვნის საწარმოს და არა გრანტის გამცემს. ასევე გავრცელებული პრაქტიკაა საპატენტო საქმიანობის ფონდების შექმნა მის ხარჯების დასაფარად დაპატენტებიდან გამოყენებამდე (თანადაფინანსებით საწარმოს მხრიდან ან მის გარეშე). დახმარება საერთაშორისო დაპატენტებისთვის ხშირად 100 ათას აშშ დოლარს აღწევს.

ეროვნული საპატენტო სააგენტოები მსს-თვის აწესებენ შემცირებულ მოსაკრებლებს, ხოლო საგადასახადო სისტემები ითვალისწინებს შეღავათებს სის სფეროში. ევროგაერთიანების იმ ქვეყნებს შორის, სადაც აღნიშნული პრაქტიკა, მთლიანად ან ნაწილობრივ, არსებობს, არიან ავსტრია, ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ესპანეთი, ირლანდია, იტალია, საფრანგეთი, ფინეთი, შვეცია, ჰოლანდია, ბულგარეთი, ესტონეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი.

მცირე საწარმოების კვლევითი სამუშაოების მხარდაჭერა. ევროკავშირში მსს კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად შეუძლია მიიღოს ფინანსური მხარდაჭერა როგორც საერთოევროპულ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებში, ასევე ეროვნულ პროგრამებში მონაწილეობით. სახელდობრ, მათთვის ხელმისაწვდომია:

- კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის მე-7 ჩარჩო-პროგრამა, რომელსაც ევროკომისია აფინანსებს, ადგენს პრიორიტეტებს და აწარმოებს პროექტების გადარჩევას;

- მე-7 ჩარჩო-პროგრამის ინიციატივა **ევროსტარს (eurostars)**, აფინანსებს: 1/4-ს ევროკომისია ჩარჩო-პროგრამიდან, ხოლო 3/4-ს კი მონაწილე ეროვნული მთავრობები (ამასთან, უკანასკნელნი პროექტების გადარჩევაში არ მონაწილეობენ, ამას ევროპული საექსპერტო ჯგუფები აკეთებენ);

- ეროვნული კვლევითი პროგრამები, ეროვნული დაფინანსებით, პრიორიტეტებითა და გადარჩევის სისტემით, კონკრეტული ქვეყნის ამოცანების შესაბამისად (მათი ჯამური დაფინანსება მრავალჯერ აღემატება ჩარჩო-პროგრამის დაფინანსებას) მიმდინარეობს;

- რეგიონული განვითარების პროგრამები ძლიერი კვლევითი შემადგენლობით,

რომელსაც ერთობლივად აფინანსებენ რეგიონული ადმინისტრაციები, ეროვნული მთავრობები და ევროპული სტრუქტურული ფონდები.

საზოგადოებრივი სახსრების ხელმისაწვდომობა მსს-თვის, გარდა კონკრეტული ინოვაციური ამოცანების გადაწყვეტისა, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას ემსახურება. ესაა მსს სექტორში კვლევაზე საკუთარი ხარჯების ზრდის სტიმულირება, რითაც ევროპა ჩამორჩება აშშ-ს და რის გამოსწორების გარეშე ევროპა ვერ მიაღწევს მიზანს: – "მშპ-ს 3% კვლევისა და შემუშავებაზე" [3].

კვლევის მხარდამჭერი გრანტები, როგორც წესი, თანადაფინანსებას გულისხმობს საწარმოს მხრიდან. საზოგადოებრივი სახსრები ეხმარება, აგრეთვე, კვლევისა და ინოვაციის სექტორში სარისკო კერძო კაპიტალის მოზიდვას.

ევროპაში ფუნქციონირებს ევროპული ბიზნესის ინოვაციის ცენტრების ქსელი და ქსელი ევროპული საწარმო. პირველი მოიცავს 155 ბიზნესის ინოვაციის ცენტრს (ბიზნესინკუბატორები) ევროპის ყველა ქვეყანაში და 75 ასოცირებულ წევრს სხვა ქვეყნებში. მეორე 2008 წლიდან აერთიანებს 70 ინოვაციის გადამცემ ცენტრს ((Innovation Relay Centres – IRC) და ევრო ინფოცენტრებს (Euro Info Centres-EICE) – სულ 600 ორგანიზაციას, რომელიც მცირე საწარმოებისთვის უზრუნველყოფს ინფორმაციას ევროგაერთიანებისა და ადგილობრივი შესაძლებლობების შესახებ (პარტნიორები, ტექნოლოგიები, კანონმდებლობა, დაფინანსების წყაროები და სხვა) და უწევს კონსულტირებას ამ ინფორმაციის მათი საჭიროებისთვის გამოყენების თაობაზე. ცხადია, ორივე ქსელის ცენტრები განლაგებულია რეგიონებში და რეგიონული განვითარების ამოცანებს ემსახურება [3].

მსს მხარდაჭერა რეგიონული კლასტერების¹¹ განვითარების ჩარჩოებში. ევროპაში რეგიონული საწარმო-კვლევითი კლასტერები იხილება როგორც კონკურენტუნარიანობის, ინოვაციისა და რეგიონული განვითარების მთავარი მექანიზმი.

¹¹ კლასტერი ურთიერთდაკავშირებულ და გეოგრაფიულად ახლომდებარე საწარმოთა ჯგუფია, რომელიც ერთობლივად იყენებს სპეციალიზებულ ინფრასტრუქტურას, მუშახელის ბაზარს და მომსახურებას. კომპანიების, მიმწოდებლების, მომსახურე ფირმებისა და კვლევითი ინსტიტუტების კონცენტრაცია კლასტერში სწრაფად ზრდის მონაწილეთა პროდუქტიულობას.

ევროპაში 2000 კლასტერია რეგისტრირებული. კლასტერები შეიძლება ათობით და ასობით საწარმოს მოიცავდეს, რომელთა უმრავლესობა მსს-ა. კლასტერის მონაწილე მსს, თუ კლასტერს ევროპული ან ადგილობრივი მხარდაჭერა გააჩნია სპეციალური პროექტის სახით, შეუძლია დამატებითი (მსს ჩვეულებრივი მხარდაჭერი სქემების მიმართ) დახმარება მიიღოს როგორც გრანტების, ასევე არასაფინანსო (კონსულტაციის და სხვა) სახით. ამგვარად, მსს ორმაგ მოგებას ნახულობს – კლასტერის შიგნით კოოპერაციის გზით ეფექტიანობის ზრდას და სპეციალურ დახმარებას.

ევროკავშირი სისტემატურად ეწევა მცირე ბიზნესის აქტის შესრულების მონიტორინგს – როგორც ლისაბონის სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტის შესრულებას ყურადღებით აკვირდება. დაკვირვების (მონიტორინგის) ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს მსს (და მის) საქმიანობის მიმოხილვა, რომელიც საწარმოების გენერალურმა დირექტორატმა 2008 წლიდან შემოიღო. იგი შედგება წლიური ევროპული მსს შესახებ მოხსენებისგან, ქვეყნების მიხედვით მომზადებული წლიური ანგარიშებისგან, რომლებსაც მცირე ბიზნესის ფაქტების ფურცლები ეწოდება და დამატებითი სპეციალური, უფრო ღრმა გამოკვლევებისგან¹². შეფასება ხდება ათი მიმართულებით, რომელიც მცირე ბიზნესის აქტშია დეკლარირებული.

EaP¹³, ინოვაციური მცირე ბიზნესი და საქართველოს გამოწვევები

აღმოსავლეთი პარტნიორობა (EaP) არის ინიციატივა, რომელიც ქმნის ჩარჩოს ევროკავშირის ურთიერთობებისთვის სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ბელორუსთან, საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან.

EaP-ს დღის წესრიგში ინოვაციური მცირე ბიზნესის საკითხები ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას (საფლაგმანო ინიცია-

¹² ეს მასალები, ისევე, როგორც მათი შედგენის მეთოდოლოგია და გამოყენებული ინდიკატორები, მკითხველს შეუძლია ნახოს ევროკომისიის საწარმოთა გენერალური დირექტორატის ვებსაიტზე. The SME Performance Review; The Report on European SMEs; SBA fact sheets.(http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/performance-review/index_en.htm)

¹³ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები (EaP).

ტივას) წარმოადგენს. ინოვაციურ განვითარებასა და მსს პრობლემებს EaP სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მე-2 (ბერლინი, 2010 წელი) შეხვედრის რეკომენდაციების დიდი ნაწილი მიეძღვნა, ანუ მონაწილე ქვეყნების არასამთავრობო სექტორი მსს და ინოვაციას მიიჩნევს მათი ქვეყნებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებად, რომლებსაც არც ქვეყნებში და არც EaP-ს სამთავრობო დღის წესრიგში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა, რაც, როგორც ქვეყნების განვითარების, ასევე ევროინტეგრაციის შეფერხებას იწვევს. ამ ქვეყნებში და განსაკუთრებით საქართველოში, დახმარების მექანიზმები, განსაკუთრებით ინოვაციურ მცირე საწარმოებთან მიმართებაში, მწირია.

საქართველოში პოლიტიკა ინოვაციური მსს ფორმირება-ფუნქციონირების სფეროში შესამუშავებელია, ამისთვის ევროკავშირი მოდელის მთელ წყებას გვთავაზობს. მიზანშეწონილია EaP გამოყენება, რათა მოხდეს ამ გამოცდილების საქართველოს პირობებთან ადაპტირება

მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში **ინოვაციური პროცესების ხანგრძლივობა შეადგენს 5-6 წელს**, მაშინ როცა საშუალოდ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში (როგორცაა საქართველო) იგი უდრის 15-20 წელს [2].

GCI-ის რეიტინგის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ („The Global Competitiveness Report“) მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 3 ადგილით გაუმჯობესდა და 69-ე ადგილიდან 66-ზე (4,22-იანი ქულით) გადმოინაცვლა 144 ქვეყანას შორის. მაგრამ იმ ინდიკატორებში, რომლებიც ზომავს ტექნოლოგიების და ინოვაციების დონეს ქვეყანაში, საქართველოს პოზიციები არასახარბიელოა, მათ შორის:

- ინოვაციების შესაძლებლობა – 121-ე ადგილი;
- კომპანიის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე – 127-ე ადგილი;
- უახლეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა – 97-ე ადგილი;
- ფირმის დონეზე ტექნოლოგიების გამოყენება – 103-ე ადგილი [2].

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, საკითხის შესწავლიდან შეიძლება ითქვას რომ მცირე ინოვაციური ბიზნესის მკაფიო განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოში სამუშაო ადგილებისა და სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის რელსებზე გადაყვანა ნამდვილად შეუძლია მცირე და საშუალო საწარმოებს, განსაკუთრებით მცირე ბიზნესს, როგორც შინაგანად, თავისი თვისებით ინოვაციურს. მსოფლიო ბანკის 2013 წლის კვლევის „მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ მიხედვით, ქართული ინოვაციური საწარმოები 30%-ით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან და ისინი როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ბაზრებზე არაინოვაციურ საწარმოებთან შედარებით გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანები არიან. აქედან გამომდინარე, მეწარმეობის ზრდის ხელშეწყობა, ინოვაციური და უფრო პროდუქტიული ფირმების განვითარებისა და სწრაფად ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ქვეყნის წინსვლასთან დაკავშირებული მიზნების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა იქცეს“.

საქართველოს ევროპის ინოვაციური (მათ შორის ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის) პოლიტიკის ერთიან სივრცეში მოქცევას და ევროპასთან თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურება ბოლო წლებში ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმებანი თუ სხვა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, მათ შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია: „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა“ (EaP), ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება, ასოცირების შესახებ შეთანხმება და 2016 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ბრიუსელის 2016 წლის 29 აპრილის შეთანხმება „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის პროგრამაში „ჰორიზონტი 2020 კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო-პროგრამა (2014 2020)“ საქართველოს მონაწილეობის შესახებ“. ამ რატიფიცირებით საქართველო პროგრამის სრულყოფილებიანი ასოცირებული ქვეყანა გახდა.

„ჰორიზონტი 2020“ პროგრამაში, ასოცირებული ქვეყნის სტატუსი ქართველ მეცნიერებს, მკვლევარებს და ინოვატორებს, ასევე, საქართველოში დაფუძნებულ იურიდიულ პირებს (უნივერსიტეტები, კვლევითი დაწესებულებები, მცირე და საშუალო საწარმოები,

კვლევებზე ორიენტირებული ინდუსტრია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესკომპანიები, ფონდები, სამთავრობო დაწესებულებები და ა.შ.) აძლევს უფლებას, იმავე პირობებით და უფლებებით ისარგებლონ, რითაც სარგებლობენ ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების წარმომადგენლები. „ჰორიზონტი 2020“-ის კონკურსებში გამარჯვების შემთხვევაში, ქართულ კვლევით ინოვაციურ ორგანიზაციებს შეეძლებათ მოიხილონ ასე ათასობით ევროს საგრანტო დაფინანსება, განახორციელონ კვლევები საქართველოში, უმასპინძლონ დამწვებ თუ გამოცდილ მკვლევარებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, ხორცი შეასხან სამეცნიერო და ინოვაციურ იდეებს და გააძლიერონ კვლევითი ცენტრები საქართველოში [2].

ევროკავშირის სამოქმედო პროგრამების „მცირე ბიზნესის აქტის“ (SBA), სხვა პროგრამების თუ შეთანხმებების საფუძველზე საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს **საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის**. აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში, საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერების და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, გამოყოფილია მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები:

სტრატეგიული მიმართულება 1: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიმართულება 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;

სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

სტრატეგიაში გაწერილი სამუშაოების განხორციელება, აშკარაა, ქართულ მცირე ბიზნესს დააყენებს განვითარების სწორ გზაზე და ეკონომიკის ზრდასა და მთლიან შიდა პროდუქტიაში დღეს მისი წილი მეტად დაბალი თუა, ნავარაუდევია, საბაზისო 2013 წელთან მიმართებაში, 2020 წლისთვის მცირე და საშუალო

საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით; დასაქმებულთა ზრდა 15%-ით; მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით [4].

გაწერილი სამუშაოების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, დღემდე არ არის სასურველი შედეგი მიღებული, დღემდე არ არის განსახდვრული საბოლოო სახით არც მცირე ბიზნესი და არც ინოვაციური მცირე ბიზნესი. ამის დასტურია ის, რომ, როგორც ზემოთ მოცემული რიცხვითი მასალებიდან ჩანს, არასახარბიელოდ გამოიყურება ქვეყნის ინოვაციურობის მაჩვენებლები. უნდა დაჩქარდეს მცირე ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების საკითხი. მიღებულ იქნეს კანონთა პაკეტი, რომლის შესახებ ფართოდ არის საუბარი ნაშრომში [1]. ქვეყანაში მწირი ინფორმაცია მოიპოვება მოქმედ მიკრო და მცირე ბიზნესებზე და მათ ინოვაციურობაზე.

ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების გამოსწორებას ხელს შეუწყობს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების დროული გაზიარება.

დასკვნა

საკითხის შესწავლიდან შეიძლება ითქვას, როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, ინოვაციური მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარებისთვის გარემოს ჩამოყალიბებას და ხელშეწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოში სამუშაო ადგილებისა და სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

ევროკავშირის სამოქმედო პროგრამების „მცირე ბიზნესის აქტის“ (SBA), სხვა პროგრამების თუ შეთანხმებების საფუძველზე საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში, საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერების და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, გამოყოფილია მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები:

სტრატეგიული მიმართულება 1: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიმართულება 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;

სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

სტრატეგიაში გაწერილი სამუშაოების განხორციელება, აშკარაა, ქართულ მცირე ბიზნესს დააყენებს განვითარების სწორ გზაზე. ეკონომიკის ზრდაში და მთლიან შიდა პროდუქტიაში დღეს მისი წილი მეტად დაბალი თუა, ნავარაუდევია, საბაზისო 2013 წელთან მიმართებაში, 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით; დასაქმებულთა ზრდა 15%-ით; მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.

გაწერილი სამუშაოების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, დღემდე არ არის მიღებული სასურველი შედეგი, დღემდე არ არის განსაზღვრული საბოლოო სახით არც მცირე ბიზნესი და არც ინოვაციური მცირე ბიზნესი. ამის დასტურია ის, რომ არასახარბიელოდ გამოიყურება ქვეყნის ინოვაციურობის მაჩვენებლები. უნდა დაჩქარდეს მცირე ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების საკითხი. დღეს ქვეყანაში მწირი ინფორმაცია მოიპოვება მოქმედ მიკრო და მცირე ბიზნესებზე და მათ ინოვაციურობაზე. მიუხედავად აქტუალობისა, ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის დაფინანსების, ისე, როგორც ინოვაციების სტატისტიკა, სამწუხაროდ, სტატისტიკური საქმიანობის პრიორიტეტულ სფეროთა კატეგორიაში ჯერ კიდევ არ ფიგურირებს.

საქართველოს ევროპის ინოვაციური პოლიტიკის ერთიან სივრცეში მოქცევას და ევროპასთან თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურება ბოლო წლებში ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმებანი თუ სხვა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, მათ შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა“ (EaP), „ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტი“. ღრმა და ყოველმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება, ასოცირების შესახებ შეთანხმება

და 2016 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ბრიუსელის 2016 წლის 29 აპრილის შეთანხმება „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის პროგრამაში „ჰორიზონტი 2020 კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო-პროგრამა (2014 2020)“ საქართველოს მონაწილეობის შესახებ“. ამ რატიფიცირებით საქართველო პროგრამის სრულუფლებიანი ასოცირებული ქვეყანა გახდა. ასოცირებული ქვეყნის სტატუსი ქართველ მეცნიერებს, მკვლევარებს და ინოვატორებს, ასევე, საქართველოში დაფუძნებულ იურიდიულ პირებს (უნივერსიტეტები, კვლევითი დაწესებულებები, მცირე და საშუალო საწარმოები, კვლევებზე ორიენტირებული ინდუსტრია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესკომპანიები, ფონდები, სამთავრობო დაწესებულებები და ა.შ.) აძლევს უფლებას, იმავე პირობებით და უფლებებით ისარგებლონ, რითაც სარგებლობენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები. ევროპასთან პოლიფონიური ურთიერთობების გაღრმავების ზემოთ ჩამოთვლილი ეს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ნამდვილად შეუწყობს ხელს საქართველოს ინოვაციური მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარებაში.

საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის რელსებზე გადაყვანა ნამდვილად შეუძლია მცირე და საშუალო საწარმოებს, განსაკუთრებით ინოვაციურ მცირე ბიზნესს. მსოფლიო ბანკის 2013 წლის კვლევის „მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ მიხედვით, ქართული ინოვაციური საწარმოები 30%-ით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან და ისინი როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ბაზრებზე არაინოვაციურ საწარმოებთან შედარებით გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანები არიან. აქედან გამომდინარე, ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებისა და სწრაფად ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის და ხელშეწყობის ევროპულ გამოცდილებასთან ადაპტირება ქვეყნის წინსვლასთან დაკავშირებული მიზნების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა იქცეს. კერძოდ, ქვეყანაში უნდა შეიქმნას ევროკავშირის ანალოგიურთან ადაპტირებული ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც, თანაბარი კონკურენციის პირობების დაცვით, უზრუნველყოფენ ინოვაციური მცირე საწარმოების ფორმირება-განვითარებას, ეროვნული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., კაკულია ე. მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბილისი, 2009.

2. კაკულია ე., ბიბილაშვილი ნ. მცირე ბიზნესი: ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ფაქტორი. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული – „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 23-24 ივნისი, 2017;

3. ვაშაკიძე თ. ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში. წიგნში: მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. რედაქტორები: ო. შატერაშვილი და ი. გოგოძე. ეგსიგ, თბილისი, 2010.

4. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის.

<https://www.google.ge/search?q=>

5. საქართველო ჰორიზონტი 2020.

<http://www.mes.gov.ge/content.php?id=6888&lang=geo> 27.12.2016

6. მსოფლიო ბანკის 2013 წლის კვლევის „მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ <https://www.google.ge/search?q>

7. „ქვეყნის დახასიათება მცირე ბიზნესის აქტის მიხედვით: საქართველო, მსს პოლიტიკის ინდექსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები 2016, ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასება“.

[https://www.oecd.org/globalrelations/Georgia_GEO%20\(2\).pdf](https://www.oecd.org/globalrelations/Georgia_GEO%20(2).pdf)

8. Быковская Е.В. Инновационная деятельность *малых предприятий* как фактор роста эффективности их функционирования.

<http://vernadsky.tstu.ru/pdf/2010/04/39.pdf>

9. Зарубежный опыт государственной поддержки инновационных малых и средних предприятий.

<https://kfpp.ru/analytics/material/innovation.php>

10. Мазоль С. Экономика малого бизнеса. Минск., «Книжный Дом», 2004.

11. Муртазин А.С. О роли малого бизнеса для формирования инновационной экономики 2011. <https://www.google.ge/search?q>

12. Муминов Р., Абдираимов И., Малеенова С. Малый инновационный бизнес: факторы устойчивого развития.

<https://www.google.ge/search?q>

13. Счастливая Н.В. Малый инновационный бизнес в экономике высокоразвитых стран 2009 http://vestnik.osu.ru/2009_2/8.pdf

14. Мугазович К. Н. Малый бизнес как элемент инновационной среды. Москва, 2011. <http://uecs.ru/uecs-31-312011/item/518-2011-07-14-10-45-38>

15. Речмен Д., Мескон М., Боуви К., Тилл Д. Современный бизнес в 2 т., М., «Республика», 1995.

George Berulava

Eter Kakulia

Teimuraz Gogokhia

FEATURES OF INNOVATIVE SMALL FIRMS (BUSINESS) IN THE EU COUNTRIES

Summary

The paper deals with the role of the Lisbon Summit Strategy for Innovative Small Business Operations in Europe. The European Charter of Small Enterprises, the European Small Business Act, and EaP - the role of the Eastern Partnership for Europe, the innovative small business functioning and clear development of business environment for small innovative enterprises. The work deals with the essence of the innovative small business in the EU, assessment criteria, and other properties on the invaluable qualities. Briefly describes the programs that form and promote business environment for innovative small enterprises in European countries.

Based on the study of the formation, functioning and development of small innovative business in Europe, the conclusion is about the work to be implemented in order to overcome the backwardness in Georgia. In particular, the administrative, legal and economic institutions adapted to the EU equivalent to the creation of the country should be formed to develop innovative small enterprises, to maximize the national potential by complying with equal competition conditions.

პრობლემა 5.

თეა ლაზარა შვილი

ევროკავშირის ინოვაციური სისტემის უზენაესი დონის ფინანსური უზრუნველყოფის თავისებურებები

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირება და მათზე მოქმედი ფაქტორები. გაშუქებულია ეროვნული ინოვაციური სისტემების ის საერთო ნიშან-თვისებები, რომლებიც ახასიათებთ მათ ურთიერთმოქმედი ბლოკების სახით. კერძოდ: კრეატიული ბლოკი, ტექნოლოგიების ტრანსფერის ბლოკი, წარმოების ბლოკი და კადრების მომზადების ბლოკი.

მსოფლიოში არსებული ეროვნული ინოვაციური სისტემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გამოკვეთილია ეროვნული ინოვაციური სისტემების 5 ძირითადი ტიპი. ესენია: ავროატლანტიკური, აღმოსავლეთაზიური, სამშაგი სპირალის და ოთხშაგი სპირალის მოდელი.

დაახასიათებელია თითოეული სისტემა, გამოკვეთილია მათი თავისებურებები და შესაბამისად ის ქვეყნები, სადაც გამოყენებულია ეს სისტემები. აგრეთვე გაშუქებულია ევროკავშირის ინოვაციური სისტემის ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფის ძირითადი ფორმები და მეთოდები და გამოვლენილია მისი თავისებურებები.

შესავალი

XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორის ცვლილება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირებას, სადაც ცოდნის ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს, ხოლო ცოდნის წარმოება ეკონომიკური ზრდის წყაროს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის დომინანტი მეცნიერული ცოდნის, ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციური პროცესების, საქონლისა და მომსახურების სისტემების და ბიზნესის ორგანიზაციის ახალი ფორმები ხდება. ინოვაციები, ეკონომიკური ზრდის სტრატეგიულ ფორმად გადაიქცევიან, ზემოქმედებენ საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაზე, ცვლიან საზოგადოების ეკონომიკური ორგანიზაციის სახეს და საბოლოოდ ქვეყანაში სოციალური სიტუაციის სტაბილიზებას უწყობენ ხელს. ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირების პროცესი

შედარებით ინტენსიურად განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს. ეროვნული ინოვაციური სისტემების სხვადასხვა ტიპისა და მოდელის ფორმირება დამოკიდებულია ქვეყნის ეროვნულ თავისებურებებსა და ეკონომიკურ პოტენციალზე.

ეროვნული ინოვაციური სისტემების საერთო ნიშნები

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ინოვაციური სისტემები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათ გააჩნიათ საერთო ნიშნები, რომელიც მოიცავს ურთიერთმოქმედი ბლოკების ერთობლიობას. ეს ბლოკებია: კრეატიული ბლოკი, ტექნოლოგიების ტრანსფერის ბლოკი, წარმოების ბლოკი და კადრების მომზადების ბლოკი.

კრეატიულ ბლოკს ხშირად ცოდნის წარმომშობ ბლოკსაც უწოდებენ, მასში შედიან უნივერსიტეტები, სამეცნიერო ინსტიტუტები, სოციალური ქსელები, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ინსტიტუტებიდან და უნივერსიტეტებიდან მკვლევარების არაფორმალურ ურთიერთქმედებას.

ტექნოლოგიების ტრანსფერის ბლოკში გაერთიანებული არიან სხვადასხვა შუამავლები, მ.შ. პროფესიონალი ექსპერტების არაკომერციული ფონდები, რომლებიც ფართო ქსელური კავშირებით, განსაკუთრებული გარემოს ფორმირებას ახდენენ და უზრუნველყოფენ კრეატიული იდეების ავტორთა კონტაქტებს პოტენციურ მყიდველებთან.

ფინანსირების ბლოკი მოიცავს დაფინანსების წყაროებს, რომელიც საჭიროა საცდელ ნიმუშში იდეის ტრანსფორმაციისათვის და შემდგომ მის მასობრივ წარმოებაში გაშვებისათვის. საგარეო ფინანსირების 3 წყაროა ცნობილი: საბანკო კრედიტი, ინოვაციების გაყიდვა და ვენჩურული დაფინანსება.

წარმოების ბლოკში ინოვაციური წარმოების ორგანიზაციის ორი ალტერნატიული ვარიანტია შესაძლებელი: 1. ასეთი წარმოება შეიძლება ჩაერთოს რომელიმე მსხვილი ფირმის საწარმოო სტრუქტურაში და შესაბამისად გამოვიყენოთ ვერტიკალური ინტეგრაციის უპირატესობა, რაც ტრანსაქციურ ხარჯებს ამცირებს. 2. ახალი საწარმოს შექმნა, სადც საწარმოო ტრანსაქციური დანახარჯების მინიმიზება ხდება მცირე ზომების ხარჯზე.

კადრების მომზადების ბლოკი ორიენტირებულია სამეცნიერო კადრების ფორმირებაზე.

სამამულო და უცხოელი მკვლევარების აზრი ეროვნული ინოვაციური სისტემების ბლოკებთან მიმართებაში არაერთგვაროვანია. ზოგნი მიიჩნევენ, რომ ეროვნული ინოვაციური სისტემის ძირითადი ელემენტები 6 ძირითად ბლოკში შეიძლება გაერთიანდეს, ზოგნი კი 10-ში. რამდენი ელემენტისაგანაც არ უნდა შედგებოდეს ეროვნული ინოვაციური სისტემები, ისინი ახდენენ ცოდნის გენერირებას და ინოვაციური კადრების მომზადებას; ქმნიან ინოვაციურ ინფრასტრუქტურას, აწარმოებენ ინოვაციურ პროდუქტს და ატარებენ სახელმწიფო პოლიტიკას. ბლოკებს შორის ურთიერთქმედება შემდეგი სქემის მიხედვით ხორციელდება: „სახელმწიფო-მეცნიერება“, „მეცნიერება-წარმოება“, „სახელმწიფო-წარმოება“. ამ სქემის მიხედვით კერძო სექტორის როლი გამოიხატება საკუთარი კვლევების საფუძველზე ტექნოლოგიების შემუშავებაში და ინოვაციების ათვისებაში. სახელმწიფოს ძირითადი როლი მდგომარეობს წარმოების ხელშეწყობაში ფუნდამენტური ცოდნისა და სტრატეგიული ხასიათის ტექნოლოგიების კომპლექსში და ინოვაციური საქმიანობისათვის ინფრასტრუქტურისა და კეთილსასურველი ინსტიტუციური პირობების შექმნაში. ამ პირობითი მოდელის რეალიზაციის სხვადასხვა ვარიანტები ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირებას ახდენენ ახდენს [Cepreev B.M., 2008].

ეროვნული ინოვაციური სისტემის მოდელები

მსოფლიოში არსებული ეროვნული ინოვაციური სისტემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გამოკვეთილია ეროვნული ინოვაციური სისტემის 4 ძირითადი ტიპი. ესენია: ევროატლანტიკური, აღმოსავლეთაზიური, ალტერნატიული და სამმაგი სპირალის.

ევროატლანტიკური მოდელი სრული ინოვაციური ციკლის მოდელს წარმოადგენს, ანუ ის მოიცავს ინოვაციური იდეის წარმოქმნიდან მზა პროდუქციის მასობრივ წარმოებამდე ყველა ეტაპს. იმ ქვეყნებში, სადაც ეს მოდელი გამოიყენება, ინოვაციური სისტემის სტრუქტურის ყველა კომპონენტი წარმოდგენილი: ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებები, კვლევები და შემუშავებები საცდელი ნიმუშების შექმნა და მათი გაშვება მასობრივ წარმოებაში. როგორც წესი, ასეთ მოდელს იყენებენ განვითარებული

ქვეყნები, რომლებიც ეროვნული ეკონომიკების მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგში ლიდერობენ. ეს ქვეყნებია: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და სხვა.

აღმოსავლეთაზიური მოდელი გამოირჩევა იმით, რომ მის ინოვაციურ ციკლში ფუნდამენტური იდეის ფორმირების სტადია არ არსებობს. ამ მოდელზე დაფუძნებულ ინოვაციურ სისტემებს პრაქტიკულად არ გააჩნიათ ფუნდამენტური მეცნიერების კომპონენტი. აღნიშნული მოდელი გამოიყენება აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ქვეყნების მიერ. ესენია: იაპონია, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, ტაივანი და სხვა. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რომლებიც მაღალტექნოლოგიური პროდუქტის ექსპორტზე არიან ორიენტირებულნი, სესხულობენ ტექნოლოგიებს „ტრადიციული“ მოდელის მქონე ქვეყნებისაგან. ინოვაციური განვითარების აღნიშნული მოდელის კლასიკურ ნიმუშად, იაპონიის ინოვაციური სისტემა ითვლება.

ინოვაციური განვითარების ალტერნატიული მოდელი უპირატესად სოფლის მეურნეობის ქვეყნებში გამოიყენება, რომელთაც არ გააჩნიათ ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების სფეროში მნიშვნელოვანი პოტენციალი, აგრეთვე ნედლეულის მდიდარი მარაგი, გადამამუშავებელი ტექნოლოგიები და ა.შ. ასეთ ინოვაციურ სისტემაში სუსტადაა ან საერთოდ არაა წარმოდგენილი არა მარტო ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ბლოკი, არამედ მაღალტექნოლოგიური კომპონენტი. ქვეყნებს, რომელთაც არა აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ შესამჩნევ შედეგებს ახალი ტექნოლოგიების შექმნაში, ინოვაციურ პოლიტიკაში აქცენტს აკეთებენ კადრების მომზადებაზე ეკონომიკის, ფინანსების, მენეჯმენტის, შრომის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროებზე და აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის, კრეატიული ინდუსტრიის და რეკრეაციის ცალკეული დარგების განვითარებაზე. დიდი ყურადღება ეთმობა ტრანსნაციონალური კორპორაციების, საერთაშორისო ბანკების და საერთაშორისო პოლიტიკური სტრუქტურების ადგილობრივი წარმომადგენლებისათვის მენეჯმენტის მომზადებას. ინოვაციური განვითარების აღმოსავლეთაზიური მოდელი გამოიყენება ტაილანდში, ჩილეში, თურქეთში, პორტუგალიასა და სხვა.

რაც შეეხება „სამმაგი სპირალის“ მოდელს, რომელმაც განვითარება უკანასკნელ ათწლეულში აშშ-ში ჰპოვა, პრინციპულად განსხვავებულია ზემოთ აღნიშნული მოდელებისაგან არა მარტო

ეროვნული ინოვაციური სისტემის სტრუქტურით, არამედ მისი ცალკეული ელემენტების ურთიერთქმედების მექანიზმითაც, დღეისათვის ამ მოდელის ცალკეული ელემენტების ფორმირების პროცესი შეიმჩნევა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებსა და იაპონიაში [8].

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ეროვნული ინოვაციური სისტემის ევროატლანტიკური მოდელი დასავლეთ ევროპის ქვეყნებშია ფართოდ განვითარებული, რომელთაც მრავალწლიანი სამეცნიერო ტრადიციები და გამოცდილება გააჩნიათ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამ ქვეყნებმა კარდინალურად შეცვალეს კვლევის პრიორიტეტები და აქცენტი აიღეს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მიღების შედარებით იაფ საშუალებებზე. მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა 1940 წლის ბოლოს უარი თქვა ბირთვული ფიზიკის სფეროში გრძელვადიან კვლევებზე და აქცენტი გააკეთა რადიოასტრონომიისა და მაღალმოდულური ნივთიერებების ბიოლოგიური თვისებების შესწავლაზე. დიდმა ბრიტანეთმა მიაღწია ძალიან დიდ წარმატებებს და საფუძველი ჩაუყარა ორ ფუნდამენტურ სამეცნიერო დისციპლინას: ასტროფიზიკასა და მოლეკულურ ბიოლოგიას. დღესდღეობით ბრიტანული ინოვაციური სისტემა კონცენტრირებულია მსოფლიო დონის უნივერსიტეტების გარშემო, როგორცაა გ ოქსფორდი, კემბრიჯი, ლონდონის უნივერსიტეტი და სხვა. დიდი ბრიტანეთის ინოვაციური სისტემის განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი 2000-იანი წლების დასაწყისში ტექნოლოგიური სტრატეგიების საბჭოსა და გრძელვადიანი განვითარების ინოვაციური სტრატეგიის მიღებამ, ტექნოლოგიური სტრატეგიების საბჭო ახორციელებს ინვესტიციებს ახალი ტექნოლოგიების შექმნაში და მხარს უჭერს მათ განვითარებასა და კომერციალიზაციას. გარდა ამისა ქვეყანაში იქმნება ორი ტიპის ინოვაციური ცენტრები. პირველი ტიპი ორიენტირებულია სპეციფიკური ტექნოლოგიების შემუშავებასა და ბიზნესის მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად მათი გამოყენების ხელშეწყობისათვის. მეორე ტიპი ინოვაციური ცენტრებისა ფოკუსირდებიან ეკონომიკის ან ბაზრის გარკვეულ სექტორზე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გაერთიანებისათვის [5].

იტალიასა და გერმანიაში ეროვნული ინოვაციური სისტემები კონცენტრირებულია მსხვილი უნივერსიტეტების გარშემო.

რაც შეეხება მცირე ევროპულ ქვეყნებს, აქ ეროვნულ ინოვაციურ სისტემებში აქცენტი კეთდება უნივერსიტეტებში ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებაზე, რომლებიც უპირატესად სახელმწიფოს მიერ ფინანსირდებიან. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება: შვეცია, ნიდერლანდები, დანია, შვეიცარია, ფინეთი. მათ ინოვაციურ სისტემებში მნიშვნელოვანი ადგილი ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიებს უკავიათ. ზოგიერთ მათგანში მოქმედებს უმაღლესი კვლევების ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ფუნდამენტური მეცნიერების სფეროში. გამოყენებითი კვლევები მცირე ევროპულ ქვეყნებში უმეტესად გრანტის ხარჯზე ფინანსირდება მსხვილ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში. ამასთან ასეთ კვლევების ფინანსირებაში აქტიურად მონაწილეობს მცირე და საშუალო ბიზნესი. ეროვნული ინოვაციური სისტემების მშენებლობაში ნებისმიერ ქვეყანას გააჩნია ეროვნული თავისებურებები. მაგალითად დანიაში უნივერსიტეტების გარდა ინოვაციური სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები წარმოადგენს, რომლებიც მიმაგრებული არიან სხვადასხვა სამინისტროებთან და სამეცნიერო კვლევებს შესაბამისი სამინისტროს მოთხოვნების შესაბამისად ატარებენ. არსებობს კიდევ ინსტიტუტების სისტემა, რომლებიც წარმოადგენენ დამოუკიდებელ კონსალტინგურ კომპანიებს, რომლებიც შეიმუშავებენ და ყიდიან გამოყენებით ცოდნას და ტექნოლოგიურ მომსახურებას კერძო საწარმოებზე და სახელმწიფო დაწესებულებებზე. ეს ინსტიტუტები არაკომერციულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, რომლებიც შექმნილია მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების სამინისტროების მიერ და საქმიანობას შემდეგი ძირითადი მიმართულებით ახორციელებენ: ნოუ-ჰაუს დამოუკიდებლად განვითარება; სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და კერძო კომპანიებთან ერთად, ერთობლივ პროექტებში მონაწილეობა და კომერციული საქმიანობა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარეობს ეროვნული ინოვაციური სისტემების გაერთიანების პროცესები, ერთიან სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ სივრცეში. ამ მიზნით შეიმუშავებულია სპეციალური მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ ევროკავშირის ახალი ინოვაციური სტრატეგიის რეალიზაციას.

ერთიანი ევროპული ინოვაციური სივრცე წარმოადგენს რთულ ურთიერთდამოკიდებულებას ფორმირების დონეს, შემაღენელ ელემენტებსა და ინსტრუმენტებს შორის. ეროვნული ინოვაციური სისტემა მუდმივად იცვლება, წარმოიქმნება თანამშრომლობის ახალი ფორმები. ტრანსნაციონალური კოოპერაცია აძლიერებს და აფართოებს ერთიან ევროპულ ინოვაციურ სისტემას [Иванова Н.И., 2010].

აღმოსავლეთ აზიის რეგიონში განვითარდა ეროვნული ინოვაციური სისტემის აღმოსავლეთაზიური მოდელი, რომელიც სხვა მოდელებისაგან პირველ რიგში განსხვავდება თავისი სტრუქტურით, რაც გამოიხატება იმაში, რომ აქ უნივერსიტეტები, როგორც ფუნდამენტური შემუშავებების ცენტრი, თამაშობენ გაცილებით მცირე როლს, ვიდრე კორპორაციებთან არსებული კვლევითი ლაბორატორიები. ამის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს იაპონია, სადაც ინოვაციური სისტემა ორიენტირებულია ძირითადად ტექნიკურ ინოვაციებზე და უახლეს ტექნოლოგიებზე და არა ფუნდამენტური ცოდნის წარმოებაზე.

იაპონიის ეროვნული ინოვაციური სისტემა თანდათანობით ყალიბდებოდა და იგი ძირითადად 3 ეტაპისაგან შედგებოდა. პირველი ეტაპი – XX საუკუნის 50-80-იანი წლები, მეორე ეტაპი – 80-იანი წლებიდან 2000 წლამდე და მესამე ეტაპი – XXI საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. თითოეული ეტაპი გამოირჩევა თავისებურებებით, რომელიც გამოწვეული იყო იმ პოლიტიკით, რომელიც ტარდებოდა სამეცნიერო, ტექნიკურ, საგანმანათლებლო და სოციალურ სფეროში.

იაპონიის ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება ხორციელდება ძირითადად მოწინავე საზღვარგარეთული ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს იმპორტირებით ეროვნული ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე, საკუთარ ორიგინალურ შემუშავებებსა და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებზე დაყრდნობით [Авдокушин Е. Ф., 2010].

საყურადღებოა, რომ ფუნდამენტური კვლევების უმეტესი ნაწილი იაპონიაში უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო ლაბორატორიებში მიმდინარეობს. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე ხარჯების ძირითადი ნაწილი იაპონიაში ეკუთვნის კერძო სექტორს, რამაც განაპირობა ამ ქვეყნის წარმატებები ტექნიკური პროგრესის იმ მიმართულებებში, რომლებიც

დაკავშირებულია მასობრივი მოთხოვნის სამომხმარებლო საქონლის წარმოებათან.

ქვეყნებში, სადაც არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი მეცნიერული პოტენციალი, ანუ სადაც საერთოდ არ არსებობს ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ბლოკი, ფორმირდება ინოვაციური განვითარების ალტერნატიული მოდელი. ამ მოდელის ეროვნული ინოვაციური სისტემის მაგალითებია: ტაილანდი, ჩილე, თურქეთი, პორტუგალია და სხვა. ტაილანდი და ჩილე ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისას უპირატესობას ანიჭებენ სოფლის მეურნეობის სფეროს ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებაზე და ახალი ტექნოლოგიების შესახებასა და მათ შემუშავებებზე. თანდათან ხდება ინოვაციური ინფრასტრუქტურის შემუშავება, რომელიც მოიცავს ინოვაციური განვითარების და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიის შემუშავებას. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში ფუნდამენტური მეცნიერების განვითარება ხდება უპირატესად უნივერსიტეტებში. წამყვანი ეროვნული უნივერსიტეტები სარგებლობენ მთავრობის მხარდაჭერით. შექმნილია ეროვნული ინოვაციური განვითარების ალტერნატიული მოდელი, რომელიც არ მოიცავს ფუნდამენტური მეცნიერებისა და მაღალი ტექნოლოგიების სრული საწარმოო ციკლის შექმნას ძალიან ხელსაყრელია იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც არ შეწევთ ძალა მაღალი ფინანსური და ორგანიზაციული ხარჯებისათვის [8].

მესამე მოდელი, რომელიც ცნობილია როგორც სამმაგი სპირალის მოდელი, ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირების უახლესი მოდელია, რომელმაც განვითარება ევროატლანტიკური მოდელის ბაზაზე მიიღო, თუმცა დასრულებული სახე მას არცერთ ქვეყანაში ჯერ არ აქვს. ყველაზე მეტად იგი აშშ-ია განვითარებული. XXI საუკუნის დასაწყისში სამმაგი სპირალის თეორიამ ჩაუყარა საფუძველი სამმაგი სპირალის მოდელის შექმნას. ინოვაციური განვითარებისადმი სამმაგი სპირალის მოდელის გამოყენება სამი ინსტიტუტის ურთიერთქმედებას გულისხმობს (მეცნიერება-სახელმწიფო-ბიზნესი) და თითოეულ ეტაპზე ინოვაციური პროდუქტის შექმნას. იგი არის ორგანიზაციათა შორის ურთიერთქმედებების დინამიური მოდელი, რომელიც წარმოიქმნება ეკონომიკასა და საზოგადოების ევოლუციას შორის. თუკი ადრე, ინდუსტრიულ ეპოქაში ამ სამ ინსტიტუტს შორის ურთიერთქმედება იყო წრფივი, ამ

მოდელში უკვე იქმნება სპირალური სტრუქტურები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ინსტიტუტებს შეცვალონ და შეინარჩუნონ ერთმანეთის ზოგიერთი მახასიათებლები. მისი ძირითადი ელემენტებია: 1. სამეცნიერო ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია უნივერსიტეტების როლის გაძლიერება მრეწველობასა და მთავრობასთან ურთიერთქმედებაში; 2. სამი ინსტიტუტი – უნივერსიტეტი, სახელმწიფო და ბიზნესი მიისწრაფიან თანამშრომლობისაკენ, ამასთან ინოვაციური შემადგენელი გენერირდება მოცემულ ურთიერთქმედებიდან და არა სახელმწიფოს ინიციატივით; 3. ტრადიციული ფუნქციების გარდა, თითოეული, ამ სამი ინსტიტუტიდან ნაწილობრივ იღებს თავის თავზე სხვა ინსტიტუციონალური სფეროს ფუნქციებს, ხოლო არატრადიციული ფუნქციების შესრულება წარმოადგენს ინოვაციურ წყაროს. პრაქტიკაში ეს ხორციელდება შემდეგნაირად: უნივერსიტეტები, რომლებიც დაკავებული არიან განათლებითა და სამეცნიერო კვლევებით, უნივერსიტეტის ინკუბატორებში ახალი კომპანიების შექმნის გზით, თავისი წვლილი შეაქვთ ეკონომიკის განვითარებაშიც. ბიზნესი ნაწილობრივ ეწევა განმანათლებლურ მომსახურებას, ხოლო სახელმწიფო თავისი ტრადიციული საკანონმდებლო და მარეგულირებელი როლის გარდა გამოდის როგორც საზოგადო მეწარმე და ვენჩურული ინვესტორი. აღნიშნულ მოდელში წამყვანი როლი ენიჭება უნივერსიტეტებს, რომლებიც გარდაიქმნებიან სამეწარმეო უნივერსიტეტებად ან სამრეწველო ტიპის უნივერსიტეტებად, იყენებენ ცოდნას პრაქტიკაში და შედეგებს დებენ ახალ საგანმანათლებლო დისციპლინებში.

ყურადსაღებია, რომ საზღვარგარეთ უკვე მუშავდება სამმაგი სპირალის გართულებული სახე და მეოთხე სპირალის მოდელი, რომელიც ეხება ინტერაქტიულ ქსელურ ურთიერთობებს მთელი ეროვნული თანასაზოგადოების დონეზე. რადგანაც ინოვაციურ პროცესებზე ზემოქმედება დაიწყო უკვე სხვა ინსტიტუტებმაც, სხვადასხვა სოციალური ფენების სახით, ამიტომ ამ გარემოებამ დააყენა სამმაგ სპირალზე მეოთხე ელემენტის დამატების საკითხი. მიიჩნევენ, რომ მეოთხე სპირალი უკეთესად ახასიათებს თანამედროვე პოსტინდუსტრიულ ეკონომიკას, ვიდრე სამმაგი, რაც გამოწვეულია XXI საუკუნეში სამოქალაქო საზოგადოებისთვის განსხვავებული მნიშვნელოვანი როლის შექმნით, ახალი კეთილდღეობისა და ფასეულობების შექმნასა და განვითარებაში.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გლობალურ მსოფლიო ტრენდს სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციების ფინანსირებაზე დანახარჯების თანდათანობითი ზრდა წარმოადგენდა. ინოვაციური საქმიანობის ფინანსირებაში ლიდერებს წარმოადგენენ შვედეთი – 3,82, ფინეთი – 3,5, იაპონია – 3,15, აშშ – 2,59, გერმანია – 2,51, ავსტრია – 2,45, დანია – 2,13 მშპ-ს.

ინოვაციური საქმიანობის მართვაში სახელმწიფოს მზარდი როლის საერთო ტენდენციისას სხვადასხვა ქვეყნებში თავისი სპეციფიკა არსებობს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნების გამოცდილება, როგორცაა იაპონია, აშშ, ჩინეთი და ევროკავშირის ქვეყნები.

დღეისათვის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარება მოითხოვს დიდ დანახარჯებს და თან ახლავს დიდი რისკები. სიახლეების დანერგვის კომერციალიზაციის პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია. ამიტომ მთავრობები მიისწრაფიან განსაკუთრებით ფუნდამენტური კვლევებისა და შემუშავებების ფინანსირების ფორმების სრულყოფისაკენ.

იაპონიაში ჯერ კიდევ გასული ასწლეულის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა სახელმწიფო მასშტაბით პერსპექტიული მეცნიერებატევადი და ტექნოლოგიურად ინტენსიური დარგების მხარდაჭერის სისტემა.

სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის ფორსირება იაპონიაში ძირითადად, დაკავშირებული იყო ქვეყნის წინაშე მდგარი რიგი ამოცანების გადაწყვეტით:

- მოკლე პერიოდში მკვეთრად განვითარებინათ მწარმოებლური ძალები და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებით მიეღწიათ ლიდერი ქვეყნების დონემდე;

- უზრუნველყოთ ეკონომიკის მზარდი საექსპორტო ორიენტაცია;

- შეესუსტებინათ ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ზემოქმედება მომსახურების სფეროს დაჩქარებული განვითარების მიმართულებით.

აღდგენითი პერიოდის დადგომისას ტექნოლოგია განიხილება ბოლო მნიშვნელოვანი პრიორიტეტის სახით, იაპონური საწარმოების რეკონსტრუქციისათვის ხდება უახლესი ტექნოლოგიების იმპორტირება. შესაბამისი შესყიდვების ფინანსირებისათვის გამოიყუ-

ნებოდა საზღვარგარეთის ვალუტის შეზღუდული მარაგები და აგრეთვე კეთდებოდა ფასდაკლებები იმპორტის გადასახადზე.

შემდგომ ძირითადი მიმართულების სახით შერჩეულ იქნა კურსი საკუთარი ფუნდამენტური კვლევების განვითარების დაჩქარებაზე, რაზეც შეიძლება ვიმსჯელოთ უცხოური სამეცნიერო დაწესებულებების რიცხვის ზრდით. ამ ტენდენციის გათვალისწინებით შემუშავებულია დამატებითი ფინანსური და საგადასახადო სტიმულები კერძო ფირმებისათვის, რომლებიც ახორციელებდნენ ფუნდამენტურ კვლევებს.

სახელმწიფოს ჩაურევლობის პირობებში კერძო ფირმები ხასიათდებოდნენ ფუნდამენტურ კვლევებში სახსრების არასრულად ჩადებით.

კერძო კომპანიებში სიახლეების დანერგვაზე სახელმწიფოს ზემოქმედების ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს:

- შეთავაზება, ე.ი. ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის ფორმირებას;

- “მოთხოვნა” – სახელმწიფო კონტრაქტები კვლევითი სამუშაოების შესრულებასა და ახალი სახის პროდუქციის შესყიდვაზე;

- “გარემო” – საგადასახადო, საპატენტო პოლიტიკა და სახელმწიფო რეგულირების სხვა ირიბი ზომები (ზოგიერთი ეკონომისტი მათ მიიჩნევს მეტად ეფექტურად, ვიდრე პირდაპირ სახელმწიფო სუბსიდიებს).

სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების მართვის სახელმწიფო სისტემა გულისხმობს კერძო წარმოების ტექნიკური განვითარების სტიმულირების სხვადასხვა მოქნილი ფორმების გამოყენებას.

- სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსება კერძო კორპორაციებში სახელმწიფოს შეკვეთით;

- საფონდო სისტემის გამოყენება კერძო კომპანიებში კვლევითი სამუშაოების წასახალისებლად;

- მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს მეცნიერებისა და ტექნიკის შედარებით პერსპექტიულ სფეროებში კვლევითი და მწარმოებლური საქმიანობის გადასახადებიდან გათავისუფლებას;

- სახელმწიფო დოტაციების შეთავაზება კერძო კორპორაციებისათვის ლიცენზიებისა და “ნოუ-ჰაუს” შესყიდვისათვის;

- საკრედიტო რეგულირების მეთოდები, რომელიც დაიყვანება კრედიტების შეთავაზებაზე შეღავათიან პირობებში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გაფართოებისათვის და მწარმოებლური საქმიანობისათვის მრეწველობის პერსპექტიულ დარგებში;

- იმ დარგების ნაციონალიზაცია და პრივატიზება, რომელიც გულისხმობს წარმოების პერსპექტიული დარგების განვითარებას სახელმწიფოს ხარჯზე და მათი გადაცემა კერძო პირებისათვის, როდესაც ისინი მიაღწევენ კომერციული რენტაბელობის დონეს;

- სახელმწიფო კარტელირება კერძო მწარმოებლების პერსპექტიულ დარგებში;

- საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა, რომელს მიზანს წარმოადგენს იაპონური წარმოების დაცვა კონკურენციისაგან, საზღვარგარეთიდან ტექნოლოგიების მისაღებად ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფა;

- კაპიტალის იმპორტის სფეროში პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების ათვისებას სამამულო კორპორაციებში და არა დასავლეთის ფირმების ფილიალებში.

ბიუჯეტის გზით ინოვაციური საქმიანობის ფინანსირების ტრადიციული გზის გარდა, იაპონიაში არსებობს პარალელური პროექტების სახელმწიფო ფინანსირების სისტემა, რომელიც მოიზიდავს ბიუჯეტგარეშე სახსრებს მისი ტრადიციული გაგებით. ამ სისტემას ეწოდება სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამა და გამოიყენება სახელმწიფოს თვალსაზრისით პრიორიტეტული საწარმოებისა და პროექტების განვითარებისათვის.

დღესდღეობით ეს სისტემა არსებობს ე.წ. სახელმწიფო სესხებისა და ინვესტიციების პროგრამის სახით. შემოდინებული სახსრების წყაროების გარდა ეს სისტემა გამოირჩევა საერთო სახელმწიფოებრივი საბიუჯეტო დაფინანსებისაგან იმითაც, რომ მისი სახსრები გამოიყოფა უკანდაბრუნების, გადაუდებლობის და გადახდის პირობით. კაპიტალდაბანდებები და სესხები, რომელიც მიიღება ამ სისტემის ფარგლებში, ექვემდებარება უკან სრულად დაბრუნებას პროცენტების დამატებით, რომელიც ღვინდება ძირითადად კერძო საკრედიტო კომპანიების დონეზე.

პროგრამის შემუშავება მთავრობის მიერ ერთდროულად ხდება ბიუჯეტის პროექტთან ერთად, მაგრამ მისგან გამოცალკევებით. იაპონური საინვესტიციო ბიუჯეტი აგრეთვე გადის ყოველწლიურ დამტკიცებას პარლამენტში. ამ პროექტის სტრუქტურასა და მექანიზმში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროგრამის ორი საკვანძო ორგანო – სატრასტო ფონდების ბიურო და განვითარების იაპონური ბანკი.

პირველი შედის ფინანსთა სამინისტროში და ახდენს სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამის ძირითადი სახსრების აკუმულირებას.

მეორე მიმართავს შეგროვებულ სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფო ინვესტირების პროგრამის მიზნებზე.

სახელმწიფოს როლი ინოვაციურ საქმიანობაში ხორციელდება ე.წ. “სასტარტო ფული” ხარჯზე.

ამ მიდგომის შესაბამისად სახელმწიფო, რომელიც გამოყოფს შედარებით საშუალო სახსრებს, აფინანსებს ამა თუ იმ პროექტების შემუშავების დასაწყისს, რომლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, კერძო ბიზნესისათვის საკმაოდ სარისკო აღმოჩნდებიან. კერძო კომპანიები, ხედავენ რა, რომ სახელმწიფო დაინტერესებულია მოცემული პროექტის რეალიზაციით, იწყებენ მათში თავიანთი ინვესტირების ჩადებას. შედარებით გვიან სტადიაზე პროექტი უკვე მთლიანად ფინანსირდება კერძო კომპანიების მიერ. ამ მიდგომის დადებით მხარეს წარმოადგენს წარმოებაში კვლევის შედეგების სწრაფი დანერგვა, უფრო სწორედ, კომერციალიზაციის ფაზა მცირდება და შედარებით ეფექტიანი ხდება.

სამეცნიერო კვლევების ფინანსირებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საკვანძო ტექნოლოგიების ცენტრის შექმნა, რომლის ამოცანებში შედის დახმარების გაწევა ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაში, ძირითადად მცირე და საშუალო ფირმებისათვის და საერთაშორისო კოოპერაციის უზრუნველყოფა. ცენტრი ინვესტიციებს, სესხებსა და მომსახურებას გაწევს კვლევების ორგანიზაციისთვის.

ცენტრი გამოყოფს ინვესტიციებს, პირველ რიგში, ფუნდამენტური კვლევებისთვის, რომლებიც ხორციელდება ერთდროულად რამდენიმე კომპანიების მიერ და სთავაზობს სესხებს ცალკეულ ფირმებს გამოყენებითი კვლევების ჩასატარებლად. ეს ასახავს

მთავრობის პოზიციას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ფუნდამენტური კვლევების სფეროში შეიძლება გაერთიანდეს კომპანიების რესურსები ისე, რომ არ შეგვეშინდეს მათ შორის კონკურენციის წარმოშობისა; სესხები კი ცალკეულ ფირმებს შორის ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის პროცესში უფრო მეტად ეფექტიანია.

ცენტრი ახდენს საშუამავლო მომსახურებას კერძო ფირმებისათვის, რომლებსაც სურთ ჩაატარონ ერთობლივი კვლევები ეროვნულ სამეცნიერო ინსტიტუტებთან. ის ეხმარება პარტნიორების მოძებნაში და კონტრაქტების მომზადებაში. ამას გარდა, კერძო კომპანიებს შეუძლიათ ანდონ კვლევების ჩატარება ცენტრს.

ცენტრის სახსრების ფორმირება სხვადასხვა წყაროების ხარჯზე შესაძლებელი, მაგრამ არა ბიუჯეტიდან, ისინი მთლიანად დაკავშირებულია საბაზრო მექანიზმებთან (დივიდენდებთან, პროცენტებთან, საბანკო კრედიტებთან).

ამას გარდა, იაპონიაში გამოიყენება ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედების სპეციალური ფინანსური მექანიზმი. ეს მექანიზმი წარმოადგენს სამრეწველო პოლიტიკის მიმართულების პრიორიტეტული დაფინანსების სისტემას პრიორიტეტულ სფეროებში “საგარეო” რესურსების კონცენტრირებული გამოყენებისათვის შედარებით კეთილსასურველი პირობების შექმნის გზით. მექანიზმის რეალიზაცია ხორციელდება მიზნობრივი კრედიტებით. არსებობს მიზნობრივი კრედიტების სამი სახე: მიმართული კონკრეტულ ფირმაში ანდა დარგში; შეთავაზებული ფუნქციონალურ კრიტერიუმებთან შესაბამისად (მაგ., ექსპორტის სტიმულირება ანდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. დასაფინანსებლად პროექტების შერჩევა ხორციელდება მკაცრი სტანდარტების შესაბამისად და შემდგომ მათი რეალიზაცია კონტროლდება ბანკების მიერ, რომლებიც ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევენ, გამოავლინონ პრობლემები მათი წარმოშობისთანავე და მიიღონ შესაბამისი ზომები. შედეგად, არასაიმედო ვალების წილი საკმაოდ დაბალია.

იაპონიაში, ისევე, როგორც სხვა რიგ ქვეყნებში, ინვესტიციების სტიმულირების და ახალი ტექნოლოგიების შექმნისათვის გამოიყენებოდა დაბალი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკა.

ბოლო პერიოდში შეიმჩნევა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების რეგლამენტირების გაძლიერების ტენდენცია და მათ სტრუქტურაში ფუნდამენტურ კვლევებზე ხარჯების წილის ზრდა და აგრეთვე იაპონიის სწრაფვა, თავისი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა გაატაროს საზღვარგარეთაც.

მთლიანობაში, იყენებდა რა საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სხვადასხვა მექანიზმებს, იაპონიის მთავრობამ შეძლო გაეაქტივებინა კაპიტალის დაგროვების პროცესი და მიემართა ფინანსური ნაკადები დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების ამოცანის გადასატრელად მთლიანობაში და კერძოდ, განეხორციელებინა მრეწველობის რაციონალიზაციის პოლიტიკა.

საინტერესოა შვეიცარიის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს, კომპანიების, სპეციალიზებული სააგენტოების და ფონდების, უნივერსიტეტების და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების თანამშრომლობის ოთხწლიან პროგრამებზე. ინოვაციების ხელშემწყობი სააგენტო და შვეიცარიის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ფონდი მხარს უჭერენ პროექტებს და მათი შედეგების კომერციალიზაციას.

გერმანიაში სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა ორიენტირებულია, პირველ რიგში, მცირე და საშუალო საწარმოებზე, სადაც დასაქმებულია ყველა მომუშავის დახლოებით 60%. გერმანიაში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ფირმების ინოვაციური საქმიანობისათვის პირობების შექმნა (საგადასახადო შეღავათები) და პირდაპირი მხარდაჭერა კვლევების ფინანსირების გზით;

- ვენჩურული კაპიტალის ბაზრის განვითარების სტიმულირება ფინეთში ინოვაციური პოლიტიკის მთავარ ელემენტს წარმოადგენს;

- პრიორიტეტების განსაზღვრა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში;

- მეცნიერებაზე სახსრების განაწილების საკონკურსო პრინციპი;

- ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება.

სამთავრობო პროგრამასთან შესაბამისად სახსრები მიიმართება მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების სტრატეგიულ ცენტრებში. ცენტრები მოწოდებულია უზრუნველყონ გამწვანებული კვლევითი რესურსების კოორდინირება ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

მეცნიერების აზრით, ფინეთის ეროვნული ინოვაციური მოდელი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურს მსოფლიოში, რისი დამადასტურებელიცაა ინვესტიციების ზრდა სამეცნიერო-კვლევით სფეროში, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის ორიენტირის შეცვლას. საერთო ეკონომიკური დაცემის პერიოდშიც კი, ფინანსირების მოცულობა არათუ შემცირდა, არამედ განაგრძობდა ზრდას. პრაქტიკაში ეს აისახა საწარმოების რაოდენობის ზრდაზე, რომელთა საქმიანობის საფუძველში იდო ინოვაციები და იმ ორგანიზაციების ფინანსირების გამყარება, რომლებიც დაკავებული იყვნენ კვლევითი საქმიანობით.

ჩინეთის ინოვაციური სისტემა ფორმირებულია, როგორც მეცნიერებასა და განათლებაზე დაფუძნებული ეკონომიკის აღორძინების რეალიზაციის ინსტრუმენტი. ჩინეთის ინოვაციური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის სპეციფიკას წარმოადგენს პიონერულ მოდელზე ორიენტაცია. ეს გულისხმობს, საკუთარი ტექნოლოგიების შექმნის შესაძლებლობას სამამულო ფუნდამენტურ კვლევებზე დაყრდნობით. გამოიყენება ინტეგრაციული პროცესები განათლებაში, მეცნიერებაში, ეკონომიკაში; ინოვაციური ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ფორმების ქსელი; ინოვაციურ პროცესში მსხვილი და მცირე ორგანიზაციული პროექტების ფორმების სიმბიოზი და აგრეთვე მსხვილი საწარმოების რესურსების ბაზის გამოყენება მცირე ფირმების ინოვაციური პროექტების რეალიზაციაში, იყენებენ რა მათ მომავალში მსხვილი საწარმოების მოდერნიზაციისათვის.

აშშ-ში ინოვაციური საქმიანობის რეალიზაცია ხორციელდება ტერიტორიული სამეცნიერო-სამრეწველო კომპლექსების ბაზაზე და პირდაპირი სახელმწიფო მხარდაჭერის გზით. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში სახელმწიფოს მონაწილეობის ძირითად ფორმას წარმოადგენს კონტრაქტი, რომელიც იღება კონკურსის შედეგად (უნივერსიტეტებთან, კვლევით ცენტრებთან, ფირმებთან). ფუნდამენტური კვლევები,

როგორც სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ნაწილი, ძირითადად მიზანმიმართულია სამეცნიერო დაწესებულებებზე. გამოყენებითი კვლევები ტარდება მრეწველობაში. საკვლევ-საკონსტრუქტორო სამუშაოები უპირატესად სრულდება კერძო ფირმების მიერ სპეციალურ კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში [М. В. Лапина., Л.Д. Глущенко. 2011].

სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სტიმულირების ფინანსურ ინსტრუმენტს ევროკავშირის ქვეყნებში წარმოადგენს ე.წ. ჩარჩო-პროგრამა. ამ პროგრამის ჩარჩოში ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება გრანტების სახით, რომელთაც შეუძლიათ დაფარონ მცირე და საშუალო საწარმოების საპროექტო ხარჯები 75%-მდე. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური სტიმულირება ბოლო წლებში გამოდის ეროვნული საზღვრებიდან. ევროკავშირი ქვეყნები მონაწილეობენ ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ფინანსირების პროგრამებში.

მსოფლიო პრაქტიკაში ინოვაციების დაფინანსებაში სახელმწიფოს როლის გაზრდასთან დაკავშირებით გაჩნდა გამოშვებული მეცნიერებატევადი პროდუქციის გაზრდის ტენდენცია.

ნათელია, რომ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება ფერხდება ფინანსური რესურსების დეფიციტით, რომელიც გამოიყოფა სახელმწიფოს მიერ ამ მიზნისათვის. ინოვაციური სტრატეგიის სახელმწიფო ფინანსირების ალტერნატიულ ფორმად შეიძლება გამოვიდეს კომერციული ბანკის კრედიტები.

უმეტესობა წამყვან ქვეყნებში სწორედ მიზნობრივი ხასიათი აქვს სამეცნიერო-ინოვაციური საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერას.

ამას გარდა, ინოვაციური საქმიანობის ფინანსირებისათვის მიზანშეწონილია სავალ ფინანსური ინსტრუმენტების მოზიდვა: ვექსელური და ობლიგაციური სესხები, ევროობლიგაციები და სხვა.

ისინი საშუალებას აძლევს რეალური სექტორის საწარმოებს, მოიზიდონ გრძელვადიანი რესურსები, ჩამოაყალიბონ პროცენტების გადახდისა და ძირითადი ვალის გადახდის მოქნილი სისტემა, იხსნება ფინანსური ბაზრის მიმართ წვდომა, მათ შორის მსოფლიო ბაზრისადმი.

ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის ძირითად ფორმად რჩება ბიუჯეტიდან ფინანსირება. ამავე დროს, ინოვაციების ფინანსირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამეცნიერო და ვენჩურული ფონდები, სამეცნიერო კომიტეტები და ეროვნული აკადემიები.

დასკვნა

ეროვნული ინოვაციური სისტემების სხვადასხვა ტიპების ფორმირების საზღვარგარეთული გამოცდილება იმაზე მეტყველებს, რომ დღეისათვის უმეტესობა ქვეყნებში მიისწრაფიან ინოვაციური განვითარებისაკენ და შესაბამისად ირჩევენ ისეთი ეროვნული ინოვაციური სისტემის მოდელს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება და ხელთეწიფება მათ ეკონომიკას. ამასთან, კონკრეტული მოდელის შერჩევა უმეტესად უნდა განისაზღვრებოდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების განათლებისა და მეცნიერების არსებული დონით.

ეროვნული ინოვაციური სისტემის რომელიმე მოდელის ჩამოყალიბება და განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, სადაც ბიზნესი, სახელმწიფო და მეცნიერება საკმაოდ მჭიდროდ ურთიერთქმედებენ და თავისი ტრადიციული ფუნქციების გარდა, იძენენ სხვა მათთვის არატრადიციულ ფუნქციებს და ასრულებენ მათ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სწრაფ წარმატებას ახდენენ ის ქვეყნები, რომელთაც დიდი სამეცნიერო და საგანმანათლებლო პოტენციალი გააჩნიათ, რაც საშუალებას მისცემს მათ სწრაფად შეიმუშაონ და დანერგონ წარმოებაში ინოვაციური პროდუქტი. ყოველივე ამის გასაკეთებლად აგრეთვე საჭიროა მეცნიერებასა და ბიზნესს შორის დალაგებული პარამონიული ურთიერთობების არსებობა, რაც შეუძლებელია სახელმწიფოს აქტიური პროტექციონისტული პოლიტიკის გარეშე.

მსოფლიო პრაქტიკაში ინოვაციების დაფინანსებაში სახელმწიფოს როლის გაზრდასთან დაკავშირებით გაჩნდა გამოშვებული მეცნიერებატევადი პროდუქციის გაზრდის ტენდენცია.

ნათელია, რომ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება ფერხდება ფინანსური რესურსების დეფიციტით, რომელიც გამოიყოფა სახელმწიფოს მიერ ამ მიზნისათვის. ინოვაციური სტრატეგიის

სახელმწიფო ფინანსირების ალტერნატიულ ფორმად შეიძლება გამოვიდეს კომერციული ბანკის კრედიტები.

უმეტესობა წამყვან ქვეყნებში სწორედ მიზნობრივი ხასიათი აქვს სამეცნიერო-ინოვაციური საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერას.

ამას გარდა, ინოვაციური საქმიანობის ფინანსირებისათვის მიზანშეწონილია სავალო ფინანსური ინსტრუმენტების მოზიდვა: ვექსელური და ობლიგაციური სესხები, ევროობლიგაციები და სხვა.

ისინი საშუალებას აძლევს რეალური სექტორის საწარმოებს მოიხილონ გრძელვადიანი რსეურსები, ჩამოაყალიბონ პროცენტების გადახდისა და ძირითადი ვალის გადახდის მოქნილი სისტემა, იხსნება ფინანსური ბაზრის მიმართ წვდომა, მათ შორის მსოფლიო ბაზრისადმი.

ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის ძირითად ფორმად რჩება ბიუჯეტიდან ფინანსირება. ამავე დროს, მნიშვნელოვანი როლი ინოვაციების ფინანსირებაში თამაშობს სამეცნიერო და ვენჩურული ფონდები სამეცნიერო კომიტეტები და ეროვნული აკადემიები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Авдокушин Е. Ф. Национальная инновационная система Японии.//Вопросы новой экономики, №4(16) 2010.
2. Глобальная трансформация инновационных систем. Под. ред. Н.И. Ивановой. М., ИМЭМО РАН, 2010.
3. Ицкович Г. Модель тройной спмрали // Инновационная Россия, №4, 2011.
4. Козлова Ж.М. Проблемы становления национальной инновационной системы в России.//Вестник Алтайской академии экономики и права, №2 (20), 2011. <http://journal-aael.intelbi.ru>
5. М. В. Лапина., Л.Д. Глущенко. 2011. Современные тенденции в финансировании инновационной деятельности предприятия.
6. Обзор международного опыта инновационного развития. // Наука и технологии России. www.strf.ru/material.aspx?d_no=39679
7. Сергеев В.М., Алексеевна Е.С., Нечаев В.Д. Типология моделей инновационного развития//полития, №4(51), 2008.

8. http://kapital-rus.ru/articles/article/modeli_formirovaniya_nacionalnyh_innovacionnyh_sistem/

Tea Lazarashvili

**THE PECULIARITIES OF FINANCIAL PROVISION OF
EU INNOVATION SYSTEM FUNCTIONING**

Summary

The article discusses the formation of the national innovative systems and factors influencing them. Are highlighted those signs of general national systems characteristic to them as interactive blocks. In particular creative block, technology transfer block, production block and staff training block.

Analysis of the national innovation systems in the world has shown that 5 basic types of national innovation systems are explicit. These are: euro Atlantic, easter Asian, three-dimensional spiral and four-dimensional spiral model.

Each system is characterized by their peculiarities and accordingly the countries where these systems are used.

გიორგი სიგუა

**ეკონომიკის ინოვაციური განვითარების
ფინანსური წყაროები და ინსტრუმენტები
ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში**

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინოვაციურობა აუცილებელია განვიხილოთ როგორც არასტანდარტული, კრეატიული იდეების რეალიზაციის ფორმა, როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ხელოვნებაში. განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირდება და ფუნქციონირება ხდება შემდეგი ფუნდამენტური პირობების არსებობისას:

1. მიზანმიმართული და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკა (საქართველოს შემთხვევაში ეს პოლიტიკა უნდა მოიცავდეს სტრუქტურულ გარდაქმნასაც);

2. ეფექტური სამართლებრივი სისტემა (საკანონმდებლო უზრუნველყოფა და სასამართლო სისტემა);

3. მაღალკონკურენტული ბიზნეს-გარემო და მიმზიდველი კლიმატი უცხოელი და ადგილობრივი მაღალტექნოლოგიური ინვესტორებისათვის;

4. მეწარმეთა სტრატის არსებობა – ი. შუშპეტერისა და ბ. ა. ლუნდვალის გაგებით;

5. ფინანსური ინსტიტუტებისა და ფინანსური რესურსების;

6. განვითარებული მეცნიერებისა და განათლების და კადრების მომზადების სისტემა;

7. ინოვაციური ინფრასტრუქტურა [1], [2].

აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი მე-3-ე და მე-4-ე პირობებია. საინტერესო გამონაკლისს წარმოადგენს XX საუკუნის 30-50 წლების საბჭოთა კავშირი, სადაც სახელმწიფო საკუთრების სრული დომინირების და შესაბამისად შიდა კონკურენციის არ არსებობის პირობებში, მართვის ცოტალიტარული რეჟიმის “წყალობით” შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო ის, რასაც ჩვენ დღეს ეროვნულ ინოვაციურ სისტემას (ეის) ვუწოდებთ. ბუნებრივია, საბჭოთა მოდელი განსხვავდებოდა თანამედროვე ოთხი მოდელისაგან, მაგრამ სწორედ მაშინ სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება პირველად გახდა ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი.

მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ეს მოგვიანებით – 50-იანი წლების ბოლოს, მოხდა არა მხოლოდ აშშ-სა და ევროპაში, არამედ იაპონიასა და სამხრეთ კორეაშიც (ლოს-ალამოსის ატომური პროექტი იყო ცალკეული კონკრეტული პროგრამა, და არა სისტემური მიდგომის ნაწილი). ამიტომ ანალიტიკოსების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ინოვაციის ეპოქა დაიწყო გასული საუკუნის ბოლო მესამედში ან მეოთხედში. რეალურად, მთელი XX საუკუნე და, განსაკუთრებით, მისი პირველი ნახევარი (ავტომობილი, ავიაცია, ტელეფონი, რადიო, კინო და ტელევიზია, ატომური ელექტროსადგურები და იარაღი, პირველი ელექტრო-გამომთვლელი მანქანები, მეცნიერებისა და ეკონომიკის მრავალი სხვა დარგი წარმოიშვა სწორედ იმ პერიოდში) წარმოადგენს ეპოქას, რომელმაც ცოდნა გარდაქმნა არ მხოლოდ ეკონომიკის, არამედ მთლიანად ცივილიზაციის ინოვაციური განვითარების ფუნდამენტად.

საბჭოთა კავშირი დაიშალა იმიტომ, რომ არსებულმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა მოდელმა ქვეყანა ისტორი-

ულ ჩიხში მიიყვანა. პოლიტიკურ სფეროში კონკურენციის არ არსებობამ გამოიწვია პოლიტიკური ელიტისა და მართვის სისტემის დეგრადაცია. ეკონომიკაში კონკურენციისა და იმანენტური სტიმულების არ არსებობამ, წარმოების ორიენტაციამ რაოდენობის გეგმიურ ზრდასა და არა პროდუქციის ხარისხზე, განაპირობა ეკონომიკის სანედლეულო სტრუქტურა. ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე ხარჯავდა მსოფლიოში ყველაზე მეტს – საშუალოდ მშპ-ს 5%.

აშშ-ს გადაქცევა მსოფლიოს ეკონომიკურ ლიდერად მნიშვნელოვნწილად განპირობებული იყო 1901 წელს ტეოდორ რუზველტის მიერ შერმანის ანტიმონოპოლიური კანონის ამოქმედებით, რომელიც 1890 წლიდან თაროზე იდო. ამ კანონის დარღვევა ისჯებოდა 10 წლიანი ციხით და ჯარიმით 250 ათასი იმდროინდელი დოლარის ოდენობით. დღემდე ამერიკული ანტიმონოპოლიური რეგულირება ყველაზე მკაცრია მსოფლიოში.

ცხადია, რომ სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ რეგულირებას გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისათვის. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვან და შეიძლება ერთადერთ უპირატესობას ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ეკონომიკასთან (და არა საგეგმოსთან, რადგან კონკურენცია და გეგმიურობა არ გამორიცხავს ერთმანეთს) წარმოადგენს შიდა და გარე კონკურენცია.

საქართველოში 2004 წელს ლიბერტიარიული მანიით შეპყრობილმა მთავრობამ გააუქმა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და რეგულირება. 2014 წელს ანტიმონოპოლიური სამსახური აღდგენილი იქნა, თუმცა მისი ეფექტიანობა ჯერ-ჯერობით არაა მაღალი.

შიდა კონკურენცია და ეროვნული ინოვაციური სისტემა კონკურენტუნარიანი ეკონომიკისა და ეკონომიკური უსაფრთხოების და შესაბამისად გლობალური მასშტაბით სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის აუცილებელი ფუნდამენტია. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2017-2018 წლების რეიტინგში (შემუშავებულია კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ქსავიე სალა-ი-მარტინის მიერ 12 საკონტროლო მაჩვენებლით) საქართველო 67-ე ადგილს იკავებს.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაჩვენებლები ასეთია: ესტონეთი – 29, აზერბაიჯანი – 35, რუსეთი – 38, ლიტვა – 41, ლატვია – 54, ყაზახეთი – 57, სომხეთი – 73, უკრაინა – 81. რეიტინგის ლიდერებია: 1. შვეიცარია, 2. აშშ, 3. სინგაპური, 4. ნიდერლანდები, 5. გერმანია, 6. ჰონკონგი, 7. შვეცია, 8. დიდი ბრიტანეთი, 9. იაპონია, 10. ფინეთი, 11. ნორვეგია, 12. დანია [3].

უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს არც 6 დანარჩენი ფუნდამენტური პირობა, რომელიც აუცილებელია ინოვაციური ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის. არც ქვეყნის მავრობის 4 პუნქტიანი გეგმით და არც ქვეყნის ბიუჯეტით, ამ პირობების შექმნისათვის საჭირო ქმედებები არაა გათვალისწინებული [4].

ინოვაციური საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები, ფორმები და მახასიათებლები განისაზღვრება ეკონომიკური დონის (მასშტაბის) მიხედვით: მიკრო დონეზე (ცალკეული საწარმოები), მაკრო და ჰიპერ დონეებზე.

საწარმოების დონეზე ასეთ წყაროებს წარმოადგენს:

- საწარმოს მესაკუთრეთა შენატანების ფულადი ნაწილი;
- მოგება და ამორტიზაცია. როგორც წესი, დაფინანსების ეს წყაროები არასკმარისია ძვირი ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის;
- შიდა აქტივებისა და საბრუნავი საშუალებების მობილიზაცია;
- აქციების ემისია – ფასიანი წყარო (დივიდენდების გაცემა);
- საქველმოქმედო შენატანები;
- საბანკო კრედიტი;
- კომერციული კრედიტი;
- ლიზინგი;
- ფრანჩაიზინგი;
- ფორფეიტინგი;
- უპროცენტო სესხები;
- წილობრივი მონაწილეობა, ერთობლივი საწარმოების საფუძველი;
- ობლიგაციების განთავსება;
- ვენჩურული კაპიტალი. საქართველოში ბიზნესს არ აქვს ვენჩურული, სარისკო კაპიტალი. ამიტომ, ჩვენთან ეს ინსტრუმენტი

შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში (შვედეთი, ფინეთი, სინგაპური და სხვ.).

სახელმწიფოს შეუძლია ხელი შეუწყოს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას არაპირდაპირი დაფინანსების მეტოდებით: საგადასახადო ინსტრუმენტები, შეღავათები და პრეფერენციები საწარმოებისა და დარგებისათვის, რომლებიც აწარმოებენ მეცნიერებატევად პროდუქციას.

დღეისათვის საგადასახადო სტიმულების ფართო სპექტრი არსებობს, რომლებიც განსხვავდებიან, როგორც სტრუქტურით, ისე ფინანსური დახმარების მოცულობით. თუმცა, ყველაზე გავრცელებულ სტიმულს, რომელიც მიმართულია სამეცნიერო-ტექნოლოგიური საქმიანობის წახალისებისაკენ საზღვარგარეთის ქვეყნებში, პირველ რიგში განეკუთვნება:

- საგადასახადო კრედიტი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების ზრდის შემთხვევაში;
- საგადასახადო არდადაგები ინოვაციურად აქტიური მცირე და საშუალო საწარმოებისათვის;
- ვენჩურული ინოვაციური ფონდების შექმნაზე მიმართული სახსრების დაბეგვრის შემცირება, ან მისგან სრულად განთავისუფლება;
- სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების კომერციალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავლებზე საწარმოებისათვის საგადასახადო პრეფერენციების დაწესება;
- მცირე და საშუალო ინოვაციურ ბიზნესში მოზიდული ინვესტიციების შეღავათიანი დაბეგვრა [5, გვ. 98].

მაკროეკონომიკურ დონეზე ინოვაციური საქმიანობა ხარისხობრივად იცვლება, რადგანაც საქმე გვაქვს არა კონკრეტული პროდუქტის გამოშვებასთან, არამედ სახელმწიფოს ან მისი რეგიონის ინოვაციური განვითარების უზრუნველყოფასთან. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერების, განათლების და კადრების მომზადების სისტემის დაფინანსებას. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ზემოქმედება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე პირდაპირაა დამოკიდებულია მშპ-ს წილთან, რომელიც

იხარჯება სამეცნიერო კვლევებზე (მშპ-ს მეცნიერებატევადობა). ამიტომ, მშპ-ს მეცნიერებატევადობა დღეისათვის განიხილება როგორც ქვეყნის ინოვაციურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ თუ ეს მაჩვენებელი 0,4%-ზე ნაკლებია (საქართველოში – 0,2%), მეცნიერებას აღნიშნულ ქვეყანაში შეუძლია შეასრულოს მხოლოდ გარკვეული სოციო-კულტურული ფუნქცია. ამ მაჩვენებლის 0,9-1%-მდე ზრდის შემთხვევაში, შესაძლებელია გარკვეული შემეცნებითი ფუნქციის მქონე შედეგების მიღება. მხოლოდ მეცნიერებაზე დანახარჯების შემდგომი ზრდის შემთხვევაში, შეიძლება ვიმსჯელოთ ეროვნული მეცნიერების მნიშვნელოვან ზეგავლენაზე ეკონომიკის განვითარებაზე, რადგანაც იგი იძენს ეკონომიკურ ფუნქციას [6, გვ. 297-298].

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფოს ინფორმაციულ-კომუნიკაციური სისტემების შექმნასა და მოწინავე უცხოური მიღწევების გაზიარების (სესხების) უზრუნველყოფაში (მ.შ. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გარკვეული დარღვევებით), რაც ფართოდაა გავრცელებული მსოფლიო პრაქტიკაში [7, გვ. 51-55].

სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს აგრეთვე ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა და დაფინანსება. ინოვაციური ინფრასტრუქტურის ყველაზე გავრცელებული ფორმებია: ტექნოპარკები, ტექნოპოლისები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნიკურ-დანერგვითი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები, ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრები, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები, სასწავლო-საქმიანი ცენტრები და სხვა. ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიზნეს-ინკუბატორებს, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად დააჩქარონ ქვეყანაში ბიზნესმენტა კლასის და მეწარმეთა მცირერიცხოვანი სტრატის ფორმირებაც კი.

ყველაზე მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა უნივერსიტეტებთან და ტექნოპარკებთან არსებული ბიზნეს-ინკუბატორები (ანდა ბიზნეს-სათბურები). აშშ-ს ბიზნეს-ინკუბატორების ეროვნული ასოციაციის მონაცემებით, წარმატებული კომპანიების პროცენტული თანაფარდობა გაკოტრებულ კომპანიებთან (რომლებმაც ვერ მიაღწიეს 5 წლის “ასაკს”) მიმართებაში ჩვეულებრივ პირო-

ბებში შეადგენს 20/80, ინკუბატორების პირობებში – 80/20. ინკუბაციის საუნივერსიტეტო მოდელი იძლევა 90%-იან წარმატებას [8]. საქართველოში 2015-2016 წლებში შეიქმნა რამდენიმე ბიზნეს ინკუბატორი, მაგრამ მათ წარმატებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის მიერ 2012 წელს გამოქვეყნებული ევროპის ქვეყნების რეიტინგი მშპ-ს მეცნიერებატევადობის დონის მიხედვით ასეთია: 1. ფინეთი – 3,88; 2. შვეცია – 3,4; 3. დანია – 3,06; 4. შვეიცარია – 2,99; 5. გერმანია – 2,82; 6. ავსტრია – 2,75; 7. ისლანდია – 2,64; 8. საფრანგეთი – 2,25; 9. სლოვენია – 2,11; 10-11. ბელგია და ნიდერლანდები – 2; 12. ირლანდია – 1,79; 13. დიდი ბრიტანეთი – 1,75; 14. ნორვეგია – 1,69 [12].

2000 წელს შემუშავებული ღისაბონის სტრატეგია მიზნად ისახავდა მეცნიერებატევადობის საშუალოევროპული დონის 3%-მდე გაზრდის გზით, ცოდნაზე დაფუძნებული ევროპული სამეცნიერო სივრცისა და ეკონომიკის შექმნას. მეცნიერებატევადობის ამ მაჩვენებელმა ევროპაში 2012 წელს 2,1%-ს მიაღწია. საინტერესოა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსებაში მრეწველობის წილი საშუალოდ 40-45%-ს შეადგენს. კანონზომიერია, რომ ეს მაჩვენებელი მინიმალურია საბერძნეთში სუსტად განვითარებული მრეწველობით – 31% და მაქსიმალური გერმანიაში – 66%. [7, გვ. 97-98].

მსოფლიოს 2007 და 2012 წლების რეიტინგებში, მრავალრიცხოვან სტატისტიკურ და ანალიტიკურ მასალებში საქართველო არსად არ ფიგურირებს. ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ, “მსოფლიოს ლიდერმა-რეფორმატორებმა”, მკაცრად გაასაიდუმლეს თავიანთი “მიღწევები” ამ სფეროში – 0,16%. ამ მაჩვენებლით საქართველო ჩამორჩებოდა არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა აუტსაიდერებს (მოდოვა – 0,53; სომხეთი – 0,27, აზერბაიჯანი – 0,25), არამედ უგანდას – 0,41%, ზამბიას – 0,34; ეთიოპიას – 0,24; ბურკინა-ფასოს – 0,20 [12]. 2016-2017 წლებში მშპ-ს მეცნიერებატევადობამ საქართველოში შეადგინა 0,2%. გაუმჯობესდა დაფინანსება მთლიანად განათლების სისტემის (მ.შ. უნივერსიტეტების). მაგრამ, თავად უნივერსიტეტებში სამეცნიერო კოლექტივებისა (კათედრების) და ლაბორატორიების არ არსებობის და აკადემიის ყოფილი ინსტი-

ტუტების ჩამორჩენილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში, პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ-თანამშრომელთა მოღვაწეობა არასაკმარისად შედეგიანია. დავძენთ, რომ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ვეღარ ამზადებენ უნივერსიტეტებისთვის პროფესორის საკადრო რეზერვს, რადგან მეცნიერმუშაკთა რაოდენობა საქართველოში 1990 წლიდან დღემდე 50 ათასიდან, 2 ათასამდე შემცირდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოს მთავარი ორიენტირი გახდა ევროპული ფასეულობები და ცხოვრების სტანდარტები. 2004-დან 2012 წლების ჩათვლით საქართველოს ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა დაახლოებით 5%-ს. მაჩვენებელი ხელოვნურად იყო გაზრდილი მშპ-ს ვირტუალური მდგენელების (საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტა, სახელმწიფო მართვის წილის ჰიპერტროფული ზრდა და სხვ.) და ინფლაციის დონის დაწვევის ხარჯზე. 2017 წელს ეკონომიკის ზრდამ შეადგინა 4%, რაც დამაკმაყოფილებლად და რეალურად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო ეკონომიკისა და ჩვენი ეკონომიკის ამჟამინდელი სირთულეების გათვალისწინებით. მეორე მხრივ, ზრდის ასეთი ტემპი საშუალებას მისცემს საქართველოს მიაღწიოს ევროკავშირის ყველაზე დარიბი ქვეყნების დღევანდელ დონეს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მაჩვენებლით მხოლოდ 18-20 წლის შემდეგ.

საქართველოს ბიუჯეტით 2018 წელს განათლების მთელ სისტემაზე (სკოლამდელი დაწესებულებების ჩათვლით) და მეცნიერებაზე გამოყოფილია 1,18 მლრდ ლარი (470 მლნ აშშ დოლარი), რაც საქართველოს მშპ-ის 2,7%-ს შეადგენს. დაფინანსების აბსოლუტური ოდენობით – ეს 60-70-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ფინეთში, დანიასა და ირლანდიაში. ნათელია, რომ კარდინალური გარდატეხის გარეშე საქართველოს ეკონომიკა არა ინოვაციური და დამწვევი, არამედ უფრო სწრაფად ჩამორჩენადი გახდება. უახლოეს წარსულში დამწვევი იყო სამხრეთ კორეის ეკონომიკა, სადაც მეცნიერების დაფინანსება 1971-88 წლებში 220-ჯერ, ხოლო მშპ 36,6-ჯერ გაიზარდა. შედეგად, ლატაკი და დამწვეული კორეა 40 წელიწადში მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ და განვითარებულ ქვეყნად გადაიქცა [9].

საინტერესოა განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მეცნიერების დარგებზე ფინანსური რესურსების განაწილების კუთხით: ფუნდამენტურ მეცნიერებებზე – 15-20%, გამოყენებით კვლევებზე – 25-30%; საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე – 55-60%. ცხადია, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე ხდება ამ პროპორციების კორექტირება [6, გვ. 301].

ამჟამად, ინოვაციური განვითარების დონით ევროკავშირსა და მსოფლიოში გამორჩეული ადგილი უჭირავს ჩრდილოეთ ევროპის 5 ქვეყანას – სკანდინავიის ქვეყნები და ფინეთი. ცნება “სკანდინავიური მოდელი” წარმოადგენს ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების საერთო მახასიათებლების ერთობლიობას. ამ მოდელის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ წარმატება განპირობებულია არა მხოლოდ, და არა იმდენად ეკონომიკური (მშპ-ს მეცნიერებატევადობა, ანუ დაფინანსების მაღალი მაჩვენებელი), არამედ ზოგიერთი არაეკონომიკური ფაქტორითაც, როგორცაა: ა) სახელმწიფოს მართვაში მემარცხენე პარტიების აქტიური მონაწილეობა; ბ) კორუფციის თითქმის არ არსებობა; გ) ქალების მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობა; დ) კლასობრივი ანტაგონიზმის არ არსებობა, ხელისუფლების, ბიზნესისა და სოციალური ფენების ჰარმონიული თანამშრომლობა და პარტნიორობა; ე) სპეციფიკური სკანდინავიური შრომის კულტურა და ფასეულობათა სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს პროტესტანტული, ლუთერანული რელიგია.

განვითარების ინოვაციურ მოდელზე ამ ქვეყნების გადასვლის წინაპირობა იყო არა მარტო ეკონომიკური პოლიტიკის, არამედ სამუშაო ძალის მაღალი ხარისხიც, როდესაც იგი იძენს ადამიანური კაპიტალის თვისებას. ადამიანური კაპიტალი წარმოიქმნება მასობრივი ინვესტიციების ხარჯზე განათლებაში, ჯანდაცვაში, ინფორმაციულ უზრუნველყოფაში, ოჯახების მხრდაჭერაში, პროფესიულ მობილობაში, რომლებიც ერთობლიობაში უზრუნველყოფენ ადამიანის კრეატიული უნარ-ჩვევების ზრდას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2017 წლის რეიტინგში ადამიანური განვითარების ინდექსით მსოფლიოს ქვეყნებს შორის ყველა ჩრდილოეთ ევროპული ქვეყანა წამყვან პოზიციებზეა. ამ რეიტინგში საქართველოს 70-ე ადგილი უკავია, და ჩამორჩება 6 პოსტ-

საბჭოთა ქვეყანას (ესტონეთი – 30-ე ადგილი, ლიტვა – 37, ლატ-
ვია – 44, რუსეთი – 49, ბელარუსი – 52, ყაზახეთი – 56-ე ადგი-
ლი), უსწრებს რა რეგიონში მეზობლებს (აზერბაიჯანი – 78-ე
ადგილი, სომხეთი – და უკრაინა – 84 ადგილი) [10].

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკის
შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორხუსისა და უპ-
სალას უნივერსიტეტების პროფესორის ბ.ო. ლუნდვალის ინოვაცი-
ის ახალმა ფილოსოფიამ. მან ი, შუმპეტერისაგან განსხვავებით
(რომელმაც შექმნა “შემოქმედებითი ნგრევის” თეორია), გამ-
ოიკვლია მოხმარების როლი ინოვაციური პროცესის მნიშვნელო-
ვანი ელემენტის სახით და გვიხვენა აგრეთვე, რომ თანამედროვე
ინოვაციის მთავარ პირობას ნაციონალური ინოვაციური სისტემები
წარმოადგენენ. ამასთან, პირველ პლანზე გამოდიან მცირე ინო-
ვაციური ფირმები.

მცირე ფირმების ინოვაციური აქტივობის მაგალითად შეგვიძ-
ლია მოვიყვანოთ ნორვეგიული ფირმის “ნიუგორდ”-ის წარმატება,
რომელმაც შექმნა ფარმაცევტული პროდუქტი “ამიპაკი”, რის სა-
ფუძველზეც 1990-იან წლებში ჩამოყალიბდა სამკურნალო პრეპა-
რატების ახალი ჯგუფი. მცირე ოჯახური ნორვეგიული ფირმა
ტრანსნაციონალური ინოვაციური კომპანიის დამფუძნებლად იქცა
[11, გვ. 181-193].

ყველა ჩრდილოეთ ევროპული ქვეყანა ერთ-ერთ პირველ
ადგილს იკავებს მსოფლიოში პერსონალური კომპიუტერების
გავრცელების მხრივ. შვედეთის ამომრჩევლების უმეტესობა არჩე-
ვებზე ხმას ელექტრონული ფოსტით აძლევს.

დანია მსოფლიო ლიდერია ისეთ დარგებში, როგორცაა
ქარის ენერგეტიკა, ბიოტექნოლოგია, სამედიცინო ტექნიკა და
ფარმაცია, მანქანათმშენებლობის ზოგიერთი დარგი. დანიური მეც-
ნიერებატევადი კომპანიები და ორგანიზაციები, მაგალითად ფარ-
მაცევტული მრეწველობის დანიის ასოციაცია, დარგის მთლიანი
ბრუნვის 15-18%-ს ხარჯავს კვლევით სამუშაოებზე. ქვეყანაში შე-
ქმნილია “ჩრდილოეთის ზღვის სახელმწიფო ფონდი”, რომელიც
შეღწეზე ნავთობის მოპოვებით მიღებული მოგების მნიშვნელოვან
ნაწილს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სა-
მუშაოების ახმარს.

ამჟამად დანიაში ფუნქციონირებს 180 ბიოტექნოლოგიური კომპანია. კერძო სექტორში კვლევით სამუშაოებზე დანახარჯების მეოთხედი ხმარდება ბიოტექნოლოგიის განვითარებას.

დანის ინოვაციურ განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ახალი ევროპული რეგიონი ერესუნი, რომელიც შეიქმნა ზღვის სრუტეზე ხიდის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ. რეგიონი, რომელიც დანიურ ზელანდიას და შვედურ სკონეს აკავშირებს, მოზიდული ინვესტიციების ზომით ევროკავშირში მე-3-ე ადგილზეა, მასზე მოდის სკანდინავიაში მთლიანი ინვესტიციების 38%. ერესუნის რეგიონი სპეციალიზდება ინფორმაციული ტექნოლოგიების, სატელევიზიო, კომუნიკაციების, ელექტრონიკის, მედიცინის, ბიოტექნოლოგიის განვითარებაზე. შექმნილია ინოვაციური ქსელი “Medicon Valley Academy”-ის სახელწოდებით, რომელიც აერთიანებს 300 კვლევით კოლექტივს, 26 საავადმყოფოს, 6 სამეცნიერო პარკს, 13 უნივერსიტეტს, 115 ბიოტექნოლოგიურ კომპანიას, სამედიცინო ტექნიკის მწარმოებელ 130 კომპანიას. კოოპერაციის წყალობით, ამ ინოვაციური ქსელის მონაწილეებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ სინერჯის ეფექტი დანიური სამკურნალო პრეპარატების ხარისხის ასამაღლებლად.

დანია ელექტროენერჯის მოხმარების 25% ფარავს “მწვანე” წყაროების, პირველ რიგში ქარის ენერჯის ხარჯზე. დანიური ფირმები აწარმოებენ მსოფლიოში საქარე ტურბინების 38%-ს, საერთო ღირებულებით 3,5 მლრდ ევრო. ამ დარგში დაკავებულია 20 ათასი ადამიანი. წარმოებული ტურბინების 90% მიდის ექსპორტზე, ძირითადად გერმანიაზე.

ხელისუფლების ორგანოების გარდა, დანიური ინოვაციური პოლიტიკის გატარებაში მონაწილეობას იღებენ ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორცაა დანიური მრეწველობის კონფედერაცია, დანის ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემია, დანიური ბანკების ასოციაცია, მცირე და საშუალო საწარმოების ფედერაცია, ცალკეული ფირმები [11, გვ. 225-232].

ჩრდილოეთ ევროპაში თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი სახელმწიფოს საკუთრებაშია, ხოლო მცირერიცხოვანი კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები იღებენ სახელმწიფო სუბსიდიებს. საყურადღებოა, რომ XX საუკუნის 60-იან წლებამდე ფინეთში იყი მხოლოდ 2 სრულფასოვანი უნივერსიტეტი. უკვე 70-

იან წლებში 10 ქალაქში ფუნქციონირებდა 20 სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფინეთმა ერთ-ერთმა პირველმა დასავლეთ ევროპაში გამოიყენა “სილიკონის ველის” გამოცდილება – ოულუს უნივერსიტეტთან შეიქმნა ტექნოპარკი, რომელიც აერთიანებდა განათლებას, კვლევებს და დანერგვას. ამჟამად ასეთი ტექნოპარკები (ფინეთში მათ ზოგჯერ “ტექნოლოგიურ სოფლებსაც” უწოდებენ) 20-ზე მეტია “სილიკონის ველის”-გან განსხვავებით, მათ აფინანსებს არა კერძო კაპიტალი, არამედ სახელმწიფო.

შვედიაში ფუნქციონირებს 15 უნივერსიტეტი (13 – სახელმწიფო და 2 – კერძო). სტუდენტების რაოდენობა დაახლოებით 350 ათასია. პროფესორ-მასწავლებლების შემადგენლობა ითვლის დაახლოებით 33 ათას (საშუალოდ 1 პედაგოგი 10 სტუდენტზე). სამეცნიერო კვლევების დაფინანსების 25% მოდის მედიცინაზე, 22% – ტექნოლოგიურ დამუშავებებზე, 19% – საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე, 11% – სოციალურ მეცნიერებებზე, 6% – ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე. დანახარჯების 49% იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 51% – გარე წყაროებიდან. ქალაქ ლუნდში ადგილობრივ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით (უნივერსიტეტს ეკუთვნის აქციის 60%) 1983 წელს შეიქმნა სკანდინავიაში პირველი ტექნოპარკი “იდეონ”-ი, რომლის ძირითადი პროფილია საინფორმაციო ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები, ფარმაცია. ინტენსიურად ვითარდება შვედეთის უმსხვილესი ტექნოლოგიური პარკი “ჩისტე”, რომელიც 350 ფირმასა და 10 კვლევით ინსტიტუტის აერთიანებს. ინოვაციების შემუშავებასა და დანერგვას, ბიზნესისა და აკადემიური დაწესებულებების თანამშრომლობას აფინანსებს შვედეთის სტრატეგიული კვლევების ფონდი და ინოვაციური სისტემების სამთავრობო სააგენტო “ვინნოვა”.

საინფორმაციო ტექნოლოგიები შვედეთის ყველაზე სწრაფად განვითარებადი სექტორია. სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიური პროდუქციის წილი ქვეყნის ექსპორტის საერთო მოცულობის 15% შეადგენს. ამ სექტორის დაფინანსებაში კერძო კომპანიებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფოც.

ბიოტექნოლოგიის სფეროში შვედეთის უკანასკნელ მიღწევებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმოჩენები გენურ ინჟინერიაში, ფუნქციურ გენომიკასა და პროტეომიკაში. შვედეთი აქტიუ-

რად მონაწილეობს ზრდასრული ადამიანის დეროვანი უჯრედების კვლევებში – მსოფლიოში შექმნილი ცენტრების მესამედი ამ ქვეყნის წილად მოდის.

უკანასკნელ წლებში პრიორიტეტული გახდა კვლევები მიკრო- და ნანოტექნოლოგიებში, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ ინფორმატიკის, კერძოდ, კომპიუტერული სისტემების განვითარებაში [11, c. 206-213].

ყურადღებას იმსახურებს ფინეთის ინოვაციური განვითარებისა და მეცნიერების დაფინანსების სახელმწიფო სისტემა:

1. უნივერსიტეტებისათვის პირდაპირი ასიგნებები ბიუჯეტიდან;

2. მეცნიერებათა აკადემიის მიერ უნივერსიტეტების ბიუჯეტის დაფინანსება (16%);

3. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შემუშავების მხარდაჭერი სახელმწიფო ფონდები.

მეცნიერებათა აკადემია თავის რესურსებს მიმართავს ფუნდამენტური კვლევების დაფინანსებისკენ, გამოყენებითი კვლევების დაფინანსების ძირითადი წყაროა ფონდი “TEKES”-ი (30%). ფონდი “SITRA”, არ მონაწილეობს კვლევითი საქმიანობის სტადიაზე. იგი ვენჩურული “კაპიტალისტია”, რომელიც აფინანსებს ახალი კომპანიების შექმნას და განვითარებას. “SITRA”-ს გამოცდილება ამსხვრევს ნეოლიბერალურ მითს, რომ სახელმწიფო კომპანიები არეფექტიანი და წამგაბიანი თავისი არსით [5, c. 101].

დასასრულ საჭიროა ავლნიშნოთ, რომ ყველა ჩრდილოთვეროპულ ქვეყენაში ყველაზე ნაკლებად იგრძნობა სოციალური ფენების დიფერენციაცია. ჯინის კოეფიციენტი ამ ქვეყენებში 3-4-ჯერ დაბალია, ვიდრე მაგალიათად, აშშ-სა და სინგაპურში, და დაახლოებით 2-ჯერ დაბალი ვიდრე საქართველოში. ამ ქვეყენებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეების რიცხვი მხოლოდ 3%-ს შეადგენს.

დასკვნა

1. ქვეყენის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინოვაციურობა აუცილებელია განვიხილოთ როგორც არასტანდარტული, კრეატიული იდეების რეალიზაციის ფორმა, როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ხელოვნებაში.

საქართველოში ეროვნული ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია შემდეგი ფუნდამენტური პირობები:

- მიზანმიმართული და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკა (საქართველოს შემთხვევაში ეს პოლიტიკა უნდა მოიცავდეს სტრუქტურულ გარდაქმნებსაც);

- ეფექტური სამართლებრივი სისტემა (საკანონმდებლო უზრუნველყოფა და სასამართლო სისტემა);

- უცხოელი და ადგილობრივი მაღალტექნოლოგიური ინვესტორებისათვის მაღალკონკურენტული ბიზნეს-გარემოს და მიმზიდველი კლიმატის უზრუნველყოფა;

- მეწარმეთა სტრატის (ფენის) ფორმირება – ი. შუმპეტერისა და ბ.ა. ლუნდვალის გაგებით;

- ფინანსური რესურსები და ინსტრუმენტები;

- განვითარებული მეცნიერებისა და განათლების და კადრების მომზადების სისტემა;

- ინოვაციური ინფრასტრუქტურა.

2. მიზანშეწონილია ეტაპობრივად განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები ქართული მეცნიერებისა და განათლების სისტემის ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის, აგრეთვე რეგიონის მეგობარ ქვეყნებთან კვლევითი საქმიანობის სფეროში კოოპერაციის განვითარების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სიგუა გ. “ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ძირითადი ტენდენციები ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში”. წიგნში: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IX. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016, <http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/2016_Shromebis_krebuli.pdf>.

2. Бубенко П., Гусев В. Продолжаем заговаривать инновационное развитие // Экономика Украины. – 2016. - № 7. – С. 82-92.

3. <http://gtmarket.ru/ratings/global-competitiveness-index/info>

4. Papava V. Georgia’s Economy: From Optimizm to Primitivism. Expert Opinion, № 75. Tbilisi, GFSIS, 2017, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/75-expert-opinion-eng.pdf>.

5. Новая модель экономического роста Украины: Монография под редакцией Т.М. Боголиб (на украинском языке) – Киев: «ЧП Сердюк В.Л.», 2015. – 592 с.
6. Малицкий Б.А. Прикладное науковедение (на украинском языке). – Киев: Феникс, 2007. – 464 с.
7. Иванов В.В. Инновационная парадигма XXI. Российская академия наук. – М.: Наука, 2011. – 239 с.
8. Мазур А.А. Гагауз И.Б. Современные инновационные структуры: Монография. – Харьков: СПД Либуркина Л.М., 2005. – С. 181.
9. В. Бурдули, Р. Абесадзе. Некоторые аспекты трансформации национальных инновационных систем в развитых странах. – Сборник статей *Wartości i nowoczesność w strategii odpowiedzialnego rozwoju*. - Wydawnictwo KUL, Lublin, 2017. – С. 179 – 187.
10. <http://sivilink.ru/rejting-oon-po-indeksu/>
11. Северная Европа. Регион нового развития / Под ред. Ю.С. Дерябина, Н.М. Антюшиной. – М.: Издательство «Весь мир», 2008. – 512 с.
12. <http://gtmarket.ru/ratings/research-and-development-expenditure/info>

George Sigua

**THE FINANCIAL SOURCES AND INSTRUMENTS OF
INNOVATION DEVELOPMENT OF ECONOMY
IN EUROPEAN UNION COUNTRIES AND GEORGIA**

Summary

Fundamental factors of innovation economy formation and functioning are formulated in the article. The necessity of conducting a purposeful state policy for strict antimonopoly regulation is substantiated, as well as significant improvement of science financing, education system of Georgia and innovation infrastructure.

The sources, forms and characteristics of innovation activity financial support are determined depending on the economic levels – micro- (single enterprise) and macro. A brief analysis of European countries' experience in the use of financial instruments for the development of national innovation systems (NIS) is given. The advantages of the Northern European socio-economic model are shown.

პრობლემა 6.

*მამუკა ხუსკივაძე
ზურაბ ნოზაძე*

ევროკავშირისა და საქართველოს ეკოლოგიური სისტემების შეღარებითი ანალიზი

შესავალი

გეგმურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს წინაშე გაჩნდა ახალი ეკონომიკურ-ეკოლოგიური გამოწვევები და დღის წესრიგში დადგა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის ფორმირების აუცილებლობის საკითხი, რომლის რეალიზაციითაც შესაძლებელი იქნებოდა ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური უსაფრთხოების ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილება. ეს უკანასკნელი დღის წესრიგში დააყენა იმ გარემოებამ, რომ საქართველო პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყისს მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემებით შეხვდა, რომელთა გენეზისი მოხდა გეგმური ეკონომიკური სისტემის პირობებში და კიდევ უფრო გაღრმავდა დამოუკიდებლობის მოპოვების დასაწყისიდან. ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელების აუცილებლობის საკითხი წარმოიშვა და, მაშასადამე, საჭირო გახდა ეკოლოგიური განვითარების ახალი მოდელის ძიება, რომელიც დაეფუძნებოდა ეფექტიან ეკოლოგიურ პოლიტიკას და მისი რეალიზაციისათვის საჭირო ოპტიმალურ ეკოლოგიურ სისტემას.

ევროკავშირისა და საქართველოს ეკოლოგიური სისტემები სამეცნიერო-საგანმანათლებლო, პოლიტიკურ-სამართლებრივ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ ასპექტში

ევროკავშირისა და საქართველოს ეკოლოგიური სისტემები უნდა განიხილოს ისეთი ძირითადი კომპონენტების მიხედვით, როგორცაა: სამეცნიერო-საგანმანათლებლო, პოლიტიკურ-სამართლებრივი, ეკონომიკური და ინსტიტუციური.

მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში ტრადიციული ევროპული ეკოლოგიური განათლება ვერ აკმაყოფილებდა ევროპული საზოგადოების მოთხოვნილებებს მდგრადი გან-

ვითარების კონცეფციაზე გადასვლისას, რამაც, საბოლოო ჯამში, განაპირობა ეკოლოგიური განათლების სისტემის საერთაშორისო კრიზისი [30].

ევროპული კომისიის პროექტში - „განათლება მდგრადი განვითარებისათვის ევროპულ დაწვებით სკოლებში“ ნეგატიურადაა შეფასებული ევროპაში არსებული ეკოლოგიური განათლება. ზოგიერთი შეხედულებით, ადგილი აქვს „ფიასკოს“, რაც განპირობებულია ეკოლოგიური კომპონენტის სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებთან სუსტი ინტეგრაციით [22].

1988 წელს ევროპული უმაღლესი სასწავლებლების რექტორების კონფერენციაზე ბოლონიაში მიიღეს უნივერსიტეტების ერთიანი ქარტია, რომლის მიზანს ევროპული საგანმანათლებლო მოდელის შექმნა წარმოადგენდა. ბოლონიის დეკლარაციით შეიქმნა წინაპირობები ევროპული ეკოლოგიური საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებისათვის და განისაზღვრა მისი ძირითადი პრინციპები.

1999 წელს ბოლონიაში 29 ქვეყნის განათლების მინისტრმა მოაწერა ხელი დეკლარაციას „უმაღლესი განათლებისათვის ევროპული სივრცის შესახებ“ [31]. ამ დეკლარაციით დაიწყო ბოლონიის ფორმატის მონაწილე ქვეყნების ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების კონვერგენციისა და ჰარმონიზაციის პროცესი ევროპული უმაღლესი ეკოლოგიური განათლების სისტემის შესაქმნელად.

ევროკავშირი საერთოევროპული ინტეგრალური ეკოლოგიური განათლების სისტემის შექმნაში ეყრდნობა მდგრადი განვითარების კონცეფციას და სტრატეგიას - “ეკოლოგიურ განათლებაში ევროპული საზომი“, რომელიც ორიენტირებულია პიროვნების აღზრდაზე სამოქალაქო პოზიციით, პროფესიული ეკოლოგიური თვითშეგნებითა და გარემოს დაცვის სურვილით. ევროკავშირის ეკოლოგიური განათლების სფეროში სათანადო ადგილი უჭირავს ბოლონიის პროცესს (რომლის წევრი საქართველოცაა), რომელიც არა მხოლოდ უშუალოდ უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და პრინციპების ემიტენტია, არამედ მოწოდებულია თანამედროვე ევროპული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის და მათ შორის ეკოლოგიური პრობლემების დაძლევის ხელშეწყობაზე. ევროკავშირის პოლიტიკა

ეკოლოგიური განათლების სფეროში ხელს უწყობს სტუდენტებისა და ეკოლოგების ინტეგრაციას, რაც განაპირობებს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ეკოლოგიური თვითშეგნების გაუმჯობესებას და დაინტერესების ზრდას გარემოს დაცვის პრობლემებით.

ევროკავშირში ეკოლოგიური პროგრამების, ინიციატივების და ზოგადად ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზების პროცესში დიდ როლს ასრულებს სამეცნიერო კვლევები, რომლებიც სხვადასხვა წლების ჩარჩო - პროგრამებით ხორციელდებოდა და ხორციელდება. ევროკავშირი ეკოლოგიის სფეროში სამეცნიერო კვლევების სტიმულირების მიზნით ასეულობით მილიონ ევროს გამოყოფს, რაც სამეცნიერო პროექტების კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის ამაღლების, ეკოლოგიური განათლების სისტემის სრულყოფის და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა .

ეკოლოგიის სფეროში სამეცნიერო კვლევები ხორციელდება კლიმატის ცვლილების, ზღვების და ოკეანეების ეკოსისტემების შესწავლის, გარემოს ცვლილებაზე დაკვირვების, გაჭუჭყიანებისა და რისკების მინიმიზაციის, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეფექტიანი მართვის, ეკონომიკური ტექნოლოგიების შექმნის და ა.შ. მიმართულებებით. ამ კვლევების შედეგები ხელს უწყობს ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის სრულყოფას და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს ეკოლოგიის სფეროში სამეცნიერო მიღწევების როლი ეკობიზნესის განვითარებაში. ევროკავშირის ქვეყნები ლიდერები არიან სხვადასხვა ეკოტექნოლოგიების და ტექნიკის შექმნაში.

საქართველოში ეკოლოგიური პრობლემების დაძლევისა და მდგრადი განვითარების ტრანექტორიზე გადასვლის მიზნით მნიშვნელოვანია ეკოლოგიური კულტურისა და განათლების ეფექტიანი სისტემის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობების გარემოს დაცვისადმი ინტერესების სტიმულირება, საზოგადოებაში ეკოლოგიური პასუხისმგებლობის იდეოლოგიის ფორმირება, ეკოლოგიის სფეროში კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (განსაკუთრებით მდგრადი განვითარების მიმართულებით), სახელმწიფო მხარდაჭერა ეკოლოგიური განათლების განმახორციელებელი ორგანიზაციების მიმართ, ეკო-

ლოგიური კანონმდებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა და ა. შ.

საქართველოში ეკოლოგიური განათლების სისტემის საფუძვლების შექმნისა და მისი კონცეპტუალური პრინციპების ფორმირების პირველ მცდელობად უნდა ჩაითვალოს 1991-1992 წლებში გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით შემუშავებული ეკოლოგიური განათლების განვითარების სტრატეგია და პროგრამა. ამ პროგრამაში სწორად იყო აქცენტები დასმული ეკოლოგიური განათლებისათვის უწყვეტი ხასიათის მინიჭებისა და სხვადასხვა სასკოლო საგნებში მისი ინტეგრირების მიმართულებებით. პროგრამა მოიცავდა არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ არაფორმალურ განათლების ღონისძიებათა ფართო სპექტრს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ქაღალდზე არ დარჩენილა და მის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობები მწირად, მაგრამ მაინც განხორციელდა.

პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, სადაც ეკოლოგიური განათლების როლი, მნიშვნელობა და სტატუსია განსაზღვრული, არის საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. ამ კანონის III თავის მე-8 და მე-9 მუხლებში მითითებულია, რომ აუცილებელია ქვეყანაში, შეიქმნას ეკოლოგიური განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც „მოიცავს საგანმანათლებლო სასწავლებლების, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებათა ქსელს“, აგრეთვე სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ეტაპებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები მხოლოდ დეკლარირებული სახით დარჩა და ისინი პრაქტიკაში თითქმის არ განხორციელდებულა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ გარემოსდაცვითი პრობლემების დაძლევაში მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გააზრებისა და ქვეყანაში ეკოლოგიური განათლების განვითარების ხელშეწყობისათვის 2002 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა „მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამა“ და ძალადაკარგულად ჩაითვალა „მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებული კომისიის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის გან-

კარგულედა. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამის ძირითად მიზანს ჩვენს ქვეყანაში ეკოლოგიური განათლების განვითარებისათვის ჯერ კიდევ აუცილებელი პირობების შექმნა წარმოადგენდა, მაშინ როცა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყებიდან გასული იყო 11 წელი და კიდევ უფრო გაღრმავებული იყო ეკოლოგიური პრობლემები და მისგან გამოწვეული ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

2012 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ აღიარა, რომ ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ფორმირებისა და მდგრადი განვითარებისათვის განათლების კუთხით არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა და ძალისხმევაც ამ მიმართულებით არასაკმარისია. კერძოდ, აღინიშნა, რომ ინტერესი განათლებისადმი, როგორც მდგრადი განვითარების საშუალებისადმი, გაიზარდა უკანასკნელი წლების განმავლობაში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ მისი პოტენციალის გაცნობიერებას. სწორედ ამ მიზნით შემუშავდა დოკუმენტი - გარემოს დაცვის განათლება მდგრადი განვითარებისათვის (საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა - (2012-2014)). ამ დოკუმენტით დაისახა ისეთი მიზნების განხორციელება, როგორიცაა: ხელისუფლების მმართველობითი და მარეგულირებელი როლის გაძლიერება გარემოსდაცვითი განათლების ხელშესაწყობად, ფორმალური და არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლების პროფილის გაზრდა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და ინტეგრაციის გაღრმავება გარემოსდაცვითი განათლების სფეროში ჩართულ მხარეებთან.

საქართველოში გარემოსდაცვითი განათლების არსებული მდგომარეობის შეფასების თვალსაზრისით საინტერესოა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ეგიდით ჩატარებული კვლევა. ამ კვლევის თანახმად, გარემოსდაცვითი განათლების სფეროში გატარებული გარკვეული საქმიანობის მიუხედავად, მოსახლეობაში ჯერ კიდევ დაბალია გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე და მათი დამოკიდებულება გარემოს მიმართ მომხმარებლურია. თუმცა, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ გარემოსდაცვითი ცნობიერება ბოლო წლებში დადებითი ტენდენციით იცვლება.

საქართველოში გარემოსდაცვითი განათლების ფორმირებისა და სტიმულირებისაკენ მიმართულ სხვადასხვა დოკუმენტებსა და

გეგმებში ძირითადი აქცენტი კეთდება სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და მათ მიღმა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების დანერგვაზე, ტრენინგების ჩატარებაზე და სხვა ტიპის აქტივობების განხორციელებაზე. სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან ჯერჯერობით არასათანადო ყურადღება ეთმობა მეცნიერების როლს ამ პრობლემის გადაწყვეტაში და შესაბამისი მასტიმულირებელი ღონისძიებების რეალიზაციის საკითხებს. ეს მაშინ, როცა ფუნდამენტური კანონის - „გარემოს დაცვის შესახებ“ - მე-10 მუხლის მიხედვით, გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების, აგრეთვე საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით ეკოლოგიასა და გარემოს დაცვის სფეროში უნდა შემუშავებულიყო სამეცნიერო კვლევის პროგრამები და გეგმები [3].

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს ტენდენცია გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების კონცეფციის შერწყმის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში - გარემოს დაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის - გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება ამ თვალსაზრისით, მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავებამდე და მისი პრინციპების რეალიზაციის სისტემის ფორმირებამდე, გარემოსდაცვითი განათლების გაუმჯობესების ნებისმიერი პროგრამა თუ სხვა სახის დოკუმენტი ვერ იქნება შედეგზე ორიენტირებული.

უნდა აღინიშნოს რომ, რომის შეთანხმებაში (1957) ევროპული თანამეგობრობის დაფუძნების შესახებ არ არსებობდა არანაირი ნორმები და მიდგომები გარემოს დაცვისა და ზოგადად ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. ევროპული თანამეგობრობის მიერ გარემოს დაცვის მიმართულებით გააქტიურება სათავეს იდებს მხოლოდ 1970 წელს, როდესაც ევროპული კომისია გამოვიდა ერთობლივი ეკოლოგიური პროგრამების შექმნისა და რეალიზაციის ინიციატივით, ხოლო 1971 წელს მან მიიღო გადაწყვეტილება ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების შესახებ, რომელიც ოფიციალურად არსებობს 1972 წლიდან და ასახულია მრავალ პროგრამასა და დოკუმენტში.

ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის ეკოლოგიური სისტემის სამართლებრივ-პოლიტიკური მექანიზმი წარმოდგენილია ისეთი ნორმატიული აქტებითა და დოკუმენტებით, როგორცაა: პროგრამები, კონვენციები, დირექტივები და რეგლამენტები.

პირველი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტი გარემოსდაცვის სფეროში პროგრამის სახით ევროკავშირმა მიიღო 1973 წელს გაეროს ეგიდით ჩატარებულ სტოკჰოლმის კონფერენციაზე. ის კლასიკურ დოკუმენტად ითვლება ეკოლოგიის სფეროში, რითაც ევროკავშირმა დაიწყო ზენაციონალური ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელება. პირველი პროგრამა იმით გამოირჩევა, რომ მასში დეკლარირებულია ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის მჭიდრო კორელაცია და ურთიერთდამოკიდებულება. ის მიზნად ისახავდა ისეთი ფუნდამენტური ამოცანების გადაჭრას, როგორცაა: ეკოლოგიური ზარალის შემცირება და ნეიტრალიზება, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენების ოპტიმალური მოდელის ფორმირება და მაკროეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფა.

მეორე, მესამე და მეოთხე პროგრამები შესაბამისად მიღებულ იქნა 1977, 1983 და 1987 წლებში. ამ პროგრამებში აისახა თანამეგობრობის შესახებ შეთანხმებაში განხორციელებული ცვლილებები და შეტანილი დამატებები.

ევროკავშირის ეკოლოგიურ პოლიტიკას ახალი დატვირთვა შესძინა და მისი როლი გააფართოვა მაასტრიხტის (1992) და ამსტერდამის (1997) შეთანხმებებმა. მაასტრიხტის შეთანხმების შედეგად გარემოს დაცვა ოფიციალურად გახდა ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა და მის წინაშე გაჩნდა ახალი პარადიგმა მდგრადი განვითარების სახით. სწორედ ამ პერიოდში იქნა მიღებული მეხუთე პროგრამა სახელწოდებით „მდგრადი განვითარების შესახებდრად“.

მდგრადი განვითარების პრობლემატიკამ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა მეექვსე პროგრამაში - „გარემო 2010: ჩვენი მომავალი და ჩვენი არჩევანი“, რომელიც მიიღეს 2002 წელს. პროგრამით განისაზღვრა ევროკავშირის ოთხი პრიორიტეტული სფერო:

- კლიმატის ცვლილება;

- ბუნებრივი და ბიოლოგიური მრავალფეროვნება;
- გარემო, ჯანმრთელობა;
- ცხოვრების ხარისხი [14]

მე-6 პროგრამით კონცეპტუალურად უფრო ნათელი გახდა ევროკავშირის ორიენტაცია მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაციაზე. აგრეთვე, კიდევ უფრო ცხადი გახდა ევროკავშირის პოლიტიკა მაკროეკონომიკური რეგულირების ადმინისტრაციულ ბერკეტებთან მიმართებაში საბაზრო ბერკეტებისათვის უპირატესობის მინიჭების თვალსაზრისით.

გარემოსდაცვასთან დაკავშირებული საკითხები ევროკავშირის კონსტიტუციაში სხვადასხვა კონტექსტშია ასახული. კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიღწევა (სტატია I-3, პარაგრაფი 3) და მისი ხელშეწყობა გლობალურ დონეზე (სტატია I-3, პარაგრაფი 4). გარდა ამისა, ევროკავშირის პოლიტიკაში გარემოსდაცვითი პრიორიტეტების ინტეგრირების აუცილებლობას შეიცავს კონსტიტუციის სტატია II-37 და სტატია III-4.

ეკოლოგიურ პრობლემატიკას ეძღვნება ევროკავშირის შეთანხმების ერთ-ერთი განყოფილება. კერძოდ, სტატია 174-ში ფორმულირებულია ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის კონცეპტუალური ასპექტები. სტატია 175-ში გაშუქებულია გარემოსდაცვითი ღონისძიებების შემუშავების მექანიზმი და მისი სამართლებრივი საფუძვლები. სტატია 176 განსაზღვრავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის დამოუკიდებელი, უფრო აგრესიული და შედეგზე ორიენტირებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების რეალიზაციის შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს ევროპული კომისია და ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შეთანხმების დებულებებს.

დირექტივები წარმოადგენს ე.წ. მეორადი სამართლის დოკუმენტს და დიდ როლს ასრულებს ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებაში. გარემოს დაცვის სფეროში ევროკავშირის მიერ მრავალი დირექტივაა მიღებული, როგორც ზოგად ეკოლოგიურ, ისე კონკრეტულ გარემოსდაცვით საკითხებზე. ზოგადი დირექტივებიდან ძირითადად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: დირექტივები წყლის რესურსების მართვის სფეროში; დირექტივები ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში;

დირექტივები ნარჩენების უტილიზაციისა და მართვის სფეროში; დირექტივები გარემოსდაცვის სფეროში; დირექტივები სამრეწველო და ანთროპოგენური გაჭუჭყიანების სფეროში.

ევროკავშირის დირექტივების შესრულება აუცილებელია. მისი წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, მოახდინონ ნაციონალური ეკოლოგიური პოლიტიკის ჰარმონიზება კონკრეტული დირექტივების პრინციპებსა და მოთხოვნებთან. ამასთან, ევროკავშირი წევრ სახელმწიფოებს, დირექტივებით დასახული შედეგების მისაღწევად საკუთარი მოდელის შერჩევის თავისუფალ არჩევანს აძლევს.

ევროკავშირის ეკოლოგიური დირექტივებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია 1985 წელს მიღებული დირექტივა 85/337, რომელიც ეხება ზოგიერთი სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამ დირექტივამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკოლოგიის სფეროში საერთაშორისო-სამართლებრივი ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროცესების აქტივიზაციაში და ასევე ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების ეკოლოგიის სფეროში სამართლებრივი ბაზის ფორმირებაში. ამ დირექტივის პირველი სტატიის მიხედვით, იმ სახელმწიფო და კერძო ეკონომიკურმა პროექტებმა, რომლებმაც, შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე და წარმოქმნან ეკოლოგიური პრობლემები, აუცილებლად უნდა გაიარონ ეკოლოგიური ექსპერტიზა დირექტივაში მოცემული შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. დირექტივაში ასევე სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ეკოლოგიური ინფორმაციის გავრცელებისა და კომპეტენტური საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების აუცილებლობას.

ევროკავშირში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის მაღალი ხარისხის მიღწევასა და შენარჩუნების საკითხებს. ამ მიზნით ევროკავშირის მიერ მიღებულია სპეციალური საკანონმდებლო აქტები. მაგალითად, დირექტივა დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის შესახებ (Integrated Pollution Prevention and Control, IPPC). ამ დირექტივაში ინტეგრირებული მიდგომა ერთი მხრივ გულისხმობს იმას, რომ ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების შემცირება არ უნდა მოხდეს გარემოს სხვა კომპონენტების გაჭუჭყიანების მომატების ხარჯზე, ხოლო მეორე მხრივ ითვალისწინებს მოწინავე ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების (BAT) გამოყენებას, რათა მაქსიმალურ

ლურად შემცირდეს მავნე ნივთიერებების გარემოში გამოშვება. შეიძლება გამოიყოს აგრეთვე რეგულაცია ევროკავშირში დამაბინძურებლების გარემოში ემისიების და გადაადგილების რეესტრის შესახებ (European Pollutant Release and Transfer Register, EPRTR), რომელიც საზოგადოებას აძლევს საშუალებას, მიიღოს დაწვრილებითი ინფორმაცია რამდენიმე ათეული ათასი სამრეწველო საწარმოდან დამაბინძურებელი ნივთიერებების გარემოში ემისიებისა და გადაადგილების შესახებ.

ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის ხარისხის რეგულირებასთან ერთად, არანაკლები ყურადღება ევროკავშირში ეთმობა საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების მართვის ოპტიმალური მოდელის შემუშავებას ნარჩენების გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებისა და ნეიტრალიზების მიზნით. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნარჩენების გამოყენებას, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნებას. ამ თვალსაზრისით უნდა გამოიყოს დირექტივა ნარჩენების შესახებ (2008/98/EC), ევროკომისიის გადაწყვეტილება ნარჩენების სიის (ნარჩენების ევროპული კატალოგის) შესახებ (2000/532/EC), დირექტივა ნარჩენების ნაგავსაყრელის შესახებ (1999/31/EEC) და რეგლამენტი ნარჩენების ტრანსპორტირების შესახებ (1013/2006 EC).

საქართველოში ეკოლოგიური სისტემის სამართლებრივი მექანიზმის ფორმირების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ხელისუფლების მიერ 1995 წელს ქვეყნის კონსტიტუციაში ადამიანის ერთ-ერთ უფლებად ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების განსაზღვრა. თუმცა, მანამდე 1994 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“, რაც ადასტურებდა ხელისუფლების მიერ ქვეყანაში არსებული ეკოლოგიური პრობლემების გააზრებას და მცდელობის დაწყებას მათი დაძლევის მიმართულებით. ამ კონვენციასთან მიერთება მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ საქართველომ ნაბიჯი გადადგა დანარჩენ მსოფლიოსთან ეკოლოგიური ინტეგრაციის მიმართულებით და გახდა გარემოს დაცვის საერთაშორისო პროცესების მონაწილე მხარე.

1996 წელს მიღებულ იქნა ჩარჩო - კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. ამ კანონით განისაზღვრა ბუნებრივი რესურსების მართვისა და გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები და რეგუ-

ლაციები ჩვენს ქვეყანაში, ასევე გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმების ყოველ 5 წელიწადში მომზადება და მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავება.

ამავე წელს იქნა მიღებული ისეთი მნიშვნელოვანი კანონი, როგორცაა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, რომელიც ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს ქვეყანაში დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბების, მართვისა და მათზე დასაშვები საქმიანობების განხორციელებისათვის.

ბიომრავალფეროვნების რაციონალური გამოყენებისა და კონსერვაციის ასპექტში მნიშვნელოვანი კანონია „ცხოველთა სამყაროს შესახებ“. ის არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და სარგებლობის კონტექსტში.

თანამედროვე მსოფლიოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში სულ უფრო პრიორიტეტული ხდებოდა ჰაერის სისუფთავის ხარისხის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა. ამ თვალსაზრისით საქართველოს პარლამენტმა 1999 წელს მიიღო საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“. ეს კანონი ჩვენს ქვეყანაში არის ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტი ჰაერის ხარისხის რეგულირების სფეროში და განსაზღვრავს იმ მართვის მექანიზმებს, რომლებიც უნდა გამოიყენებოდეს ჰაერის დაცვისა და მისი სისუფთავის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ქვეყანაში.

კანონის მიხედვით (2012 წლის რედაქციით), ეს მექანიზმები მოიცავს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ნორმებს, სტაციონარული, მოძრავი და დისპერსიული წყაროებიდან მანე ნივთიერებების გაფრქვევის სახელმწიფო რეგულირებას, საწვავის ხარისხის ნორმებს, ჰაერის ხარისხის მონიტორინგს, და ა.შ. [2]

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონი წარმოადგენს ე.წ. ჩარჩო - კანონს, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები უნდა იქნეს მიღებული ქვეყანაში ჰაერის ხარისხის მართვის ცალკეული საკითხების დასარეგულირებლად. კერძოდ, კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, მისი თავდაპირველი რედაქციით (1999), ითვალისწინებდა თანმდევნი ხუთი საკანონმდებლო და 30-მდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შემუშავებას და ამოქმედებას 2000-2003 წლებში. ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონიდან გამ-

ომდინარე, გარემოს დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და დამტკიცდა 15 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. თუმცა, რიგი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი დღემდე მიღებული არ არის, მათ შორის: კანონი „გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემის შესახებ“; კანონი „გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემის შესახებ“; კანონი „ხმაურისა და ვიბრაციის მავნე ზემოქმედებისგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“; კანონი „ელექტრომაგნიტური ველებისა და სხვა სახის ფიზიკური ზემოქმედებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ [2].

1997 წელს საქართველოში მიღებულ იქნა კანონი „წყლის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სფეროში ძირითად პრინციპებსა და რეგულაციებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონი მიღებისთანავე იყო არაკომპლექსური და წინააღმდეგობრივი, ვინაიდან არ გულისხმობს ყველანაირი წყლის რესურსის მართვის შესახებ მიდგომებსა და დებულებებს. ამ კანონის პრაქტიკაში რეალიზაციამ ეს დაადასტურა, თუმცა მასში ცვლილებების შეტანა არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით არ მომხდარა, რამაც ის არსებითად გამოუსადეგარი გახადა. ამჟამად საქართველოს სამართლებრივი ბაზა წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის მიმართულებით წარმოდგენილია 20-მდე კანონით და რამდენიმე ათეულზე მეტი კანონქვემდებარე აქტით. მათგან ყველაზე არსებითია კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“.

2005 წლის კანონით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ მთლიანად შეიცვალა ნებართვებისა და ლიცენზიების სისტემა. გაუქმდა მრავალრიცხოვანი ლიცენზიები და ნებართვები, მათ შორის წყალსარგებლობის სფეროში. ამჟამად წყლის გამოყენების მარეგულირებელ ერთადერთ ნებართვად რჩება გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. გარდა ამისა, წყლის სფეროში ამჟამად არსებობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, რომლითაც რეგულირდება მიწისქვეშა წყლების გამოყენება და თევზჭერის ლიცენზია [2].

1999 წელს მიღებულ იქნა „საქართველოს ტყის კოდექსი“, რომელიც არეგულირებს ტყის რესურსების გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამ

კოდექსის მიხედვით, დაშვებული იყო მოკლევადიანი (ერთ წლამდე) და ხანგრძლივადიანი (20 წლამდე) ტყითსარგებლობა. საქართველოს ტყის კოდექსის გარდა, ტყითსარგებლობის, კერძოდ, ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა მოიცავდა რამდენიმე კანონს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მთავრობის დადგენილებებს, მინისტრის ბრძანებებს და სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემულ ბრძანებებს. პრაქტიკამ აჩვენა მთელი რიგი ხარვეზები და ნაკლოვანებები ტყითსარგებლობის სფეროში. მაგალითად, ხე-ტყის დასამზადებლად სალიცენზიო ობიექტების შერჩევისას საერთოდ არ ხდებოდა ან არასწორად ხდებოდა შეფასება, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, კონკრეტული ტყის ფართობის გამოყოფის და სხვა. ეს განაპირობებდა იმას, რომ ტყის ჭრისთვის გაიცემოდა მაღალი გარემოსდაცვითი ღირებულების ტყეები, რაც ხელს უწყობდა მაკროეკოლოგიური წონასწორობის რღვევას.

90-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო მცდელობა ნარჩენების მართვის შესახებ საკანონმდებლო ბაზის შექმნის შესახებ. თუმცა, ჯერჯერობით არ არსებობს ერთიანი ჩარჩო - კანონი ნარჩენების მართვის შესახებ, რომელიც დაედებოდა საფუძვლად ნარჩენების მართვის ეფექტიანი მოდელის შექმნას. ნარჩენებთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემური საკითხების შესახებ რეგულაციები თავმოყრილია სხვადასხვა კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში. კერძოდ, კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ განსაზღვრავს ნებართვას შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტისათვის. კანონით „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ რეგულირდება ნარჩენების ტრანზიტი და იმპორტი საქართველოს ტერიტორიაზე. კანონით „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ დარეგულირებულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა მაიონებელი გამოსხივების ნეგატიური ზემოქმედებისაგან. კანონი „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ განსაზღვრავს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტიანი გამოყენების და უსაფრთხო მოხმარების და ა.შ. სამართლებრივ საფუძვლებს.

შემდგომში სამართლებრივი ბაზა ეკოლოგიის სფეროში შეივსო კანონებით: წიაღის შესახებ (1997), გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ (1998), კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და დაცვის შესახებ (1998), ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ (2003), თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ (2003), წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ (2003), ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007), გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2007), თბილისის ეროვნული პარკის შესახებ (2007), ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ (2007), ტყის ფონდის მართვის შესახებ (2010), ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ (2011), ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ (2012), მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ (2012).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში კვლავ არსებობდა ე. წ. „ეკოლოგიური იმპერიალიზმის საფრთხე“, როდესაც ქვეყნებს, სადაც მოქმედებს მკაცრი გარემოსდაცვითი სტანდარტები, „ჭუჭყიანი“ საწარმოები გადააქვთ იმ ქვეყნებში, სადაც ეკოლოგიური შეზღუდვები სუსტია. ამ კონტექსტში, ძალზე მნიშვნელოვანი და დროული იყო „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის მიღება. ამ კანონის მიხედვით, ნებართვა ნებისმიერ სამეურნეო საქმიანობაზე გაიცემა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონების მიღება იყო დროული და ძირითადად პასუხობდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ახალ ეკოლოგიურ პარადიგმას და დარგის წინაშე არსებულ გამოწვევებს. ზოგიერთი კანონი გარკვეულწილად პასუხობდა კიდევ ევროკავშირის მოთხოვნებსა და რეგულაციებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი კანონით ჩამოყალიბდა მხოლოდ ზოგადი ნორმები და პრინციპები, მათი გაშლა კანონქვემდებარე აქტებით აღარ მომხდარა და არც რეალიზაციის მექანიზმები შემუშავებულა.

ბოლო პერიოდში მიღებული კანონებიდან აღსანიშნავია კანონები: რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ, ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერი-

ტორიების შექმნისა და მართვის შესახებ, ცოცხალი გენმოდულიზირებული ორგანიზმების შესახებ და ნარჩენების მართვის კოდექსი.

გარდა კანონებისა, ეფექტიანი ეკოლოგიური სისტემის ფორმირების პროცესში დიდ როლს ასრულებს სამთავრობო პროგრამები, საერთაშორისო ხელშეკრულებები და სტრატეგიული დოკუმენტები.

პროგრამებიდან პირველ რიგში უნდა გამოიყოს 2013 წელს პარლამენტის მიერ დამტკიცებული სამთავრობო პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, ევროკავშირისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით რეკომენდებული გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვა, ეკოლოგიური საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა, სატყეო რეფორმის გატარება და სხვა.

სტრატეგიული დოკუმენტებიდან აღსანიშნავია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მომზადებული გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა, რომელიც მოიცავდა 2000-2004 წლებს. ეს დოკუმენტი ასახავდა 5 წლიან გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმას და თავისი დანიშნულებით იყო საკმაოდ პროგრესული. ამ გეგმის მიხედვით ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში ძირითად პრიორიტეტებად გამოიყო წყლის რესურსების, ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა, ნარჩენების მართვა და სხვა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველ ეროვნულ პროგრამაში შემავალი დონისძიებების უმრავლესობის განხორციელების პერსპექტივა, ქვეყანაში არსებული საფინანსო-საბიუჯეტო პრობლემებიდან გამომდინარე, იყო არარეალისტური და ასეც მოხდა, განხორციელდა მხოლოდ ის გარემოსდაცვითი საქმიანობები, რომლებიც სხვადასხვა დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით დაფინანსდა.

საქართველოს კანონის „გარემოს დაცვის შესახებ“ შესაბამისად, პოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, 2012 წელს მიღებულ იქნა გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული

ნული პროგრამა, რომელიც მოიცავს 2012-2016 წლებს. ამ პროგრამაში 11 თემატური სფეროსათვის (წყლის რესურსები, ატმოსფერული ჰაერი, ნარჩენები, შავი ზღვა, ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები, ტყე და სატყეო მეურნეობა, მინერალური რესურსები, კატასტროფები, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება და კლიმატის ცვლილება) გაანალიზებულია ძირითადი პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები, გაშუქებულია განხორციელებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები, მიმოხილულია ეროვნული და საერთაშორისო გარემოსდაცვითი პროცესები და მოცემულია სამართლებრივი ბაზის შეფასება. პროგრამით განისაზღვრა მთელი რიგი გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც უკავშირდება ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვას, ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის მაღალი ხარისხის მიღწევას, ტყეების საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას, საქართველოს უნიკალური ეკოსისტემების, სახეობათა მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების დაცვას, საქართველოს მთელი მოსახლეობის უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფასა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას ამ პროდუქტით საერთაშორისო ბაზარზე შესვლის გზით და ა.შ. მასში აგრეთვე დეკლარირებულია მდგრადი განვითარების უალტერნატივობა ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამადლების საქმეში და საერთაშორისო ეკოლოგიური ინტეგრაციის აუცილებლობა.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014-2020), რომელიც წარმოადგენს მთავარ პოლიტიკურ დოკუმენტს ქვეყანაში ბიომრავალფეროვნების რაციონალური გამოყენების, დაცვის და კვლავწარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის თვალსაზრისით; ქვეყნის გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა - მოიცავს 2014-2022 წლების პერიოდს და მისი მიზანია ქვეყანაში გაუდაბნობებისა და ნიადაგის დეგრადაციის პროცესების წინააღმდეგ ღონისძიებების სისტემის შემუშავება და მისი პრაქტიკული რეალიზაცია მომდევნო წლების განმავლობაში. საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია, რომლის მიზანია ქვეყანაში მდგრადი სატყეო სექტორის შექმნისათვის სამართლებრივ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნა.

ეკონომიკის ეკოლოგიზაციის აუცილებლობა, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების მოდელის სტიმულირება, მყარი ნარჩენებისა და ბუნებრივი კატასტროფების ეფექტიანი მართვა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების ნეიტრალიზება და ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის პრაქტიკის დანერგვა არის დეკლარირებული ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტში, როგორცაა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტში ეკოლოგიური პრობლემები, მათი გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგები არ არის სათანადო მასშტაბით წარმოდგენილი.

საქართველო გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტეგრაციის პროცესებში ჩაერთო 90-იანი წლებიდან. ეკოლოგიის სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და ეკოლოგიური პრობლემების კოორდინირებულად დაძლევის მიზნით საქართველოს მთავრობას ორმხრივი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთსა და საბერძნეთთან. საქართველო არის რამდენიმე ათეული საერთაშორისო ხელშეკრულების მხარე. აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო გარემოსდაცვის პროგრამებთან. მათგან შეიძლება გამოიყოს: გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, გაეროს პროგრამა, მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა, ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტო, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და ა.შ.

ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლებამ გააგრძელა საერთაშორისო თანამშრომლობის აქტივიზაციის პროცესი გარემოს დაცვის სფეროში და ხელი მოაწერა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირისა და საქართველოს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს DCFTA კომპონენტს. ეს ხელშეკრულება, სხვა საკითხებთან ერთად, დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს ქვეყანაში ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული ეკოლოგიური პოლიტიკის

ფორმირებას. ამ დოკუმენტით უნდა მოხდეს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი ჰარმონიზაციის პროცესის უზრუნველყოფა. ის მოიცავს ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წყლის რესურსების, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის, სატყეო მეურნეობის დაცვისა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.

1990-იანი წლებიდან ევროკავშირში უკვე გაჩნდა ეკოლოგიის სფეროს ადმინისტრაციული რეგულირების მეთოდებიდან საბაზრო მეთოდებზე გადასვლის ნიშნები, ხოლო ევროკავშირის მეექვსე პროგრამით უკვე დეკლარირებულია ეტაპობრივი გადასვლა რეგულირების მკაცრი ადმინისტრაციული მექანიზმებიდან უფრო მოქნილ საბაზრო მექანიზმებზე, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკურ ინსტრუმენტებს, რომელთა შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ეკოლოგიური გადასახადები მავნე ნივთიერებების ემისიაზე, ნებართვები მავნე ნივთიერებებით ვაჭრობაზე, ეკოლოგიური შენატანები, ეკოლოგიური სუბსიდიები და შეღავათები და კომპენსაციისა და პასუხისმგებლობის ზომები. ამ ეკონომიკურ ინსტრუმენტებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ეკოლოგიური გადასახადები, რომლებიც, როგორც წესი, ზეგავლენას ახდენენ როგორც მომხმარებლებზე, ისე მწარმოებლებზე და აჩენენ სტიმულებს გარემოს გაჭუჭყიანების შემცირების თვალსაზრისით.

ევროკავშირში განსაკუთრებით გავრცელებულია სამრეწველო ობიექტებიდან მავნე ნივთიერებების ემისიების შემცირების მასტიმულირებელი ეკონომიკური ინსტრუმენტები - გადასახადები ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოშვებაზე, ისეთ ნივთიერებებზე, როგორიცაა CO₂, NO_x, აქროლადი ორგანული ნაერთები. ეს გადასახადები აიძულებს მეწარმეებს, გამოიყენონ თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში გამოშვების მოცულობისა და, შესაბამისად, ეკოლოგიური გადასახადის ოდენობის შემცირებას. გამოიყენება აგრეთვე საწვავის ხარისხთან დაკავშირებული გადასახადები, რომლებიც დიფერენცირებულია სხვადასხვა სახის საწვავში მავნე ნივთიერებების შემცველობის მიხედვით და სხვა.

ეკოლოგიური გადასახადების გამოყენების ყველაზე მდიდარი პრაქტიკა გააჩნიათ ნიდერლანდებს და სკანდინავიის ქვეყნებს, რომლებიც დღესაც ლიდერებად რჩებიან ამ მიმართულებით. ასევე, ამ კუთხით მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს გერმანიას.

ევროკავშირში გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზარი და ვაჭრობა კვოტებით სხვადასხვა მანე ნივთიერებების ემისიაზე ფუნქციონირებს მაღალ პოლიტიკურ დონეზე. ამგვარი ვაჭრობის მოდელი სრულყოფილი სახით ჩამოყალიბდა 2005 წელს და წარმატებით გამოიყენება მის წევრ სახელმწიფოებში. მაგალითად, გერმანიაში ხორციელდება კვოტებით ვაჭრობა CO₂-ის ემისიაზე, ნიდერლანდებში NO-ზე და ა.შ.

საბაზრო გარდაქმნების საწყის პერიოდში, საქართველოს ხელისუფლებამ, ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ცენტრალიზებული რეგულირების მეთოდთან ერთად გადაწყვიტა საბაზრო რეგულატორების დამკვიდრება და შეეცადა მათი ოპტიმალური შეთანაწყოების მოდელის მოძებნას. ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონი, 1999 წლის რედაქციით, ითვალისწინებდა ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებას, როგორც ჰაერის ხარისხის დაცვის სტიმულირების ერთ-ერთ მექანიზმს. საბაზრო ინსტრუმენტებიდან საქართველოში 1993-2005 წლებში არსებობდა სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მანე ნივთიერებების ემისიაზე ეკოლოგიური გადასახადები, რომელიც ვრცელდებოდა თითქმის 200-მანე ნივთიერებაზე.

1999 წელს შემუშავდა ინსტრუქცია მანე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახდის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ. ამავე წელს შემუშავდა აგრეთვე ინსტრუქცია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახდის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი. 1996-2000 წლებში, მაშინდელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ბიუჯეტში ჩაირიცხა 20, 5 მლნ ლარი, ხოლო მანე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადებიდან ბიუჯეტში თავმოყრილი თანხების მოცულობამ შეადგინა 39,5 მლნ ლარი.

მაშასადამე, ამ პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანი-

ზაციის მიერ 1972 წელს შემოტანილი პრინციპის „გამჭუჭყიანებული იხდის“ – დამკვიდრების მცდელობას.

2005 წელს გაუქმდა გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის. ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლების მიზანი ის იყო, რომ მკაცრი გარემოსდაცვითი ნორმები შემზღვეველი ფაქტორი არ გამხდარიყო ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის. 2005 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსით გაუქმდა ასევე ეკოლოგიური გადასახადები საავტომობილო საწვავზე, რომლებიც მოქმედებდა 1993 წლიდან. 2007 წელს შევიდა ცვლილება ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონში და ამოღებული იქნა მუხლი, რომლითაც სავალდებულო ხასიათი ჰქონდა ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებას ჰაერის სისუფთავის ხარისხის დაცვის სფეროში. ეკონომიკური ინსტრუმენტებიდან დღეისათვის საქართველოში მოქმედებს იმპორტირებულ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი, რომელიც დიფერენცირებულია სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკოლოგიური გადასახადების არსებობა იწვევს ბიზნესსექტორის, უკმაყოფილებას რომელიც განვითარებულ ქვეყნებში ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა. ეს განპირობებულია იმით, რომ გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია ე.წ. „ჭუჭყიანი“ საწარმოების დახურვით ან მათი თანამედროვე ეკოტექნოლოგიური მოდერნიზებით, რაც, თავის მხრივ, დიდ დანახარჯებს უკავშირდება. მეწარმეები დაინტერესებულები არიან ეკონომიკურ პოლიტიკაში ეკოლოგიური კომპონენტის შესუტებით, რადგან მათი მომავალი უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას, დაბანდებებს წარმოებაში და არა ეკოლოგიურ დანახარჯებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესს, სოციალურ და სხვა ტიპის პასუხისმგებლობასთან ერთად, უნდა გააჩნდეს ეკოლოგიური პასუხისმგებლობაც. უფრო მეტიც, თანამედროვე მსოფლიოში მასშტაბურად ვრცელდება კონცეფცია, რომლის მიხედვითაც კომპანიებს შორის კონკურენცია სულ უფრო მეტად ეფუძნება ენერგოეფექტიანობისა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მაჩვენებლებს.

თანამედროვე პირობებში, ევროკავშირის დონეზე, ეკოლოგიური სისტემა ინსტრუქციურ ასპექტში წარმოდგენილია შემდეგი ორგანიზაციებით: ევროპული კომისია, ევროპარლამენტი, ევროსაბჭო და გარემოს დაცვის ევროპული სააგენტო. ამ ორგანიზაციების მთავარი ფუნქცია როგორც ევროკავშირის წევრი, ისე არაწევრი ქვეყნებისათვის, არის გარემოს დაცვის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის საჭირო რეალური ინფორმაციის მიწოდება. ასევე საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფა ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გარემოს დაცვის ევროპული სააგენტო, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული ფუნქცია, რაც გამოიხატება კონტინენტზე გარემოს სისუფთავის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაციასა და ანალიზში.

როგორც ცნობილია, ევროკავშირის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ევროკავშირის საბჭო. მას გააჩნია ეკოლოგიის სფეროში კომპეტენციები და ფლობს სხვადასხვა სახის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებას. ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სპექტრი ფართოა და მოიცავს: ღონისძიებებს მიწისა და წყლის რესურსების რეგულირებისა და მართვის შესახებ; ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს წევრი ქვეყნების მიერ ოპტიმალური ენერგომომარაგებისა და ენერგორესურსების ეფექტიანი სახეების შერჩევას; წმინდა ფისკალურ და ეკონომიკურ ღონისძიებებს და ა.შ. ამასთან აღსანიშნავია, რომ საბჭო ეკოლოგიურ გადაწყვეტილებებს იღებს ევროპარლამენტთან, ეკონომიკურ, სოციალურ და რეგიონების კომიტეტებთან კონსულტაციების, საყოველთაო განხილვებისა და შეთანხმებების საფუძველზე.

ევროკავშირში, გარემოს დაცვის კონტექსტში, არსებობს სპეციალური ორგანოები, რომელთა ფუნქციონირებისა და საქმიანობის დანიშნულებას წარმოადგენს ეკოლოგიური საკითხების ანალიზი, შეფასება და კომპეტენციების ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება. ევროპარლამენტში არსებობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის საკითხების რეგულირების უფლებამოსილი კომიტეტი, რომლის საქმიანობის მთავარი მიზანი გარემოს დაცვის სფეროში შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებაა და გააჩნია გადაწყვეტილებების მიღების

უფლებამოსილება ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა: სათბური აირების ემისია და კლიმატის ცვლილება, ნარჩენების მართვა, ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და მიწის რესურსების დაცვა, ბიომრავალფეროვნების დაცვა, სხვადასხვა სახის და ღონის გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაციის ხელშეწყობა და სხვა.

აღნიშნული კომიტეტი ყოველწლიურად ამზადებს და წარადგენს სამ ანგარიშს ევროკავშირის ეკოლოგიური კანონმდებლობის მდგომარეობისა და მისი დებულებების პრაქტიკაში რეალიზაციის შესახებ. ასევე, ორ თვეში ერთხელ კომიტეტი კომისიასთან ერთად ატარებს სესიებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ეკოლოგიური კანონმდებლობის შეფასებისა და მისი ნორმების იმპლემენტაციის შესახებ.

გარდა ამისა, ევროკავშირის შემადგენლობაში ფუნქციონირებს გენერალური დირექცია XI, რომელიც ემსახურება ისეთი საკითხების გადაჭრას, როგორცაა:

- გარემოს ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა სხვადასხვა რეგიონში არსებული სიტუაციების გათვალისწინებით;
- ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავება;
- გლობალურ დონეზე გარემოსდაცვითი საერთაშორისო ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა
- ეკოლოგიური მოთხოვნილებების ინტეგრაცია, მესამე ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში;
- ახალი კანონმდებლობის შემუშავება და გარემოსდაცვითი ღონისძიებების ევროკავშირის ქვეყნებში რეალიზაციის უზრუნველყოფა და ა.შ.[17].

ევროკავშირის ინსტიტუციური სისტემა გარემოს დაცვის სფეროში ატარებს სტაბილურ ხასიათს. ევროკავშირის ეკონსტიტუციური სისტემა ეკოლოგიური პოლიტიკის მიზნების და ამოცანების ადეკვატურია. წლების განმავლობაში ახალი ინსტიტუციური ორგანოების შექმნა და არსებული ორგანოების ფუნქციური ცვლილებები ეფუძნებოდა კანონზომიერების, ოპტიმალურობის და შედეგზე ორიენტირებულობის პრინციპებს და გამორიცხავდა ინტერესთა კონფლიქტებს.

საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საბაზრო გარდაქმნების დასაწყისში, გარემოსდაცვითი ორგანო - ბუნების დაცვის კომიტეტი - გაუქმდა და ჩამოყალიბდა გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, რომელსაც მიენიჭა გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოსდაცვითი პროცესების რეგულირების, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის კონტროლის უფლებამოსილება. სამინისტრო გახდა ყველაზე მაღალი კომპეტენციის მქონე ინსტიტუციური ორგანო ეკოლოგიის სფეროში, თუმცა ის ასევე ინაწილებდა პასუხისმგებლობას სხვადასხვა უწყებებთან (სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, დაცული ტერიტორიების სახელმწიფო დეპარტამენტი, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი). სამინისტროში არსებობდა რეგიონული სამართველოები, რომლებიც გასცემდნენ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს, ეკოლოგიურ ნებართვებს, მათ შორის მაგნე ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევებსა და წყალში ჩაშვებაზე. ამ ფუნქციების გარდა, სამმართველოებს მინიჭებული ჰქონდათ მონიტორინგისა და კონტროლის უფლებამოსილება. მაშასადამე, მათ გააჩნდათ როგორც მარეგულირებელი, ისე აღმასრულებელი ფუნქციები.

უნდა ითქვას, რომ რეგიონული სამმართველოების საქმიანობა ძალზე არაეფექტიანი იყო, რასაც არსებითად განაპირობებდა არა მხოლოდ კვალიფიციური კადრების დეფიციტი და ტექნიკური რესურსის სიმცირე, არამედ მწირი დაფინანსებაც. როგორც ცნობილია მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებისას პირველი მსხვერპლი ხდება დანახარჯები გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 1993-94 წლებში საერთოდ არ ჰქონდა წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტიც კი. ამდენად, გარემოს დაცვამ ამ პერიოდში სტიქიური ხასითი მიიღო.

გარემოს დაცვის სფეროში კანონდარსებების კონტროლისა და მონიტორინგის სისტემაში არსებული ინსტიტუციური პრობლემები 2002 წ. შესწავლილ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამის რეალიზაციის სპეციალური სამუშაო ჯგუფის

ექსპერტთა მიერ. “საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ინსპექტირების სისტემის ზოგად შეფასებაში”, ძირითად ინსტიტუციურ პრობლემებს შორის, გამოვლინდა შემდეგი: ინსპექტირების განხორციელების მოქვეყნებული და უკიდურესად მწირი ინსტრუმენტები (ინსპექტირების პროცესი შემოიფარგლებოდა მხოლოდ გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენით და სასამართლოებზე გადაცემით, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში მოკვლევისათვის საქმეების სამართალდამცავ ორგანოებში გადაცემით); არასრულყოფილი მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა; გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის სტრატეგიის არარსებობა და დარღვევათა პრევენციული მეთოდების ნაცვლად, საქმიანობაში ე.წ. “ხანძართან ბრძოლის” მიდგომების გამოყენება; გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა ნებაყოფლობით შესრულების მოტივაციისა და ხელშეწყობის პოლიტიკის არარსებობა; ინსპექტირების პრიორიტეტულ მიმართულებათა დადგენისა და დაგეგმვისათვის აუცილებელი, გარემოს მდგომარეობისა და კონკრეტული საწარმოების შესახებ ინფორმაციის სიმწირე; ინსპექტორთა დაბალი კვალიფიკაცია და მათთვის სასწავლო პროგრამების არარსებობა; ინსპექტირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის არარსებობა, მათ შორის, ლაბორატორიული სინჯების აღებისა და ანალიზების ჩატარების შეზღუდული შესაძლებლობები; “რეგულირების ობიექტებსა” და მაკონტროლებელ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის არარსებობა; საკონტროლო საქმიანობის შეფასების საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელი, გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებელ რგოლებთან უკუკავშირების არარსებობა; სამინისტროს შემადგენლობაში შემავალ სხვა სამსახურებთან, მათ შორის, ნებართვის გამცემ სამსახურებთან არაეფექტური თანამშრომლობა; საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად კრიტერიუმების არარსებობა; გარემოს დაცვის სფეროში არსებულ მრავალრიცხოვან მაკონტროლებელ უწყებათა არაკოორდინირებული საქმიანობა და უფლება-მოვალეობების დუბლირება; გარემოსდაცვითი დარღვევებისათვის დადგენილი დაბალი საჯარიმო სანქციები; საზოგა-

დღების არასაკმარისი მხარდაჭერა; მოსახლეობის გარემოსდაცვითი განათლების დაბალი დონე [3].

2003 წელს ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ეკოლოგიური პოლიტიკისა და ეკოლოგიური სისტემის ფორმირების თვალსაზრისით, ახლებური ხედვები და მიდგომები ჩამოყალიბდა. აღნიშნულმა განაპირობა ცვლილებები ეკოლოგიის სფეროში სხვადასხვა ასპექტში, მათ შორის ინსტიტუციური მიმართულებით. კერძოდ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შეუერთდა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, დაცული ტერიტორიების სახელმწიფო დეპარტამენტი, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ნაწილი და სხვა. ანუ ის ინსტიტუციური ერთეულები, რომლებსაც ცვლილებებამდე სამინისტროსთან ერთად, ეკოლოგიის სფეროს მართვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უფლებები და კომპეტენციები გააჩნდათ. ცვლილებები განხორციელდა ასევე თვით სამინისტროში და მასთან მიერთებულ უწყებებში სხვადასხვა ერთეულების ლიკვიდირების, რეორგანიზების ან ახალი ერთეულების შექმნის გზით. მაგალითის სახით შეიძლება განვიხილოთ 2005 წელს სამინისტროში შექმნილი გარემოს დაცვის ინსპექცია - საკონტროლო-საინსპექციო უფლებებით აღჭურვილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. ამ დაწესებულების შექმნამდე გარემოსდაცვითი კონტროლის ფუნქციებს ახორციელებდნენ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები. ასევე გამსხვილდა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები და მათ შეეკვეცათ გარემოს დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების გამოყენების კონტექსტში გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება.

აღნიშნული ხელისუფლების პირობებში მოხდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ბუნებრივი რესურსების განკარგვის სფეროში ფუნქციათა გადანაწილების თვალსაზრისით. სახელდობრ, 2008 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ჩამოერთვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების უფლებამოსილება და ეს ფუნქცია, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კვოტების დადგენის ფუნქციასთან ერთად, გადაეცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

ხოლო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ამ სფეროში დარჩა მხოლოდ კვოტების შეთანხმების ფუნქცია.

2011 წლის დასაწყისში დაიწყო ინსტიტუციური მოწყობის ახალი მოდელის ძიება და განხორციელდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ფუნქციების ნაწილის სხვა უწყებებისთვის გადაცემა.

კერძოდ, ამ ბუნებრივი რესურსების მართვასა და სარგებლობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაეცა. იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა: მიწების მიზნობრიობის შეცვლასთან, სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენასთან, სახელმწიფო ტყის ფონდის გაზრდასა და შემცირებასთან დაკავშირებული ფუნქციები. ნაპირდაცვის საკითხებთან დაკავშირებული ფუნქციის შესრულებას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფდა. რეფორმირების ამ ტალღას მოჰყვა ასევე 2005 წელს ჩამოყალიბებული ერთიანი გარემოსდაცვითი მაკონტროლებელი ორგანოს - გარემოს დაცვის ინსპექციის - ლიკვიდირება [3]. ამავე პერიოდში აღსანიშნავია აგრეთვე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემადგენლობაში სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად მიღებული ახალი ინსტიტუციური ერთეული - გარემოს დაცვის სააგენტო. შეიძლება ითქვას, ზემოთ აღნიშნულმა ცვლილებებმა ინსტიტუციურად და ფუნქციურად საგრძნობლად დაასუსტა მთავარი ინსტიტუციური ორგანო - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

2012 წელს ახალი ხელისუფლების მიერ იქნა დეკლარირებული ეკოლოგიის სფეროს პრიორიტეტულობა და დაიწყო შესაბამისი, მათ შორის ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, ეკოლოგიური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისა და ეკოლოგიური სისტემის სრულყოფის მიზნით, 2013 წლის მაისში ცვლილებები განხორციელდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერების კუთხით. ამ სამინისტროში შეიქმნა მიწის რესურსების დაცვის, ტყის პოლიტიკის, ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების მართვის, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახურები. აგრეთვე

შეიქმნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი შესაბამისი ტერიტორიული ორგანოებით. გარდა ამისა, ჩამოყალიბდა ახალი ინსტიტუციური ერთეულები ეროვნული სატყეო სააგენტოს და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის სახით.

სამწუხაროდ, ბოლო სამთავრობო ცვლილებებით აღნიშნული სამინისტრო გაუქმდა და ფუნქციურად შეუერთდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ნებისმიერი ცვლილების პოზიტიურ თუ ნეგატიურ შედეგებს, როგორც წესი, პრაქტიკა აჩვენებს. თუმცა ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობა არის გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი წყარო (სათბური აირების ემისია, ნიადაგის ეროზია, წყლის რესურსების გაჭუჭყიანება და სხვა), მინიმუმ, განაპირობებს ამ სტრუქტურული ცვლილებების ინტერესთა კონფლიქტს.

უნდა აღინიშნოს, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყებიდან დღემდე, მიუხედავად სხვადასხვა პერიოდებში ფუნქციური თუ ინსტიტუციური დაკნინებისა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო პასუხისმგებელი იყო ყველა გარემოსდაცვით საკითხზე, თუმცა იყო გარკვეული საკითხები, სადაც ის ინაწილებდა ფუნქციებს სხვადასხვა სამინისტროებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან. ხშირ შემთხვევაში, ამ უწყებებს შორის უფლებამოსილებები და ვალდებულებები ყოველთვის მკაფიოდ არ იყო განაწილებული. ადგილი ჰქონდა ფუნქციათა დუბლირებასაც. ასევე იყო საკითხები, რომლებიც სცდებოდა ეკოლოგიის სფეროში არსებული ინსტიტუციების კომპეტენციების და რეგულირების სფეროებს.

დასკვნა

ევროკავშირისა და საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის ეკოლოგიური სისტემების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში, მიუხედავად ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებისა ეკოლოგიური პროცესების მართვისა და რეგულირების მოდელის ევროკავშირის შესაბამის მოდელთან კონვერგენციისა და ჰარმონიზაციის შესახებ, ფაქტობრივად ადგილი აქვს საწინააღმდეგო პროცესებს და არ ჩანს ტენდენცია მის დასაძლევად. წინააღმდეგობები გამოიხ-

ატება ყველა ასპექტში (სამეცნიერო-საგანმანათლებლო, პოლიტიკურ-სამართლებრივი, ეკონომიკური და ინსტიტუციური).

ევროკავშირი, ეკოლოგიური პოლიტიკისა და ეკოლოგიური სისტემის სრულყოფისა და რეალიზაციის პროცესში, ეყრდნობა 1996 წელს გაფორმებული ამსტერდამის ხელშეკრულების მიხედვით შეთანხმებულ პრინციპებს, რომელთაგან ერთ-ერთი არსებითი პრინციპია „გამაჭუჭყიანებელი იხდის“, რაც გულისხმობს დამაბინძურებლის მიერ გარემოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას სპეციალური გადასახადების სახით. შინაარსით ის ეკონომიკური ინსტრუმენტია. გარემოს დაბინძურებაზე გადასახადი აიძულებს დამაბინძურებელ სტაციონარულ და არასტაციონარულ ერთეულებს, მოახდინონ უნარჩუნო და მცირენარჩენიანი, გაზმტვერდამჭერი და სხვა ტიპის ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ხელს უწყობს ეკოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაციას. ევროკავშირი ეკოლოგიურ პოლიტიკას ახორციელებს ადმინისტრაციული და ეკონომიკური ბერკეტების ოპტიმალური შეთანაწყოების საფუძველზე. თუმცა, ბოლო პერიოდში, შესაბამისი თეორიული და ემპირიული ანალიზის საფუძველზე, ევროკავშირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადმინისტრაციული ინსტრუმენტები ნაკლებეფექტიანია ეკონომიკურ ინსტრუმენტებთან შედარებით, რამაც გამოიწვია ის, რომ ევროკავშირის ეკოლოგიურ პოლიტიკაში ეტაპობრივად დომინირებადი ხდება საბაზრო რეგულატორები.

2005 წელს საქართველოში გაუქმდა გადასახადი მანქანივითიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის. ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლების მიზანი იყო ის, რომ მკაცრი გარემოსდაცვითი ნორმები არ გამხდარიყო შემზღვეველი ფაქტორი ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის. მაშასადამე, საქართველოში შექმნილია მდგომარეობა, როდესაც გარემოს დაბინძურების შედეგად წარმოქმნილ ზარალს ანაზღაურებს არა უშუალოდ დამაბინძურებელი, არამედ საზოგადოება. საქართველოში ევროკავშირში გაგრძელებული და აპრობირებული არც სხვა საბაზრო ინსტრუმენტები გამოიყენება ეკოლოგიის სფეროში.

ევროკავშირის ინსტიტუციური სისტემა გარემოს დაცვის სფეროში ატარებს სტაბილურ ხასიათს. ევროკავშირის ეკონ-

სტიტუციური სისტემა ეკოლოგიური პოლიტიკის მიზნების და ამოცანების ადეკვატურია. წლების განმავლობაში ახალი ინსტიტუციური ორგანოების შექმნა და არსებული ორგანოების ფუნქციური ცვლილებები ეფუძნებოდა კანონზომიერების, ოპტიმალურობის და შედეგზე ორიენტირებულობის პრინციპებს და გამორიცხავდა ინტერესთა კონფლიქტებს.

საქართველოში ეკონსტიტუციური სისტემის ფორმირება და განვითარება ხასიათდება წინააღმდეგობებით და ხშირი კოლიზიებით ფუნქციონალურ და სტრუქტურულ ასპექტებში. მრავალი შემთხვევაა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციონალური და ინტერესთა კონფლიქტები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით თვალშისაცემია საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმით, როდესაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მიუერთდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მაშინ როცა სოფლის მეურნეობა ითვლება გარემოს გამაჭუჭყიანებელ დარგად.

ევროკავშირში ეკოლოგიური სისტემის პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმის ფორმირება და მისი სრულყოფა ისტორიულად უკავშირდება ყოველ ახალ გამოწვევა და პარადიგმა ეკოლოგიის სფეროში და აგრეთვე ევროკავშირის მიერ ეკოლოგიის პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების სფეროში ჩართვას. ევროკავშირში შეინიშნება პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტების გამარტივების ტენდენცია, მათი პრაქტიკული რეალიზაცია უფრო იოლი რომ გახდეს. ისინი სრულად მოიცავენ გარემოს ყველა კომპონენტს.

ეკოლოგიური სისტემის პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმის ჩამოყალიბება ახალი კანონების მიღების კრიტერიუმის მიხედვით, საქართველოში პირობითად, შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს: 1991-2012 წლები და 2012 წლიდან–დღემდე. ეკოლოგიის სფეროში არსებული კანონების უმრავლესობა მიღებულია პირველი ეტაპის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის მაძილზე მიღებული ზოგიერთი სამართლებრივი დოკუმენტი პასუხობდა დარგში არსებულ გამოწვევებს და არსებითად შეესაბამებოდა ევროკავშირის შესაბამის რეგულაციას. ბოლო პერიოდში პოლიტიკურ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა ძირითადად ხორციელდება არსებულ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების

შეტანით. საკანონმდებლო ბაზა საქართველოში შეიძლება ჩაითვალოს არასრულყოფილად, ვინაიდან არ არის მიღებული მდგრადი განვითარების კონცეფცია, ეკოლოგიური დოქტრინა, ეკოლოგიური განვითარების სტრატეგია და სხვა.

ევროკავშირში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის აქტივიზაციას და სტიმულირებას გარემოს დაცვის სფეროში. სამართლიანად მიიჩნევა, რომ ის ხელს უწყობს ეკოლოგიური კულტურისა და თვითშეგნების ჩამოყალიბებას და ინოვაციური ეკოტექნოლოგიების შექმნას, რაც, თავის მხრივ, დადებით ზეგავლენას ახდენს ეკოლოგიურ სტაბილურობაზე.

ევროპული ეკოლოგიური განათლებისა და მეცნიერების სისტემის კრიზისის გააზრების შემდეგ ევროკავშირმა გაზარდა მისი დაფინანსება და პოლიტიკური მხარდაჭერა, რამაც აამაღლა განათლების ყველა საფეხურზე ეკოლოგიური კომპონენტის ჩართულობა და გაზარდა სამეცნიერო კვლევების ხარისხი.

საქართველოში ეკოლოგიურ განათლების როლი, მნიშვნელობა და სტატუსი განსაზღვრულია საქართველოს კანონით „გარემოს დაცვის შესახებ“. ამ კანონით, და ასევე სხვა სახის პროგრამული დოკუმენტებით, განსაზღვრულია გარკვეული ღონისძიებების განხორციელება ამ მიმართულებით, თუმცა მათგან უმრავლესობა არ განხორციელებულა ან განხორციელდა ფრაგმენტულად, სასურველი შედეგების მიღწევის გარეშე.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს ტენდენცია გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების კონცეფციის შერწყმის შესახებ. ამ კონტექსტში საქართველოში მიღებულ იქნა დოკუმენტი – გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის. თუმცა, მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავებამდე და მისი პრინციპების რეალიზაციის სისტემის ფორმირებამდე, გარემოსდაცვითი განათლების გაუმჯობესების ეს თუ სხვა სახის დოკუმენტი ვერ იქნება შედეგზე ორიენტირებული. რაც შეეხება სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირებას სახელმწიფოს მხრიდან ეკოლოგიის სფეროში და მის ფინანსურ მხარდაჭერას, ის ჩანასახოვან სტადიაშია.

დასასრულ, ევროკავშირისა და საქართველოს ეკოლოგიური სისტემების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ აუცილებელია მათი კონვერგენციისა და ეტაპობრივი ჰარმონიზაციის პროცესის გააქტიურება და დაჩქარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., მდგრადი განვითარების ასპექტები. 2014.
2. ადგიშვილი მ., გუგუშვილი თ., გუჯარაიძე ქ., მაჭარაშვილი ი., გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ინსტიტუციური მოწყობის და რეგულირების მექანიზმების ხარვეზების ანალიზი. 2012.
3. გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში (კვლევა) ავტ.კოლ., 2014.
4. ხუსკივაძე მ., ნოზაძე ზ. გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. VII, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2014.
5. ხუსკივაძე მ., ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების ეტაპები და ძირითადი ტენდენციები საქართველოში. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული – „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 1-2 ივლისი, 2016.
6. გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (2014-2022). 2014.
7. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება. 2014.
8. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020. 2013.
9. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (NEAP) (2012-2016). 2012.
10. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014-2020 წლები).
11. საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია. 2015.

12. Власов Е.Я. Инновационные технологии природопользования в решении экологических проблем урбанизированных территорий, 2012.
13. Земцова Л.В. Экологические инновации и устойчивое развитие, 2014.
14. Клапцов В. М. Экологическая политика Евросоюза, 2010.
15. Колонтаевская И.Ф. Экологические инновации как фактор повышения качества жизни, 2013.
16. Магомадова Х.А. Экологические инновации как фактор устойчивого социально-экономического развития, 2014.
17. Матвеева Е.В. Экологическая политика Евросоюза, 2010.
18. Мохаммад С.М. Экологическая политика Европейского Союза как пример системы Международного Экологического Управления, 2013.
19. Новая рамочная политика Европейского Союза в области климата и энергетики до 2030 года, Евразийский Журнал N3 (70), 2014.
20. Иновационная политика в поддержку «зелёных» технологии, Руководство для директивных органов стран с переходной экономикой в Европе и Центральной Азии - Европейская Экономическая Комиссия Организации Объединённых Нации
21. Проект Конституции ЕС. <http://www.europa.eu.int>
22. Рябова Н., Новиков Т. Обучение демократии. в поисках гармонии. 2011.
23. Яковец Ю.В. Эпохальные инновации XXI века, 2004.
24. Гусев А. Экологическая политика Европейского союза в контексте устойчивого развития, 2013.
25. EU Facts. Environmental Polisi. <http://www.civitas.org.uk>
26. What is FP7. <http://www.cordis.europa.eu>
27. Leflaive, X. Eco-Innovation Policies in Japan. OECD, 2008.
28. geostat.ge
29. moe.gov.ge
30. <http://www.edc-aes.ru>
31. <http://www.europa.eu.int>

*Mamuka Khuskivadze
Zurab Nozadze*

COMPARATIVE ANALYSIS OF ECOLOGICAL SYSTEMS OF THE EU AND GEORGIA

Summary

Georgian faces new economic-ecological challenges emerged in the process of transition from planned to market economy and the necessity of formation of long-term development strategies appears in the agenda and owing to its realization would be possible to satisfy national economic interests as well as national interests of the country's ecological security. The latter puts on agenda the fact that at the beginning of the post-Communist transformation process Georgia met with considerable ecological problems, which were generated under the planned economic system and further deepened from the beginning of independence. The need for the purpose of implementation of the targeted activities of the State has emerged in the field of natural resources use and environmental protection, and therefore it became necessary to search for a new model of ecological development based on effective ecological policy and the optimal ecological system for its realization.

თინა ჩხეიძე

ევროკავშირის ინოვაციური ეკოლოგიური სისტემების ფორმირება და განვითარება

ანოტაცია. სტატიაში ნაჩვენებია ევროკავშირის ინოვაციური ეკოლოგიური სისტემების ფორმირებისა და განვითარების მდგომარეობა. განხილულია ევროკავშირის ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. ნაჩვენებია, რომ ინოვაციური ეკოლოგიური სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან ფუნქციონირების ორგანიზაციის პრინციპებით, ნაციონალური თავისებურებებისა და ეკონომიკური პოტენციალის მიხედვით, რის გამოც ყალიბდება სხვადასხვა ტიპის (მოდელის) ინოვაციური სისტემები, მაგრამ მათ ასევე გააჩნიათ საერთო ნიშნები, რომელიც განსაზღვრავს ძირითად მიმართულებას. ეს მიმართულებები შეიძლება ჩამოყალიბდეს 5 ბლოკად.

*ნახვენებია, რომ ევროკავშირის ნაციონალური სისტემები აღ-
არ არის მარტო ნაციონალური, რეგიონული ან პროევროპული,
არამედ მიმდინარეობს მრავალდონიანი, მრავალფენიანი ინოვაცი-
ური სისტემების ფორმირების პროცესი. დასავლეთ ევროპაში
ხორციელდება ნაციონალური ინოვაციური ეკოლოგიური სის-
ტემების ერთ მთლიან სისტემად გაერთიანების პროცესი.*

*** * ***

ევროპის კავშირი (ეკ) ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პო-
ლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა. ეკ 28 დემოკრატიულ
სახელმწიფოს აერთიანებს, რომელიც მიზნად ისახავს მისი 500
მლნ მოქალაქისათვის მშვიდობის, კეთილდღეობის და თავისუფ-
ლების უზრუნველყოფას უფრო სამართლიან და უსაფრთხო
სამყაროში.

ევროკავშირი არის მრავალსექტორიანი ინტეგრაციის განვი-
თარებული ფორმა, რომლის კომპეტენცია ვრცელდება 28 სახელმ-
წიფოს ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, მოქლაქეთა უფლებებზე, სა-
შინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

ტრადიციულ საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ევროპის
კავშირს განასხვავებს მისი უნიკალური ინსტიტუციური სტრუქტუ-
რა, შექმნილია დამოუკიდებელი ინსტიტუტები, რომლებიც ავსებენ
ერთიმეორეს და ყოველ მათგანს გარკვეული როლი აკისრია გადა-
წყვეტილების მიღების პროცესში.

ევროკავშირი წარმოადგენს უდიდეს რეგიონს, რომელმაც არ-
სებითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკოლოგიურ პოლიტიკაზე.

ბოლო ათწლეულის მანძილზე დამოკიდებულება საზოგადოე-
ბასა და გარემოს შორის გამწვავდა, სულ უფრო და უფრო
ხშირად ხდება გლობალური ეკოლოგიური კატასტროფები. ეკონო-
მიკური მეცნიერება დღემდე სათანადო ყურადღებას არ აქცევდა
ეკოლოგიურ პრობლემებს, რის გამოც ჩამოყალიბდა ეკონომიკური
განვითარების ტექნოგენური ტიპი, რომელიც შეიძლება დავახა-
სიათოდ, როგორც ბუნებადამრღვევევი, რომელიც ეფუძნებოდა
წარმოების ხელოვნურ საშუალებებს და შექმნილია ეკოლოგიური
შეზღუდვების გარეშე გლობალური და ლოკალური ეკოლოგიური
კრიზისების თავიდან ასაცილებლად, რისთვისაც აუცილებელია
ტექნოგენური ტიპის განვითარების შეცვლა მდგრადი განვითარების

ტიპით, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც თანამედროვე, ისე მომავალი თაობის მოთხოვნილებებს.

ამ დროისათვის ჩამოყალიბდა ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის ორი ძირითადი მიდგომა:

1. საჭიროა, გადაწყდეს ეკოლოგიური პრობლემები ეკოლოგიური ინოვაციების დანერგვით. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კაცობრიობას თავისი არსებობის და განვითარების პირობების შეცვალა ძალიან მცირე დოზით შეუძლია. დემოგარფიული დინამიკა ნელა იცვლება, ის შეგნებულად უნდა გაკეთდეს, რაც ადამიანს ხელეწიფება ტექნოლოგიური გარღვევით და ეკოლოგიურად უსტაბილური ტექნოლოგიური წარმოების წესზე გადასვლით.

2. მეორე ჯგუფი თვლის, რომ აუცილებელია ტექნიკური გარდაქმნა, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი. საჭიროა, შეიცვალოს ცივილიზაცია, ადამიანის სულიერი სამყარო, მისი მოთხოვნილებები, მენტალიტეტი.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის განვითარებისას ისეთი საკითხების აუცილებლობა წამოიჭრება, როგორცაა ტექნიკური უზრუნველყოფა, ბუნებისადმი ახლებური დამოკიდებულება.

ადამიანის მიერ რეგულირებად სამრეწველო და ბუნებრივი პროცესების ერთ სისტემად შეთანაწყობა მოითხოვს მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ გარდაქმნას, რაც მათ დაახლოებს ბუნების კანონებთან, რითაც უზრუნველყოფა საზოგადოების განვითარების ეკოლოგიზაცია.

გკ ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

- მაკროეკონომიკურ პოლიტიკად, რომელიც ბუნებრივი რესურსების ექსტენციურ გამოყენებაზეა მიმართული;

- ინვესტირების პოლიტიკა, ორიენტირებული ეკონომიკური სექტორის მიერ ექსპლუატირებული ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე;

- სათბობ-ენერგეტიკული, სასოფლო და სატყეო მეურნეობების არა ეფექტიანი სექტორული პოლიტიკა;

- გრძელვადიანი ეკოლოგიური ბალანსირებული პოლიტიკის არარსებობა;

- არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა;

- არასაკმარისი ბუნებისდაცვით მიღებული ეფექტის აღრიცხვა;

- ბუნებრივი რესურსების – ნავთობი, აირი, მადანი, ტყე და ა.შ... ექსპლუატაციით ან გაყიდვით მიღებული მოგების სტიმულირების არსებობა.

მსოფლიო პრაქტიკაში ეკოლოგიური ტექნოლოგიის დანერგვის სტიმულირებისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები: ბუნებისდაცვითი ნორმები; საკანონმდებლო აქტები; ნარჩენების შემცირების სუბსიდირება; გაჭუჭყიანების წესების რეალიზაცია და სხვ. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სტიმულირებისათვის ყველაზე ნაკლებეფექტიანია პირდაპირი კონტროლი.

მიმდინარეობს ნაციონალური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეკოლოგიზაცია. იაპონიაში, გერმანიაში და ა.შ. შემუშავდა სახელმწიფო პროგრამები, მიმართული ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი ტექნოლოგიების შექმნის გათვალისწინებით. იტალიაში ჩამოყალიბებული ინოვაციური ტექნოლოგიის ფონდის სახსრების 5% ხმარდება ეკოტექნოლოგიების დანერგვას. კანადაში მოქმედებს „ეკოლოგიური გადაწყვეტილებების“ პროგრამა. ევროპის ბევრ ქვეყანაში ეკოტექნოლოგიები დანერგილია არსებულ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებში.

დღეისათვის ევროკავშირი ბუნებისდაცვით სფეროში თანამშრომლობის ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერთაგანია. ევროკავშირის ეკოლოგიური სისტემა მთლიანადაა დაკავშირებული გარემოს დაცვის ღონისძიებათა სისტემასთან.

გარემოს დაცვა წარმოადგენს ეკ-ის მოღვაწეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას.

ამსტერდამის შეთანხმების (1966) თანახმად, ევროკავშირის ეკოლოგიური სისტემების პრინციპებს წარმოადგენს:

- **მოქმედების დასწრების პრინციპი** – თანამეგობრობის მოქმედება მიმართულია გაფრთხილებისაკენ. გარემოს დაბინძურებამდე ან რაიმე სხვა ზიანის მიყენებამდე საჭირო ზომების მიღება;

- **სიფრთხილის პრინციპი** – სამეცნიერო კვლევების შედეგების არარსებობა არ არის იმის საფუძველი, რომ შეიცვალოს ან გადაიდოს დაგეგმილი ღონისძიება. ყოველთვის არ ხერხდება, ზუსტად განისაზღვროს გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება, მაგ-

რამ, ყოველ შემთხვევაში, თავდაცვითი ღონისძიების ჩატარება ჰიპოთეზური შესაძლებლობის დროსაც კი აუცილებელია.

- **გარემოზე შედეგის ლიკვიდაციის პრინციპი** – ზარალის ანაზღაურების მასშტაბები, როდესაც შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ ზარალი, საჭიროა მინიმუმამდე შევამციროთ და შემდეგ აღმოვფხვრათ მოკლე ვადაში;

- **დამნაშავე ანაზღაურებს ზარალს** – პრევენციული ზომების, დასუფთავების, დაბინძურების კომპენსაციის ხარჯები აკისრია დამნაშავეს, ეს პრინციპი გამოხატავს ფინანსური სტიმულირების ტენდენციის უპირატესობას ადმინისტრაციული ხასიათის მეთოდებთან, როგორც არის ვალდებულება ან აკრძალვა.

ეს პრინციპები სავალდებულოა ყველა წევრი-ქვეყნისთვის.

გარემოს მდგომარეობა და ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც დგას ევროკავშირისა და მისი წევრი-ქვეყნების წინაშე, მიუხედავად მათი მცდელობისა, პროგრესს არ განიცდის. მთელი ევროპის ტერიტორიაზე აღინიშნება ნიადაგის გამჟავება, გვალვა, ტყის ხანძრები. ცენტრალურ და სამხრეთ ქვეყნებში აღინიშნება სუფთა, მტკნარი წყლის უკმარისობა, გრუნტის წყლის ზედმეტი ექსპლუატაცია, ზოგიერთ ქვეყანაში კი ის ბინძურდება ნიტრატებით, პესტიციდებითა და მძიმე მეტალებით.

გლობალიზაციის გაძლიერება-გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ვლინდება სახელმწიფოების მდგომარეობა მსოფლიო არენაზე, რასაც განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია **ინოვაციური სისტემის** სტრატეგიაზე, სტრუქტურასა და ეფექტიანობაზე. სწორედ ინოვაციური სისტემა ადგენს ქვეყნის მიერ განსაზღვრული ნიშის დაკავებას, იძენს მეტ წონას და სტატუსს.

ინოვაცია არის ეკონომიკური სამეცნიერო და სოციალური ღირებულებების მქონე გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის (მათ შორის ინოვაციური პროცესი ან სიახლის გაუმჯობესება, მენეჯმენტის ან მეთოდის ახალი ან მნიშვნელოვანი ცვლილება, ინოვაციური მარკეტინგი, ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურა და ა.შ.)

XXI საუკუნეში ინოვაცია განიხილება, როგორც ქვეყნების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა.

დღეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანაა, შექმნას ხელსაყრელი პირობები ინოვაციების დასანერგად. ინოვაციების დანერგვა კი შესაძლებელს ხდის დამატებითი უპირატესობის გავლენას საერთაშორისო კონკურსებში.

მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური სისტემის ფორმირებისას ნაციონალური ინოვაციური სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან, მათ მაინც გააჩნიათ საერთო ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავს ძირითად მიმართულებას. ასეთი მიმართულებები დაახლოებით 5 ბლოკად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. პირველი ბლოკი – **კრეატიული** - ანუ ცოდნის განმავითარებელია: ესენი უნივერსიტეტები, სამეცნიერო ინსტიტუტები, ცალკეული სპეციალისტები, სოციალური ქსელი (რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და მკვლევრების არაფორმალურ ურთიერთობებს);

2. მეორე ბლოკი – **ტექნოლოგიის ტრანსფერისა** – ახალი იდეები, რომელიც ხდება კრეატიული აზროვნების შედეგი და, როგორც წესი, ისინი არ ინერგება წარმოებაში.

მეცნიერულ იდეებსა და ტექნოლოგიებს შორის არის უფსკრული, რომლის დაძლევისადაც სჭირდება დიდძალი სპეციალური ცოდნის მარაგი და კომპეტენციები. სერიოზული პრობლემა, რომელიც ართულებს პრაქტიკულად ახალი იდეის დანერგვას, არის ინოვაციის ასიმეტრია, დაკავშირებული ინოვაციით სარგებლობის კანონთან. რაც უფრო რთულია ინოვაცია არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის თვალსაზრით, მით უფრო ასიმეტრიულია მისი გაგება ინოვაციის ავტორისა და ეკონომიკური მოღვაწეობის მომპოვებელს შორის. შესაბამისად, საჭიროა შუამავალი, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს ამ ასიმეტრიას, რომელიც მყიდველს დაარწმუნებს პროდუქტის ხარისხიანობაში. ყველაზე კარგად ამ ფუნქციებს ასრულებენ არაკომერციული ფონდების პროფესიონალი ექსპერტები, რომლებიც მოქმედებენ იმავე პრინციპით, როგორც ფონდები, რომლებიც გამოიყენებენ სამეცნიერო კვლევების გრანტებს. ასეთი არაკომერციული ფონდები ქმნიან განსაკუთრებულ სფეროს ფართო დაკავშირების ქსელით, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს კონტაქტები იდეის ავტორსა და პოტენციურ მყიდველს შორის;

3. მესამე ბლოკი – **ფინანსირების ბლოკი**, რომელიც იღებს აქცევს კომერციულ პროდუქტად. ამისათვის მან უნდა განიცადოს მთელი რიგი ტრანსფორმაცია – ჯერ უნდა გაიაროს საინჟინრო ფაზა, დამზადდეს მაკეტი, შეიქმნას საცდელი რეწვის ნიმუში. საცდელ ნიმუშად ტრანსფორმაციის შემდეგ ხდება მისი ჩაშვება მასიურ წარმოებაში, აუცილებელია გარედან დაფინანსება:

3.1 **საბანკო კრედიტი** – ავტორი ან მისი მხარდამჭერი დაწესებულება ახალი პროდუქტის საწარმოებლად შექმნის კომპანიას და იღებს საბანკო კრედიტს. ეს გზა ინოვაციურობისათვის მეტად სახიფათოა იმდენად, რამდენადაც ინოვაციური სიახლე რისკიანია. ამიტომ ბანკი ცდილობს, მაღალი პროცენტით გასცეს კრედიტი. თუმცა, ეს გზა მიმზიდველი არ არის;

3.2 **ინოვაციის გაყიდვა** – ავტორი იღებს მიჰყიდის რომელიმე მსხვილ ფირმას, რომელიც მსგავსი წარმოებით არის დაკავებული. მსგავსი დაფინანსება ათავისუფლებს ავტორს რისკისაგან, მაგრამ, ამავე დროს, ათავისუფლებს მოგებისგანაც, რომელიც შეიძლება ბოდა მიეღო წარმოებიდან;

3.3 **ვენჩურული დაფინანსება** – ვენჩურული კომპანია, შეისწავლის რა ინოვაციურ იდეას, გაეცნობა რა ბიზნესგეგმას, შექმნის წარმოებას, რომლის ხელმძღვანელიც იქნება იდეის ავტორი. ამავე დროს, კომპანია თვალყურს ადევნებს წარმოების საქმიანობას და თუ რაიმე არ მოეწონება, მან შეიძლება გაყიდოს ეს საწარმო. ვენჩურული დაფინანსების უპირატესობა არის ის, რომ ავტორს შეუძლია მარტომ მიიღოს და გამოიყენოს მოგება, რომელსაც მოუტანს ეს საწარმო. ამასთან ერთად, ავტორს შეუძლია, როცა მოისურვებს მაშინ გამოვიდეს თამაშიდან ისე, რომ თან მანამდე მიღებული თანხაც დაიტოვოს.

4. **მრეწველობის ბლოკი** – შესაძლებელია ინოვაციური წარმოების ორი ვარიანტი:

პირველი ვარიანტი - ისეთი წარმოების ჩართვა ერთ-ერთ დიდ სამეცნიერო სტრუქტურაში, რომელიც ამ ფირმას გააჩნია და თან გამოიყენოს ამ წარმოების საშუალებები, ე.ი. ტრანსნაციონალური დანახარჯები (გამოიყენოს მისი ბუღალტერია, კადრების განყოფილება და ა.შ.)

მეორე ვარიანტი – შექმნას ახალი საწარმო, სადაც ტრანს-ნაციონალური ხარჯების შემცირება მოხდება იმის გამო, რომ შეიქმნა პატარა საწარმო, რომელსაც ნაკლები ხარჯები აქვს.

5. კადრების მომზადების ბლოკი – ინოვაციური კადრების მომზადება (მათ შორის ინოვაციური მენეჯერის) არ შეიძლება მიმდინარეობდეს უსისტემოდ, ის უნდა შედგებოდეს ერთმანეთთან დაკავშირებული ეტაპებისგან – ცოდნის ამაღლება და კომპეტენციები, რომელსაც უნდა ახლდეს გონივრული და ფრთხილი შერჩევა, რადგან ყველა ექსტრაორდინარული ნიჭი უცბად არ მუდავნდება.

უნივერსიტეტების გარდა რომლებიც ამზადებენ ფუნდამენტურ მეცნიერებებსა და დაწესებულებებში ორიენტირებულ სამეცნიერო ელიტას, დიდი როლი ენიჭება ნაციონალურ საინჟინრო სკოლებს (მათ კადრებს).

ზემოთ განხილული სტრუქტურული ელემენტები, ასე თუ ისე, ახასიათებს ყველა **ინოვაციურ სისტემას**. ეს სისტემები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან ფუნქციონირების ორგანიზაციის პრინციპით. ყველაფერი ერთად კონკრეტულად დამოკიდებულია ინოვაციური განვითარების მოდელზე, რომელსაც ირჩევს ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა.

ნაციონალური თავისებურებების და ეკონომიკური პოტენციალის მიხედვით ყალიბდება სხვადასხვა ტიპის (მოდელის) ინოვაციური სისტემები.

ინოვაციის **წყაროს** წარმოადგენს:

პირველი – სამეცნიერო კვლევები და გამოგონებები, რომლებიც იძლევა ტექნიკური იდეების ნაკადს და უზრუნველყოფს ახალშექმნილი პროდუქტის უწყვეტ ნაკადს.

მეორე – სხვა სექტორის ბიზნესის წარმატება, მაგალითად მეცნიერებისა და ტექნიკის ადაპტაციით მიღებული წარმატება (მაღალეფექტიანი ქიმიური მასალა გამოყენებულია ავტოწარმოებაში, ან კომპიუტერული მოდერნიზაცია მსუბუქ მრეწველობაში). ინოვაცია შეიძლება წარმოიშვას როგორც შედეგი წარმოების ან პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისას.

მესამე – ინოვაცია იბადება ბიზნესისადმი ახალი მიდგომის შედეგად (ახალი ბიზნესმოდელი). მაგ., ონლაინგაყიდვები. ეს

ინოვაციები ქმნის ახალ საბაზრო სივრცეს, ზრდის მოგებას არსებულ ბაზარზე.

მეოთხე – ინოვაციები წარმოიქმნება ახალი ბაზრის ძიების დროს. ამ დროს შეიძლება ისინი ჩამოყალიბდნენ ახალი ტექნიკური ძიების ზეგავლენით. ასევე შეიძლება გამოიყენონ უკვე არსებული პროდუქციისა და მომსახურების გაუმჯობესება.

დღეისათვის ეკონომიკური განვითარება ემყარება ცოდნას, ცოდნა კი ხდება ეკონომიკური ზრდის და ინოვაციების წყარო.

XXI საუკუნის დასაწყისში აღინიშნა ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირება, სადაც ცოდნა იკავებს დომინანტის ადგილს. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდის დომინანტია მეცნიერული ცოდნა, ახალი ტექნოლოგიები, ინოვაციური პროცესები, პროდუქტები და მომსახურება, ასევე ბიზნესის ახალი ორგანიზაციული ფორმა.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ვარიანტი არსებობს ახალი ტიპის ეკონომიკური წყობისა, დღემდე არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული განმარტება, რას წარმოადგენს ნაციონალური ინოვაციური სისტემები. ეს იმაზე მეტყველებს, რომ აქამდე არ გამომუშავებულა ერთიანი შეხედულება მის არსზე, სტრუქტურაზე, ფუნქციაზე და ა.შ.

ინოვაცია არ ითვლება ინოვაციად იმ მომენტამდე ვიდრე იგი წარმატებით არ იქნება დანერგილი და არ დაიწყებს მოგების მოცემას.

პრაქტიკაში ინოვაციის განსაზღვრისათვის იყენებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

1. ინოვაციას უნდა ახლდეს ინოვაციური პროცესი;
2. უნდა იყოს განსხვავებული და ადვილად არ უნდა შეიძლება ბოლდეს მისი კოპირება. უნდა იძლეოდეს საგრძნობ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს.

საბოლოოდ, ევროპის ინოვაციური სისტემა აღარ არის მარტო ნაციონალური, რეგიონული ან პანევროპული. ამჟამად მიმდინარეობს პროცესი მრავალდონიანი ან მრავალფენიანი ინოვაციური სისტემებისა, თუმცა ნაციონალური ინოვაციური სისტემა რჩება როგორც ბირთვი, ფართოვდება მისი საზღვრები, პასუხისმგებლობა, ყალიბდება ახალი თანამშრომლობა. ტრანსნაციონ-

ალური კორპორაცია აძლიერებს და აფართოებს ევროპულ ინოვაციურ სისტემებს.

დღეისათვის დასავლეთ ევროპაში ხორციელდება ნაციონალური ინოვაციური სისტემების ერთ მთლიან სისტემად გაერთიანების პროცესი. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავებულია ახალი მექანიზმები (პროგრამები, პლატფორმები და ა.შ.), რამაც ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირის ახალი ინოვაციური სტრატეგიის რეალიზაციას. ეს სტრატეგია მიმართულია ერთიანი ევროპული ინოვაციური ბაზრის შექმნაკენ აშშ და სხვა ქვეყნების მიმართ კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელის შესაწყობად.

პანევროპული მაკოორდინებელი ინსტრუმენტები და ასევე პარტნიორობის ახალი ფორმა წარმოადგენს წევრი-ქვეყნების ნაციონალური პოლიტიკის ევროკავშირის ნაციონალური პოლიტიკისთან სინქრონიზაციის მძლავრ ახალ მექანიზმს.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ეკოლოგიზაციის ინოვაციაზე ორიენტირებულ განვითარებაზე, მხედველობაში გვაქვს: პროდუქცია, მომსახურება, ტექნოლოგია, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრად განვითარებას და ამცირებენ გარემოზე ზეწოლას და, ამავე დროს, იღებენ საგრძნობ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს.

ბოლო ათ წლებულის განმავლობაში ბევრ ევროპულ ქალაქში მიმდინარეობს გაფართოებული ეკოლოგიზაცია, იქმნება კვლევითი ცენტრები, მზადდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები, რომლებიც გამიზნულია ეკოლოგიური ინოვაციური ტექნოლოგიების მხარდასაჭერად. მდგრადი განვითარების საკითხი თანდათან მოიცავს მსოფლიო საზოგადოებას. მაგ., ნორვეგია ცდილობს, 2030 წლისათვის გახდეს CO₂-ის ნულოვანი გადანაყრების სამრეწველო ქვეყნად. გერმანიას მიზნად აქვს დასახული, 2020 წლისათვის უმეტესი სახლები გათბობის გარეშე რეჟიმში გადაიყვანოს. ყველა ეს ღონისძიება ხორციელდება გაძლიერებული ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის გამკაცრებით და სახელმწიფოს სუბსიდირებით.

ბოლო წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ისეთი ალტერნატიული ენერგოსაშუალებები, როგორცაა ქარისა და მზის ელექტროსადგურები. ამ მხრივ გამოირჩევა გერმანია, იგი ქარის, მზისა და ბიომასისაგან 17% ენერგიას გამოიმუშავებს.

მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური ინოვაციური სისტემების დანერგვა,

რაც ხელს უწყობს ახალი პროდუქტების, ახალი ტექნოლოგიების, ორგანიზაციის წარმოების ახალი მეთოდების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს დაცვას. საზოგადოების წინაშე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ეკოლოგიზაციის ამოცანა დადგა. აუცილებელი გახდა თვით წარმოების ტექნოლოგიის ტიპის გარდაქმნა ეკოლოგიურ საფუძვლებზე.

მსოფლიო პრაქტიკაში ეკოლოგიური ტექნოლოგიის დანერგვის სტიმულირება სხვადასხვა გზით ხდება, როგორცაა ბუნებადამზოვი წარმოება, წესები, ნორმები, საკანონმდებლო აქტები, დაბინძურების შემცირებისათვის სუბსიდირების დაწესება, დაბეგვრით სტიმულირება და ა.შ.

მეწარმეთა სექტორი წარმოადგენს ინოვაციების აქტივობის ძირითად გენერატორს, რაც იმით არის განპირობებული, რომ სიახლე საშუალებას იძლევა, დინამიური კონკურენციის დროს ბაზრის განვითარების ხარჯზე გამოავლინოს მეწარმეობითი უნარი.

ინოვაციის შექმნის და განვითარების საქმეში წამყვანი როლი ეკისრება მეწარმეთა ფენას, რომელსაც ხელეწიფება წარმოების ფაქტორების: მიწის, შრომის და კაპიტალის „ახალი კომბინაციების“ და ახალი გარემოებების განხორციელება.

ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითად ადმინისტრაციულ ინსტრუმენტს წარმოადგენს ისეთი ნორმატიული აქტები და დოკუმენტები, როგორც არის კონვენცია და დირექტივი, აგრეთვე რეგლამენტი.

ი. შუმპეტერი გამოყოფს „ახალი კომბინაციების“ გამოხატვის ხუთ შემთხვევას:

1. დამზადებას ახალი, მომხმარებლისათვის ჯერ კიდევ უცნობი დოვლათის ან ამა თუ იმ დოვლათის ახალი ხარისხის შექმნა;
2. წარმოების ახალი მეთოდის დანერგვა: რომლის საფუძველი არ არის განმტკიცებული. ან ახალი სამეცნიერო აღმოჩენა, ეს შეიძლება იყოს უკვე არსებული საქონლისათვის ახალი წესის გამოყენება;
3. გასაღების ახალი ბაზრის ათვისება;
4. ნედლეულის ან მიღების ახალი წყარო, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა ეს წყარო წინათ;

5. რეორგანიზაციის ჩატარება. მაგ., სხვა დაწესებულების მონოპოლიის უზრუნველყოფა.

ეკოლოგიურად ორიენტირებული ინოვაციების სპეციფიკურობა მდგომარეობს იმაში, რომ მათ ახასიათებთ სარფიანი გარემოს მიღება. ეკოლოგიური ინოვაციების კონკურენციის ბაზარზე გამოტანისას ეს გარეგანი ეფექტი ქრება, რჩება ჩვეულებრივი ეკოლოგიური ინოვაცია.

ამასთან დაკავშირებით ნეოკლასიკური თეორია თვლის, რომ ეკოლოგიური ინოვაცია არის სპეციფიკური მხოლოდ გარდამავალ პერიოდში მანამ, სანამ არ მოხდება მისი ინტერნაციონალიზაცია.

შემდეგი თავისებურება ეკოლოგიური ინოვაციისა არის ინოვაციის სახელმწიფო რეგულირება. აღნიშნულ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს პრიორიტეტული ინოვაციების დანერგვას.

ეკოლოგიურად ორიენტირებული ინოვაციის მესამე თავისებურება არის მათი ურთიერთკავშირი სოციალურ და ინსტიტუციური ინოვაციებთან.

საქმე ის არის, რომ ეკოლოგიური ინოვაციის დანერგვა დაკავშირებულია სხვადასხვა ღონისძიებებთან. ეკოლოგიური ინოვაციის დანერგვის დროს გათვალისწინებულია, მოსახლეობა მზად არის თუ არა, გაიღოს დანახარჯები, რომელიც თან სდევს ეკოლოგიურ ინოვაციებს, დანახარჯები უკეთესი გარემოსათვის.

1990 წლიდან ევროკავშირის ეკოლოგიურ პოლიტიკაში აღინიშნა ადმინისტრაციულ ელემენტებზე უარის თქმა და უფრო მოქმედ საბაზრო მექანიზმზე გადასვლა (მაგ., სათბური გაზების ვაჭრობა კვოტებით ან კიდევ წარმოება პრინციპით „დაყოფილი პასუხისმგებლობა“ – მონაწილეებს შორის პასუხისმგებლობის განაწილება: მთავრობა, ბიზნესი, საზოგადოება, მომხმარებელი).

მოქნილი საბაზრო მექანიზმი მისაღებია ყველა პრიორიტეტული ეკოლოგიური პოლიტიკის სფეროში: კლიმატის შეცვლასთან ბრძოლის და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში, გარემოს დაცვასა და ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებაში. საბაზრო ინსტრუმენტები ასტიმულირებს როგორც მწარმოებელს, ისე მომხმარებელს, ეკოეფექტური ბუნებრივი რესურსის გამოყენებასა და აგრეთვე ინოვაციურ-ბუნებათდამზოგი ტექნოლოგიის განვითარებაზე.

მთლიანობაში, ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკა და სისტემები ევროკავშირის მოდერნიზაციის მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება. ამ სფეროში შეიქმნა ფართო ეკოლოგიური კანონმდებლობის სისტემა, რომლის ნორმებიც წარმატებით რეალიზდება პრაქტიკაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი მსოფლიო ლიდერ ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის გატარებაში, წარმატებით წყვეტს მთელ რიგ ინოვაციურ ეკოლოგიურ პრობლემებს როგორც კონტინენტზე, ისე მთელ მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ საბაზრო ინსტრუმენტები ეფექტურად გამოიყენება ინოვაციურ ეკოლოგიურ პოლიტიკასა და სისტემებში, შემდგომ კიდევ უფრო გაიზრდება ეკოლოგიური ბეგარა, გადასახადი, შეღავათების, სუბსიდირებები და ა.შ. ყველა წევრი-ქვეყნისათვის გახდება სავალდებულო ეკოლოგიური გადასახადების დამატებითი ელემენტების შემოტანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Медяник Н.Р. Стимулирование экологических инновации как приоритетное направление государственной политики в странах Европы. cyberleninka.ru/.../stimulirovanie-ekologicheskikh-innovatsiy-kak-prioritetnoe-napravlen.. 2015.

2. აბესაძე რ., ინოვაციები და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგიერთი მიმართულებები საქართველოში. სამეცნიერო შრომათა კრებული, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ტ. VIII, 2015.

3. Магомедова Х.Л. Экологические инновации как фактор устойчивого социально-экологического развития. sciencefozum.74>2013/pdf/437/.pg.

4. Богдан Д.И. Инновационная политика Европейского союза: Новые тенденции. Беларуский экономический журнал, 2003, №4.

5. Тимонина И. – Использование экономических инструментов в экологическом регулировании. Опыт Японии. http://vasilievna.nord.ru/4_6_01.htm.

6. გარემოს დაცვა და „ჰორიზონტი 2020 საქართველოში“.

7. გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება საქართველოში <http://ec.europa.en.world/enp/policy-en.htm>.

8. Похолькова М.Ю., Зеление инновации или эко-инновации - biliofan.n>voew.aspxid=817887.
9. Сергеев В.М., Алексеев .Э.С. Негаев В.Д. Типология моделей инновационного развития. `Политика,ка №4 (51) 2008.
10. Экологическая ниша - Инновационная политика. studme.org/52469/investirovanie/ekologicheskie_nishi.
11. Новая рамочная программа Евросоюза Научно-техническому и инновационному развитию. `Горизонт 2020` с 2014 г.
12. Матвеева Е.В. Экологическая политика Евросоюза. Вестник Нижегородского университета им. Лобочевского, 2010, №6.
13. Колотаевская .И.Ф., Экологические инновации как фактор повышения качество жизни. E- mail:kolont@bk.ru.
14. Земцова Л.В., Экологические инновации и устойчивое развитие. rozniakov.tut.su>somnar/a0102/a024.htm.
15. <http://eeas.europa.eu/enp/indexen.htm>.
16. საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო – ანგარიში 2013-2014.
17. http://kapital-rus.ru/azticles/article/modeli_formirovaniya_nacionalnyh_inocavionny_system/#

Tina Chkheidze

FORMATION AND DEVELOPMENT OF EU INNOVATION ECOLOGICAL SYSTEMS

Summary

The article deals with the state of formation and development of EU innovation and ecological systems. There are discussed main principles of EU innovation and ecological policy. It is shown that innovation ecological systems differ according to the principles of organization of functioning, of national peculiarities and economic potential. Innovation systems of various types (models) are formed, but all of them have something common which determine major directions. These directions might be formed in 5 blocks.

There is also shown that EU national systems are not only national, regional or pro-European, the multilevel and multilayered innovation system formation is also in progress. In West Europe the process of unification of national innovation systems into uniform system is proceeding.

პრობლემა 7.

ლინა დათუნაშვილი

ინოვაციური სისტემა საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში

ანოტაცია. სტატიაში შესწავლილია ევროკავშირის მოწინავე მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყანაში – საფრანგეთში ბოლო წლების განმავლობაში ინოვაციურ სისტემასა და ინოვაციური სფეროს განვითარებაში არსებული მდგომარეობა.

გაანალიზებულია ის ცვლილებები, რასაც ამ სფეროში სახელმწიფოს მიერ გატარებულმა მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ, ნორმატიულმა სამართლებრივმა უზრუნველყოფამ, სახელმწიფო რეგულირების პირდაპირმა და ირიბმა ფორმებმა, მეცნიერულ-ტექნიკურმა პოტენციალმა და სხვა ფონისძიებებმა რა დადებითი გავლენა იქონია ქვეყანაში მეცნიერებასა და განათლებაში არსებულ მდგომარეობასა და განვითარების დონეზე.

საზგასმულია სახელმწიფოს დიდ როლსა და ფართო მონაწილეობაზე ინოვაციური საქმიანობის ორგანიზებასა და დაფინანსებაში.

სტატიაში დახასიათებულია ქვეყნის ინოვაციური სისტემის ინსტრუმენტები: კლასტერები, კონკურენტუნარიანობის პოლუსები, ტექნოპარკები და ბიზნეს კლუბები.

ნახვენებია საფრანგეთის ინოვაციური სისტემის დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები.

სტატიაში განხილულია ინოვაციური სისტემის ზოგიერთი ასპექტი სოფლის მეურნეობაში, ნახვენებია რომ საფრანგეთის სოფლის მეურნეობა ვითარდება და წარმატებებს აღწევს უპირატესად ავტომატიზაციის, სელექციაში გენეტიკური მეთოდების დანერგვით, ახალი სახის საკვების გამოყენებით, ნიადაგის განოყიერებისა და მოვლის ახალი მეთოდებისა და ხერხების წყალობით.

საზგასმულია ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის სუბსიდიზირებას ახდენენ ევროკავშირის განვითარებული ქვეყნები, მათ შორის საფრანგეთი, რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს საკუთარ ფერმერებს და მთლიანად სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას.

* * *

ეროვნული ინოვაციური სისტემის (ეის) ქვეშ იგულისხმება ინსტიტუტების ერთიანობა, რომლებიც ინდივიდუალურად და ერთმანეთთან ურთიერთხემოქმედებით უზრუნველყოფენ კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებში ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და გავრცელებას. ეს არის ფინანსური სამართლებრივი და სოციალური ხასიათის ინსტიტუტების კომპლექსური სისტემა, რომელთა საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა ინოვაციური პროდუქტის შექმნას, გავრცელებასა და დანერგვას კომერციული მოგებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარებას ხელი შეუწყო მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, როგორც არის: თანამედროვე ეკონომიკის სწრაფი განვითარება, კაპიტალის ბაზრებსა და ახალ ტექნოლოგიებს შორის გაზრდილი ურთიერთკავშირი და გაძლიერებული სოციალური ორიენტაცია, ცოდნის, ტექნოლოგიების, პროდუქციისა და მომსახურების ფორმირებისა და გამოყენების მასშტაბური ხასიათი, რამაც განაპირობა ეროვნული ინოვაციური სისტემის წარმოშობა, როგორც ქვეყნის ინოვაციური განვითარების ინსტიტუციური საფუძველი.

ინოვაციური სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრინციპები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს როგორც ეროვნული რესურსებიდან და იმ ამოცანებიდან გამომდინარე, რასაც უყენებს თავის თავს ქვეყნის ხელისუფლება, ასევე ინოვაციური განვითარების მოდელთან დაკავშირებით, რომელსაც აირჩევს ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობა. ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ეის-ის განვითარების სტრატეგია განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ გატარებული მაკროეკონომიკური პოლიტიკით, ნორმატიული სამართლებრივი უზრუნველყოფით, სახელმწიფო რეგულირების პირდაპირი და ირიბი ფორმებით, მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო პოტენციალით, შიგა სავაჭრო და შრომითი ბაზრებით, ასევე ქვეყნის ისტორიული და კულტურული ტრადიციებითა და თავისებურებებით.

საფრანგეთის ინოვაციურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი და როლი უკავია მეცნიერებას, მის განვითარებასა და შემდგომი სრულყოფის საკითხს. მეცნიერება უპირატესად სახელმწიფო სფეროს, ხოლო ინოვაციური საქმიანობა ძირითადად

ბიზნესის სფეროს განეკუთვნება. ისტორიულად ჩამოყალიბებული ასეთი მიდგომა აისახება ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური სისტემის სტრუქტურაზე, რაც გამოიხატება სახელმწიფოს ფართო მონაწილეობაში ინოვაციური საქმიანობის ორგანიზებასა და დაფინანსებაში. საფრანგეთს მეცნიერულ კვლევებზე ბიუჯეტური დაფინანსების წილით მთლიან დანახარჯებთან შედარებით, ევროკავშირის ქვეყნებში საშუალო ან, ხშირ შემთხვევაში, საშუალოზე მაღალი მდგომარეობა უკავია. ამ ფონზე მნიშვნელოვნად დაბალია ქვეყნის მონაწილეობა იმ საკვლევ-სამეცნიერო პროგრამებში, რომლებიც ფინანსდება ევროკავშირის მიერ.

საფრანგეთში მეცნიერული კვლევები ფუნდამენტურ და გამოყენებით სფეროში სახელმწიფოსთან არსებული სამი კატეგორიის საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებაში ხორციელდება, რომელთაგან ძირითადია სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სხვადასხვა დარგში მოქმედი მეცნიერული კვლევების ეროვნული ცენტრები, რომელთა მიერ უზრუნველყოფილია საკვლევ-სამეცნიერო სამუშაოების 50%-მდე.

ქვეყანაში ფუნდამენტური კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება მეცნიერული კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) მიერ, გარდა მათემატიკური კვლევებისა, რომლებიც ძირითადად თავმოყრილია ეკოლ-ნორმალში, აგრეთვე რამდენიმე მსხვილ უნივერსიტეტში, ძირითადად სორბონისა და ნანსის უნივერსიტეტებში. საფრანგეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის ოცეულში შედის აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის ეროვნული ცენტრი (Inserm), პასტერის ინსტიტუტი, აგრონომიული კვლევების ეროვნული ცენტრი (Inra) და სხვა.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნება სახელმწიფო სამრეწველო-კომერციული დაწესებულებები, რომლებიც ძირითადად დაკავებული არიან გამოყენებითი კვლევებით ეროვნული მეურნეობის მნიშვნელოვან მეცნიერებადტევად სექტორში.

ქვეყანაში სხვადასხვა დარგის ინოვაციური განვითარებით დაკავებულია საფრანგეთის ინოვაციური სააგენტო, რომელიც ორმხრივ დაქვემდებარებაშია (მრეწველობის სამინისტრო და სამეცნიერო-კვლევების სამინისტრო). სააგენტოსათვის დამახასიათებელია რეგიონულ დონეზე დეცენტრალიზებული სტრუქტურა ფართო წარმომადგენლობით. სააგენტო ახდენს საწარმოების ფი-

ნანსურ მხარდაჭერას ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის.

საფრანგეთში მოქმედებს ათეულობით ბიზნესინკუბატორი, რომელთა მთავარ ამოცანას წარმოადგენს დამწყები საწარმოებისათვის კონსულტაციების გაწევა მათი, როგორც ფორმირების, ისე ფუნქციონირებისა და ლიკვიდაციის პერიოდში. საწარმოების დიდმა რაოდენობამ ამ ფუნქციით უკვე ისარგებლა. ახლად ჩამოყალიბებული ინოვაციური საწარმოების თანამშრომლები შემდგომშიც აგრძელებენ სწავლას ბიზნესინკუბატორებში.

საფრანგეთის ინოვაციური სისტემის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია – ორგანიზაციები (OSED), რომლებიც ქვეყანაში ბანკების გვერდით საქმიანობენ ინოვაციური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით.

მესამე კატეგორიას მიეკუთვნება უმაღლესი დაწესებულებები. მათ შორის – 160-მდე უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, 85 უნივერსიტეტი და უმაღლესი ეროვნული სკოლა. აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები მჭიდრო კავშირში არიან ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან.

ქვეყანაში მეცნიერული კვლევების რეალურ მდგომარეობაზე, ინოვაციურ პოლიტიკასა და გამართულ ინოვაციურ სისტემაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფო ორ უწყებაზე ნაწილდება: მეცნიერული კვლევების სამინისტროსა და მრეწველობის სამინისტროზე. მეცნიერებისა და ინოვაციური სფეროს ღრმა ტრანსფორმაციას ქვეყანაში ხელი შეუწყო 2004 წელს დაწყებულმა რეფორმებმა, 2005 წელს მეცნიერული კვლევების ეროვნული სააგენტოს (Agence nationale de la Recherche) შექმნამ და 2006 წელს მიღებულმა კანონმა სამეცნიერო კვლევების დაფინანსების შესახებ, რითაც ქვეყანაში შეძლეს შეექმნათ მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობდა ინოვაციური პროექტების სახელმწიფო დაფინანსებისა და შეფასების, ასევე კერძო სექტორში მეცნიერული კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერისა და სტიმულირების საკითხებს. აღნიშნულის გარდა, შეიქმნა რიგი სააგენტოები, როგორცაა: სახელმწიფო კვლევით ლაბორატორიებსა და საწარმოებს შორის კოოპერირების სფეროში მასშტაბური სამრეწველო პროგრამების დაფინანსების მიზნით – სამრეწველო ინოვაციის სააგენტო (Agence de innovation industrielle).

საფრანგეთში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ დონეზე ისეთ მნიშვნელოვან უწყებას, როგორც არის ინოვაციების ეროვნული სააგენტო – ANVAR, რომელიც ფუნქციონირებს და შეთავსებით წარმართავს საქმიანობას მეცნიერული კვლევების სამინისტროსა და მრეწველობის სამინისტროსთან ერთად. აღნიშნულ სააგენტოს სოლიდური ბიუჯეტი გააჩნია. იგი მონაწილეობას იღებს 4 ათასზე მეტი ინდივიდუალური პროგრამის რეალიზაციაში. სააგენტოს მისიას წარმოადგენს:

1. საწარმოების შექმნისა და ინოვაციების შემუშავების საინვესტიციო მხარდაჭერა მრეწველობაში დასაქმებული მცირე და საშუალო მეწარმისათვის.

2. საზოგადოებრივი კვლევების კომერციული გამოყენების დაწინაურება და მათი წვლილი ინოვაციის მეშვეობით ეროვნული მეურნეობის განვითარებასა და ზრდაში.

3. ქვეყანაში სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკა კოორდინირებულია რეგიონული საქმეების გენერალურ სამდივნოსთან (General Secretariat of regional affairs – SGAR), რომელიც თავისი უფლებების რეალიზაციას ძირითადად პრეფექტების მეშვეობით ახორციელებს. კვლევებისა და მრეწველობის სამინისტროების რეგიონული დანაყოფები ამ უწყებების უფლებების შესაბამისად პასუხს აგებენ მაკონტროლებელი ფუნქციის შესრულებაზე. მთლიანობაში, ქვეყანაში რეგიონულ დონეზე არსებობს მრავალი მოქმედი ორგანიზაცია, ისეთი, როგორცაა:

– ტექნიკური ცენტრები;

– ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გადაცემის რეგიონული ცენტრები (CRITT) და ტექნოლოგიური რესურსების ცენტრები (CRT), რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო და ტექნოლოგიურ მომსახურებას;

– ცენტრები, რომლებიც აერთიანებენ ეროვნულ სახელმწიფო კვლევით ლაბორატორიებსა და კერძო კვლევით ინსტიტუტებს;

– ინსტიტუციური სტრუქტურების ქსელი (ANVAR/OSEO, DRIRE, DRRT, chambers of commerce და სხვა), რომელიც გამიზნულია მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტიციური და ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური განვითარებისათვის;

– რეგიონული სამეცნიერო პარკები (ტექნოპოლისები).

საფრანგეთის ხელისუფლება ინოვაციური სისტემის ყოვლის-მომცველი სამეცნიერო-საწარმოო ბაზის შექმნის მიზნით ამსხვი-ლებს განათლების დაწესებულებებს. ქვეყანაში განათლების დაწესებულებების საქმიანობის შეფასების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს მათი კავშირი წარმოებასთან. რეგიონებში შე-ქმნილია ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები, რომლებთანაც მუშაობს ხუთ ათეულამდე უნივერსიტეტი და ოთხ ათეულზე მეტი ტექნიკური სკოლა. საფრანგეთი გამოირჩევა წარმოებასა და გა-ნათლებას შორის ჩამოყალიბებული ცოცხალი კავშირით, რისი დასტურიცაა ის, რომ ქვეყანაში არსებული საწარმოები აფინანსე-ბენ მომავალი სპეციალისტების, მათ შორის სტუდენტების, ასპირ-ანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორების სწავლას. ამასთან, საწარმოების დაფინანსებით მომზადებული კადრები-სათვის აუცილებელი არ არის რომ ისინი დაკავდნენ მეცნიერულ-კვლევითი საქმიანობით, არამედ შეუძლიათ დაიწყოთ მუშაობა ორგანიზაციულ სტრუქტურებში, მენეჯმენტში. საფრანგეთის გა-ნათლების სამინისტრო რიგი ღონისძიებებით ცდილობს სტიმული მისცეს ახალგაზრდა მკვლევარების მეწარმეობრივ აქტივობას, ასევე დაეხმარონ მათ, ჩაერთონ იმ ინოვაციურ პროექტებში, რომლებსაც ახორციელებს საწარმოები, რისთვისაც იქმნება დამატებითი კვალიფიკაციები პოსტდოქტორანტურები (Post-docto- rants) CYFRE ან DRT (მკვლევარ-ტექნოლოგების დიპლომი). ეს ახ-ალი სპეციალობები თავიანთი მობილურობითა და მოქნილობის წყალობით შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდა მკვლევარს, წარმატებით წარუდგინოს თავი, უნარი და შესაძლებლობები საწარმოებს.

ამ მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე რიგი ღონისძიებები, რო-მელსაც ახორციელებს სტუდენტებში მეწარმეობრივი აქტიურობის მხარდაჭერის მიზნით პედაგოგიური პრაქტიკის ობსერვატორიები, ასევე სწავლების შუა საფეხურზე კონკურსები „ახალგაზრდების ინიციატივები“ და სხვა.

საფრანგეთის ინოვაციური სისტემა მუშაობს კონკურსის საფუძველზე და იმ პროექტების დაფინანსებაში, რომელიც შერჩეულია საწარმოების მიერ დამოუკიდებლად, სულ უფრო მეტია კერძო ინიციატივის წვლილი, მიუხედავად ინოვაციებისადმი ცენტრალიზებული მიდგომისა, სახელმწიფოს როლი მათ მიმართ

არ კარგავს გავლენას. ასეთ პირობებში ძირითადი დატვირთვა მოდის თვით საწარმოებზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საფრანგეთის ეროვნული პროგრამა „კონკურენტუნარიანობის პოლუსი“, რომელსაც რეგიონებში ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები აფინანსებენ.

კონკურენტუნარიანობის პოლუსები შესაძლებლობას აძლევს საწარმოებს, უნივერსიტეტებს, მეცნიერებს და დამამუშავებლებს, იმუშაონ ერთად ურთიერთკავშირში.

კონკურენტუნარიანობის პოლუსებს ქმნიან და აყალიბებენ ეროვნული ძალისხმევის მობილიზაციის მიზნით ქვეყნის სერიოზული სოციალ-ეკონომიკური პრობლემების (კრიზისები, მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნის, ეკონომიკაში სამუშაო ადგილების მკვეთრი შემცირების დროს და ა. შ.) პერიოდში, ერთობლივი ძალისხმევის საფუძველზე დანახარჯების შესამცირებლად, სხვადასხვა რესურსის გამოყენების გააქტიურებისათვის (ბუნებრივი, საწარმოო, მეცნიერულ-ტექნიკური და ა. შ.) და კერძოსა და სახელმწიფოს შორის არსებული პარტნიორობის განსავითარებლად. მრავალი მათგანი წარმოიშობა სამრეწველო კლასტერების, ლოკალური – ადგილობრივი საწარმოო სისტემების ან ტექნოპარკების საფუძველზე. კონკურენტუნარიანობის პოლუსები სახელმწიფოს კლასტერული სტრატეგიის განვითარების პრინციპულად ახალი ეტაპია. ეს პოლუსები ახალი და ძლიერი სტიმულია თანამშრომლობისთვის საწარმოებს, მეცნიერულ ცენტრებსა და უმაღლესი სკოლის დაწესებულებებს შორის ორგანიზებული ტერიტორიული ქსელების ერთობლივი ინოვაციური პროექტებისა და მთლიანი სტრატეგიის განსავითარებლად.

კონკურენტუნარიანობის პოლუსები განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კერძო მეცნიერულ-კვლევითი ლაბორატორიებისა და ერთობლივი პროექტების ირგვლივ წარმოქმნილი დაწესებულებების ძლიერი ინოვაციური გაერთიანებებია განვითარების ერთიანი სტრატეგიით.

აღნიშნული პარტნიორობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბაზართან და მიბმულია განსაზღვრულ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ მიმართულებასთან. გამიზნულია იმ კრიტიკული მასის მოსაძიებლად, რომელსაც მიყვავართ კონკურენტუნარიანობის ამაღლებამდე და საერთაშორისო აღიარებამდე.

„კონკურენტუნარიანობის პოლუსი“-ს სახელმწიფო პროგრამა ხელს უწყობს და რეალიზებას უკეთებს ინოვაციების მხარდაჭერის სიმძიმის ცენტრის გადატანას ქვეყნის რეგიონებში. პროგრამის დახმარებით წარმოებს უცხოელი ინვესტორების მოზიდვ და ფრანგული ინოვაციური სფეროთი მათი დაინტერესება. „პოლუსები“-ს ყურადღება ძირითადად გადატანილია აეროკოსმოსურ, საზღვაო და სატრანსპორტო სფეროებზე. „პოლუსები“-ს შედეგიანობის შეფასება და მათი მხარდაჭერა ხორციელდება არა მხოლოდ ფედერალურ, არამედ რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე.

კონკურენტუნარიანობის პოლუსის სტატუსის მისაღებად პოლუსისათვის განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად კრიტერიუმს:

– განვითარების სტრატეგია დაკავშირებული უნდა იყოს პოლუსის ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების გეგმასთან. სამრეწველო ან ტექნოლოგიური თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს მისი საერთაშორისო მნიშვნელობა.

– პოლუსებში მონაწილეთა შორის პარტნიორობა.

– სკსს-ის სფეროში ერთობლივი საქმიანობის უნარი და ამის საშუალებით მაღალი დამატებითი ღირებულების შექმნა.

კონკურენტუნარიანობის პოლუსების განვითარების მხარდასაჭერად სახელმწიფო ქმნის მთელ რიგ სპეციალურ საფინანსო მექანიზმებს და გამოყოფს ფრიად სოლიდურ ფულად საშუალებებს; ეს ფინანსური დახმარება ხორციელდება 3 ძირითადი ფორმით;

– შეღავათიანი პირობებით კრედიტი მოწყობილობის შესაძენად;

– დაფინანსება სპეციალიზებული სახელმწიფო ფონდებიდან – ეროვნული სააგენტო მეცნიერულ კვლევებზე, სამრეწველო ინოვაციების სააგენტო, ერთიანი სამინისტროთაშორისო ფონდი, OSEO და სხვა.

– სოციალური და საგადასახადო ტვირთის შემცირება. ჯერჯერობით კონკურენტუნარიანობის პოლუსებთან დაკავშირებით ზემოქმედების არასაკმარისი ტრადიციული საგადასახადო ბერკეტები გამოიყენება, რომელთა მასტიმულირებელი ეფექტი დღეისათვის ფრიად უმნიშვნელოა.

საფრანგეთის სურვილი, დარჩეს ევროპის ქვეყნების ლიდერთა ჯგუფში, უშუალოდ დაკავშირებულია მეცნიერულ-კვლევითი პოტენციალის ამაღლებასთან, რისთვისაც ქვეყნის მთავრობა ზრდის დაფინანსებას მეცნიერულ კვლევებსა და გრანტებზე, რაც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების ზრდას კვლევით სექტორში. ადმინისტრაციული სტრუქტურების შემცირების ხარჯზე ძირითადი რესურსების მობილიზაცია ხდება უნივერსიტეტების ლაბორატორიების და კვლევითი ორგანიზაციების სასარგებლოდ.

საფრანგეთში ფუნქციონირებს ტექნოპარკები, რომლებიც წარმოადგენენ მეცნიერების, განათლებისა და წარმოების ტერიტორიული ინტეგრაციის ფორმას სამეცნიერო ორგანიზაციების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროების, სასწავლო დაწესებულებების, საწარმოების ან მათი ქვედანაყოფების გაერთიანების სახით. ერთიან ტერიტორიაზე მათი გაადგილების შემწევობით მარტივდება და ჩქარდება ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოების პროცესი. ასევე იზრდება კომუნიკაციის დონე მეცნიერებასა და ბიზნესს შორის. საფრანგეთის ტექნოპარკების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოწყობილობებზე ღიად და თავისუფლად დაშვების უზრუნველყოფა, რასაც კარგად იყენებს საწარმოთა უმრავლესობა. დანადგარებსა და მოწყობილობას, რომელიც აუცილებელია გარკვეული სახის პროდუქციის საწარმოებლად, ტექნოპარკები შეიძენენ სახელმწიფო და რეგიონული პროგრამებით. ამასთან, ქვეყანაში გაადგილებული ტექნოპარკები ხელს უწყობს:

- მონაწილეების მიერ ერთობლივი პროექტების ინიცირებასა და რეალიზებას;
- მონაწილეებსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის განვითარებას;
- მონაწილეების მიერ ინვესტორებისაგან დამატებითი გარანტიის მიღებას;

საფრანგეთის რეზიდენტები სხვა საწარმოებთან ურთიერთობას ამყარებენ საგამოფენო საქმიანობის ჩვენებით. ტექნოპარკების საქმიანობაში შეიძლება გამოვყოთ ისეთი მომსახურების შეთავაზება, როგორიცაა:

1. ბიზნესის განვითარებისთვის ბიზნესგეგმისა და სტრატეგიის შემუშავება;

2. საწარმოთა რეზიდენტების მენეჯერებისთვის ტრენინგებისა და კურსების ჩატარება.

ქვეყნის ტექნოპარკების საარენდო გადასახადი დაბალია, ვიდრე საშუალოდ უძრავი ქონების ბაზარზე, რაც არსებითად ამცირებს რეზიდენტების დანახარჯებს.

საფრანგეთში ტექნოპარკების დაფინანსება ხდება კრედიტით და საბიუჯეტო საშუალებებით. როგორც წესი, პროექტების დაფინანსების 6,7% მოდის საკრედიტო საშუალებებზე და 93,3% – საბიუჯეტო საშუალებებზე. ტექნოპარკების დაფინანსება ასევე ხდება მუნიციპალური მთავრობის მიერ. კრედიტები, რომელსაც იღებს ტექნოპარკი თავისი განვითარებისთვის, უბრუნდება ბანკს საარენდო გადასახადის სახით, რომელთა გადახდა წარმოებს მათი რეზიდენტების მიერ 20 წლის მანძილზე.

საფრანგეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს ბიზნესკლუბები, საწარმოთა ასოციაციები, რომლებიც ურთიერთგაცნობის გზით ეხმარება მცირე ბიზნესს ბაზარზე შესვლაში; ბიზნესკლუბის ფუნქციებია:

- ა) პროექტისა და ბიზნესის ექსპერტიზა;
- ბ) ბიზნესის წარმომადგენლების ურთიერთგაცნობა;
- გ) გამოცდილების გაზიარება;
- დ) მათთვის კონსულტაციის გაწევა და მხარდაჭერა.

საფრანგეთის განათლების სამინისტროს რიგი ღონისძიება მიმართულია იმაზე, რომ სტიმული მიეცეს ახალგაზრდა მკვლევარების მეწარმეობრივ აქტივობას. დაეხმარონ მათ, ჩაერთონ ინოვაციურ პროექტებში, რომელთა რეალიზებას ახდენენ საწარმოები. ამ მიზნით შექმნილია დამატებითი კვალიფიკაციები, რომლებიც მობილური პირობების წყალობით, შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდა მკვლევარებს, წარმატებით გაიკეთონ კარიერა საწარმოებში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საფრანგეთში მიღებული კანონები მოწოდებული იყო ნის-ის რეორგანიზაციასა და მოდერნიზებაზე. ამასთან, ქვეყნის მთავრობამ მიმდინარე ათწლეულში მიიღო რიგი სამართლებრივი აქტი ინოვაციაზე, რამდენიმე პროგრამა და პერსპექტიული გეგმა, განახორციელა საინოვაციო საგადასახადო რეფორმა და სხვა. მთავრობის აღნიშნული

ღონისძიებები მიმართული იყო სრულყოფილი ინოვაციური სისტემის ფორმირებისათვის.

ბოლო წლებში მრავალი განვითარებული ქვეყნის ინოვაციური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება კლასტერული სტრატეგია. მომავალში სწორედ კლასტერული მიდგომა ითამაშებს ძირითად როლს ეროვნული ინოვაციური სისტემების ტრანსფორმაციის მიმართულების განსაზღვრაში.

სპეციალისტების განმარტებით, კლასტერი (cluster) არის კომპლექსური ცნება და გულისხმობს გეოგრაფიულად ახლო ურთიერთდაკავშირებული კომპანიებისა და სხვა ორგანიზაციების ჯგუფს, რომლებიც მოქმედებენ განსაზღვრულ სფეროში და ხასიათდებიან საქმიანობის ერთიანობით, ან ეს არის საერთო საკითხებზე მომუშავე კომპანიებისა და ორგანიზაციების კავშირი. საგულისხმოა, რომ კლასტერის ფარგლებში წინა პლანზე წამოწეულია არა ცალკეული ფირმისა და ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობა, არამედ მათი „კოლექტიური ეფექტიანობა“. ერთი მონაწილის წარმატება სტიმულს აძლევს შემდგომს, რის შედეგადაც კლასტერი ეკონომიკურად გაცილებით მომგებიანია, ვიდრე მასში შემავალი თითოეული სუბიექტის დამოუკიდებლად მოღვაწეობა.

1) ინოვაციური კლასტერი წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის უმაღლესი ხარისხის მიღწევის ეფექტურ ფორმას. იგი ცოდნის, მეცნიერული აღმოჩენებისა და გამოგონებების სწრაფ და ეფექტურ ტრანსფერს უწყობს ხელს.

2) ჰორიზონტალური კლასტერის ტიპს მიეკუთვნება „აგროს-ამრეწველო კლასტერი“ – წარმოების სხვადასხვა დარგის გაერთიანება ერთ მეგაკლასტერში.

ექსპერტების პროგნოზით, 2025 წლისათვის საფრანგეთის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა დაეფუძნება ეროვნული ინოვაციური სისტემის მონაწილეთა შორის ინტენსიურ თანამშრომლობას. ეროვნული ინოვაციური სისტემის სტრუქტურული გარდაქმნა უნდა განხორციელდეს შეზღუდული რაოდენობის ინოვაციური კლასტერების ირგვლივ, რომელთა დამსახურებამ შეიძლება მოხიბლოს და მოიზიდოს მთელი მსოფლიოს ტალანტები, ცოდნა და ინოვაციები. ამ კლასტერების ძირითადი მონაწილეები არიან სამეცნიერო ცენტრები, უმაღლესი სკოლების

დაწესებულებები, მსხვილი საწარმოები, რომლებიც სარგებლობენ საერთაშორისო აღიარებით. აქტიურ მონაწილეობას იღებენ ასევე მცირე და საშუალო კომპანიები, განსაკუთრებით ახალი ინოვაციური საწარმოები. ამ კლასტერების საქმიანობა კონცენტრირებულია ძირითადად რამდენიმე მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებაზე (ტელეკომუნიკაციური სისტემები, ბიოტექნოლოგია, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, ეკონომიკა და ფინანსები, მულტიმედია, თვითმფრინავთმშენებლობა, კოსმოსი, ენერჯეტიკა და უშიშროება). სახელმწიფო გააგრძელებს აქტიურად თანამშრომლობს და მონაწილეობა მიიღოს ინოვაციური კლასტერების შექმნაში. ამასთან, მათი ტერიტორიული გაადგილება მოხდება არა სახელმწიფო დაკვეთით, არამედ მათი განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე.

თითოეულ ქვეყანას გააჩნია კლესტერული სტრატეგიის რეალიზაციის საკუთარი სპეციფიკა. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს საფრანგეთის გამოცდილება, რომელმაც 2005 წლიდან აიღო ქვეყანაში ინოვაციურ-ტექნოლოგიური კლასტერებისა და კონკურენტუნარიანობის პოლუსების განვითარების კურსი.

საფრანგეთში კლასტერები არის ერთიან ტერიტორიაზე კონცენტრირებული, ურთიერთდაკავშირებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ჯგუფი, რომელთაც გააჩნიათ ერთმანეთის ურთიერთშემავსებელი და გამაძლიერებელი კონკურენტული უპირატესობა როგორც ცალკეული კომპანიის, ისე მთლიანად კლასტერისათვის. საფრანგეთში კლასტერებს ასევე უწოდებენ „კომპეტენციის პოლუსებს“, რომელთა რეზიდენტები ცნობილია მსოფლიო ბაზარზე.

საფრანგეთში კლასტერები მუშაობენ საწარმოებთან შემდეგი მიმართულებით:

- საწარმოს საერთაშორისო განვითარება;
- საწარმოს ინოვაციური განვითარება;
- საწარმოს საგამოყენო საქმიანობის ორგანიზაცია;
- საწარმოს თანამშრომლების განათლება.

კლასტერის თანამშრომლები თავიანთ პროდუქციას რეკლამას უკეთებენ და აცნობენ საზოგადოებას კონფერენციების, სოციალური ქსელის, თემატიკური შეხვედრების, „სამუშაო მაღაზიებისა“ და სხვა ღონისძიებით.

საფრანგეთში კლასტერები ძირითადად ხელისუფლების ხელ-
შეწყობითა და ინიციატივით იქმნება. ამასთან, არსებობს კლას-
ტერული გაერთიანების ფორმირების მაგალითები თვით საწარმოს
ინიციატივითაც. ქვეყანაში მრავალი კლასტერი ფუნქციონირებს,
რომელთა უმრავლესობის სპეციალიზაციაა ფარმაცევტიკა და
კოსმეტოლოგია, ასევე საკვები პროდუქტების წარმოება. საფრანგ-
ეთში არსებობს კოსმეტიკისა და პარფიუმერიის სფეროში მსოფ-
ლიოში პირველი რესურსცენტრი. ყოველი მეათე კოსმეტიკური
პროდუქტი, რომელიც ამჟამად იყიდება მსოფლიოში, იწარმოება
კლასტერში. აღნიშნული კლასტერი ითვლის დაახლოებით 600
საწარმოს, რომლებიც დაკავებული არიან სამუშაოს ყველა
ეტაპით გამოკვლევიდან – წარმოებამდე. კლასტერში, რომელიც
წარმოადგენს ცოდნისა და გამოცდილების უნიკალურ ნიმუშს,
ასევე შედის 7 უნივერსიტეტი, მსხვილი ეროვნული კვლევითი ინ-
სტიტუტები და 200 კერძო და სახელმწიფო ლაბორატორია [8].

ევროკავშირის ჩამოყალიბების ადრეული პერიოდიდან განსა-
კუთრებული ყურადღება ექცეოდა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო
პოლიტიკის (ესსპ) შემუშავებასა და რეალიზაციას, რაც გარკვე-
ული ზომით ხელს უწყობდა ამ სფეროს ინოვაციურ განვი-
თარებას. 1957 წლის ევროკავშირის რომის შეთანხმებით განი-
საზღვრა მიზანი, რომელიც ითვალისწინებდა: 1. სურსათის სტა-
ბილურ მიწოდებას მისაღებ ფასებში; 2) ფერმერებისათვის ღირ-
სეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფას; 3) მეცნიერულ-
ტექნიკური პროგრესის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო წარმოე-
ბის შემდგომ განვითარებას.

1962 წელს შემუშავდა ესსპ-ის რეალიზაციის სამი ძირითადი
პრინციპი: 1) ბაზრის ერთიანობა; 2) ევროკავშირის ქვეყნებში პრო-
დუქტებისათვის უპირატესობის მინიჭება; 3) ფინანსური ერთია-
ნობა. ესსპ-ის განვითარების გრძელვადიანი გეგმის საფუძველზე
(რომელიც შეიმუშავა ევროპის სოფლის მეურნეობის კომისარმა
სიკო მანსოლტიმ), 1980 წელს შეიქმნა ევროპის სოფლის მეურ-
ნეობის პროგრამა, რომელმაც სათავე დაუდო გაერთიანებული
ევროპის სოფლის მეურნეობის ახალ სოციალურ და სტრუქ-
ტურულ პოლიტიკას. რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, 1984
წელს შემოღებული იქნა კვოტები რძის პროდუქტებზე, ხოლო 1988

წელს ფერმერთა მხარდასაჭერად შემოიღეს „დანახარჯების ჭერი“ [5].

1992 წელს რაი მაკშერის (ევროპის სოფლის მეურნეობის კომისარი) მიერ შემუშავებული რეფორმით გატარდა მზარდი წარმოების შეზღუდვის ღონისძიებები, რაც ასევე ეხებოდა თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის განვითარებას, სახელდობრ: ფასების შემცირებას, სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფას, ფერმერების შემოსავლების სტაბილურობის გარანტიების შექმნას, გარემოს დაბინძურებას და ფერმერებისათვის შემოსავლების ალტერნატიული წყაროების ძიებას [11].

2003 წელს ევროკავშირმა მიიღო ესსპ-ის რეფორმის გეგმა, რომელიც ეფუძნებოდა სუბსიდირების გამოყოფას განსაზღვრულ კულტურებზე. მის ძირითად მიზანს შეადგენდა ფინანსების კონცენტრირება გარემოს დაცვისა და პირუტყვისათვის კარგი პირობების შექმნის პროგრამებზე. 2007 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა წინადადებები მიწების კერძო მფლობელების და ფერმა-ქარხნების სუბსიდირების შეზღუდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული გეგმის განხორციელება წარუმატებელი აღმოჩნდა ფერმერთა კავშირებისა და სხვა ორგანიზაციების ოპოზიციის გამო. 2011 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა ესსპ-ის რეფორმის პროექტი [12], რომლის შესახებ 2013 წელს მოხდა შეთანხმება ევროკომისიას, ევროპარლამენტს და ევროსაბჭოს შორის [13]. 2014 წელს ევროკომისიამ მიიღო საკანონმდებლო აქტების მონაცემების პირველი პაკეტი [18]. რეფორმა გამიზნული იყო გამოყოფილი ფინანსური საშუალებების უფრო ეფექტურ გამოყენებაზე, რაც მიმართული იყო სოფლისმეურნეობრივ სექტორში ძირითადად საშუალო და მცირე საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ.

ესსპ-ის რეფორმებმა ევროკავშირის ქვეყნებში, მათ შორის საფრანგეთში ხელი შეუწყო ინოვაციების ფართოდ დანერგვას სოფლის მეურნეობაში. სამეცნიერო-კვლევითმა პროექტებმა და მიღწეული შედეგების დანერგვამ და გავრცელებამ აამაღლა სექტორის ქმედუნარიანობა და მნიშვნელოვნად შეამცირა გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება.

ესსპ-ის რეალიზაციაზე იხარჯება ევროკავშირის ბიუჯეტის დაახლოებით ნახევარი, ამდენად იგი წარმოადგენს ევროინტეგრაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს.

ისე, როგორც ევროკავშირში მთლიანად, თანამედროვე პერიოდში საფრანგეთში დიდი ყურადღება ექცევა ინოვაციური სისტემის ეფექტურობის ამაღლების გზების ძიებას, რისთვისაც დაისახა ამ მიმართულებით რიგი ღონისძიება, რაც ითვალისწინებდა:

– სამეცნიერო პერსონალის სახელმწიფო სექტორიდან ბიზნესში გადასვლის სტიმულირებას;

– სახელმწიფო სამეცნიერო სფეროსა და კომერციულ საწარმოებს შორის თანამშრომლობის წახალისებას ინკუბატორებისა და ბიუროების შექმნის გზით;

– სამართლებრივი ბაზის სრულყოფას სამეცნიერო პერსონალის სტიმულირების მიზნით, ერთობლივი ინოვაციური ფონდის განვითარებას და სხვა.

საფრანგეთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მას სოფლის მეურნეობის კულტურების მრავალფეროვნებით და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ფართობის წყალობით ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის მოცულობით. მიუხედავად პრობლემებისა, საფრანგეთის სოფლის მეურნეობა ვითარდება და წარმატებებს აღწევს უპირატესად ავტომატიზაციის, სელექციაში გენეტიკური მეთოდების დანერგვით, ახალი სახის საკვების გამოყენებით, ნიადაგის განოყიერებისა და მოვლის ახალი მეთოდებისა და ხერხების წყალობით. ყველაფერი ეს შესაძლებლობას აძლევს საფრანგეთს, უფრო აქტიურად ჩართოს სოფლის მეურნეობა მსოფლიოს მთლიან მწარმოებლურ ციკლში. ევროკავშირის მთლიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში მონაწილეობა ერთი მხრივ უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფერმერების დამატებით მხარდაჭერას, ხოლო მეორე მხრივ, ეს პროცესი გარკვეულად ზღუდავს ექსპორტს, რაც კრიზისით ემუქრება ქვეყნის ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო რეგიონს, მით უფრო, რომ მეცხოველეობას ზიანს აყენებს ზოგიერთი სახის ეპიდემია. ამასთან, საფრანგეთის სოფლის მეურნეობა დიდ როლს თამაშობს სოფლის ტერიტორიისა და მისი ეკოლოგიური

მდგომარეობის შენარჩუნებისა და დაცვის საქმეში. სოფლის მეურნეობის კრიზისმა შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი რეგიონის დაცარიელება. თავის მხრივ, ეკონომიკის ამ ტრადიციული დარგის – სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარება მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის.

აგროსამრეწველო კომპლექსი (განსაკუთრებით ღვინის, კონიაკის, ყველის, რძის პროდუქტების წარმოება) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სფეროს, რომელიც ანაზღაურებს არადამაკმაყოფილებელ სავაჭრო ბალანსს ინფორმატიკის, ჩარხმშენებლობის, ელექტრონიკისა და ელექტროტექნიკის სფეროში [15].

ქვეყანა დასავლეთ ევროპაში სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის საკმაოდ მსხვილი მწარმოებელია. წამყვანი დარგია მეცხოველეობა, რომლის წილი აგრარული პროდუქციის ღირებულების 2/3-ს შეადგენს. საფრანგეთი წარმოადგენს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პირველს ქერისა და შაქრის წარმოებაში. იგი მეორე ადგილზეა ხორბლის, ღვინისა და ხორცის წარმოებაში. ქვეყანა ცნობილია ისეთი ტრადიციული დარგებით, როგორცაა მევენახეობა, მეხილეობა, ხამანწკების რეწვა. სოფლის მეურნეობა მაღალინდუსტრიული დარგია, ტექნიკის უზრუნველყოფით და ქიმიური საშუალებების გამოყენებით მას უსწრებს ნიდერლანდები, გერმანია და დანია. ტექნიკით უზრუნველყოფამ და მეურნეობის მაღალმა აგროკულტურამ განაპირობა ქვეყნის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციით (მარცვლეული, შაქარი, კარაქი, კვერცხი და ხორცი) თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის მაღალი დონე.

საფრანგეთში, ფერმერული ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ერთობლივი მართვით, სოფლად კვლევებს მნიშვნელოვნად აფინანსებს სახელმწიფო, აგრეთვე ფერმერებისა და ფერმერული ორგანიზაციების მხრიდან წილობრივი გადახდებით ხორციელდება სხვადასხვა მომსახურებები.

საფრანგეთში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო კვლევას, რომელიც ძირითადად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტების, უნივერსიტეტებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტების ან უნივერსიტეტებთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო კოლეჯების საშუალებით. ეს დაწესებულებები საქმიანობენ სოფლის მეურნეობასთან და-

კავშირებული სამინისტროების ან განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში.

საფრანგეთში სოფლის მეურნეობის ინოვაციური კვლევა მნიშვნელოვანია ამ სფეროს შემდგომი განვითარებისათვის. ფერმერების მიერ შექმნილი და მართული სასოფლო-სამეურნეო კვლევისა და შემუშავებების ინსტიტუტები განკუთვნილია გამოყენებითი კვლევების, ექსპერიმენტებისა და ტექნიკური მხარდაჭერისათვის, ისინი აერთიანებენ სასწავლო და გამავრცელებელ ორგანიზაციებს. მათი საქმიანობა ორიენტირებულია კვლევით შედეგებზე. სექტორების მიხედვით სპეციალიზებული მეცნიერთა ჯგუფები ასევე წარმოადგენს სიახლეების გამავრცელებლებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად რეგიონებში.

სასოფლო-სამეურნეო კვლევისა და შემუშავებების ინსტიტუტები წარმოადგენს კერძო ერთეულებს, რომელთაც ეხმარება სამეცნიერო საბჭო და ისინი ფულად დახმარებას იღებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური სახელმწიფო ფონდებიდან. ისინი ძირითადი ტენდენციების გათვალისწინებით გეგმავენ კვლევებისა და შემუშავებების განხორციელებას, განსაზღვრავენ მომხმარებლების საჭიროებებს, აკავშირებენ ცოდნასა და გამოცდილებას, გადასცემენ და ავრცელებენ შედეგებს საბოლოო მომხმარებელზე.

საფრანგეთში არსებობს რიგი სააგენტოები, რომლებიც ეწევიან საკონსულტაციო მომსახურებას, ისინი წარმოადგენენ დამაკავშირებელ სტრუქტურას სოფლის მეურნეობის კვლევასა და ფერმერებს შორის. ასევე მნიშვნელოვანია ინოვაციური სისტემის ფერმერული ორგანიზაციები, მწარმოებელთა ასოციაციები და კოოპერატივები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ქვეყნის სოფლისმეურნეობრივი სექტორის განვითარება.

სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას ახდენენ ევროკავშირის განვითარებული ქვეყნები, რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს საკუთარ ფერმერებს და მთლიანად სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას.

საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში, სადაც დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 7%, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლების დასახმარებლად წელიწადში იხარჯება დაახლოებით 38 მლრდ ევრო. ქვეყნის სოფლის მეურ-

ნეობაში შემოსავლის თანხის გაანგარიშება, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, წარმოებს მიწის კადასტრის მონაცემების, საწარმოო ხარჯების, პროდუქციის ღირებულების, კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გათვალისწინებით.

სახელმწიფო რეგულირების წარმატებული გამოცდილება გააჩნია საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო პალატებს, რომელთა ძირითადი ფუნქციაა ფერმერებისთვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. ქვეყნის 93 დეპარტამენტში საქმიანობს სასოფლო-სამეურნეო პალატა, რომლებიც გაერთიანებული არიან რეგიონულ პალატებში (23 რეგიონი). თავის მხრივ, ისინი გაერთიანებული არიან სასოფლო-სამეურნეო პალატების ეროვნულ ასამბლეაში. დეპარტამენტის პალატას კომუნებში აქვს ფილიალები, სადაც მუშაობენ სხვადასხვა სფეროს კონსულტანტები. კონსულტანტები ახორციელებენ ფერმერთა მომსახურებას წარმოების ორგანიზაციასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში. სოფლად კონსულტაციების ნაწილი უფასოა, მათი ანაზღაურება წარმოებს პალატის ბიუჯეტიდან, ხოლო ნაწილი – ფასიანია. დიდია ხელისუფლების როლი იმ დახმარებებში, რომელსაც ფერმერებსა და მათ გაერთიანებებს უწევენ. დახმარების ერთ-ერთი სახეა გრძელვადიანი (20-30 წლიანი) კრედიტების გამოყოფა, ასევე მიწის კანონმდებლობის სრულყოფა და სხვა.

საფრანგეთს გააჩნია კარგი გამოცდილება კოოპერატივებისა და ასოციაციების ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელებაში.

საფრანგეთში განსაკუთრებული პრიორიტეტით სარგებლობს პროექტები სახელმწიფოსა და კერძო კვლევით სექტორს შორის კოოპერაციის სფეროში ინოვაციური საწარმოების შესაქმნელად, რომლებსაც აფინანსებს მთავრობა სპეციალური კვლევითი და ტექნოლოგიური ფონდებიდან, ასევე CJR კრედიტი მეცნიერული კვლევების ჩასატარებლად, რომელიც წარმოადგენს ინოვაციური საწარმოების დაფინანსების მნიშვნელოვან საშუალებას. იგი ხელს უწყობს საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და მხარს უჭერს მათ კვლევით ინიციატივას. ამ კრედიტით სარგებლობა შეუძლია ყველა სამრეწველო, კომერციულ და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს.

კვლევის შედეგად შეგვიძლია აღნიშნოთ შემდეგი:

– საფრანგეთის ინოვაციურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი და როლი უკავია მეცნიერებას, მის განვითარებასა და შემდგომი სრულყოფის საკითხს. მეცნიერება უპირატესად სახელმწიფო სფეროს, ხოლო ინოვაციური საქმიანობა ძირითადად ბიზნესის სფეროს განეკუთვნება. ისტორიულად ჩამოყალიბებული ასეთი მიდგომა აისახება ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური სისტემის სტრუქტურაზე, რაც გამოიხატება სახელმწიფოს ფართო მონაწილეობაში ინოვაციური საქმიანობის ორგანიზებასა და დაფინანსებაში.

– საფრანგეთში მეცნიერული კვლევები ფუნდამენტურ და გამოყენებით სფეროში სახელმწიფოსთან არსებულ საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებაში ხორციელდება, რომელთაგან ძირითადია სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და სხვადასხვა დარგში მოქმედი მეცნიერული კვლევების ეროვნული ცენტრები, რომელთა მიერ უზრუნველყოფილია საკვლევ-სამეცნიერო სამუშაოების 50%-მდე.

– ქვეყანაში მეცნიერული კვლევების რეალურ მდგომარეობაზე, ინოვაციურ პოლიტიკასა და გამართულ ინოვაციურ სისტემაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ორ უწყებაზე ნაწილდება: მეცნიერული კვლევების სამინისტროსა და მრეწველობის სამინისტროზე. აღნიშნულ სამინისტროებთან ერთად წარმართავს საქმიანობას ინოვაციების ეროვნული სააგენტო – ANAR, რომელსაც სოლიდური ბიუჯეტი გააჩნია და მონაწილეობას იღებს 4 ათასზე მეტ ინდივიდუალური პროგრამის რეალიზაციაში.

– საფრანგეთი გამოირჩევა წარმოებასა და განათლებას შორის ჩამოყალიბებული ცოცხალი კავშირით, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქვეყანაში მოქმედი საწარმოები აფინანსებენ მომავალი სპეციალისტების, მათ შორის სტუდენტების, ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორების სწავლას. საფრანგეთის განათლების სამინისტრო სხვადასხვა ღონისძიებით ცდილობს სტიმული მისცეს ახალგაზრდა მკვლევარების მეწარმეობრივ აქტივობას, ასევე დაეხმაროს მათ, ჩაერთონ იმ პროექტებში, რომლებსაც ახორციელებენ საწარმოები.

– საფრანგეთში ფუნქციონირებს 39 სასწავლო დაწესებულება, რომლებიც შედიან უმაღლესი დაწესებულებების მსოფლიო

რეიტინგში, აქედან 16 შედის მსოფლიოს 400 საუკეთესოთა შორის. საფრანგეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას (Ecole Normale Supérieure, Paris), რომელიც ქვეყნის 10 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის პირველია, 2018 წლისათვის 43-ე ადგილი უკავია მსოფლიო რეიტინგში. აღნიშნული დაწესებულება დაარსდა 1793 წელს და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და კონკურენტუნარიან უნივერსიტეტს ქვეყანაში. იგი ამზადებს ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებს. ამ უნივერსიტეტის 13 კურსდამთავრებული ნობელის პრემიის ლაურეატია. ქვეყნის 10 საუკეთესო უნივერსიტეტში სწავლობენ როგორც ფრანგი, ისე მსოფლიოს 150 ეროვნების წარმომადგენელი.

– კვლევების საშუალებით დადგინდა საფრანგეთის ინოვაციური სისტემის შემდეგი დადებითი მხარეები: მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა; ინოვაციური სისტემის სხვადასხვა მონაწილეს შორის მაღალი კოორდინაციის დონე; ინოვაციური კომპანიებისთვის საგადასახადო შეღავათების განსაკუთრებულად განვითარებული სისტემა; მნიშვნელოვანი სახელმწიფო დანახარჯები კვლევებსა და დამუშავებებზე; მძლავრი სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც არეგულირებენ ინოვაციურ საქმიანობას;

– აქვე შეიძლება აღვნიშნოთ საფრანგეთის ინოვაციური სისტემის ნაკლი, რასაც შეიძლება მივაკუთვნოთ: კერძო სექტორის მიერ გაცემული მცირე თანხები კვლევებსა და დამუშავებებზე; უნივერსიტეტებსა და საწარმოებს შორის არასაკმარისი აქტიური კავშირები; ქვეყანაში არასაკმარისი ხელსაყრელი პირობები მეწარმეობის განვითარებისთვის; ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ინოვაციური განვითარების არათანაბარი დონე, რაც საბოლოო ჯამში ამწვავებს ცალკეული რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას.

– საფრანგეთის ეროვნულ ინოვაციურ სისტემაში არსებულ პრობლემათა შორის შეიძლება გამოყოთ ასევე ვენჩურული კაპიტალის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რაც ართულებს ქვეყნის მცირე, საშუალო და მსხვილი ინოვაციური საწარმოების, პირველ რიგში პერსპექტიული, მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებასა და სტიმულირებას; კერძო სექტორის მიერ სკსსს-ზე გაცემული დაბალი დანახარჯები, რაიონების, ქალაქების, რეგიონების განვითარების დონეებს შორის ინოვაციური დიფერენ-

ციაციის დაძლევისადმი არასაკმარისი ყურადღება. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გამოცდილების ნაკლებად გათვალისწინება, ფართოდ მოიხილონ უცხოეთის მოწინავე იდეები, ტექნოლოგიები, პატენტები და ლიცენზიები, რათა უზრუნველყონ რეგიონულ, დარგობრივ და სასაქონლო დონეზე ძირითადი მიმართულებების ტექნოლოგიური და კონკურენტული გარღვევები. პერსპექტიულ ფუნდამენტურ კვლევებსა და ეფექტურ გამოყენებით დამუშავებებს შორის კოორდინაციის გარკვეული დეფიციტი. სკსსს–ს კომერციულიზაციის აუცილებელი მასშტაბისა და დონის უქონლობა, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო მომგებიან და კონკურენტულ დანერგვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დათუნაშვილი ლ., სასოფლო-სამეურნეო ინოვაციური პოლიტიკა ევროინტეგრაციის პირობებში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2016.

2. დათუნაშვილი ლ., საფრანგეთის ინოვაციური პოლიტიკა. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. სამეცნიერო შრომების კრებული, თ. IX. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2016.

3. ვაშალომიძე ს., აგრარული პოლიტიკა...
[http://freenew.ge/evrokavshiris_agraruli_politika/;](http://freenew.ge/evrokavshiris_agraruli_politika/)

4. რვეიშვილი ზ., ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო პოლიტიკა. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2016.

5. რვეიშვილი ზ., ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და საქართველოში მისი გათვალისწინების აქტუალური საკითხები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2012.

6. ქავთარაძე თ., ინოვაციები აშშ-ის დახურული გრუნტის მებოსტნეობაში და მათი გამოცდილების გამოყენების მიზანშე-

წონილობა საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2016.

7. [www.gmu-countries, ru/europa/france/france-nis.html](http://www.gmu-countries.ru/europa/france/france-nis.html)
8. <https://kosvincev.wordpress.com/2011/10/23>
9. <http://www.franzlefort.ru/top-10-universitetov-frantsii-po-reytingu-qs-world-university-rankings-2018>.
10. <http://www.uk.fg.org.uk/docs/CAPBB2.pdf>
11. www.econstor.eu
12. http://ec.europa.eu/agriculture/cap-post-2013/legal-proposals/index_en.htm.
13. http://ec.europa.eu/agriculture/cap-post-2013/agreement/index_en.htm/
14. http://ec.europa.eu/agriculture/cap-post-2013/legislation/index_en.htm.
15. Экономика Франции _ википедия encyclopedia, bid> википедия /экономика - Франции
16. http://ec.europa.eu/agriculture/cap-post-2013/implementation/index_en.htm.
17. http://ec.europa.eu/agriculture/cap-post-2013/legal-proposals/index_en.htm.

Lina Datunashvili

INNOVATION SISTEM IN THE AGRICULTURE OF FRANCE

Summary

The article studies in the highly advanced industrial-agrarian country of the EU - France the situation in the development of the innovation system and innovative sphere in recent years.

The article analyzes the changes which in the field of macroeconomic policy pursued by the state, regulatory assurance, direct and indirect forms, state regulation of scientific and technological potential and other measures has positive impact on science and education in the current situation and development level.

It emphasizes the role and broad participation of the state in financing and organization of the innovative activities.

The article describes the tools of country's innovative system: clusters, competitiveness poles, technoparks and business clubs.

The advantages and disadvantages of the French innovation system are shown.

The article reviews some aspects of the innovative system of agriculture, showing that French agriculture is developing and successfully achieving automation, using genetic methods to select new types of food, thanks to new methods and measures of soil fertilization and care.

It emphasizes the fact that agriculture is subsidized by the developed countries of the EU, including France, who are actively supporting their own farmers and industrialization of agriculture as a whole.

თენგიზ ქავთარაძე

აშშ-ის აბრარული სექტორის ინოვაციურ სისტემებში კლასტერიზაცია, როგორც მცირე ბიზნესის განვითარების საშუალება და მათი გამოცდილების განზოგადება საქართველოში

ანოტაცია. ნაშრომში შესწავლილია აშშ-ის სოფლის მეურნეობის სისტემებში კლასტერების, როგორც ინოვაციური ინფრასტრუქტურის ობიექტის ფუნქციონირება და მათი გამოცდილების განზოგადების მიზანშეწონილობა საქართველოში.

ნაშრომში პირველადაა საუბარი იმის თაობაზე, რომ თანამედროვე პრაქტიკაში ნაკლებად არის შესწავლილი რეგიონული კონკურენტუნარიანობის მექანიზმი და კლასტერების როლი კონკურენტუნარიანობაში. დადგენილია, რომ კლასტერები ხელს უწყობს ახალი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოქმნასა და განვითარებას. კვლევის სიახლედ მიგვაჩნია მოხაზრება: საქართველოში კლასტერული თვალსაზრისით, პროდუქციის ძირითადმა და უმსხვილესმა მყიდველმა სახელმწიფომ დაკარგა თავისი როლი ტერიტორიული საწარმოო კომპლექსების საქმიანობაში საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების ხასიათის ცვლილებასთან დაკავშირებით. ნაშრომში პირველადაა წამოყენებული წინადადება საქართველოში თუშური ცხვრის კლასტერის შექმნის აუცილებლობის შესახებ. აშშ-ს და ევროკავშირის მსგავსად, როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლე-

ბისათვის უნდა დაჩქარდეს მებაღეობა-მევენახეობის, ღვინის, მენაიეობის, სუბტროპიკული კულტურებისა და სხვა დარგების კლასტერიზაცია.

* * *

ინოვაცია მეცნიერული ცოდნისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების გამოყენებაზე დამყარებული სიახლეებია ტექნიკაში, ტექნოლოგიაში, შრომის ორგანიზაციასა და მართვაში. მეცნიერულ და ტექნოლოგიურ სიახლეთა გამოყენება ეხება ადამიანთა საქმიანობის ყველა, მათ შორის აგრარულ სფეროს.

აშშ-ის სახელმწიფო აგრარული ინოვაციური პოლიტიკა ქვეყნის სოციალურ-ინოვაციური პოლიტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილია, რომელიც სოფლის მეურნეობაში განსაზღვრავს ინოვაციური საქმიანობის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონირების მიზნებს, ძირითად მიმართულებებსა და მეთოდებს. სოფლის მეურნეობაში ინოვაციური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკისა და ტექნოლოგიის უახლესი მიღწევების, საერთოდ, სამამულო და საერთაშორისო ინოვაციური საქმიანობის შედეგების წარმატებით გამოყენებას, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ ღონისძიებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

აშშ-ის ინოვაციური პოლიტიკის წარმატება სოფლის მეურნეობაში გამოწვეულია დიდი კაპიტალდაბანდებებით და იმით, რომ სწრაფად მატულობს მაღალ კვალიფიციური მუშახელის გამოყენება, ხდება თესლის მეცნიერული დამუშავება და გადამუშავება იმ მიზნით, რომ ის მაქსიმალურად პროდუქტიული და გამძლე იყოს დაავადებებისა და გვალვებისადმი. დადგენილია სასუქების გამოყენების და ირიგაციის ოპტიმალური რაოდენობა. მუშავდება პროექტები ახალი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესახებ; მექანიზაციის გამოყენება კულტივაციისა და მოსავლის აღებისას ამცირებს შრომით დანახარჯებს და იძლევა დროის ეკონომიას პროდუქციის ყოველ ერთეულზე. ფერმერებს მიეწოდებათ კვლევითი ინფორმაცია (ექსტენშნ სერვისის) სამსახ-

ურის მეშვეობით. ეს არის საკმაოდ მოქნილი და ძლიერი სამსახური, სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებისა და დანერგვის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ყოველ შტატს, როგორც წესი აქვს ერთი სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი მაინც, ხოლო ყოველ ოკრუგს, ანუ რაიონს „eastern servisis” სამსახურის ოფისი, რომელიც უზრუნველყოფს ფერმერებისათვის აგრეთვე, ქალებისა და ბავშვებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას.

აშშ-ის სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტია ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება. ინოვაციური ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა იქნას მთელი ინოვაციური პროცესის რეალიზების საშუალებას იძლევა. საზღვარგარეთის გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი სტრუქტურებია: ტექნოლოგიური პარკები, ტექნოლოგიური ცენტრები, ტექნოპოლისები, ე.წ. „ინკუბატორები”, ვენჩურული ფორმები, კლასტერიზაცია და სხვა.

კლასტერი არის გეოგრაფიული ნიშნებით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფი, რომელიც მოქმედებს განსაზღვრულ სფეროში და ხასიათდება ერთიანი და ურთიერთშემავსებელი საქმიანობით.

ეკონომიკის განვითარების დარგობრივმა მიდგომამ, რომელიც საბაზრო მეურნეობის სხვადასხვა სეგმენტის წინააღმდეგობას იწვევს, აქტუალობა დაკარგა. სამეურნეო ობიექტის მართვამ ქსელური ხასიათი მიიღო. თანამედროვე ეტაპზე რეგიონებისა და ბიზნესის განვითარების ეფექტიანობა კლასტერისა და სხვა ქსელური საწარმოო სისტემების გამოყენებასთანაა დაკავშირებული. კლასტერი, როგორც ფირმათაშორისო ურთიერთობების ქსელური ორგანიზაციის ფორმა, იძლევა გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას. იგი ითვალისწინებს შემოქმედებითი ტექნოლოგიური და ფინანსური რესურსების გაერთიანებას ტერიტორიულად ლოკალიზებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული საწარმოებისა და დაწესებულებების დაჯგუფებით, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობისა და კონკურენციის საფუძველზე აძლიერებენ როგორც საკუთარ, ისე მთელი კლასტერის კონკურენტულ უპირატესობებს. კლასტერის მთავარი თავისებურებაა ერთიანი დინამიკური სისტემის (უნიფიკაციის გა-

რეშე) შექმნა მაქსიმალური ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის მისაღწევად.

თანამედროვე პრაქტიკაში ნაკლებად არის შესწავლილი რეგიონული კონკურენტუნარიანობის მექანიზმი და კლასტერების როლი რეგიონულ კონკურენტუნარიანობაში. კლასტერების განხილვა უნდა მოხდეს სხვადასხვა კონცეპტუალური მიდგომების მიხედვით: ინოვაციური პროცესი, სოციალური კაპიტალი და ეკონომიკური გეოგრაფია. კლასტერის გეოგრაფიული მასშტაბები შეიძლება იცვლებოდეს ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის ან მეზობელი ქვეყნების მიხედვით. კლასტერი შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ფორმით, მზა პროდუქციის მწარმოებელი ან მომსახურებით დაკავებული კომპანიები, ფინანსური ინსტიტუტები და სხვა. ასევე განსხვავებულია კლასტერის შემადგენლობაში მყოფი საწარმოების რაოდენობა; მსხვილი და მცირე ფირმების თანაფარდობა; ფირმების, ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ურთიერთობის დონეები.

კლასტერების შემოქმედებითი საქმიანობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი მონაწილეების უმრავლესობა უშუალოდ არ უწევს კონკურენციას ერთმანეთს არამედ ემსახურება დარგის სხვადასხვა სეგმენტს. მათი შექმნა მეტად მნიშვნელოვანია განვითარების ინოვაციური გზაზე ეკონომიკის გასაყვანად, რაც მოითხოვს ინოვაციური პროცესის იმ მონაწილეთა მუდმივ კონტაქტებს, ვინც სამეცნიერო კვებების, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების და სხვა საწარმოო პროცესის კორექტირებას ახდენენ. ასეთ ურთიერთობას კორპორაციული ინტერესებით განპირობებული თავისებურებებიც გააჩნია, რომლებიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ორგანიზაციის ინოვაციურ ინტეგრაციას, მისი სიდიდის მიუხედავად, საშუალო და მცირე ბიზნესი უფრო იოლად ეგუება კონიუნქტურის ცვლილებას, რადგან ნაკლებადაა დამოკიდებული მსოფლიოში ეკონომიკის მდგომარეობასა და დონეზე, ხოლო მსხვილი ნაციონალური და ტრანსნაციონალური კომპანიები ქმნიან მსხვილ ფინანსურ რესურსებს გრძელვადიანი სტრატეგიული მანევრის უზრუნველსაყოფად. სოფლად მცირე ბიზნესის კლასტერიზაციის ფუნქციონირება მიზნად ისახავს ახალი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოქმნასა და განვითარებას. მისი მიზანია, ხელი შეუწყონ ახალბედა ფერმერებს, შედარე-

ბით ადვილად გადალახონ ბიზნეს საქმიანობის წამოწყებასთან დაკავშირებული სიძნელებები (საინვესტიციო სახსრების მოზიდვა, ახალი ტექნოლოგიების დამუშავება, ბიზნესის ოპტიმალური ორგანიზაციული ფორმის შერჩევა, ფორმის რაციონალური მართვა და ა.შ.

ამით მინიმუმამდე მცირდება რეგისტრირებულ, მაგრამ უმოქმედოდ მყოფი საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც საკუთარი ძალე-ბით ვერ შეძლეს საქმის გაგრძელება (რეგისტრირებულ საწარმოთა 2/3 საქართველოში ამ მდგომარეობაშია). ეს, თავის მხრივ, ქვეყნის საგადასახადო ბაზის გაფართოებას და, რაც მთავარია, მცირე ბიზნესის განვითარებას და ბიუჯეტური შემოსავლების ზრდას იწვევს. აშშ-ს სოფლის მეურნეობის ინოვაციური სისტემების ფუნქციონირების მსგავსად, ჩვენს ქვეყანაში მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი სამთავრობო დადგენილება რომლის საფუძველზეც დამუშავდება კლასტერიზაციის კონცეფცია და მუშაპროგრამა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სოფლად მოსახლეობის მცირე ბიზნესში დასაქმებას და ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას. აშშ-ის სოფლის მეურნეობის ინოვაციურ სისტემებში კლასტერიზაციის ფუნქციონირების შედეგად, სოფლად სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი მცირე ბიზნესმა და მეწარმეობამ დაიკავა. ბაზრის პირობებში იგი სოფლად უზრუნველყოფს მრავალი სოციალური და სამრეწველო ხასიათის პრობლემის გადაწყვეტას, რომლებიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მთავარი ინტერესების სფეროს მიეკუთვნება.

ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის მცირე მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორის დოქტორ უილფრედ ლ. უაიტის აზრით, მცირე ბიზნესის არსი საზოგადოებრივი საქმიანობით განისაზღვრება, რაც გამოიხატება ჯერ ერთი – მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის შექმნა-მიწოდებით და მომსახურების გაწევით, მეორე – ხელსაყრელი სამუშაოთი ადამიანის უზრუნველყოფით და მესამე – ამის სანაცვლოდ წმინდა მოგების მიღებით. მცირე ბიზნესის გარეშე საბაზრო ეკონომიკა ვერ განვითარდება, აქედან გამომდინარე, საშუალო და მსხვილ მეწარმეებთან ერთად, მცირე საწარმოების განვითარება სტრატეგიული ამოცანაა. ამიტომ არის, რომ საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში, მცირე ბიზნესის კლასტერ-

იზაცია ეკონომიკაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მასზე მოდის ამ ქვეყნების (აშშ, იაპონია, გერმანია) საწარმოთა 90-95%, მთლიანი პროდუქციის 30-60% და ეროვნული შემოსავლის 55-60%.

საქართველოში, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, სამეწარმეო სფეროს საწარმოთა 90-92% მცირე საწარმოები შეადგენს. ისინი პროდუქციის 25% აწარმოებენ, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი შეადგენს ჩინეთში 53,8%, ბელგიაში 50,3%, იტალიაში 53,9%; ამ მცირე საწარმოთა დინამიკის მაჩვენებელი საქართველოში არასახარბიელოა. 2000 წლიდან მცირე საწარმოთა რიცხვი, საშუალოდ წელიწადში მხოლოდ 0,4%-ითაა შემცირებული ეს მდგომარეობა იმის შედეგია, რომ მცირე ბიზნესის განვითარების აუცილებლობაზე კლასტერიზაციის თვალსაზრისით პრაქტიკულ ნაბიჯებს არ ვდგამთ. არადა, ცხადია, რომ საქართველო მეწარმეობის განვითარების დიდი პოტენციალის ქვეყანაა, მას გააჩნია როგორც ადამიანური, ასევე ბუნებრივი რესურსები.

მცირე ბიზნესის კლასტერიზაციის ანალიზი მიგვანიშნებს, რომ ამ ბიზნესის შეფერხება შეუძლია მრავალ ეკონომიკურ ფაქტორს. ამ ფაქტორების გამორიცხვის მიზნით კანონმდებლობამ დააწესა მცირე ბიზნესის ადმინისტრირების შექმნა, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ ფედერალურ სააგენტოს ქ. ვაშინგტონში და აქვს რეგიონული ოფისები, რომლებიც მთელ ქვეყანაშია გაფანტული. გამოცდილი სეციალისტები კლასტერულ ექსპერტიზას უკეთებენ და ფინანსურ დახმარებას უწევენ მათ, ვისაც სურვილი აქვს მცირე ბიზნესის წამოწყებისა ან ვინც უკვე ეწევა მცირე ბიზნესს.

მცირე ბიზნესი ამერიკის შეერთებული შტატების აგრარულ სფეროში განსაკუთრებით პროდუქტიული გახდა ახალი ტექნოლოგიის კლასტერიზაციის განვითარების შედეგად, როგორცაა გაუმჯობესებული ელევატორები, წყლის სამართავი ტექნიკა და პესტიციდების კონტროლის ზონები. ტრაქტორის წინ მიმავრებული გიგანტური ვაკუმ ხელსაწყო ბიგვაკი იწოვს მავნებელ მწერებს კალიფორნიის ფერმების მარწყვისა და სხვა პლანტაციებიდან. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა აღნიშნული ხელსაწყოების გამოყენება გურია-სამეგრელოს ხილისა და სიმინდის პლანტაციებში მავნებელი ცრუ ფარიანას წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობა ფუნქციონირებს როგორც მსხვილი, საშუალო და წვრილი ერთიანი სისტემა, როგორც საკუთრების სხვადასხვა ფორმებიანი საწარმოების გარკვეული მთლიანობა. ამასთან, საწარმოო ერთეულის არც ერთი ტიპი არ სარგებლობს სხვების მიმართ აბსოლუტური უპირატესობით. სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგებში საშუალო და წვრილი საწარმოები კლასტერული თვალსაზრისით ისევე ეფექტიანებია, როგორც მსხვილი საწარმოები, ზოგჯერ კი აჭარბებენ კიდევ მათ შრომის ნაყოფიერების დონითა და დინამიკით. საშუალო საწარმოები დომინირებენ სიმინდის, სოიას, ბოსტნეულის, ხილისა და რძის წარმოებაში, მსხვილი საწარმოები – მეხორცულ მეცხოველეობაში, მეხამბეობაში, ზოგიერთ სხვა დარგში. როგორც მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, ზომებით, საკუთრების ფორმითა და მეურნეობრიობის სახეების განსხვავებული საწარმოების შეხამება აგრარულ სექტორში კლასტერული თვალსაზრისით, განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებით, მისი ცალკეული დარგების სპეციფიკითა და მთელი რიგი სხვა ობიექტური ფაქტორებით.

ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა წარმოედგენს 70 წლიანი პოლიტიკური დებატების, ცვლილებების, მოდერნიზაციისა და ახალი ექსპერიმენტების პროდუქტს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამერიკაში სასოფლო სამეურნეო წარმოება საკმარისია არა მარტო 240 მილიონი ამერიკელის გამოსაკვებად, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დაახლოებით 42 მილიარდი დოლარის ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტირებისათვის. ამერიკელ ფერმერთა მიერ წარმოებული 200-ზე მეტი პროდუქტიდან მხოლოდ 23 ღებულობს პირდაპირ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას ფასების სპეციალური გარანტიებისა და მწარმოებელთა შემოსავლების სპეციალური პროგრამების მეშვეობით.

კლასტერის ცნება ეკონომიკურ თეორიაში შემოღებული იქნა მაიკლ პირტერის მიერ. კლასტერიეს არის განსაზღვრულ დარგებში გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სეციალიზებული მომწოდებლების, მომსახურების მომწოდებლებთან შესაბამის დარგებში მომუშავე ფირმების, ასევე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანი-

ზაციების, სააგენტოების, აგრეთვე სავაჭრო გაერთიანებების ჯგუფი, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, მაგრამ იმავდროულად ეწევიან ერთობლივ საქმიანობას. კლასტერად ჩამოყალიბებისათვის გეოგრაფიულად მოსაზღვრე ურთიერთ-დაკავშირებული კომპანიები და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ განსაზღვრულ სფეროში, აერთიანებდეთ ერთობლივი საქმიანობა და ავსებდნენ ერთმანეთს.

ტერმინი „კლასტერი“ ეკონომისტებს შორის პოპულარული გახდა 1900-იან წლებიდან. ამჟამად კლასტერული მიდგომების გამოყენება განიხილება, როგორც ტერიტორიების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა. კლასტერული სტრატეგია მსოფლიოში კონკურენტუნარიანობის ამაღლების სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ინსტრუმენტად იქცა. ჰარვარდის ბიზნესსკოლის მონაცემებით აშშ-ს ეკონომიკაში დასაქმებულთა 32%-ზე მეტს (საბიუჯეტო სექტორის გარდა) კლასტერები უზრუნველყოფს, შვედეთში – 39%-ს. შრომის მწარმოებლურობა ასეთ სექტორებში ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე 44%-ით მეტია. ფრო მეტიც კლასტერული სექტორი არის ლოკალური ბაზრის მომსახურე სექტორების განვითარების მამოძრავებელი ძალა. მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ რაც უფრო განვითარებულია კლასტერები ცალკეულ ქვეყანაში, მით უფრო მაღალია ამ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე და კომპანიების კონკურენტუნარიანობა.

არსებობს კლასტერული პოლიტიკის დირიჟისტული და ლიბერალური მოდელები. ამ ორ მოდელს შემდეგი პრინციპული თავისებურებები გააჩნია: ლიბერალური კლასტერული პოლიტიკა ითვალისწინებს ბაზრის ზემოქმედების ჩამოყალიბებული კლასტერების შექმნას ხოლო დირიჟისტული მოდელის კლასტერების შერჩევა დარგობრივი და რეგიონული პრიორიტეტების გათვალისწინებით სახელმწიფო დონეზე ხდება. დირიჟისტული პოლიტიკა პრიორიტეტული კლასტერების ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნას დიდ ყურადღებას უთმობს.

ლიბერალური კლასტერული პოლიტიკის ძირითადი მიმდევრები არიან აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი; დირიჟისტულის – საფრანგეთი, ფინეთი, იაპონია, კორეა, შვედეთი.

სპეციალისტების აზრით, მიზანშეწონილია საქართველოში, დირიჟისტული კლასტერული პოლიტიკის გამოყენება; საბჭოთა ეკონომიკაში თანამედროვე კლასტერული წარმონაქმნების პირველსახე იყო ტერიტორიული საწარმოო კომპლექსები (ტსკ), რომელიც წარმოადგენდა სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების სივრცითი ორგანიზაციის ფორმას, რომელიც ყველაზე სრულად პასუხობდა მათი განვითარების ამოცანებს სამეცნიერო რევოლუციის პირობებში,

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გადასვლამ მეურნეობრიობის საბაზრო მოდელზე, ტსკ-ს ელემენტებისა და ურთიერთკავშირების სტრუქტურიდან გააქრო მნიშვნელოვანი სტრუქტურაწარმომქმნელი რგოლი – წარმოებისა და პროდუქციის მიწოდების დავალება. პროდუქციის ძირითადმა და უმსხვილესმა მყიდველმა სახელმწიფომ დაკარგა თავისი როლი ტსკ-ს საქმიანობაში საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების ხასიათის ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე გაქრა არსებული საწარმოო-სამეურნეო კავშირები საწარმოებსა და თვით საწარმოებსა და სახელმწიფოს შორის.

ერთ-ერთი ამოცანა როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის ინოვაციური კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში არის კლასტერიზაციის პოტენციალის გამოვლენა. ამასთან, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს რეგიონების განვითარებისათვის პერსპექტიული კლასტერების შერჩევას და ჩამოყალიბებას, რეგიონული განვითარების სტრატეგიების შემუშავებას. სპეციალისტების აზრით, კლასტერი რეგიონებისა და ბიზნესის განვითარება საშუალებაა და არა მიზანი. უკანასკნელზე აქცენტის გადატანამ შეიძლება უარყოფით შედეგამდე მიგვიყვანოს. კლასტერული პოლიტიკის რეალიზაცია უპირველესად ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგებში უნდა მოხდეს. ერთ-ერთი ასეთი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელიც დიდ როლს ასრულებს როგორც ქვეყნის, ისე მისი ცალკეული რეგიონის მდგრად განვითარებასა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში. აგრარული კომპლექსისათვის დამახასიათებელია კლასტერის ზოგიერთი ნიშანი და მისი ტრანსფორმაცია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და ახლებური ხედვის განვითარებას საჭიროებს. აგრარული სექტორის განვი-

თარების პერსპექტივები რეგიონული აგრარული კლასტერების შექმნითაა შესაძლებელი. აღნიშნული პრობლემის მოგვარებისა და უფრო ძლიერ ეკონომიკურ სტრუქტურებში მცირე ბიზნესის ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმების გამოყენება. ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფრენშაიზინგის გამოყენებასა და ბიზნესინკუბატორის შექმნას. მათი გამოყენებით მცირე და საშუალო ბიზნესისათვის გარანტირებული იქნება გასაღების ბაზრები, მათ შორის გაიზრდება საგარეო ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობები რეგიონებისათვის. მცირე და საშუალო ბიზნესისათვის კლასტერი არის განვითარების რეალური და ეფექტიანი საშუალება. ამიტომ ქვეყნისა და რეგიონის ხელმძღვანელობამ რეგიონული აგრარული კლასტერების შექმნას დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს.

კლასტერები იმპულსს აძლევენ აშშ-ს ეკონომიკის განვითარებას, ხელს უწყობენ ტერიტორიების ორგანიზაციის ახალი ქსელური რესურსების მობილიზებას, საფუძველს უყრიან აგრარული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას.

მსოფლიოში კლასტერების აქტიური განვითარება მიიჩნევა ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურ მიმართულებად. აშშ-ის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეგიონების ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების რთულ სისტემაზე, რომელთა შორის ტერიტორიულ განლაგებას და მაღალკვალიფიციურ პერსონალს არანაკლები მნიშვნელოვანი როლი აკისრია, თუმცა არა გადამწყვეტი. გარდა ამისა, არც დარგობრივი სტრუქტურა, არც ახალი მაღალტექნოლოგიური დარგები სრულად ვერ განსაზღვრავს რეგიონის ეკონომიკურ ზრდას. ყველაზე დინამიურად ვითარდებიან ის რეგიონები, სადაც ჩამოყალიბდა ინოვაციური კლასტერები – საწარმოსა და (სამრეწველო კომპანიების, კვლევითი ცენტრების, სამეცნიერო დაწესებულებების) სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, პროფკავშირების ტექნოლოგიური ჯაჭვით შეკავშირებული ძირითადი მწარმოებლების და მომხმარებლების კომპლექსი, რომლებიც სტიმულს აძლევენ ახალი ტექნოლოგიების გავრცელებას. ეს უპირველესად არის მეცნიერების, განათლების, დაფინანსების, სახელმწიფო პოლიტიკისა და მრეწველობის ურთიერთქმედების

ხასიათი და სტრუქტურა. სიცოცხლისუნარიანობით გამორჩეული ინოვაციური აქტივობის კლასტერები იქმნება დარგთაშორისი კავშირების დივერსიფიკაციის საფუძველზე. ტექნოლოგიური ცოდნისა და კავშირების სხვადასხვა წყაროების მრავალფეროვნება აიოლებს წარმოების ფაქტორების კომბინაციას და ნებისმიერი ინოვაციის წინამძღვარი ხდება.

აშშ-ში ინოვაციური კლასტერიზაციის თვალსაზრისით მეზოსტნეობა და განსაკუთრებით დახურული გრუნტის მეზოსტნეობა მემცენარეობის მეტად რთული დარგია. იგი ემყარება მეცნიერულ ცოდნას, უახლეს ტექნიკას და ტექნოლოგიას, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის მართვის ზედმიწევნით სრულყოფილ მეთოდებს. ეს საკითხი მეტად პრობლემატურია. მის მოგვარებას რეგიონული აგრარული კლასტერიზაციის თვალსაზრისით სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად უდგებიან. მაგალითად, აშშ-ის ნავთობმონოპოლიის „superior farmingis” მფლობელობაშია დახურული გრუნტის სათბურები არიზონის შტატის ტუსინის რაიონში, დამშრალი მიწების ზონაში. აქ მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ პომიდვრის უხვი მოსავალი და ბაზარზე გასაყიდად ყოველდღიურად გაიტანება 4,5 ათასი ტონა. ფირმა, კლასტერული თვალსაზრისით, ახორციელებს ინოვაციებს მეცნიერების უახლესი მიღწევების გამოყენებით. სათბურებში ინტენსიურად იყენებენ მიწის ფართობებს, დამატებით აწყობენ იარუსებს მიწის სათანადო სისქის ყრილით ბოსტნეულის გამოსაყვანად. ისინი ფლობენ წარმოების ყველა სტადიაზე კლასტერული საირიგაციო ინოვაციური სისტემის უმაღლეს აგროტექნიკას, რომელიც განაპირობებს მთელი წლის მანძილზე ბოსტნეულის მყარ, უხვ მოსავალს. კომპანიის დახურული გრუნტის სასათბურე მეურნეობებში კლასტერული ინოვაციის გამოყენებით პომიდვრის მოსავალი 8-ჯერ მაღალია ღია გრუნტის მეურნეობებთან შედარებით. სათბურები განლაგებულია აეროპორტების სიახლოვეს, სათბურებიდან მიღებული ბოსტნეული თვითმფრინავებით მიეწოდება ქვეყნის რეგიონების მოსახლეობას.

აშშ-ის მეკარტოფილეობაში რეგიონული აგრარული კლასტერების შექმნით ინოვაციური თვალსაზრისით ჩამოყალიბდა მყარი სპეციალიზაცია რაიონული და ცალკეული ფერმერული მეურნეობების დონეზე. რამდენიმე შტატში ოპტიმალური ბუნებრივი

პირობები, მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა ნაკლები დანახარჯებით. აშშ-ს კარტოფილის წამყვან შტატად სამართლიანად ითვლება აიხადოს შტატი, სადაც იწარმოება ქვეყანაში წლიურად წარმოებული კარტოფილის 25%. აიხადოში კარტოფილი მოჰყავთ ძირითადად სარწყავ მიწებზე, ასევე მთის ზონაში, წარმოებული კარტოფილის 12% მოიყვანება ვაშინგტონის შტატში, 9% კი მეის შტატში. ამჟამად ხუთ შტატში (აიხადო, ვაშინგტონი, მეი, კალიფორნია და ნიუ-იორკი) მოიყვანება ქვეყანაში წარმოებული კარტოფილის 60%. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი შტატების განსაზღვრულ შეზღუდულ ზონებში არის სათანადო ბუნებრივი პირობები, რომელიც განაპირობებს კარტოფილის გარკვეულ საქონლურ თავისებურებებს. მაგალითად, ფლორიდის შტატში ხარისხოვანი კარტოფილი მოყავთ ჰასტინგსის სამ ოლქში – სენტ-ჯონსის, ფლეგრევის და ატემენის, ხოლო მეის შტატში კი შესაბამისად არუსტუკის ოლქში; მინესოტას შტატში წითელი მდინარის ველზე; მიჩიგანში – ენინგსულის რაიონში, აიხადოში სამხრეთ დასავლეთის 10 ოკრუგში.

აშშ-ის სოფლის მეურნეობაში კარტოფილის ბაზარი წარმოადგენს რეგიონული კლასტერების ფუნქციონირების იმის ნათელ მაგალითს თუ როგორ ხორციელდება შრომის სარაიონ-თაშორისი დანაწილება. მაგალითად, სუბტროპიკული კლიმატის შტატები (ფლორიდა, კალიფორნია) დასპეციალიზებული საადრეო კარტოფილის წარმოებაზე, კლიმატურად ცივი ზონები კი (მეი, აიხადო, მიჩიგანი, მინესოტა) საგვიანო კარტოფილის მოყვანაზე. პირველნი მომხმარებელს ამარაგებენ კარტოფილით ზამთრისა და გაზაფხულის თვეებში, მეორენი კი ივნისიდან ნოემბრამდე. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის კლასტერული მეთოდების რეალიზაციის შედეგად სატრანსპორტო საგზაო პარკის განვითარებულობა განაპირობებს პროდუქციის შორ მანძილებზე შეუფერხებელ გადაზიდვას და ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მოსახლეობას, უზრუნველყოფს ახალი კარტოფილის რიტმული მომარაგებით

კანადის ეკონომიკის კლასტერული განვითარების გამოცდილება ხასიათდება მრეწველობის განვითარებული სტრუქტურის არსებობით, მისი მაღალი ინოვაციური ხასიათით, ასევე

მაღალტექნოლოგიური კლასტერების შექმნის წარმატებული მაგალითებით.

კანადას დიდი გამოცდილება გააჩნია შემდეგი კლასტერული ინიციატივების რეალიზაციაში: ბიოტექნოლოგიური (მონრეალი, ტორონტო, ვანკუვერი, ოტავა, ჰალიფაქსი); საინფორმაციო ტელეკომუნიკაციური (ვანკუვერი, კალიგარი, კვებეკი და სხვა); მაღალი ტექნოლოგიების (მონრეალი, ტორონტო, ვანკუვერი); მეღვინეობის (ნიაგარა); კვების მრეწველობის (ტორონტო) და სხვა. საინტერესოა კანადის გამოცდილება კომპლექსური რეგიონული კლასტერების შექმნაში, რომლებიც აერთიანებენ მთელ რიგ სამრეწველო კლასტერებს (ელმონტონი).

კლასტერული პოლიტიკის მხარდაჭა იგრძნობა კანადის პროვინციების დონეზეც, იგი გამოიხატება სამეცნიერო გამოგონებათა დაფინანსებაში, საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციაში, საგარეო ინვესტიციების მოზიდვასა და თანმდევი მომსახურების გაწევაში. პროვინციების დონეზე კლასტერული პოლიტიკის მართვაში წამყვანი როლი აკისრია რეგიონული განვითარების სააგენტოებს – პროვინციების მთავრობასთან არსებულ მმართველ კომპანიებს. სააგენტოების მონაცემები ერთგვარი საძირკველია კლასტერული ინიციატივების წარმოქმნისა და მხარდაჭერისათვის, ისინი აყალიბებენ რეგიონის განვითარების სტრატეგიას და ქმნიან ბიზნესგეგმებს უახლესი მიზნების მისაღწევად.

კლასტერების შექმნის პროცესის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იაპონიის ეკონომიკის გამოცდილება, რომელიც თავდაპირველად ეფუძნებოდა მთელ რიგ მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოების ქსელს შორის სუბსაიჯარო და სუბსაკონტრაქტო კავშირების სისტემის შექმნას. ტიპური მსხვილი იაპონური კლასტერი შედგება ერთი შედარებით მსხვილი სათავო საწარმოსაგან, რომელიც სარგებლობს გეოგრაფიულად მასთან ახლოს განლაგებული სუბსაიჯარო ფირმების ორი ან სამი დონის მომსახურებით. ვერტიკალური ინტეგრაციის ნაცვლად, პირველი დონის დამოკიდებული სუბმოიჯარეები სათავო საწარმოსთან დაკავშირებული არიან გრძელვადიანი ხელშეკრულებებით ანალოგიურადაა მოწყობილი პირველი და შემდგომი დონეების მომწოდებლების კავშირები.

იაპონიაში არის კონკრეტული გადაწყვეტილებების რეალიზაციის გამოცდილება კუნძულ ხოკაიდოში, სადაც 1990-იანი წლების პირველ ნახევარში შეიქმნა სამრეწველო კლასტერების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისა და განვითარების სტიმულირების ცენტრალური ორგანიზაცია.

იტალიაში რეგიონული კლასტერების განვითარებისადმი ინტერესი ეყრდნობა ინდუსტრიული ოლქების განვითარების წარმატებულ გამოცდილებას. ინდუსტრიული ოლქების საწარმოები ამდღეებენ თავიანთ ტექნოლოგიურ დონეს, იწყებენ ექსპანსიას სხვა რეგიონებში. ასე მაგალითად, ხილის გადამამუშავებიდან ისინი გადადიან კონსერვების წარმოებისათვის მოწყობილობების გადამამუშავებაზე, გადამამუშავების ფუნქციებს კი აკისრებენ სამხრეთის რეგიონებს. ფეხსაცმლის მწარმოებელი საწარმოები იწყებენ მისი წარმოებისათვის მოწყობილობების გამოშვებას. სამომხმარებლო ხასიათის პროდუქციის აწყოების ფუნქციები გადაეცემა მესამე ქვეყანას.

მსოფლიოში იზრდება მოთხოვნა ორგანული მიწათმოქმედების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე, რომელსაც აგრომწარმოებლებისათვის ბევრად მეტი მოგება მოაქვს, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გაყიდვას ბაზარზე. ამ პირობებში უკრაინისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მის ცალკეულ რეგიონებში ორგანული მიწათმოქმედების ტექნოლოგიების დანერგვა. უკრაინაში ორგანული მიწათმოქმედების კლასტერისა და მასთან ახლოს მყოფი სოფლის ტურიზმის კლასტერისათვის განსაკუთრებით ვარგისია დუნაისპირა რეგიონი. საზოგადოებრივი ფერმერული ეკოლოგიური ორგანიზაციები გახდნენ ორგანული მიწათმოქმედებისა და მწვანე ტურიზმის კლასტერის შექმნის ინიციატორები.

კლასტერებს დიდ დახმარებას უწევენ სომხეთში როგორც მთავრობა, სომხეთის სავაჭრო სამრეწველო პალატა, საქმიანი ორგანიზაციები, ისე სომხური დიასპორა, რომელიც აქტიურად ეხმარება ფინანსური რესურსებით და ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერტს. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა სომხეთის ფარმაცევტული კლასტერი, რომლის უნიკალურობა მდგომარეობს სამკურნალო ბალახებისაგან დამზადებული მედიკამენტების წარმოებაში.

ყაზახეთში ეროვნული ეკონომიკის დივირსიფიკაციის მიზნით, ჯერ კიდევ 2003 წელს დაამტკიცეს ინდუსტრიული ინოვაციური განვითარების სტრატეგია 2015 წლამდე. რაც საფუძვლად დაედო ეროვნული კლასტერების ჩამოყალიბებას ნავთობის, გაზის, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის, საამშენებლო მასალებისა და ტურიზმის, ინჟინერინგის, სატრანსპორტო-ლოგისტიკური მომსახურების სექტორში.

ამრიგად, მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ სამრეწველო პროგრესი უზრუნველყოფს არა ცალკეულ საწარმოებს, არამედ მათ გაერთიანებებს, ჯგუფებს, კლასტერებსა და ქსელებს.

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან გამომდინარე, კლასტერული მიდგომა მთელ მსოფლიოში აღიარებულია როგორც ეკონომიკათა კონკურენტუნარიანობის ამადლების პოლიტიკა. უნდა ვაღიაროთ საქართველოში მსხვილი კონკურენტუნარიანი სტრუქტურების შექმნის აუცილებლობა. ასეთი სტრუქტურები შეიძლება იყოს დარგთაშორისი კლასტერული წარმონაქმნები, რომლებიც ხელს უწყობენ ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას და უზრუნველყოფენ ეკონომიკის განვითარებას. ამ მხრივ გადაუდებლად გვეჩვენება თუშური ცხვრის კლასტერის შექმნის აუცილებლობა. თუშური ცხვარი იძლევა ეკოლოგიურად მაღალი ხარისხის ხორცს. აქვს თეთრი ფაფუკი ელასტიური, მბზინავი მატყლი. წელიწადში ორჯერ იკრიჭება.

ისრაელელმა და არაბული ქვეყნების ბიზნესმენებმა შეისწავლეს ადგილებზე ზამთრისა და ზაფხულის აღპურ საძოვრებზე თუშური ცხვრის გამოზამთრება იალაღობის საკითხები. ისინი დარწმუნდნენ თუშური ცხვრის ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხის პროდუქციის ღირსებებში. შემოდგომით თუშური ცხვარი დიდი რაოდენობით იყიდება აღნიშნულ ქვეყნებში. მეცხვარეობის კლასტერული ეკონომიკის არქონის პირობებში მეზობელი სომხეთიდან შემოჰყავთ სომხური ჯიშის ბაღბასის ცხვარი და უცხოელ მყიდველებზე ასაღებენ თუშურ ცხვრად. ჩვენი მეცხვარეობა დიდად ზარალდება. მეცხვარეობის კლასტერიზაციის პირობებში სახელმწიფო ვალდებული იქნებოდა, დაეცვა ჩვენი ცხვარ-მეცხვარის ინტერესები და ხელი შეეწყო ცხვრის ხელსაყრელ პირობებში რეალიზაციისათვის. როგორც ქვეყნის, ისე რეგიონული კონკურენტუნარიანობის ამადლებაში აშშ-ს გამო-

ცდილების და ქვეყნის სპეციფიკური პირობების შესწავლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს კლასტერული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და რეალიზაციის მეთოდოლოგიური საფუძველი მემცენარეობის დარგებში. ქვეყანას უნდა გააჩნდეს კლასტერების შექმნისა და განვითარების კონცეფცია, უნდა დამუშავდეს კლასტერების შექმნისა და მათი განვითარების პოტენციური პროექტები და განისაზღვროს მათი როლი ქვეყნის რეგიონების განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ინოვაციები - ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2014.

2. ამერიკის ეკონომიკა – ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო. 2010.

3. რევიშვილი ზ. საქართველოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკის თეორიული საკითხები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2015.

4. რუხაძე ს. აშშ-ის სახელმწიფო რეგულირების საკითხები, თბ., 1994.

5. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო “მეცნიერება”, თბ., 2003.

6. ქისტაური ნ. ინოვაციებისა და ცვლილებების მართვის თანამედროვე პრობლემები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2015.

7. ხარაიშვილი ე. ინოვაციური განვითარების პრობლემები საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა ტ. II. თბ., 2012.

8. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. საგამომცემლო ფირმა სიახლე, თბ., 2006.

9. [www, fao, org/corp/statistics](http://www.fao.org/corp/statistics).
10. Освоение инновации в агропромышленном комплексе опыт и проблемы – М. : ФГУ РССК, 2006, с. 136.
11. Changes in market organization and practices of the potato industry. Hastings Area. Florida 1958-1968. Washington, 1970.
12. Kyle L.P. Business analysis summary for potato farms 1973. East-lansing, 1974.

Tengiz Kavtaradze

**CLUSTERING IN INNOVATIVE SYSTEMS OF
THE US AGRARIAN SECTOR AS A SMALL BUSINESS
DEVELOPMENT OPPORTUNITY AND THEIR EXPERIENCE**

Summary

The work has been studied in US agriculture systems as a function of clusters as an innovative infrastructures and their expansion in general in Georgia. In the paper it is the first to say that the modern competitiveness of the regional competitiveness is less well understood in the role of clusters in competitiveness. It is established that clusters facilitate the emergence and development of new small and medium businesses. We believe in the research of the research: In clustering terms in Georgia, the main and largest buyer of the product has lost its role in the change of the social product distribution in the activities of the territorial industrial complexes. In the paper, the first proposed proposals about the necessity of establishing the Tusheti sheep cluster in Georgia. As the US and the European Union, as the country and the region's competitiveness, the gardening industry should be quickening clusters of viticulture, wine, tropical, subtropical crops and other fields.

პრობლემა 8.

მურმან კვარაცხელია ამერიკის შვერთიანული შტატებისა და იაპონიის ინოვაციური სისტემები

ანოტაცია. გლობალიზაციის ეპოქაში საზოგადოებრივი წარმოების განვითარება შეუძლებელია ინოვაციების გარეშე. მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის ეპოქაში ინოვაცია გულისხმობს მეცნიერული ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარებას. ამ შინაარსით ინოვაციური სისტემები მარტო ინფრასტრუქტურის განვითარებას არ გულისხმობს. ეს, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების წინსვლაა, რომელიც მრავალმხრივი პროცესია. ინოვაციურ პროგრესზე დამოკიდებულია ქვეყნის სიძვირის ისეთი მაჩვენებელი, როგორცაა კონკურენტუნარიანობა.

ინოვაციური სისტემა ყველა ქვეყანაში გამოირჩევა თავისებურებებით, რაც მათი უნიკალურობის მაჩვენებელია. ამასთან ინოვაციური გარემოს განვითარება ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ეს გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, სიახლეებისადმი პროტექციონისტურ მიდგომასა და მეცნიერული საზოგადოების ქსელურ განვითარებაში.

აშშ-ი ინოვაციური სისტემის დანერგვა იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ქვეყანაში გაიხსნა უამრავი ახალი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, რაც ინოვაციების დანერგვის საფუძველი გახდა.

აშშ-ი სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას უცხადებს ინოვაციური სისტემის განვითარებას, რაც გამოიხატება სამეცნიერო-კვლევებისა საერთოდ და, განსაკუთრებით, უნივერსიტეტებში ფედერალური ლაბორატორიების დაფინანსებას. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ცოდნის მოძრაობის სისტემაში ინოვაციური კლასტერების მხარდაჭერა.

საინტერესოდ იქმნებოდა ინოვაციური სისტემები იაპონიაში. მსოფლიო სამეცნიერო მიღწევების შექმნა და საკუთარი სამეცნიერო კვლევების წახალისება კორპორაციულ საფუძველზე - ეს არის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის კარდინალური დე-

დააზრი, რითაც იაპონია გახდა სიძლიერით მსოფლიოში მეორე ქვეყანა.

* * *

ინოვაციები ეს არის მეცნიერებითი ტექნოლოგიები. ასევე, ინოვაციური სისტემა - ეს არა მარტო ინფრასტრუქტურის ელემენტებია, არამედ უშუალოდ დაკავშირებულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების წინსვლასთან. ეროვნული ინოვაციური სისტემა თავისთავში მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა სოციალურ ინსტიტუტებს, რომლებიც მოქმედებს ინოვაციებზე. ესენია: ეროვნული საფინანსო სისტემები, საწარმოების რეგისტრაცია და კანონმდებლობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, განათლების სისტემები, შრომის ბაზრები, კულტურა და განვითარების სპეციალურად შექმნილი ინსტიტუტები.

ინგლისელი ეკონომისტი ქრისტეფორ ფრიმენი განმარტავს ეროვნულ ინოვაციურ სისტემას, როგორც დაწესებულების ქსელს სახელმწიფოთა და კერძო სექტორებში, მათი ურთიერთქმედება ინიცირებას უწევს ახალი ტექნოლოგიების გავრცელებას. ინოვაციური სისტემების განვითარებაზე დამოკიდებულია სხვადასხვა სფეროებში ქვეყნების წარმატებები, მისი კონკურენტუნარიანობა საგარეო და შიდა ბაზარზე.

მრავალი ფაქტორის გამო ქვეყნის არც ერთი ინოვაციური სისტემა არ ჰგავს სხვას. ყველა ისინი უნიკალურია. ასეთი ფაქტორები რამდენიმეა, კერძოდ,

- 1) ბიზნესგარემო და მარეგულირებული გარემო;
- 2) კანონმდებლობა ვაჭრობის, გადასახადებისა და მეწარმეობის სფეროებში;
- 3) პოლიტიკა რომელიც გამოიყენება ინოვაციური გარემოს განვითარებისათვის.

ეს სამივე შემადგენელი არის ინოვაციური წარმატების საფუძველი.

ბიზნესგარემო თავისთავში მოიცავს ინსტიტუტებს, მათ საქმიანობებსა და შესაძლებლობებს ქვეყნის ბიზნესსაზოგადოების მხრიდან.

ისეთ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს ეფექტურ ბიზნესგარემოს, განეკუთვნება:

- 1) მმართველობის ჩვევების დონე;
- 2) საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობა;
- 3) კერძო მეწარმეობის განვითარების დონე;
- 4) კაპიტალის ბაზრების არსებობა ინვესტიციების მოსაზიდად, ინვესტიორების მზაობა რისკებზე;
- 5) საზოგადოების მიერ ინოვაციების მიღება;
- 6) წარმატებულობის მიმართ ინოვაციების მიღება;
- 7) სახელმწიფოს პოლიტიკა სამამულო ბიზნესის დაცვაზე უცხოელი კონკურენტებისაგან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციური გარემოს განვითარება დამოკიდებულია ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკაზე, კერძოდ:

- 1) განსაზღვრულ დარგებში ახალი პროდუქციის წარმოების მხარდაჭერაზე;
- 2) ფედერალური მთავრობის გრანტებსა და ინვესტიციებზე;
- 3) მაღალტექნოლოგიური საწარმოების გაშვების ოპტიმიზაციის პროცესებზე, მეცნიერული საზოგადოების განვითარების უნივერსიტეტის ქსელებზე და სხვა.

აშშ-ს ინოვაციური სისტემები

აშშ-ს ინოვაციურის სიტემა იწყება მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრიდან. მან გაიარა მთელი საუკუნოვანი ეპოქა. მისი მეწარმეები წარმატებით და მასიურად ყიდდნენ პროდუქტებს საზღვარგარეთის ქვეყნებში. ისინი ნერგავდნენ მრეწველობის ახალ-ახალ ფორმებს, რომლებიც დიდ წარმატებებს იძლეოდა. თუმცა ამ პერიოდშიც სახელმწიფო ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობდა ინოვაციების განვითარების საქმეში.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომამდე ინოვაციები მოდიოდა კერძო გამომგონებლებსა და კომპანიებზე. მეორე მსოფლიო ომმა ბიძგი მისცა ახალი ტექნოლოგიების დანერგვას სახელმწიფო საწარმოებში.

დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-ში გაიხსნა ბევრი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რამაც საფუძველი ჩაუყარა ინოვაციების დანერგვას ისეთ დარგებში,

როგორცაა ელექტრონიკა, ფარმაცევტიკა, ასტრო-კოსმოსური მრეწველობა. 50-60-იან წლებში სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციების მხარდაჭერა შენედა. თუმცა კენედის პრეზიდენტობის დროს სამოქალაქო მრეწველობის ინოვაციების ისეთი პროგრამები შეიქმნა, რომლებიც ინოვაციების განვითარებას უწყობდა ხელს. იმავენაირი პროგრესის ნიშნები შეინიშნება ჯონსონის მოღვაწეობის პერიოდშიც. უნდა აღინიშნოს, რომ 70-იანი წლების ბოლოს ამერიკას უკვე გაუჩნდა კონკურენტები იაპონიისა და გერმანიის სახით. სახელმწიფომ დაიწყო აქტიური ჩარევა ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების საქმეში. 90-იანი წლებიდან კონკურენცია უკვე არსებითად შენედა და ისევ აშშ გახდა დომინანტი ინოვაციების საკითხებში.

ობამას პერიოდში ამერიკის ხელისუფლებამ დაიწყო ინოვაციების გაღრმავება მრეწველობის სფეროში. ეს გამოწვეული იყო ძლიერი კონკურენტის - ჩინეთის გამო. ამიტომ აქ შეიქმნა წარმოების სფეროში ინოვაციებისა და კვლევითი ინსტიტუტების ქსელი, რომელიც ახდენდა სამრეწველო ტექნოლოგიების შემუშავებასა და კომერციალიზაციას. უკვე 2016 წელს ეს ქსელი შედგებოდა 9 ინსტიტუტისგან, ხოლო 2017 წელს კიდევ დაგეგმილი იყო 6 ინსტიტუტის გახსნა. სახელმწიფომ უკვე შემოიღო საგადასახადო შეღავათები და სამეცნიერო დაწესებულებების დაფინანსება. ჩატარდა საპატენტო რეფორმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ინოვაციური წარმატებების სამკუთხედი შედგება გლობალური მახასიათებლებისგან. ესენია:

- 1) ბიზნესგარემო;
- 2) რეგულირებადი გარემო;
- 3) პოლიტიკა, რომელსაც სახელმწიფო ატარებდა ინოვაციური გარემოს განვითარებისთვის.

აშშ-ს პოლიტიკა, რომელიც ინოვაციური გარემოს განვითარებისთვის კეთდება, არის შემდეგი:

- 1) კვლევების მხარდაჭერა უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში. ამერიკული სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა მეცნიერული კვლევების მხარდაჭერას, ეფუძნებოდა 2 ფუნდამენტურ ასპექტს.

2) კვლევების მხარდაჭერა, რომელიც განეკუთვნება სახელმწიფოს მისიას-თავდაცვა, ჯანდაცვა ფედერალური ლაბორატორიების საშუალებებით.

3) უპირატესად სხვა კვლევების მხარდაჭერა უნივერსიტეტების დაფინანსირების საშუალებით.

ინოვაციების სისტემის დაფინანსება აშშ-ში ფედერალური ლაბორატორიების საშუალებით განფენილია მთელ შტატებში. დანარჩენებს ხელმძღვანელობას უწევენ სხვა კერძო ოპერატორები. ეს ლაბორატორიები დაფუძნებულია თავდაცვის, ჯანდაცვის და ენერგეტიკის სამინისტროს მიერ. უდიდეს როლს ინოვაციურ სისტემაში თამაშობს აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს პერსპექტიული კვლევითი პროექტების მართვის სააგენტო, თუმცა ის არ ეკუთვნის ფედერალურ ლაბორატორიას. ის მუშაობს სხვადასხვა პროექტებზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თავდაცვისთვის.

ცოდნის მოძრაობის სისტემაში დიდი ყურადღება ექცევა ინოვაციურ კლასტერებს. 90-იან წლებში პარვარდის ბიზნესსკოლაში პოპულარიზაცია გაეწია კლასტერების საკითხს. „კლასტერი“-ეს არის ახლობელთა ჯგუფი, გეოგრაფიულად ურთიერთდაკავშირებული კომპანიები და მათთან თანამშრომლობაში მყოფი ორგანიზაციები, რომლებიც ერთობლივად მოქმედებენ განსაზღვრული სახეობის ბიზნესში, რომლებიც ხასითდება საქმიანობის ერთიანი მიმართულებით და რომლებიც ავსებენ ერთმანეთს. კლასტერები ქმნიან საფუძველს მცირე ბიზნესში ინვესტიციების მოსაზიდად. მეწარმეებს აძლევენ შესაძლებლობას, გამოიყენონ დივერსიფიკაციის შესაძლებლობები. კლასტერების მხარდაჭერას ახორციელებს სახელმწიფო სხვადასხვა პროგრამის საშუალებით.

აშშ-ში უნივერსიტეტები აქტიურად მუშაობენ ბიზნესთან, მაგრამ ბევრი ნაკლი გააჩნიათ ეფექტიანად მუშაობის კუთხით. დიდია აშშ-ს ბაზარი, იგი ყველაფერს აკეთებს უცხოური ტექნოლოგიების მისაღებად. მხარს უჭერს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. 80-90-იან წლებში აშშ აქტიურად უჭერდა მხარს იაპონური ტექნოლოგიების მიღებას, რაც ახალი სამუშაო ადგილების მიღებით იყო განპირობებული. მისი მიზანი იყო 70-იანი წლების კრიზისის აღმოფხვრა და იაპონური სისტემის შესწავლა. დიდი როლი ენიჭება აშშ-ში ინოვაციური სისტემის შესწავლას, ასევე

დიდი როლი აქვს ინოვაციური სისტემის განვითარების სფეროში უმაღლესი განათლების სისტემას. ბევრი უნივერსიტეტი და კოლეჯი ფინანსირდება სახელმწიფოს მიერ, ბევრი კი ფასიანი სწავლებებიდან და შემოწირულობებით არსებობს. შტატები ამცირებენ სუბსიდიებს დამხარებაზე.

აშშ-ში წინათ თვითდამსაქმებლები ასწავლიდნენ თანამშრომლებს ახალ ჩვევებს და ხელს უწყობდნენ მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. ახლა ეს მიდგომა ასეთ დონეზე უკვე არ არის, არსებობს ცალკეული შტატების დონეზე. ახალი პროფესიების ათვისების სისტემის ძირითად კომპონენტებს იძლევა მინიციპალური კოლეჯები. ისინი გამოირჩევიან შედარებით იაფი გადასახადებით და სწავლების მაღალი დონით.

აშშ-ში ინოვაციური სისტემები მხარს უჭერს მაღალკვალიფიციური მიგრანტების შრომის გამოყენებას. მათი მონაწილეობა პროცესებში 15-21%-მდე მერყეობს სხვადასხვა კომპანიებში აშშ-ს მაღალტექნოლოგიურ სექტორში ბოლო 20 წლის განმავლობაში.

აშშ-ს ფედერალური ხელისუფლება ასტიმულირებს მიგრაციას მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და დროებით სამუშაო ადგილების ფარგლებში, რაზეც იხდის დამჭირავებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი ეროვნული ინოვაციური პოლიტიკის სტრატეგია არსებობს გერმანიაში, შვედეთსა და ფინეთში, ხოლო აშშ-ში არ არის ერთიანი მაკოორდინირებელი პოლიტიკა ამ მიმართულებით. ეს გამოხატავს იმ აზრს, რომ ინოვაცია შეიძლება დარჩეს ბაზრის ნებაზე, ხოლო სახელმწიფოს როლი ძირითადად განათლების სისტემის მხარდაჭრაში გამოიხატება.

იაპონიის ინოვაციური სისტემები

იაპონიის ინოვაციური სისტემები იქმნებოდა ეტაპობრივად, აქ შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი:

- 1) 80-90-იანი წლები;
- 2) 90-200-იანი წლები;
- 3) 21-ე საუკუნის დასაწყისი.

ყველა მათგანს აქვს თავისებურებები და მახასიათებლები. საერთოდ, 70-იანი წლებიდან იაპონიის ინოვაციურ პოლიტიკას აქვს ორი მიდგომა:

1) საზღვარგარეთის სამეცნიერო-კვლევითი მიღწევების ყიდვა.

2) საკუთარი გამოკვლევების წახალისება კორპორაციულ საფუძველზე.

იაპონიაში სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან სამრეწველო პოლიტიკის ნაწილია. თავიდან აქ მეცნიერებატევადი და ტექნოლოგიურად ინტენსიური დარგების მხარდაჭერა ხდებოდა. ამ კუთხით რეალიზდებოდა უამრავი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ენერგო-თერმულ უსაფრთხოებას მზისა და გეოთერმული ენერჯის გამოყენების საშუალებით.

იაპონიამ შეიმუშავა მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკა ხანგრძლივი პერიოდისათვის, რაც ითვალისწინებდა:

- 1) სახელმწიფო მარეგულირებელი ფუნქციის გაძლიერებას;
- 2) კვლევების ფინანსურ უზრუნველყოფას;
- 3) მკვლევარი კადრების მომზადებას;
- 4) ფუნდამენტური მეცნიერებების სტიმულირებას;
- 5) მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას ადგილზე;
- 6) საერთაშორისო საქმიანობის გაძლიერებას.

1995 წელს იაპონიაში მიიღეს კანონი მეცნიერებაზე, ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე. ქვეყანაში ორგანიზაციული პრინციპების კონცენტრირებულ სახეებზე კანონში ხაზგასმულია, რომ მეცნიერების მიერ ტექნიკისა და ტექნოლოგიების ფორმირება ეს არის მეცნიერების განვითარების საფუძველი. ეს ითვალისწინებდა მჭიდრო კავშირს საკვლევ პროცესებს შორის როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორებს შორის.

იაპონიის ინოვაციური სისტემების ფორმირების მესამე ეტაპი 2000 წლიდან იწყება, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის შესახებ შექმნილმა საბჭომ მსოფლიო ეკონომიკური და აქტუალური პრობლემების განვითარების გლობალური ტენდენციების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა. მასში ნათლადაა ასახული იაპონური საზოგადოების წინაშე მდგარი ეროვნული სტრატეგიის განვითარების გეგმა. ძირითადი ეროვნული სტრატეგიების საფუძველი ფუნდამენტური კვლევების სფეროში ამ საზოგადოებამ შეიმუშავა. ეს გეგმა ითვალისწინებს 4 განყოფილებას: მეცნიერება და ცხოვრება, ინფორმატიკა და კომუნიკაციური ნანოტექნოლოგიები და ეკოლოგია.

მე-2 სფერო მოიცავს უპირატესად გამოყენებად კვლევებსა და ტექნოლოგიებს, რომელშიც შედის ენერგორესურსები, სამრეწველო ტექნოლოგიები, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, მიწის და კოსმოსის პრობლემები. ყველაფერი ეს წარმოადგენს ინოვაციური განვითარების პრიორიტეტებს 21-ე საუკუნის დასაწყისიდან.

იაპონიის მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის მთავარ ბირთვს წარმოადგენს ეროვნული ინსტიტუტი, ის ადგენს პროგნოზებს, რომელიც მოიცავს მსოფლიოს მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების პროგრამებს 2035 წლამდე. აქ გამოყოფილია 130 მთავარი ინოვაციური მიმართულება და მასში ასახულია შესაბამისობა ინოვაციური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის. ამ მხრივ შედგენია ინოვაციური მიმართულებების მატრიცა, რომელიც იძლევა იმ სტრატეგიას, რომელსაც ქვეყანა ახალი მეცნიერული სიმაღლეებისკენ მიჰყავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლეო ჩიქავა. ცოდნა როგორც სპეციფიკური საქონელი და მისი გადამწვევტი როლი ინოვაციურ ეკონომიკაში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. №4, 2004. გვ 5-24.
2. ლარისა ყორღანაშვილი. ინოვაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. №4, 2004. გვ.25-41.
3. Национальная инновационная система США: история формирования, политическая практика, стратегии развития 2012 М.И. Рыхтик, Е.В. Корсунская
4. <https://geektimes.ru/post/291441/>

Murman Kvaratskhelia

US AND JAPANESE INNOVATIVE SYSTEMS

Summary

The development of public production in the epoch of globalization is impossible without innovations. In the era of scientific-technological revolution, innovation implies rapid development of scientific technologies. In this sense, innovative systems are not meant for infrastructure development alone.

This is, first of all, the advancement of science and technology, which is a multilateral process. Innovative progress depends on the country's sigh of reliability, such as competitiveness.

The innovative system is distinguished by its peculiarities in all countries, which is their uniqueness. In addition, the development of innovative environment is largely dependent on the country's economic policy. This is expressed primarily in the protectionist approach to innovation and the development of the scientific community.

The USA introduces the innovative system from the second half of the 19th century. It should be noted that during the Second World War many new scientific research laboratories were opened in the country, which became the basis for the introduction of innovations.

The US expresses its support for the development of the innovation system, which expressed in funding the federal laboratories at universities and scientific-research works in general. Besides, it is important to support innovative clusters in the knowledge movement system.

Innovation systems were created differently in Japan. Acquire world scientific achievements and encourage its scientific research on a corporate basis - this is the cardinal bottom line of the state economic policy, owing to which Japan has become the second country in the world.

რევაზ ჯავახიშვილი

**შვედეთის ეროვნული ინოვაციური სისტემა:
ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებები**

ანოტაცია. გასული საუკუნის მანძილზე შვედეთში განხორციელდა რადიკალური რეფორმები, რის შედეგადაც იგი გადაიქცა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელს მსოფლიოში მაღალგანვითარებული ინოვაციური სისტემის მქონე ქვეყნად. ნაშრომში გაანალიზირებულია შვედეთის ინოვაციური სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებები, ამ პროცესში სახელმწიფოსა და სამეწარმეო სექტორის ადგილი და როლი. მასში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საშუალო და უმაღლესი განათლების, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებსა და სოციალური ინფრასტრუქტურის ორგანიზაციისა და დაფინანსების, მცირე და საშუალო ბიზნესის

სახელმწიფო მხარდაჭერისა და ამ მიზნით როგორც დარგობრივი ჭრილით, ისე მიზნობრივი ჯგუფებისათვის (მოსწავლეები, ქალი-მეწარმეები, უმუშევრები, იმიგრანტები და სხვ.) სპეციალური ფონდებისა და პროგრამების შექმნისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის პრობლემების კვლევას.

* * *

თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი პირდაპირ კავშირშია ინოვაციების გამოყენებასთან, რომელიც მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალური განვითარების პროცესში. ამ მხრივ ერთ-ერთი საყურადღებო ქვეყანაა შვედეთი, რომელიც ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელი მსოფლიოში ლიდერი ქვეყნის პოზიციაზე იმყოფება.

შვედეთმა ხანგძლივი რთული და თანმიმდევრული გზა განვლო ინოვაციური აქტივობის მაღალი დონის მისაღწევად. გასული საუკუნის მანძილზე ქვეყანაში განხორციელდა რევოლუციური გარდაქმნები, რასაც ხშირად „ეკონომიკურ სასწაულს“ უწოდებენ. რამდენიმე ათწლეულში, ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს და მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ იქცა. შვედეთს აქვს მრავალფეროვანი და განვითარებული ეკონომიკური სისტემა, რომელიც ეყრდნობა ეკონომიკის ისეთ რესურსულ ბაზას, როგორცაა ხე-ტყე, პიდრო-რესურსები და რკინის მადანი. ეკონომიკის წამყვანი ბირთვია მაღალგანვითარებული მრეწველობა, რომლის ძირითადი დარგებია: მანქანათმშენებლობა, ტელეკომუნიკაციები, ფარმაცევტიკა, ხე-ტყის გადამუშავება, რკინის მოპოვება და ფოლადის გამოდნობა, მიკროინსტრუმენტების, ქიმიური პროდუქციისა და სამომხმარებლო საქონლის წარმოება, სოფლის მეურნეობაში კი იწარმოება ქვეყნის მშპ-ს 2% [2].

სტრუქტურის თვალსაზრისით შვედეთის ეკონომიკაში წამყვანია ინტენსიურ ცოდნასა და ექსპორტზე ორიენტირებული, შედარებით პატარა, მაგრამ ზრდადი ბიზნესმომსახურებისა და საერთაშორისო სტანდარტების მქონე საზოგადოებრივი მომსახურების სექტორები. შვედეთის ეკონომიკაში როგორც წარმოების,

ისე მომსახურების სფეროში ბევრი დიდი საერთაშორისო კომპანია დომინირებს.

ინოვაციური აქტივობის დონის შეფასებისას გამოიყენება რიგი აგრეგირებული მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ ქვეყნის ინოვაციური პროდუქტების კომერციალიზაციის უნარს, ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების დონესა და, აგრეთვე, ინტელექტუალურ კაპიტალში ინვესტიციების მოცულობას. ინოვაციური საქმიანობის ერთ-ერთი ასეთი ინდიკატორია გლობალური ინოვაციური ინდექსი (გიი). ამ მაჩვენებლის მიხედვით 2016 წ. მსოფლიოში ლიდერის პოზიციები ეკავათ შვეიცარიას, შვედეთს, დიდ ბრიტანეთს, აშშ-ს, ფინეთსა და სინგაპურს. 26 წამყვანი ქვეყნის რიცხვში შევიდა, აგრეთვე, ჩინეთი. მანამდე კი 2014-2015 წწ. რეიტინგის მიხედვით შეედეთი იმყოფებოდა მე-3, 2012-2013 წწ. კი – მე-2 ადგილზე, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს მისი ინოვაციური აქტივობის მაღალ დონეზე [1].

გარდა ამისა, ქალაქ-ინოვატორთა (მსოფლიოში პირველი 20 ქალაქი) რიცხვში, რომელიც გაიანგარიშება 162 კრიტერიუმის მიხედვით, შევიდა შვედეთის დედაქალაქი სტოკჰოლმი (16 ადგილი). აღნიშნულ კრიტერიუმთა შორის მნიშვნელოვანია ინოვაციური ეკონომიკის მდგრადობა, წამყვანი უნივერსიტეტების არსებობა, ინოვაციური ინფრასტრუქტურის მასშტაბები და ა.შ. შედარებისთვის, რუსეთის ყველაზე ინოვაციური ქალაქი – მოსკოვი იმყოფებოდა 63-ე ადგილზე [7,18]. აქვე დავძენთ, რომ მაღალი რეიტინგის 25 ქვეყანა და მათი პოზიციები, ბოლო წლებში, ძირითადად უცვლელია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ძალზე ძნელია ლიდერთა მიღწევების გაუმჯობესება. ამასთან, გლობალიზაციის პირობებში, საუკეთესო უნივერსიტეტების შექმნა და კვლევით საქმიანობაში ინვესტიციების გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ლიდერის პოზიციების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ევროპაში გიი-ის მიხედვით, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, ზედიზედ პირველ ადგილს იკავებს შვეიცარია, რომელსაც მიჰყვებიან შვედეთი მე-2, დიდი ბრიტანეთი მე-3 ადგილი, შემდეგ მოდის ფინეთი (5), ირლანდია (7), დანია (8), ნიდერლანდები (9), გერმანია (10), რომელიც 2016 წ. შევიდა პირველ ათეულში. ევროპის ქვეყნებს აქვთ შედარებით მძლავრი ინოვაცი-

ური ინსტიტუტები და მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა. თუმცა, ამ ქვეყანაში არსებობს ბიზნესის განვითარების, ცოდნისა და ტექნოლოგიების, გარემოს დაცვისა და სკსს-ის დაფინანსების სრულყოფის სფეროში გამოუყენებელი შესაძლებლობები [1].

ინოვაციური აქტივობის მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია – საერთაშორისო ინოვაციური ინდექსი (სიი), რომელიც ითვლება საკმაოდ წონად მაჩვენებლად, რამდენადაც შეფასებისას გაითვალისწინება არა მხოლოდ ინოვაციური დანახარჯები, არამედ მათი უკუგებაც. ამასთან, დანახარჯებში აღირიცხება ის, რაც გაწეულია განათლების სფეროსა და ინოვაციური ინფრასტრუქტურის ობიექტებზე. დანახარჯების უკუგება კი ფასდება სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობის პრიზმაში. ამ მაჩვენებლის მიხედვითაც შევდეთი მოწინავე ქვეყნების რიგშია (მე-4 ადგილი) კორეის, აშშ-სა და იაპონიის შემდეგ. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინვესტიციები (მ.შ. ვენჩურული), რომელიც გაწეულია ფუნდამენტურ კვლევაზე. შევდეთში ინოვაციურ პროექტებზე ყოველწლიურად იხარჯება სოლიდური სახსრები (მშპ-ს - 3,7%), ანალოგიური მაჩვენებელი რუსეთში კი მხოლოდ 1,3% [7,98].

შევდეთის ეროვნული ინოვაციური სისტემის ცენტრალურ რგოლს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო (სკსს) სამუშაოების პრიორიტეტული განვითარება წარმოადგენს, რისთვისაც ქვეყანაში გამოიყოფა დიდი მოცულობის ფინანსური სახსრები. სკსს-ს დაფინანსების მიხედვით შევდეთი მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზეა, იგი ქვეყნის მშპ-ს 3,8%-ს შეადგენს, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ევროკავშირის საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელს (2,5%). ქვეყნის ინოვაციური სისტემის განვითარების დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულებებია: მედიცინა (27%), საინჟინრო გამოკვლევები (23%), საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (19%), საზოგადოებრივი მეცნიერებები (11%), ჰუმანიტარული და რელიგიური დისციპლინები (6%), სოფლის მეურნეობის მეცნიერებები (5%) [4,1-2].

სკსს-ს სამუშაოების შესრულების სფეროში შევდეთის მყარი პოზიციების შენარჩუნება განპირობებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელით. ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში აღნიშნულმა მოდელმა გამოავლინა თავისი უპირატესობები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ინოვაციური სისტემის

განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ საწყისებზე გადაყვანამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ბიზნესის განვითარებისათვის, რამაც დიდი ყურადღება მიიპყრო საერთაშორისო კომპანიების მიერ შვედეთში თავიანთი ქალიშვილი კომპანიების, განყოფილებებისა და ერთობლივი საწარმოების შექმნისათვის, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების განხორციელებისათვის.

შვედეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სიღრმისეულად აქვს გაცნობიერებული ინოვაციური საქმიანობის ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, რამაც არსებითად განსაზღვრა ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების დონე და თავისებურებები. ყოველივე ამან თავისი ასახვა პოვა ინოვაციური საქმიანობის ცალკეული მიმართულებების დაფინანსების მოცულობასა და სტრუქტურაში. აქტიურ ინოვაციურ საქმიანობაზე გადასვლის კვალდაკვალ, ქვეყანაში სისტემატურად ხორციელდებოდა რეგულირებისა და დაფინანსების ობიექტების გაფართოება. ამან სათანადო პირობები შექმნა ეროვნული ინოვაციური სისტემის სუსტი რგოლების გაძლიერებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა ინოვაციური ციკლის საგრძნობი შემცირება და, საერთოდ, ინოვაციური სისტემის მთელი ჯაჭვის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება, ინოვაციური საქმიანობის ყველა რგოლისა და ფაქტორის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სამსახურში ჩაყენება. შვედეთში ტექნოლოგიური სიახლეთმცოდნეობის საშუალო დრო შეადგენს – 4,3 წელს, ნიდერლანდებში - 6,7, დიდ ბრიტანეთში კი - 8,5 წელს [4,3].

მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორების ინტენსიური გამოყენება სულ უფრო მძლავრად იქცევა საექსპორტო საქონლისა და მომსახურების, სამრეწველო დარგებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობისა და, აგრეთვე, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორად.

შვედეთში ინოვაციური სისტემის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს შვედეთის ინოვაციური ცენტრი (შიც) და ინოვაციური სისტემების სააგენტო (ისს). აღნიშნული სააგენტოების მიზნებია ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად გამოყენებითი მეცნიერების კვლევის შედეგების პრაქტიკული რეალიზაცია. სწორედ ამ გარემოებამ

განსახდვრა ის ფაქტი, რომ სკსს-ს სამუშაოების დაფინანსება მოექცა შვედეთის მთავრობის ყურადღების ცენტრში. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით შვედეთი დგას მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგში.

შვედეთში აქტიურად ხორციელდება განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლა. ამასთან, ინოვაციური ორიენტაცია დამახასიათებელია არა მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკისათვის, არამედ ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს სამეწარმეო სექტორიც. სკსს-ს დაფინანსების 3/4 მოდის ბიზნესზე, 1/4-ს კი ახორციელებენ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები. ქვეყნის მშპ-ში ბიზნესის მიერ ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ხვედრი წილი 3%-ს უტოლდება, რაც საერთაშორისო მასშტაბით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და იგი მიუთითებს სამეწარმეო სექტორის მაღალ ინოვაციურ მიმართულებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული დაფინანსების დიდი ნაწილი მიმართულია ინოვაციურ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის საექსპორტო სპეციალიზაციასთან, სატრანსპორტო და სატელევიზიო კავშირებისა და საშუალებების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და, აგრეთვე, ფარმაცევტიკისა და ბიოტექნოლოგიების სფეროში წარმოებულ გამოკვლევებთან, რომელთა დიდ ნაწილს (2/3) ახორციელებენ უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიები [4, 1-2].

სამეწარმეო სექტორი და სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსებაში. ისინი ერთობლივად აფინანსებენ მრეწველობაში მომუშავე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს, ტექნოლოგიურ პარკებსა და მაღალი მიღწევების ცენტრებს. დაფინანსების 73% მოდის სამეწარმეო სექტორზე, 27% კი – სახელმწიფოზე, რაც მიგვანიშნებს ინოვაციური პროდუქტის შექმნაში მეწარმეობის დიდ დაინტერესებასა და ასეთი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის სათანადო გაცნობიერებაზე. ქვეყანაში სამეცნიერო კვლევებზე გაწეული დანახარჯების 3/4 მოდის კერძო სექტორზე. ყველაზე ინვესტირებადი დარგებია: საინფორმაციო ტექნოლოგიები (49,4%), მობილური ტექნოლოგიები (7,6%), ახალი მასალები (7,3%) [7,98].

შვედეთში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და

სამეწარმეო სექტორს შორის თანამშრომლობას. ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა, აგრეთვე, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის მხარდაჭერას, რომელიც ხორციელდება მცირე და საშუალო საწარმოებში. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ შვედეთი სავსებით დამსახურებულად ითვლება მსოფლიოში ლიდერ-ქვეყნად სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისა და კვლევის შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის მიხედვით.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ, სისტემატურად იცვლებოდა საგანმანათლებლო საქმიანობის, სამეცნიერო-ტექნიკური კვლევებისადმი მიდგომები და მისი მართვის მექანიზმები. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ინოვაციური საქმიანობის ფორმირებისა და ფუნქციონირების სრულყოფის მიზნით, შვედეთში არაერთი ინსტიტუტი, საზოგადოებრივი ფონდი და აკადემია იქნა ორგანიზებულ, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: სტრატეგიული კვლევების შვედური ფონდი; ცოდნისა და კომპეტენციების ფონდი; ბუნებრივი გარემოს სტრატეგიული კვლევების ფონდი; ჯანდაცვისა და ალერგიის სფეროს კვლევების ფონდი; მეცნიერებისა და განათლების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდი; შვედეთის ცენტრალური ბანკის საიუბილეო ფონდი.

გარდა აღნიშნულისა, ქვეყანაში ფუნქციონირებს ორი კერძო სამეცნიერო ფონდი – კნუტისა და ვალენბერგის ფონდი; კიბოს კვლევების ფონდი; ქვეყანაში არსებობს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ორი აკადემია: სამეფო მეცნიერებათა აკადემია და საინჟინრო მეცნიერებათა აკადემია. საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული აკადემიების დაფინანსების მოცულობა წლიდან წლამდე სისტემატურად იზრდება. ამასთან, რამდენადაც დასახელებული აკადემიები ახორციელებენ თეორიულ-ფუნდამენტურ კვლევებს, მათგან არავინ არ თხოულობს მოკლევადიან კომერციულ უკუგებას, რამდენადაც ასეთი უკუგება დამახასიათებელია მხოლოდ ეროვნულ ინოვაციურ სისტემაში არსებული ჩაკეტილი ინოვაციური ჯაჭვის ერთეულებისათვის. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში (2001) შვედეთში

შეიქმნა სამი სამეცნიერო საბჭო და სპეციალური საინოვაციო სააგენტო.

როგორც უკვე აღინიშნა, შვედეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფუნდამენტურ კვლევას, რასაც ახორციელებს შვედეთის სამეცნიერო საბჭო, რომლის შიგნითაც შექმნილია სამი საბჭო: ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებების, ბუნებათმცოდნეობისა და საინჟინრო მეცნიერებებისა და სამედიცინო მეცნიერებების მიხედვით. ქვეყნის განათლების კომიტეტი პასუხისმგებელია ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობაზე, სამეცნიერო კადრების მობილურობაზე და მთავრობას აძლევს ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სრულყოფის რეკომენდაციებს.

რაც შეეხება შრომის ბაზრისა და სოციალურ მეცნიერებათა შვედურ საბჭოს, იგი ახორციელებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომლებიც გამიზნულია საყოველთაო კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური მომსახურების, შრომის ბაზრის ფუნქციონირებისა და უშუალოდ სამუშაო ადგილებზე ყოფითი პირობების გაუმჯობესებისათვის. ეკოლოგიის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებებისა და რეგიონული დაგეგმვის შვედური საბჭო კი დაკავებულია მეცნიერული კვლევებით ეკოლოგიის, მდგრადი განვითარების, ბიოლოგიური მეცნიერებების, მიწისა და წყლის რესურსების, კომუნალური დაგეგმვის, მშენებლობისა და საკუთრების მართვის, არქიტექტურის, კულტურული ფასეულობების სფეროებში.

შვედეთში სამი სამეცნიერო საბჭოს გარდა, რომლებიც იმართება სამეცნიერო საზოგადოებათა მიერ, შექმნილია საინოვაციო საბჭო, რომელსაც ევალება ქვეყნის ინოვაციური სტრატეგიის შემუშავება აღსანიშნავია, რომ ფუნდამენტური გამოკვლევების სამეცნიერო საბჭოსა და ინოვაციურ საბჭოს შორის არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა, რამდენადაც მათი სამოქმედო სფეროები მკვეთრადაა გამიჯნული.

შვედეთის ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებით ხელსაყრელი პირობები იქმნება მდგრადი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად. ქვეყანაში სულ უფრო მცირდება მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების და მინერალური რესურსების გამოყენებით გარემო პირობებისადმი მიყენებული ზიანი, თანდათანობით ხორ-

ციელდება ენერგეტიკის არანახშირწყალბადოვან წყაროებზე გადაყვანა. ინოვაციური საქმიანობის სამთავრობო პროგრამის რეალიზაციის საწყის ეტაპზე შედეგთმა გამოაცხადა, რომ იგი უნდა გადაქცეულიყო ნახშირწყალბადოვანი საწვავისაგან თავისუფალ ქვეყნად. აღნიშნული, პროგრამა 2020 წლისათვის ითვალისწინებდა მოხმარებული ენერგორესურსების მთლიან მოცულობაში, ენერჯის განახლებული წყაროების ხვედრითი წონის 40-49%-მდე, მ.შ. ბიოსათბობის 20%-მდე ამადლებას, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ევროკავშირის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებს, სადაც ისინი შესაბამისად შეადგენენ 20% და 10%-ს [7,3].

შედეგთის თანამედროვე ეროვნული ინოვაციური სტრატეგიის მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ იგი ორიენტირებულია ადგილობრივი რესურსებისა და რეგიონული შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა მიიღწევა ოპტიმალური რეგიონული დაგეგმვისა და საერთაშორისო ინტეგრაციის წყალობით. ყოველივე ამან შექმნა პირობები ადრე ჩამორჩენილი რეგიონების აღორძინების, ახალი დინამიური რეგიონების შექმნისა და მათი ინოვაციურ საწყისებზე განვითარებისათვის. ამის საუკეთესო მაგალითია ერესუნის რეგიონი, რომელიც წარმოიქმნა შედეგთისა და დანიის საზღვარზე, აქ არსებულ საზღვაო სრუტეზე ორ ქვეყანას შორის დამაკავშირებელი ხიდის აშენების შედეგად. დიას, ეს მართლაც საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული რეგიონული პოტენციალი „ცოდნის საზოგადოების“ ფორმირების მიზნით, რაც ნაკარნახევია ლისაბონის სტრატეგიით. ერესუნის რეგიონი გადაიქცა ამერიკული სილიკონის ვიელს ევროპულ ვარიანტად. აღნიშნულ რეგიონში განთავსებულია 14 უნივერსიტეტი და სხვადასხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის დანიური უნივერსიტეტი როსკილდში და შედეგთის ლუნდის უნივერსიტეტი, რომლებშიც თავმოყრილია 10 ათასზე მეტი მკვლევარი. ბიოტექნიკური კომპანიებისა და ბიოტექნიკური გამოკვლევების კონცენტრაციის დონის მიხედვით ერესუნს ევროპაში უკავია მე-3 ადგილი [4,6].

შედეგთის ინოვაციური სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა რომ, თუ ადრე მეცნიერებასა და წარმოებას შორიდ არსებობდა დიდი დაშორება, ახლა ასეთი ხარვეზის აღ-

მოსაფხვრელად შეედეთის მთავრობა წარმატებით იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებსა და მეთოდებს. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ეკონომიკური და რეგიონული განვითარების სააგენტოსა და ინოვაციების შეედეთის სააგენტოს, რომლებიც ფლობენ რეგიონული განვითარების ფართო ქსელს.

შეედეთში წარმატებით ფუნქციონირებს ე.წ. „ინოვაციური ხიდი“, რაშიც იგულისხმება ბიზნესის ინკუბატორებისა და სხვა ინსტიტუტების განვითარების ეროვნული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიების ტრანსფერტს და წარმოადგენს ინოვაციური კომპანიების საწყის კაპიტალს. საყრდენი პუნქტების სახით, აღნიშნული პროგრამა ეფუძნება ქვეყნის შვიდი უდიდესი ქალაქის (გეტებორგი, ლუნდი, ლინჩპეინგი, ლულეო, სტოკჰოლმი, უმეო და უპსალა) გამოცდილებას, რომელთაც გააჩნიათ მძლავრი სამეცნიერო პოტენციალი. ამის შედეგად ქვეყანაში წარმატებით განხორციელდა ეკონომიკური და ინოვაციური საქმიანობის ცენტრალიზაციიდან დეცენტრალიზაციისაკენ შემობრუნება. სწორედ ქვეყნის რეგიონულ განვითარებაზე მიმართული კერძო-სახელმწიფოებრივი პარტნიორობის სამრეწველო კლასტერების ფუნქციონირების სრულყოფის ხუთწლიანი პროგრამა.

შეედეთის ინოვაციურმა პოლიტიკამ, ეკონომიკურ ბრუნვაში ახალი რესურსების – ცოდნის, რეგიონული შესაძლებლობების, სინერჯიისა და სექტორთაშორისი ინტეგრაციის ძალის რესურსების გამოყენებამ, შესაძლებლობა შექმნა მთლიანად ქვეყნის ინოვაციური განვითარების სრულიად ახალი დონის ფორმირებისა და ფუნქციონირებისათვის. ყოველივე ამან განაპირობა სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში სპეციალიზაციისა და კოოპერირების სრულიად ახალი, ფართო და რთული ქსელის შექმნა, იმავედროულად ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღნიშნული პროცესების სივრცობრივი და სიღრმისეული განვითარება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავის დროზე მრეწველობაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების გადრმავებას შედეგად მოჰყვა საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფი განვითარება, რაც დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ძირითად წყაროს, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან მაღალგანვითარებული ქვეყნების რანგში. ამჟამად კი, ეკონომიკური ზრდის

ძირითად წყაროს წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური სპეციალიზაცია და კოოპერირება. შვედეთი წარმატებით ავითარებს იმ დარგებს, რომლებიც შეესაბამება მათ საექსპორტო სპეციალიზაციას.

რა თქმა უნდა, შვედეთი არ ფლობს მონოპოლიას ინოვაციური საქმიანობის არც ერთ სფეროში. თუმცა, ქვეყნის სოციალური მოდელისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებების წყალობით, იგი ხშირად უსწრებს სხვა ქვეყნებს ინოვაციური საქმიანობის ინსტრუმენტების სისტემური და ეფექტიანი გამოყენების სფეროში. გამომგონებლობისა და ჩრდილო-ევროპული თანამშრომლობის ტრადიციები და ეკონომიკის ორიენტაცია უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ინოვაციური პროდუქტების საშინაო ბაზრის სტაბილურ გაფართოებასა და საგარეო ბაზარზე წარმატებულ გასვლას.

გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ინოვაციური პოტენციალი (მ.შ. რეგიონულ დონეზე) განიხილება, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსი. სწორედ ამიტომაც, რომ ინოვაციები და ინოვაციური პოლიტიკა სხვადასხვა დონეზე წარმოადგენს შვედეთის ხელისუფალთა მუდმივი ზრუნვის საგანს. შვედეთში სისტემატურად ხორციელდება აუცილებელი ორგანიზაციულ-სტრუქტურული გარდაქმნები სახელმწიფო ინოვაციური სისტემის სრულყოფის მიმართულებით. სულ უფრო იზრდება ინოვაციები კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის სფეროში, ხდება მისი ინოვაციური ინფრასტრუქტურის სრულყოფა, უფრო ფართოვდება და ღრმავდება წარმოებასა და მეცნიერებას შორის კავშირი. ასეთი გარდაქმნების პროცესში სულ უფრო იხვეწება სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაციის ფორმები, ძლიერდება ინოვაციური ჯაჭვის სუსტი რგოლები, რაც საშუალებას იძლევა ეროვნულ ინოვაციურ სისტემაში მათი წარმატებული ჩართვისათვის.

შვედეთის ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარებაში გარდატეხა მოხდა გასული საუკუნის 70-იან წლებში ენერგეტიკული კრიზისის გავლენით. 90-იან წლებში კი რადიკალურად გადაიხედა ქვეყნის ეროვნული ინოვაციური პოლიტიკა, რამდენადაც იგი მნიშვნელოვნად აძლიერებს მოტივაციას კონკურენციაში ტექნოლოგიური უპირატესობის მოსაპოვებლად. მსოფლიო კონკურენციის პირობებში, ინოვაციური პოლიტიკის რადიკალურმა

გარდაქმნამ განაპირობა, ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მართვის საკმაოდ რთული სისტემის შექმნა, რომელიც მიმართულია სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაციის მხარდაჭერის, კოორდინაციისა და ერთიანი ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისაკენ. აღნიშნული სისტემის ცალკეულ რგოლებს შორის კოოპერაციასა და კოორდინაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების წარმატებით განხორციელებაში, რამდენადაც ამ სფეროში ინოვაციები სულ უფრო მეტად დებულობს სისტემურ ხასიათსა და აქ შრომის საზოგადოებრივი ხასიათი უფრო აშკარად და სრულად ვლინდება, ვიდრე სამრეწველო წარმოებაში.

შვედეთის ეროვნული ინოვაციური სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ მას, შიდაეკონომიკურთან ერთად, აქვს საკმაოდ ფართო და ძლიერი საგარეო-ეკონომიკური ასპექტები. სოციალურად ორიენტირებული შვედური ეკონომიკური პოლიტიკა ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეცნიერებატევადი ექსპორტისათვის, რადგანაც იგი ხელს უწყობს მაღალხარისხოვანი ინოვაციური საქონლის შიდა ბაზრის მოთხოვნის ზრდას. შიდა ბაზარზე პოზიციების დამკვიდრების შემდეგ კი, აღნიშნული საქონელი წარმატებით გავა მსოფლიო ბაზრებზე სარეალიზაციოდ. ამის საუკეთესო მაგალითია ბევრი ფარმაცევტული პრეპარატი, კომპიუტერული ტექნიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებები, საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკა, მობილური სატელეფონო აპარატები და სხვ.

აღნიშნული სახის მეცნიერებატევადი საქონლის ექსპორტი გამოირჩევა მაღალი ეფექტიანობით, რაც საშუალებას იძლევა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წარმატებით გადაჭრისა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის. შვედეთი მსოფლიო ბაზრებზე სპეციალიზებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების, სამკურნალო წამლების, აგრეთვე, სამხედრო დანიშნულების პროდუქციის, სატრანსპორტო საშუალებების (პირველ რიგში ავტომობილების) ექსპორტზე, რომელთა წილად მოდის ქვეყნის ექსპორტის 70% და რომელიც 70%-ით ფინანსირდება ორი ათეული კომპანიის მიერ. ეს კი მიუთითებს შვედეთში ინოვაციური საქმიანობის, ისე, როგორც წარმოებისა და კაპიტალის, კონცენტრაციის მაღალ დონეზე. [4,6].

ქვეყნის განვითარების ინოვაციურ ტიპზე გადასვლა თავისებური პასუხია გლობალიზაციის გამოწვევებზე, რაც სრულ შესაბამისობაშია სკანდინავიურ ტრადიციებსა და ქვეყნის მენტალიტეტის თავისებურებებთან. მაგალითად, შვედური კომპანია „ერიქსონი“ თავისი სამუშაო ძალის მხოლოდ 1/3-ს ქირაობს შვედეთში, წარმოების დიდი ნაწილის ორგანიზაციას კი ახდენს საზღვარგარეთ კაპიტალის გატანით, სადაც იგი ყიდის წარმოებული პროდუქტის უმეტეს ნაწილს.

როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყანაში საკმაოდ მაღალია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დონე, რისთვისაც მას გააჩნია მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსი. ინოვაციური რესურსების ინტენსიური გამოყენება, ფაქტობრივად, შვედეთისათვის უალტერნატივო სტრატეგიაა, როგორც განვითარებული სამრეწველო ქვეყნისათვის, რომლის ეკონომიკა მაღალ სპეციალიზებულ ხასიათს ატარებს.

ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით ქვეყანაში შექმნილია სპეციალური სტრუქტურები, რომლებიც მოწოდებულია ინოვაციური პოლიტიკის გლობალური სტრატეგიის შემუშავებისთვის. ამ მხრივ ერთ-ერთი ძირითადია ზრდის პოლიტიკის შემსწავლელი შვედეთის ინსტიტუტი, რომლის მთავარი ამოცანაა ეკონომიკურ განვითარებაზე ინოვაციების გავლენის განსაზღვრა.

ქვეყნის ინოვაციური განვითარების გზაზე არსებობს შემაფერხებელი გარემოებებიც, რომელთაგან აღსანიშნავია ცოდნის შექმნისა და მისი გამოყენების სფეროებს შორის არსებული გარღვევა, რომლის დაძლევის მიზნითაც აუცილებელია შეიქმნას ეკონომიკის განსაკუთრებული სექტორი, რომელიც შეასრულებს ამ სფეროებს შორის შუამავლის, ე.წ. „ხიდის“ როლს. იგი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმით: სამეცნიერო და სამრეწველო პარკები, ტექნოლოგიური სოფლები, ბიზნეს-ინკუბატორები, ვენჩურული ფინანსირების ფონდები და სხვ.

ევროპული ქვეყნები დიდი ხნის მანძილზე ჩამორჩებოდნენ აშშ-სა და იაპონიას ვენჩურული დაფინანსების მხრივ. ამჟამად ასეთი ჩამორჩენა თანდათან მცირდება ევროკავშირის ფარგლებში სამეცნიერო-ტექნიკური ინტეგრაციის გაღრმავებისა და კერძო-სახელმწიფოებრივი პარტნიორობის განვითარების საფუძველზე. შვედეთში ასეთ პარტნიორობას აქვს დიდი ხნის ტრადიცია. თავის

დროზე ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, აგროსამრეწველო კომპლექსების შექმნა, სანავთობო შოკის შემდგომ პერიოდში ინტენსიური განვითარების გზაზე გადასვლა ხორციელდებოდა სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით. ახლაც, ინოვაციურ გზაზე გადასვლა ამ პროცესში სახელმწიფოს აქტიური ჩარევით ხორციელდება, კერძოდ, საბაზრო მექანიზმების ნაკლოვანებების ზემოქმედების შემცირებით, რაც მიიღწევა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების, ინოვაციების შექმნისა და დანერგვის საქმეში სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სახის საშუალებო სტრუქტურების (ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, სამეცნიერო-სამრეწველო კლასტერები და სხვ.) საფუძველზე. ამის საუკეთესო მაგალითია აქციებსა და ვენჩურულ კაპიტალში კერძო დაბანდებების შედური ასოციაცია. მსგავსი სტრუქტურები იქმნება სახელმწიფო კაპიტალის საფუძველზე ან კერძო კომპანიებთან პარიტეტულ საწყისებზე. სხვა სიტყვებით, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ინოვაციური განვითარების პასუხისმგებლობას და ინაწილებს კერძო ბიზნესთან ვენჩურულ რისკებსა და ფინანსურ დატვირთვას.

შვედეთის ვენჩურულ კაპიტალს წამოადგენს სამრეწველო ფონდი და კერძო დაბანდებებისა და აქციების შედური ასოციაცია. ისინი და მათი მსგავსი სტრუქტურები, ქმნიან რა რეგიონულ განყოფილებებს, თავიანთი საქმიანობით, ფაქტობრივად, მოიცავენ ქვეყნის მთელ ტერიტორიას. შვედეთის სახელმწიფო სააგენტო – „ინოვაციური ხიდი“ ქმნის სასტარტო კაპიტალს ინოვაციური კომპანიებისათვის და ასტიმულირებს მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციურ საქმიანობას. შვედეთის ინოვაციური სააგენტო, „ინოვაციურ ხიდთან“ ერთად, ახორციელებს ქვეყანაში ბიზნესის ინკუბატორების განვითარების ათწლიანი პროგრამის რეალიზაციას.

შვედეთის ინოვაციური საქმიანობის ერთ-ერთი ხარვეზია ის, რომ მეწარმეობისა და სახელმწიფოს პარტნიორობის უპირატესობით, რაც აქტიურად ვლინდება სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროში, უმეტესად სარგებლობენ მსხვილი კომპანიები, ვიდრე მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთა წილად მოდის დასაქმებულთა უფრო მეტი რაოდენობა. სახელმწიფოს აქტიური ძალისხმევის მიუხედავად, ასეთ საწარ-

მოებს ყოველთვის არ აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ზემოაღნიშნული უპირატესობით. სადღეისოდ ეს არის ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი პრობლემა, რამდენადაც, ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერებასთან ერთად, სულ უფრო იზრდება მსხვილ კომპანიებსა და წვრილ საწარმოებს შორის გარღვევა ინოვაციების შედეგებით სარგებლობის სფეროში.

ამჟამად, შვედეთის ინოვაციურ საქმიანობაში ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება ეფექტიანი კოორდინაცია სახელმწიფო მართვის სხვადასხვა ორგანოებსა და ინოვაციებში მრავალრიცხოვან მონაწილეთა შორის. ეს პრობლემა სულ უფრო მწვავედება ქვეყნის ინოვაციურ საქმიანობაში მონაწილეთა რიცხვის ზრდასა და ეროვნული ინოვაციური სისტემის სტრუქტურის გართულებასთან ერთად. გარდა ამისა, ჯერ კიდევ სუსტია კერძო ბიზნესის მონაწილეობა საუნივერსიტეტო გამოკვლევების დაფინანსებაში, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს საუნივერსიტეტო მეცნიერებასა და სამეწარმეო სექტორს შორის სუსტ კავშირზე. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში ქვეყნის სამრეწველო საწარმოები აფინანსებენ სკსს-ის დაახლოებით 3/4-ს, ისინი ამ მხრივ მაინც უპირატესობას ანიჭებენ საკუთარი ლაბორატორიების დაფინანსებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მეცნიერებატევადი წარმოებისა და ექსპორტის მონოპოლიზაცია. მცირე რაოდენობის მსხვილი კომპანიები მაქსიმალურად სარგებლობენ ინოვაციების, ევროკავშირის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების, სკსს-ს ინტერნაციონალიზაციისა და ბაზრების გლობალიზაციის შედეგად მიღებული ეფექტით, ვიდრე მცირე და საშუალო საწარმოები.

შვედეთის ინოვაციური საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა წარმოადგენს, რომელიც ხორციელდება ეკონომიკის განვითარებაში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურების აქტიური ჩარევით. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ ქვეყნის საწარმოთა მთლიან რაოდენობაში მცირე და საშუალო საწარმოებს უჭირავთ 90%-ზე მეტი, რომელთა წილად მოდის ეკონომიკაში დასაქმებულთა 1/3 და მშპ-ს დაახლოებით ნახევარი [4.8].

შვედეთში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა ხორციელდება საერთო სამრეწველო, რეგიონული, ინოვაციური პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც ასეთ საწარმოებზეა ფოკუსირებული. ორგანიზაციულად ამის პასუხისმგებლობა აკისრია მრეწველობის, დასაქმებისა და კომუნიკაციების სამინისტროს, აგრეთვე, მეწარმეობის განვითარების შვედეთის სააგენტოს, ინოვაციური სისტემების შვედეთის სააგენტოსა და ეკონომიკური პოლიტიკის შემსწავლელ შვედეთის ინსტიტუტს.

ყველაზე მცირე საწარმოსათვის, ისე როგორც ახალი კომპანიისათვის, ქვეყანაში დაწესებულია რეგისტრაციის შედარებით მარტივი პროცედურა. ამისთვის ნებართვა გაიცემა ერთი თვის განმავლობაში. ყველა ფორმალობის შესასრულებლად საჭირო დანახარჯები განისაზღვრება მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს 1%-ის ფარგლებში, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებისთვის კი – საკმაოდ მაღალ დონეზე (100ათ.კრონი). რეგისტრაციის ყველა პროცედურა ხორციელდება ერთი სარკმლის მეშვეობით, სადაც საწარმო დგება საგადასახადო აღრიცხვაზე და გადის სახელმწიფო რეგისტრაციას.

შვედეთში წარმატებით ხორციელდება პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია მიზნობრივი ჯგუფებისათვის მცირე მეწარმეობის მხარდაჭერაზე: ახალგაზრდობაზე, იმიგრანტებზე, უმუშევრებზე, ქალ-მეწარმეებზე. 6-დან 11 წლამდე მოსწავლეების პროგრამა ითვალისწინებს შემოქმედებითი აზროვნების, ინიციატივის, ინოვაციური უნარების, საკუთარ თავში დარწმუნების, აგრეთვე, სასიცოცხლოდ აუცილებელი მწვავე პრობლემების შესახებ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარჩვევების გამომუშავების მხარდაჭერას. პროგრამების რეალიზაციის პროცესში, მოსწავლეებთან ერთად, ხდება სასკოლო მეცადინეობის განრიგში მშობლებისა და მეწარმეების ჩართვა. ამ პროგრამების შესრულებაზე ჩვეულებრივ გამოიყოფა კვირაში ერთი დღე. ამის პარალელურად ქვეყანაში წარმატებით მოქმედებს პროგრამა „იკვლიე და იზარდე“, რომელიც აფინანსებს მცირე და საშუალო საწარმოებს, რომელთა 80% თავიანთი გამოკვლევების საფუძველზე ქმნიან ახალ, ინოვაციურ პროდუქტებს.

გარდა ამისა, 10-დან 20 წლამდე ახალგაზრდებისათვის ქვეყანაში მოქმედებს პროგრამა „ახალგაზრდული მიღწევები“, რომ-

ლითაც ახალგაზრდებს წელიწადში ერთხელ ეძლევათ დახმარება, რათა მათ შეძლონ თავიანთი ახალი საქმიანობის დაწყება. პროგრამის მიზანია სწავლება და ახალგაზრდობის (მათ შორის ქალების) მიერ, სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების მხარდაჭერის მიზნით, სემინარების ორგანიზება, სადაც ხდება სწავლება და გამოცდილების გაზიარება. ამავე მიზნით 2000 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს სპეციალური პროგრამა „ბიზნესის დაწყება“.

შვედეთის ბევრ უნივერსიტეტში არსებობს „ბიზნესის სათბურები“, რომლებშიც ბიზნესის წარმოებისათვის შექმნილია შეღავათიანი პირობები, სადაც ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობენ სტუდენტები. ისინი უმეტესად ადგილობრივი რესურსებით ფინანსდებიან. ბევრ უნივერსიტეტში გახსნილია სამეწარმეო საქმიანობის სპეციალური კურსები, ხოლო იონკეპინგის უნივერსიტეტში მოქმედებს საკონსულტაციო პროგრამა იმათთვის, ვისაც სურს მცირე და საშუალო საწარმოთა ორგანიზება. უმეოს უნივერსიტეტში კი სტუდენტებისათვის შექმნილია მეწარმეობის ინოვაციური ცენტრი. ინოვაციური პროდუქტების შექმნის მოტივაციისა და მოსწავლეებში კრეატიული პოტენციალის ამაღლების მიზნით ხორციელდება კომპანიებსა და სკოლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. მაგალითად, კომპანია „FINNUPP“-ი, უმცროსი კლასის მოსწავლე-გამომგონებელთა მოტივაციის მიზნით, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ატარებს შვედეთში ყველაზე დიდ შეჯიბრებას. არაკომერციული ორგანიზაცია – „ახალგაზრდა მეწარმეობა“ კი საშუალებას აძლევს უფროს კლასელებს, სასწავლო წლის მანძილზე იქონიონ თავიანთი საკუთარი ბიზნესი, როგორც სასკოლო პროგრამის ნაწილი. საყურადღებოა, რომ მოსწავლეთა 80% სწორედ აქ იძენს ბიზნესის მართვის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

შვედეთში მოქმედებს ქალების, უმუშევრებისა და იმიგრანტებისათვის სამეწარმეო აქტიურობის მხარდაჭერის სპეციალური პროგრამები. ყოველწლიურად ქვეყანაში იქმნება 34-37 ათასამდე მცირე საწარმო, რომელთა 30% მიდის ქალებზე, 20% იმიგრანტებზე, 20% – 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებზე, 20% – უმეშვერებზე. საწარმოების დიდი ნაწილი წარმატებით მოქმედებს ბაზარზე და მათი მხოლოდ 4% კოტრდება [4,8].

შვედეთის ხელმძღვანელობა კარგად აცნობიერებს, რომ ბიზნესის წამოწყების მიზნით უმუშევრებზე გაცემული სუბსიდიები იმავდროულად არის უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი საშუალება. მისი გაცემის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა წარმატების მომტანი ბიზნესგეგმის დამუშავება. ქვეყანაში ახლად შექმნილი საწარმოების 1/4 მოდის ყოფილ უმუშევრებზე. სუბსიდიის ზომა დაკავშირებულია თანხის სიდიდესთან, რომელიც შეიძლება მისცემოდა უმუშევარს დახვევის სახით 6-დან 12 თვის განმავლობაში. ეს თანხა საკმარისია ერთი დასაქმებული საწარმოს შექმნისათვის.

ინოვაციური საქმიანობის წარმატებები ბევრადაა დამოკიდებული ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირებასა და მართვაზე, რაც მიიღწევა ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნისა და ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე. შვედეთის ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირებას ახდენენ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში ფუნდამენტური გამოკვლევების მხარდამჭერი სტრუქტურები, აგრეთვე, ბიზნესსა და სასწავლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, ე.წ. „ხიდის“ შექმნილი და მაკონტროლებელი ორგანოები.

შვედეთში არსებობს ორი სამინისტრო – მრეწველობის, მშენებლობისა და დასაქმების სამინისტრო და განათლებისა და კულტურის სამინისტრო, რომლებიც თავის თავზე იღებენ ინოვაციური სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების შედეგებზე პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, ამ მიზნით შეიქმნა ინოვაციური სისტემების შვედური სააგენტო (VINNOVA), რომელიც მოწოდებულია გამოკვლევების, ტექნიკური დამუშავებისა და ინოვაციური სისტემების ფორმირების დაფინანსების გზით ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის, მსოფლიო ბაზარზე შვედური გამოკვლევებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მხარდაჭერისათვის. აღნიშნული სააგენტოს ყოველწლიური ბიუჯეტი უტოლდება 220 მლნ ევროს, რომლის ძირითადი ნაწილი იხარჯება მიმდინარე და ახალი პროექტების დაფინანსებაზე. იგი კოორდინირებას უკეთებს, აგრეთვე, ე.წ. „სამმაგი სპირალის“ (ბიზნესი-სახელმწიფო-განათლებისა და მეცნიერების სისტემა) პროგრამით გათვალისწინებული გამოკვლევებისა და მცირე

საწარმოთა შექმნის პროცედურის გამარტივებასა და მისი ამოცანების შესრულებას.

შვედეთის ინოვაციური პოლიტიკის და ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მსხვილ ბიზნესს სახელმწიფოს გარეშე ძალა არ შესწევს ჩაკეტოს ინოვაციური ციკლები ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში. ეკონომიკის განვითარების ინდუსტრიულ სტადიაზე სახელმწიფო თავისთავზე იღებდა სავალდებულო საშუალო განათლების შემოდებასა და სათანადო ინფრასტრუქტურის (მ.შ. მეცნიერებისა და ტექნიკის) შექმნის გზით შესაბამისი კანონების მომზადების ვალდებულებას. ინოვაციური განვითარების ფაზაზე გადასვლისას კი სახელმწიფო თავისთავზე იღებს ეკონომიკის განსაკუთრებული სექტორის – წარმოებასა და მეცნიერებას შორის ე.წ. „ხიდის“ ორგანიზაციასა და დაფინანსებას, რაც ნაკარნახევია ქვეყნის სოციალური განვითარების ორიენტაციით.

სახელმწიფო აქტიურ როლს ასრულებს ქვეყნის სექტორთაშორის ინტეგრაციაში და აკოორდინირებს ინოვაციურ ჯაჭვში მრავალრიცხოვან მონაწილეთა საქმიანობას. ინოვაციები, ფართო გაგებით, მოიცავს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ, არამედ სოციალურ პრობლემებსაც. ეს იმითაც მტკიცდება, რომ სწორედ შვედეთმა და ჩრდილო-ვეროპული რეგიონის სხვა ქვეყნებმა შემოიღეს პირველად მწვანე გადასახადები (ე.წ. „მწვანე სერტიფიკატები“), რომლებიც ასტიმულირებს ნახშირწყალბადოვანი სათბობის მოხმარებისა და გამონაბოლქვის შემცირებას. ამ ქვეყნებმა პირველებმა აიღეს კურსი არანახშირწყალბადოვანი ენერგეტიკის შექმნასა და ისეთი ეკონომიკის ფორმირებაზე, რომელიც ორიენტირებულია გარემო პირობების დაცვასა და მის სიჯანსაღეზე.

გარდა ამისა, სახელმწიფო აქტიურად ზრუნავს ინოვაციური სფეროს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფაზე. ამ მიზნით შვედეთში შექმნილია განსაკუთრებული მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის თანამშრომლებს, რომლებიც ქმნიან ინოვაციურ პროდუქტებსა და ტექნოლოგიებს, მიიღონ მათზე ინტელექტუალური საკუთრების უფლება, რაც მნიშვნელოვნად ასტიმულირებს უნივერსიტეტის თანამშრომლებს

ინოვაციების შექმნაში, რამდენადაც ასეთ ინოვაციებზე საკუთრების უფლებას იღებს არა უნივერსიტეტი (როგორც ეს ადრე იყო), არამედ თვითონ მუშაკი, რომელსაც შეუძლია იგი გაყიდოს, გაასხვისოს და ა.შ.

შვედეთის ინოვაციურ საქმიანობაში მიღწეული წარმატებები ფართოდ ვრცელდება მთელ მსოფლიოში, რაც ხელს უწყობს იმას, რომ ხალხის ცხოვრება იყოს უფრო კომფორტული, მოხერხებული და უსაფრთხო. ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის მაღალი ინოვაციური დონე შედეგია მიზანმიმართული მმართველობითი საქმიანობისა, რაც სათანადო პირობებს ქმნის ეროვნული ინოვაციური სისტემის მაღალ დონეზე ფორმირებისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული სისტემის ქვაკუთხედია განათლებას, მეცნიერებასა და წარმოებას შორის მჭიდრო კავშირი, საშუალო და უმაღლეს სკოლებში პერსონალისა და მომავალი სპეციალისტების სწავლების მაღალი დონე, სახელმწიფოსა და ბიზნესის მზადყოფნა ინოვაციური საქმიანობის ინვესტირებისა და მისი შედეგების პრაქტიკული გამოყენებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელიტაშვილი მ., შვედეთის ეკონომიკა, www.Sociom.ge/index
2. Глобальный инновационный индекс 2016г.
http://www.wipo.int/pressroom/ru/articles/2016/article_0008.html
3. Высшее образование в Швеции, <https://sweden.ru/rabota-i-uchyoba/vysshee-obrazovanie-v-shvecii/>
4. Инновационная политика Швеции ,<http://re fold.ru/look/270717>.
5. Экономика Швеции: История успеха,
<https://sweden.ru/ljudi/ekonomika-shvecii-istoriya-uspeha/>
6. Удальцова Н. и др. Современные проблемы национальной инновационной системы, журн. „Креативная экономика”N8,2013.
7. Удальцова Н. и др. Национальная инновационная система Швеции: стратегия развития и факторы успеха , журн. „Вопросы экономики и права”, N2,2015.

**SWEDISH NATIONAL INNOVATION SYSTEM:
FEATURES OF FORMATION AND FUNCTIONING**

Summary

During the last century, radical reforms were carried out in Sweden, which has turned into the country with a highly developed innovation system not only in Europe but also in the world. The paper analyzes the characteristics of the formation and functioning of the Swedish innovation system, the place and role of state and enterprise sectors in this process. It emphasizes the importance of research of the problems of secondary and higher education, organization and financing of scientific research and experimental works and social infrastructure, state support for SMB and for this purpose in sectoral aspect as well as for target groups (students, women entrepreneurs, unemployed, Immigrants etc.), the creation of special funds and programs and their practical implementation.

ნანუელი არევაძე

ნანა ბიბილაშვილი

**სინგაპურისა და მალაიზიის ეროვნული ინოვაციური
სისტემების მდგრადი განვითარებისა და
ფუნქციონირების თავისებურებები**

ანოტაცია. სტატიაში გაანალიზებულია სინგაპურისა და მალაიზიის ეროვნული ინოვაციური სისტემების მდგრადი განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებები და განვითარების ეტაპები განხორციელებული სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და უცხოური კაპიტალის ფართომასშტაბიანი მოზიდვის საფუძველზე. ნახვენებია, რომ სწრაფი ინოვაციური განვითარება შესაძლებელი გახდა მჭიდრო თანამშრომლობით სახელმწიფო ორგანოებს, კერძო სექტორსა და სამეცნიერო წრეებს შორის და მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინვესტიციებით მეცნიერებაში. შედარებითი მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა სინგაპურის ეის მნიშვნელოვანი უპირატესობა თავის „დიდ მეზობელთან“ შედარებით.

* * *

სინგაპურისა და მაღაიზის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ისტორია წარმოადგენს ეროვნული ინოვაციური სისტემების „პარალელური“ მშენებლობის ერთ-ერთ მაგალითს. ისინი გეოგრაფიულად მეზობლები არიან და თავიანთი ინოვაციური სტრატეგიები ერთმანეთის მსგავსად შეიმუშავეს, ამასთან, მაღაიზიამ ბევრ რამეში გამოიყენა ეკონომიკურად უფრო განვითარებული სინგაპურის გამოცდილება.

სინგაპური სამხრეთ აზიის ყველაზე პატარა ქალაქ-სახელმწიფოა 5,18 მილიონი მოსახლეობით, რომელთაგან მუდმივი მცხოვრები მხოლოდ 3,49 მილიონია და რომელმაც სულ რაღაც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში წარმატებით განახორციელა თავისი ეკონომიკის ტრანსფორმაცია და უკვე XX ს. ბოლოს გადაიქცა აზია-წყნარი ოკეანისა და მთელი მსოფლიოს ერთ-ერთ ლიდერად სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური მაჩვენებლის მიხედვით (მშპ მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე, საინვესტიციო მიმზიდველობა, მუშაობის, ცხოვრებისა და დასვენების პირობები, წიგნიერების დონე და ა. შ.). დამოუკიდებლობის მიღების მომენტში (1963 წ. აგვისტოში მან დიდი ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობა მიიღო, 1965 წ. კი დატოვა მაღაიზის ფედერაცია) სინგაპური ძალზე პატარა და იმდენად ღარიბი ქვეყანა იყო, რომ სჭირდებოდა სასამელო წყლისა და სამშენებლო ქვიშის იმპორტიც კი. მეზობელ სახელმწიფოებს არამეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ. მოსახლეობის მესამედი სიმპათიურად იყო განწყობილი კომუნისტებისადმი, რასაც ემატებოდა რესურსებისა და ტერიტორიის სიმცირე. ასეთ სიტუაციაში დამოუკიდებელი არსებობის შენარჩუნება ძალზე სათუო იყო. ამის მიუხედავად ქვეყანამ ეს შეძლო ინოვაციური სტრატეგიის შემუშავებითა და რეალიზაციით, მთავრობის ახალი მეთაურის ლი კუან იუს ხელმძღვანელობით. სტრატეგია გულისხმობდა სინგაპურის გადაქცევას სამხრეთ აზიის ფინანსურ და სავაჭრო ცენტრად და უცხოური ინვესტიციების მაქსიმალურ მოზიდვას.

დღეს სინგაპური საქმიანი აქტივობის ერთ-ერთი მსხვილი საერთაშორისო ცენტრია ფინანსების, ტრანსპორტის, IT ტექნოლოგიების და ბიოტექნოლოგიების სფეროებში.

როგორც არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, განსაკუთრებით კი მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მოღვაწე სინგაპურელი ეკონომისტი **პო კამ ვონგი** თავის სტატიაში – „ინოვაციური მოდელი სინგაპურის სამრეწველო სექტორში“ – სინგაპურის ეკონომიკურმა განვითარებამ გაიარა ეროვნული ინოვაციური სისტემის 4 ეტაპი, მათგან **პირველი** (1965-70 წლების შუა პერიოდამდე) – ინდუსტრიული ბიძგის ეტაპი იყო და ხასიათდებოდა მაღალი დამოკიდებულებით ტექნოლოგიების ტრანსფერებზე უცხოური ტრანსეროვნული კომპანიებიდან და მრეწველობის შრომატევადი დარგების განვითარებით.

„ხელოვნური აპარტიდის“ პოლიტიკის განხორციელების შედეგად ყველაზე შრომატევად დარგებში, საზღვარგარეთული ტრანსეროვნული კომპანიების (ტეკ) აქტიური მოზიდვის შედეგად სინგაპურში სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის დაახლოებით 3/4 ახლა ამ კომპანიების საზღვარგარეთული ფილიალების წილად მოდის. ამასთან, უცხოელები ფლობენ სამრეწველო საწარმოების აქციონერული კაპიტალის 60%-ზე მეტს. სინგაპურის ეს მკაცრი სტრატეგიული მიზნულობა უცხოურ ტექნოლოგიურ წყაროებზე სამრეწველო განვითარების ადრეულ ეტაპზე, მას სხვა „აზიური ვეფხვების“ წრიდან აშკარად გამოარჩევს.

შიდა ტექნოლოგიური რესურსების განვითარების მეორე ეტაპზე (70-იანი წლების შუა პერიოდიდან 80-იანი წლების ბოლომდე) ეროვნული ტექნოლოგიური სტრატეგიის შემმუშავებლებმა განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივი დამხმარე დარგების სწრაფი განვითარების სტიმულირებას მიაქციეს, რაც შესაძლებელი გახდა ტეკ-ის მიერ ახალი და განახლებადი ოპერაციებისა და პროდუქციის წარმოებით და ხელშემწყობი დარგების განვითარებით.

მესამე ეტაპი (80-იანი წლების ბოლოდან 90-იანი წლების ბოლომდე) ხასიათდებოდა გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების განვითარებისადმი ყურადღების ამაღლებით საზღვარგარეთული ტრანსეროვნული კომპანიების (ტეკ) ადგილობრივი ფილიალების ბაზაზე, აგრეთვე ადგილობრივი ახალი სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების აქტიური შექმნის გზით IT ტექნოლოგიების, მიკროელექტრონიკის და

„სიცოცხლეზე მეცნიერებების“ (life science) სფეროში, რომელთა საქმიანობა მიმართული იყო ინოვაციური პროცესების მხარდაჭერისა და ინოვაციური საქმიანობიდან შედეგების მიღებაზე.

მეთხე ეტაპი, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო, მდგომარეობდა სინგაპურის ხელმძღვანელობის მიერ მორიგი ამბიციური ამოცანის დასახვაში ეროვნული მაღალტექნოლოგიური წარმოების სწრაფი განვითარების თაობაზე, სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევებისა და დამუშავებების ბაზაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებით იმ მაჩვენებლებისათვის, რომლებიც ტექნოლოგიური ინოვაციებისათვის არის დამახასიათებელი, და დიდი მნიშვნელობის მინიჭებით IT და ბიოლოგიური სექტორისათვის.

ძირითადი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის საერთო კოორდინაციას, არის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ეროვნული საბჭო (WSTB). ამის გარდა, პრიორიტეტული ტელესაკომუნიკაციო სფეროს განვითარების მხარდაჭერისათვის შექმნილი კომუნიკაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალური სამინისტრო ორ სამთავრობო სააგენტოსთან ერთად.

1996 წ. სინგაპურის მთავრობამ გამოაცხადა ახალი გრძელვადიანი პროექტის – ინოვაციური პროგრამის – განხორციელების თაობაზე, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფართომასშტაბიანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური ბაზის განვითარება ქვეყანაში კრეატიული კვლევების სტიმულირებისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სინგაპურში ბიო-ტექნოლოგიური ინოვაციების დაჩქარებული განვითარების პროგრამა. მისმა ინიციატორმა სახელმწიფო იდეოლოგიებმა დასახა მორიგი ამბიციური მიზანი – ბიოსექტორის ყოველწლიური 6%-იანი ზრდა, რომლის მისაღწევად შემუშავდა ახალი პროექტების სახელმწიფო დაფინანსების ფართომასშტაბიანი ცალკე სქემა.

წამყვანი უცხოური კომპანიების მოსაზიდად სინგაპურის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (სკსსს) განსახორციელებლად შეიქმნა სპეციალური „Biomedical Science Investment Fund“ 600 მლნ აშშ დოლარი სასტარტო კაპიტალით, ასევე, მიზნობრივი ვენჩურული კომპანია „Singapore Bioinnovativos“ (SBI) 21 მლრდ აშშ

დოლარი კაპიტალით, რომელიც გამიზნულია როგორც ახალი ეროვნული კომპანიების შექმნის მხარდასაჭერად, ისე სხვადასხვა უცხოურ ბიოტექნოლოგიებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

სინგაპურის მთავრობის სხვა მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენს კვლევითი ალიანსების აქტიური შექმნა დასავლურ წამყვან ბიოტექნოლოგიებთან. მათგან ერთ-ერთია მსოფლიოს უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიის Eli Lilly-სა და სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტის ალიანსი ერთობლივი სამედიცინო კვლევების ჩატარების მიზნით.

სინგაპურის ეფექტიანი სამეცნიერო-კვლევითი სისტემის აგების გრძელვადიანი პროგრამის განხორციელების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკების განშტოებული ქსელის შექმნა. მათგან პირველი სამეცნიერო პარკი სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ იქნა ჯერ კიდევ 1980 წელს და გახდა მაღალტექნოლოგიური კომპანიების წარმომქმნელი საბაზო ინკუბატორი და ეროვნული სკსს ძირითადი ცენტრი, რომელშიც უპირატესი განვითარება პოვა უფრო გამოყენებითი ხასიათის კვლევებმა, ვიდრე ფუნდამენტურმა.

მრავალწლიანი წარმატებული განვითარებით შთაგონებულმა სინგაპურის მთავრობამ ორი საუკუნის მიჯნაზე განახორციელა კიდევ ერთი ტექნოპარკული პროექტი – „სუფთა ველზე“ ჰაი-ტექ კომპლექსის მშენებლობა, რომელმაც უნდა შეასრულოს უკვე არსებული და ახლად შექმნილი ცენტრების უნივერსალური ინტეგრატორის როლი, უკვე ფუნდამენტურ კვლევებზე ორიენტაციით, რომელზეც 2010-2015 წლებში დაიხარჯა 9 მლრდ აშშ დოლარი.

სინგაპურის ინოვაციური კომპანიები წარმატებით წყვეტენ დიდი ქალაქების პრობლემას და ეს გადაწყვეტილებები მისაღებია არა მხოლოდ ლოკალური, არამედ გლობალური ბაზრისათვის ეფექტიანობისა და ეკოლოგიის თვალსაზრისით. ისინი ეფექტიანად ახორციელებენ საკუთარ პრაქტიკაში შემოწმებული ისეთი ფორმატის გადაწყვეტილებების ექსპორტირებას, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ჩინურ-სინგაპურული ინდუსტრიული პარკის მშენებლობა სუნჯოუში, საერთაშორისო ტექნოპარკისა ბანგალორში (ინდოეთი) და ვიეტნამ-სინგაპურის ინდუსტრიული პარკი.

ჩამდინარე წყლების ინოვაციური უტილიზაციის განხორციელებით, მიწის ფართობის შეზღუდულობის პირობებში, წვიმის წყლის შენახვით, სინგაპურმა შეიმუშავა სხვადასხვა სახის ეკონომიკური და საიმედო წყალმომარაგება, რომელიც ხორციელდება „ოთხი ეროვნული წყაროს“ პროექტის სახელწოდებით და მოიცავს გადამუშავებულ, გამტკნარებულ, დრენაჟირებულ და იმპორტულ წყალს. ამ პროექტმა 2010 წ. პრემია მიიღო „წყლის მეორადი გამოყენების“ სფეროში.

სინგაპურში, ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით, შექმნილია სპეციალური საგადასახადო პირობები იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სამეცნიერო კვლევებს ახორციელებენ. ამის გარდა, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და მოზიდვის მიზნით, რეფორმირებას განიცდის განათლების სისტემა პროექტის „ინოვაციური ერის“ რეალიზაციის ფარგლებში. ინოვაციურ პარკებში კი იქმნება ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციურ საქმიანობას, სკოლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ჩათვლით. სინგაპურის საშინაო ეკონომიკური პოლიტიკა კი ეფუძნება ე.წ. სამ „ვეშაპს“.

- სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას;
- კონფუციურ დინამიზმს;
- საერთაშორისო თანამშრომლობის მაქსიმალურ განვითარებას.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას იმაზეც, რომ სინგაპურში კვლევების დაფინანსება სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება. საჭიროა იმისი აღნიშვნაც, რომ ქვეყანაში 2009 წ. შეიქმნა ეკონომიკური სტრატეგიის სპეციალური კომიტეტი, რომელიც მოწოდებულია, გახდეს საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემმუშავებელი აზრობრივი ცენტრი ინოვაციების სფეროში. მოცემულმა კომიტეტმა, რომელიც წარმოადგენს ერთობლივი (კერძო-სახელმწიფოებრივი) ექსპერტების კომისიას, განსაზღვრა სინგაპურის განვითარების საბაზო სტრატეგია უახლოესი წლებისათვის:

- ცოდნის წარმოების მხარდაჭერა;
- ახალი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა;

• კვლევებსა და დამუშავებებზე ხარჯების ზრდა მშპ 3%-დან 3,5%-მდე.

პროგნოზების მიხედვით, 2020 წ. ნავარაუდევია საქმიანი აქტივობის ცენტრის გადანაცვლება ევროპიდან და ამერიკიდან აზიაში (მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 60%-მდე). რამდენადაც სინგაპური სტრატეგიულად აზიისა და მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შუაგულშია, ეს კიდევ უფრო განამტკიცებს მისი, როგორც ცენტრის პოზიციებს.

თავის მხრივ, მაღაიზიის ეროვნული ინოვაციური სისტემის (ვის) განვითარებისა და განმტკიცების სტრატეგია ეფუძნება სპეციალურ პროგრამას, Vision 2020-ს, რომელიც მისი ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან გეგმას წარმოადგენს. ამასთან, ქვეყნის ხელისუფლების მიერ, მრავალი წლის მანძილზე, ყურადღების მთავარ ობიექტს წარმოადგენს ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები (იკტ). მაღაიზიის საკვანძო სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებიც ახდენენ პოლიტიკის კოორდინაციას ამ სფეროში, წარმოადგენენ, – მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამინისტრო (NITC), ინფორმაციის სამინისტრო და მაღაიზიის განვითარების კორპორაცია.

1994 წ. შექმნილი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამინისტრო (NITC) წარმოადგენს სახელმწიფო სტრატეგიის მთავარ შემმუშავებელს ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების (იკტ) სფეროში და იმართება უშუალოდ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მიერ. მაღაიზიის განვითარების კორპორაცია ხელმძღვანელობს მაღაიზიის ეკონომიკის საკვანძო სამეცნიერო-ტექნოლოგიური კლასტერის სინგაპურის ტექნოპარკული სისტემის თავისებური „გაფართოებული ვერსიის“ მულტიმედია სუპერკორიდორის (Multimedia SuperCorridor (MSC)) – მუშაობას. მულტიმედია სუპერკორიდორში ფორმალურად შედის მაღაიზიის დედაქალაქი კუალა-ლუმპუსი და ხუთი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტი: ტყუპი კოშკები Petronas, ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დედაქალაქი პუტრაჯაია, ფუტურის-ტული „ჭკვიანი კვლევებისა და განვითარების ქალაქი“ კიბერჯაია, მაღაიზიის ტექნოლოგიური პარკი და კიდევ ერთი დედაქალაქური კოშკი – კუალა ლუმპური.

1990-იანი წლების დასაწყისიდან მაღაიზიის მთავრობამ მნიშვნელოვნად გაააქტიურა თავისი ძალისხმევა ქვეყნის გადასაქცევად იკტ ერთ-ერთ მსოფლიო ლიდერად მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების დახმარებით რიგ სპეციალურ პროგრამებში, რომელიც ფოკუსირებული იყო იკტ ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური შემადგენელი სექტორის დაჩქარებულ განვითარებაზე. კერძოდ, ახლა მულტიმედიური სუპერკორიდორის ფარგლებში პარალელურად ხორციელდება რვა ამბიციური პროექტი, გამიზნული წამყვანი მსოფლიო კომპანიების მოსაზიდად ამ სფეროში, მაღაიზიაში თავიანთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების შესაქმნელად.

ამის გარდა, დასმული ამოცანის მისაღწევად მაღაიზიის მთავრობა უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ახორციელებს სახელმწიფო დაფინანსების აგრესიული ზრდის პოლიტიკას R&D. ასე მაგალითად, თუ 2000წ. სკსსს იხარჯებოდა მშპ 0,5%-ზე ნაკლები, 2010 წელს მან 1,0-ს გადააჭარბა (აბსოლუტურ ციფრებში ინვესტიციების მოცულობა 2000-2011 წლებში 6-ჯერზე მეტად გაიზარდა).

მთლიანობაში, თუ ერთმანეთს შევადარებთ სინგაპურისა და მაღაიზიის ეის, შეიძლება აღვნიშნოთ საერთო ნიშნები მათ სტრატეგიებში. ორივე ქვეყანაში აქცენტი კეთდებოდა უცხოური მრავალფეროვნული კორპორაციების მოზიდვაზე ქვეყნის ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების მიზნით, ხოლო განვითარების გარკვეულ ეტაპზე ორივე ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკამ გადაინაცვლა ეროვნული ტექნოლოგიური პოტენციალის ზრდის წახალისების მიმართულებით. როგორც სინგაპურის, ისე მაღაიზიის მთავრობები ხელს უწყობდნენ და ახლაც უწყობენ და აქეზებენ სამეცნიერო და ხაიტექური პარკების ფართო ქსელის განვითარებას, მუდმივად აბანდებენ მასში სახსრებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

თუმცა, ამავე დროს, შეიძლება რიგი პრინციპული განსხვავების დანახვაც ამ ქვეყნების ეის ევოლუციაში. მათგან სინგაპურის სამრეწველო ტექნოლოგიური პოლიტიკა უფრო წარმატებული და უფრო მრავალფეროვანია. ის ბევრად უფრო დივერსიფიცირებულია დარგებისა და მიმართულებების მიხედვით. საბოლოო ჯამში, სინგაპურის ეის ბევრად უსწრებს თავის „დიდ მეზობელს“, არა

მხოლოდ მისი მაღალტექნოლოგიური სექტორის დიდი მოცულობის გამო, არამედ სინგაპურის კომპანიების მიერ გამოშვებული პროდუქციის სირთულითა და წინ წაწევის მასშტაბებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ინოვაციები და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში. თსუ, პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, VIII, თბ., 2015.
2. არევაძე ნ., სინგაპურის ინოვაციური პოლიტიკის თავისებურებები. თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, IX. თბ., 2016.
3. Нармания Д., Схиерели М., По стопам Сингапура. [http:// birrone, info/ articles 1344631928, php.](http://birrone.info/articles/1344631928)
4. Селезнев П. С., Инновационная политика современного государства: стратегия, модели, практика. М. 2014, [http:// library. fa, ry/file/Seleznev.pdf](http://library.far.gov/file/Seleznev.pdf)
5. Беседан К. В. Сингапурская модель экономики для развития бизнеса на современном этапе. // молодой ученый – 2015 - №2 - ст. 253-255. [http:// moluch ru/archive/82/14956/](http://moluch.ru/archive/82/14956/)

*Nanuli Arevadze
Nana Bibilashvili*

FEATURES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT AND FUNCTIONING OF NATIONAL INNOVATION SYSTEMS OF SINGAPORE AND MALAYSIA

Summary

The article analyzes peculiarities and development stages of national innovation systems formation of Singapore and Malaysia implemented on the basis of large-scale attraction of state, private sector and foreign capital. It is shown that close cooperation between state bodies, public sector and scientific circles and significant state investment in science made possible quick innovative development. The analysis of comparative data showed the advantage of national innovation system of Singapore over its `great neighbor“.

პორტუგალიის ინოვაციური ეკოლოგიური სისტემების
ფორმირება და განვითარება

ანოტაცია. სტატიაში განხილულია პორტუგალიის სახელმწიფო, როგორც ევროკავშირის წევრი-ქვეყანა, რომელმაც მოკლე დროში მიაღწია წარმატებას.

პორტუგალიის მთავრობის მიერ ინოვაციის განვითარების სტრატეგიისაკენ აღებული კურსი გამოჩნული იყო საზოგადოების გავითარების სამ მიმართულებაზე: ცოდნა, ტექნოლოგიები და ინოვაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით პორტუგალიის ინოვაციური განვითარების პარამეტრები სასურველი ნიშნულის ქვედა ზღვარზე იყო, ბოლო წლებში ამ ქვეყნის ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში შეინიშნება ნეესტიციების საგრძნობი ზრდა.

3 წლის განმავლობაში პორტუგალიამ ხისტი „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკით მიაღწია ეკონომიკურ წარმატებას და გათავისუფლდა გარე ვალებისაგან, რითაც მსოფლიოს ყურადღება დაიმსახურა.

პორტუგალიისათვის ინოვაციური გზა წარმოადგენს მდგრადი განვითარების სტრატეგიას.

* * *

მსოფლიო არენაზე ქვეყნის მდგომარეობა განისაზღვრება კონკურენტუნარიანობის მიხედვით, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ინოვაციურ სტრუქტურაზე.

სწორედ ინოვაციის სისტემა აძლევს შესაძლებლობას ქვეყანას, გარკვეული ნიშა დაიკავოს საერთაშორისო დამოკიდებულების სფეროში.

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხი მწვავედ დგას პორტუგალიის წინაშეც. ამჟამად მიმდინარეობს პორტუგალიის ცენტრალური აღმასრულებელი და ადგილობრივი ორგანოების მიერ ექსპორტის პოტენციალის განვითარებისა და გარე ბაზრებზე ნაციონალური საქონლის გატანის გეგმის პრაქტიკული რეალიზაცია. მსოფლო ბაზარზე საექსპორტო

საქონლის სტიმულირებისათვის მთავრობა ფინანსური დახმარებით ახორციელებს ნაციონალურ საქონელმომწოდებლების პოზიციების ამაღლების ეფექტურ ინოვაციურ მექანიზმს. ამის გამო პორტუგალია დღეისათვის ითვლება ერთ-ერთ ლიდერად ევროკავშირის ქვეყნებს შორის. მსოფლიო გლობალური ინოვაციის ინდექსის მიხედვით, 2017 წლის მონაცემებით 127 ქვეყნიდან პორტუგალია არის 31-ე ადგილზე და მისი ინდექსია 46,05.

პორტუგალიის ინოვაციური სისტემა მიეკუთვნება ალტერნატიულ მოდელს. 2005 წელს პორტუგალია ინოვაციების დონით ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მე-18 ადგილს იკავებდა, 2013 წელს ინოვაციურობის ინდექსის მაჩვენებელი 45.1 შეადგენდა და 142 ქვეყანას შორის 34-ე ადგილზე იყო, ხოლო 2017 წლის მონაცემით, ინოვაციური ინდექსის მაჩვენებლის მიხედვით პორტუგალია 127 ქვეყანას შორის 31-ე ადგილზეა, მისი ინდექსი 46.05-ია და იგი მცირედი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2003 წელს დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) მშპ-ში მხოლოდ 0.5%-ს შეადგენდა, ხოლო დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში 2009-2014 წლებში 1.58%-დან 1.29%-მდე ეცემა. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიას ძალიან მოკრძალებული შედეგები აქვს ახალი ცოდნის წარმოებაში, ქვეყანა მაინც დომინირებს ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებაში. მცირე და საშუალო წარმოებებს, რომლებიც მუშაობენ ახალ ტექნოლოგიებთან და ასევე წარმოებები, რომლებიც ნერგავენ ორგანიზაციულ ინოვაციებს, მათ შორის მენჯემენტში, აშშ-იც საშუალო ადგილზეა. საკმაოდ მაღალი დანახარჯები აქვს ინტერნეტის განვითარებაზე.

პორტუგალიაში, ინოვაციურობის მხრივ, ყველაზე კარგად არის ინტერნეტის კომუნიკაციური ტექნოლოგიები, ელექტრომწოდებლობების წარმოება, მადნისა და სხვა მინერალური რესურსების მოპოვება, ხისა და მეტალის დამამუშავებელი საწარმოები. ბოლო დროს დიდი ყურადღება დაეთმო ტექსტილის, ფარმაცოლოგიის, საშენი მასალების, საინფორმაციო ტექნოლოგიის, ენერჯის ალტერნატიული წყაროების ძიებას, მომსახურების სფეროს განვითარებას.

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ტურიზმზე. ნაციონალურ ინოვაციურ სისტემებზე დაფუძნებულ ალტერნატიულ ინოვაციურ მოდელს ჯერჯერობით პერსპექტივა არ უჩანს.

ფუნდამენტური მეცნიერების ან სრული უმაღლესი ტექნოლოგიის ციკლის შექმნის ძალისხმევა მოითხოვს არა მარტო ფინანსურ, ორგანიზაციულ დანახარჯებსა და დიდ დროს, არამედ ნაციონალურ კულტურას და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს.

ალტერნატიული მოდელი, რომელიც იქმნება ნაციონალური კულტურის შესაბამისად, ამ ქვეყნებს ნაციონალური ფსიქოლოგიისა და ნაციონალური თავისებურებების უპირატესობის კონკურენტუნარიანად გამოყენების საშუალებას აძლევს.

როდესაც ლაპარაკია ეკოლოგიაზე ორიენტირებულ ინოვაციაზე, ვგულისხმობთ პროგრესულ ტექნოლოგიას, რომელიც შეამცირებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას.

ევროკავშირმა მსოფლიოში გარემოს დაცვის ყველაზე უფრო ძლიერი ინოვაციური სისტემა შექმნა, დღეისათვის ევროკავშირის პოლიტიკაში ეკოლოგიურ პოლიტიკას ეკონომიკის პოლიტიკასთან თანაბარი პოზიცია უკავია.

ბევრ ევროპულ ქვეყანაში ბოლო 10 წლის მანძილზე შეინიშნება გაფართოებული ეკოლოგიაზაცია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების მოსამზადებლად იქმნება ეკოლოგიური ინოვაციური ტექნოლოგიის მხარდაჭერაზე ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები. ეკოლოგიური მდგრადობის საკითხი თანდათან უფრო აქტუალური ხდება მსოფლიო საზოგადოებაში, იგი მოიცავს გლობალური დათბობისა და ენერჯის ძირითად ალტერნატიულ წყაროებს. მაგ., ნორვეგია მიისწრაფის, გაატაროს ღონისძიებები, რომელიც ქვეყანაში CO₂-ის წლიურ გამონაბოლქვს მინიმუმამდე დაიყვანს. გერმანიას დასახული აქვს, მიმდინარე 2040 წლისათვის 100%-ით გადავიდეს ენერჯის ალტერნატიულ წყაროზე. შევეიცარია 2020 წლისათვის ემზადება, შენობების დიდი ნაწილი გადაიყვანოს გათბობის გარეშე რეჟიმში.

ბოლო წლებში პრივილეგიით სარგებლობს ენერჯეტიკის ალტერნატიული წყაროები: ქარისა და მზის ელექტროსადგურები. ამ მხრივ გამოირჩევა გერმანია, იგი აწარმოებს 17% ენერჯიას ქარის, მზისა და ბიომასისაგან. ჩინეთი მიისწრაფის ლიდერობისაკენ, რომელმაც 2010 წელს პირველი ადგილი დაიკავა მსოფლი-

ოში ინვესტიციების მოცულობით. 50 მილიარდზე მეტი იყო ჩადებული „მწვანე ენერჯეტიკის“ განვითარებაში, რამაც მიიპყრო მსოფლიო ყურადღება.

ასევე საინტერესოა საინვესტიციო პროექტი „MASDAR SIT“, რომელიც იქმნება, როგორც ეკოლოგიური ქალაქი „სასათბურე გაზების“ ნულოვანი გამოფრქვევით, სადაც თანამედროვე ქალაქის ყველა მოთხოვნილებას დააკმაყოფილებენ გეოთერმული, მზის და ნაგვის გადაამუშავების ენერჯით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონცეფციის დიზაინს, ადგილმდებარეობის ყველა თავისებურების გათვალისწინებით, რომელიც გამიზნულია მიკროკლიმატის კომფორტის შესაქმნელად. ამდენად, MASDAR SIT-ის ეს ნაბიჯი ტექნოლოგიის მომხმარებელი ქვეყნიდან ტექნოლოგიის შემქმნელ ლიდერად გადაიქცევა.

ეკონოვაცია უნდა იყოს ქვეყნის ნაციონალური პროგრამის მწვანე ეკონომიკაში გადასვლის მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

ეკოლოგიურ ინოვაციაში (ეკონოვაციაში) იგულისხმება ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის, პროცესის ორგანიზაციული ცვლილება ან მარკეტინგული გადაწყვეტა, რომელიც ამცირებს ბუნებრივი რესურსების: წყლის ენერჯის, მიწის რესურსისა და მავნე ნარჩენების რაოდენობას სიცოცხლის ციკლის მთელ მანძილზე.

გამოყოფენ ეკოლოგიურ ინოვაციის სხვადასხვა ტიპს: პროდუქციულს, საპროცესოს, ორგანიზაციულს, მარკეტინგულს, სოციალურ სისტემებს.

2010 წელს ევროკავშირმა გამოაქვეყნა ეკოლოგიის ინოვაციურ სფეროსა და „მწვანე ეკონომიკაში“ გადასვლის ეკონოვაციის ტაბლო.

ეკონოვაციის ტაბლო შედგება 5 ჯგუფის ინდიკატორისაგან:

1. ეკონოვაციაში ფინანსების დაბანდება;
2. ეკონოვაციის შემოქმედება;
3. ეკონოვაციის შედეგები;
4. გარემოზე ზეგავლენის შედეგები;
5. სოციალური ეკოლოგიის შედეგები.

შედეგების მიხედვით ქვეყნები დაიყო 4 ჯგუფად:

1. ეკონოვაციის ლიდერი (ფინლანდია, დანია, შვეცია);

2. ქვეყნებმა ეკონომიკის დარგში მიაღწიეს მაღალ შედეგებს (გერმანია, ესპანეთი, სლოვაკია, ირლანდია, ავსტრია, ბელგია);

3. ეკონომიკაში გამარჯვებულ ქვეყნებს მიმდევარი ქვეყნები (პორტუგალია, ბულგარეთი, რუმინეთი, ესტონეთი, კიპრი, ვენგრია, სლოვაკეთი და პოლონეთი).

მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური განვითარების პრინციპებს ყველა ქვეყანა ეთანხმება, თითოეული მათგანს მაინც ახასიათებს რაიმე თავისებურება, რომელიც მუდამდებია მის საინოვაციო პოლიტიკაში.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პორტუგალიაში ინვესტიციების მოცულობა სამეცნიერო-ინოვაციურ სექტორში შეუფერხებლად იზრდება. სექტორის კვლევისა და განვითარებისათვის ჩადებულმა საერთო თანხამ 2009 წელს 2,791 მლნ ევროს (1,71% მშპ) მიაღწია, რომელიც 10%-ით მეტია, ვიდრე 2008 წლისა. ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა კაპიტალდაბანდებებმა მეცნიერებაში, მსხვილ არასამთავრობო კომპანიებსა და კორპორაციებში. ასეთმა ინვესტირებამ საერთო ჯამის 58% შეადგინა, რომელიც შეესატყვისება 0.78% მშპ-ს.

პორტუგალიას თავისი სახალხო მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნის ხანგრძლივი დროის სტრატეგია აქვს.

დღეისათვის პორტუგალიის მთავრობის მიერ ნანოტექნოლოგიის სექტორის განვითარებისათვის მიღებული ღონისძიებები საკმაოდ პროგრესულად ითვლება არა მარტო ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით [7].

ამავე დროს იცვლება თვით საექსპორტო საქონლის სტრუქტურა, ასე მაგ., ნაცვლად ტრადიციული საქონლისა (კორპი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ა.შ.), იმატებს დამატებითი რეზულტებიანი საქონელი (რაც დაკავშირებულია სამეცნიერო ტექნოლოგიასთან). ევროკავშირის ქვეყნებს შორის დღეს პორტუგალია უკვე ითვლება ლიდერად, სადაც ინოვაციური სამეცნიერო-ტექნიკური სექტორის მოცულობა 1,5%-ით მეტია.

როგორც წესი, პრიორიტეტულ მეცნიერებატევად ტექნოლოგიებს მიეკუთვნება ნანოტექნოლოგია და ენერჯის ალტერნატიული წყაროები. პორტუგალია ევროპაში ლიდერობს მზის ბატარეასა და ქარის გენერატორების გამოყენებაში. ნაციონალურმა ენერგოკომპანიებმა მსოფლიოში პირველებმა გაუშვეს და ექსპლუ-

ატაციაში გამოიყენეს მცურავ პლატფორმაზე დამაგრებული ოფშორული ქარის გენერატორი. ასეთი სახით აღდგენილმა ენერგეტიკამ უკვე მიიღო საერთაშორისო აღიარება.

ნანოტექნოლოგიის კონკრეტულ პროექტებზე მუშაობს პორტუგალიაში რამდენიმე ცენტრი. მაგ., ნანოტექნოლოგიის და ტექნიკის სმარტმასალების ცენტრი, ტყავის ტექნოლოგიის წარმოების ცენტრი, მზა „ჯანსაღი ტანსაცმლის“ საფეიქრო მასალის ცენტრი. პორტუგალიის ინოვაციურ სექტორად ითვლება სახლების (სასტუმროს) მშენებლობა. ეს სახლები მაღალი ეკოლოგიურობითა და ეკონომიურობით გამოირჩევა. კერძოდ, ეკონომიურია წყლისა და სითბოს დანაკარგების მიმართაც, რაც, საერთო ჯამში, 65% ეკონომიაში გამოიხატება. ფირმა მუშაობს დაახლოებით სამოცდაათ სხვადასხვა კომპანიასთან, იყენებს მათ მასალას, ნაწარმს.

ბაზარზე მოწინავე პოზიციები უკავია აგრეთვე საკუთარი „ნოუ-ჰაუ“-თი უზრუნველყოფილ ელექტროავტომობილებს, რაც მდგომარეობს ინოვაციურ მეთოდში.

სამთავრობო დონეზეა ცნობილი, რომ პორტუგალიისათვის ინოვაციური გზა წარმოადგენს მდგრადი განვითარების სტრატეგიას.

იმის მიუხედავად, რომ პორტუგალიის ინოვაციური განვითარების პარამეტრები სასურველი ნიშნულის ქვედა ზღვარზეა ვიდრე ევროკავშირის სხვა ქვეყნები, ბოლო პერიოდისათვის პორტუგალიის ინოვაციურ სისტემებსა და ტექნოლოგიაში ინვესტიციის საგრძნობი ზრდა შეინიშნება.

2009 წ. პორტუგალიის ინოვაციური პროექტების ინვესტიციებმა მიაღწია ესპანეთის დონეს და 30%-ით გადააჭარბა საბერძნეთს.

ინვესტიციის საშუალო წლიური ზრდა პორტუგალიაში 10.2%-ია, რაც პოზიციის მესამე დონეა ფინეთსა და ირლანდიის შემდეგ.

რამდენიმე წლის წინ პორტუგალიაში ჩამოყალიბდა „ცოდნის საზოგადოება“, რომელიც კურირებს ინოვაციური ხასიათის სხვადასხვა პროგრამებს, კერძოდ მეცნიერებას, ბიოინდუსტრიას, კომპიუტერული გამოცემების პროექტებს.

ეტაპობრივად რეალიზდება მთავრობის მიერ დამუშავებული „ტექნოლოგიური გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს პორტუგალიელი საზოგადოების მოდიფიცირებას.

გეგმა ისახავს საზოგადოების 3 მიმართულებით განვითარებას: ცოდნა, ტექნოლოგია და ინოვაციური სისტემები.

ამ გეგმით უნდა შეიქმნას პორტუგალიის მაღალი საინოვაციო პოტენციალი ისეთ დარგებში, როგორც არის: ეკონომიკა, ენერგეტიკა, ახალი თაობის ტექსტილის ნაწარმი, პლასტმასის ბიოგამხსნელების, სწრაფად მზარდი ხორცეულის წარმოება (მაგ., ინდაურების ფერმა) და ა.შ., ინოვაციური სისტემების სტრუქტურებისა და სპეციალისტთა რესურსების შექმნა-განხორციელება, რითაც ინოვაციური პროცესი საზოგადოებრივი გახდება.

ესპანეთსა და პორტუგალიას შორის დადებულია ხელშეკრულება – შეიქმნას საერთაშორისო ერთობლივი ნანოტექნოლოგიის ლაბორატორია, სადაც დასაქმდება 200 მკვლევარი სხვადასხვა ქვეყნიდან.

ბოლო დროს ინოვაციური სისტემების განვითარებაში აქტიურად ერთვება კერძო წარმოებები.

გლობალიზაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიის განვითარების ეპოქაში უპირატესობას იმსახურებს ის ქვეყანა, სადაც ინტელექტუალური პოტენციალი აქტიურად გამოიყენება, მეტი უკუგების მიღების მიზნით კი - სამეცნიერო კვლევის სფერო.

ორი ათეული წლის წინ, როცა პორტუგალიის მოსახლეობის 80% უწიგნური იყო (25-64 წლამდე ასაკის მოსახლეობას აქვთ საშუალო განათლება), რაც საშუალო მაჩვენებელზე დაბალია და წარმოადგენს არ ჰქონდა ინოვაციასა და ნანოტექნოლოგიაზე, ხოლო საქართველოს ფიზიკა-მათემატიკის, ფიზიოლოგიის და ა.შ. სამეცნიერო სკოლები და მათი ფუძემდებლები მუსხელიშვილი, ვეკუა, ბერიტაშვილი საქვეყნოდ იყვნენ ცნობილნი, XXI საუკუნეში ორივე ქვეყანა ინოვაციური პოლიტიკის გამოწვევების წინაშე თანაბარ სასტარტო მდგომარეობაში აღმოჩნდა, არც პორტუგალიის და არც საქართველოს მთავრობა ცოდნას და მეცნიერებას პრიორიტეტად არ მიიჩნევდა, და შესაბამისად არც ინოვაციური პოლიტიკის გატარებისათვის საჭირო ადამიანურ-სამეცნიერო და ფინანსური რესურსები ჰქონდათ.

ინოვაციური განვითარება მსოფლიო ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკური სიძლიერის საფუძველია. ინოვაციის სტრატეგიული რესურსი არის ცოდნა, განათლება და მაღალი კვალიფიკაცია - ინოვაციური გარდაქმნის ფუნდამენტური საფუძველი. ამ მხრივ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნები განიცდიან კვალიფიციური პერსონალის დეფიციტს.

ბოლო წლებში, ისეთი ქვეყნები, როგორცაა: აშშ, ევროპის წევრი-ქვეყნები, ჩინეთი, აბანდებენ სულ უფრო და უფრო მეტ საშუალებებს მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კვლევებში. მთავრობა სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას გამოხატავს უნივერსიტეტების სამეცნიერო პროექტებისადმი, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ კომერციული გამოყენება. ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერებაში ჩადებულ ინვესტიციებს, მხარს უჭერს უნივერსიტეტებს, სამეცნიერო და კვლევით კომპანიებს.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანაში ინვესტიციების მოცულობა სამეცნიერო-ინოვაციურ სექტორში შეუფერხებლად იზრდება. სექტორის კვლევისა და განვითარებისათვის ჩადებულმა საერთო თანხამ 2009 წელს მიაღწია 2,791 მლნ ევროს (1,71% მშპ), რომელიც 10 %-ით მეტია, ვიდრე 2008 წლისა. ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა კაპიტალდაბანდებებმა მეცნიერებაში, მსხვილ არასამთავრობო კომპანიებსა და კორპორაციებში. ასეთმა ინვესტირებამ შეადგინა საერთო ჯამის 58%, რომელიც შეესატყვისება მშპ-ის 0.78%.

მიუხედავად მსოფლიო ფინანსური კრიზისისა, პორტუგალია არ ფიქრობს, შეამციროს გამოყოფილი სახსრები საინოვაციო სექტორისათვის. ევროკავშირში გაწევრიანებამდე პორტუგალიაში მეცნიერება ფინანსდებოდა ძალიან სუსტად; ფაქტობრივად არავითარი კონტაქტი არ იყო საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან. 1988-2000 წ.წ. მეცნიერების დაფინანსება გაიზარდა სამჯერ და შეადგინა 0,7% მშპ-ში.

პორტუგალიის წილი მსოფლიოს სამეცნიერო საქმიანობაში იყო 0,2%. 1995 წელს, მას შემდეგ, რაც დაარსდა მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტრო, დაიწყო სამეცნიერო დაწესებულებების რეორგანიზაციის პროცესი. 1998 წ. მიღებული იყო ახალი კანონი მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების შესახებ. დაარსდა

სააგენტო სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაციების პრაქტიკული რეალიზაციისთვის.

პორტუგალიის მეცნიერება, როგორც დარგი კონცენტრირებულია 4 სექტორში - სახელმწიფო, უმაღლეს სასწავლებლებში, წარმოებასა და კერძო არაკომერციულ კვლევით დაწესებულებებში, ძირითადი სამუშაო მოდის პირველ ორ სექტორზე (დაფინანსების თითქმის 2/3). ქვეყანაში ირიცხება 800-დე კვლევითი დაწესებულება, სადაც მუშაობს 20 ათასი მეცნიერთანამშრომელი. სამეცნიერო კვლევები უმაღლეს სასწავლებლებში გამოირჩევა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამუშაოების მაღალი დონით. მათი უმეტესობა ხორციელდება ლისაბონის უნივერსიტეტში. ყველაზე მეტად პორტუგალიის მეცნიერება განვითარდა მოლეკულარულ ბიოლოგიაში, ბიოინჟინერიაში, გენეტიკაში, ქიმიაში და მედიცინაში. შედარებით სუსტად ვითარდება ეკონომიკა და საზოგადოებრივი მეცნიერებები. პორტუგალიის სამეცნიერო ცენტრი ევროკავშირის მეშვეობით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა პროგრამებში.

განათლების სისტემა აგებულია საბაზისო კანონების შესაბამისად, 1997 წ. მიღებული შესწორებებით. განათლებაზე ხარჯები 6%-ია მშპ. განათლების სისტემა სახელმწიფო კონტროლის ქვეშაა. იგი შედგება სამი საფეხურისაგან: საბაზისო, საშუალო და უმაღლესი განათლება. სასკოლო - 9 წლიანია 6-15 წლამდე ბავშვებისათვის და არის საყოველთაო და უფასო. უნივერსიტეტში დაშვება ხორციელდება მხოლოდ 12-წლიანი საშუალო განათლების მიღების შემდეგ. პორტუგალიაში არის სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლები.

ცნობილი უნივერსიტეტებია: **პორტუს უნივერსიტეტი** - Universidade do Porto ერთერთი უდიდესი წამყვანი უნივერსიტეტი, სადაც სწავლობს 30 ათასზე მეტი სტუდენტი, აქედან 10% უცხოელია, ასწავლის 2200 პროფესორი და მეცნიერთანამშრომელი.

ლისაბონის უნივერსიტეტი - Universidade de Lisboa, წამყვანი უნივერსიტეტია პორტუგალიაში, რომელიც მდებარეობს ქალაქ ლისაბონის ცენტრში, სადაც სწავლობს 20 ათასზე მეტი სტუდენტი და ასწავლის დახლოებით 3 ათასამდე პროფესორ-მასწავლებელი.

კომბრის უნივერსიტეტი -Universidade de Coimbra, ყველაზე უძველესი უნივერსიტეტი, სადაც სწავლობს 20 ათასამდე სტუდენტი და ასწავლის ათას ექვსასზე მეტი პედაგოგი. ასევე ცნობილია ლისაბონი უნივერსიტეტი - Universidade Nova de Lisboa, მინჰოს უნივერსიტეტი - University of Minho (ქ. ბრაგა), პორტუგალიის კათოლიკური უნივერსიტეტი - Universidade Católica Editora და სხვ.

პორტუგალიის უნივერსიტეტები ორი ტიპისაა:

1. ზოგადი უნივერსიტეტები (14), სადაც იღებენ შემდეგ ხარისხი დიპლომებს:

- Licenciado ან Bacharel (ბაკალავრი) 3-4 წელში.
- Mestre (მაგისტრატურა) 1-2 წელში.
- Doutor (დოქტორანტურა) 3 წელში.

2. ტექნიკური ინსტიტუტები, რომელთაგან 20 ინსტიტუტში შესაძლებელია Licenciado ან Bacharel დიპლომის აღება. ასევე წარმატებით ფუნქციონირებს ბიზნეს სკოლები, კოლეჯები სადაც ამზადებენ სპეციალისტებს მენეჯმენტის, ვაჭრობის, მართვის, ეკონომიკის, მარკეტინგის სფეროში. ისინი შეიძლება ფუნქციონირებდნენ უნივერსიტეტების შემადგენლობაში ან დამოუკიდებელ სასწავლო ორგანიზაციებად.

2017-2018 წლებში პორტუგალიაში უმაღლესი განათლების (ბაკალავრი და მაგისტრატურა) მიღება ღირს 950-1250 ევრო წელიწადში, ხოლო დოქტურანტურაში სწავლა კი – 2500-3000 ევრო წელიწადში. კერძო სექტორზე სწავლა ღირს 3000-4000 ევრო წელიწადში.

განათლებას პორტუგალიაში ხელმძღვანელობს ორი სამინისტრო: მეცნიერების სამინისტრო და ცალკე განათლების სამინისტრო.

განათლების სამინისტრო დიდ ყურადღებას აქცევს უმაღლესების განვითარების პროგრამებს, გამოყოფს ფულს ლაბორატორიებისათვის და ასევე მატერიალურ დახმარებას უწევს სტუდენტებს.

ამიტომ, ვისაც სურს განათლება მიიღოს ევროპაში, უმჯობესია, მიმართოს პორტუგალიის უმაღლეს სასწავლებლებს. უმაღლესი სასწავლებლები იმავე რაოდენობის ხარჯით, რაც მათ დაეხარჯებოდათ სამშობლოში. აქ ლოიალური დამოკიდებულებაა უცხოელი სტუდენტებისადმი და დაბალი ფასებია მომსახურებაზე.

სტუდენტს შეუძლია სხვა ქვეყნის ბაკალავრის დიპლომით მოეწეოს პორტუგალიის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში.

სწავლა მიმდინარეობს პორტუგალიურ ენაზე, მაგრამ, ამავე დროს, ისწავლება ინგლისური როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინსტიტუტებში.

მაგისტრატურის კურსის დამთავრებისას შეუძლიათ დაიცვან სადოქტორო დისერტაცია. უცხოელ სტუდენტებს უფლება ეძლევათ, იმსახურონ 20 საათი კვირაში (არდადეგების დროს განუსაზღვრელია), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ანაზღაურება მთელ ევროპაში ყველაზე დაბალია: რადგან უმუშევრობა პორტუგალიაში მაღალია (15% ზრდასრული მოსახლეობის), ამიტომ ამ ქვეყანაში სტუდენტისათვის ხარჯების დაფარვა თავისი შრომით ცოტას თუ შეუძლია.

პორტუგალიელ სტუდენტებს შეუძლიათ არდადეგების დროს პლიაჟზე მაშველად იმუშაონ. ვინც იცის ინგლისური და რუსული მათთვის უკეთესია.

პორტუგალიაში განათლების მიღებას დიდად აფასებენ ლათინურ ამერიკაში და სხვა პორტუგალიურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებში, რადგან თვლიან, რომ იქ ძველი სიბრძნეა ფესვგადგმული. პორტუგალიის დიპლომი დიდად ფასობს ბრაზილიასა და ჩილეში.

პორტუგალიის ეროვნული ინოვაციური სისტემის (ეის) წინსვლასა და განვითარებაში დიდი როლი მიეკუთვნება სამეცნიერო-ტექნიკური პარკებისა და კლასტერების ინსტიტუტს. **ტექნოპარკი** წარმოადგენს თანამშრომლობის ფორმას უნივერსიტეტებს, სამეცნიერო ცენტრებს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, სამრეწველო ორგანიზაციებს, საბანკო და კომერციულ სტრუქტურებს შორის. დღეს მსოფლიოში 500-ზე მეტი ტექნოპარკია.

დღეს პორტუგალიის მთავრობა ცდილობს, ხელი შეუწყოს ტექნოპარკების განვითარებას ინოვაციების დანერგვის გზით. ტექნოპარკებში ყველა პირობაა შექმნილი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის, ასევე სხვადასხვა მომსახურებისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გაწევისათვის. უმსხვილესი ტექნოპარკები შეიქმნა უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად, რომლებიც

მდებარეობს ტრანსპორტით ადვილად მისასვლელ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებთან. ტექნოპარკები მომხმარებელს სთავაზობენ: საკონფერენციო დარბაზებს, აუდიტორიებს, საგანმანათლებლო ცენტრებს, ბიზნესინკუბატორებს, ლაბორატორიებს, ფინანსურ მომსახურებას, მკვლევარებს სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტებიდან, პარკირებასა და რესტორნებს, განთავსებას და სხვ. ასევე ბიზნესის გამარტივებას, ონლაინსერვისების ხელმისაწვდომობას, კომპანიის რეგისტრაციას საშუალოდ ერთ საათზე ნაკლებ დროში და ა.შ.. პორტუგალიამ უმაღლესი შეფასება მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან მოწინავე ელექტრონული სისტემების განვითარებისათვის. ტექნოპარკი SPINPARK შეიქმნა 2006 წელს ქ. გიმარიანში (უნივერსიტეტ მინჰო-ს (Minho), ტექნოპარკი Avepark და პორტუგალიის ტექნოპარკების ასოციაციის ინიციატივით), ცოდნაზე დაფუძნებულ ინოვაციებსა და მაღალ სამეცნიერო ტექნოლოგიებზე სპეციალიზებული კომპანიების ხელშესაწყობად. ასევე ცნობილია ტექნოპარკების ასოციაცია (Moreira da Maia-სა 12 ორგანიზაციით და კაპარიკაში 18 ორგანიზაციით), ალმადის ტქნოლოგიური პარკი 28 ორგანიზაციით, TECMAIA –ოპორტოში 40 ორგანიზაციით, სამეცნიერო ტექნოპარკი ტაგუსპარკი (ოეირას) 160 ორგანიზაციით, ლისაბონის ტექნოპოლისი (ლისაბონი) 93 ორგანიზაციით, მადეირის სამეცნიერო ტექნოპარკი (Funchal -კუნძული Madeira) 15 ორგანიზაციით და ა.შ., რომლებიც აწარმოებენ კვლევებსა და პროდუქციას აერონავტიკის, ასტრონავტიკის, ელექტროვაჭრობის, ინტერნეტტექნოლოგიების სერვისის, ინტერნეტდიზაინის, გარემოს, ტელეკომუნიკაციის, საზღვაო ტექნოლოგიების, ბიოტექნოლოგიების, ავტომატიზაციის, ინჟინერინგისა და სხვა სფეროებში. ზემოთ ჩამოთვლილ ტექნოპარკებს შორის მხოლოდ ლისაბონისა და ალმადის ტქნოლოგიური პარკები მუშაობს გარემოსა და მისი დაცვის პრობლემებზე [14].

კლასტერი თავისთავად თანამედროვე ეკონომიკის ძლიერი შემადგენელი ელემენტია, რომელიც აყალიბებს რეგიონულ პოლიტიკას. როგორც წესი, კლასტერი უნდა „ემსახუროდეს“ არანაკლებ 15 დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელთა 75% წარმოებით, ვაჭრობით ან მომსახურების გაწევით უნდა იყოს დაკავებული. კლასტერის წევრთა უმეტესობა (არანაკლებ 60%-სა)

უნდა იყოს მცირე და საშუალო საწარმო. პორტუგალიაში სამრეწველო კლასტერების სექტორი ექსპორტზეა სპეციალიზებული და ქვეყანას ამ სექტორით გააჩნია კონკურენტული უპირატესობა მსოფლიო ბაზარზე.

ქვეყანაში ძირითადად 33 არათანაბარი განვითარების რეგიონული კლასტერია, რომლებიც თითქმის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეა განლაგებული და გააჩნიათ დიდი პოტენციური მათი პოზიციების გასაძლიერებლად. ამ კლასტერებიდან ზოგიერთი ხასიათდება განვითარების მაღალი დონით, ზოგიერთი კი - სტრუქტურული ხარვეზებით. მიუხედავად ამისა, პორტუგალიაში ისინი განიხილება როგორც აუცილებელი „ცოდნის ბანკი“, რომლის ბაზაზეც მათ შეუძლიათ გააძლიერონ ქვეყნის საექსპორტო პოზიციები.

პორტუგალიაში რეგიონული კლასტერები პირველად 90-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა, როგორც ქვეყნის წარმოების კონკურენტუნარიანობის შესწავლისას წარმოქმნილი „გვერდითი პროდუქტი“. სახელმწიფო დაკვეთით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა ექსპორტში მაღალი წილის მქონე დარგები, რომლებიც ხასიათდებოდნენ წარმოების ტერიტორიული კონცენტრაციით. უმეტეს კლასტერებში კომპანიებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის არ იყო მყარი კავშირები. ამის გამო შემდგომ წლებში პორტუგალიის მთავრობამ გაატარა მრეწველობის განვითარების სწორი სტრატეგიული პოლიტიკა, რამაც ხელი შეუწყო კლასტერების ისეთ განვითარებას, რომელიც ასტიმულირებდა კომპანიებსა და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურის შექმნას შორის კოოპერაციას.

კლასტერები განვითარებულია მრეწველობის შემდეგ დარგებში: მეღვინეობა (ბეჟაში; მადეირას კუნძულზე), ზეთისა და რძის წარმოება (ბრაგა), ტყავის წარმოება (ბრაგა), ტურიზმი (სეთუბალი; ფარუ; მადეირას კუნძული), ავეჯის წარმოება (პორტუ), ტანსაცმლის წარმოება (ვიზეუ; კაშტელუ-ბრანკუ), კერამიკული ფილა (კოიმბრა), დეკორატიული ქვის წარმოება (ევორა), ქაღალდის წარმოება (ლეირია), მანქანათმშენებლობა (სეტუბალი) და ა.შ. [13].

მეტად საინტერესო კლასტერს წარმოადგენს Archipelago Arts Center – რომელიც შეიქმნა 2014 წელს რიბეირა-გრანდში, ადრე

იგი წარმოადგენდა ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს მწარმოებელ მიგდებულ ქარხანას, რომელიც Menos é Mais Arquitetos-ის არქიტექტურული ბიუროს მიერ იქნა გადაკეთებული თანამედროვე შემოქმედებით კლასტერად (თანამედროვე ხელოვნების ცენტრი), სადაც განლაგებულია სამხატვრო გალერეა, დიზაინ სტუდია, კრეატიული სივრცე, ინტერიერის სტუდიები, მხატვრებისა და მოქანდაკეების სახელოსნოები.

მიუხედავად უცვილობელი წარმატებებისა, რომელსაც პორტუგალიამ მიაღწია სამი წლის განმავლობაში, კვლავ გადაუჭრელი რჩება მთელი რიგი მაკროეკონომიკური პრობლემები, როგორც არის: ფინანსური საშუალებების ხელმისაწვდომობა, ბიუროკრატია სახელმწიფო სტრუქტურებში, გადასახადების მაღალი მაჩვენებელი და გადასახადების რეგულირება, პოლიტიკური არასტაბილურობა, შრომის ბაზრის დარეგულირება, კლასტერებისა და ტექნოპარკების სტრუქტურების სრულყოფა და ა.შ.. ამ პრობლემების დაძლევის შემდეგ პორტუგალია შეძლებს არსებითად აიმაღლოს თავისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, თუმცა პორტუგალიისათვის ინოვაციისაკენ აღებული კურსი და მიღწეული შედეგები მოწმობს სწორი ნაციონალური სტრატეგიის განვითარებას [10].

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://epp.eurostat.ec.europa.eu/cahe/ITY_OFFPUB/KS-GL-14-002/EN/KS-GL-14-002-EN.PDF
2. WWW.OECDBETTERLIFEINDEX.ORG/.../PORTUGAL-RU
3. <https://ka.wikipedia.org/wiki/portugalia>
4. gtmarket.ru>...>
5. npk-ste.ru/news/read44.html
6. В. БЕЛОВ – Португалия и группа PIGS основные уроки выхода из кризиса – РСМД. 25/06/2014
7. <http://portocommerce.com/index.php/biznes-v-portugalii/85-2015-07-24-09-52-13>
8. <http://portocommerce.com/index.php/biznes-v-portugalii/83-2015-04-16-15-2017>
9. revolution.allbeat.ru/economy/002649690.html
10. delorse.ru/fileb/Portugal_innov.doc
11. banks.eu/cases/info/83/

12. Portugal-passport.com>program/taxation/
13. <http://files.school-collection.edu.ru/dlrstore/11ea82bb-e33e-47ed-966d-de02b146e5d8/technoparks/index.html>
14. Технопарки files.school-collection.edu.ru>...e33e...technoparks...
15. http://www.liveinternet.ru/users/arhinovosti_ru/post217224900/
16. <http://foroom.net/other/tvorcheskiy-klaster-v-portugalii>Творческий кластер на территории заброшенного завода в Португалии
17. <http://hochusvalit.com/obrazovanie/universitety-portugalii>
18. Университеты Португалии - Всё о португальских вузах...
unipage.net>ru/universities_in_portugal

Tina Chkheidze

FORMATION AND DEVELOPMENT OF INNOVATION ECOLOGICAL SYSTEMS OF PORTUGAL

Summary

The article discusses Portugal as EU member state which has achieved successes in a short period of time.

The government policy of Portugal directed at the innovation development strategy was aimed at three directions of society development: knowledge, technologies and innovation.

In spite of the fact that the innovation development parameters of Portugal were below the lower level of standard in comparison with other European countries. In recent years evident increase of investment in innovations and technologies of Portugal is observed

In 3 years Portugal has achieved economic success due to austerity policy (tightening belts) and been released from foreign debts, all these attracted the world attention.

ეთერ კაკულია

ირლანდიის ინოვაციური სისტემა

ანოტაცია. ნაშრომში მოკლედაა აღწერილი ირლანდიის ეკონომიკის განვითარების სურათი გასული სუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე. ნახვენებია სქემის სახით ირლანდიის ნაციონალური ინოვაციური სისტემა, მისი განვითარების ორგანიზაციული

სტრუქტურა. შესწავლილია სტრუქტურის ელემენტის ფუნქციები (საქმიანობა) ინოვაციების ხელშეწყობის საქმეში. გაკეთებულია დასკვნა, რომ ირლანდია ამზადებს ნიადაგს ეროვნული ინოვაციური სისტემის „ევროატლანტიკური მოდელიდან“, თანამედროვე XXI საუკუნის „სამი სპირალის მოდელზე“ გადასასვლელად. გამოთქმულია მოსაზრება ირლანდიის ინოვაციური განვითარების მოდელის საქართველოსთვის მისადაგების შესახებ, რათა მოხდეს საქართველოს ინოვაციური პოტენციალის რეალიზება.

* * *

შესავალი

ისტორიას ბევრი საინტერესო და თვალსაჩინო მაგალითი აქვს შემონახული როდესაც დამანგრეველი ომების, ბუნებრივი კატაკლიზმების თუ რევოლუციების შემდეგ ეკონომიკურად და მორალურად განადგურებული ქვეყნები 20-30 წელიწადში ფეხზე დგებოდნენ და მსოფლიოში წამყვან ადგილებსაც იკავებდნენ. ეს ძირითადად სწორედ ახალი ტექნოლოგიებით და ინოვაციებით ხდებოდა. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი ირლანდიაა. ადრე აგრარული ეკონომიკის მქონე, დღეს მისი ეკონომიკა არის თანამედროვე ცოდნის ეკონომიკა, რომელიც ფოკუსირებულია მომსახურებასა და მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე, ინოვაციებზე, იგი დამოკიდებულია ვაჭრობაზე, მრეწველობასა და უცხოურ ინვესტიციებზე. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მიხედვით ირლანდია ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანას წარმოადგენს ევროკავშირში. რიგ უპირატესობებთან ერთად, ირლანდიის უპირატესობა ევროკავშირის წევრობა, ინგლისურენოვანი და კარგად განათლებული მოსახლეობაა.

დღეს მსოფლიოში გამოყოფენ ეროვნული ინოვაციური სისტემის ოთხ მოდელს. აქედან პირველს უწოდებენ „ევროატლანტიკურს“, მეორეს - „აღმოსავლეთაზიურს“, მესამეს „ალტერნატიულს“ და მეოთხეს - „სამმაგი სპირალის“ მოდელს. თანამედროვე პირობებში უცხოეთში მუშავდება სამმაგი სპირალის მოდელის გართულებული ტიპი – ოთხმაგი სპირალის მოდელი, რომელიც 2009 წელს აღწერეს ი. კარაიანისმა და დ. კემბელმა.

დღეისათვის ჩანს, რომ ირლანდია ამზადებს ნიადაგს ეროვნული ინოვაციური სისტემის „ევროატლანტიკური მოდელი-

დან“, თანამედროვე, XXI საუკუნის „სამი სპირალის მოდელზე“ გადასასვლელად.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში (80-იანი წლების დასასრული და 90-იანი წლები), 2003 წლამდე, ქვეყანა ეკონომიკურად და მორალურად განადგურდა, მას დამანგრეველმა ტალღამ გადაუარა. დღეს საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიაა ევროკავშირში შესვლა. იგი 2004 წლიდან დღემდე აღმავლი გზით ვითარდება, თუმცა სასურველი შედეგები ჯერ კიდევ არაა მიღწეული.

ირლანდია სიდიდით საქართველოს ტოლია და აგრარული ეკონომიკის ქვეყანა იყო, რომლის გასული საუკუნის 70-იან წლებამდე განვითარების დაბალი დონით ხასიათდებოდა. დღეს ის აგრარული ეკონომიკიდან ფოკუსირებულია მომსახურებასა და მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე, მრეწველობასა და უცხოურ ინვესტიციებზე და ევროპაში ყველაზე მაღალი ზრდის ტემპს აფიქსირებს.

ამდენად, ირლანდიის წარმატებების მიზეზების შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა საქართველოს ხელს შეუწყობს დღეს არსებული არასასურველი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლაში. ამის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმად უნდა ვაღიაროთ ქვეყანაში თანამედროვე ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება. ამ მიმართულებით ევროკავშირის ქვეყნებიდან ირლანდიის გამოცდილება ყველაზე მეტად გამოადგება საქართველოს. ამდენად, ზემოთ აღნიშნული ეროვნული ინოვაციური მოდელებიდან საქართველომ მეტი ყურადღება უნდა მიაპყროს „ევროატლანტიკურ“ მოდელს.

ინოვაციის შედეგები:

ირლანდიის სწრაფად მზარდი ეკონომიკა

ირლანდია და საქართველო სიდიდით პატარა სახელმწიფოთა ჯგუფს განეკუთვნება. როგორც ქვემოთ მოცემული 2015 წლის მონაცემებიდან ჩანს, ირლანდიის უპირატესობა აშკარაა.

	2015	
	ირლანდია*	საქართველო**
მოსახლეობა, მლნ	4,7	3 .713.7
ფართობი, კმ ²	84	69.7
მშპ, მლრდ	\$ 238	\$13.988.1
საშუალო წლიური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე	\$51 350	\$3766.6

წყარო: * [5];

** საქსტატი.

როგორც ჩანს, ირლანდიის მთლიანი შიდა პროდუქცია (მშპ) 17-ჯერ მეტად, ხოლო მშპ მოსახლეობის ერთ სულზე თითქმის 14-ჯერ აღემატება საქართველოს.

ირლანდიის ეკონომიკის განვითარების შესწავლიდან ჩანს, რომ 1950-იან წლებში 400000-მა ადამიანმა დატოვა ქვეყანა. ამ დროისათვის ირლანდიის ნაციონალური ეკონომიკა არამდგრადი იყო¹⁴. მაშინ, როდესაც სხვა ევროპული ქვეყნები სწრაფ ეკონომიკურ ზრდას განიცდიდნენ, ირლანდიაში ეკონომიკური სტაგნაცია მიმდინარეობდა.

1970-იან წლებში, ირლანდია გახდა ევროკავშირის წევრი (1973), მოსახლეობის რაოდენობა 15 %-ით გაიზარდა, ხოლო ეროვნული შემოსავალი - 4%-ით. დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 1 %-ით წელიწადში, მაგრამ მის დიდ ნაწილს სახელმწიფო სექტორი შეადგენდა. მართალია, ირლანდია ევროკავშირიდან იღებდა ტრანსფერებს, მაგრამ როგორც საკითხის შესწავლიდან ჩანს, ირლანდიის ეკონომიკური წარმატებისთვის ტრანსფერებზე მნიშვნელოვანი იყო ევროპის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობა.

80-იან წლებში ირლანდიის ეკონომიკის წარმატებებმა შეფერხება იწყო. საშუალო შემოსავლის მქონე მუშების ზღვრული შემოსავალი 60 %-ით დაიბეგრა, უმუშევრობა 20%-მდე გაიზარდა, ხოლო ყოველწლიურმა ემიგრაციამ საზღვარგარეთ, დაახლოებით, მთელი მოსახლეობის 1%-ს, ხოლო საჯარო დეფიციტმა კი - მშპ-ს 15 %-ს მიაღწია [1].

¹⁴ ცნობისათვის, 2014 წელს საქართველოს მოსახლეობა უდრიდა 4,490, ათასს, ხოლო 2015 წელს - 3,710 ათას კაცს.

1981-დან 1990 წლამდე ქვეყანა დაახლოებით 200 000-მა ადამიანმა დატოვა, საშუალო წლიურმა ინფლაციამ 1981-1986 წლებში 11 %-ს მიაღწია. 1980-1986 წლებში მთავრობის ხარჯები 54%-დან 62%-მდე გაიზარდა, ქვეყანას უფრო და უფრო მეტი ვალი ედებოდა, რომელმაც 87%-დან 120%-მდე მიაღწია. გადასახადებიდან შემოსული თანხის 90% ამ ვალების დაფარვას ხმარდებოდა [1]. უცხოელმა ინვესტორებმა ისევ დაიწყეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა განვლილი წარუმატებლობის გასანეიტრალებლად. იზრდებოდა ქვეყნის ხარჯები, გადასახადები.

1985 წლიდან კერძო სექტორში სამუშაო ადგილებმა იმატა. კრიზისიდან გამოსასვლელად დაიწყო რეფორმების გატარება. მრეწველობამ, ჩაანაცვლა სოფლის მეურნეობა და ქვეყნის წამყვანი სექტორი გახდა. ქვეყანამ ცოდნის ეკონომიკაზე გადაინაცვლა. მრავალი მნიშვნელოვანი აღმოჩენა გაკეთდა ლითონების ძიების საქმეში, მათ შორის გიგანტური მადნის საბადო „ტარა მაინ“-ში. დღეს ირლანდია თუთიის მეშვიდე უმსხვილესი მწარმოებელია მსოფლიოში, ტყვიის კონცენტრატებში კი - მე-12. ამ მაღაროების (Lisheen and Galmoy) კომბინირებული ნაწარმი ირლანდიას ევროპაში თუთიის პირველ და ტყვიის მეორე მწარმოებლად აქცევს [1].

1987 წლიდან ქვეყნის სათავეში მოვიდა ახალი ხელისუფლება რომელმაც შეამცირა საჯარო ხარჯები, გადასახადები და ხელი შეუწყო ბაზრის განვითარებას. განსაკუთრებული წვლილი ირლანდიის წარმატებაში შეიტანა „საერთაშორისო განვითარების ასოციაციამ“ (IDA). ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ ისეთ კომპანიებზე, რომლებსაც კარგი მომავალი ჰქონდათ, აწარმოებდნენ ხარისხიან პროდუქტს და ჰქონდათ მრავალი შესაძლებლობა, ასეთი იყო: კომპიუტერული ფირმები, ფარმაცევტული და სამედიცინო კომპანიები, რომლებიც საერთაშორისო მომსახურების სფეროში იყვნენ ჩართულნი. ყველა ეს კომპანია დარწმუნდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ირლანდია, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა პროდუქტის ექსპორტი და ევროპის მომარაგება.

ირლანდიის ექსპორტის 93% მოდის უცხოური ფირმების პროდუქციაზე. ყველაზე მეტი ინვესტიცია აშშ-ს შემოაქვს ირლანდიაში. ქვეყანაში არის ისეთი კომპანიების ფილიალები,

როგორებიცაა - Dell, Intel, IBM და სხვ. თითოეული მათგანი 4000-5000 ადამიანს ასაქმებს. ასევე, ფილიალები გახსნეს ისეთმა პოპულარულმა ინტერნეტკომპანიებმა, როგორებიცაა Yahoo და Amazon. Google-მა კი ევროპის მთავარი ოფისი აქ განათავსა და 1000-მდე ადამიანი დაასაქმა.

გარდა აღნიშნულისა, ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი იყო ინგლისურ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა, ქალთა აქტივიზაციის დონის გაზრდა სამუშაო ძალაში.

თუ 1986 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 8000 \$, 2008 წელს 63000 \$ მიაღწია და მხოლოდ ლუქსემბურგს, ნორვეგიას და შვეიცარიას ჩამორჩებოდა. გარდა ამისა, თუ 1986 წელს უმუშევრობის დონე 17% შეადგენდა, ეს უკანასკნელი 2007 წელს 4,5 %-მდე შემცირდა. სწორედ ბევრი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა იყო ის ერთ-ერთი მიზეზი, რამაც მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა ქვეყანას. 1990 წლიდან 2005 წლამდე დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 1,1 მილიონიდან 1,9 მილიონამდე. მხოლოდ 1 წლის განმავლობაში, 2004-2005 წელს, დასაქმების მაჩვენებელი 5%-ით გაიზარდა [1].

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, ირლანდია მერვეა მსოფლიოში და პირველი – ევროპაში. ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსით მე-17 არის მსოფლიოში, ევროპაში – მე-7. ხოლო საგადასახადო განაკვეთებისა და ადმინისტრირების ტვირთის მიხედვით პირველ ადგილზეა ევროპაში, მეექვსე ადგილზეა მსოფლიოში, მაშინ როცა პირველ ათეულში სხვა ვერც ერთი ევროპული ქვეყანა ვერ ხვდება. ქვემოთ გრაფიკებისა და სქემების სახით მოცემულია: ირლანდიის მდგომარეობა საერთაშორისო რეიტინგში (2015), საშუალოწლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები 1987-2015 წლებში [5].

ირლანდიის ეკონომიკური აღმავლობა აისახა საზოგადოების ცხოვრებაზეც. გაეროს ჰუმანური განვითარების ინდექსის 2015 წლის მონაცემებით, ირლანდიას მეოთხე პოზიცია უჭირავს მსოფლიოში. 1990 წლის ბოლოს ირლანდიის მოსახლეობა შეადგენდა 3.5 მილიონ კაცს, რომელიც 2015 წლისათვის 4.7 მილიონამდე გაიზარდა. ცხოვრების დონის მნიშვნელოვნად ამაღლების

გამო, ირლანდია მასობრივი ემიგრაციის სახელმწიფოდან ემიგრანტების რეციპიენტ ქვეყნად იქცა [1].

2004 წელს ირლანდიამ დაუშვა სამუშაო ძალის შეუზღუდავი მიგრაცია ევროკავშირის ახალი წევრი 10 ქვეყნიდან. დღეს დასაქმებულთა 70% არ არის ირლანდიელი. ირლანდიამ ქვეყანაში მიიზიდა ამბიციური და ნიჭიერი ადამიანები. ასევე, ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციამ ის აქცია ხელსაყრელ ადგილად ინვესტიციებისთვის. საბოლოო ჯამში გამოვიდა, რომ ირლანდია ერთობ ეფექტურად აკავშირებს უცხოურ კაპიტალსა და ნიჭიერ მოსახლეობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ირლანდიის მოსახლეობაში მაღალია განათლების დონე.

1995-2000 წლებში ირლანდიის რესპუბლიკის ეკონომიკა მოიხსენიება ტერმინით „კელტური ვეფხვი“. ამ პერიოდში ირლანდიური ეკონომიკა გაიზარდა საშუალოდ 9.4%-ით და აგრძელებდა ზრდას საშუალოდ 5.9 %-ით მანამ, სანამ 2008 წელს არ დაიწყო ვარდნა. ტერმინი ასახავს ირლანდიის მსგავსებას აღმოსავლურ „აზიურ ვეფხვებთან“, როგორებიცაა: ჰონგ-კონგი, სინგაპური, სამხრეთ კორეა და ტაივანი 80-იანებსა და 90-იანებში. ამ ტერმინის ირლანდიური ვერსია „Tíogar Ceilteach“ ჩნდება ოფიციალური ტერმინოლოგიის ბაზაში და რეგულარულად გამოიყენება სამთავრობო და ადმინისტრაციულ კონტექსტში 2005 წლიდან [1]. ზედმეტსახელი გამოიყენებოდა უშუალოდ ქვეყანასთან და ბუმის წლებთან მიმართებით.


ეკონომიკამ დრამატული ცვლილება განიცადა 2008 წლიდან. მშპ შემცირდა 14 %-ით და უმუშევრობის დონე გაიზარდა 14 %-მდე 2011 წლისთვის [1].

კელტური ვეფხვის ზრდის დონე დაეცა 2002 წლიდან 7 წლიანი ზრდის შემდეგ. ირლანდიური ეკონომიკის დაღმასვლა დაემთხვა მსოფლიო დაღმასვლას. ეკონომიკა დააზიანა ინვესტიციების საგრძნობმა შემცირებამ მსოფლიო საინფორმაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიაში. 2002 წელს ირლანდიამ ექსპორტზე გაიტანა \$10.4 მლრდ-ის ღირებულების კომპიუტერული სერვისი, როდესაც აშშ-ში ეს მაჩვენებელი \$6.9 მლრდ-ს შეადგენდა. 2002 წელს ბაზარზე გატანილი საინფორმაციო ტექნოლოგიების პროდუქტისა და მომსახურების 50 % ირლანდიაზე მოდიოდა. 2007 წლის შუა პერიოდიდან, მსოფლიო გლობალური ფინანსური კრიზისის ფონ-

ზე კელტური ვეფხვი დაეცა. 2008-2009 წლებში მას ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება დასჭირდა. თუმცა 2014-2015 წლებმა აჩვენა, რომ ირლანდიამ არათუ გადალახა კრიზისი, 2014 წელს – ევროპის, 2015 წელს კი უკვე მსოფლიოს ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნად იქცა [4; 5].


ირლანდია საერთაშორისო რეიტინგებში

ადგილი ევროკავშირში | ადგილი მსოფლიოში



ირლანდიის მშპ-ზე ზრდა


ირლანდიის საშუალო წლიური შემოსავალი ერთმოსახლეზე (აშშ დოლარი).



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

ეკონომიკური ზრდა

ირლანდია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა.



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

1973 წელს, როდესაც ირლანდია ევროკავშირის წევრი გახდა, ის ევროკავშირის ყველაზე ღარიბი ქვეყანა იყო ერთ მოსახლეზე 2,400 დოლარის წლიური შემოსავლით. 42 წლის შემდეგ, 2015 წელს, ირლანდიის ერთ მოსახლეზე შემოსავალმა \$55 ათასს გადააჭარბა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის მხოლოდ ლუქსემბურგს ჩამორჩება. მსოფლიო მასშტაბით კი, ეკონომიკური კეთილდღეობის დონით, მე-11 ადგილზეა [4].

ირლანდია ბიზნესის წარმოებისთვის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად არის მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ აზიურ და არაბულ ქვეყანაში გაცილებით დაბალია გადასახადები და ნაკლებია რეგულაციები ვიდრე ირლანდიაში. მათთან იგი უპირატესობას ფლობს, დემოკრატიისა და ჰუმანური განვითარების დონით, ევროკავშირის ბაზარზე (როგორც საქონლისა და მომსახურების, ასევე შრომის) მეტი ხელ-მისაწვდომობით, რომელთაც ჰყავთ 550 მილიონიანი მომხმარებელი და აქვთ 17 ტრილიონი დოლარის მოცულობის საერთო ეკონომიკური სივრცე.

დღეს ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით ირლანდია შეღავათიანი გადასახადებით და რეგულაციებით, უკეთეს პირობებს სთავაზობს ინვესტორებს. სამართლის უზენაესობის კრიტერიუმებით (საკუთრების დაცვა, კორუფციის დაბალი დონე, დემოკრატიის დონე) ირლანდია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და სწორედ ეს არის ის მთავარი გარემოება, თუ რატომ ურჩევნია ბევრ ინვესტორს ირლანდიაში განახორციელოს ინვესტიცია და არა გაცილებით უფრო ნაკლები საგადასახადო განაკვეთების მქონე აზიურ ან აფრიკულ ქვეყანაში.

2015 წელს მთავრობის ხარჯები შემცირდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის 35%-მდე 1986 წლის 55%-დან. ამასთან, კორპორაციული საგადასახადო განაკვეთის მაქსიმალური დონე შემცირდა 12.5%-მდე იმ დროს, როცა ყველაზე დაბალი განაკვეთი ევროპაში 30% იყო. 1986 წელთან მიმართებაში 2015 წელს, საშემოსავლო გადასახადის საბაზისო და უმაღლესი განაკვეთი შემცირდა შესაბამისად: 35%-დან 20%-მდე და 58%-დან 40%-მდე. ასევე ამაღლდა შემოსავლის დონე, რომლის ზემოთაც იბეგრება ყველაზე მაღალი განაკვეთით. 2015 წელს მშპ-მა შეადგინა 238 მილიარდი აშშ დოლარი (საქართველოზე თითქმის 17-ჯერ მეტი)

ექსპორტმა კი - 111 მილიარდი ევრო (საქართველოზე თითქმის 70-ჯერ მეტი) [3;4].

2004 წლიდან ირლანდიამ 20%-იანი საგადასახადო კრედიტი შემოიღო საწარმოების მიერ განხორციელებულ კვლევებსა და განვითარებაზე (R&D) [5].

ირლანდიის ბიზნესით დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი - საგადასახადო რეფორმაა (ინოვაცია გადასახადებში), რომელმაც შეღავათიანი ფისკალური რეჟიმი დააწესა ექსპორტზე ორიენტირებულ მრეწველობის დარგებზე. საერთოდ, ინოვაციები ფისკალურ პოლიტიკაში. მეორე მიზეზი სახელმწიფოს მიერ იმ ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერაა, რომელიც ორიენტირებულია საგარეო ბაზარზე.

ირლანდიას აქვს ერთ-ერთი ყველაზე გლობალიზებული ეკონომიკა. გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით, ქვეყანა 2016 წელს მეორე ადგილს იკავებს სინგაპურის შემდეგ. გლობალიზაციამ და ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ წაახალისა ის დარგები, რომლებშიც ირლანდია ძლიერი იყო და შეფარდებითი უპირატესობა ჰქონდა. აღსანიშნავია ირლანდიის მოსახლეობის კარგი განათლებისა და მაღალკვალიფიციურად მომზადების დონეც.

ირლანდიის ნაციონალური ინოვაციური სისტემის სტრუქტურა

ჯერ კიდევ 2011 წელს, მასტრიხტის ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტის დასკვნით, ირლანდია შედის ინოვაციური ქვეყნების სიაში. ირლანდიის გარდა ამ სიაში მოხვდნენ ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, სლოვენია, კვიპროსი, ესტონეთი. დასკვნის თანახმად, ირლანდიას მესამე ადგილი უკავია ევროკავშირის ქვეყნებს შორის ასპექტში „ადამიანური რესურსები“ (განათლებულთა რაოდენობით, 30-დან 34 წლამდე ადამიანთა რაოდენობით, რომლებმაც მიიღეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ასევე ახალგაზრდების რაოდენობით ასაკით 20-დან 24 წლამდე, რომლებმაც გაიარეს საშუალო განათლების მეორე ეტაპი). ირლანდია მეორე ადგილზეა „ეკონომიკური ეფექტის“ მაჩვენებლით (დასაქმება მეცნიერებატექვად დარგებში; საშუალოდ მაღალტექნოლოგიური და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის მოცულობა;

ლიცენზიების და პატენტების საზღვარგარეთ გაყიდვით მიღებული შემოსავლები, სამეცნიერო ნაშრომები) [8].

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ირლანდიის გლობალური ინოვაციების ინდექსის მაჩვენებლები.

გლობალური ინოვაციების ინდექსის მაჩვენებლები ირლანდიაში*

მაჩვენებლები	2011	2012	2013	2014	2015	2016
ინოვაციურობის ინდექსი	54.1	58.7	57.9	56.7	59.1	59
დანახარჯები სკსსს-ზე, პროცენტულად მშპ-თან	1.53	1.56	1.54	1.52		
ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპორტი, %-ულად საქონლის საერთო ექსპორტთან	5.78	5.65	5.83	5.75		
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, მლნ დოლარებში	23751.6	22623.28	21914.72	21260.56	27633.25	
ექსპორტში მაღალი ტექნოლოგიებით, წარმოებული საქონლის ექსპორტი %-ში	21.71	22.52	22.42	21.33	25.83	
რეზიდენტების განაცხადი პატენტებზე	494	492	333	263		

* წყარო: <http://ru.theglobaleconomy.com/>

ირლანდიის ექსპორტის სტრუქტურამაც განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები: მაღალტექნოლოგიური საქონლის წილი (საოფისე, კომპიუტერული, ზუსტი ხელსაწყოები, ფარმაცევტული პრეპარატები, ქიმიური მრეწველობის პროდუქტები) გაიზარდა თითქმის 30%-ით, 47.4%-დან 76%-მდე [8].

მსოფლიოში გამოყოფენ ეროვნული ინოვაციური სისტემების ოთხ მოდელს. აქედან პირველს უწოდებენ „ევროატლანტიკურს“, მეორეს - „აღმოსავლეთაზიურს“, მესამეს “აღტერეატიულს” და მეოთხეს “სამმაგი სპირალის” მოდელს. თანამედროვე პირობებში უცხოეთში მუშავდება სამმაგი სპირალის მოდელის გართულებუ-

ლი ტიპი – ოთხმაგი სპირალის მოდელი, რომელიც 2009 წელს აღწერეს ი. კარაიანისმა და დ. კემბელმა [6].

საკითხის შესწავლიდან ჩანს, რომ ამ ოთხი მოდელიდან ირლანდიის ნაციონალური ინოვაციური სისტემა ფოკუსირებულია უფრო პირველ - „ევროატლანტიკურ“ მოდელზე.

ევროატლანტიკური მოდელი - ეს არის სრული ინოვაციური ციკლის მოდელი, იდეის წარმოქმნიდან მზა პროდუქციის მასიურ წარმოებამდე. ამ მოდელში, როგორც წესი, წარმოდგენილია ინოვაციური სისტემის სტრუქტურის ყველა კომპონენტი: ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის მეცნიერება; კვლევები და დამუშავებები, საცდელი ნიმუშების შექმნა და მათი გაშვება მასიურ წარმოებაში. ამ მოდელს იყენებენ განვითარებული ქვეყნები, რომლებიც რეიტინგულები არიან ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, და ა.შ.).

ნაშრომში [8] ირლანდიის ნაციონალური ინოვაციური სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემაში (იხ. სქემა - ირლანდიის ნაციონალური ინოვაციური სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა) კარგად ჩანს ინსტიტუტების ურთიერთკავშირი.

ირლანდიის ნაციონალური ინოვაციური სისტემის საფუძველს წარმოადგენს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტები, აგრეთვე ნახევრად სახელმწიფოებრივი ორგანოები. პირველ ჯგუფში შედის ორფას, მრეწველობის განვითარების სააგენტო (Industrial Development Agency ანუ IDA), ინოვაციების, მეწარმეობისა და დასაქმების სამინისტროს დაქვემდებარებული ირლანდიის სამეცნიერო ფონდი და ЭНТЕРПРАЙЗ АЙРЛЕНД. მეორე ჯგუფში შედის გამომგონებელთა საბჭო და უმაღლესი განათლების მართვის კომიტეტი, რომელიც ანგარიშვალდებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე.

სამთავრობო სამრეწველო ქვეკომიტეტი მეცნიერებაში, ტექნოლოგიასა და ინოვაციებში წარმოადგენს მთავარ მაკოორდინებელ ორგანოს, ასევე მას აკისრია ინოვაციის სფეროში არსებული პოლიტიკის რელიზაციის ამოცანა, ის ამტკიცებს წამყვან მეცნიერთა სამუშაო პროგრამებს და სამეცნიერო ანგარიშებს. ქვეკომიტეტს ხელმძღვანელობს დასაქმების, მეწარმეობის და ინოვაციების მინისტრი.

უწყებათაშორისი კომიტეტი მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინოვაციების დარგში დაკავებულია იმ საზოგადოებრივ და სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციით, რომლებიც პასუხისმგებლები არიან პოლიტიკის შემუშავებაში, და, ასევე, იმ სახელმწიფო წარმომადგენლებით რომლებიც დაკავებულები არიან მისი იმპლემენტაციით. კომიტეტის შემადგენლობაში შედის 8 მთავარი დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელთა კომპეტენციის სფეროა მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები.

მთავარი სამეცნიერო მრჩეველი სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს კვლევის შედეგებს. მრჩეველის ვალდებულებაში შედის, ინფორმაციული მხარდაჭერა გაუწიოს მეცნიერების ამ დარგს.

ინოვაციების, ტექნოლოგიების და მეცნიერებათა განყოფილებაზეა დამოკიდებული აღნიშნულ სფეროში ნაციონალური პოლიტიკის განვითარება, წინსვლა და კოორდინაცია ევროკავშირსა და საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, განყოფილება პასუხისმგებელია ფუნდამენტური კვლევების დაფინანსებაზე, რომლებსაც ახორციელებენ ირლანდიის მეცნიერების ფონდი და მკლევართა საბჭო.

მთავარი სამეცნიერო მრჩეველი ანგარიშს აბარებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომიტეტს. მრჩეველი ვალდებულია, ინფორმაციული მხარდაჭერა გაუწიოს ისეთ საკითხებში, რაც კავშირშია მეცნიერებასთან, განსაკუთრებულად კი იმ სფეროში, რომელიც საზოგადოების განხილვის საგანს წარმოადგენს.

კონკურენტუნარიანობის განვითარების ნაციონალური საბჭო - მნიშვნელოვანი სათათბირო ორგანოა, რომელიც ყოველწლიურად გამოსცემს დასკვნას ირლანდიის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შესახებ სხვა 15 ქვეყნის შედეგებთან შედარებით. დასკვნა გამოიყენება დაინტერესებული მხარეების მიერ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დებატებში.

Forfas - ორგანო, შექმნილია „მრეწველობის განვითარებისათვის აქტი“ 1993 წელს, რომელშიც გათვალისწინებული იყო მის შემადგენლობაში ორი სააგენტოს შექმნა - Forbairt და მრეწველობის განვითარების სააგენტო (IDA). Forfas-სთვის იყო განსაზღვრული შემდეგი ამოცანები: “ქვეყანაში მრეწველობის და ტექნოლოგიების სტიმულირება”, “უცხოური სამრეწველო პროექტების განვითარების წახალისება” და სხვ. ორბაირტ-თვის: „ტექნოლოგიური ბაზის გამყარება და ინოვაციური განვითარების მიმართულებით სამრეწველო საწარმოების შესაძლებლობების გაფართოება“, „გაუწიოს მომსახურება ინოვაციების ასეთი განვითარების მხარდაჭერას“ და სხვ., IDA-სთვის „მოახდინოს ინვესტირება და მხარი დაუჭიროს იმ სამრეწველო პროექტებს, რომლებიც მოქმედ კანონმდებლობებს პასუხობენ“ და სხვ.

სააგენტოს - Forbairt-ის (ირლანდიურად „ზრდა“) - შექმნათვის დროზე იყო რეფორმებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების გაერთიანების შედეგი, რომლებიც საქმიანობდნენ სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციურ პროგრამებში. ხოლო 1998 წელს „ენტერპრაიზ აირლენდ (Энтерпрайз Айрлэнд)“-ის შექმნით Forbairt-ის ფუნქციები გადაეცა მას.

„ენტერპრაიზ აირლენდი“ - ორგანიზაციაა Forfas-ის ერთ-ერთი სააგენტოს სახით. მისი დანიშნულებაა ტექნოლოგიური ბაზის გაფართოება საწარმოებისათვის, რათა ისინი გადავიდნენ განვითარების ინოვაციურ გზაზე, სკსს განხორციელება და დიზაინის შემუშავება. იგი გამოყოფს მნიშვნელოვან თანხებს საწარმოებზე (10-დან 250 მომსახურე), რომლებიც მუშაობენ სამრეწველო ან მომსახურების სფეროში და ორიენტირებულია საგარეო ბაზარზე. გარდა ამისა, „ენტერპრაიზ აირლენდი“ დახმარებას უწევს ე.წ. სტარტაპ - კომპანიებს, საწარმოებს, რომლებიც დიდი პოტენციალით ორიენტირებულნი არიან ინოვაციური პროდუქციის წარმოებაზე ან ინოვაციურ მომსახურებაზე, საერთაშორისო ბაზრებზე მათი რეალიზაციის მიზნით. ამასთან, ასეთ საწარმოებში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა 10-მდე უნდა იყოს, დაგეგმილი გაყიდვების მოცულობა 3-4 წლის მანძილზე - 1 მლნ ევრო, ხოლო საწარმოს ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 6 წელს.

ირლანდიის მეცნიერების ფონდი დაარსდა 2000 წელს, როგორც Forfas-ის ერთ-ერთი ქვედანაყოფი. მისი დანიშნულებაა

თანხის (646 მლნ ევრო) გადანაწილება ირლანდიის ტექნოლოგიურ ფორსაიტის ფონდიდან. 2003 წლის აქტით განვითარების შესახებ, ირლანდიის მეცნიერების ფონდი დამოუკიდებელი გახდა ორფას-ისგან. ამჟამად ირლანდიის მეცნიერების ფონდი აფინანსებს სკსსს, განხორციელებულს ბიოტექნოლოგიის მიმართულებით, საინჟინრო საკონსტრუქტორო ტექნოლოგიებს (ИКТ), ასევე მდგრადი ენერგეტიკის და ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს.

მრეწველობის განვითარების სააგენტოს ძირითად ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ისეთ სფეროებში, როგორცაა: მეცნიერება და ცხოვრება, საკონსტრუქტორო ტექნოლოგიების ინოვაცია ციები, ინჟინერინგი, პროფესიული მომსახურება და სხვა.

ირლანდიის კვლევების საბჭო შეიქმნა 2012 წელს. იგი შეიმუშავებს და ახორციელებს კვლევების დაფინანსების სქემებს, მაგალითად სტიპენდიებს სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, ასევე სამეცნიერო-კვლევით გრანტებს ახალ და აღიარებულ მეცნიერთათვის.

უმაღლესი განათლების მართვა. - ნახევრად სახელმწიფო სტრუქტურა. რომლის მოვალეობაა ირლანდიაში, კვლევებსა და უმაღლესი განათლების სფეროში პოლიტიკის შემუშავება და გატარება. მართვა მოცავს ფართომასშტაბიან სათათბირო ფუნქციას უმაღლესი განათლების ყველა სექტორთან. გარდა ამისა, იგი აფინანსებს უნივერსიტეტებს და ტექნოლოგიების ინსტიტუტებს. უმაღლეს განათლების მართვის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების საბოლოო მიზანია იმის ჩვენება, რამდენად მნიშვნელოვანი ადგილია ირლანდია მსოფლიო დონის სკსსს-ს განსახორციელებლად. პროგრამა აფინანსებს კვლევებს, როგორც კუმანიტარულ, ჩვეულებრივ და საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებს, ბიზნესის და სამართლის და ტექნოლოგიების ჩათვლით.

„შენნონ დეველოპმენტ“ - კომპანია. სპეციალიზებულია ირლანდიის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში მართვაზე. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა უცხოური ინვესტიციებით, ჭარბობს ირლანდიის სხვა რაიონებს. ის იზიდავს კომპანიებს, რომლებიც დაკავებულნი არიან სამრეწველო წარმოებით, ვაჭრობის სფეროში მომსახურებით, საერთაშორისო ლოგისტიკით და

დისტრიბუციით, საფინანსო მომსახურებით და კლიენტების მხარდაჭერის სფეროში საქმიანობით.

ვაჭრობის თავისუფალი ზონის ფარგლებში, „შენნონ დეველოპმენტ“ კომპანიების მიერ ჩამოყალიბდა ცოდნის გენერაციის ორგანიზაციათა ქსელი. მასში გაერთიანდა ნაციონალური ტექნოლოგიური პარკი „ლიმერიკი“, ტექნოლოგიური პარკები: „ტიპპერერი“ და „კერი“, ტექნოლოგიური ცენტრი „ბირ“ და პარკი ენისეიში „ვეკ ინფორმაციი“ (ინფორმაციის საუკუნე). თავისუფალი ვაჭრობის ზონა “შენნონ“-ში შეიქმნა ბიზნესპარკი „ბესტპარკ შენნონ“, რომელიც განთავსდა 38 აკრ მიწაზე. მისი საქმიანობის მიზანი მოზიდვა და მომსახურების გაწევაა მეცნიერებატევად ბიზნესზე, მაღალი ტექნოლოგიების და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ირლანდიის მიერ შერჩეული ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ითვლებოდა მაღალი რისკის შემცველად, რამდენადაც იგი თავისთავში ატარებდა ახალ ეკონომიკურ პარადიგმებს. აღიარებულია, რომ ამგვარმა გადაწყვეტილებამ გაამართლა. ქვეყანამ მიაღწია რიგ კონკურენტუპირატესობებს, რომელმაც უზრუნველყო მისი როგორც ერთ-ერთი მსხვილი ინოვაციური ცენტრის სტატუსი [7].

ინვესტიციებმა ტექნოლოგიებში, ასევე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასა და მოზიდვაში, შესაძლებლობა მისცა ირლანდიას, მცირე დროში ეკონომიკური და ტექნოლოგიური აუტსაიდერობიდან გარდაქმნილიყო თანამედროვე „წარმატების მანქანად“.

ევროპაში ყველაზე დაბალმა გადასახადებმა და ინგლისურენოვანმა სამუშაო ძალამ ამ პატარა კუნძულზე მიიზიდა ურთიერთკონკურენტული 40 ყველაზე მსხვილი კომპანია. პრაქტიკულად, აქაა განლაგებული მსოფლიო ფარმაცევტიკის თითქმის ყველა ლიდერი კომპანია. ირლანდიის ინოვაციური პოლიტიკა ეფექტურად ახდენს ფოკუსირებას ერთი მხრივ ევროკავშირის სასაქონლო ინოვაციებზე და არანაკლებ მნიშვნელოვან ამერიკული პროცესების ინოვაციებზე.

დასკვნა

ირლანდიის ინოვაციური და ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი აჩვენებს ლიდერის შესაძლებლობებს ინოვაციურ საქმიანობაში, ირლანდიის ნაციონალური ინოვაციური სისტემის ძლიერ მხარეებს, რაც გამოიხატება „ეკონომიკის ეფექტში“. ირლანდიის ინოვაციური განვითარების ანალიზი მოწმობს, რომ (როგორც ნაშრომში მოცემული სქემიდანაც ჩანს) ბოლო 30 წლის განმავლობაში, ირლანდიის ინოვაციური და ეკონომიკური საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო „ცოდნის ეკონომიკისაკენ“. დღეისათვის ჩანს, რომ ირლანდია ამზადებს ნიადაგს ეროვნული ინოვაციური სისტემის „ევროატლანტიკური მოდელიდან“, თანამედროვე XXI საუკუნის „სამი სპირალის მოდელზე“ გადასასვლელად.

პრაქტიკაში განხორციელებული ინოვაციური პროექტების მნიშვნელოვანი წილი ადგილობრივი პოტენციალი არ არის. ირლანდიის წარმოების ინოვაციურ განვითარებაზე დადებით გავლენას ახდენს წამყვან საერთაშორისო კომპანიებთან ურთიერთობა. შეიძლება ითქვას, შიდა ინოვაციების გარდა, ირლანდიის ეკონომიკაში მაღალი დოზით ხდება ინოვაციების იმპორტი.

განვლილ წლებში შექმნილმა მეცნიერების და ინოვაციების მხარდაჭერის ინფრასტრუქტურამ, უცხოურ კომპანიებთან დამყარებულმა კავშირებმა მყარი საფუძველი ჩაუყარა ირლანდიის ინოვაციურ განვითარებას პოსტკრიზისულ პერიოდშიც.

ირლანდიის ინოვაციური განვითარების უპირატესობა მჭიდრო კავშირში აღმოჩნდა გლობალურ ეკონომიკასთან და საერთაშორისო კომპანიების მზადყოფნაში ქვეყნის ტექნოლოგიური ტრანსფერებით უზრუნველყოფით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ირლანდიის ინოვაციური განვითარების და სტიმულირების საქმეში. დაბეგვრის ხელსაყრელი სისტემა და ფინანსური მხარდაჭერა კვლევით, სამეცნიერო საქმიანობაში იძლევა იმის საფუძველს, რომ ირლანდიის მთავრობა მზად არის, გააგრძელოს საქმიანობა უცხოური კომპანიებისათვის მიმზიდველობის თვალსაზრისით. დღეს, ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით ირლანდია შეღავათიანი გადასახადებით და რეგულაციებით, უკეთეს პირობებს სთავაზობს ინვესტორებს. სამართლის უზენაესობის კრიტერიუმებით (საკუთრების დაცვა, კორუფციის დაბალი დონე,

დემოკრატიის დონე) ირლანდია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და სწორედ ეს არის ის მთავარი გარემოება, თუ რატომ ურჩევნია ბევრ ინვესტორს, ირლანდიაში განახორციელოს ინვესტიცია და არა გაცილებით უფრო ნაკლები საგადასახადო განაკვეთების მქონე აზიურ ან აფრიკულ ქვეყანაში.

ირლანდიის ეკონომიკის განვითარების და მისი ეროვნული ინოვაციური სისტემის სტრუქტურის შესწავლით აშკარაა ირლანდიის ეკონომიკის ასეთ მაღალ დონეზე განვითარება და მისი წოდება კელტის „ვეფხვად“, რაც ძირითადად განპირობებულია ირლანდიის ევროკავშირის ერთიანი საინოვაციო სისტემაში ჩართვით და ირლანდიის ხელისუფლების მიერ ქვეყნის ეკონომიკის შესაბამისი ეროვნული ინოვაციური სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებით. საკითხის შესწავლიდან ისიც ჩანს, რომ ირლანდია და საქართველო თავისი მოსახლეობის და ტერიტორიის სიდიდით და ეკონომიკის აგრარული ბუნებით მსგავსი სახელმწიფოებია, ამდენად ვფიქრობთ, ირლანდიის გამოცდილების გაზიარება დიდ დახმარებას გაუწევდა საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნაში, ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში სახელმწიფო, კერძო და საგანმანათლებლო სფეროში, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. სახელმწიფოში, ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, უნდა გატარდეს თუნდაც მაღალი რისკის შემცველი პოლიტიკა ფისკალურ, საგანმანათლებლო და სამართლებრივ სფეროში; ამ მიმართულებით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც მიმზიდველს გახდიდა საქართველოს უცხოელი ინვესტორებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის (გლობალური ბიზნესისათვის), ხელი შეეწყოს ინტეგრაციის პროცესებს, რაც განავითარებს ქვეყანაში ინოვაციების იმპორტს. ეს ყოველივე უზრუნველყოფს საქართველოს ინოვაციური პოტენციალის რეალიზებასაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვიკიპედია — თავისუფალი ენციკლოპედია: ირლანდია
2. ზურაბაშვილი მ. ირლანდიის წარმატება., 25 დეკემბერი, 2017; <http://forbes.ge/news/3224/irlandiis-warmateba>

3. ირლანდიის ეკონომიკური ზრდა 2015 წელს რეკორდულად მაღალი - 26.3% იყო 12 ივლისი, 2016 კომენტარი
www.tabula.ge/ge/story/109688-irlandiis-ekonomikuri-zrda.
4. ირლანდიის ეკონომიკა (სწრაფი წარმატების გზა)
<http://www.azrebi.ge/index.php?m=734&newsid=67>
5. ნამჩვენაძე ბ. ირლანდია – ევროპის ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა; 12 აგვისტო, 2016 • რეიტინგი
[//forbes.ge/news/1565/evropis-yvelaze-swrafad-mzardi-ekonomika](http://forbes.ge/news/1565/evropis-yvelaze-swrafad-mzardi-ekonomika)
6. ქოქიაური ლ. ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნის მსოფლიო გამოცდილება - გაკვეთილები განვითარებადი ქვეყნებისათვის
https://search.yahoo.com/yhs/search;_ylt=A0LEVj3DW3ta8_AAqIPxQt.?p
7. Бойкова М.В., М.Г. Салазкин М.Г. Ирландия: новый контекст развития; Форсайт № 3 (3) 2007
8. Монахов И. А. Ирландия на пути инновационных преобразований: истоки и перспективы развития
<https://cyberleninka.ru/article/n/irlandiya-na-puti-innovatsionnyh-preobrazovaniy-istoki-i-perspektivy-razvitiya>
9. <http://ru.theglobaleconomy.com/>
10. www.geostat.ge

Eter Kakulia

INNOVATION SYSTEM OF IRELAND

Summary

In the work the picture of development of the economy of Ireland from the 70 -s of the last century upto today is shortly described. is shown national innovation system of Ireland, the organizational structure of its development is shown as a diagram. The functions of the structure are studied in the case of supporting the innovation. The conclusion is made that Ireland is paving the way for turning national innovation system from Euro-Atlantic model to the modern "model of three spirals " of the 21st century. The opinion is expressed about appropriating of the model of the innovation of Ireland for Georgia in order to actualize the innovation potential of Georgia.

ნატა დავლაშერიძე

პოლონეთის ინოვაციური სისტემა

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია პოლონეთის ინოვაციური სისტემა. აღნიშნულია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლიდან (1989) 28 წლის, და ევროკავშირში გაერთიანებიდან 13 წლის (2004) შემდეგ, პოლონეთი იქცა რეგიონში ეკონომიკური ცვლილებების ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოსთვის, რომელიც ხაზს უსვამს ნაშრომის აქტუალობას. დღევანდელობისთვის ქვეყანაში ჩატარებული რეფორმების შემდეგ, პოლონეთში ჩამოყალიბდა მეცნიერების ორგანიზების მდგრადი და ეფექტური სისტემა, რომელშიც გამოიყოფა სამი საბაზრო სექტორი: პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია, უმაღლესი განათლების სისტემა (უნივერსიტეტები და კოლეჯები - ამ სფეროში შედის ცოდნის აკადემია), ასევე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (რომლის ნაწილი ასოცირდება პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიასთან).

პოლონეთის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან ასპექტად ითვლება მეცნიერულ-ტექნიკური სფეროს ინტეგრაცია ეკ-ის ზენაციონალურ პროექტებთან ტექნოპარკების და ტექნოლოგიის ტრანსფერის ცენტრების ქსლის შესაქმნელად. პოლონეთში არსებობს 600-ზე მეტი ბიზნესსექტორი და ინოვაციური ცენტრი, 134 კლასტერი და 106 კლასტერული ინიციატივა, რომლებიც მალე გადაიქცევა კლასტერებად.

* * *

ევროკავშირში გაერთიანებიდან (2004) 13 წლის შემდეგ პოლონეთი ითვლება გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად რეგიონში. Goldman Sachs-ის (2017 წლის) ბოლო პროგნოზების შესაბამისად, ინვესტიციების და მოხმარების შედეგად, ეკონომიკური ზრდის ტემპი 4,4%-ით გაიზარდა 2016 წლის 2,8%-თან შედარებით.

დღეისათვის პოლონეთში ჩამოყალიბდა სამეცნიერო სისტემა, რომელშიც გამოყოფილია 3 საბაზო სექტორი: პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია, უმაღლესი განათლების სისტემა (უნივერსიტეტები, კოლეჯები და ამ სექტორში შედის ცოდნის აკადემია)

და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (მათი ნაწილი გაერთიანებულია პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიაში). მმართველი პირობითობით 3 სექტორს შეიძლება ეწოდოს სახელმწიფო (აკადემიური), საგანმანათლებლო და სამრეწველო.

თუ განვიხილავთ თითოეული მათგანის ფუნქციებს, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო სექტორი სამართლებრივად არეგულირებს მეცნიერებისა და განათლების სფეროს, ასევე უწევს ფინანსურ დახმარებას ზოგიერთ საკანონმდებლო მიმართულებას (მაგალითად, ისეთებს, რომლებიც არარენტაბელურია საბაზრო ურთიერთობებში). უმაღლესი განათლების სისტემის როლი მდგომარეობს კადრების მომზადებაში სამეცნიერო სამუშაოებისათვის, რომლებზეც არსებობს მოთხოვნა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში. ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველა ინოვაციური აქტიურობის განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მმართველი სექტორია, სადაც ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების უდიდესი ნაწილი.

2004 წლის შემდეგ გაჩნდა 2 ახალი ორგანო, რომლებიც ხელს უწყობენ სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განვითარებას, ესენია: სამეცნიერო საბჭო (მუშაობა დაიწყო 2004 წელს) და სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრი (NCBR) (მუშაობს 2007 წლიდან). NCBR-მა შექმნა ისეთი პროგრამები, როგორიცაა BRIDGE Alfa, BRIDGE Classic, BRIDGE Mentor, BRIDGE VC, NCBR CVC, ასევე TDJ Pitango Ventures ფონდი. ნებისმიერ მეწარმეს შეუძლია სთხოვოს ფინანსური დახმარება NCBR-ის, იმისდა მიუხედავად, თუ მისი პროდუქცია ან მომსახურება განვითარების რომელ ეტაპზე იმყოფება. 2017 წ. NCBR დახმარება გაუწია ინოვაციურ მეწარმეებს დაახლოებით 3 მლრდ პოლონური ზლოტის (PLN) ოდენობით.

პოლონეთის უმაღლესი განათლების სასწავლებლები წარმოდგენილია უნივერსიტეტებით, ინსტიტუტებით, უმაღლესი სკოლებითა და აკადემიებით. სპეციალიზაციის მიხედვით ისინი იყოფიან ტექნიკურ, სამედიცინო, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ, სპორტულ და ბიზნესის დაწესებულებებად. საერთაშორისო რეიტინგებში, მაგალითად, შანხაის რეიტინგის მიხედვით, პოლონური უნივერსიტეტების ამპლიტუდა მერყეობს 401-დან 500-მდე. კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტი ერთადერთია აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, რომელიც 2017 წელს მოხვდა ევროპის 100

ყველაზე ინოვაციურ უნივერსიტეტთა რიცხვში (როიტერის - Reuter - სააგენტოს მიერ შედგენილ რეიტინგში). მან აიწია 2 ერთეულით წინა წელთან შედარებით და 90-ე ადგილზე გავიდა.

პოლონეთის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები იღებენ შემდეგ ხარისხებს:

- ბაკალავრი (BA, Licencjat) - უნივერსიტეტებში ან კოლეჯებში 3,5 წლის სწავლების შემდეგ.

- ბაკალავრი (BSc, inzynier)- უნივერსიტეტებში ან კოლეჯებში 3,5-4 წლის სწავლების შემდეგ ეკონომიკურ, ტექნიკურ ან სასოფლო-სამეურნეო სპეციალობაზე.

- მაგისტრი (MA, MSc, magister) - ხარისხი მიენიჭებათ ექიმებს, ვეტერინარებს, კბილის ქირურგებს, ინჟინრებს, არქიტექტორებს, ხელოვნებათმცოდნეებს, რომლებმაც დაამთავრეს უნივერსიტეტის 5-6 წლიანი კურსი, ბაკალავრს შეუძლია მაგისტრის წოდების მიღება 2-2,5 წლიანი დამატებითი სწავლების შემდეგ.

- მეცნიერებათა დოქტორი (PhD, doctor) - ხარისხი მიენიჭება მეცნიერებს, რომლებმაც დაიცვეს სადოქტორო დისერტაცია და ჩააბარეს გამოცდები შესაბამისი სპეციალობით. დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ მაგისტრის ხარისხის მიღების შემდეგ.

IT (Information Technology - საინფორმაციო ტექნოლოგიები) იყო 2016-2017 სასწავლო წლების კვლევათა ყველაზე პოპულარული სფერო. IT კვლევებზე განცხადებათა რაოდენობაა 38 285. დღეისათვის პოლონეთში ყველაზე პოპულარული სასწავლო დაწესებულებებია ტექნიკური სკოლები. მათ შორის, ვარშავის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პოზნანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და გდანსკის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი - წარმოადგენენ უმაღლესი რანგის სასწავლო დაწესებულებებს.

2017 წლის თებერვალში მთავრობამ მიიღო **საპასუხისმგებლო განვითარების სტრატეგია**, სადაც გამოყოფილია პოლონეთის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ახალი მიმართულებები. დღეისათვის სტრატეგიაში შესულია საკანონმდებლო დარგის ასევე განსაზღვრული ინვესტიციების დაახლოებით 185 პროექტი. მიღებული წინადადების შესაბამისად, 2017 წლის ინტელექტუალური და სამრეწველო ქონების შემოსავლები შემცირდა, ასევე დაგეგმილია გარკვეული ფინანსური სტიმულები სკსსს-სთვის.

ამის გარდა, უნივერსიტეტებმა და სხვა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა მიიღეს უფრო მეტი თავისუფლება საკუთარი აქტივების ბიზნესში მოზიდვას გადაწყვეტილების მიღებისას. ამ წინადადებათა ძირითადი მიზანია პოლონეთში „ცოდნის ეკონომიკის“ შექმნა, ანუ ქვეყნის ეკონომიკისათვის დახმარების გაწევა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს ინტეგრაცია ევროკავშირის ზენაციონალურ პროექტებში, რომლებიც დაკავშირებულია არა იმდენად კონკრეტულ ტექნოლოგიურ ინოვაციებთან, რამდენადაც მათი განვითარებისათვის საჭირო ინსტიტუციური და სოციალური გარემოს ფორმირებასთან. პრაქტიკულად, ამდგომარეობა ინტეგრაცია ასახვას პოვებს სპეციალიზებულ პროექტებში, რომლებიც აერთიანებენ პოლონელ მეცნიერებს თავის უცხოელ ევროპელ კოლეგებთან. ასეთი ინიციატივების მაგალითია ტექნოპარკების და ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრების ქსელის შექმნის პროგრამები; პირველში ხორციელდება იმ ინოვაციების დამუშავება, რომლებსაც შეუძლიათ საერთო ევროპულ ბაზარზე გასვლა, მეორეში - ინოვაციური საქონლის მორგება ეროვნული ეკონომიკის, განათლების და მეცნიერების საჭიროებისათვის. პოლონური სამეცნიერო-ტექნოლოგიური კლასტერი „ცოდნა და ინოვაციები“, რომელიც 2009 წლის დეკემბრიდან მუშაობს კრაკოვში, წარმოადგენს საერთო ევროპული პროექტის - „ინოვაციების და ტექნოლოგიების ევროპული ინსტიტუტის“ ნაწილს და ერთადერთია აღმოსავლეთ ევროპაში. პოლონეთის მონაწილეობა მსგავს პროგრამებში შესაძლებელია პირველ რიგში სამეცნიერო ამპლუების დარგში ზენაციონალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებულ სტანდარტების არსებობის ხარჯზე.

პოლონეთის მთავრობა ახორციელებს რეფორმების ფართო პროგრამას, რომლის მიზანია, რეგიონულ მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით დააკავშიროს კვლევითი ცენტრები და ბიზნესი. ძირითადი ყურადღება ეთმობა ინოვაციურ გადაცემას ცენტრიდან რეგიონებისაკენ. ამგვარი სტრატეგიის ფარგლებში იზრდება ტექნოლოგიური დარგების და ტექნოლოგიების ტრანსფერის ტენდერების როლი, რომლებიც მჭიდრო კოოპერაციაში არიან ადგილობრივ მთავრობასთან. ფირმების უმეტესობა პოლონეთში მცირე საწარმოებია, რომელთაც ახალ ტექნოლოგიურ გად-

აწვევტილებათა ეფექტური დანერგვისათვის საჭირო პოტენციალი არ გააჩნიათ. ამიტომ მათი განვითარებისათვის და ახალი ინოვაციური კომპანიების შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათთვის შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და კონსალტინგისათვის, ასევე ჩანასახოვანი კაპიტალის (seed capital) გამოყენების შესაძლებლობისათვის წვდომის უზრუნველყოფას. მცირე საწარმოებს ესაჭიროებათ მხარდაჭერა ბიზნესის დახმარების ორგანიზაციებისაგან, რომლებიც ასრულებენ შუამავლის როლს ინფორმაციის უზრუნველყოფის, ტექნოლოგიების ტრანსფერის და სამეცნიერო დაწესებულებებთან კავშირის დამყარების საქმეში.

2014 წელს ჩატარებული კვლევების მიხედვით პოლონეთში ფუნქციონერებდა 600-ზე მეტი ბიზნეს-აქტიური და ინოვაციური ცენტრი, მათ რიცხვში იყო:

- 79 ტექნოპარკი;
- 41 ინკუბატორი (ტექნოლოგიური ინკუბატორი, პრეინკუბატორი, აკადემიური ბიზნესინკუბატორი, ბიზნესინკუბატორი);
- 219 ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი - საკუთარ ფინანსირებას უკავშირებს მხარდამჭერ სტრუქტურებს (საწყისი ფონდები, ბიზნესანგელოზების ქსელები, ადგილობრივი და რეგიონული საკრედიტო ფონდები და საკრედიტო გარანტიების ფონდები);
- 268 ინოვაციური, სასწავლო და კონსალტინგური ცენტრი.

პარკები უმეტესობა განლაგებულია ველკოპოლსკის (Wielkopolskie) ვოევოდსტვოში, სილეზიის (Slaskie) ვოევოდსტვოში და ქვემოსილეზიურ (Dolnoslaskie) ვოევოდსტვოში. ტექნოპარკების 1/3 ფუნქციონირებს დიდ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 300 ათ-დან 800 ათ-მდეა.

პოლონეთის ყველაზე მსხვილი ტექნოპარკები:

- Jagiellonian Center of Innovation (Krakow) - იაგელონის ინოვაციების ცენტრი (კრაკოვი);
- Bionanopark (Łódź);
- Lower Silesian Technology Park T-Park - ქვემო სილეზიის ტექნოლოგიური პარკი თ-პარკი (გასართობი პარკი);
- Pomeranian Science and Technology Park (Gdynia) - პონამერანის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი (გდინია);
- Poznan Science and Technology Park (Poznań) - პოზნანის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი (პოზნანი);

- Startup Hub Poland (Warsaw);
- Szczeciński Park Naukowo-Technologiczny (Szczecin) - შხეცინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი (შხეცინი);
- Wrocławski Park Technologiczny (Wrocław) - ვროცლავის ტექნოლოგიური პარკი (ვროცლავი);
- Białystok Science and Technology Park - ბელოსტოკის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი (ბელოსტოკი).

პოლონეთში ტექნოპარკების სტრუქტურა ბრიტანეთისას წააგავს. პოლონეთისათვის ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა პარტნიორების ჯგუფის (უნივერსიტეტები, ბანკები და საწარმოო კომპანიები) მიერ შექმნილი, მაგალითად, ვროცლავის ტექნოლოგიური პარკი - სააქციო საზოგადოებაა, რომლის დამფუძნებლებია ვროცლავის 3 წამყვანი უნივერსიტეტი, კომერციული ბანკი და სამრეწველო კომპანიები, ანუ ვროცლავის პარკი მუშაობს ასე: უნივერსიტეტის თანამშრომლები ქმნიან ფირმას, ბანკი აფინანსებს მის საქმიანობას, ხოლო სამეცნიერო დამუშავებების რეალიზაციას ტექნოპარკში ახორციელებენ კომერციული ორგანიზაციები.

2011 წელს შეიქმნა ეროვნული სამეცნიერო ცენტრი - განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც გასცემს გრანტებს 3 მიმართულებით: ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებანი; მეცნიერება სიცოცხლის შესახებ; ფიზიკური და საინჟინრო მეცნიერებანი. ცენტრი აფინანსებს სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით (ზენაციონალურ ფონდებსა და ევროკავშირის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით) და გასცემს გრანტებს 10 ტიპის პროგრამის მიხედვით.

ზოგადად, რეფორმები განათლების და მეცნიერების დარგში მიმართულია იმისკენ, რომ მოხდეს პოლონური სამეცნიერო-ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო სფეროს ხსენებული 3 ფორმატის შეცვლა, ოღონდ იმ პირობით, რომ თითოეულ მათგანს დარჩეს საკუთარი ფუნქცია.

პოლონეთის სამეცნიერო-ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო სფეროს აღნიშნული სექტორები მოქმედებს საკუთარი ფუნქციების მიხედვით, ეროვნული სამეცნიერო ცენტრი ხელს უწყობს ინდივიდუალურ კვლევებს (საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობიდან საკუთარი სამეცნიერო პროექტის დახმარების

ორგანიზებამდე). ქვეყნების და დამუშავებათა ეროვნული ცენტრი მიზანმიმართულია ძირითადად იმ პროგრამების განხორციელებაზე, რომლებიც დაკავშირებულია გამოყენებით კვლევებსა და სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციასთან. მეცნიერების და უმაღლესი განათლების სამინისტრო, ზოგადსაკანონმდებლო რეფორმების გარდა, დაკავებულია სამეცნიერო ინფრასტრუქტურის პრობლემებითაც. ასე რომ, სახელმწიფო მეცნიერებთან შუამავლის დახმარებით ურთიერთობს, მაშინ, როცა სამინისტრო წარადგენს სტრატეგიულ კოორდინატორს, მეცნიერების ინფრასტრუქტურაში მსხვილ ინვესტორს და ოდნავ ნაკლები დონით, სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების რეალიზატორს.

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის როლი პირველ რიგში განიხილება, როგორც მაღალკვალიფიციური კადრების რეზერვი (მათ აუკრძალეს ერთდროულად სხვადასხვა ადგილას მუშაობა), ასევე მის ფუნქციაშია, სისტემაში შემავალი სამეცნიერო ინსტიტუტების უმეტესობა (დღეს 69-აა) გადააქციოს უფრო ბაზარზე ორიენტირებულად, რომლებიც ან დაექვემდებარებიან რეფორმას და შეუერთებიან, ან იქნებიან ლიკვიდირებული.

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად დამუშავებისა და ინოვაციების დარგში პოლონეთის წინაშე მდგარი პრობლემებისა, საერთო-ევროპულ სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროში ჩართულობა მას ეხმარება ეროვნული ინოვაციური პროექტების რეალიზაციაში. ევროკავშირი აძლევს პოლონეთს ინოვაციური სფეროს იმ ინსტიტუციურ (ნაწილობრივ ფინანსურ) კარკასს, რომელიც ეხმარება მას, გახდეს საერთო-ევროპული ცოდნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი (მაგ., 2014-2020 წლებში პოლონეთმა ეკ-სგან უნდა მიიღოს 82,5 მლრდ ევრო). ევროპულმა კომისიამ წარმოადგინა უმაღლესი განათლების და მეცნიერების სისტემის შედეგები. მოხსენებაში მითითებულია პოლონური კვლევითი და ინოვაციური სისტემის ეფექტურობის ამაღლების ძირითადი რეკომენდაციები. კვლევა შეუკვეთა პოლონეთის მთავრობამ და იგი ჩატარდა 2017 წლის იანვრიდან სექტემბრამდე ექსპერტების დამოუკიდებელი ჯგუფის მიერ (მონაწილეობდა 2 ავსტრიელი ექსპერტი). კვლევა შედგა ფონდ „Horison 2020“ ფარგლებში. ექსპერტული კვლევების მონაცემებით, პოლონეთი აგრძელებს გადასვლას ღია და კონკურენტუნარიან ეკონომიკაზე ევრო-

პული მასშტაბით თავისი პოზიციების, როგორც ცოდნაზე და მყარებული ეკონომიკის, განმტკიცების მიზნით.

მიუხედავად მეცნიერების და განათლების გარდაქმნის მიზნით პოლონეთში გატარებული ღონისძიებებისა, მისი მუშაობის შედეგები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ამიტომ მთავრობამ დაისახა რეფორმების ახალი სისტემა, რომელთა რეალიზაციისთვის აუცილებელია ორიოდ ათეული წლის უწყვეტი და თანამიმდევრული ძალისხმევა.

ექსპერტული კვლევის 7 ძირითადი პუნქტი:

1. უნდა განვითარდეს უმაღლესი განათლების და მეცნიერების ძლიერი სისტემა კარგად დამუშავებული კონსოლიდაციის პროცესის მეშვეობით, უმაღლესი განათლების ბინალური სისტემის შექმნის მიზნით, ძალიან სანდო უნივერსიტეტების გამოყენებითი სექტორებით. უნდა შემცირდეს კვლევითი პოტენციალის განადგურება პოლონური კვლევის ინსტიტუტებში, უნივერსიტეტებში, საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და პოლონურ მენციერებათა აკადემიაში კვლევით უნივერსიტეტებში კარგად ფუნქციონირებადი საზოგადოებრივი კვლევითი და აკადემიური ქვეგანყოფილებების ჩართვის გზით.

2. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეფექტური მართვა და რეგულირება, ასევე პროფესიული ლიდერობა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მათი პროფილის შესაბამისად.

3. უნდა დაინერგოს უმაღლესი განათლების, მეცნიერების და ინოვაციების სისტემისათვის ინვესტირების მიზანი და უმაღლესი სასწავლებლების ბიუჯეტირების მრავალწლიანი სახელმწიფო სისტემა.

4. უნდა გაიზარდოს უმაღლესი განათლების, მეცნიერების და ინოვაციური სისტემის ხარისხი დოქტორანტურის და კარიერის სისტემის ძირეული რეფორმირებით.

5. უნდა გააქტიურდეს შეფასების მეთოდების დამუშავება და მიღება უმაღლესი განათლების და მეცნიერების დივერსიფიცირებული სისტემის მხარდაჭერის მიზნით. იგი უნდა ეყრდნობოდეს უმაღლესი განათლების და მეცნიერების ხარისხის უზრუნველყოფის და შეფასების გამჭვირვალე და ეფექტურ სისტემას, რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: გამარტივდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არქიტექტურა; სისტემა იქნეს მიყვა-

ნილი ხარისხის ამადლების და სახელმწიფო კონტროლის შემცირების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, გაძლიერდეს გამჭვირვალობა.

6. უნდა შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციის ფართომასშტაბიანი სტრატეგია პოლონეთისათვის, სადაც გადმოცემული უნდა იყოს ზუსტი ორიენტირები და მოქმედებები პოლონური მეცნიერების და ინოვაციების ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად.

პოლონეთში კლასტერიზაცია ძალიან სწრაფად პროგრესირებს, კლასტერების ინვენტარიზაციის შესახებ წარმოების განვითარების პოლონური სააგენტოს (PARP) მიერ 2017 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულია 134 კლასტერის აქტიური საქმიანობისა და 106 კლასტერის არცთუ მთლად დამაკმაყოფილებელი საქმიანობის შესახებ. მათ უწოდებენ „კლასტერულ ინიციატივას“, რომლებიც მალე გადაიქცევა კლასტერებად. ყველა ის კლასტერი, რომელმაც ტესტირება გაიარა, შექმნილია 2003-2015 წწ. პერიოდში, აქედან უმეტესობა (60%-ზე მეტი) ახალგაზრდა კლასტერებია, ანუ ისინი, რომლებიც 2011-2015 წლებში შეიქმნა. ყველაზე ძველი კლასტერები უკვე 12 წელია ფუნქციონირებენ, საშუალო ასაკი კი 4 წელია. მათი 48% შეიქმნა 4 ყველაზე განვითარებულ რეგიონში: მაზოვშე (13), ქვემო სილეზია (11), ველიკოპოლსკოე ვოევოდსტვო (12) და სილეზიის ვოევოდსტვო (28). ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებულია 31 კლასტერი. პოდლიასკის ვოევოდსტვოში არის 8, ლუბლინში - 11 და პოდკარპატიის ვოევოდსტვოში - 12.

134 პოლონური კლასტერის საწარმოებში მუშაობს 6000-მდე ადამიანი (საშუალოდ კლასტერში 44 ადამიანია), 4000-ზე მეტი საწარმო მიკრო- და საშუალო ზომისაა. მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის კლასტერის წევრთა საერთო რაოდენობის 75%. კლასტერები წარმოადგენს ეკონომიკის სხვადასხვა სპეციალიზაციის 22 სექტორს, მათი უმეტესობა შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების, ენერგეტიკის და ენერჯის აღდგენითი წყაროების, მშენებლობის, ასევე მედიცინის და ტურიზმის სექტორებში. ასევე კლასტერების მნიშვნელოვანი რაოდენობა არსებობს ბიზნესმომსახურების, მეტალურგიის და ტექნოლოგიური წარმოების დარგებში. კვლევამ აჩვენა, რომ კლასტერებმა ბოლო 3 წლის მანძილზე რეალიზება გაუკეთეს 658 პროექტს, ამათგან ზოგიერ-

თი საერთოა, ზოგიც განხორციელდა მხოლოდ ცალკეული წევრების მიერ. კლასტერების 61% არ ახდენს პროექტების რეალიზაციას, ხოლო 76% არ არის გაერთიანებული ქსელში. ეს მიუთითებს როგორც კლასტერს შიგნით, ისე ერთმანეთთან თანამშრომლობის სისუტეზე, აგრეთვე კოორდინატორების არასაკმარის აქტივობაზე. ნაწილი აჩვენებს, რომ კლასტერები საკმაოდ სუსტად გეგმავენ ჭკვიანი სტრატეგიის განვითარებას, მათგან მხოლოდ 69%-ს გააჩნია დოკუმენტურად გაფორმული სტრატეგია. საერთაშორისო საქმიანობის შეფასებისას 47%-მა განაცხადა უცხოურ კლასტერებთან თანამშრომლობის შესახებ, 29%-მა მიუთითა თავისი მონაწილეობის შესახებ საერთაშორისო ქსელებში, ასოციაციებში ან პროფესიულ ორგანიზაციებში.

პოლონეთში კლასტერული პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის აქტივობა და პოლონური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა თანამშრომლობის იდენტიფიკაციის, კლასტერების შიგნით ცოდნის ნაკადების ზრდის, სტრატეგიული ეკონომიკური სპეციალიზაციის განვითარების საფუძველზე. პოლონეთში კლასტერული პოლიტიკა ხორციელდება ორი მიმართულებით. ფართო გაგებით, საუბარია განვითარების პოლიტიკის შესახებ კლასტერების საფუძველზე. ვიწრო გაგებით კი კლასტერული პოლიტიკა ვარაუდობს ინტეგრაციას, განსაკუთრებული მნიშვნელობის და პოტენციალის მქონე კლასტერების საზოგადოების მხარდაჭერას ქვეყნის ცენტრალური და კონკრეტული რეგიონების (რეგიონული) კონკურენტუნარიანი პოლიტიკის ფორმირებისათვის.

მეწარმეობის განვითარების პოლონურმა სააგენტომ (PARP) უცხოელ ექსპერტებსა და ეკონომიკის სამინისტროსთან თანამშრომლობით რიგი ღონისძიებები გაატარა კლასტერული ანალიზის, მაჩვენებლების, კლასტერების არჩევის პროცედურების განსაზღვრის მეთოდოლოგიური სტანდარტიზაციის მხრივ. შეფასების კრიტერიუმებს ამუშავებს განვითარების სამინისტროსთან არსებული კლასტერების შეფასების კომიტეტი, რომელიც ითვალისწინებს კლასტერის ზომას და სტრუქტურას (კომპანიების რაოდენობა), დასაქმებას, სპეციალიზაციას, კლასტერის R&D, ინოვაციურობას, კლასტერის შემადგენლობაში უცხოურ ბაზრებზე გასული კომპანიების არსებობას, კლასტერის ეროვნულ და საერ-

თაშორისო ხასიათს. კონკურენციის შედეგად არჩეულია 7 კლასტერი, რომელთაც გააჩნია ეროვნულის სტატუსი. ესენია: „საავიაციო ველი“, „პოლონური ალუმინი“, „Mazowiecki Klaster“ (IOT), „Interizon“ (ICT), „Wschodni Klaster Budowlany“ (მშენებლობაში), Klaster Obrobki Metali (მეტალგადამამუშავებელი), Zachodniopomorski Klaster Chemiczny „Zielona Chemia“ (ქიმიაში). ეროვნული კლასტერების ფორმირების კონცეფცია დაკავშირებულია სტრატეგია „ევროპა-2020“-თან და პასუხობს „ჭკვიანი სპეციალიზაციების“ (სმარტ-სპეციალიზაციების) ევროპული კომისიის კონცეფციას, რომელიც ძალისხმევას და რესურსებს მიმართავს კონკრეტული პრიორიტეტებისაკენ. ძლიერი კლასტერები ქმნიან ეკონომიკური სპეციალიზაციის საფუძველს, რადგან ისინი, როგორც წესი, ეყრდნობიან რეგიონებში არსებული R&D სექტორების კომპანიებს, თანამშრომლობას უნივერსიტეტებსა და ბიზნესგარემოსთან, რომლებსაც შეუძლიათ მიაღწიონ მაღალი კონკურენტუნარიანობის დონეს გლობალური მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.thenews.pl>
2. <https://immigrant.today/article/12173-jagellonskij-universitet-v-krakove-popal-v-spisok-naibolee-innovacionnykh-vuzov-v-evrope.htm>
3. <https://cyberleninka.ru/article/n/reformirovanie-natsionalnyh-sistem-nauki-i-obrazovaniya-vostochnoevropeyskiy-opyt>
4. <https://mojaedukacja.com/ru/vyja-osvita-polshi>
5. <https://mojaedukacja.com/ru/universytety>
6. Peer Review of the Polish Research and Innovation System. Horizon 2020 Policy Support Facility. March 2017.

Nata Davlasheridze

INNOVATION SYSTEM OF POLAND

Summary

In the work the innovation system of Poland is considered. It is marked that 28 years (1989) later after transition to market economy and 13 years after association to the European Union (2004), Poland is recognized as one of the most successful examples of economic changes in the region and remains sam-

ple for the postcommunist countries, including Georgia that emphasizes the relevance of a research. So far, after the reforms undertaken in the country, in Poland there is a stable and effective system of the organization of science in which three basic sectors are selected: The Polish academy of Sciences, the System of the higher education (the universities and colleges - this sector includes Academy of knowledge) and also research institutes (a part of which is associated with the PAS).

Important aspect for economy of Poland is integration of the scientific and technical sphere into supranational projects of the EU - the program for the creation of a network of technological parks and centers of a transfer of technologies. In Poland there are more than 600 business - active and innovative centers, 134 clusters and 106 cluster initiatives which soon will become clusters.

გიორგი ბრეგვაძე

ბელგიის ინოვაციური სისტემა

ბელგია ეს არის პატარა სახელმწიფო, რომელიც მდებარეობს ევროპის ჩრდილო-დასავლეთით. დედაქალაქი ბრიუსელი. ადმინისტრაციული მოწყობის ფორმა ფედერაციული. 2014 წლის მონაცემებით, ცხოვრობდა 11,108,638 ადამიანი. ოფიციალური ენებია ნიდერლანდური, ფრანგული და გერმანული. ბელგია განთქმულია კარგად განვითარებული ეკონომიკით და ხარისხიანი პროდუქციის წარმოებით. ეს ქვეყანა წარმოადგენს ერთგვარ გზაჯვარედინს ისეთ ქვეყნებს შორის, როგორცაა საფრანგეთი, ინგლისი, ჰოლანდია და გერმანია. აქ ბრწყინვალედ არის განვითარებული სატრანსპორტო ქსელი. ანტვერპენი ქალაქი, რომელიც ჩრდილოეთით მდებარეობს, ალმასებით ვაჭრობის მსოფლიო ცენტრია. საუკუნეების მანძილზე ფლანდრიას (ჩრდილოეთ ბელგია) საერთაშორისო ბიზნესზე ეჭირა კურსი. ეს ყველაფერი დიდ ასპარეზს აძლევს ბელგიის უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, გაიარონ სტაჟირება ან დასაქმდნენ საერთაშორისო კომპანიებსა და ორგანიზაციებში, რომელთა სათავე ოფისებიც ბრიუსელში მდებარეობს.

ბელგიის განათლების სისტემას განსაზღვრავს ფრანგული და ფლანდრიული სათვისტომოები. ძირითადი სტრუქტურულ-ორგანიზაციული პარამეტრები მათ ერთნაირი აქვთ, თუმცა განსხვავ-

ვება არის ტერმინოლოგიაში. მაგ., პირველ შემთხვევაში დასახელებები იწერება ფრანგულად, ხოლო მეორეში – ფლანდრიულად.

ბელგიის განათლების სისტემის სტრუქტურა ასეთია: დაწყებითი განათლების სწავლების ვადაა 6 წელი და იწყება 6 წლის ასაკიდან. საშუალო განათლება ოთხიდან ექვს წლამდე მოიცავს სამ საფეხურს, თითოეულზე 2 წელი სწავლებით. პირველი ოთხი წელი სწავლა სავალდებულოა. პირველ და მეორე საფეხურზე ისწავლება ზოგადი კურსი ან სპეციალიზებული საგნები. უმაღლესი განათლება ცნობილია მაღალი ხასისხის სწავლებით. სწავლების პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეცნიერო კვლევებთან.

ბელგიაში 2004-2005 წლებში უნიფიცირებული სწავლის სისტემა იქნა შემოღებული უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო ბაკალავრ-მაგისტრის ხასისსს.

გარკვეულ სახელმწიფო პოსტებზე სამუშაოდ ანდა ზოგიერთი სპეციალობების მიხედვით, სამუშაოდ (ადვოკატი, ექიმი და სხვა) მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნით აუცილებელია საუნივერსიტეტო დიპლომის ქონა. სწავლების პროგრამა უნივერსიტეტში მოიცავს შემდეგ ეტაპებს.

საბაკალავრო - კანდიდატს შეესაბამება ბაკალავრის დიპლომი. სწავლების ვადა 2 წელი. სტუდენტები სწავლობენ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს და გადიან ზოგად ტექნიკურ მომზადებას

ძირითადი „ლეცენტანტი“ შეესაბამება მაგისტრის დიპლომს. მოცემული ხასისხის მიღება შესაძლებელია კიდევ ორი ან სამი წლის სწავლებით სპეციალიზაციის მიხედვით და სამეცნიერო ნაშრომის დაწერით. ზოგიერთ დისციპლინებში შეიძლება საჭირო იყოს უკვე ხანგრძლივი დროით სწავლება.

„დამატებით“ დოქტორი ეს ხარისხი შეიძლება მიენიჭოს მინიმუმ ერთი წლის შემდეგ „ლიცენტანტის“ წოდების მიღებიდან და მოეთხოვება დისერტაციის დაწერა.

„უმაღლესი აგრეჟე“ ენიჭება 2 წლის შემდეგ დოქტორის წოდების მიღებიდან.

ბელგიაში მოქმედებს 8 უნივერსიტეტი. ნაწილი უმაღლესი სასწავლებლებისა არის სახელმწიფო ან „ოფიციალური“, რო-

მელთა დაფინანსებაც ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ. ბელგიაში ასევე ფუნქციონირებს კერძო პირების ან ორგანიზაციების მიერ დაარსებული უმაღლესი სასწავლებლები, რომლებსაც უწოდებენ „თავისუფალ“ ან „დამოუკიდებელ“ სასწავლებლებს. სახელმწიფო სასწავლებლები სთავაზობენ ჰუმანიტარულ ან საბუნებისმეტყველო უმაღლეს განათლებას, არასახელმწიფო კი, ამასთან ერთად, სპეციალურ (პროფესიულ) მიმართულებას სთავაზობს. ასევე არსებობს რელიგიური ორიენტაციის კათოლიკური უნივერსიტეტები.

მეცნიერებისა და განათლების სისტემა ბელგიაში ორიენტირებულია საუნივერსიტეტო ცენტრებზე, სახელმწიფო უწყებებსა და სამრეწველო-საფინანსო კომპანიებს შორის ეფექტურ თანამშრომლობაზე. შექმნილია სპეციალიზებული საზოგადოება. მაგ., მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მხარდაჭერის ინსტიტუტი, რომლის საქმიანობაც ფინანსდება ეკონომიკის სამინისტროს მიერ. დაფინანსების მხარდაჭერის უდიდესი ნაწილი მოდის ქიმია-ფარმაცევტულ მრეწველობაზე, ელექტრონიკაზე და აგრეთვე მეტალურგიაზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შეღავათიან დაკრედიტებას (დაახ. 80-90% მთელი თანხისა) საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების წარმოებისას. შემდგომში ფართოდ გამოიყენება არსებულ საგადასახადო შეღავათები.

საუნივერსიტეტო კვლევების მხარდაჭერისათვის შექმნილია ეროვნული ფონდი. განსაკუთრებით აქტიურია ანტვერპენის უნივერსიტეტთან არსებული კვლევების განვითარების ცენტრი. მათ მიერ იქნა შემუშავებული ეროვნული ეკონომიკის ახალი სპეციალიზაციის მოდელი. ასევე განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს საუნივერსიტეტო ცენტრების ჯგუფებმა ახალი ენერგეტიკული პროგრამის შემუშავებაში (ქვანახშირიდან ენერგეტიკის სხვა წყაროებზე გადასვლა), ასევე შემუშავებულ იქნა პროგრამა ბელგიის საზღვაო პორტებისა და საზღვა ნაპირის უფრო ეფექტური გამოყენების შესახებ (ერთიანი საპორტო კომპლექსის შექმნა ანტვერპენი-განტი-ზებიუგე)

ბელგიის მეცნიერებისა და განათლების წარმატებაში დიდი როლს თამაშობს ისეთი სამი მსოფლიო ცნობილი უნივერსიტეტი,

როგორცაა ლუენის (ყველაზე ძველი ბელგიაში, დაარსდა 1426 წ.), ლიუვის და ბრიუსელის.

ბელგიის ინოვაციური სისტემის განვითარების წარმატების მთავარი ფაქტორი გახდა ბალანსირებული რეგიონალური ინოვაციური პოლიტიკა და ფედერალურ დონეზე კარგად მოფიქრებული ინოვაციური საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის სისტემა. განვიხილოთ ინოვაციური საქმიანობის სტიმულების მთავარი სახელმწიფოებრივი ბერკეტები:

1. უმაღლესი დონის ჯგუფი 3% (High Level Group 3%, Hout Conseil 3%). ეს ჯგუფი შედგება მეწარმეებისაგან, მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების წევრებისაგან. ამ ჯგუფის მთავარი მიზანია ფედერალურ დონეზე ინოვაციური მხარდაჭერა (ფლანდრია)

2. კანონი ინოვაციების შესახებ. კანონის მიხედვით, ბიუჯეტური სახსრები (დაახ. 150 მლნ ევრო) ტექნოლოგიების ტრანსფერებისთვის მოიხილება უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშუალებით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები გათვალისწინებულია ასევე სამეცნიერო-ტექნიკური და გამოყენებების შედეგების დანერგვისთვის წარმოებაში. შედეგად, იმ საწარმოების წილი, რომლებიც ახორციელებენ ტექნოლოგიურ ინოვაციებს, მთელი საწარმოებიდან შეადგენს 60%

3. ინოვაციური პოლიტიკის გატარების სტიმულირების მიზნით კომპანიებსა და სამეცნიერო ცენტრებს გამოეყოფათ უპროცენტო კრედიტები და სუბსიდიები, რომელთა ფინანსების ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 25%. ტექნოლოგიების განვითარებაზე საგანგებო ყურადღებასთან ერთად, ტრანსფერების გამოყოფა ხდება ფუნდამენტურ კვლევებზე.

4. ბელგიაში არ არსებობს სპეციალური რეგულაციები ტექნოლოგიების საქმიანობისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანი ეფექტურად საქმიანობს (მოღვაწეობს).

5. საგადასახადო შეღავათები. ბელგიის მთავრობამ მიიღო მთელი რიგი საგადასახადო შეღავათები ინოვაციური კვლევების სტიმულირების მიზნით. ეს შეღავათები გათვალისწინებულია იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ინვესტირებას ნიჭიერ ინოვატორებში.

ეს შეღავათებია: ნაწილობრივი გათავისუფლება მეცნიერ-მკვლევარების საშემოსავლო გადასახადებისაგან.

პატენტის შემოსავლიდან გამოქვითვები. ეს ფაქტობრივად იძლევა მაქსიმალურ გარანტირებულ საგადასახადო ფსონს 6,8%. ყველა ბელგიურ კომპანიას და ბელგიის კომპანიების უცხოურ წარმომადგენლობას აქვთ უფლება, ისარგებლოს ამ შეღავათებით. უცხოელი ინვესტორებისათვის ეს მაქანიზმი ძალზე მიმზიდველია.

ექსპერიმენტების საგადასახადო სტიმული. ეს სტიმული ეხმარება კომპანიებს, საუკეთესო უცხოელი მკვლევარები მოიზიდონ ბელგიაში. ეს კიდევ ამცირებს კომპანიის სოციალურ გადასახადებს უცხოელ თანამშრომლებზე.

ბელგიაში სპეციალურ ზონებში კომპანიები არიან განთავისუფლებული აქციზური გადასახადებისგან. ასევე მოქმედებს საფრანგეთის და გერმანიის მსგავსი ზოგიერთი საგადასახადო შეღავათები გარკვეულ ზონებში რაც დამატებითი სტიმულია უცხოელი ინვესტორებისათვის.

ბელგიაში ინოვაციური განვითარების ძირითადი ტენდენცია გამოიხატება რეგიონებზე დიდი მოცულობის უფლებების გადაცემაში. რეგიონული ინოვაციური სტრატეგიის განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს შემდეგში: შექმნილია ბიზნესისა და ინოვაციის, რეგიონული კლასტერი რეგიონული ცენტრი, რომელთაგან თითოეული უნდა მოემსახუროს 20 ახალ საწარმოს. ამის მაგალითია ბიზნესისა და ინოვაციის ცენტრი “Innotek” ანტვერპენის პროვიციაში (ფლანდრა) ამ ცენტრის შექმნის მიზანია, სტიმულირება გაუწიოს განვითარებას. ცენტრის ნომინალურ წევრებს წარმოადგენენ მსხვილი საწარმოები, სამეცნიერო კვლევითი ცენტრები და ინსტიტუტები, სამთავრობო სტრუქტურები, საზოგადოებრივი კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები, კემპენის უნივერსიტეტი.

„Innotek“ არის ევროპული ქსელის წევრი, რომელშიც შედის 160 ინოვაციის და ბიზნესის ცენტრი (Bic, Ebn’Europen Busines Network) ეს საშუალებას იძლევა, შეინარჩუნებულ იქნეს შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხი, ჰქონდეთ ფართო კონტაქტები სხვა ევროპული ქვეყნების ტექნოლოგიების ტრანსფერების შესასრულებლად ინფორმაციის გაცვლისთვის, მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის საერთაშორისო პროექტებში.

ეს ცენტრი დაკავებულია უახლესი ინოვაციური პროექტების დანერგვით, იძლევა ახალი გამოგონებების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებებს, ეხმარება საწარმოებს პარტნიორების მოძიებაში. მაგალითად “Innotek” ახორციელებს ისეთ პროექტებს, როგორცაა ენერგეტიკის ახალი წყაროების დანერგვა მშენებლობაში (შენობა მზის ენერჯის წყაროს გამოყენებით), გამაფრთხილებელი და სასიგნალო სისტემები, ციფრული ტელევიზია და სხვა. ძირითადი მეცნიერული კვლევები ამ ცენტრში ხორციელდება კემპენის უნივერსიტეტის მიერ. წინა პლანზეა წამოწეული კვლევები გამოყენებით სფეროებში. გამოყოფილია 10 მიმართულება: ენერგორესურსების მართვა, ეკოლოგია, გარემოს დაცვა, ბიომედიცინა, კვების მრეწველობა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სოციალური უზრუნველყოფა და მისი ეკონომიკური ასპექტები, გერონტოლოგია და სხვა. მთელი მეცნიერული კვლევები თავმოყრილია იმ პროექტის ირგვლივ, რომლებიც იღებენ დაფინანსებებს სპეციალიზებული სახელმწიფო ფონდებიდან (მათ შორის ევროკავშირიდან) ან ბიზნესსტრუქტურებიდან (მათ შორის მსხვილი სამრეწველო საწარმოებიდან), რომლებიც დაინტერესებული არიან ინოვაციებით.

ბელგიის ყველა ინოვაციური სტრუქტურა, ინოვაციისა და ბიზნესის ცენტრის ჩათვლით, მიეკუთვნება წარმოებაზე ორიენტირებულ სტრუქტურებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ბრეგვაძე, ბელგიის ინოვაციური პოლიტიკა, პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი. სამეცნიერო შრომების კრებული, 18, 2016, გვ. 102.
2. Глобальная трансформация инновационных систем. И.И Иванови М. Имено РАН. 2010.
3. Инновационная система: сущность и содержание. Е.Б Маргунов, Г.Б Снегиров. Собственность и рынок 2004. №7, с. 10-21.

INNOVATION SYSTEM OF BELGIUM

Summary

The work deals with Belgium's innovative system and analyzes Belgium's science and education systems.

ქეთევან ქველაძე

იტალიის ეროვნული ინოვაციური სისტემა, განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი

ანოტაცია. ევროპაში ტერმინი „ინოვაციური სისტემა“ ფართო გაგებით ითვალისწინებს ცოდნის არა მარტო წარმოებას, არამედ გავრცელებას, ათვისებას და გამოყენებას.

იტალია შედის ე.წ. „ზომიერი“ ინოვაციური ქვეყნების რიგში, სადაც მასთან ერთად არიან: ესპანეთი, ესტონეთი, ჩეხეთი, სლოვენია და კვიპროსი.

იტალიის სტატისტიკური სამსახურის (ISTAT) მონაცემებით, ფირმების მიერ ინოვაციურ განვითარებასა და ინოვაციურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ძირითადი კონცენტრაცია თავმოყრილია შემდეგ სექტორებში: ტელეკომუნიკაციები, ქიმიკა, ფარმაცევტიკა, ტექსტილი, მეტალურგია, საავტომობილო და სატრანსპორტი სექტორები.

სტატიაში განხილულია ინოვაციური სისტემების ის ძირითადი ასპექტები და თავისებურებანი, რომელიც დამახასიათებელია იტალიის ეროვნული ინოვაციური სისტემისათვის. ავტორის მიერ შესწავლილია ეროვნული ინოვაციური სისტემის სტრუქტურა, განვითარებისა და ფუნქციონირების მოდელები. ასევე მიმოხილულია ეკონომიკის სექტორებში ინოვაციური სისტემების თავისებურებანი და სტარტაპები. ნაშრომში ვრცლადაა გაანალიზებული იტალიის განათლებისა და მეცნიერების ეროვნული ინოვაციური სისტემა, სპეციფიკურობა, სტრუქტურა და ფუნქციონირების მოდელები, მისი განვითარებისათვის შემუშავებული პროგრამები, ფონდები და კლასტერები.

* * *

XXI საუკუნის მიჯნაზე ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი გახდა სამეცნიერო ცოდნის, ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციური პროცესების, პროდუქტებისა და მომსახურებათა, ასევე ბიზნესის ორგანიზაციის ახალი ფორმების ინოვაციური სისტემა. ყველაზე ინტენსიურად ნაციონალური ინოვაციური სისტემების (ნის) ფორმირების პროცესი ხორციელდება განვითარებულ ეკონომიკებში. განვითარებად ეკონომიკაში კი ნის-ი ჯერ ფორმირების პროცესშია.

ევროპაში ტერმინი „ინოვაციური სისტემა“ ფართო გაგებით ითვალისწინებს ცოდნის არა მარტო წარმოებას, არამედ გავრცელებას, ათვისებას და გამოყენებას.

ევროკავშირის (ეკ) ნაციონალური ინოვაციური სისტემები, ერთი მხრივ წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მოდელის შემადგენელ ნაწილს, მეორე მხრივ – ინოვაციური განვითარების დარგში კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის შედეგს. გამოყოფენ ნის-ის 4 ტიპს: ფრანგული, ფინური, იტალიური, ბრიტანული. ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების საქმეში ყველაზე სასიკეთო შედეგებს აღწევენ ფრანგული და ფინური ტიპის მქონე ქვეყნები: ფინეთი, შვეცია, დანია, გერმანია; ყველაზე მოკრძალებული შედეგები აქვთ იტალიური ტიპის მიმდევრებს (ესენია ეკ-ის ახალი წევრები).

იტალია მიეკუთვნება გავითარებული ქვეყნების რიცხვს, რომელსაც ახასიათებს ფინანსური სისტემის თავისებურებები, დიდი განსხვავება ქვეყნების ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებს შორის და სხვა. იგი მიეკუთვნება ე.წ. „ევროატლანტიკური“ მოდელის ქვეყნებს. ეს არის სრული ინოვაციური ციკლის მოდელი – ინოვაციის წარმოქმნიდან მასიურ წამოებაში მის სრულ დანერგვამდე. ამ მოდელის ყველა ქვეყანაში, როგორც წესი, წარმოდგენილია ინოვაციური სისტემის სტრუქტურის ყველა კომპონენტი: ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება, კვლევები, დამუშავებები, საცდელი ნიმუშების შექმნა და მათი ჩაშვება წარმოებაში. ამ მოდელს გამოიყენებენ განვითარებული, კონკურენტუნარიანი ქვეყნები: დიდი ბრიტანეთი, გერმანია საფრანგეთი და სხვა.

იტალია არ არის პატარა ქვეყანა, მაგრამ, ამასთან, მისი წილი მსოფლიოს მშპ-ში საკმაოდ დაბალია (ვიდრე მაგ., გერმანია

(4.59%) ან საფრანგეთი (3.32%)) და ის მსოფლიო ბანკის მონაცემით 2.42%-ია. მეორე მხრივ, მისი ეკონომიკური განვითარების დონე სხვადასხვა დარგებში ძალიან განსხვავებულია. ბოლო წლებში იტალიაში დაგროვდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ინოვაციური განვითარების წილი მშპ-ში მხოლოდ ოდნავ აღემატება 1,1%-ს. ეს, რა თქმა უნდა, ართულებს თანამედროვე, ეფექტური ინოვაციური სისტემის შექმნას. ეს სირთულეები გამოწვეულია შენელებული ეკონომიკური ზრდით, ეკონომიკის ინოვაციური ნაწილის ჩამორჩენით, ინოვაციური რესურსების ნაკლებობით, რეგიონული დიფერენციაციით, არასათანადო კვალიფიციური კადრების არსებობით, მრეწველობაში მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების შედარებით ნაკლები დონით, დიდი სახელმწიფო ვალით, სახელმწიფოს მიერ ინოვაციური განვითარების ფინანსირების წილის შემცირებით და სხვა. სხვა ქვეყნებთან შედარებით (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) არა მარტო დაბალია ინვესტიციები ინოვაციური განვითარებისათვის, არამედ სუსტია საპატენტო და ლიცენზირების სისტემა. თუმცა იტალიაში არსებობს ინოვაციური სისტემა, სადაც დაგროვილია საწარმოების შიგნით ინოვაციური ცენტრების, ასევე დარგთაშორისი და საერთაშორისო კვლევითი ცენტრების შექმნის გამოცდილება. ევროკავშირის ქვეყნები თავის მხრივ ჩამორჩებიან აშშ-ს და იაპონიას (2013 წელს 2.73% აშშ-ში; 2.47% იაპონიაში და 1.28% ევროკავშირში). თავისი მაჩვენებლებით იტალია შედის ეკ-ის „ზომიერი“ ინოვაციების ქვეყანათა ჯგუფში ესპანეთთან, ესტონეთთან, ჩეხეთთან, სლოვენიასა და კვიპროსთან ერთად.

ბოლო 3-5 წლის განმავლობაში იტალიის, ისევე, როგორც ევროკავშირის სხვა წევრი-ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკა და მათგან მოწინავე ქვეყნების ეროვნული ინოვაციების სისტემები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ეს გამოწვეულია არა მარტო გლობალური ფინანსურ-ეკოლოგიური კრიზისით, არამედ იმით, რომ შეიმჩნევა ახალი სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო რევოლუციის ნიშნები, რაც დაკავშირებულია უახლესი ტექნოლოგიების: ნანო-, ბიო-, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო და კოგნიტიურ (ინტელექტუალურ) ტექნოლოგიებთან, რომლებსაც NBIC-ტექნოლოგიების სახელი ეწოდათ. ამ პერიოდს კი NBIC რევოლუციის პერიოდს უწოდებენ. თუ აქამდე ისეთი ქვეყნების,

როგორცაა საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ინოვაციური სისტემები ეყრდნობოდა მხოლოდ ინოვაციური ეკონომიკის შექმნას, ბოლო სიახლეების გათვალისწინებით თანდათან ევროპის ქვეყნების ინოვაციური სისტემების შემუშავებისადმი მიდგომები შეიცვალა და ბოლო პერიოდისათვის ის მიმდინარეობს ეროვნული ინოვაციური სისტემების ერთობლივ ინოვაციურ სისტემებად გადაქცევის პროცესით ევროკავშირის ფარგლებში. ასევე აღსანიშნავია ზემოსხენებული დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეროვნულ ინოვაციათა სისტემებში „სამმაგი სპირალის“ ჩართვის ტენდენცია. ხელშეკრულების მონაწილეები ასრულებენ ურთიერთდანიამატის ფუნქციას სამეცნიერო-კვლევითი წარმოებისა და შედეგების კომერციალიზაციის პროცესში. ასეთ ხელშეკრულებებს უწოდებენ სტრატეგიულ ან სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ალიანსს (სტა). თუ ალიანსის რომელიმე პარტნიორი უცხოეთიდანაა, მაშინ იგი ხდება საერთაშორისო. ალიანსის ყოველ მონაწილეს შეაქვს თავისი წილი მის ხელთ არსებული ინტელექტუალური ან მატერიალური რესურსების სახით. შედეგების მიღების შემდეგ კი, არსებული მოლაპარაკების შესაბამისად იღებს ინტელექტუალური ქონების გარკვეულ წილს. სტა-ბის შექმნის სურვილს უფრო მეტად გამოხატავენ მცირე და საშუალო კომპანიები, რომელთაც არ გააჩნიათ დიდი ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობები, კვალიფიციური კადრები, ძვირადღირებული მოწყობილობები. ისინი ხელშეკრულებას აფორმებენ ერთმანეთს შორის ან მსხვილ ფირმებთან.

იტალიის სტატისტიკური სამსახურის (ISTAT) მონაცემებით ფირმების მიერ ინოვაციურ განვითარებასა და ინოვაციურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ძირითადი კონცენტრაცია თავმოყრილია შემდეგ სექტორებში: ტელეკომუნიკაციები, ქიმია, ფარმაცევტიკა, ტექსტილი, მეტალურგია, საავტომობილო და სატრანსპორტი სექტორები (მაგ., ყველაზე დიდი მიღწევები ბოლო წლებში აქვს მეტალურგიას, მედიცინა (ISMETT) - იტალიაში, პალერმოში ჩატარდა ოპერაცია, რომლის მართვასაც რობოტი ახორციელებდა; ფარმაცევტიკა – იტალია განუხრვლად იჩენს მისწრაფებას სიახლეებისაკენ – იოპამიდოლის წარმოება, სურფაკტანტის წარმოება (გამოიყენება თერაპიაში სასწრაფო დახმარებისათვის ჩვილებში სასუნთქვის უკმარისობისას); ქიმიური

მრეწველობა – იტალიაში არის მსოფლიოში უმსხვილესი ქიმიური კონცერნი „მონტედისონი“, რომელიც სინთეტიკურ მასალებს აწარმოებს). ზოგადად, ინოვაციები ბიზნესში იღებს დახმარებას ინოვაციური სტარტაპებისათვის ახალი ნორმატიული აქტების შემუშავებისა და ასევე მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსებთან გაადვილებული ხელმისაწვდომობის გზით. ინოვაციური სტარტაპები:

1. გათავისუფლებულნი არიან ბიზნესის შესაქმნელად გასაწვევი დანახარჯებისგან;
2. იღებენ დამატებით 12 თვეს საქმიანობის წამოსაწყებად და დანაკარგების ასანაზღაურებლად;
3. იღებენ უფრო გამარტივებულ პირობებს სახელმწიფო ფინანსირების მისაღებად;
4. იღებენ საკანონმდებლო შეღავათებს;
5. სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით.

რაც შეეხება მაღალ ტექნოლოგიებს, მიკროელექტრონიკის დარგში მეტად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მეცნიერთა პირადი ურთიერთობები. ისინი უზრუნველყოფენ მრეწველობას და მეწარმეობას მაღალსპეციალიზებული კადრებით და უზრუნველყოფენ მსხვილი ინოვაციური პროექტების რეალიზაციას სახელმწიფო და კერძო ლაბორატორიების მჭიდრო კავშირების გზით. როგორც წესი, იტალიელი მეცნიერები ერთდროულად მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში და ამიტომ აქვთ ერთმანეთთან პირადი ნაცნობობა და მჭიდრო კავშირები თავიანთ კოლეგებთან, ასპირანტებთან, სტუდენტებთან.

იტალიის რეგიონულ ინოვაციურ სისტემებში ნოუ-ჰაუს წარმოება ხშირად ორ სტადიას გადის. თავიდან ხდება ინოვაციური პროდუქტის შექმნა (ადგილობრივი ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენებით), რომელიც წარმოების გარკვეული მოცულობის მიღწევის შემდეგ ლოკალური ბაზრების დონიდან გადადის გლობალურზე. ამ დონის მიღწევის შემდეგ ამ პროდუქტის წარმოება გადადის ეკონომიკურად უფრო ეფექტურ რეგიონებში, ხოლო თვით კომპანია ხდება იტალიის ტრანსნაციონალური კომპანიის ფილიალი. ეს სცენარი ძირითადად გამოიყენება ქიმიურ და ფარმაცევტიკულ დარგებში.

იტალიაში ინოვაციური სტრატეგიის ფარგლებში დიდი ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობას. ამ კუთხით წარმატებით ფუნქციონირებენ ბიზნესინკუბატორებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პარკების ინსტიტუტი. აქ ბიზნესინკუბატორები გამოყენებულია როგორც მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმი, რომლებიც თავიანთ საქმიანობას უკავშირებენ მსხვილ კორპორაციებს ახალი კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების დარგში. იტალიური ბიზნესინკუბატორების რეზიდენტების დაახლოებით 30% ითვლება მაღალტექნოლოგიურ კომპანიად. ყველა 24 ბიზნესინკუბატორი თავისი საშტატო თანამშრომლების გარდა, სარგებლობდა უცხოელი კონსულტანტების მომსახურებით. მთლიანად ბიზნესინკუბატორები, სხვა მოწინავე ქვეყნებისაგან განსხვავებით, უფრო ნაკლებად არიან ორიენტირებული ინოვაციური განვითარებისა და სხვა მეცნიერებატევად საქმიანობაზე. დღეისათვის ბიზნესინკუბატორების 78,3% სთავაზობს მომსახურებას პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში, 78,3% - მარკეტინგულ მომსახურებას და 65,2% - რეზიდენტების პროდუქციის წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობას. ბიზნესინკუბატორების ნახევარზე მეტი იღებს სახელმწიფო სუბსიდიებს.

რამდენიმე ბიზნესინკუბატორი შეიძლება გაერთიანდეს ახალ სტრუქტურაში - ტექნოპარკში. მოწინავე ქვეყნებში ტექნოპარკი წარმოადგენს თანამშრომლობის ფორმას უნივერსიტეტებს, სამეცნიერო ცენტრებს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, სამრეწველო ორგანიზაციებს, საბანკო და კომერციულ სტრუქტურებს შორის. დღეს მსოფლიოში 500-ზე მეტი ტექნოპარკია. იტალიაში შექმნილია 23 ტექნოპარკი, აქედან 4 მათგანი (სამეცნიერო პარკი Area - ტრიესტში, სამეცნიერო პარკი RAF - მილანში, VEGA - ვენეციაში Environment park - ტურინში) აერთიანებს იტალიური ტექნოპარკის ყველა რეზიდენტის ნახევარზე მეტს. პერსონალის სიდიდის მიხედვით უმსხვილესია Tecnopolis navaccio (პიზა), Abruzzo Science Park da Pastis., აქ მუშაობს იტალიური ტექნოპარკებში დასაქმებულთა 75%. იტალიური ტექნოპარკები სთავაზობენ თავის რეზიდენტებს მომსახურების საკმაოდ ფართო სპექტრს. ტექნოპარკების დაახლოებით 18% უზრუნველყოფს თავინთი კომპანიების მხარდაჭერას ადმინისტრაციული და იურიდიული მართვის საქმე-

ში. იტალიაში ფუნქციონირებს ტექნოპარკების საერთაშორისო ასოციაციის წევრი ტექნოპარკები: ინოვაციური ტექნოლოგიების გაერთიანება (ქ. ქესენა), სამეცნიერო-ტექნოლოგიური კონსორციუმი (პულა (კალიარი)), სიცილიის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი (პალერმო), ვენეციური სამეცნიერო ტექნოპარკი ვეგა (ვენეცია (Marghera)), პადანოს ტექნოპარკი (ქ. ლოდი), INDUXIA (მილანი), გენოვას მაღალი ტექნოლოგიების პარკი (გენოვა) და სხვ. იტალიამ შეძლო მრეწველობის რიგი მოწინავე დარგების შექმნა, როგორცაა საავტომობილო, საჰაეროკოსმოსური მრეწველობა, ბიოტექნოლოგიური სექტორი, საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების წარმოება, ორიენტირებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვაზე, ენერჯის განახლებადი წყაროების და ენერჯის ეფექტიანობის განვითარება, აგრეთვე აგროინდუსტრია, ტურიზმი, ფარმაცევტიკა, ლოჯისტიკა, ინჟინერია, კვების ტექნოლოგია, სამთო და საბუნებისმეტყველო დარგების განვითარება. სწორედ ეს დარგები ფლობენ უდიდეს „მოდერნიზაციულ“ პოტენციალს იტალიაში ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარებისათვის და შეუძლიათ შეცვალონ მისი სახე მსოფლიო ეკონომიკაში.

ქვეყნის ინოვაციური სისტემის განვითარებაში იტალიის სახელმწიფოს ეფექტური როლი დიდადაა დამოკიდებული ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრაზე, როგორცაა: კომპანიებში ინოვაციების დანერგვისათვის სტიმულების გაძლიერება კონკურენტული გარემოს შექმნის გზით, ყველა პირობის შექმნა განათლების, მეცნიერების, ბიზნესის და სახელმწიფოს ეფექტური ინოვაციური ურთიერთკავშირისათვის და ა.შ.

განათლების სისტემის მდგომარეობა იტალიის განვითარების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. იტალიის კონსტიტუციის 34-ე მუხლის მიხედვით, „სკოლები ყველასთვის ღიაა. დაწყებითი განათლება, არანაკლებ რვა წლის ხანგრძლივობისა, სავალდებულოა და უფასო. ნიჭიერ და ღირსეულ მოსწავლეებს, რომლებიც მოკლებულნი არიან შესაბამის საშუალებას, სწავლის მაღალ საფეხურებზე გადასვლის უფლება აქვთ. იტალიის რესპუბლიკა ამ უფლებას უზრუნველყოფს სტიპენდიებითა და სხვადასხვა სახის დახმარებებით, რომლებიც კონკურსების გზით მოიპოვება” (Costituzione della Repubblica Italiana, Articolo 34). ამგვარად,

იტალიის საკანონმდებლო სისტემა ერთსა და იმავე დროს გულისხმობს უფლებებსაც და მოვალეობებსაც: განათლების მიღების უფლებას და სკოლაში სიარულის მოვალეობას 16 წლამდე. ამიტომ უცხოეთის არასრულწლოვან მოქალაქეებს, რომლებიც ღეგალურად თუ არაღეგალურად იმყოფებიან იტალიის ტერიტორიაზე, აქვთ უფლება, მიიღონ უფასო განათლება იმავე პირობებში, როგორშიც იტალიის მოქალაქეებს.

1999 წლიდან იტალიის უმაღლესი განათლების სისტემა სრულად იქნა რეფორმირებული ბოლონიის სისტემის შესაბამისად, რეფორმების პროცესი დღესაც გრძელდება საერთოევროპული მოთხოვნების შესაბამისად.

განათლების სისტემა იტალიაში სახელმწიფო კონტროლის ქვეშაა, იგი პირდაპირ ექვემდებარება განათლების სამინისტროს, რომელიც არა მარტო აფინანსებს ყველა დონის სკოლას, არამედ შეიმუშავებს სასწავლო პროგრამებსაც. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას: უმაღლესი სასწავლებლები, აკადემიები – მათ გააჩნიათ დამოუკიდებლობა, ისინი თვითონ ადგენენ სასწავლო პროგრამებს, თუმცა ფინანსურად ისინიც სამინისტროს ექვემდებარებიან. უმეტესობა მათგანში დადგენილია საგამოცდო დამამთავრებელი სისტემა.

განათლება იტალიაში რამდენიმე საფეხურიანია:

1. სკოლამდელი აღზრდა (La scuola Materna) – 3-6 წლის ასაკი;

2. სასკოლო განათლება:

- დაწყებითი კლასები საველდებულოა (La scuola Elementare) – 6-10 წელი; ეს არის უფასო და ყველასთვის.

- საშუალო კლასები (La scuola Media) – 11-13 წელი; ეს საფეხურიც უფასოა და საველდებულო. შესაბამისი ატესტაციის შემდეგ მოსწავლეები იღებენ უფლებას, გააგრძელონ სწავლა შემდეგ საფეხურზე.

3. საშუალო განათლება:

- უმაღლესი კლასები (La scuola Superiore) – 14-19 წელი, აქ ახალგაზრდები იღებენ პროფესიულ განათლებას. იტალიაში განსაკუთრებით პოპულარულია დიზაინის სკოლები;

- ლიცეუმი – ამზადებს მოსწავლეებს უმაღლესში და უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად. არსებობს 3 ტიპის – კლასიკური, საბუნებისმეტყველო და ლინგვისტური.

4. უმაღლესი განათლება:

- საუნივერსიტეტო ჯგუფი (კერძო, სახელმწიფო უნივერსიტეტები, უმაღლესი სასწავლებლები უცხოელებისათვის, უმაღლესი სკოლები, სატელეკომუნიკაციო უნივერსიტეტები).

- არასაუნივერსიტეტო ჯგუფი (უმაღლესი სკოლები სახვითი ხელოვნების, დიზაინის დარგში, ეროვნული აკადემია, კონსერვატორია, ქორეოგრაფიული სასწავლებლები. ასევე ინტეგრირებული სასწავლებლები ვიწრო ტექნიკური მიმართულებების, დიპლომატიის, საარქივო, სამხედრო საქმის, მთარგმნელები).

საუნივერსიტეტო ჯგუფი მოიცავს 3 ციკლს – პირველი სამეცნიერო ხარისხი – ბაკალავრი (Lourea); მეორე ხარისხი – მაგისტრატურა (Lourea Specialistica/Magistrale) და მესამე ხარისხი – დოქტორანტურის გავლით – დოქტორის ხარისხი.

იტალია ცნობილია თავისი უნივერსიტეტებით:

რომის უნივერსიტეტი – Sapienze Universita di Roma – ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტია მსოფლიოში, ითვლება ყველაზე მსხვილ უმაღლეს სასწავლებლად ევროპაში აბიტურიენტების რიცხვის მიხედვით (148,000 ყოველწლიურად), ეს არის იტალიის საუკეთესო კვლევითი ცენტრი, განსაკუთრებით არქეოლოგიის ან ანთროპოლოგიის დარგში.

მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი – Politecnico di Milano – პოპულარულია მთელ მსოფლიოში, შედის მსოფლიო Top-10-ში. მონაწილეობს პროგრამა MEDes (Master of European Design)-ში, რომელიც აერთიანებს ევროპის მოწინავე დიზაინერულ სკოლებს. ამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ უცხოურ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც. „დიზაინის“ მიმართულებით მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი იკავებს მე-7 ადგილს საერთაშორისო რეიტინგში – QS.

ბოლონიის უნივერსიტეტი – Universita di Bologna - ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ იგი დაარსდა 1088 წელს. ამ შემთხვევაში ის უძველესია მსოფლიოში და ერთ-ერთი უმსხვილესია ევროპაში. მას ცენტრალური კორპუსის გარდა გააჩნია კამპუსები იტალიის 4 ქალაქში და ერთი არგენტინაში. ბოლონიის უნივერსიტეტი ლიდერობს ბევრ სამეცნიერო დარგში, განსაკუთრებით არქეოლოგიის მიმართულებით.

მილანის უნივერსიტეტი – Università degli Studi di Milano – დაარსდა 1928 წელს, შედის ჯგუფ LERU (League of European Research Universities)-ში, რომელიც აერთიანებს კვლევით უმაღლეს სასწავლებლებს და ახორციელებს მათ ფინანსურ დახმარებას. განსაკუთრებით მოთხოვნითა პროგრამები ფარმაცევტიკისა და პოლიტოლოგიის მიმართულებით.

პადუის უნივერსიტეტი - Università degli Studi di Padova – დაარსდა 1222 წელს ბოლონიის უნივერსიტეტიდან პადუაში გადასული პროფესორების მიერ. იგი სახელგანთქმულია, როგორც პირველი „ანატომიური თეატრის“ მქონე, სადაც პირველებმა მოახდინეს ადამიანის სხეულის გაკვეთა. ამიტომ აქ დღემდე ძირითადი მიმართულებებია ანატომია და ფიზიოლოგია.

სუბსიდირების ფორმების მიხედვით იტალიური უმაღლესი სასწავლებლები იყოფა სახელმწიფო და კერძოდ.

იტალიაში სულ 89 უნივერსიტეტია, აქედან 58 სახელმწიფოა, 17 კერძო, 2 საერთაშორისო განათლების და 7 უმაღლესი სკოლა. ბოლო მონაცემებით, იტალიაში 1 800 000 სტუდენტი სწავლობს, აქედან 40 000 უცხოელია და მათ დაახლოებით 60 000 პროფესორი ასწავლის [5].

სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ღირს დაახლოებით 800 ევრო წელიწადში, კერძოებში – ორჯერ ძვირია, უცხოელებისათვის სემესტრის ღირებულება წელიწადში 1000 ევროს უდრის. კერძო სასწავლებლებში შედარებით ძვირია.

იტალიაში ყველა სტუდენტს აქვს უფლება, მიიღოს ფინანსური დახმარება სახელმწიფოსგან. საერთოდ, ფინანსური დახმარების რაოდენობა დაკავშირებულია თვითონ სტუდენტის შემოსავლების სიდიდესთან, უცხოელებისათვის არსებობს ფინანსური დახმარების სხვადასხვა პროგრამა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეროვნული ინოვაციური სისტემების ბირთვს ფაქტობრივად წარმოადგენენ უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები. მაგ., იტალიაში ეს არის ეის-ის კონცენტრაცია მსხვილი უნივერსიტეტების გარშემო, სადაც გამოიყენება ინოვაციური აქტივობის საკანონმდებლო (მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის), ფინანსური, საგადაამხდლო მეთოდები. იტალია ნერგავს ინოვაციურ სისტემებს, რომლებიც დაკავშირებულია განათლებასა და სამეცნიერო-კვლევით სამუშაო-

ოებთან (სკსს). იგი ამისათვის ხარჯავს უფრო ნაკლებს, ვიდრე მისი ზოგიერთი მეზობელი ქვეყანა (მშპ-ის 1,33% 2015 წელს, ვიდრე საფრანგეთი - 2,23%, ავსტრია - 3,07%, სლოვენია - 2,21% გერმანია - 2,88%, (მსოფლიო ბანკი)). ეს არცთუ ისე სახარბიელო მაჩვენებელია, მაგრამ ამასთან ერთად, იტალიამ ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ბოლონის პროცესის სტანდარტები, ასევე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების კრედიტირების ევროპული სისტემა.

სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების სისტემაში მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტები (65), სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (70), სახელმწიფო და ადგილობრივი ლაბორატორიები და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციები. კანონის შესაბამისად, განაცხადები სამეცნიერო კვლევების ფინანსირების შესახებ განიხილება განათლების, უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო კვლევების სამინისტროს მიერ. უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე ეს საკითხები შედის მინისტრთა საბჭოს და უწყებათა შორის კომიტეტის (CIPE) კომპეტენციაში.

აკადემიური დონის მიხედვით, იტალია, ბრიტანეთთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან ერთად, ევროპაში მეცნიერების განვითარების დონის მიხედვით მოწინავე პოზიციებზე იმყოფება. თუმცა უმაღლესი განათლების მქონე გამომგონებელთა წილი იტალიაში ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ ევროპაში და უდრის 56,7%-ს, სამეცნიერო ხარისხის მქონე გამომგონებლების წილი მხოლოდ 3,1%-ია (2012-2013); მაგალითისთვის იგივე მაჩვენებელი გერმანიაში შესაბამისად 85,3% და 35,2%-ის ტოლია.

2013 წელს განათლების, უნივერსიტეტებისა და კვლევების სამინისტრომ შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი „ჰორიზონტი - 2020: იტალია“ იტალიური სამეცნიერო კვლევების ეროვნული პროგრამების ევროპულთან შეთანხმების გზით იტალიური ნაციონალური ინოვაციური სისტემის მხარდაჭერის მიზნით. 2014 წელს სახელმწიფომ შემოიტანა კვლევების ეროვნული პროგრამა 2014-2020 წლებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა კვლევების იტალიური სისტემის გაძლიერებას სახელმწიფო-კერძო პარტნიორების სტიმულირების, მკვლევართა შრომის პირობების გაუმჯობესების გზით.

იტალიის განათლების, უნივერსიტეტების და სამეცნიერო კვლევების სამინისტრო MIUR – დაფუძნებულია 1989 წელიდან. იგი აფინანსებს: უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას შესაბამისი ნაციონალური პროექტების განხორციელების გზით იმ თანხებზე დაყრდნობით, რომლებიც აკუმულირებულია უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთობლივი ფინანსირების ფონდში (COFIN); სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებს და ასტრონომიულ ლაბორატორიებს, კერძოდ ასტრონომიის ნაციონალურ ინსტიტუტს (INAF); ნაციონალურ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებს და საერთაშორისო პროგრამებს; საბაზო კვლევების საინვესტიციო ფონდს (FIR); გამოიყენებით კვლევების ფონდს (FAR) და სპეციალურ ინტეგრაციულ სამეცნიერო-კვლევით ფონდს (FISR); სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს ქვეყნის სამხრეთ რეგიონში; სამეცნიერო კულტურის გავრცელების ფონდს. MIUR აფინანსებს არა მარტო სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებებისა და უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, არამედ კერძო მეცნიერებატვეად, ინოვაციურ ფირმებს სპეციალური ფონდების მეშვეობით. MIUR-ის ფუნქციებში შედის მთელი რიგი პოლიტიკური და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება, მაგ., უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში სამეცნიერო კვლევების მართვის პოლიტიკის დოკუმენტები და ა.შ.

წარმატებული ინოვაციური საქმიანობის გახორციელების მიზნით იტალიის მთავრობა ამუშავებს სხვადასხვა სახელმწიფო ინოვაციურ პროგრამებს, მათ შორის ინოვაციების, ზრდისა და დასაქმების პროგრამას (PICO). მასში გათვალისწინებულია 12 სტრატეგიული ინიციატივა ეის-ის რეფორმის მიზნით. ამ ძირითადი პროექტების თემატიკა მოიცავს: ჯანდაცვის, ტურიზმის და მომსახურების საინფორმაციო მობილურობის სისტემებისათვის საინფორმაციო-ტექნოლოგიური პლატფორმის დამუშავებას; სამედიცინო დიაგნოსტიკის, მზის ენერგეტიკის, ბიოტექნოლოგიების და სხვა დარგებში სამეცნიერო კვლევების ჩატარებისათვის 12 ერთობლივი სახელმწიფო-კერძო ლაბორატორიის შექმნას.

კიდევ ერთი სახელმწიფო ინოვაციური პროგრამაა ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა 2012-2014წწ. – (PNR), რომელიც არის მთავრობის პოლიტიკური დოკუმენტი. მისი რეალიზაციაც

განათლების სამისტროს ხელშია. PNR არის ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი სამთავრობო გეგმა. PNR-ის პროგრამაში ჩართულია რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ამოცანა, კერძოდ: მეცნიერებათა კანდიდატების რაოდენობის ზრდა და მათი „ინტერნაციონალიზაცია“; უნივერსიტეტების სამეცნიერო ფაკულტეტებზე სტუდენტების რაოდენობის ზრდა; მრეწველობის ექსპორტზე ორიენტირებული დარგების ფისკალური მოტივაციები; ადამიანური კაპიტალის ზრდისა და ინტერნაციონალიზმის ხელშეწყობა; ეკონომიკური სისტემური ტექნოლოგიური დონის გაუმჯობესება.

იტალიის დაინტერესების გათვალისწინებით, ინოვაციური სისტემების სექტორში უცხოური კაპიტალის მოზიდვის, ასევე ამ დარგში ინტეგრაციული პროცესების განვითარების საქმეში, პირველ რიგში ეკ-ს ფარგლებში, ქვეყანაში შეიქმნა ევროპული კვლევების ხელშეწყობის სააგენტო (APRE). მის შტაბშია 24 სპეციალისტი და 4 ადმინისტრაციული მომსახურე. წლიური ბიუჯეტი – დაახლოებით 1,2 მლნ ევრო. დღეისათვის მის შემადგენლობაშია 78 წევრი (უნივერსიტეტი, კომპანია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სამრეწველო ასოციაცია, სამეცნიერო პარკი, საფინანსო ინსტიტუტი და სხვა). მისი ძირითადი ამოცანაა – ეკ-ის ჩარხო-პროგრამაში იტალიის აქტიური მონაწილეობა, მცირე მეცნიერებატევადი ბიზნესისათვის ინფორმაციის მიწოდება ევროპული პარტნიორობისა და ინოვაციური პროექტების შესახებ. მისი საქმიანობის მთავარი დარგებია: სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა სამეცნიერო და ინოვაციურ სფეროში; ინოვაციურ სფეროში მოქმედი ფირმებისათვის მომსახურებათა გაწევის ორგანიზაცია; კვლევათა მობილურობის საკითხები; მეცნიერებატევადი ბიზნესის მცირე ფირმების ფინანსირება. უმაღლესი განათლების მქონე გამომგონებელთა წილი იტალიაში საშუალოზე დაბალია, ვიდრე მთლიანად ევროპაში და წარმოადგენს მხოლოდ 56,7%, სამეცნიერო წოდების მქონე გამომგონებელთა წილი – მხოლოდ 3,1% (გერმანიაში შესაბამისად 85,3% და 35,2%-ია).

უმაღლესი განათლების დონე და ხარისხის ამაღლების მიზნით იტალიის მთავრობის მიერ ინიცირებულ იქნა უნივერსიტეტების რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო სწავლის

დონის ამაღლებას, არამედ იმ სტუდენტების რაოდენობის შემცირებას, რომლებმაც სწავლა მიატოვეს.

დღეისათვის შექმნილია 12 ტექნოლოგიური ოლქი, რომლებშიც გაერთიანებულია უნივერსიტეტები, სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები და კერძო საწარმოები, მაგ.: კემონტში (უკაბელო ტექნოლოგიები), ემილია-რომანიაში (მექანიკა, ნანო-ტექნოლოგიები), ვენეტოში (მოლეკულური ბიოლოგია), ფრიულში, ვენეციაში, ჯულიაში, ტოსკანაში (საინფორმაციო-კომუნიკაბელური ტექნოლოგიები). იტალია არის ევროატომის წევრი (ატომური ენერჯის მშვიდობიანი გამოყენების ევროპული სააგენტო). იგი არის ბირთვული კვლევების ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერმკვლევართა ოდენობა სექტორთან შედარებით პრაქტიკულად 2-ჯერ შემცირდა, რაც ცუდათ აისახება ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებაში საერთოდ. იტალიაში ცხოვრობს და საქმიანობს 70 ათ. მეტი მკვლევარი-მეცნიერი. მისი ინტელექტუალური პოტენციალი სხვა ქვეყნებთან – აშშ, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, კანადა – საკმაოდ დაბალია. ხოლო მეცნიერ-მკვლევართა წილი მომსახურეთა საერთო რაოდენობაში კიდევ უფრო დაბალია და ის უდრის 0,67%, მაშინ, როცა მაგ., ფინეთში იგი 2,22%-ის, ხოლო შვეციაში 1,62%-ის ტოლია.

განათლების სამინისტრო MIUR – ფინანსირებას ახორციელებს სპეციალური ფონდებისა და PNR-ის პროგრამების მეშვეობით.

PNR-ს გეგმის შესაბამისად, ფინანსირების მიმართულებებია: სტუდენტების და მეცნიერებათა კანდიდატების მოსამზადებელი გრანტების რაოდენობისა და მოცულობის ზრდა; სახელმწიფო პროექტების ჩარჩოებში საბაზო კვლევების ფინანსური ხელშეწყობა (Cofin); იმ სტრატეგიული საბაზო კვლევების ხელშეწყობა, რომლებიც ორიენტირებულია FIRB-ის სპეციალურ პროგრამებზე; სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეორგანიზაცია; იტალიის მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა ეკ-ის ჩარჩო-პროგრამებში და სხვა. ფინანსირების სქემები მოიცავს უმაღლესი განათლებისა და ასევე სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინოვაციური სისტემების პროექტების ფინანსირებას.

განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების ორდინარული ფონდი (FFO MIUR) ეხმარება იმ სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, რომლებიც არ შედიან უნივერსიტეტების შემადგენლობაში.

ინოვაციური განვითარების პროგრამების პროექტები ხორციელდება შემდეგი ძირითადი ფონდების ბაზაზე:

1. უნივერსიტეტებთან ერთობლივად სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსირების ფონდი (COFIN);
2. საბაზო კვლევების ინვესტიციური ფონდი (FIRB);
3. გამოყენებითი კვლევების ფონდი (FRA);
4. კვლევების სპეციალური ინტეგრაციული (კოოპერაციული) ფონდი (FISR);
5. სამეცნიერო კულტურის გავრცელების ფონდი (PUS);
6. კვლევითი პროგრამები ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში (PON).

დღეისათვის ინოვაციური პროცესების და ეროვნული ინოვაციური სისტემების ორგანიზაციის პროცესში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ახალი ფორმები, რომელთა შორის განსაკუთრებულ როლს თამაშობს ინოვაციური კლასტერები, რომლის ძირითად თავისებურებას ინოვაციური ორიენტირებულობა წარმოადგენს და არის თანამედროვე ეკონომიკის ის შემადგენელი ელემენტი, რომელიც აყალიბებს ტერიტორიის, რეგიონის ეკონომიკას.

ექსპერტების აზრით, კლასტერიზაციის პროცესმა მოიცვა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკის 50%. ევროკავშირის ქვეყნებმა მიიღეს კლასტერების შოტლანდიური ფორმა, რომლის დროს ამგვარი ერთობლივი წარმოების ბირთვის როლს თამაშობს მსხვილი საწარმო, რომელიც თავის გარშემო იკრებს პატარა ფირმებს. კლასტერის წევრთა უმეტესობა (არანაკლებ 60%-სა) უნდა იყოს მცირე და საშუალო საწარმო.

იტალიის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებას წარმოადგენს ერთიანი ინოვაციური ეკონომიკის ფარგლებში სამრეწველო წარმოების დარგში კლასტერების ჰარმონიული განვითარება. იტალიაში კლასტერები განვითარდნენ მსუბუქი მრეწველობის მცირე საწარმოთა კონცენტრაციის რაიონებში. იტალიური კლასტერები ხასიათდები-

ან მაღალი სპეციალიზაციით და გამოირჩევიან ცენტრალიზებული გავლენის არქონით, ანუ თანაბარუფლებიანობის პრინციპით.

იტალიაში კლასტერული მიდგომა მეტად პროდუქტიული და სპეციფიკურია. აქ კლასტერებში ერთიანდებიან კონკურენციაში მყოფი მცირე ფირმები, სახელმწიფო ნაკლებად ერევა მათ საქმიანობაში უკვე მზა გადაწყვეტილებათა თავსმოსხვევის ფორმით. მაგრამ საერთო, ზოგადი გადაწყვეტილებები საერთო მუშაობისა და თანამშრომლობის შედეგად მიიღება. ასეთ სტრუქტურას გააჩნია თავისი პლუსი - მოქნილობა, სწრაფი გადორიენტირების უნარი, ინიციატივიანობის შესაძლებლობა, ხოლო ძირითადი მინუსია ტექნოლოგიურად რთული პროდუქტის შექმნა. ამასთან, სახელმწიფო პოლიტიკა, რა თქმა უნდა, რჩება კლასტერის სტრუქტურის მნიშვნელოვან ელემენტად, თუმცა გამოიყენება ძირითადად მუნიციპალურ დონეზე და გამოიხატება კლასტერის მცირე საწარმოთა ურთიერთობებში.

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, იტალიაში, სადაც კლასტერები ისტორიულად ბუნებრივი გზით ჩამოყალიბდა, ფართოდაა გავრცელებული მცირე ბიზნესის კლასტერიზაცია (ამ სექტორში გაერთიანებულია 152 მსგავსი გაერთიანება). 2015 წლისათვის იყო 206 კლასტერი სამომხმარებლო საქონლისა და კვების მრეწველობის სპეციალიზაციით. კლასტერების რაოდენობის მიხედვით იტალიას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს TOP-10-ში (აშშ - 308, ბრიტანეთი - 168, ინდოეთი - 106, საფრანგეთი - 96, დანია - 34, გერმანია - 32, ნიდერლანდები - 20, ფინეთი - 9). იტალიის სამრეწველო კლასტერებზე მოდის მთლიანად დარგში დასაქმებულთა 43% და ეროვნული ექსპორტის 30%. კლასტერთა უმეტესობა ერთდარგობრივია (90%) და უმეტესწილად სამომხმარებლო საქონლის წაროებაზე სპეციალიზდება: ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საიუველირო ნაწარმის, აქსესუარების, ავეჯის, სამზარეულო საქონლის, სანტექნიკის და ა.შ. წარმოება. ასევე საიტერესოა ტურისტული პროდუქტიც.

იტალიაში წარმოების ინტეგრაციის ფორმას წარმოადგენს ინდუსტრიული ოლქები (იო). იტალიური კლასტერული მოდელი - ეს არის უფრო მოქნილი და ლოიალური თანამშრომლობა ნებისმიერი მასშტაბის საწარმოებს შორის.

მეცნიერები თვლიან, რომ წარმოების ორგანიზაციის კლასტერული ფორმა ყველაზე მეტად მისაღებია ეკონომიკის ინოვაციური განვითარების დასახქარებლად. ფირმების საერთო რაოდენობიდან (3,5 მლნ) იტალიაში დაახლოებით 3% ითვლება მსხვილად, თითოეულ მათგანში მუშაობს ათასი და მეტი ადამიანი, იტალიაში არის 200-ზე მეტი ინდუსტრიული ოლქი, სადაც გაერთიანებულია 50 ათ. ფირმაზე მეტი, სადაც მუშაობს 570 ათასზე მეტი ადამიანი, ხოლო თვითონ ინდუსტრიულ ოლქებში ფუნქციონირებს 800 ათასზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო.

ინდუსტრიული ოლქების საწარმოები აძლიერებენ თავიანთ ტექნოლოგიურ ბაზას, ითვისებენ სხვა რაიონებსაც, მაგ., საწარმოები, რომლებიც აწარმოებდნენ ფეხსაცმელს, იწყებენ მათი წარმოებისათვის აუცილებელი მოწყობილობების წარმოებას.

იტალიაში კლასტერული გაერთიანების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია სასუოლოს კლასტერი, რომელიც აერთიანებს 220 საწარმოს, სადაც თითოეულ საწარმოში დაკავებულია 100 ადამიანი. ყოველწლიურად ეს კლასტერი აწარმოებს 330 მლნ მ² კერამიკულ ფილას (პრაქტიკულად ყოველ მე-4 ფილას მსოფლიოში), საერთო ღირებულება 3 მლრდ ევრო.

იტალიის ბევრი საწარმო აწარმოებს ვიწრო ნომენკლატურის პროდუქციას. ამის მაგალითია 2 იტალიური კლასტერი – პემონტის და სტრენის, რომლებიც აერთიანებენ 300-ზე მეტ საწარმოს, რომლებიც აწარმოებენ ნაწილებს მანქანათმშენებლობისათვის (30 მლრდ ევროს ღირებულების). ქ. მონბლანის ძირში განლაგებულია ტექსტილის მწარმოებელი 1200 ფირმაზე მეტი, რომლებიც აწარმოებენ კაშმირის ქსოვილს, ტანსაცმელს.

ინდუსტრიული ოლქების (იო) გარდა, იტალიაში გავრცელებულია სხვა ფორმის კლასტერები. მაგალითად, საკმაოდ ჩამორჩენილი სიცილიის და სარდინიის რაიონების გასაძლიერებლად შეიქმნა ე.წ. „სილიკონის ველი“ (ეს ფორმა შეიქმნა აშშ-ში და გავრცელდა მთელ მსოფლიოში), ეს ნიშნავს იმას, რომ ეს კუნძულები გათავისუფლებული იქნენ გადასახადებისაგან, რამაც ხელი შეუწყო აქ მსხვილი ინვესტორების მოზიდვას, მაგ., Nokia, Canon, სარდინიაში – Tiscail, ხოლო სამეცნიერო დამუშავებებს აწარმოებდა კვლევითი ცენტრი Carlo Rubbia.

იტალიაში მოქმედი კლასტერის მაგალითია ტურისტული სისტემა „ტრაზიმენის ტბა“ – უმბრიში, რომელიც აერთიანებს ტურისტულ ორგანიზაციებს, განთავსებისა და კვების ორგანოები, სავაჭრო ორგანიზაციები, ფართო მოხმარების საგნების წარმოება, რომლებიც სპეციფურია ამ ადგილისათვის (ღვინო, ზეითუნის ზეთი). ასევე მოქმედი კლასტერებიდან აღსანიშნავია „სალინუნტის თერმები“ – სიცილიაში, „ადრიატიკის ზღვა და სანაპირო“, „ხელოვნების, კულტურისა და ბიზნესის ქალაქები“ – ემილია-რომანიაში. რეგიონთაშორისი კლასტერებიდან გამოირჩევა „TUR. GRATE 2“, რომელიც შეიქმნა ევროპული პროგრამა IPA-ის (ევროკავშირში შესასვლელად მომზადებული ქვეყნების დახმარების ინსტრუმენტი) ფარგლებში, რომელიც ემსახურება როგორც დარგის, ასევე სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას, ტურისტული საქონლის ერთობლივ დაგეგმარებას, სერვისული ცენტრების შექმნას, ტურისტული საქონლის სპექტრისა და ხარისხის ზრდას, კულტურული დანატოვარის დაცვის ერთობლივი ღონისძიებების შემუშავებას, კულტურული ღონისძიებების ჩატარებას (კონფერენციები, გამოფენები, გალერეები, მუსიკალური ფესტივალები).

ინოვაციური კლასტერების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს უმაღლესი განათლება, კერძოდ რეგიონში უნივერსიტეტების არსებობა, მათი კავშირები წარმოებასთან. ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. პიზას (ტოსკანაში) მაღალტექნოლოგიური საქონლის კლასტერი. პიზას პროვინციის ტრადიციული სპეციალიზაციაა ტყავის და ფეხსაცმლის (ქ. Sante Cross), მოტოციკლების (კომპანიები Piaggio da Pontedera), ხის ნაწარმისა და ავეჯის წამოება. ერთ-ერთ ყველაზე მაღალტექნოლოგიურ დარგად რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ითვლება ფარმაცევტული წარმოება. აქ განლაგებულია 3 დიდი უნივერსიტეტი (პიზას უნივერსიტეტი, პიზას „უმაღლესი სკოლა“ და „სანტ-ანას უმაღლესი სკოლა“), სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები (CNR, INFN, INFM). პიზას უნივერსიტეტში 50 ათ. სტუდენტი სწავლობს. მთლიანად საუნივერსიტეტო სისტემაში 3,8 ათ. ადამიანია დაკავებული, ამდენივე მუშაობს საკონტრაქტო პირობით. 2010 წლის მონაცემებით პიზას რაიონში ფუნქციონირებდა 269 მაღალტექნოლოგიური კომპანია 1,7

მლრდ ევროს საქონელბრუნვით და 7400 ადამიანი მაღალკვალი-ფიციური პერსონალით.

პიზაში ყველაზე დინამიური ფარმაცევტული დარგი აღმოჩნდა. აქ არსებული 7 კომპანიიდან ხუთისათვის ხელმისაწვდომი გახდა უცხოური კაპიტალი. უცხოური ჯგუფები (აშშ, ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, იაპონია და სხვა) აწარმოებდნენ აქტიურ საინვესტიციო საქმიანობას პიზაში ფარმაცევტიკის, ბიოტექნოლოგიების, ფიზიკის, ქიმიის, დარგში. აეროკოსმოსურ სფეროში დაფუძნდა კომპანია Alema Marcom System ბრიტანულ ფირმა British Aerospace-თან და იტალიურ Italian Investments-თან ერთად. რაც შეეხება მექანიკას და ელექტრონიკას, ერთობლივი მუშაობის მაგალითია თანამშრომლობა იაპონიურ Mitsuha და გერმანულ Siemens-თან.

იტალიაში სახელმწიფოს როლი კონკურენტუნარიანი საქონლის წამოებაში ძალიან დიდია. იგი ახორციელებს: შეღავათებს ექსპორტზე, გარანტიებს კრედიტებზე, კონსალტინგს, ინვესტიორების მოწვევას და სხვა. სწორედ ამან შეუწყო ხელი იტალიას, გამხდარიყო ევროპის ერთ-ერთი ძლიერი კონკურენტუნარიანი სახელმწიფო. კლასტერული მიდგომა საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად ითანამშრომლონ კერძო სექტორებმა, სახელმწიფო ორგანოებმა, სავაჭრო გაერთიანებებმა, კვლევითმა და საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა ინოვაციურ პროცესში. კლასტერული მიდგომა შეიძლება იქცეს ხანგრძლივი თანამშრომლობის საფუძვლად სამეწარმეო ფირმასა და სახელმწიფოს შორის მომგებიანი გზების მოსაძებნად, არსებული ინვესტიციური შესაძლებლობებისა და სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელ ღონისძიებათა ეფექტური რეალიზაციისათვის.

საბოლოოდ აშკარაა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ადგილი აქვს „ინოვაციურ ბაზრებზე“ კონკურენციის განუხრელ ზრდას, სადაც წარმატებას აღწევენ მსოფლიოს ის ქვეყნები, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ მხოლოდ გონიერი ინოვაციური პოლიტიკის გატარებას წარმატებული ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნის გზით. საერთაშორისო ბაზარზე ევროკავშირისა და წევრი-ქვეყნების როლის განმტკიცების საქმეში ძირითადი როლი სწორედ ინოვაციურ ეკონომიკაში ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნას ენიჭება. ამ მხრივ იტალიის მთავრობა ეძებს

ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციისა და სტიმულირების უფრო მეტად ეფექტურ მეთოდებს, რათა ქვეყანაში ინოვაციური სისტემების განვითარება ითვალისწინებდეს ცოდნის არა მარტო წარმოებას, არამედ გავრცელებას, ათვისებას და გამოყენებას. ეს კი საშუალებას მისცემს ქვეყანას, კიდევ უფრო განიმტკიცოს თავისი ადგილი და როლი საერთაშორისო ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://ru.theglobaleconomy.com/Slovenia/Research_and_development/
2. Формирование инновационных кластеров в Италии...
cyberleninka.ru›Грнти›...italii-toskanskiy-region
3. Система образования Италии Подробнее:
<https://vseobr.com/sistemy-obrazovaniya/italija/>
4. https://www.unipage.net/ru/universities_in_italyПочему выбирают университеты Италии?
5. Система образования Италии,
[best-country.org>europe/italy/education](http://best-country.org/europe/italy/education)
6. Модели формирования национальных инновационных систем.
http://kapital-rus.ru/articles/article/modeli_formirovaniya_nacionalnyh_innovacionnyh_sistem/#
7. Инновационная деятельность в Италии Выполнила...
present5.com›innovacionnaya-deyatelnost-v-italii...
8. <http://geci.cn.ua/work/459926/Nacionalnye-innovacionnye-sistemy-krupnyx>
9. იტალიის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკა, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2016. გვ. 114-128.
10. <http://files.school-collection.edu.ru/dlrstore/11ea82bb-e33e-47ed-966d-de02b146e5d8/technoparks/index.html>

ITALIAN NATIONAL INNOVATION SYSTEM, FEATURES OF DEVELOPMENT AND FUNCTIONING

Summary

In Europe, the term "innovation system" encompasses not only the knowledge but also the spread, application and use of knowledge.

Italy is included in the rank of the so-called "moderate" innovator countries, together with Spain, Estonia, Czech Republic, Slovenia and Cyprus.

According to Italian statistical data, the main concentration of firms in innovative development and innovative activities are compiled in the following sectors: telecommunication, chemistry, pharmaceuticals, textiles, metallurgy, automobile and transport sectors.

The article deals with the basic aspects of innovation systems and peculiarities characterized by the Italian national innovation system. The author has studied the structure, development and functioning of the national innovation system. The peculiarities and startups of innovation systems are also reviewed in the economic sectors. The article analyzes the national innovation system of education and science, specificity, structure and functioning models, developed programs, funds and clusters of Italy.

ციცინო თეთრაული

ხორვატიის ინოვაციური სისტემა

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის პირობებში ინოვაციური ეკონომიკის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებაში; ხორვატიის ეკონომიკის განვითარების თავისებურებები; გაანალიზებულია ის გზა, რომელიც ხორვატიამ გაიარა ევროკავშირის წევრობამდე და ის პერსპექტივები და სიახლეები, რომელთა დანერგვა ქვეყანას კიდევ უფრო მეტ წარმატებას მოუტანს მომავალში.

* * *

გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია ინოვაციებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გარეშე. ინოვაცია ლათინური სიტყვაა (inovation) და „გა-

ნახლებას" ნიშნავს. ი. შუმპეტერის განმარტებით, „ინოვაცია არის კომერციალიზებული გამოგონება“. ინოვაციები არსებობდა ნებისმიერი ფორმაციის დროს და მან განაპირობა არნახული პროგრესი ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროსა და ყოფა-ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი, ეს არის ინოვაციათა განვითარების პროცესი. ერთიანი ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება ევროპაში ჯერ კიდევ 1983 წელს დაიწყო, სამეცნიერო სფეროში „ჩარჩო- პროგრამების" დაფინანსებით. 2000 წელს ევროკომისარ ფ. ბასკინის მიერ წამოყენებულ იქნა ინიციატივა ევროპული სამეცნიერო სივრცის შექმნის შესახებ, რომლის მთავარი ამოცანები იყო: წამყვანი სამეცნიერო ცენტრების ქსელის შექმნა, ინვესტიციების გაზრდა ცოდნის სფეროში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კოოპერაციის ხელშემწყობი გაერთიანებების შექმნა, მეცნიერთა კარიერისთვის ხელშეწყობა ევროპულ დონეზე და სხვა. იმავე წელს ლისაბონში შეკრებილმა ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, 2010 წლისთვის ევროკავშირი მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე უნდა გასულიყო. ამ რეზოლუციას „ლისაბონის დეკლარაცია" ეწოდა. 2010 წელს მიღებულ იქნა პროგრამა „ევროპა 2020", ეს პროგრამა მოიცავს მოქმედების შემდეგ პროგრამებს: ინოვაციების დანერგვა, ევროპის ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, განათლების ხარისხის ამაღლება და ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვა, სიღარიბესთან ბძოლის ევროპის პროგრამა; მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა, კლიმატის ცვლილებებთან და ენერჯო და სხვა რესურსების უკმარობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა, სამრეწველო პოლიტიკის გლობალიზაცია. ევროკომისიამ მიიღო ახალი ჩარჩო-პროგრამა „ჰორიზონტი 2020". ამ პროგრამის ბიუჯეტი 80 მილიარდ ევროს შეადგენს, მასში შედის 18 თემატური სექცია. პროგრამა მოიცავს 3 პრიორიტეტულ მიმართულებას და თითოეული მათგანი დაფუნდებულია ეკონომიკის და მთლიანად საზოგადოების ინოვაციურ განვითარებაზე. ეს პრიორიტეტებია: 1) მოწინავე სამეცნიერო მიღწევები; 2) ინდუსტრიული ლიდერობა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა; 3) სოციალური გამოწვევები.

2003 წლიდან ხორვატიის საგარეო პოლიტიკა ფოკუსირებული იყო მთავარ სტრატეგიულ მიზანზე - გამხდარიყო ევროკავშირის წევრი, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიიღო 2004 წელს. 2011 წელს დეკემბერში ხორვატიამ წევრად მიღების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. 2012 წლის 22 იანვარს ხორვატიაში რეფერენდუმი ჩატარდა, რომელშიც მოსახლეობის 66,25%-მა მისცა ხმა ხორვატიის ევროკავშირში გაწევრიანებას. ხორვატია ევროკავშირს 2013 წლის 1 ივლისს შეუერთდა. ხორვატია უნიტარული დემოკრატიული საპარლამენტო რესპუბლიკაა, რომელიც მდებარეობს ცენტრალური ევროპის, სამხრეთ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის გზაჯვარედინზე, მისი დედაქალაქია ზაგრები, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის 21 ერთეულიდან ერთ-ერთ ჟუპანიას. ხორვატიის ტერიტორია 56 594 კმ² მოიცავს. ხორვატიის ადრიატიკის ზღვის სანაპირო მოიცავს ათას კუნძულზე მეტს, ქვეყნის მოსახლეობა 4,28 მილიონ ადამიანს შეადგენს, რომელთა უმრავლესობა ხორვატია. მოსაზღვრე სახელმწიფოებია: სლოვენია, უნგრეთი, სერბეთი, ჩერნოგორია, ბოსნია, ჰერცეგოვინა. 1945 წელს კომუნისტმა იოსიპ ბროზ ტიტომ დაამხო პაველიჩის და ნედიჩის მთავრობები და შეიქმნა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ რესპუბლიკები: მაკედონია, ბოსნია, ჰერცეგოვინა, სლოვენია, ხორვატია, სერბეთი, ჩერნოგორია. 1991 წელს მწვავე შიდა კონფლიქტის ფონზე სერბებსა და ხორვატებს შორის, ხორვატიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო დაწყებული კონფლიქტი იუგოსლავიის დაშლის დასაწყისი გახდა. ეთნიკური დაპირისპირება ომში გადაიზარდა. ხორვატიის ომი დამოუკიდებლობისთვის 4 წელიწადს გაგრძელდა (1991 - 1994) და საბოლოოდ მისი წარმატებით დასრულდა.

ხორვატიის ეკონომიკა ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებს შორის ერთ-ერთ მდიდარ ქვეყნად ითვლება, თუმცა იგი ძალიან დაზარალდა 1991 - 1995 წლების ომის დროს. ამ პერიოდში ძალიან შემცირდა წარმოება, ხორვატიამ დაკარგა უცხოეთიდან შემოსავალი ინვესტიციების პირველი ტალღა, 2000 წლიდან ტურიზმის წყალობით ეკონომიკურმა მდგომარეობამ გაუმჯობესება დაიწყო. ხორვატიის მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან ისეთი ქვეყნები, როგორცაა: გერმანია, ავსტრია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, აშშ.

ხორვატიას დიპლომატიური ურთიერთობები აქვს 174 სახელმწიფოსთან. ქვეყანაში ფუნქციონირებს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ოფისები, როგორებიცაა: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ეუთო, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე, გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს უმაღლესი კომისარის ოფისი დენილთა საკითხებში, გაეროს ბავშვთა ფონდი. 2000 წელს ხორვატია ჩაერთო პროექტში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, 2008 წელს ალიანსში გასაწევრიანებლად მიიწვიეს და მისი წევრი ოფიციალურად გახდა 2009 წელს. 2008 - 2009 წლებში ხორვატია იყო გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი. ხორვატიის საგარეო პოლიტიკის გაცხადებული მიზნებია მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კლასიფიკაციით ხორვატიას მზარდი, განვითარებადი ეკონომიკა აქვს. მსოფლიო ბანკის შეფასებით კი, მაღალი შემოსავლების ეკონომიკა. დღეისთვის ხორვატიას ადამიანის განვითარების ინდექსის ძალიან მაღალი მაჩვენებელი აქვს. ხორვატიის ეკონომიკაში დომინანტია მომსახურების სფერო, რასაც მოსდევს სამრეწველო სექტორი და სოფლის მეურნეობა. ზაფხულის პერიოდში შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო ტურიზმია. ხორვატია მსოფლიოში მე-18 ყველაზე პოპულარული ტურისტული დანიშნულების ადგილია. მას დასავლეთ ევროპის ტურისტულ საგანძურს უწოდებენ. არსებითი სახელისუფლებო დანახარჯებით სახელმწიფო აკონტროლებს ეკონომიკის გარკვეულ ნაწილს. ხორვატიის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორია ევროკავშირი. 2000 წლიდან ხორვატიის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა ინფრასტრუქტურაში, განსაკუთრებით პანევროპული სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ გზების მშენებლობაში. ხორვატიის ენერგეტიკის მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოება შიდა წყაროებით ხდება, გარკვეული ნაწილი კი იმპორტით შედის. ქვეყანაში მოქმედებს უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა და უფასო დაწყებითი და საშუალო განათლება. კულტურის მხარდასაჭერად ფუნქციონირებს

ნირებს მრავალსაზოგადოებრივი ინსტიტუტი, ასევე კორპორაციული ინვესტირება მედიასა და გამომცემლობებში.

ხორვატიას მაღალშემოსავლიანი ეკონომიკა აქვს. 2013 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები აჩვენებდა, რომ ხორვატიის ნომინალური მშპ ჯამში 63 842 მილიარდ დოლარს უდრიდა, ხოლო თითო მოსახლეზე - 14 457 დოლარს. ევროსტატის მონაცემების მიხედვით, 2012 წელს ხორვატიის მუპ-ის მშპ ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის 61%-ს უდრიდა, 2013 წლის მარტის მონაცემებით ხორვატი მუშაკის ყოველთვიური საშუალო ხელფასი 5516 კუნას (988 აშშ დოლარს), ხოლო დარეგისტრირებული უმუშევრების დონე 20,9 %-ს შეადგენდა. 2010 წელს ეკონომიკურ წარმოებაში მომსახურების სექტორი დომინირებდა, რომელიც მშპ-ის 66%-ს გამოიმუშავებდა, შემდეგ მოდიოდა ინდუსტრიული სექტორი - 27,2%-ით და სოფლის მეურნეობა - 6,8%-ით. 2012 წლის მონაცემებით, შრომისუნარიანი მოსახლეობის 2,1% სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, 29% - ინდუსტრიაში და 69% - მომსახურების სფეროში. ინდუსტრიული სექტორის წამყვანი დარგებია: გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა, ხე-ტყის მრეწველობა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, კვების მრეწველობა, ბიოქიმია, ფარმაცევტიკა.

2013 წელს ხორვატიის ექსპორტმა 67,9 მილიარდი კუნა (8,9 მილიარდი ევრო) შეადგინა, ხოლო იმპორტმა - 119,5 მილიარდი კუნა (15,8 მილიარდი ევრო). ხორვატიის ყველაზე დიდი საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორი ევროკავშირია.

ხორვატიის უდიდესი კომპანიების წლიური ბრუნვა მოცემულია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1

ხორვატიის უდიდესი კომპანიების წლიური ბრუნვა 2010 წელს

№	სახელი	შემოსავალი (მლნ €)	მოგება (მლნ €)
1	Agrokor	3568	22.0
2	INA	3547	137.3
3	Hrvatska elektroprivreda	1677	200.3
4	Konzum	1574	56.6
5	T - Hrvatski Telekom	1149	251.0

ხორვატიის ეკონომიკის შესაფასებლად გამოიყენება კოპენჰაგენის კრიტერიუმები; ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის

არსებობა და გაერთიანების ფარგლებში კონკურენტუნარიანობა. ხორვატიის მთავრობამ შეიმუშავა მცირე ეკონომიკური პროგრამა, რომელიც მისადაგებული იყო ევროგაერთიანების მოთხოვნებთან. 2006 წლის აგვისტოში მოხდა ამ პროგრამის დამტკიცება, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ეკონომიკურ რეფორმას. ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობა. 2005 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 4,3% შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით (2004 წელს - 3,8%) მაღალი იყო. 2006 წელს კი მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქცია გაიზარდა 4,1%-ით. საკმაოდ მაღალმა ზრდამ კერძო სექტორში ინვესტიციების პოტენციალის ზრდა მოგვცა. ეროვნულმა ბანკმა ბევრი მექანიზმი გამოიყენა იმისთვის, რომ კომერციულ ბანკებს შესაძლებლობა მისცემოდათ, უცხოური საკრედიტო ინვესტიციებიდან აეღოთ შეღავათიანი კრედიტები. 2005 წლის სექტემბრიდან 2006 წლის ივლისამდე წლიური ფულის მოცულობის ზრდა 9,3%-დან 12%-მდე გაიზარდა. წლიური შიდა კრედიტის ზრდამ 16,7%-დან 22,2%-მდე აიწია. თუმცა უპირველეს მიზნად ფასების სტაბილურობა რჩებოდა და პარალელურად ხდებოდა ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება კაპიტალის შემოდინების დასარეგულირებლად. ინფლაციის მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 2004 წელი - 2,1%, 2005 წელი - 3,3%, 2006 წელი - 3,6%. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ფასის სტაბილურობის მიზანი მიღწეული იქნა, საფინანსო პოლიტიკა შეესაბამებოდა ეკონომიკურ პროგრამას და აკმაყოფილებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში გაწვევრიანების „მოსამზადებელი პროგრამის“ სტანდარტულ მიზნებს.

მთლიანი შემოსავალი 6,9%-ით გაიზარდა. დამატებითი ღირებულების გადასახადით შემოსული თანხა წარმოადგენდა მთლიანი შემოსავლების ძირითად ნაწილს. 2006 წელს ხელისუფლებამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა ძირეული რეფორმა სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში, რაც, თავის მხრივ, მოიცავდა სხვადასხვა სოციალური პროგრამების კონსოლიდირებას და პროცედურების გამარტივებას. ამ რეფორმის მიზანს წარმოადგენდა სოციალური დანახარჯების ეფექტიანობის ზრდა. ეკონომიკური მონაცემებიდან გამომდინარე, კერძო სექტორმა 60%-ზე მეტი

წვლილი შეიტანა მთლიანი წარმოების პროცესში, დასაქმებულთა სტატისტიკის თანახმად, კერძო სექტორში დასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებულებში 2005 წელს 68%-მდე გაიზარდა, 2004 წელს კი ეს მაჩვენებელი 66,2%-ს შეადგენდა. მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორცაა ლითონის წარმოება და გემთმშენებლობა, სახელმწიფო, ისევე, როგორც წინა წლებში, მესაკუთრეს წარმოადგენს და ყველა ბერკეტს ფლობს.

ომის შედეგად (1991 - 1995) ხორვატიის მთავრობამ მასიური ზიანი მიიღო. ქვეყნის მშპ 40,5-ით შემცირდა, დიდი ზარალი მიიღო ქვეყნის ინფრასტრუქტურამ და მაღალშემოსავლიანმა ტურიზმის ინდუსტრიამ. მაგრამ ომის დასრულებისთანავე, ტურიზმის ინდუსტრიამ სწრაფი ზრდა დაიწყო, 4-ჯერ გაიზარდა ტურისტთა რაოდენობა და წელიწადში 10 მილიონს გადააჭარბა, ყველაზე მეტი ტურისტი ხორვატიაში ჩადის გერმანიიდან, ჩეხეთიდან, ავსტრიიდან, სლოვენიიდან, დიდია შიდა ტურიზმის წილიც. ტურიზმის ინდუსტრიის ძირითადი ნაწილი ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე ყვავის. ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებიდან პირველი კურორტი იყო ოპატია. 1890-იანი წლებისთვის ის ევროპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამაჯანსაღებელი კურორტი გახდა. მოგვიანებით კურორტთა დიდი რაოდენობა გაშენდა ზღვის სანაპიროსა და მრავალ კუნძულზე, სადაც ტურისტებს მრავალფეროვან სერვისს სთავაზობენ. უმნიშვნელოვანესია საწყალოსნო ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, რომელიც დაკავშირებულია შუა საუკუნეების სანაპირო ქალაქებთან და მრავალ კულტურულ ღონისძიებასთან, რომელიც ძირითადად ზაფხულობით იმართება. ქვეყნის შიდა ნაწილებში ტურისტების განკარგულებაშია სამთო კურორტები, აგროტურიზმი და სპა. მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილია ზაგრები, რომელიც ღირსეულ კონკურენციას უწევს მთავარ სანაპირო ქალაქებსა და კურორტებს, ხორვატიაში სრულად არის გამოყენებული, წყლიანი არეალები, სადაც შექმნილია ბუნების ნაკრძალური და ცისფერი დროშის მქონე 116 საწყალოსნო ადგილი. ხორვატია მსოფლიოში მე-18 ყველაზე პოპულარული ტურისტული დანიშნულების ადგილია. ვიზიტორების 15% ნატურიზმშია ჩართული - ინდუსტრიაში, რომლითაც ხორვატია მთელ მსოფლიოშია ცნობილი. გარდა ამისა ხორვატია პირველი ქვეყანა იყო ევროპაში, რომელმაც კომერციული ნატუ-

რალისტური კურორტები განავითარა, ტურიზმის ინდუსტრიაში ინოვაციებით ხორვატია მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა, ტურიზმი ხორვატიის მომსახურების სფეროში დომინანტია და ქვეყნის მშპ-ს 20%-ს აწარმოებს. ტურიზმის დადებითი ეფექტი ხორვატიის მთლიან ეკონომიკაზე იგრძნობა - ბიზნესის გაზრდილი მოცულობა საცალო გაყიდვების სექტორში, გაზრდილი წარმოება და საზაფხული, სეზონური დასაქმება; ტურიზმის ინდუსტრია საექსპორტო ბიზნესადაა მიჩნეული, რადგან ის მნიშვნელოვნად ამცირებს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის დარღვეულ ბალანსს. ხორვატიის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა და მდიდარი ლანდშაფტი, მაღალ დონეზე მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა წლიდან წლამდე სულ უფრო მეტ ტურისტს იზიდავს. ხორვატიაში მდებარეობს 444 დაცული არე, რაც ქვეყნის ტერიტორიის 9%-ს შეადგენს; აქ შედის 8 ეროვნული პარკი, 2 მკაცრი ნაკრძალი და 10 ბუნებრივი პარკი. ყველაზე უფრო ძველი და სახელგანთქმული მათში არის პლიტვიცეს ტბების ეროვნული პარკი, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობას, ველებიტის ბუნებრივი პარკი წარმოადგენს იუნესკოს ადამიანისა და ბიოსფეროს პროგრამის ნაწილს. მკაცრ და სპეციალურ ნაკრძალებს, ისევე როგორც ეროვნულ და ბუნებრივ პარკებს, მართავს და იცავს ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება, 2005 წელს შეიქმნა ეროვნული ეკოლოგიური ქსელი, რაც წარმოადგენს ევროკავშირთან მიერთების და ნატურა - 2000-ს ქსელთან შეერთების პირველ ნაბიჯს.

ქვეყანაში მოიპოვება წარმოებისთვის საკმარისი ბუნებრივი რესურსები, მათ შორის: ნავთობი, ქვანახშირი, ბოქსიტი, დაბალი ხარისხის რკინის საბადო, კალიუმიანი ქანები, თაბაშირი, ბუნებრივი ასფალტი, სილიკა, მიკა, თიხები, მარილი. ხორვატიის ინფრასტრუქტურული განვითარების უმთავრეს მოვლენას მისი სწრაფად მზარდი ავტომობილტრალეების ქსელი წარმოადგენს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი 1970-იან წლებში და განსაკუთრებით 2000-იანი წლების დეკადაში აშენდა. 2011 წლის ბოლოს ხორვატიამ დაამთავრა ჯამში 1100 კილომეტრზე მეტი სიგრძის ავტომობილტრალეები, რომლებიც ზაგრებს რეგიონების უმეტესობასთან, სხვადასხვა ევროპულ მარშრუტებთან და 4 პანევროპულ კორიდორთან აკავშირებს. ყველაზე დატვირთული მაგისტრალეები: 1,

რომელიც ზაგრებს სპლიტთან აკავშირებს და 3, რომელიც ჩრდილო-დასავლეთით ხორვატიისა და სლოვენის გადაკვეთით ქვეყანას აღმოსავლეთიდან დასავლეთით კვეთს. სახელმწიფო მნიშვნელობის გზების ფართოდ გავრცელებული ქსელი მოქმედებს როგორც ავტომაგისტრალების „ფიდერი გზები“, რომლებიც ქვეყნის ყველა მთავარ დასახლებულ პუნქტს აკავშირებს ერთმანეთთან. ხორვატიას 2722 კილომეტრი სიგრძის ფართო სარკინიგზო ქსელი აქვს, აქედან 985 კილომეტრი ელექტროფიცირებულია და 254 კილომეტრი სარკინიგზო ხაზებია. ხორვატიის ყველაზე მნიშვნელოვანი სარკინიგზო ხაზები პანევროპული სატრანსპორტო კორიდორების მახლობლადაა, რომლებიც ზაგრების გავლით რიეკას ბუდაპეშტთან და ლუბლიანას ბელგრადთან აკავშირებს. ყველა სარკინიგზო მომსახურებას ხორვატიის რკინიგზა ოპერირებს.

ხორვატიის ყველაზე დატვირთული სატვირთო საზღვაო პორტი რიეკას პორტია, ხოლო ყველაზე დატვირთული სამგზავრო პორტი სპლიტისა და ზადარის პორტებია. დამატებით დიდი რაოდენობით მომცრო პორტება მოქმედებაში, როგორც საბორნო ხაზების ფართო სისტემა, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს მრავალრიცხოვან კუნძულებს და ზღვისპირა ქალაქებს როგორც ხორვატიაში, ასევე იტალიაში. ყველაზე დიდი სამდინარო პორტი ვუკოვარია, რომელიც მდინარე დუნაიზე მდებარეობს და წარმოადგენს ქვეყნის გასასვლელს პანევროპულ სატრანსპორტო კორიდორზე.

ხორვატიაში 610 კილომეტრი სიგრძის ნედლი ნავთობის გადასაზიდი ნავთობსადენებია, რომლებიც რიეკას პორტის ნავთობტერმინალს, რამდენიმე გადასატვირთ ტერმინალთან ერთად, ხორვატიაში რიეკასა და რისაკის, ხოლო საზღვარგარეთ ბროდის (ბოსნია-ჰერცეგოვინა), პანჩევასა და ნოვისადის (სერბეთის) ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებთან აკავშირებს, ნავთობსადენების სისტემას წელიწადში 20 მილიონი ტონა ნავთობის გადაზიდვის უნარი აქვს, ბუნებრივი აირის ტრასპორტირების სისტემა 2113 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალურ და რეგიონულ გაზსადენებს და 300-ზე მეტ დაკავშირებულ სტრუქტურას მოიცავს, რომელიც აკავშირებს წარმოების რეოლებს, ოკოლის ბუნებრივი აირის საცავს და 37 სადისტრიბუციო სისტემას.

ხორვატიის ენერგორესურსების წარმოება ქვეყნის ბუნებრივი აირის მოთხოვნის 85%-ს და ნავთობის მოთხოვნის 19%-ს აკმაყოფილებს. 2008 წელს ხორვატიის ძირითადი ენერგოწარმოება მოიცავდა: ბუნებრივ აირს (47,7%), ნედლ ნავთობს (18,0%), სათბობის ნაწარმს (8,4%), ჰიდროენერჯიას (25,4%) და სხვა განახლებად ენერგეტულ წყაროებს (0,5%). 2009 წელს ხორვატიაში ელექტროენერჯიის ქსელის საერთო წარმოებამ 12 725 კილოვატ საათს მიადწია და ხორვატიამ ელექტროენერჯიის მოთხოვნის მხოლოდ 28,5%-ის იმპორტირება განახორციელა. ხორვატიის ელექტროენერჯიის იმპორტის დიდი ნაწილი სლოვენიაში მდებარე კრშკოს ატომური ელექტროსადგურიდან ხორციელდება, რომლის 50%-საც ხორვატიული ელექტროსადგური ფლობს და ქვეყნის ელექტრომომარაგების 15%-ს აკმაყოფილებს.

ხორვატიას საერთაშორისო აეროპორტები აქვს ზაგრებში, ზადარში, სპლიტში, დუბროვნიკში, რიეკაში, ოსიეკაში და პულაში. ხორვატია ასრულებს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის უსაფრთხოების სტანდარტებს და აშშ-ის ფედერალურმა საავიაციო ადმინისტრაციამ ის კატეგორია 1-ის რეიტინგში აიყვანა.

ხორვატიის ხელისუფლებამ, მეწარმეთა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის მიზნით, 2006 წელს დანერგა სხვადასხვა მექანიზმი სამუშაო ბაზის გასაძლიერებლად, ამ მექანიზმს მიეკუთვნებოდა სამუშაო გამოცდილების არმქონე ახალგაზრდების, უმუშევართა, ხანშიშესული ადამიანების და სხვა სოციალურად რთულ სიტუაციაში მყოფი მოსახლეობის მიზანმიმართული განათლება და სამუშაოს ძიებაში დახმარება. 2005 წლის მეორე ნახევარში ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონე იყო, დაახლოებით 30%, რაც ნეგატიურად აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკაზე. 2005 და 2006 წელს მთლიანი კაპიტალური ინვესტიციები კვლავ გაიზარდა, მათი წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 29%-ს შეადგენდა.

ხორვატიაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 78 წელია. შობადობის ჯამური კოეფიციენტი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. მოსახლეობის შემცირებას ხელი შეუწყო ხორვატიის დამოუკიდებლობისთვის ომმა. ომის დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასახლდა და გაიზარდა ემიგრაცია. ხორვატიის მო-

სახლეობა 1857 წლიდან 1991 წლამდე სტაბილურად იზრდებოდა და 2,1 მილიონი კაციდან 4,7 მილიონამდე ავიდა. ამჟამად მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი უარყოფითია. ხორვატია საიმიგრაციო პოლიტიკის შესაბამისად ემიგრანტების მოხიბვლას ცდილობს, რათა მათ დაბრუნებისკენ მისცეს ბიძგი. ხორვატიის სტატისტიკის ბიუროს პროგნოზით, 2051 წლისთვის ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა შესაძლოა 3,1 მილიონ კაცამდე შემცირდეს, რაც დამოკიდებულია შობადობისა და მიგრაციის საღდოზე. ხორვატია მსოფლიოში მე-40 ადგილზეა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით. კერძოდ ეს მაჩვენებელი ამ ქვეყნისთვის შეადგენს 74 წელს მამაკაცებისთვის და 81 წელს ქალებისთვის. ქვეყანაში ბავშვთა სიკვდილიანობის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირებული, კერძოდ 5 შემთხვევა 1000 ცოცხალ ახალშობილზე.

ხორვატიას გააჩნია უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა, რასაც საფუძველი ჩაეყარა უნგრეთ-ხორვატიის 1991 წლის საპარლამენტო აქტით, რომელიც უზრუნველყოფდა სავალდებულო დაზღვევას ქარხნის ყველა მუშისთვის და ყველა ხელოსნისთვის. დღეისთვის ხორვატიის მოსახლეობა გაერთიანებულია ჯანმრთელობის დაზღვევის საბაზისო პროგრამაში. 2009 წლის ჯანდაცვასთან დაკავშირებით წლიურმა ხარჯებმა მიაღწია 20,6 მილიონ კუნას (2,75 მლნ ევრო), 2010 წელს ხორვატიამ თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის 6,9% დახარჯა ჯანდაცვაზე. დღეისთვის სახელმწიფოში არსებობს ასობით ჯანდაცვითი დაწესებულება, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საავადმყოფოები და კლინიკები წელიწადში 700 000-ზე მეტ პაციენტს იღებენ. დასაქმებულია 5500 ექიმი. ხორვატიაში დღესდღეობით დარეგისტრირებულია 6420 კერძო სა მე დიცინო ოფისი და მედიცინის მუშაკთა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით 41 271-ს შეადგენს. სასწრაფო სამედიცინო დახმარება წლიურად მილიონზე მეტ ადამიანს ემსახურება.

ხორვატიას გააჩნია მნიშვნელოვანი სამხედრო ინდუსტრიული სექტორი, რომელმაც 2010 წელს დაახლოებით 120 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობა და შეიარაღება გაიტანა ექსპორტზე. ხორვატიის სამხედრო ძალების მიერ შეიარაღებაში მიღებული ადგილობრივი წარმოების იარაღები და ტე-

ქნიკა მოიცავს HS Produkt-ის მიერ შემუშავებულ წელზე სატარებელ სტანდარტს და HS 2000 და საბრძოლო ტანკებს. ხორვატიული არმიის უნიფორმა და ჩაფხუტებიც ადგილობრივი წარმოებისაა და წარმატებით იყიდება ასევე სხვა ქვეყნებში. 2011 წელს, როგორც ნატოს მართული TSAF-ის ძალების ნაწილი, ასევე დამატებით 350 ჯარისკაცი მსახურობდა ავღანეთში, 20 ჯარისკაცი კოსოვოში. ომის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტი მშპ-ის 2%-იანი ნიშნულის ქვევით იქნა შენარჩუნებული მაშინ, როდესაც 1994 წელს ეს მაჩვენებელი რეკორდულ 11%-ს უდრიდა. ხორვატიაში წარმოიშვა თანამედროვე ჰალსტუხი, რომელსაც XVII საუკუნეში ხორვატი დაქირავებული ჯარისკაცები ატარებდნენ.

ხორვატიაში ღვინის მწარმოებელი ორი გამოკვეთილი რეგიონია. კონტინენტური რეგიონი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, განსაკუთრებით კი სლოვენია, ორიენტირებულია მაღალფასიანი, ძირითადად თეთრი ღვინის წარმოებაზე; ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ ისტრიის და კრკის ღვინოები იტალიაში წარმოებული ღვინოების მსგავსია, მაშინ როდესაც სამხრეთით, დაღმაციაში წითელ ღვინოებს ქმნიან. ღვინის ყოველწლიური წარმოება 140 მილიონ ლიტრს აჭარბებს ყოველწლიურად. XVIII საუკუნემდე ხორვატია ძირითადად ღვინისმსმელ ქვეყნად რჩებოდა, შემდგომ პერიოდში კი ლუდის მასიური წარმოება და მოხმარება დაიწყო. 2008 წელს თითოეულ მოსახლეზე მისი ყოველწლიური მოხმარების რაოდენობამ 83,3 ლიტრი შეადგინა, რამაც ამ მაჩვენებლით მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის ხორვატია მე-15 ადგილზე დააყენა.

გეოგრაფიული მდგომარეობის გამო ხორვატული კულტურა ოთხი სხვადასხვა კულტურის გაეღენას განიცდის, იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილია ქვეყნის 7 ძეგლი. ხორვატიაში არსებობს 25 პროფესიული და 27 სამოყვარულო თეატრი, სადაც დასაქმებულია 1200 ადამიანი. ქვეყანაში არის 24 პროფესიული ორკესტრი, ანსამბლი და მუსიკალური გუნდი. მათ წარმოდგენებს წელიწადში 320 000 მაყურებელი სტუმრობს. ხორვატიაში ფუნქციონირებს 175 მუზეუმი და 1685 ბიბლიოთეკა. მეტად განვითარებულია პოლიგრაფიული სფერო, 2009 წელს ხორვატიაში გამოქვეყნდა 7200 წიგნი და ბროშურა, 2700 ჟურნალი და გაზეთი. წიგნის საგამომცემლო ბაზარზე რამდენიმე მსხვილი

კომპანია დომინირებს, წიგნის ინდუსტრიის მთავარი ღონისძიება - გამოფენა Interliber, ზაგრების ფესტივალის ფარგლებში ყოველწლიურად იმართება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ ახალი აღთქმა და ფსალმუნები 1992 წელს ქართულად დაიბეჭდა ზაგრებში. ხორვატიის ტიპოგრაფია: „გრაფიკი ზავოდ პრვატსკე“ (Printed in Croatia by GZH, Zagreb). ხორვატიაში დიდი ყურადღება ექცევა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, საყოველთაოდ ცნობილ „ბოლონიის პრცესს“ ხორვატია 2001 წელს მიუერთდა.

ხორვატიაში დიდი ყურადღება ექცევა სპორტის განვითარებას. ქვეყანაში 450 000-ზე მეტი აქტიური სპორტსმენია. ყველაზე პოპულარული სპორტი ფეხბურთია. ფეხბურთის ფედერაციაში 118 000-ზე მეტი დარეგისტრირებული მოთამაშეა და ყველაზე დიდი ასოციაციაა ქვეყანაში. ოლიმპიურ თამაშებზე ქვეყანას მოპოვებული აქვს 34 მედალი, აქედან 10 ოქროსი, ასევე 13 ოქროს მედალი მსოფლიო ჩემპიონატებზე. ხორვატიამ სხვადასხვა დროს უმასპინძლა რამდენიმე მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებას.

2014 წლის ოქტომბერში ხორვატიაში ზაგრებში ჩატარდა ინოვაციების საერთაშორისო გამოფენა, AKCA-2014. მისი ორგანიზატორები იყვნენ ეკონომიკის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტის სამინისტრო, სავაჭრო პალატა. მიუხედავად იმისა, რომ ხორვატია პატარა ქვეყანაა და ბოლო ათწლეულების განმავლობაში რთული პერიოდები გამოიარა (ომი, დამოუკიდებლობის მოპოვება), მან მაინც შეძლო ფეხზე დადგომა. დიდი ძალისხმევით აღადგინა დანგრეული ეკონომიკა და წარმატებით აუწყო ფეხი ევროკავშირის მოთხოვნებს, მიიღო გლობალიზაციის ყველა გამოწვევა, გაატარა ინოვაციური პოლიტიკა და გახდა ევროკავშირის ღირსეული წევრი-ქვეყანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრაული ც. ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციები. ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა

გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2016.

2. აბესაძე რ. ინოვაციები - ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერებების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2014.

3. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკისი, თბილისი, 2014.

Tsitsino Tetrauli

CROATIAN INNOVATION SYSTEMS

Summary

The paper deals with the role and importance of the innovative economy in the development of the country in terms of globalization; The peculiarities of the development of the Croatian economy; It is analyzed the way Croatia has gone through the EU membership and the perspectives and innovations introduction of which will bring the country more success in the future.

მელა მელაშვილი

ჩეხეთის რესპუბლიკის ინოვაციური სისტემა

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნული ინოვაციური სისტემა, მისი დღევანდელი მდგმარეობა და განვითარების შესაძლებლობები. აღნიშნულია, რომ ჩეხეთის სახელმწიფოს ძირითად ამოცანათა შორის უმთავრესია კვლევითი სფეროს შენარჩუნება და განვითარება, კონკურენტული სამეწარმეო სფეროს ფორმირება, ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევების და მათი შედეგების ინფორმაციული უზრუნველყოფის სრულყოფა და ა.შ. ავტორს მოყვანილი აქვს ჩეხეთის ინოვაციური სისტემის განვითარების მიზნით შემუშავებული ინვესტიციების

მოზიდვის სპეციალურ პროგრამათა სისტემა, ასევე გაანალიზებულია მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

*** * ***

ჩეხეთის ინოვაციური სისტემის დღევანდელი მდგომარეობის, ასევე ქვეყნის ინოვაციური განვითარების რელსებზე გადასვლის შესაძლებლობების განხილვისას აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ სოციალისტური სისტემის დაშლის პროცესამდე ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობა ხორციელდებოდა გეგმიური ეკონომიკის ფარგლებში და დაკავშირებული იყო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს – **СЭВ** – წევრი-ქვეყნების პრობლემათა გადაწყვეტაზე. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდა ქვეყანას, აქტიური მონაწილეობა მიეღო მსოფლიო სავაჭრო და ინტეგრაციულ პროცესებში. 1993 წლიდან ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობიდან გამოსვლის, მოგვიანებით, 2004 წლიდან ევროკავშირში შესვლისთანავე ჩეხეთისათვის დაიწყო ეკონომიკური განვითარების უახლესი ერა. დღეისათვის ჩეხეთი ითვლება ევროკავშირის ერთ-ერთ სწრაფად განვითარებად ქვეყნად. 2000 წელს ევროკავშირმა მიიღო ეკონომიკის განვითარების სტრატეგია 2010 წლამდე. ამ დოკუმენტის განახლებული ვარიანტის, ე.წ. „ლისაბონის ვერსიის“ (2005) შესაბამისად დასახული ამოცანების შესრულების მიზნით, ევროკავშირის სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩეხეთმაც ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშავა საკუთარი პროგრამა 2005-2008 წლებისათვის. ამ პროგრამის დასრულება დაემთხვა მსოფლიო კრიზისის დასაწყისს, რამაც მთავრობა იძულებული გახდა, გადაეხედა და შეეცვალა ზოგიერთი ორიენტირი 2009-2014 წწ. პერიოდისათვის. კერძოდ, ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობამ 2011 წელს რეფორმების ეროვნული პროგრამა - „ინვესტიციები ევროპულ კონკურენტუნარიანობაში“ - შეადგინა, სადაც მიუთითა, რომ შეიმუშავებს ღონისძიებათა მთელ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს 2020 წლისათვის გაწეულ ხარჯებში სკსსს-ზე და ინოვაციებზე მშპ-ის 1%-ს. ჩეხეთის ეროვნული ეკონომიკის განვითარების ორგანიზაციულ ინსტრუმენტებად მიჩნეულია ინოვაციების დანერგვისათვის უფრო მეტად მომზადებული სტრუქტურების შექმნა (სახელმწიფო კორპორაციები, ტექნოპარკები, ტექნოპოლისები და სხვ.).

ჩეხეთში ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის ფუნქციონირების და განვითარების უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმი უნდა გახდეს ეროვნული ინოვაციური სისტემა (ეის), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მათი ურთიერთობების მექანიზმების ერთობლიობას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ახალი ცოდნის და ტექნოლოგიების შექმნა, შენახვა და გავრცელება. ეროვნული ინოვაციური სისტემის ფარგლებში სახელმწიფო მოწოდებულია აყალიბებდეს და ახორციელებდეს თავის პოლიტიკას კონკურენტუნარიანობის და ქვეყნის ეკონომიკის ეფექტურობის ზრდის მაღალი დონის მისაღწევად. ამიტომ, ჩეხეთის სახელმწიფოს ძირითად ამოცანათა შორის უმთავრესს წარმოადგენს კვლევითი სფეროს შენარჩუნება და განვითარება, კონკურენტული სამეწარმეო სფეროს ფორმირება, ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების ხელშეწყობა სახელმწიფოსა და მრეწველობას შორის პარტნიორობის ორგანიზების გზით, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერება, პირველადი და მეორადი განათლების სრულყოფა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დაჩქარება, სამეცნიერო კვლევების და მათი შედეგების ინფორმაციული უზრუნველყოფის სრულყოფა და ა.შ.

თანამედროვე პერიოდში ჩეხეთის ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარების და სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტია „ეროვნული პოლიტიკა ინოვაციების დარგში“, რომელიც ერთობლივად შემუშავებულია ჩეხეთის ეკონომიკის სამინისტროს, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს და განათლების სამინისტროს მიერ და მთავრობის მიერ იქნა მიღებული 2005 წლის 7 ივლისს, ამ დოკუმენტის თანახმად, ჩეხეთის სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა განსაზღვრონ მსოფლიო ბაზრის რომელ „წერტილში“ შეუძლიათ არსებული ჯაჭვის გარღვევა ჩეხურ ტექნოლოგიებს, რაც ჩეხეთის ეკონომიკური განვითარების პირველხარისხიანი ამოცანაა.

ნებისმიერ ქვეყანაში ცხოვრების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია განათლების სისტემის მდგომარეობა. ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში არიან: თუ განათლება მაღალ დონეზეა, მოქალაქეების კეთილდღეობისა და ბედნიერების დონეც ასევე მაღალ დონეზეა. ამიტომ

ცალკე დაწვრილებით გვინდა განვიხილოთ ჩეხეთის რესპუბლიკის საგანმანათლებლო სისტემა, როგორც ინოვაციური სისტემის ძირითადი შემადგენელი და შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი რგოლი.

ჩეხეთში განათლების სისტემა სამი ნაწილისაგან შედგება: სკოლამდელი, სასკოლო და უმაღლესი განათლება.

სკოლამდელ განათლებას (Materska skola) ბავშვები 3 წლის ასაკიდან იღებენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საბავშვო ბაღებში, რომელთა რაოდენობა შედარებით ნაკლებია.

სასკოლო განათლება ჩეხეთში ორსაფეხურიანია: პირველი საფეხურია ე.წ. ძირითადი (Zakladni Skola), ხოლო მეორე - უფროსი (Sekundari vzdeleni). საბაზო განათლების მიღებას ბავშვი 6 წლიდან იწყებს და 14 წლის ამთავრებს. განათლების ეს საფეხური ჩეხეთში სავალდებულოა რაც განსაზღვრულია ჯერ კიდევ 1949 წელს მიღებული კანონით (ეს შეესაბამება საბჭოთა სკოლების აუცილებელ 8 კლასის განათლებას). საბაზო 9 წლიანი განათლების მიღების შემდეგ მოსწავლეების წინაშე 3 ვარიანტი დგება:

- საშუალო სკოლა (Stredni Skola) – 2 წლიანი სწავლა, რომლის შემდეგ სიმწიფის ატესტატი არ გაიცემა;

- საშუალო სპეციალური პროფესიული სასწავლებელი (Stredni odborni uciliste) – 2-3 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლეები იღებენ პროფესიას. 9 კლასის შემდეგ სკოლადამთავრებულთა 80% აგრძელებს სწავლას პროფესიულ სკოლებში ან პროფესიულ სასწავლებლებში. პროფესიულ სკოლათა განსაკუთრებულ ტიპს მიეკუთვნება კონსერვატორია, სადაც 6–8 წლის მანძილზე შეისწავლება სიმღერა, მუსიკა, ცეკვა, დრამატული ხელოვნება. თუმცა სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, კონსერვატორია უმაღლეს განათლებას არ იძლევა: მას იღებენ მხოლოდ „უმაღლესი“ სკოლების კატეგორიას მიეკუთვნებულ უნივერსიტეტებში.

- საშუალო განათლება სიმწიფის ატესტატის მიღებით (Stredni odborni skols – SOS). 4 წლის სწავლების შემდეგ გაიცემა სიმწიფის ატესტატი. მხოლოდ ეს უკანასკნელი იძლევა უფლებას მოსწავლემ სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში.

უმაღლესი განათლების (Vysoka Skola) მიღება ჩეხეთში შეიძლება კოლეჯებში, ინსტიტუტებში, აკადემიაში ან უნივერსიტეტებში. კოლეჯი იძლევა ვიწრო სპეციალიზებულ ცოდნას და

არ გააჩნია მაგისტრატურა, აკადემიები ამზადებენ უმაღლეს სპეციალისტებს ლიტერატურის, კულტურის და ხელოვნების დარგში.

უნივერსიტეტებში კი მიიღება ფართო, ე.წ. აკადემიური განათლება მაგისტრატურის ჩათვლით. ჩეხეთის უნივერსიტეტების დიპლომები მიღებულია ევროკავშირის ყველა ქვეყანაში, რაც ძალიან ნიშანდობლივია. ქვეყანაში არის როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტები, სწავლების ხარისხი არაფრით განსხვავდება. მათ შორის სხვაობა მხოლოდ სწავლის საფასურშია. ზოგადად უმაღლესი განათლება ჩეხეთში უფასოა, თუმცა მხოლოდ იმ სტუდენტებისათვის, ვინც წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალგაზრდას შეუძლია განათლება მიიღოს კერძო უნივერსიტეტში, სადაც განათლების საფასური 2000-დან 5000 ევრომდეა წელიწადში. ამ კატეგორიის სტუდენტების დასახმარებლად ჩეხეთში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის ფონდები, რომლებიც მათ უხდიან სტიპენდიას ან გამოუყოფენ გრანტს. ეს შეიძლება იყოს „ვიშეგრადის ფონდი“, „საერთაშორისო მობილურობის სამხრეთ მორავიის ფონდი“. აქ აუცილებლად გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩეხური კანონმდებლობა დიდი ხნის განმავლობაში უფასო განათლებას მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებს აძლევდა, უცხოელებისათვის იგი ფასიანი იყო, მაგრამ საერთო ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად 1999 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი, რომელიც ემყარება თანაბარი პირობების პრინციპს ყველასათვის. მაგრამ აქ არის ჩადებული ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა - უფასოა სწავლება ჩეხურ ენაზე. სხვა შემთხვევაში სტუდენტი იხდის საფასურს 3000-დან 10000 აშშ დოლარამდე, გამომდინარე უნივერსიტეტის პრესტიჟიდან და არჩეული ფაკულტეტიდან. რადგანაც ჩეხეთში სწავლება მხოლოდ ჩეხურ ენაზე მიმდინარეობს, ამიტომ ზემოთ აღნიშნული ფონდებიდან დახმარებათა ძირითადი ნაწილი სწორედ ჩეხური ენის შესწავლას ხმარდება, რადგანაც, როგორც აღმოჩნდა, ამ ქვეყანაში საკმაოდ ბევრი უცხოელი სტუდენტი სწავლობს. ამას თავისი მიზეზები გააჩნია: ჯერ ერთი - აქ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმაღლესი სწავლება უფასოა, ოღონდ მხოლოდ ჩეხურ ენაზე, ამიტომ ადამიანს შეუძლია გარკვეული პერიოდი და თანხა ჩეხური ენის შესწავლას მოახმაროს, სამაგიეროდ მიიღოს უფასო უმაღლესი განათლება; მეორე - ფასიანი განათლების შემთხვევა-

შიც კი სწავლის გადასახადი ნაკლებია ევროპის ბევრ ქვეყანასთან შედარებით, ხოლო რაც შეეხება განათლების დონეს, იგი საკმაოდ მაღალია; მესამე - ჩეხეთის კერძო სასწავლებლებში არ ტარდება მისაღები გამოცდები. მიღება აქ წარმოებს ატესტატის, ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის და დამატებითი გასაუბრების საფუძველზე; და ბოლოს, ჩეხეთის კერძო სასწავლებლები და სახელმწიფო უნივერსიტეტები უცხოელ სტუდენტებს სთავაზობენ მრავალფეროვან ინგლისურენოვან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, რაც უცხოელებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ჩეხეთში სწავლის დროს ნებისმიერ სტუდენტს და მათ შორის უცხოელებსაც აქვთ ოფიციალური უფლება იმუშაონ სწავლის პარალელურად. ჩეხეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ხანგრძლიობა შეადგენს 3-დან 5 წლამდე პერიოდს. სწავლის დაწყებიდან 3 წელიწადში სტუდენტი იღებს ბაკალავრის დიპლომს, დამატებით 2 წელი საჭიროა მაგისტრის ხარისხის მისაღებად. დოქტურანტურის გავლა კი საშუალოდ მოიცავს 2-3 წელს.

ჩეხეთში დღეს 27 სახელმწიფო და 46 არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია. ყველა ჩეხური უმაღლესი განათლების დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის ხარისხს, ხოლო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე შეიძლება „ინჟინრის“ დიპლომის მიღება, რაც ძალიან მაღალი შეფასების და სამეცნიერო ხარისხის ეკვივალენტად ითვლება.

ჩეხეთი ევროპის იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებიც შეუერთდნენ ბოლონიის პროცესს. ჩეხეთის სასწავლო დაწესებულებათა უმრავლესობაში მოქმედებს შეფასების სისტემა, რომელიც ესადაგება კრედიტების დაგროვებისა და დათვლის ევროპულ სისტემას – ECTS. აქ მოქმედებს ახალი სასწავლო პროგრამები საერთაშორისო მოთხოვნათა შესაბამისად. მმართველობის ცენტრალურ საგანმანათლებლო ორგანოს ჩეხეთში წარმოადგენს განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. უმაღლესი განათლების ხარისხზე დამკვირვებლის ფუნქციას კი ასრულებს სააკრედიტაციო კომისია.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ განათლების ყველა დონე ჩეხეთში პასუხობს განათლების საერთაშორისო კლასიფიკაციის ნორმებს (ISCED), და მთლიანად შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს. ჩეხეთის უმაღლესი სასწავლებლების დიპლომები აღიარებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ჩეხეთის მოწინავე უნივერსიტეტები შედის მსოფლიო საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგში - QS World University Rankings. აქ მოხვედრა შეიძლება სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით: უცხოელი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების წილი საერთო რაოდენობაში, ავტორიტეტულობა სამეცნიერო კვლევების დარგში, პუბლიკაციების ციტირების ინდექსი.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩეხური სახელმწიფო უნივერსიტეტები ავტომატურად და უფასოდ გასცემენ იპლომა შუპ-პლემენტ - ჩეხური დიპლომის ევროპული დამატება ჩეხურ და ინგლისურ ენებზე, რომელიც შემუშავებულია ევროკომისიის, ევროპის საბჭოს და იუნესკოს მიერ და რომელიც საშუალებას აძლევს მის მფლობელს იმუშაოს თავისი კვალიფიკაციის შესაბამისად ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში.

უმაღლეს განათლებას ჩეხეთში გააჩნია მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები. ჩეხეთის სამეფო ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში გახდა ევროპის ერთ-ერთი საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრი. 1348 წელს რომის იმპერატორმა და ჩეხეთის მეფემ კარლ IV დაარსა ცენტრალური ევროპის პირველი უნივერსიტეტი – კარლის უნივერსიტეტი პრაღაში. ხოლო 1717 წელს კი კვლავ ჩეხეთში ამოქმედდა პირველი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი ევროპაში – პრაღის ტექნიკური უნივერსიტეტი. კარლის უნივერსიტეტში ასწავლიდა ლეგენდარული იან გუსი, ხოლო აქ სწავლობდნენ ცნობილი მწერლები კარელ ჩაპეკი და ფრანც კაფკა.

ჩეხურ უნივერსიტეტთა შორის სიდიდით მეორეა ქ. ბრნოს მასარიკის უნივერსიტეტი, რომელიც დაარსდა 1919 წელს ჩეხოსლოვაკიის პირველი პრეზიდენტის ტომაშ მასარიკის მიერ. არანაკლებ პოპულარულია ასევე პარკუბიცეს უნივერსიტეტი (დაარსდა 1950 წელს), პურკინეს უნივერსიტეტი, პრაღის ეკონომიკის უნივერსიტეტი, სამხრეთ ბოჰემიის უნივერსიტეტი, ოსტრაკის უნივერსიტეტი. ასევე ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს ფრანტიშეკ პალაცის სახელობის ოლომოუცის უნივერსიტეტი. იგი

ჩეხეთში ერთ-ერთი უძველესია, დაარსდა 1566 წელს, როგორც იეზუიტური სემინარია.

ნებისმიერი ქვეყნის ინოვაციური სისტემის წარმატებით განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სამეწარმეო აქტიურობის განვითარება, კერძო საწარმოების შექმნა, ტექნოლოგიების მიტანა წარმოებამდე, სამეცნიერო კვლევათა და დამუშავებების შედეგების კომერციალიზაცია, რეგიონული განვითარება, დასაქმების პრობლემების გადაჭრა და ა.შ. ჩეხეთის ინოვაციური სტრატეგიის ფარგლებში. ამ კუთხით წარმატებით ფუნქციონირებს სამეცნიერო-ტექნიკური პარკების, ბიზნეს-ინკუბატორების და კლასტერების ინსტიტუტი. პრადის უნივერსიტეტები ინტენსიურად ქმნიან ინკუბატორებს მეწარმეებისათვის, სადაც სტარტ-უპ-ებს დაეხმარებიან, რეალიზება გაუკეთონ თავიანთ იდეებს და გავიდნენ ბაზარზე. ამ მიმართულებით პირველები იყვნენ ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (CVUT), ჩეხეთის მიწათმოქმედების უნივერსიტეტი (CZU), პრადის ეკონომიკური უნივერსიტეტი (VZE). VZE-ს ინკუბატორის „xPart“ დაფინანსებას განახორციელებს თვით უნივერსიტეტი და თომაშ ბატას ფონდი. ინკუბატორი xPart ორ დონეს მოიცავს: პირველი - „iPart“ იმუშავებს ბიზნესიდეებზე, რომლებიც რეალურად ჯერ არსად განხორციელებულა, ხოლო მეორე - „aPart“ - იმ იდეებზე, რომლებმაც უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯი ბაზარზე რაიმე საქონლის ან მომსახურების სახით და სჭირდებათ შემდგომი დახმარება.

პრადის ტექნიკური უნივერსიტეტი 1992 წლიდან თანამშრომლობს ინკუბატორთან და სტარტი მისცა ისეთ ფირმებს, როგორიცაა: „Etnetera“, „ImageMetry“ და „Do-It“.

ამ ბოლო დროს გაჩნდა და წარმატებით ვითარდება ახალი ფენომენი - კლასტერი. კლასტერი წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკის შემადგენელ ელემენტს, რომელიც აყალიბებს ტერიტორიის, რეგიონის ეკონომიკას. როგორც წესი, კლასტერი უნდა „ემსახურობდეს“ არანაკლებ 15 დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელთა 75% წარმოებით, ვაჭრობით ან მომსახურების გაწევით უნდა იყოს დაკავებული. კლასტერის წევრთა უმეტესობა (არანაკლებ 60%-სა) უნდა იყოს მცირე და საშუალო საწარმო. ასევე კლასტერები იქმნება იმ დარგებსა და რეგიონებში, სადაც საჭიროა ტრადიციული ეკონომიკური ურთიერთობების „გადატ-

ვირთვა“. 2012 წლისათვის ჩეხეთში იყო 80 კლასტერი. 2014 წელს ქვეყანაში მიღებული კლასტერული პროგრამის - OPPIK – COOPERATION (რომელიც გათვლილია 2020 წლამდე) - შესაბამისად ხდება კლასტერული პოლიტიკის მოდიფიკაცია. ამ პროგრამის დაფინანსება შეადგენს 400 მლნ ევროს, რომლის 10% მოდის სახელმწიფო ბიუჯეტზე, დანარჩენი - ევროკავშირის სხვადასხვა ფონდზე. გარკვეული სიძნელეები დაკავშირებულია იმასთან, რომ სახელმწიფო დახმარება გათვლილია მხოლოდ ინდუსტრიული კლასტერებისათვის (როგორც აღვნიშნეთ, პროექტს კურირებს მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო).

ჩეხეთში კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნული კლასტერული ასოციაცია, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ჩეხური კლასტერების საერთაშორისო გლობალურ დონეზე გაყვანა. კლასტერული პოლიტიკის აკადემიურ მხარდაჭერას ახორციელებს თომაშ ბატას უნივერსიტეტი ქ. ზლინში (ამ ცნობილი მეწარმის სახელს უკავშირდება ფეხსაცმლის ფირმა „Bata“-ს არსებობა, რომელიც ფეხსაცმელს 80 ქვეყანაში ყიდის).

ზოგადად კლასტერული პოლიტიკა ჩეხეთში ჩაისახა 2002 წლიდან, მორავია-სელეზიის რეგიონის კლასტერების საპილოტო შესწავლით კორპორაცია Czechinvest-ის მიერ.

ჩეხეთში მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს ეგიდით მუშაობს პროგრამა „კლასტერები“. ჩეხეთის რესპუბლიკაში არსებული კლასტერების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1 (იხ. ცხრ. 1)

ცხრილი 1

ლიდერი ჩეხური კლასტერები

№	კლასტერული ორგანიზაციების დასახელება	დაარსების წელი	რეიტინგი
1	მორავია-სილეზიის საავტომობილო კლასტერი	2006	193
2	პლატმასების კლასტერი - PLASTR -	2006	147
3	ჩეხეთის ჩარხმშენებლობის კლასტერი	2003	116
4	ტექნიკური ტექსტილის კლასტერი -CLUTEX	2006	115
5	შესაფუთი მასალების წარმოების კლასტერი - OMNIPACK	2005	114
6	ზოგადი მანქანათმშენებლობის კლასტერი - CGMC	2009	113

7	ჩეხური IT-კლასტერი	2010	112
8	CREA Hydro&Energy	2008	110
9	მორავია-სილეზიის ხის დამამუშავებელი კლასტერი	2005	110
10	ნარჩენების ენერჯად გადამამუშავებელი კლასტერი - ENVICRACK	2006	109
11	ჩეხეთის ავეჯის კლასტერი	2006	109
12	ENERGOKLASTR	2008	105
13	მორავია-სილეზიის ტურისტული კლასტერი - KLACR	2008	105
14	გრადეცის IT კლასტერი	2008	100
15	უსაფრთხო ტექნოლოგიების კლასტერი	2010	98
16	IT კლასტერი (ოსტრავა)	2006	97
17	ჩეხური პელეტი	2010	95
18	ენერჯოდამზოვი კონსტრუქციების კლასტერი - NIPAS	2006	95
19	ჩეხეთის სამთო-გადამამუშავებელი კლასტერი	2007	92

ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნული ინოვაციური სისტემის წარმატებით ფუნქციონირების, ეკონომიკის სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს რეგულირების, დაფინანსების და მხარდაჭერის საკითხებს კურირებს ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის საბჭო კვლევებისა და განვითარების დარგში და ჩეხეთის განათლების სამინისტრო. მიზნობრივ კვლევით პროგრამებს ახორციელებს 22 სახელმწიფო ორგანიზაცია და დაწესებულება. მათ შორის ძირითადებია ის ორგანიზაციები, რომლებიც დამოუკიდებლად ეწევიან სამეცნიერო კვლევებს. ესენია:

1. ჩეხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია;
2. ჩეხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საგრანტო სააგენტო;
3. ჩეხეთის რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო.

ჩეხეთში ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარების და სრულყოფის მიზნით შემუშავებულ იქნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სპეციალური პროგრამათა სისტემა, რომლის ძირითადი ელემენტები შემდეგია:

„**Dokrok**“ - სამრეწველო კვლევებისა და დამუშავების ხელშეწყობის პროგრამა, ჩეხეთის მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით;

„**Tandem**“ - მრეწველობაში სკსსს-ის შედეგების დანერგვის პროგრამა, მისი ეფექტურობის ზრდა;

„**Impuls**“ - ახალი ტექნოლოგიების, მასალების და ნაკეთობების დამუშავების ხელშეწყობის პროგრამა;

„**Stratech**“ - სტრატეგიული სამრეწველო ტექნოლოგიების შემუშავების და დანერგვის პროგრამა;

„**Technos**“ - მცირე მეწარმეობის განვითარების პროგრამა.

ეს პროგრამები ღიაა ყველა სუბიექტისათვის, მათ შორის უცხოური კაპიტალის 100%-იანი მონაწილეობითაც. მიზნობრივი კვლევითი პროგრამები ხორციელდება 23 სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებთან ურთიერთკავშირს, მთავრობათაშორისი ურთიერთობები ხორციელდება შემდეგი პროგრამების ფარგლებში:

GOST, EUREKA, EKA (კოსმოსის კვლევის საერთო ევროპული პროგრამა), **INTAS, EMBC** და სხვ. ერთობლივი კვლევები სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება როგორც ევროკავშირის ფარგლებში, ასევე შემდეგ ქვეყნებთან ერთად: აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, იტალია, იაპონია, საბერძნეთი, სლოვენია, კორეა, სლოვაკია, ჩინეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ფინეთი, ინგლისი, რუსეთი და სხვ.

ყველა აღნიშნული პროგრამის დაფინანსებას ახორციელებს სააგენტო **CzechInvest**-ი. მისი პროგრამები მიზნად ისახავს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და განაწილებას და ამ გზით ადგილობრივი კომპანიების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

კომპანია **Angelon Economica**-ის მონაცემების მიხედვით, ჩეხეთი ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეგიონად საშუალო, ტექნიკური და საუნივერსიტეტო განათლების პროგრამების მხრივ, რომლებიც შექმნილია სპეციალურად ნახევრადგამტარების ტექნოლოგიებისა და მიკროელექტრონიკის დარგში (ჯერ კიდევ 1960 წლიდან ჩეხეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მიკროელექტრონიკის ტექნოლოგიების დამუშავების დარგში

„საბჭოთა ბლოკისათვის“). აქ დიდი ყურადღება ექცევა სკსს პროგრამებს ნახევარგამტარების და მის მეზობელ დარგებში. მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის სფეროში ჩეხეთის რესპუბლიკაში მიემართება სკსს-თვის გათვალისწინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაკადი, რომელიც გათვლილია „ახალი ევროპისათვის“ (4.1 ათასი დოლარი ერთ სულ მოსახლეზე), რომლის უდიდესი წილი მიემართება ნახევარგამტარების დარგში მოქმედ მოწინავე ფირმებისაკენ, **rogoricaa: Frescaole, ON.Semiconductor, Electronics, ST Microelectronics, ML Semiconductor, S3**. ბოლო წლებში გაჩნდა ახალი ფირმები. მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილი ფირმა თესლა-ს თანამშრომლებმა შექმნეს ფირმა **ASI Centrum**. მიკროელექტრონიკის კვლევით ცენტრად ითვლება **ChipinvestC**-ი. ეს არის „ინკუბატორთა ინკუბატორი“, რომელიც აერთიანებს საუნივერსიტეტო მეცნიერთა ჯგუფებს, ინკუბატორებს და ინფრასტრუქტურულ ელემენტებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში.

უდავოა, რომ ეკონომიკის ინოვაციური განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების კომერციალიზაციასთან. მაგრამ ჩეხეთში, ისე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში, სათანადო ინვესტიციური ტექნოლოგიების და სამეცნიერო კვლევების შედეგების გაყიდვის კომერციული გამოცდილების, ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის ერთიანი საინფორმაციო რესურსის არარსებობის, ინოვაციური მენეჯმენტის და მარკეტინგის სპეციალისტების დეფიციტის, ფინანსური სახსრების სიმცირის პირობებში, საწარმოები და კომპანიები ხვდებიან დიდ სიძნელეებს სწორედ კომერციალიზაციის განხრით, რის გამოც სამეცნიერო და ტექნოლოგიური სიახლეები ვერ აღწევს თავის პოტენციურ მომხმარებელამდე. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ხშირად ეს სიახლეები არათუ თამამად შექმნილი კონკურენცია გაუწიონ, არამედ ჯობნიან კიდევ შესაბამის უცხოურ ანალოგებს, რომლებიც ლიდერობენ ტექნოლოგიურ ბაზარზე.

და, ბოლოს, სრულიად ნათელია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ადგილი აქვს „ინოვაციურ ბაზრებზე“ კონკურენციის განუხრეველ ზრდას. აქ ლიდერობის მიღწევა და შემდეგ მისი შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ გონიერი ინოვაციური პოლიტიკის

გატარებით წარმტებული ინოვაციური ეროვნული სისტემის შექმნის გზით.

აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ ჩეხური ინოვაციური სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები შემდეგია:

- კომპლექსური სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის გატარება;

- ქვეყნის სამეცნიერო და საგანმანათლებლო პოტენციალის გამოყენება მეცნიერებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შესაქმნელად. მეცნიერებასა და განათლების სისტემებს შორის უნდა არსებობდეს გაცვლა-გამოცვლის ეფექტური პროგრამა, რაც განათლებას საშუალებას მისცემს, გააძლიეროს სამეცნიერო ბაზა, ხოლო მეცნიერებას მოამარაგებს ახალგაზრდა მცოდნე სპეციალისტებით;

- წარმოების ფართომასშტაბიანი ტექნოლოგიური რეორგანიზაცია, ძირითადად თვით ჩეხური დამუშავებების ბაზაზე. პრიორიტეტის მინიჭება ჩეხური პროდუქციის გამოყენებაზე უდიდეს სტიმულს მისცემს ახალი ტექნოლოგიების წარმოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. მელაშვილი, ჩეხეთის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკა თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IX, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016, გვ.183

2. <http://czholding.ru/about-cz/socialnoe-obespechenie/> Социальное обеспечение в Чехии

3. http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20Paper_WG2_Inovacia.pdf

4. http://gossmi.ru/page/gos1_232.htm Инновационные кластеры в Чешской Республике

5. <https://infopedia.su/3xc0d2.html> Социальные инновации: особенности, структуры, типы

6. <http://ptel.cz/2016/04/pensiya-v-chexii-teoriya-i-praktika/> Пенсия в Чехии: теория и практика

7. <http://420on.cz/immigration/life/6673-prozhitochnyy-minimum-i-sotsialnye-posobiya-v-chehii> Прожиточный минимум и социальные пособия в Чехии

8. <http://hochusvalit.com/chekhiya/zarplata-v-chekhii> МИНИМАЛЬНАЯ И СРЕДНЯЯ ЗАРПЛАТА В ЧЕХИИ
9. <http://www.studfiles.ru/preview/6012345/>
10. <http://pandia.ru/text/77/156/24898.php> РАЗВИТИЕ ИННОВАЦИОННОЙ СФЕРЫ ЭКОНОМИКИ ЧЕХИИ
11. http://www.muiv.ru/vestnik/pdf/eu/eu_2014_1_50-56.pdf СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ НАЦИОНАЛЬНЫХ ИННОВАЦИОННЫХ СИСТЕМ Елена Степановна Русак, к.э.н., доцент, зав. кафедрой экономики предприятий, Сергей Михайлович Воронин, к.э.н., доцент кафедры экономики предприятий
12. <http://innosfera.by/node/3979> Инновационная стратегия Чешской Республики
13. <https://creativeconomy.ru/lib/10081> Глобализация и развитие инновационной системы национальной экономики Крафт Й.
14. <http://litcey.ru/informatika/36957/index.html> Научно-технические парки в Чешской Республике Павел Швейда.
15. <http://www.rusnor.org/pubs/reviews/15441.htm> Продолжаем разговор об инновационных системах и проблемах развития инноваций

Medea Melashvili

INNOVATIVE SYSTEM OF THE CZECH REPUBLIC

Summary

The work deals with the national innovation system of the Czech Republic, its current position and development opportunities. It is noted that the main tasks of the state are the preservation and development of research sphere, formation of competitive entrepreneurial sphere, promotion of priority directions of technological development, improvement of scientific research and their results, etc. The authors have provided special programs for attracting investments designed to develop Czech innovation system, as well as analyzing the main directions of its perfection.

სლოვენის ინოვაციური სისტემა

ევროინტეგრაციული გარდაქმნების ვითარებაში აქტუალურია სლოვენის ინოვაციური სისტემის ფუნქციონირება და მისი ინოვაციების ექსპორტის გაფართოება. იგი ბიზნესის ინტერნაციონალიზაციისა და ევრომეწარმეობის განვითარებისათვის აუცილებელ საფუძველსა და წინამძღვარს შეადგენს, რაც განაპირობებს ინოვაციების მიწოდებისა და წარმოებაში ათვისების პროგრამის, ფირმის მართვის ინოვაციური მეთოდების მოქმედებაში მოყვანას.

ნაშრომის ძირითად მიზანია სლოვენის ინოვაციური სისტემის წარმოქმნის შედეგად შემდეგის განხორციელება: 1. ინოვაციების გამოგონებათა არეების გაფართოება, 2. მათი წარმოებაში ათვისების პროცესებში ინტეგრაცია; 3. ბიზნესის სექტორის მართვისა და დასაქმების ინოვაციური მეთოდების ფართოდ გამოყენება; 4. მეწარმეობის ინოვაციურობის მიღწევა და ევრომეწარმეობის წარმოშობა და განვითარება.

სლოვენის ინოვაციური სისტემა მიზნად ისახავს იმ ძირითადი ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა შორის მთავარია: ინოვაციური ევრომეწარმეობის განვითარება და ბიზნესის უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება; ევრომეწარმეობის ობიექტებში სლოვენის მეცნიერული და ტექნიკური, ასევე მასთან დაკავშირებული ინოვაციური პოტენციალის რაციონალურად გამოყენება; ინოვაციური ბიზნესის განვითარების პროცესებისათვის აუცილებელი მეწარმეობის სექტორების მოწესრიგება და მათი მმართველობითი სისტემის გარდაქმნა ევროინტეგრაციის პრინციპების შესაბამისად, რაც საჭიროა ეფექტიანი შიდასამეწარმეო პოლიტიკის გასატარებლად და ინოვაციური მეწარმეობის განვითარების სტიმულირებისათვის.

სლოვენის ინოვაციური სისტემა აქტიურად ზემოქმედებს ევროსაბაზრო ურთიერთობებსა და ევროკავშირის ინოვაციურ საქმიანობაზე.

თანამედროვე ევროინტეგრაციული ურთიერთკავშირების განვითარების პროცესში სლოვენის მეწარმეობის ეკონომიკური და სოციალური სექტორების ეფექტიანი ფუნქციონირება უკავ-

შირდება მის ორგანიზებულობას. მისი მიზანია ევროინტეგრაციის ფარგლებში საქონლისა და კაპიტალის თავისუფალი მიწოდება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და სოციალური მომსახურების დარგებისა და ფინანსური რესურსების სფეროში მომუშავე ფირმებისათვის, ასევე ინოვაციური საქმიანობის გაუმჯობესება და საბაზრო ურთიერთობების განმტკიცება. სლოვენის ინოვაციური საქმიანობა ხორციელდება ევრომეწარმეობის განვითარების პროგრამების გზით შემუშავებული ინოვაციების საფუძველზე, მათ შორის ძირითადია: 1. საზღვრისპირა ურთიერთთანამშრომლობისა და 2. ტექნიკური ურთიერთდახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროგრამა; 3. მმართველობითი მექანიზმი, რაც განაპირობებს წარმატებებს მეწარმეობის დარგში ინტეგრაციულ ურთიერთკავშირში გაერთიანებულ წარმოებათა მმართველობასთან დაკავშირებულ რეფორმებში.

სლოვენის ეკონომიკისა და სოციალურ დარგებში ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ჩამოყალიბდა სლოვენის ინოვაციური სისტემა, რომლის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია: 1. სლოვენის საგანმანათლებლო სისტემა, 2. სლოვენის სამეცნიერო და ტექნიკური სისტემა, 3. მისი საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება-მოწესრიგებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ტექნიკური საფუძვლების გაუმჯობესება.

სლოვენის ინოვაციური სისტემა. სლოვენის ინოვაციური სისტემა წარმოადგენს მისი მეწარმეობის და ტექნოლოგიების განვითარების და ბიზნესის ინოვაციური პროდუქციისა და მომსახურების პროცესში სამეცნიერო კვლევების განვითარების შედეგების გამოყენებისას ურთიერთგაერთიანების გზით წარმოქმნილი ელემენტების ერთობლიობას, რომელიც განაპირობებს მეწარმეობის დარგებში ინოვაციური პოტენციალის რაციონალურად წარმოებას. ამის საფუძველს კი სლოვენიაში ინოვაციური პოტენციალის გამოკვლევის შედეგად (2016) შემუშავებული ინოვაციური მეწარმეობის განვითარების კონცეფცია წარმოადგენს. ამ კონცეფციით გათვალისწინებულია სლოვენიაში ლუდის შადრევანის დაარსება, ასევე ევროკომპანიების დაფუძნება და საწარმოთა ინტეგრაციის გზით მათი გარდაქმნა, ინოვაციასა და

პროდუქციის ექსპორტს შორის ურთიერთკავშირის საშუალებით ინოვაციური ექსპორტის განხორციელება.

სლოვენიის ინოვაციური სისტემის მთავარი დანიშნულებაა კონკურენტული უპირატესობის მიღწევა საექსპორტო საბაზრო პროცესებში. ამას განაპირობებს სლოვენიის ინოვაციური პროდუქციისათვის დამახასიათებელი, მომხმარებლისათვის გამიზნული განსაკუთრებული სარგებლიანობა; მისი საწარმოო და მასთან დაკავშირებული საბაზრო ლოგისტიკა; შრომის დანახარჯების მინიმალურობა და ფასების ოპტიმალურობა; პროდუქციისა და მომსახურების მაღალი ხარისხი; საექსპორტო პროდუქციის გამორჩეული დიზაინი და მაღალი ინოვაციურობა.

ინოვაციური სისტემის ფუნქციონირების შედეგები განისაზღვრება სლოვენიის ეკონომიკის განვითარებასთან ურთიერთშესაბამისობაში და მის მისაღებად დადგენილი ფინანსური რესურსების ძირითად ელემენტს ევროსაფინანსო ოპერაციები ასრულებენ. ასეთია მაგალითად სლოვენიაში – ევროპაში პირველი ლუდის შადრევანის გახსნა (2016), რომელიც 350 ათასი ევროთია დაფინანსებული, ასევე სლოვენიაში და საქართველოს შორის სახმელეთო ტრანსპორტის მოწესრიგება და სლოვენური სადესერტო ღვინის პროდუქციის ექსპორტის დაფინანსება მომხმარებლის მიერ 600 ათასი ევროთი. სლოვენიაში განისაზღვრა ტურიზმის განვითარების, საწარმოებში ახალი ტექნოლოგიების და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის მმართველობითი ინოვაციების ათვისების შესაძლებლობანი. ასევე, სლოვენის ეკონომიკის ოპერატიულობის ამაღლების მიზნით მთავარია მისი რაციონალური ორგანიზაცია და ეფექტიანი განვითარების ინსტრუმენტების გამოყენება, ხოლო ინოვაციური და ინტეგრაციული პოლიტიკის გასატარებლად საჭირო დაფინანსების განსახორციელებლად აუცილებელი ღონისძიებები რეალიზდება ევროპის რეგიონული ფონდის სახსრებით. ამავე დროს, მეწარმეობის განვითარების მმართველობითი სისტემისათვის დამახასიათებელია რესურსებით და კონსულტაციებით მომსახურება, რომლის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობაში ევროსტანდარტების დანერგვა და მათი შედეგების გავრცელება.

ეკონომიკისა და მეწარმეობის დარგების მრავალსახეობა, რომელიც სლოვენისათვისაა დამახასიათებელი, განაპირობებს

ინოვაციური პროდუქციის სიმრავლეს და მისი ინოვაციური სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას უდევს საფუძვლად. ამის შედეგს წარმოადგენს სლოვენიის მონაწილეობა მცირე და საშუალო სექტორების ინტერნაციონალიზაციის პროცესში კონკურენტულ ბიზნესწინადადებათა გაცვლის გზით, ასევე ევრო-საბაზრო პროცესებში – ინოვაციების ექსპორტის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის გაცნობისა და ტექნიკური საკითხების მოგვარებაში. კერძოდ, ევროკავშირის სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკის განხორციელებაში.

ინოვაციური სისტემის და მისი წარმართვის პროცესის ერთ-ერთ ელემენტს სლოვენიის ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკის გატარება წარმოადგენს. მისი განხორციელებისა და ინოვაციური სისტემის ფუნქციონირებისათვის მთავარია: 1. კომპანიებისა და მომსახურების ობიექტების დაფუძნება. იგი ხორციელდება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ არსებული დოკუმენტების საფუძველზე, რამაც ევროკომპანიების წარმოშობა განაპირობა; 2. ევროკომპანიების დაფუძნება და მისი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, კორპორაციული მმართველობითი სისტემის შემოღება საერთაშორისო სტანდარტებთან ურთიერთ-შესაბამისობით; 3. მეწარმეობის სექტორებისათვის მომსახურების მიწოდების მიზნით საბაზრო შეზღუდვების გაუქმება და ამ მიზეზით არსებული ბარიერების იდენტიფიცირება; 4. ბიზნესის საინფორმაციო ცენტრის შექმნა – კერძო სექტორებისათვის მომსახურების გაადვილების მიზნით; 5. კონკურენციის პოლიტიკის პრინციპების დაცვა და მისი პროცესების ევროპრინციპების საფუძველზე წარმართვა; 6. საწარმოო საშუალებათა საკუთრების უფლების ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებთან და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ შეთანხმებასთან შესაბამისობა; 7. ეფექტიანი შიდასამეწარმეო პოლიტიკის გატარება. სლოვენიის ინოვაციური სისტემის ფუნქციონირების პროცესის რაციონალურად წარმართვის მთავარი საფუძველია მისი ეკონომიკა, რომელიც მრავალდარგოვანია და ამით ის ეკონომიკურად ევროპის ყველაზე მეტად განვითარებული სახელმწიფოა. მისი ეკონომიკური ზრდა დაიწყო 50-იანი წლებიდან და ევროკავშირში გაერთიანდა როგორც წარმატებული და გარდამავალი ეკონომიკის მქონე, რამაც ეკონომიკური განვითარების მაღალი

ტემპები განაპირობა. სლოვენის ეკონომიკური განვითარება უფრო ინტენსიურია, ვიდრე ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის საშუალო ტემპები. ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის სლოვენიაში დაარსებულია მრავალი მცირე ნოვატორული კომპანია, რომლის პროდუქციის ექსპორტით იგი სისტემატიურად მონაწილეობს მსოფლიო საბაზრო ურთიერთობებში. მისი ინოვაციური სისტემისათვის მთავარი ფაქტორებია სლოვენიური შრომისმოყვარეობა, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, სავაჭრო გზებთან და ბიზნესგარემოსთან ურთიერთობა. საწარმოთა ეფექტიანად ფუნქციონირების აუცილებლობა დაკავშირებულია ფაქტორებთან: ბიზნესგარემოსთან, მოტივაციასა და ინოვაციასთან. იგი სლოვენის ეკონომიკის მაღალ ხარისხს განაპირობებს. ევროინტეგრაციის პირობებში ეკონომიკა დამოკიდებულია მომსახურების სისტემის მუშაობაზე. სლოვენია გამორჩეულია საინფორმაციო ტექნოლოგიის დარგში მაღალი ხარისხის მომსახურებით.

ინოვაციური სისტემის ეფექტიანობისათვის ძირითადს წარმოადგენს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებულობა. ასეთია სლოვენის ფარმაცევტული და საავტომობილო წარმოება, მეწარმეობის უმთავრესი ეკონომიკური სექტორები მოიცავს სასურსათო მრეწველობას, ელექტროტექნიკას, ლითონის დამუშავებისა და ქიმიურ წარმოებებს, ვითარდება ტურისტული ბიზნესი, რომლითაც ტურიზმი ხდება მნიშვნელოვანი სექტორი.

სლოვენის ინოვაციური სისტემის საფუძველი მისი ევროინტეგრაციის პირობებში მონაწილეობაა. ამ სისტემისათვის დამახასიათებელია:

ინოვაციური პროდუქციის წარმოებათა არსებობა;

უახლესი, არსებითად გაუმჯობესებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოო და სოციალური პროცესების წარმართვაში;

საწარმოთა მონაწილეობა ევროინტეგრაციულ პროცესებში და მათი ინოვაციური აქტიურობა;

მონაწილეობა ინოვაციების მიწოდებაში ევროკავშირისა და მსოფლიო საბაზრო ურთიერთობებისათვის.

სლოვენის ინოვაციური სისტემისათვის აგრეთვე დამახასიათებელია ინტეგრირებულ წარმოებათა ეფექტიანობა, ინოვაციურობა, ტექნოლოგიური გამტარიანობა, ბიზნესსარგებლიანობა. ამას

ისიც განაპირობებს, რომ სლოვენიაში არსებული კომპანიები შიდა და საგარეო საბაზრო ურთიერთობებში იმყოფებიან, ისინი მრავალდარგოვან საბაზრო წარმატებათა მქონე ინოვაციურ პროდუქციას აწარმოებენ. აღსანიშნავია ფირმა "ELAN"-ის თხილა-მურები, რომლებიც სპორტული შეჯიბრებების დროს გამოიყენება. კომპანია "SEAWAY"-ის კატარღების წარმოება, ასევე კომპანია "PIPISTREL"-ის ზემსუბუქი თვითმფრინავების და "GORENJE"-ს განსაკუთრებული დიზაინის მქონე საოჯახო ტექნიკის წარმოება. სლოვენია გამოირჩევა მანქანათმშენებლობის პროდუქციის, ბუნებრივი ნედლეულისა და კვების პროდუქტების ექსპორტით, რასაც მარკეტინგული ინოვაციებით ახორციელებს. მისი შემადგენლებია: პროდუქციის ესთეტიკური დიზაინი და უახლესი შეფუთვები; ახალი ტექნიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით; პროდუქციის რეალიზაციის ახალი საბაზრო ფორმები; საქონლისა და მომსახურების ფასწარმოქმნის ახალი სისტემა.

ევროსაბაზრო ურთიერთობების განვითარების და ინოვაციური სისტემის აღნიშნულ ელემენტებთან ერთად, სლოვენიის ეკონომიკურ უპირატესობას განაპირობებს მისი სტაბილურობა, გადამამუშავებელი მრეწველობის კონკურენტუნარიანობა, ასევე პროდუქციისა და მომსახურების ძლიერი ექსპორტი, პერსპექტიული ექსპორტის ზრდა უკავშირდება ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ პერიოდებს (2004 წლიდან). სლოვენიაში ფუნქციონირებს მაღალი მწარმოებლური ავტოქარხანა კონკურენტუნარიანი პორტი მას ევროგაერთიანების წევრებთან შედარებით დაბალი სახელმწიფო დავალიანებები აქვს, მისი ეკონომიკა ნაწილობრივად ლიბერალიზებულია, რაც ინვესტირებაში სიძნელეებს წარმოშობს. ევროგაერთიანებაში შესვლის შემდეგ სლოვენიაში მინიმალური ხელფასი 522 ევროს (2007) შეადგენდა. ამ პერიოდისთვის სლოვენიის ხელისუფლებამ შეიმუშავა განვითარების სტრატეგია, რომელშიც ძირითადია:

ეკონომიკური განვითარების საშუალო დონისათვის გადაჭარბება, დასაქმების ზრდა ლისაბონის სტრატეგიის მიზნებთან ურთიერთშესაბამისად ათწლიანი პერიოდის განმავლობაში;

ცხოვრების დონის ამაღლება, მისი ხარისხის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი განვითარების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიღწევა;

განვითარების ყველა სფეროში მდგრადობის პრინციპის, როგორც ხარისხის ძირითადი კრიტერიუმის, დაცვა, მოსახლეობის რაოდენობის განუხრელი ზრდის მიზანთან ერთად;

სლოვენისათვის დამახასიათებელი განვითარების პირობების შემუშავება, მისი კულტურის, თვითმყოფადობისა და საერთაშორისო პროცესებში მისი აქტიური მონაწილეობის მიხედვით.

სლოვენის განვითარების სტრატეგიით გაითვალისწინება: სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ წარმოებათა განსხვავებანი. მისი მსხვილი ნავთობის კომპანია "PETROL"-ი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილებით არ შეიძლება მისი პრივატიზება. ასევე სლოვენის ენერჯეტიკაში ერთი ატომური ელექტროსადგური მოქმედებს; დაბალია უმუშევრობის დონე, იგი 7%-ს შეადგენს, ხოლო მთლიანი პროდუქტი მოსახლეობის 1 სულზე – 2700 აშშ დოლარს; საფინანსო ოპერაციების განხორციელებისათვის სლოვენის ცენტრალური ბანკთან ერთად ფუნქციონირებენ გაერთიანებები, რომელთა შემადგენლობაში 30 კომერციული ბანკია.

ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარება და ინოვაციების ზრდა განაპირობებს სლოვენური სამზარეულოს მრავალსახეობას, რომელშიც ძირითადია მასთან ისტორიულ ურთიერთკავშირში მყოფი ეროვნული კვების პროდუქტების სახეობანი.

აღნიშნული განაპირობებს სლოვენის წარმოებათა კონკურენტულ უპირატესობას საექსპორტო საბაზრო ურთიერთობების დროს. სლოვენის ექსპორტში ძირითადია 1. ინოვაციური პროდუქცია; 2. ინოვაციური მომსახურება; 3. ინოვაციური ტექნიკა და ტექნოლოგიები; 4. მმართველობითი ინოვაციურ-პროგრესული ბიზნესწინადადებები; 5. ინფორმაციული ტექნოლოგიები და სხვა, რაც მისი ინოვაციური სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო მისი ძირითადი ელემენტებია.

ინოვაციური სისტემის ფუნქციონირებას სლოვენიაში საფუძვლად უდევს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ჩამოყალიბდა ევროინტეგრაციაში მისი გაერთიანების პერიოდში. ამის საფუძ-

ველია სახელმწიფოს, ბიზნესისა და ცენტრალური ბანკის პოლიტიკას შორის მაღალი ხარისხის კოორდინაციის არსებობა, პრივატიზების დაჩქარება, საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება მშპ-ს 3%-იდან 1,9%-მდე 2000-იანი წლების დასაწყისიდან, ევროპაში ყველაზე მცირე საგადასახადო განაკვეთის (25%) არსებობა და მსხვილი, საზღვარგარეთის ინვესტიციები სლოვენის ეკონომიკაში; აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის კაპიტალის დიდი ნაწილი მიეკუთვნება ავსტრიას, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას, დიდ ბრიტანეთს, აშშ-ს და ნიდერლანდებს. ეკონომიკური ზრდა გამოიხატება მთლიანი შიდა პროდუქტის ამავე პერიოდისათვის 37,1 მლრდ დოლარამდე გაზრდაში. აქედან სოფლის მეურნეობაში შეიქმნა მთლიანი შიდა პროდუქტის 3%, მრეწველობაში – 36%, მომსახურების სფეროში – 61%, საშუალო ხელფასის შეფასება შეადგენს 890 დოლარს, ინფლაციის დონე კი – 7,4%-ს, უმუშევრობის დონე – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 11%-ს, რომლის რაოდენობა შეადგენს 857,4 ათას კაცს. სლოვენის წარმოების სექტორებს შორის მთავარია:

განვითარებულია ნახევარმეტალების მოპოვება, ასევე მოიპოვება ბოქსიტები, განვითარებულია ენერგეტიკა. ელექტროენერჯის მოხმარებამ სლოვენიაში შეადგინა 2001 წელს 13,8 მლრდ კვტ/სთ, ამავე პერიოდისათვის ელექტროენერჯის ექსპორტი 3 მლრდ კვტ/სთ-ია, ხოლო იმპორტი 4,1 მლრდ კვტ/სთ.

სლოვენიაში განვითარებულია შავი და ფერადი მეტალურჯის მრეწველობის დარგები: ელექტრონული, ელექტროტექნიკური, ხის გადამამუშავებელი, ქიმიური, რეზინის, გემთმშენებელი, ავტომობილების (სატვირთო, ავტობუსები და ავტომობილები), ჩარხმშენებელი, ქაღალდის, ტყავ-ფეხსაცმლის, ქსოვილების, კვების და თამბაქოს მრეწველობა. სამრეწველო წარმოების ზრდა 2002 წლისათვის შეფასებულია 2,4%-ით.

სლოვენია გამოირჩევა მაღალი პროდუქტიული სოფლის მეურნეობით, რომელიც მოიცავს განვითარებულ მეცხოველეობას (მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს და თხებს), მარცვლეული კულტურების (ხორბლის და სიმინდის) წარმოებას, მებაღეობას და მეღვინეობას, მოჰყავთ კარტოფილი, შაქრის ჭარხალი. განვითარებულია ბროილერული მეფრინველეობა.

სლოვენიის ლანდშაფტის მრავალსახეობა და ეკოლოგია, რომელიც მილიონობით საზღვარგარეთის ტურისტების მიზიდვის ობიექტია.

წარმოებისა და მომსახურების დარგების პროდუქციის იმპორტმა 2002 წელს შეადგინა 11,4 მლრდ დოლარი. ნედლეულის, სასურსათო საქონლის და ნახევარფაბრიკატების შემოზიდვასთან ერთად, სლოვენიაში იზრდება სატრანსპორტო მოწყობილობათა შეზიდვა. პროდუქციის იმპორტში შედის ელექტრომოწყობილობები, ლითონის ნაკეთობები, ქიმიური პროდუქტები, ქსოვილები, საწვავი მასალების იმპორტიორებს სლოვენიაში წარმოადგენს გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ავსტრია, ხორვატია, უნგრეთი და რუსეთი.

სლოვენიის პროდუქციის ექსპორტი 2002 წელს შეადგენდა 10,3 მლრდ აშშ დოლარს. ექსპორტის 90%-ზე მეტი სამრეწველო პროდუქციაა. ექსპორტირებულ პროდუქციას შორის ძირითადია სატრანსპორტო საშუალებანი (სატვირთოები და ავტობუსები), ასევე ფარმაცევტული მრეწველობის პროდუქცია, ავეჯი, ტექსტილი, ელექტრონიკა და სხვა, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტები. სლოვენიის ექსპორტში პარტნიორებია: გერმანია – 24%, იტალია – 13%, ავსტრია, ხორვატია, საფრანგეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა.

ინოვაციური და ტრადიციული პროდუქციის ექსპორტი და შიდა საბაზრო პროცესები განაპირობებს სლოვენიის ეკონომიკის, მისი ბიზნესის შემოსავლების ზრდას. სლოვენიის ბიუჯეტის მიხედვით 1997 წელს შემოსავლები 8,11 მლრდ დოლარს შეადგენდა, გასავლები – 8,32 მლრდ დოლარს, საგარეო ვალი 7,9 მლრდ დოლარს. სლოვენიის ცენტრალური ბანკის ძირითად საქმიანობას დაარსების – (1991) წლიდან შეადგენს ფულის ემისია. სლოვენიის ფულის ეროვნულ ერთეულს დოლარი წარმოადგენს, რომლის კურსი დაბალია აშშ დოლართან შედარებით. ძირითადი საბაზრო და საფინანსო ოპერაციები ევროგაერთიანების სავალუტო სისტემის საშუალებით ხორციელდება 2004 წლიდან.

სლოვენიის ინოვაციური სისტემის ფუნქციონირებას განაპირობებს მისი მრავალდარგოვანი ეკონომიკა, სოციალური დარგებისა და განვითარებული საწარმოო და სოციალური ინფრა-

სტრუქტურის სექტორები, რომელთაგან მნიშვნელოვანია სლოვენის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემები.

სლოვენის საგანმანათლებლო სისტემა. ინოვაციური ეკონომიკის განვითარების და ამ მიზნით სამეცნიერო გამოკვლევების სფეროში სლოვენის თანამშრომლობის მთავარ საფუძველს მისი საგანმანათლებლო პოტენციალი წარმოადგენს. იგი ძირითადად ემყარება სახელმწიფოებრივი წყობილებისა და ეროვნული განათლების ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესებს. მათ შორისაა 1000 წლისათვის სლოვენურ ენაზე დაწერილი პირველი წერილობითი დოკუმენტი, სლავური სახელმწიფოს წარმოშობა VI-VII საუკუნეებში, სავაჭრო გზების გადანაცვლების შედეგად ეკონომიკის დაცემა და XVIII საუკუნიდან მისი მეურნეობის განვითარების დაწყება. ამათგან საქონელწარმოების ზრდა და სოფლის მეურნეობის 60%-ით გაცემა, რამაც სლოვენის აღორძინების პროცესის დაწყება განაპირობა. იუგოსლავიის სამეფოს შემადგენლობაში ყოფნისა და ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შედეგად სლოვენიაში შეიქმნა ეროვნული (სლავური) განათლების გავრცელების საფუძველი. სოციალისტური იუგოსლავიის დაშლის შედეგად სლოვენია დამოუკიდებელი სახელმწიფოს (1991 წლიდან) წარმოადგენს. ამ პერიოდში დაიწყო სლოვენის მშვიდობიანობისა და განათლების განვითარების პროცესი, რომლის ხელშემწყობი მიზეზი მისი მოსახლეობის ეთნიკური ერთგვაროვნებაა.

სლოვენური ენა მიეკუთვნება სამხრეთ-სლავური ენების ჯგუფს, ხოლო დამწერლობა ლათინური ანბანის საფუძველზეა შექმნილი. სლოვენიაში შემორჩენილია სლოვენური ენის 49 დიალექტი. აღნიშნულის საშუალებით სლოვენიაში სრულად გამოიყენება საგანმანათლებლო პოტენციალი, რომლის შედეგს წარმოადგენს მისი მოსახლეობის განათლების დონე. 1921 წელს, იუგოსლავიის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, სლოვენის გაუნათლებელ მცხოვრებთა რიცხვი შეადგენს მოსახლეობის 8,9%-ს, ხოლო მთლიანად იუგოსლავიაში 51,5% შეადგინა.

განვითარებულმა მწერლობამ XIX საუკუნეში წარმოქმნა და დაამკვიდრა სლოვენის ლიტერატურის ახალი სტანდარტები, რამაც ეროვნული თვითშეცნობის განვითარება განაპირობა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდმა გამოიწვია სლოვენური ფოლკლორის

ტრადიციების დაკარგვა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ეროვნული კულტურული ტრადიციების აღდგენისათვის.

საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირებას სლოვენიაში განაპირობებს საგანმანათლებლო ობიექტების სიმრავლე. სლოვენიაში ფუნქციონირებს: 1) 1820 სკოლა, 208 ათასს შეადგენს მოსწავლეთა რაოდენობა, 2) 37 უმაღლესი სპეციალური სასწავლო დაწესებულება; 3. უნივერსიტეტები – ლიუბლიანის, მარიბორის და ზღვისპირა ქალაქის კოპერის უნივერსიტეტი. მათში დაახლოებით 100 ათასი სტუდენტი სწავლობს. განათლებაზე დანახარჯები შეადგენს სლოვენიის მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ს. ცენტრალური ევროპის მასშტაბით სლოვენიაში ყველაზე მაღალია განათლების დონე. დასაქმებულთა 15% საუნივერსიტეტო განათლების მქონეა, ხოლო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 60%-ს საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული.

განათლების სისტემა სლოვენიაში მოიცავს ძირითად სასკოლო განათლებას. იგი 6-დან 15 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვისაა და ამის შესაბამისად ფუნქციონირებს. პირველი სტადია ხუთწლიან პერიოდთან შესაბამისად მიმდინარეობს და მოსწავლეთა ერთი ჯგუფითაა დაკომპლექტებული. ხოლო მეორე სტადიაზე მიმდინარეობს სწავლება ძირითად საგანმანათლებლო სისტემით გათვალისწინებული საგნების მიხედვით, მათ შორის პირველ სტადიაზე ძირითადია მშობლიური – სლოვენიური ენა, ასევე უნგრული ან იტალიური ენები, მათემატიკა, ბუნებათმცოდნეობა და საზოგადოებათმცოდნეობის მეცნიერებანი, მუსიკა, ფიზიკური კულტურა და ხელოვნება. მეოთხე კლასამდე გამოიყენება სიტყვიერი და ბალური სისტემით შეფასების ფორმები. მეორე სტადიაზე სწავლება ხორციელდება მათემატიკის, ფიზიკის, მშობლიური და უცხო ენების, მუსიკის, ფიზიკური კულტურის, გეოგრაფიის, ისტორიისა და სახვითი ხელოვნების საგნების საშუალებით. ასევე მათ ემატება ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და შრომა. მეშვიდე კლასიდან მოსწავლეები ირჩევენ 3 საათიან საგნებს 40 საგნიდან. მათ შორისაა უცხო ენები, ასტრონომია, ხელოვნება, ინფორმატიკა და სხვ.

სლოვენიის ზოგადი საგანმანათლებლო სისტემით სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება სახელმწიფო გამოცდების საშუალებითა და ხუთბალიანი სისტემით. სახელმწიფო გამოც-

დების ჩაბარება ხდება მესამე, მეექვსე და მეცხრე სასწავლო წლის დასასრულისთვის მათემატიკაში, მშობლიურ და უცხო ენებში, ხოლო მესამე საგამოცდლო დისციპლინას ადგენს სლოვენის განათლების სამინისტრო. სლოვენიაში მოქმედებს განათლების ახალი სისტემა, რომლითაც ხორციელდება შედეგების ბალური შეფასება, ამით განისაზღვრება საუკეთესო შედეგების მქონე. სლოვენის განათლების სისტემაში შემავალ ძირითად ქვესისტემებს წარმოადგენს: მშობლიურ და უცხო ენებზე სწავლების ორგანიზება, სახელმძღვანელოების მიწოდება, კვებით უზრუნველყოფა, მშობელთა კრების ორგანიზება, ცოდნის კონტროლის პროცესი, თანამემამულეთა რჩევებისა და ტერიტორიული ნიშნით სწავლების ორგანიზაცია. აღნიშნული მნიშვნელოვან ფუნქციონალურ დანიშნულებას იძენს განათლების სისტემის მუშაობის პროცესში.

სლოვენისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე საერთაშორისო სკოლების არსებობა როგორც რესპუბლიკის, ასევე უცხოელი მოსახლეობის განათლების მისაღებად. ასეთს წარმოადგენს: ბრიტანული საერთაშორისო სკოლა (2008), მუშაობს ბრიტანეთის პროგრამით და სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს; საერთაშორისო სკოლა QSI (Quality school International), რომლის მთავარი ოფისი აშშ-ში იმყოფება, ლიუბლიანაში გაიხსნა 1995 წელს, სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, ფრანგული სკოლა (Ecole Franciase) – ფრანგული სკოლების ქსელის ნაწილს წარმოადგენს და მუშაობს ფრანგული პროგრამის მიხედვით. აღსანიშნავია აგრეთვე დამატებითი განათლების ლიუბლიანის სკოლა (15 წლიანი) რუსული ენის გაძლიერებული სწავლებით.

საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ ძირითად საზოგადოებრივ ორგანიზაციას წარმოადგენს სლოვენის ეროვნულ-საგანმანათლებლო ინსტიტუტი. რესპუბლიკის ინსტიტუტის მთავარი დანიშნულებაა სლოვენის საგანმანათლებლო სისტემის განვითარება და ამისათვის კადრების მომზადება საბავშვო ბაღების, დაწყებითი და საშუალო სკოლების, მუსიკალური სკოლებისა და სკოლა-ინტერნატებში დასაქმების მიზნით.

ასევე ძირითადია სლოვენისათვის უმაღლესი განათლება, საშუალო განათლების შემდეგ რესპუბლიკის მოსახლეობისათვის არსებობს შესაძლებლობა პროფესიულ ტექნიკურ სასწავლე-

ბელში, სამხატვრო აკადემიაში ან უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. სლოვენიაში ფუნქციონირებს სამი მსხვილი სახელმწიფო უნივერსიტეტი: ლუბლიანის უნივერსიტეტი, მარიბორის უნივერსიტეტი და ზღვისპირეთის უნივერსიტეტი, სხვა კერძო უნივერსიტეტებთან ერთად, რომელთაც მიეკუთვნება ნოვა-გრიცის (ინგლისურ და რუსულენოვანი) უნივერსიტეტი, სლოვენის ევრო-ხმელთაშუაზღვის უნივერსიტეტი (ინგლისურ და რუსულენოვანი) და სხვ. უნივერსიტეტების აკადემიური რეიტინგის მიხედვით მსოფლიოს 500 საუკეთესოთა შორისაა ლიუბლიანის უნივერსიტეტი.

განათლების პოტენციალის გამოყენება სლოვენის რესპუბლიკაში საფუძვლად დაედო მისი შრომისუნარიანი მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებას, იგი რეფერენდუმის შედეგებით პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო (1991) გახდა, ის გამოვიდა იუგოსლავიის შემადგენლობიდან და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ერთგვაროვნებამ განაპირობა სლოვენის მშვიდობიანი განვითარება და ევროკავშირში გაწევრიანება (2004), ხოლო ერთიანი ევროპული საბაზრო პროცესების განხორციელების მიზნით კადრების მომზადების საუნივერსიტეტო სისტემის განვითარებას 1999 წელს მიღებული „ბოლონიის დეკლარაციის“ საფუძველზე, სლოვენიაც შეუერთდა. ბოლონიის დოკუმენტის მიხედვით ევროპული განათლების დონის ამაღლების პროცესი მჭიდროდ უკავშირდება სლოვენის ინოვაციურ განვითარებას და ევროკავშირის ინოვაციური სტრატეგიის ჩამოყალიბებაში მის აქტიურ მონაწილეობას.

სლოვენის სამეცნიერო სისტემა. ინოვაციური მეწარმეობის განვითარება და მისი ევროინტეგრაცია ძირითადად მიმართულია სლოვენის რესპუბლიკაში ინოვაციური პოლიტიკის გატარებაზე, რასაც მისი სამეცნიერო სისტემის განვითარება განაპირობებს. მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენება მეწარმეობის განვითარებისა და ბიზნესის მიზნებისათვის კონკურენტუნარიანი ინოვაციების ექსპორტის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს. ამ მიმართულებით სლოვენია აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის სამეცნიერო კვლევებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამების განხორციელებაში. მისი მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 1,7% უზრუნველყოფს

სამეცნიერო დამუშავებათა განხორციელებას და ახალი ტექნოლოგიების შექმნას. მეცნიერთა კადრებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობის მიხედვით სლოვენია ევროპის განვითარებულ სახელმწიფოთა შორისაა.

სამეცნიერო გამოკვლევები სლოვენის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის, უნივერსიტეტების და დარგობრივი ინსტიტუტების ფარგლებში ხორციელდება. ამისათვის ფუნქციონირებს მეცნიერების დარგები ბიოკიბერნეტიკა, ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, ბიოტექნოლოგია, რობოტოტექნიკა, ავტომატიზებული გამზომი სისტემები, საწარმოო პროცესების დიდი სპექტრის კომპიუტერული კონტროლი. სლოვენის მეცნიერების ინსტიტუტების ფლაგმანს წარმოადგენს იოზეფ სტეფანის ინსტიტუტი ქალაქ ლიუბლიანაში, სადაც ხორციელდება სამეცნიერო გამოკვლევები მათემატიკის, ქიმიის, ბიოქიმიის, ფიზიკის, ელექტრონიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ბირთვული ფიზიკის მეცნიერებებში. რესპუბლიკაში მუშაობს ათეული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელთა შორის უძველესია სლოვენის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტი (დაარსებულია 1898 წელს), ლიუბლიანის უნივერსიტეტის ბიოფიზიკის ინსტიტუტი, პალეონტოლოგიის ინსტიტუტი, ეროვნული ბიოლოგიური ინსტიტუტი, ეროვნული ქიმიური ინსტიტუტი, სლოვენის სატყეო მეურნეობის ინსტიტუტი, კარსტის კვლევის ინსტიტუტი და სხვ.

სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების დარგში მონაწილეობის მიზნით სლოვენიაში ფუნქციონირებს ევროკავშირის ინსტიტუტები, რომელთა საქმიანობის დაფინანსება ხორციელდება ევროპის საინვესტიციო ბანკის საშუალებით. ევროპასთან თანამშრომლობის დროს 2007-2013 წლებში სლოვენია მონაწილეობა მიიღო ინოვაციების შემუშავებაში, რომელიც დაფინანსებულ იქნა მთლიანად ევროპის მასშტაბით 1,18 მლრდ ევროთი. იგი აქტიურად ჩაერთო:

1. ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცემის პროგრამებში – TAIEX (Technical Assistance and information Exchange). ამ პროგრამამ განსაკუთრებით გაამართლა გარდამავალ პერიოდში მყოფ სახელმწიფოში;

2. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მართვის მიზნით შექმნილ ევროპის მეწარმეთა ქსელში – EEN (Enterprise Europe Network),

რომელიც ელექტრონულ პორტალს წარმოადგენს და შექმნილია ევროგაერთიანებისა და სხვა მეწარმეობის მცირე და საშუალო სექტორების ინტერნაციონალიზაციისათვის და კონკრეტულ ბიზნესწინადადებათა გავრცელების და გაცვლის მიზნებისთვის.

3. დასავლეთ ევროპის 12 სახელმწიფოში ავტომატური გადახდის სისტემის დანერგვაში.

4. გადასახდელებისა და გარიგებების მართვის მიზნით კომპანიების შექმნასა და მათ შორის ჯაჭვური ურთიერთკავშირის დამყარებაში.

5. მცირე სავაჭრო ოფისებისა და ევროკომპანიების დაარსებაში საზღვარგარეთ და ევროვალუტის სისტემის დანერგვაში.

6. სლოვენიაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და კონკურენტუნარიანი ინოვაციების წარმოებისათვის ინტელექტუალური საკუთრების გარდაქმნაში, და ამ მიზნით კომერციალიზაციის ინტეგრირებულ სამეცნიერო კვლევებში, რომელთა შორის ძირითადს ევროგაერთიანების კვლევებისა და ინოვაციების პროგრამები – Company R & I – და ამისათვის განხორციელებული საინფორმაციო სტრატეგიები წარმოადგენს. ასევე მთავარია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ევროკომპანიების დაფუძნება და კორპორაციული მმართველობითი სისტემის შემოღება; ბიზნესის საინფორმაციო ცენტრის შექმნა კერძო სექტორების მომსახურების გამარტივების მიზნით.

რესპუბლიკის სამეცნიერო პოტენციალის რაციონალურად წარმართვის შედეგად 2013-2015 წლებში განსაკუთრებით ამაღლდა სლოვენის ინოვაციური აქტიურობა, ცვლილებები განხორციელდა მარკეტინგულ ინოვაციებში, მათ სტრატეგიასა და ორგანიზაციაში, ასევე მანქანური ტექნიკის წარმოებაში, რამაც განაპირობა მისი ინდუსტრიული განვითარება და ახალ ევროპულ ინდუსტრიულ სისტემად ჩამოყალიბება, წარმოებისა და დასაქმების ახალი ფორმების და გლობალიზაციასთან მის დაახლოების პროცესის წარმოქმნა.

თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების გავლენით სლოვენიაში ხორციელდება სამეცნიერო კვლევები ინფორმაციისა და ნანოტექნოლოგიების სფეროებში. იგი 1991 წლიდან აქტიურად მონაწილეობს ევროგაერთიანებისა და საზღვარგარეთის კვლევით და განვითარების პროგრამებში. ევროპული კვლევების მიმარ-

თულებებში სლოვენის მონაწილეობით შესრულებულია ათობით პროგრამა.

ამრიგად სლოვენის რესპუბლიკის სამეცნიერო სისტემის საშუალებით და ინტეგრაციული პროცესების გავლენით შეიქმნა ევროგაერთიანებისათვის ერთობლივი სამეცნიერო და ტექნიკური გამოკვლევების სფეროში მისი თანამშრომლობის საფუძველი, რითაც იგი ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა 1993 წლიდან, საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობით მიღწეული შედეგებით 2015 წლიდან აქტიურად მონაწილეობს ინოვაციური ტექნიკისა და პროდუქციის მიწოდებაში (ექსპორტში) თავისუფალი საბაზრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში.

სლოვენის ინფრასტრუქტურა. ინოვაციური მეწარმეობის განვითარება სლოვენის რესპუბლიკის ინფრასტრუქტურაზეა დამოკიდებული. ევროინტეგრაციული მეწარმეობისათვის ძირითადს წარმოადგენს საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარების დონე. მათ შორის აქტიურ როლს ასრულებს სლოვენის სატრანსპორტო და სავაჭრო ინფრასტრუქტურა.

ტრანსპორტის განვითარება და სატრანსპორტო საშუალებათა, ანუ ტექნიკის მრავალსახეობა განპირობებულია სლოვენის ტერიტორიის თავისებურებით. იგი მდებარეობს იმ გზების გადაკვეთაზე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს დასავლეთ ევროპას მის აღმოსავლეთსა და სამხრეთში მდებარე სახელმწიფოებთან. რესპუბლიკისთვის დამახასიათებელია განვითარებული სატრანსპორტო სისტემა, კერძოდ საავტომობილო გზები. იგი დაფარულია მყარი საფარით და მისი სიგრძე 20177 კმ-ს შეადგენს. მათ შორის 427 კმ ჩქაროსნულ მაგისტრალს უკავია; სარკინიგზო გზების დატვირთვა 1201 კმ-ს შეადგენს, რომლის 499 კმ ელექტროფიცირებულია. სლოვენიაში ფუნქციონირებს 16 აეროპორტი ლუბლიანის საერთაშორისო აეროპორტთან ერთად. რესპუბლიკაში მუშაობს მნიშვნელოვანი საზღვაო პორტები ვიზოლის, კოპერესა და პირანის. სლოვენის ტერიტორიაზე გადის ნავთობსადენი 290 კილომეტრზე და გაზსადენი 305 კილომეტრზე. სლოვენიაზე გადის იტალიასა და ავსტრიასთან ბელგრადის დამაკავშირებელი რკინიგზის ხაზები და გოროცია-ლუბლიანა-ზაგრები-ბელგრადის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა.

ტრანსპორტი წარმოადგენს ინფრასტრუქტურის ძირითად დარგს და მისი განვითარება განაპირობებს ინოვაციების სექტორებში თანამშრომლობისა და ევროინტეგრაციის საფუძველს. სლოვენიის ტრანსპორტი წარმოადგენს მისი ინფრასტრუქტურის სტრატეგიის შემუშავებისა და ინოვაციური პოტენციალის პრობლემების გადაწყვეტისათვის საჭირო საშუალებას, ასევე ის ტურისტულ ცენტრებთან ლიუბლიანას, მარიბორს, პოსტოინას და პორტოროუის საზღვარგარეთთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო ტექნიკის გამოყენების საფუძველიცაა.

2007 წლიდან ევროგაერთიანების ინოვაციური და ინტეგრაციის პოლიტიკის რეგიონული პრობლემების დაფინანსება ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის სახსრებით რეალიზდება, ხოლო ინტეგრაციის ფონდი გამოიყენება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსებისათვის, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემების გადაწყვეტა სლოვენიაში ასევე ინფრასტრუქტურის პროექტების საშუალებით ხორციელდება: 1. ტრანსპორტის სექტორში ინფრასტრუქტურის სტრატეგიის შემუშავება, მის პოტენციალთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა. კერძოდ, ინტერმოდალური მოწყობილობების და კავშირის დასამყარებელი ინფრასტრუქტურის ნაკლებობის იდენტიფიცირება; 2. საერთაშორისო ტრანსპორტის სექტორის რეგულირება; 3. სარკინიგზო ტრანსპორტის სექტორის რესტრუქტურის დასრულება; 4. რეფორმების გატარება ავიაციასა და საზღვაო ტრანსპორტის სექტორებში. ამისათვის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს ელექტროენერგეტიკული და მანქანათმშენებლობის წარმოებანი.

სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზება ევროინტეგრაციის ვითარებაში და საქონლისა და კაპიტალის ურთიერთმიწოდება სლოვენიის ტრანსპორტირების სექტორისათვის ცალკეული ფირმების დონეზე, განაპირობებს ინოვაციურ საქმიანობაში ურთიერთ-თანამშრომლობას.

განვითარებულ საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურასთან ერთად სლოვენისათვის დამახასიათებელია თანამედროვე კავშირურთიერთობის საშუალებანი: რესპუბლიკაში გამოიყენება 722 ათასი სატელეფონო ხაზი, ასევე ერთი მილიონი მობილური

ტელეფონი (მოსახლეობა 2 მილიონს შეადგენს), 2000 წელს ინტერნეტით სარგებლობდა 600 ათასი მცხოვრები.

ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესი სლოვენიაში მისი დამოუკიდებლობის პერიოდიდან – 1991 წლიდან ხორციელდება, მიმდინარეობს საავტომობილო გზების მოწესრიგება და სარკინიგზო გზათა რეკონსტრუქცია, რაც აუცილებელია როგორც შიდა საბაზრო პროცესების, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების დასამყარებლად და ინოვაციური ექსპორტის განხორციელების მიზნებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.eu-hato.gov.ge/mar.2015.23.002016pdf
2. www.slovenia.si
3. სლოვენია, ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია
4. www.Slovenia.si, Your gateway to information on Slovenia
5. www.ei-lat.ge/images/doc/wiw-lat-07.0213-geo.pdf
6. www.ukom.gov.si/fileadmin/ukom.gov.si/
7. epp.eurostat.ec.europa.eu/struchtrual-business-statistics/eurogroups-register
8. აბესაძე რ., ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016.
9. პაპავა ვლ., რეტროეკონომიკიდან ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის პერსპექტივები საქართველოს ევრაზიული ინტეგრაციის შემთხვევაში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016.
10. ბერულავა გ., გოგოხია თ., ევროკავშირის სამეწარმეო პოლიტიკა, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016.
11. ცუცქირიძე მ., სლოვენიის სამეწარმეო სისტემის განვითარების ასპექტები ევროინტეგრაციის პროცესში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016.

INNOVATION SYSTEM OF SLOVENIA

Summary

The article discusses the issues of functioning of Innovation system of Slovenia, and its influencing on the euro integration processes. The article also characteristic innovation potential of Slovenia and its elements scientific system, sectors of infrastructure and Education system.

The article given the main aspects of influencing of innovation system of Slovenia on the development euro business processes.

ნუნუ ქისტაური

ფინეთის რესპუბლიკის ინოვაციური სისტემა

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ფინეთის რესპუბლიკის, როგორც ევროპის ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყნის ეროვნული ინოვაციური სისტემა. აღნიშნულია ყველა ის ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომლებიც უშუალოდ ადგენენ და ხელმძღვანელობენ ტექნოლოგიური ინოვაციური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ავტორი აგრეთვე აღნიშნავს სისტემის წინაშე მდგარ პრობლემებს, ე.წ. „ფინურ პარადოქსს“ და მათი გადაჭრის საქმეში ფინეთის მთავრობის გადამწყვეტი როლის შესახებ.

* * *

ფინეთი არის პირველი ქვეყანა, რომელმაც მიიღო ეროვნული ინოვაციური სისტემის (ეის) კონცეფცია, როგორც ეროვნული პოლიტიკის ძირითადი ელემენტისა მეცნიერების და ტექნოლოგიის სფეროში. პრაქტიკაში ეს ნიშნავდა იმ საწარმოთა რიცხვის ზრდას, რომელთა საქმიანობის საფუძველში იდო ინოვაციები და „ნოუ-ჰაუ“, ასევე იმ ორგანიზაციების გაძლიერებას, რომლებიც ეწეოდნენ კვლევით საქმიანობას.

ფინეთის ინოვაციური სისტემა დაფუძნებულია სახელმწიფოს, საწარმოთა და უნივერსიტეტების ურთიერთკავშირზე. ძირითადი ორგანიზაცია, რომელიც ადგენს ტექნოლოგიური პოლიტიკის მიმართულებებს, არის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების

სახელმწიფო საბჭო, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს და აერთიანებს ყველა მნიშვნელოვანი სამინისტროს წარმომადგენლებს. ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება განათლების და ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროებს. მათი დახმარებით ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სახელმწიფო დაფინანსების თითქმის 80%. ფინეთის ეროვნული ინოვაციური სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა ამდაგვარად გამოიყურება (იხ. სქემა 1)

ფინეთის მთავრობა

მეცნიერულტექნოლოგიური პოლიტიკის საბჭო პრემიერ-მინისტრთან	პარლამენტი		
	განათლების სამინისტრო	ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო	სხვა სამინისტროები

მასტიმულირებელი და მხარდამჭერი ორგანიზაციები

ფინეთის აკადემია	ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დაფინანსების სააგენტო ტეკესი (261 ად.)
-------------------------	---

სახელმწიფო განათლება და სამეცნიერო ორგანიზაციები/კერძო კვლევები

უნივერსიტეტები (20)	ფინეთის ტექნიკურ კვლევათა ცენტრი (VTT) 2471 ად.	სხვა სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (19)	ფირმები, რომლებიც ახორციელებენ მეცნიერულ კვლევებს და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები
პოლიტექნიკური სასწავლებლები (32)			

კომუნიკაციები და ტექნოლოგიათა ტრანსფერი

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკები	ფინეთის გამოგონებათა ფონდი (Innofin)	უნივერსიტეტები/სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, ტექნოლოგიათა ტრანსფერისათვის შექმნილი კომპანიები	დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების ცენტრები (T&E Centers)
---------------------------------	--------------------------------------	--	--

ვენჩურული კაპიტალის მხარდაჭერა

SITRA FINNVERA FINPRO	სამრეწველო ინვესტიციათა კომპანიები	ვენჩურული კაპიტალისტები
--------------------------------------	------------------------------------	-------------------------

სქემა 1

ფინეთის ინოვაციური სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა

ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ინოვაციური სისტემის ღერძს განათლების სისტემა წარმოადგენს, ამიტომ დაწვრილებით განვიხილავთ ფინეთის განათლების სისტემას, მით უმეტეს, რომ იგი მსოფლიოში მოწინავედ და ყველაზე წარმატებულად ითვლება.

ფინური სასწავლო მოდელის მიხედვით, მთავარია სწავლა და არა სწავლება. შესაბამისად, მოსწავლეები შედარებით მოკლე სასწავლო საათებს ატარებენ საკლასო ოთახებში, დროის ძირითადი ნაწილი კი არასაკლასო სამუშაოებს ეთმობა. ფინელებს სჯერათ, რომ ცოდნის ყველაზე დიდი ნაწილი სასწავლო კედლებს გარეთ მიიღება. უმაღლეს კლასებში საგნების მესამედი არჩევითია და მოსწავლეები თავად წყვეტენ არა მარტო იმას, თუ რომელი საგნები ისწავლონ, არამედ იმასაც, თუ რომელი გამოცდები ჩააბარონ. ფინელი მასწავლებლები არ არიან ვალდებული დაემორჩილონ წინასწარ განსაზღვრულ რეგულაციებს, მათ აქვთ უფლება, შეიმუშაონ საკუთარი ინოვაციური სასწავლო გეგმა და ჩაატარონ ექსპერიმენტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინეთში როგორც დაწყებითი, ასევე უმაღლესი კლასების მასწავლებლებს მოეთხოვებათ მაგისტრის ხარისხის ფლობა. მომავალ მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საუკეთესო აკადემიური მოსწრება და ამიტომ მასწავლებლის სამუშაოს იღებს კურს-

დამთავრებულების მხოლოდ 10%. შესაბამისად, ფინეთში მასწავლებლები ღრმა პატივისცემითა და მაღალი სტატუსით სარგებლობენ, როგორც მაგალითად, ექიმები.

სამეცნიერო დამუშავებების და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო დაფინანსების ორგანოთა შორის ცენტრალურ ადგილს იკავებენ უნივერსიტეტები, ფინეთის აკადემია და ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი „TEKES“ (1983), ტექნიკურ კვლევათა ცენტრი „VTT“ (1942), სახელმწიფო ფონდი „FINVERA“, ფონდი „SITRA“ (1967), ასოციაცია „TEKEL“ და სხვა.

დღეისათვის „TEKES“-ი აფინანსებს სამეცნიერო-კვლევით საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა (სკსსს) დაახლოებით 1500 პროექტს კერძო სექტორში, დაახლოებით 600-ს უნივერსიტეტებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და პროფესიულ უმაღლეს სასწავლებლებში (საინტერესოა, რომ „TEKES“-ი თავისი დაფინანსების პირდაპირ ეკონომიკურ მოგებას არ ითხოვს). მისი წლიური ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 580 მლნ ევროს. იგი ასრულებს მოკავშირის როლს საზოგადოებრივ და კერძო კვლევით ორგანიზაციებსა და მრეწველობას შორის, განსაკუთრებით უნივერსიტეტებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის. მწარმოებელი კომპანიები „TEKES“-ის პროგრამებით იღებენ არსებული კვლევების შედეგად მიღებულ „ცოდნას“, ხოლო კვლევითი ინსტიტუტები - საშუალებას გაყიდონ თავიანთი კვლევების შედეგები.

ფინეთის ინოვაციური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაწილეა ფინეთის ინოვაციური ფონდი „SITRA“. ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდება დონორთა კაპიტალის ხარჯზე, ანუ იგი არ იღებს თანხებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, თუმცა სხვა მხრივ, ფინეთის მთავრობის განუხრელი ყურადღების ცენტრში იმყოფება. დაწყებული 2004 წლიდან მისი მოქმედების ბირთვს წარმოადგენს მოკლევადიანი ინოვაციური პროგრამები (2-3 წლიანი). ფონდი „SITRA“ აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებაში. იგი უშუალოდ ფინეთის მთავრობას ექვემდებარება. დღეისათვის „SITRA“-ში დაახლოებით 100 კაცი მუშაობს. აქედან მესამედი დაკავებულია სამეცნიერო პროექტებით, მესამედი - ბიზნესის განხრით და დანარჩენი - თვით ფონდის

მართვის განხრით. ფონდი „SITRA“ ამუშავებს, ამოწმებს და პრაქტიკაში ნერგავს თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების და მეწარმეობის განვითარების სხვადასხვა ორგანიზაციულ-სტრუქტურულ და ფინანსურ სქემებს. პროგრამებში წარმატებით გამოიყენება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის უპირატესობები ხანგრძლივი პროექტების რეალიზაციისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა ყველა მონაწილეს შორის თანაბრად განაწილდეს ეკონომიკური რისკები, ეფექტურად მოხდეს რთული პროექტების მართვა, გამოყენებულ იქნეს დაფინანსების სხვადასხვა წყაროები.

ფინეთის ინოვაციური სისტემის კიდევ ერთი წევრია „VTT“ - ქვეყანაში წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ფუნქციონირებს ფინეთის დასაქმებისა და ეკონომიკის სამინისტროს ეგიდით. მისი ბიუჯეტი წლიურად 280 მლნ ევროს შეადგენს. მისი ძირითადი ფუნქციაა გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა და ამ სფეროში იგი ჩრდილოეთ ევროპაში უმსხვილეს ცენტრს წარმოადგენს. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ენერგეტიკა, სატყეო მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ტრანსპორტი, ბიო, სამედიცინო და კვებითი მრეწველობა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ელექტრონიკა, ქიმია და გარემო, მშენებლობა, მომსახურება და ლოგისტიკა.

აღსანიშნავია აგრეთვე ფინეთის აკადემია, რომელიც 1970 წლიდან ფუნქციონირებს და რომელიც განათლების სამინისტროს ადმინისტრაციულ სტრუქტურას წარმოადგენს. იგი, ისევე როგორც „TEKES“-ი, არ შეიცავს კვლევით სტრუქტურებს. იგი ასრულებს ფინეთის საერთაშორისო თანამშრომლობის საკოორდინატორ ორგანოს ფუნქციას, პირველ რიგში ევროკავშირის ქვეყნებთან. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ქვეყნის სამეცნიერო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დადგენა, მისი სამეცნიერო ავტორიტეტის ამაღლება. 2015 წელს ფინეთის აკადემიის მიერ გაწეული დაფინანსების მაჩვენებლები წილობრივად ასე გადანაწილდა: უნივერსიტეტები - 80%, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები - 10%, უცხოური ორგანიზაციები - 8%.

ფინეთის ინოვაციური სისტემის სხვა წამყვან მონაწილეთა შორის არიან: დაფინანსების სახელმწიფო ვენჩურული ფონდი „FINVERA“ (რომელიც ექვემდებარება დასაქმების და ეკონომიკის

სამინისტროს), „**FINPRO**“ და „ფინურ გამოგონებათა ფონდი“ (1975)

ტექნოპარკების და კლასტერების განვითარების საქმეს უძღვება ასოციაცია „**TEKEL**“, რომელიც 1700 ინოვაციურ კომპანიას აერთიანებს და სადაც 37000-ზე მეტი ადამიანი მუშაობს.

ფინეთის მთავრობა და ბიზნესი დაინტერესებული არიან ხელი შეუწყონ სწრაფად მზარდ ტექნოლოგიურ კომპანიებს - „**Start-up**“-ებს. ამ საკითხების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით „**FINNVERA**“-ას შემადგენლობაში მუშაობს კომპანია „**VERA OY**“, რომელიც კერძოდ „**Start-up**“-ების დაფინანსებაზეა სპეციალიზებული.

ფინეთის აკადემიასა და „**TEKES**“-თან ერთად სამეცნიერო სიახლეების დაფინანსებას ახორციელებენ განვითარების ეროვნული პროგრამები. მათ შორის უმნიშვნელოვანესია სტრატეგიულ უპირატესობათა ცენტრების პროგრამა - „**SHOK**“ და ექსპერტიზების ცენტრის პროგრამა „**OSKE**“. პირველი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილს, რომლის მიზანია ინოვაციების დანერგვა-განხორციელება ეკონომიკის წამყვან სექტორებში, ხოლო მეორე, ეფუძნება რა კლასტერულ პოლიტიკას, წარმოადგენს რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტს და მისი მიზანია ინოვაციების რეგიონული ბაზის გაძლიერება.

ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს ფინეთის გამოგონებელთა ფონდი. ეს არის კერძო ორგანიზაცია, რომელიც იღებს დიდ სახელმწიფო სუბსიდიებს დასაქმების და ეკონომიკის სამინისტროსაგან. იგი უფასოდ და კონფიდენციალურად ეხმარება კერძო პირებს და დამწყებ საწარმოებს კონსულტაციებით, ინოვაციური იდეების შეფასებებით და ა.შ. ხოლო მათ უფლებებს იცავს ფინეთის გამოგონებელთა ფედერაცია „**FINF**“, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს მათ უფლებებს უცხოეთში, რადგანაც არის გამოგონებელთა საერთაშორისო ფედერაციის „**IFIA**“-ს წევრი.

ფინეთის ინოვაციური სისტემა მოიცავს აგრეთვე უნივერსიტეტებს, რომლებიც ახორციელებენ ძირითადად იმ ფუნდამენტურ კვლევებს, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე პოლიტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებს, სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტებს, ტექნოპარკებს, ბიზნესინკუბატორებს და ა.შ. ფინეთში ფუნქციონირებს 7 ტექნოპარკი. მაგალითად, ქ. ტურ-

კუში განლაგებულია ევროპის ყველაზე დიდი ტექნოპარკი „TSP“, რომლის ძირითადი მიმართულებებია ბიოტექნოლოგიები და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორს, რომელსაც წარმოადგენენ კერძო კომპანიები და კერძო კვლევითი ინსტიტუტები (მცირე და საშუალო კომპანიების წილად მოდის სკსსს-ზე გაწეული ხარჯების 30%). ექსპერტული შეფასებებით 2015 წელს სკსსს-ის დაფინანსების 7% მოდიოდა სამეცნიერო კვლევების შემკვეთი სამრეწველო საწარმოებიდან, დაახლოებით 30% გამოიყოფოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ფინეთის ინოვაციურ სისტემას გააჩნია ე.წ. უცხოური „თანამგზავრები“. მათ მიეკუთვნება მაგალითად, „FIN NODE“, რომელიც არის ფინური ინოვაციური ორგანიზაციების ქსელი უცხოეთში. იგი აკავშირებს ფინეთის ეროვნულ კომპანიებს გლობალურ ინოვაციურ ქსელთან და პირიქით. ამ ქსელის ძირითადი მიზნებია ოპერატიული მდგომარეობის მონიტორინგი და ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანიზაციებისათვის ფინეთში. „FIN NODE“-ს ოფისები მუშაობენ აშშ-ში, ჩინეთში, რუსეთში, იაპონიაში, ინდოეთში.

ფინეთი მსოფლიოში მოსახლეობის განათლების დონისა და ხარისხის მიხედვით, ერთ-ერთი ლიდერია, აქ განათლების სისტემა მეტად მოქნილია, რომელიც მყისიერად რეაგირებს დარგის ყველა სიახლეზე.

გარდა ამისა, ფინელი პატარები პლანეტის ბავშვთა შორის ყველაზე მკითხველი ბავშვები არიან, მათ მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და მეხუთე – მათემატიკაში. პედაგოგიური საზოგადოების გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ფინეთში სასწავლო პროცესი დიდი ხანგრძლივობით არ გამოირჩევა.

საშუალო განათლება სკოლებში ორ ნაწილად იყოფა:

დაბალი – 1-6 კლასები.

მაღალი – 7-9 კლასები.

დამატებით მე-10 კლასში მოსწავლეებს თავიანთი ნიშნების გაუმჯობესების შესაძლებლობა ეძლევათ, შემდეგ კი ისინი პროფესიულ კოლეჯში ან ლიცეუმში აგრძელებენ სწავლას.

გაეროს მონაცემებითა და აგრეთვე PISA-ს (მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევათა შეფასების საერთაშორისო პროგრამა) კვლევების თანახმად, განათლების ინდექსი ფინეთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიო მასშტაბით. 2012 წლიდან ქვეყანა ლიდერია განათლების სისტემათა მსოფლიო რეიტინგში, ხოლო ფინელი მოსწავლეები, საერთაშორისო ორგანიზაცია IEA-ს მონაცემებით, პირველ ადგილზე არიან სასკოლო უნარ-ჩვევების მაჩვენებლების მიხედვით.

ფინური განათლების სისტემა რამდენიმე პრინციპს ემყარება, რომლებსაც ფინელები თავიანთი წარმატების ძირითად პუნქტებად თვლიან. ესენია:

1 - თანასწორობა

არ არსებობს ელიტური და სუსტი სკოლები. ყველას ერთნაირი სასკოლო აღჭურვილობა და დაფინანსება აქვს. თითქმის ყველა სკოლა არის სახელმწიფოს კუთვნილება. მხოლოდ ათამდე ნახევრადკერძო სკოლაა. მათ მიეკუთვნება ის დაწესებულებები, სადაც სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, ფინეთში სრულყოფილი განათლების მიღება შესაძლებელია შვედურ ენაზეც. ფინეთში მოსწავლეებს არ ყოფენ უნარების ან კარიერული შესაძლებლობების მიხედვით. არ არიან „ცუდი“ და „კარგი“ მოსწავლეები, რადგან ბავშვების შედარება აკრძალულია. როგორც გენიალური, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ეტლით მოსარგებლე ბავშვები ერთნაირად ითვლებიან „განსაკუთრებულად“ და სწავლობენ ერთად. ფინელები ცდილობენ საზოგადოებაში მაქსიმალური ინტეგრირება მოახდინონ მათთვის, ვისაც განსაკუთრებული დამოკიდებულება სჭირდება. ფინური პრინციპით, მოსწავლეებისადმი პატივისცემა აუცილებელია. მისი შეურაცხყოფა დაუშვებელია. მასწავლებლის მიერ მოსწავლის დამცირება ფინური შრომითი კანონმდებლობითაც რეგულირდება, მაგალითად, პედაგოგს მხოლოდ 1 წლიანი კონტრაქტი უფორმდება (გაგრძელების შესაძლებლობით). ხელფასი მაღალია და 2 500-იდან 5 000 ევრომდე აღწევს.

2 - ნდობა: სკოლაში მომუშავეთათვის არ არსებობს შემოწმებები, მეთოდისტები. განათლების სისტემა ქვეყანაში ერთიანია, მაგრამ მხოლოდ საერთო რეკომენდაციებს მოიცავს და ყოველი

პედაგოგი სწავლების იმ მეთოდს იყენებს, რომელსაც შესაფერისად თვლის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოსწავლეებისადმი ნდობა. მაგალითად, თუკი ლიტერატურის გაკვეთილზე ჩართულია შემეცნებითი ფილმი, მაგრამ მოსწავლეს არ აინტერესებს, შეუძლია იკითხოს წიგნი.

3 - ნებაყოფლობითობა: სწავლობს ის, ვისაც უნდა სწავლა. პედაგოგები ცდილობენ მოსწავლის ყურადღება მიიპყრონ, მაგრამ თუ მას ინტერესი და სწავლის სურვილი არ გააჩნია, მოსწავლის ორიენტირება პრაქტიკულ მომავალზე უნდა მოხდეს. ფინელები საშუალო სკოლის ამოცანას იმაშიც ხედავენ, აქვს თუ არა აზრი სწავლის გაგრძელებას მაღალ საფეხურზე, თუ სჯობს პროფესიულ სასწავლებელში გადასვლა. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ორივე გზა ერთნაირად დაფასებულია.

ქვეყანაში მიღებულია შეფასების ათბალიანი სისტემა, თუმცა მეშვიდე კლასამდე სიტყვიერი შეფასება გამოიყენება: საშუალო, დამაკმაყოფილებელი, კარგი და ძალიან კარგი.

ფინელების აზრით, მათი სკოლა მთავარს ნამდვილად აკეთებს – მათ ბავშვებს არ აწუხებთ ნერვული დაძაბულობა დამით, არ ოცნებობენ სწრაფად გაზრდაზე, არ სძულთ სკოლა, არ ტანჯავენ საკუთარ თავსა და ოჯახს მორიგი გამოცდისთვის მზადებისას. მშვიდად დაგააზრებულად დადიან სკოლაში და ბედნიერად გრძნობენ თავს.

მართალია, ფინურ სკოლაში სწავლის პროცესი დელიკატური და მსუბუქია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს აქვს უფლება, სკოლა აბუჩად აიგდოს. სასკოლო რეჟიმის კონტროლი სავალდებულოა, ყველა გაცდენილი გაკვეთილი მკაცრად აღირიცხება. მაგალითად, თუ მეექვსე კლასის მოსწავლე დაარღვევს რეჟიმს, შესაძლოა მასწავლებელმა ის მეორე კლასშიც კი დასვას.

ფინეთის რესპუბლიკაში განათლების საკითხებს კურირებს განათლების სამინისტრო. ფინეთში თითქმის ყველა უმაღლესი განათლების დაწესებულება განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია. რამდენიმე კერძო სასწავლებელიც კი სახელმწიფო სუბსიდიებს იღებს და სრულად იმყოფებიან სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. სახელმწიფოს წილი უმაღლესი ინსტიტუტების დაფინანსებაში 72%-ს შეადგენს.

ამ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა სამსაფეხურიანია:

- დაწყებითი განათლება მოიცავს სკოლამდელ და სასკოლო დაწყებულებებს;

- მეორე საფეხური - სასწავლებელი ან კოლეჯი;

- უმაღლესი განათლება - ინსტიტუტები და უნივერსიტეტები.

სკოლამდელი სწავლება იწყება მხოლოდ 6 წლიდან (მხოლოდ თამაშის ფორმით), 7 წლიდან იწყება ნამდვილი სწავლა. განათლების ეს საფეხური სავალდებულო და უფასოა უცხოელებისთვისაც კი (მოიცავს უფასო კვებასაც) და გრძელდება 9 წელი.

სწავლების ე.წ. მეორე საფეხური ნებაყოფლობითია - ახალგაზრდა თვითონ ირჩევს გააგრძელოს სწავლა კოლეჯში ან გიმნაზიაში, თუ წავიდეს პროფესიულ სასწავლებელში და მიიღოს პროფესია. თუ იგი პირველ ვარიანტს ირჩევს, კოლეჯის ან გიმნაზიის დამთავრების შემდეგ აბარებს სახელმწიფო გამოცდებს და წარმატების შემთხვევაში იღებს უფლებას, გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში. უმაღლესი დაწყებულებაც ორგვარია: უნივერსიტეტები ან ინსტიტუტები და უმაღლესი პროფესიული სკოლები. ფინეთში უნივერსიტეტები და ინსტიტუტები ძირითადად ორიენტირებულია სამეცნიერო და კვლევით მუშაობაზე, ხოლო უმაღლესი პროფესკოლები - უფრო მეტად ბიზნესსა და მეწარმეობაზე.

ქვეყნის ინოვაციური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების ცენტრებია უნივერსიტეტები და პოლიტექნიკური ინსტიტუტები. უნივერსიტეტებს მიეკუთვნება 10 მრავალპროფილიანი უნივერსიტეტი, 3 ტექნიკური, 3 ეკონომიკური და 4 სამხატვრო ინსტიტუტი. ასევე არსებობს თავდაცვის უმაღლესი სკოლა, რომელსაც უნივერსიტეტის სტატუსი გააჩნია, მაგრამ არ ექვემდებარება განათლების სამინისტროს.

„პოლიტექნიკები“ ქვეყანაში სულ 29. მათ არ გააჩნიათ სამაგისტრო პროგრამები, რითაც განირჩევიან უნივერსიტეტებისაგან.

ქვეყანაში საკმაოდ მაღალ დონეზეა „პოსტდოქლომური“ განათლების მექანიზმები, რაც ფაქტობრივად ნიშნავს განათლებას მთელი ცხოვრების განმავლობაში, ანუ ბაზრის საჭიროებიდან გამომდინარე კვალიფიკაციის სწრაფად შეცვლის შესაძლებლობას.

პირველ ფინურ უმაღლეს დაწყებულებად ითვლება ტურკუს სამეფო აკადემია, რომელიც დაარსდა 1640 წელს (როცა ფინეთი

იყო შვედური სამეფოს ნაწილი), ხოლო 1828 წელს გადაიტანეს ჰელსინკში.

XX საუკუნის დასაწყისში დაარსდა კიდევ 2 უმაღლესი სასწავლებელი: ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და ეკონომიკის და მართვის სკოლა. დღეს არსებული უნივერსიტეტები ქვეყანაში ომის შემდგომ პერიოდში გაჩნდა და განლაგებულნი არიან ყველა მეტ-ნაკლებად დიდ ქალაქში.

ფინურ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება უფასოა ყველა-სათვის ანუ უცხოელებისთვისაც, მაგრამ ფინელი სტუდენტები სახელმწიფოსაგან იღებს სტიპენდიას და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას საცხოვრებლის დასაქირავებლად. ასევე მათ მიეცემათ შეღავათიანი კრედიტები, პროცენტებს სწავლის დამთავრების შემდეგ 3 წლის განმავლობაში სახელმწიფო იხდის.

დღეს ფინეთში სტუდენტი იღებს თვეში 811 ევროს, მათგან 252 ევრო - საცხოვრებლისათვის, 259 - სტიპენდია, 300 - განათლებისათვის. ეს შეადგენს მშპ-ს 2%-ს. სტიპენდია გაიცემა სწავლაში მოპოვებული წარმატებების მიხედვით, თანაც შეიძლება იგი არ მიეცეს იმ სტუდენტს, რომელსაც შემოსავლების სხვა წყარო გააჩნია.

ფინეთში ითვლება, რომ თითოეულ ადამიანს რეალურად უნდა მიეცეს განათლების და პროფესიის მიღების საშუალება. სტუდენტი მთელ თავის დროს სწავლას უნდა უთმობდეს და არ მუშაობდეს განათლების გადასახადის გამოძევაების მიზნით. ამ შემთხვევაში იგი ვერ ახერხებს სრულყოფილი განათლების მიღებას. აქ მიაჩნიათ, რომ ქვეყანას არ გააჩნია ის „ფუფუნება“, რომ დაკარგოს „ტვინები“.

ყოველწლიურად განათლების დასაფინანსებლად ფინეთის სახელმწიფო 5.5 მლნ ევროს ანუ 15.5%-ს გამოყოფს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიდან. განათლებაზე გაწეული ხარჯების 21.7% მიდის უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე. ეს ნიშნავს, რომ ფინეთში წელიწადში ერთ სტუდენტზე სახელმწიფო ხარჯავს 8 ათას ევროს.

ფინეთი იმ ქვეყანათა რიცხვშია, რომლებიც იზიარებენ ბოლონიის რეფორმებს. ამ მოდელის გატარება ნიშნავს ქვეყნის აქტიურ მონაწილეობას ევროპის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნის პროცესში, რომელიც ფინეთში 2000 წლიდან დაიწყო.

გვინდა აღვნიშნოთ ფინეთში 2004 წელს მიღებული ძალიან საინტერესო „აქტი უნივერსიტეტების შესახებ“, რომლის მიხედვითაც ფინური უნივერსიტეტების ჩვეულებრივ, ტრადიციულ ფუნქციებს დაემატა ე.წ. „მესამე როლი“, ანუ „სოციალური მისია“, რაც კანონითაც გამყარდა. მისი არსი ის არის, რომ როგორც, ზემოთაც აღვნიშნეთ, უნივერსიტეტები განლაგებულია ქვეყნის ყველა მეტ-ნაკლებად დიდ ქალაქში. ეს კი ნიშნავს, რომ განათლების კერები თანაბრადაა გადანაწილებული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ამით ემსახურებიან „სოციალური გამოთანაბრების“ მიზანს. ამასთან არა მარტო უნივერსიტეტები მონაწილეობენ რეგიონული განვითარების პროცესში, არამედ ადგილობრივი ხელისუფლება, მეწარმეობა, ბიზნესი, ეთნიკური გაერთიანებები თავის მხრივ მონაწილეობენ უნივერსიტეტის მართვის პროცესში.

ფინური უნივერსიტეტების სტრატეგიის ძირითად ელემენტად გვევლინება მჭიდრო კავშირი თეორიულ მომზადებასა და პრაქტიკას შორის, უმაღლეს განათლებასა და ბიზნესს შორის. ამ მიზნით პრაქტიკულად ყველა უმაღლეს სასწავლებელს გააჩნია საკუთარი ტექნოპარკი, რომლის შემადგენლობაში მუშაობენ საწარმოები და კომერციული ორგანიზაციები, სადაც სტუდენტები პრაქტიკას გადიან და იღებენ კომერციული საქმიანობის გამოცდილებას. მაგალითად, „**Aalto**-ს უნივერსიტეტთან“ შექმნილია ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ცენტრი „**Start-up Sauna**“, რომელიც მხარს უჭერს ინოვაციებს და მეწარმეობას. ქ. ტამპერში არის ანალოგიური ცენტრი „**New Factory**“.

უმაღლესი განათლებისა და მრეწველობის ურთიერთკავშირის ნათელი მაგალითია კომპანია „იმეკს“, რომელიც შექმნილია ფინური მანქანათსამშენებლო და მეტალურგიული კომპანიების მიერ ქ. ტამპერის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მონაწილეობით. „**Fimeks**“-ი დაკავებულია სამეცნიერო იდეების, ინოვაციური დამუშავებების მოძიებით მეტალურგიულ სფეროში და მანქანათმშენებლობაში, შემდეგ მათი დამუშავებით და უახლოეს 5-10 წელიწადში პრაქტიკული განხორციელებით. სწორედ ამ პუნქტით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ბოლო მონაცემებით ფინეთი პირველ ადგილზე იმყოფება.

2014-2015 წლებში უნივერსიტეტ „Aalto“-ს განვითარებისათვის განხორციელდა 400 მლნ ევროს ინვესტიცია, ასევე იგეგმება მასთან ახლოს ერთ კომპლექსად განლაგდეს ფინეთის ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის ისეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციები, როგორცაა ასოციაცია „Finpro“, ექსპორტული დაფინანსების სახელმწიფო ფონდი “Finnvera“, სააგენტო „TEKES“-ი.

21-ე საუკუნის მსოფლიო ეკონომიკაში კერძო ბიზნესის ხელშემწყობ უმთავრეს მექანიზმად იქცა ბიზნესინკუბატორები. ინკუბაციის კულტურა მსოფლიოში დღითიდღე ვითარდება. “ბიზნესინკუბატორების ეროვნული ასოციაციის (NBIA)” 2012 წლის ოქტომბრის მონაცემებით, მსოფლიოში 7000-მდე მოქმედი ინკუბატორია.

იმ სტარტაპებიდან, რომლებიც ინკუბაციის პროგრამას გადიან, 87% წარმატებით აგრძელებს საკუთარ სამომავლო საქმიანობას. NBIA-ს კვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტარტაპი ინკუბაციის პერიოდში 400%-იან ზრდას განიცდის, ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული ხარჯები კი 40-50%-ით მცირდება.

ბიზნესინკუბატორების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება, ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის ხანგრძლივი დროით დასაქმება.

ბიზნესინკუბატორები ხელს უწყობენ მცირე ბიზნესს, თავიანთი საქმიანობა დაუკავშირონ მსხვილ კორპორაციებს ახალი კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების დარგში. სწორედ ამას გულისხმობს სპეციალური “ტექნოლოგიური ინკუბატორების” პროგრამა. ბიზნესინკუბატორები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმი.

ფინეთში 3 მსხვილი ბიზნესინკუბატორი განლაგებულია დედაქალაქთან - ქ. ჰელსინკთან, 3 ქ. ტამპერთან და 2 ქ. სეინაიკთან.

რამდენიმე ბიზნესინკუბატორი შეიძლება გაერთიანდეს ახალ სტრუქტურაში - ტექნოპარკში. მოწინავე ქვეყნებში ტექნოპარკი წარმოადგენს თანამშრომლობის ფორმას უნივერსიტეტებს, სამეცნიერო ცენტრებს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, სამრეწველო ორგანიზაციებს, საბანკო და კომერციულ სტრუქტურებს შორის. დღეს მსოფლიოში 500-ზე მეტი ტექნოპარკია.

ფინეთში 20 უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს 22 ტექნოპარკი. მათ შორის უმსხვილესია 1982 წელს შექმნილი „**Technopolis Pls**“. ყველა ტექნოპარკი გაერთიანებულია სამეცნიერო პარკების ასოციაციაში „**TEKEL**“. ფინეთის სამხრეთ-დასავლეთში განლაგებულია ტექნოპარკი „**Turku Science Park**“ ქ. ტურკუსთან. იგი დაარსდა 1988 წელს და თითქმის ყველაზე უძველესია. მის შემადგენლობაში შედის 300 სხვადასხვა ორგანიზაცია, რომელთა შორისაა „**Nokia**“-ც. სოციალურ სტრუქტურათა შორის მის შემადგენლობაში უმსხვილესია საუნივერსიტეტო საავადმყოფო „**TYKS**“ (**Turku University Central Hospital**). ტექნოპარკში ფუნქციონირებს 2 ბიზნესინკუბატორი: 1 - ბიონკუბატორი - ატარებს ლაბორატორიულ კვლევებს მედიცინის და ბიოლოგიის დარგში; 2 - ბიზნესცენტრი „**DIO**“ - აერთიანებს ძირითადად საინფორმაციო-საკომუნიკაციო დარგების კომპანიებს, ასევე სატყეო და გემთმშენებლობის დარგის საწარმოებს. სამეცნიერო პარკი „**Turku**“ აქტიურად თანამშრომლობს უცხოურ ტექნოპარკებთანაც. იგი ასევე წარმოადგენს ე.წ. „**Health BIO**“ ქსელს კოორდინატორად, რომლის შემადგენლობაში შედის ბიოლოგიური დარგის 5 ძირითადი რეგიონული კლასტერი: ქ. ტურკუში, ქ. ჰელსინკში, ქ. კუოპიოში და ქ. ოუკუში.

კლასტერი წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკის შემადგენელ ელემენტს, რომელიც აყალიბებს ტერიტორიის, რეგიონის ეკონომიკას. როგორც წესი, კლასტერი უნდა „ემსახუროდეს“ არანაკლებ 15 დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელთა 75% წარმოებით, გაჭრობით ან მომსახურების გაწევით უნდა იყოს დაკავებული. კლასტერის წევრთა უმეტესობა (არანაკლებ 60%-სა) უნდა იყოს მცირე და საშუალო საწარმო. ასევე კლასტერები იქმნება იმ დარგებში და რეგიონებში, სადაც საჭიროა ტრადიციული ეკონომიკური ურთიერთობების „გადატვირთვა“.

ფინეთის სამხრეთით განლაგებულია ტექნოპარკი „ლაჰტი“ (**Lahti science and business park**) ქ. ლაჰტისთან, რომელიც შეიქმნა 2008 წელს. 2012 წელს **Lahti park**-ის ყველა ორგანიზაციის ბრუნვამ 8.5 მლნ ევრო შეადგინა. მისი სამეცნიერო სამუშაოების ძირითადი მიმართულებაა გარემოს დაცვა. ადგილმდებარეობა შეირჩა იმის მიხედვით, რომ ქ. ლაჰტი ფინეთში ლიდერია იმ ორგანიზაციების რაოდენობით, რომლებიც იკვლევენ გარემოს და სახავენ

მისი დაცვის გეგმებს. ამის შედეგად რეგიონში შექმნილია „ფინეთის ეკოლოგიური კლასტერი“ (**Cleantech Cluster**), რომელიც კოორდინაციას უწევს აღნიშნული ორგანიზაციების მუშაობას.

ფინეთში 2007 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს კვლევითი კომპანია „**Forest Cluster**“, რომელიც შეიქმნა მოწინავე სატყეო კომპანიების, სატყეო მრეწველობის ასოციაციის, ტექნოლოგიური მრეწველობის ფედერაციის და ქიმიური მრეწველობის ასოციაციის მიერ „**VTT**“-სა და „**TEKES**“-ის აქტიური მონაწილეობით. მის შემადგენლობაში დღეს 10 უმსხვილესი კომპანიაა. კიდევ ერთი უმსხვილესი კლასტერი „**Finish Forest Cluster**“ კოორდინაციას უწევს ყველაზე პერსპექტიული კვლევების ჩატარებას ბიოენერჯეტიკის და ბიოსათბობის დარგში, რომლებიც ხორციელდება პროგრამით „**Biorefain**“. 2012 წლისათვის ამ პროგრამით დაფინანსდა სამეცნიერო კვლევები 200 მლნ ევროს ოდენობით.

კიდევ ერთი კლასტერი, რომელიც ფინეთში ერთ-ერთი უმსხვილესია, არის „**Tivit**“, რომელიც 2008 წელს შეიქმნა და აერთიანებს მოწინავე კომპანიებს საინფორმაციო და კომუნიკაციების სფეროში (სულ 47 კომპანია). მათ შორისაა „**Nokia**“, „**Nokia Siemens Network**“, „**Eriksson**“, „**VTT**“, ქვეყნის 10 წამყვანი უნივერსიტეტი (ჰელსინკის, ალტოს, ტურკუს, ტამპერეს და სხვ.)

აუცილებლად აღსანიშნავია კლასტერი „ტექნოლოგიური ასოციაცია“, რომელიც აერთიანებს 15 ათას კომპანიას, რომელთა 90% მცირე და საშუალოა, მაგრამ მისი წევრები ასევე არიან უმსხვილესი კომპანიები: „**Nokia**“, „**Metco**“ (ცელულოზის, ქაღალდის წარმოება), „**Kone**“, „**Kargotetek**“ (ამწეების წარმოება), „**Outokumpu**“ (მეტალურგია) და სხვ. მათი ჯამური საქონელბრუნვა 70 მლრდ ევროა წელიწადში.

ქ. ოსტანიემთან, ჰელსინკის ცენტრიდან 8 კმ-ში, 1942 წლიდან დაიწყო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის კამპუსების, მოგვიანებით კი ფინური ტექნოლოგიური კვლევების ცენტრის (**VTT**) მშენებლობა. შემდგომში ამ ორი ორგანიზაციის საფუძველზე შეიქმნა ოსტანიემის ტექნოპარკი, რომელიც აერთიანებს 800 კომპანიას, აქედან 100 მსხვილი და 700-ზე მეტი მცირე საერთაშორისო ინოვაციური ფირმაა. ტექნოპარკის ტერიტორიაზე განლაგებულია ისეთი ორგანიზაციების ოფისები და ლაბორატორიები, როგორცაა კომპანიები: „**Nokia**“, „**Nestle**“, „**Maicrosoft**“, „**Nissan**“. ოსტა-

ნიმში განლაგებულია ე.წ. ტექნოპოლისი „**Technopolis Innopoli**“, რომელიც შედის „**Technopolis Group**“-ის შემადგენლობაში, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს რიგ ტექნოლოგიურ ცენტრს. ტექნოპოლისი აქირავებს შენობებს კომპანიებისათვის, საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურას (ფიტნესცენტრი, მოლაპარაკებების დარბაზები), ახორციელებს მომსახურებას ოფისების მუშაობისათვის, კონსულტაციებს ბიზნესის განვითარებისათვის, იურიდიულ მომსახურებას, დაფინანსებას.

ერთ-ერთი უმსხვილესი კლასტერია „**Kleen OU**“, რომელიც აერთიანებს 28 კომპანიას ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოდამზოვი ტექნოლოგიების დარგში. მათ შორის „**ABB**“, „**Fortum**“, „**URM-Kummene**“ და 16 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

კვების და სამედიცინო პრეპარატების დარგში ლიდერობს „**Calve**“, რომელიც აერთიანებს 28 კომპანიას, მათ შორის მსოფლიოში ცნობილ „**Valio**“-ს, „**Orion**“-ს. 2013 წელს მათი ბიუჯეტი 82 მლნ ევროს უტოლდებოდა.

ფინეთის კიდევ ერთი მსხვილი კლასტერია ტურისტული და შთაბეჭდილებათა კლასტერი, რომელიც კლიენტებს სთავაზობს სუფთა ბუნებას, წელიწადის 4 დროს და უნიკალურ კულტურას და მიმართულია ეკოლოგიურად უსაფრთხო ტურიზმის შექმნაზე, კლიენტისათვის დაუვიწყარი შთაბეჭდილებების შექმნაზე არა მარტო დასვენების დროს, არამედ საქმიანი ვიზიტების დროსაც. 2020 წლისათვის ფინეთი გეგმავს გახდეს ტურისტულად ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქვეყანა ევროპაში. კლასტერს გააჩნია ექსპერტიზების ცენტრები 5 ქალაქში: რივენიემი, იუვასკულია, საკონლინა, ტურკუ და ჰელსინკი. სკსსს-ის დარგში ძირითადი მიმართულებებია: ინოვაციები შთაბეჭდილებათა მართვის სფეროში, ელექტრონული ბიზნესი და მომსახურებათა პროექტირება. ინოვაციები მუშავდება რეალური მომხმარებლების მონაწილეობით რეალურ პირობებში მოდელით - „**Experiene-Lab**“ (შთაბეჭდილებათა ლაბორატორია). მსგავსი ლაბორატორიების გამოყენებით კლასტერი ახორციელებს ტურისტული ბიზნესის სრულყოფისათვის აუცილებელი პროცესების მხარდაჭერას.

სამეცნიერო დამუშავებების და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო დაფინანსების ორგანოთა შორის ცენტრალურ ადგილს იკავებენ უნივერსიტეტები, ფინეთის აკადემია და ტე-

ქნოლოგიების განვითარების ცენტრი „TEKES“ (1983), ტექნიკურ კვლევათა ცენტრი „VTT“ (1942), სახელმწიფო ფონდი „FINVERA“, ფონდი „SITRA“ (1967), ასოციაცია „TEKEL“ და სხვა.

დღეისათვის „TEKES“-ი აფინანსებს სამეცნიერო-კვლევით საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა (სკსსს) დაახლოებით 1500 პროექტს კერძო სექტორში, დაახლოებით 600-ს უნივერსიტეტებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და პროფესიულ უმაღლეს სასწავლებლებში (საინტერესოა, რომ „TEKES“-ი თავისი დაფინანსების პირდაპირ ეკონომიკურ მოგებას არ ითხოვს). მისი წლიური ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 580 მლნ ევროს. იგი ასრულებს მოკავშირის როლს საზოგადოებრივ და კერძო კვლევით ორგანიზაციებსა და მრეწველობას შორის, განსაკუთრებით უნივერსიტეტებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის. მწარმოებელი კომპანიები „TEKES“-ის პროგრამებით იღებენ არსებული კვლევების შედეგად მიღებულ „ცოდნას“, ხოლო კვლევითი ინსტიტუტები იღებენ საშუალებას გაყიდონ თავიანთი კვლევების შედეგები.

ფინეთის ინოვაციური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაწილეა ფინეთის ინოვაციური ფონდი „SITRA“. ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდება დონორთა კაპიტალის ხარჯზე, ანუ იგი არ იღებს თანხებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, თუმცა სხვა მხრივ, ფინეთის მთავრობის განუხრელი ყურადღების ცენტრში იმყოფება. დაწყებული 2004 წლიდან მისი მოქმედების ბირთვს წარმოადგენს მოკლევადიანი ინოვაციური პროგრამები (2-3 წლიანი). ფონდი „SITRA“ აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებაში. იგი უშუალოდ ფინეთის მთავრობას ექვემდებარება. დღეისათვის „SITRA“-ში დაახლოებით 100 კაცი მუშაობს. აქედან მესამედი დაკავებულია სამეცნიერო პროექტებით, მესამედი - ბიზნესის განხრით და დანარჩენი - თვით ფონდის მართვის განხრით. ფონდი „SITRA“ ამუშავებს, ამოწმებს და პრაქტიკაში ნერგავს თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების და მეწარმეობის განვითარების სხვადასხვა ორგანიზაციულ-სტრუქტურულ და ფინანსურ სქემებს. პროგრამებში წარმატებით გამოიყენება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის უპირატესობები ხანგრძლივი პროექტების რეალიზაციისათვის, რომელიც საშუა-

აღებას იძლევა ყველა მონაწილეს შორის თანაბრად განაწილდეს ეკონომიკური რისკები, ეფექტურად მოხდეს რთული პროექტების მართვა, გამოყენებულ იქნეს დაფინანსების სხვადასხვა წყაროები.

ფინეთის ინოვაციური სისტემის კიდევ ერთი წევრია „VTT“ - ქვეყანაში წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ფუნქციონირებს ფინეთის დასაქმებისა და ეკონომიკის სამინისტროს ეგიდით. მისი ბიუჯეტი წლიურად 280 მლნ ევროს შეადგენს. მისი ძირითადი ფუნქციაა გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა და ამ სფეროში იგი ჩრდილოეთ ევროპაში უმსხვილეს ცენტრს წარმოადგენს. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ენერგეტიკა, სატყეო მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ტრანსპორტი, ბიო, სამედიცინო და კვებითი მრეწველობა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ელექტრონიკა, ქიმია და გარემო, მშენებლობა, მომსახურება და ლოგისტიკა.

აღსანიშნავია აგრეთვე ფინეთის აკადემია, რომელიც 1970 წლიდან ფუნქციონირებს და რომელიც განათლების სამინისტროს ადმინისტრაციულ სტრუქტურას წარმოადგენს. იგი, ისევე როგორც „TEKES“-ი არ შეიცავს კვლევით სტრუქტურებს. ის ასრულებს ფინეთის საერთაშორისო თანამშრომლობის საკოორდინატორო ორგანოს ფუნქციას, პირველ რიგში ევროკავშირის ქვეყნებთან. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ქვეყნის სამეცნიერო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დადგენა, მისი სამეცნიერო ავტორიტეტის ამაღლება. 2015 წელს ფინეთის აკადემიის მიერ გაწეული დაფინანსების მაჩვენებლები წილობრივად ასე გადანაწილდა: უნივერსიტეტები - 80%, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები - 10%, უცხოური ორგანიზაციები - 8%.

ფინეთის ინოვაციური სისტემის სხვა წამყვან მონაწილეთა შორის არიან: დაფინანსების სახელმწიფო ვენჩურული ფონდი „FINVERA“ (რომელიც ექვემდებარება დასაქმების და ეკონომიკის სამინისტროს), „FINPRO“ და „ფინურ გამოგონებათა ფონდი“ (1975)

ტექნოპარკების და კლასტერების განვითარების საქმეს უძღვება ასოციაცია „TEKEL“, რომელიც 1700 ინოვაციურ კომპანიას აერთიანებს და სადაც 37000-ზე მეტი ადამიანი მუშაობს.

ფინეთის მთავრობა და ბიზნესი დაინტერესებული არიან ხელი შეუწყონ სწრაფად მზარდ ტექნოლოგიურ კომპანიებს - „Start-up“-ებს. ამ საკითხების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით

„**INNVERA**“-ას შემადგენლობაში მუშაობს კომპანია „**VERA OY**“, რომელიც კერძოდ „Start-up“-ების დაფინანსებაზეა სპეციალიზებული.

ფინეთის აკადემიასთან და „**TEKES**“-თან ერთად სამეცნიერო სიახლეების დაფინანსებას ახორციელებენ განვითარების ეროვნული პროგრამები. მათ შორის უმნიშვნელოვანესია სტრატეგიულ უპირატესობათა ცენტრების პროგრამა - „**SHOK**“ და ექსპერტიზების ცენტრის პროგრამა „**OSKE**“. პირველი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილს, რომლის მიზანია ინოვაციების დანერგვა-განხორციელება ეკონომიკის წამყვან სექტორებში, ხოლო მეორე, ეფუძნება რა კლასტერულ პოლიტიკას, წარმოადგენს რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტს და მისი მიზანია ინოვაციების რეგიონული ბაზის გაძლიერება.

ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს ფინეთის გამომგონებელთა ფონდი. ეს არის კერძო ორგანიზაცია, რომელიც იღებს დიდ სახელმწიფო სუბსიდიებს დასაქმების და ეკონომიკის სამინისტროსაგან. იგი უფასოდ და კონფიდენციალურად ეხმარება კერძო პირებს და დამწყებ საწარმოებს კონსულტაციებით, ინოვაციური იდეების შეფასებებით და ა.შ. ხოლო მათ უფლებებს იცავს ფინეთის გამომგონებელთა ფედერაცია „**FINF**“, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს მათ უფლებებს უცხოეთში, რადგანაც არის გამომგონებელთა საერთაშორისო ფედერაციის „**IFIA**“-ს წევრი.

ფინეთის ინოვაციური სისტემა მოიცავს აგრეთვე უნივერსიტეტებს, რომლებიც ახორციელებენ ძირითადად იმ ფუნდამენტურ კვლევებს, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე პოლიტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებს, სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტებს, ტექნოპარკებს, ბიზნესინკუბატორებს და ა.შ. ფინეთში ფუნქციონირებს 7 ტექნოპარკი. მაგალითად, ქ. ტურკუში განლაგებულია ევროპის ყველაზე დიდი ტექნოპარკი „**TSP**“, რომლის ძირითადი მიმართულებებია ბიოტექნოლოგიები და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საქმეში ენიჭება კერძო სექტორს, რომელსაც წარმოადგენენ კერძო კომპანიები და კერძო კვლევითი ინსტიტუტები (მცირე და საშუალო კომპანიების წილად მოდის სკსსს-ზე გაწეული ხარჯების 30%). ექსპერტული შეფასებებით 2015 წელს სკსსს-ის დაფინანსების 7%

მოდლოდა სამეცნიერო კვლევების შემკვეთი სამრეწველო საწარმოებიდან, დაახლოებით 30% გამოიყოფოდა სახელმწიფო ბიუჯეტში.

ფინეთის ინოვაციურ სისტემას გააჩნია ე.წ. უცხოური „თანამგზავრები“. მათ მიეკუთვნება მაგალითად, „FIN NODE“, რომელიც არის ფინური ინოვაციური ორგანიზაციების ქსელი უცხოეთში. იგი აკავშირებს ფინეთის ეროვნულ კომპანიებს გლობალურ ინოვაციურ ქსელთან და პირიქით. ამ ქსელის ძირითადი მიზნებია ოპერატიული მდგომარეობის მონიტორინგი და ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანიზაციებისათვის ფინეთში. „FIN NODE“-ს ოფისები მუშაობენ აშშ-ში, ჩინეთში, რუსეთში, იაპონიაში, ინდოეთში.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ დღეისათვის ფინეთის ინოვაციური სისტემის წინაშე სულ უფრო მეტად დგება სხვადასხვა სახის პრობლემები. ისინი განპირობებულია ფინური ეკონომიკის სტრუქტურული პრობლემების წარმოშობით, რომლებიც თავის მხრივ დაკავშირებულია ეკონომიკის იმ დარგის ზრდის პოტენციალის შემცირებით, რომელიც ბოლო დრომდე რჩებოდა ქვეყნის ეკონომიკის წამყვან სფეროდ - კომუნიკაციის დარგები. დიდი ხნის განმავლობაში ამ დარგის ლიდერთა შორის წამყვან პოზიციებს ფიჭური კავშირის კონცერნი „ნოკია“ ინარჩუნებდა. იგი ყოველთვის წინ უსწრებდა სხვა გიგანტებს, მაგალითად, ამერიკულ „მოტოროლას“, იაპონურ-შვედურ „სონი-ერიქსონს“ („ნოკიას“ წილი ფინეთის მშპ-ს 3.5%-ს შეადგენს). მაგრამ ბოლო წლებში შეიმჩნევა „ნოკიას“ პოპულარობის დაცემა, რაც მსოფლიო ბაზარზე სენსორული ეკრანიანი მობილური ტელეფონების - „აიფონების“, „სმარტფონების“ შემოჭრამ განაპირობა. ექსპერტების შეფასებით, წარმოიქმნება ე.წ. „ფინური პარადოქსი“ - ინოვაციური ეკონომიკის მაღალი მაჩვენებლები და ამასთან იმ სახის პრობლემათა მატება, რომელთა გადაჭრა ფინურ ინოვაციურ სისტემას ჯერ არ შეუძლია. მიუხედავად ამისა, ფინეთის ეკონომიკა ჯერ კიდევ ინარჩუნებს ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ორგანიზებულ და დინამიურად მდგრადი ეკონომიკის სახელს. ამის მთავარი მიზეზი ნამდვილად არის ქვეყნის გადასვლა განვითარების ინოვაციურ ტიპზე. ყოველივე ამას, სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, სათავეში უდგას ფინეთის მთავრობა, რომლის ძი-

რითად მიზანს ქვეყანაში წარმატებული ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება და ამით ეკონომიკის მდგრადობის განუხრელი ზრდა წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ქისტაური, ფინეთის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკის შესახებ სამეცნიერო შრომების კრებული IX, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2016, გვ.208.

2. <http://www.iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-06-01-07-26-44> ვინ თქვა „ჯერ შრომა, მერე ხტომაო?“ ბედნიერება და წარმატება (პირადი და ქვეყნის) თავსებადია

3. <https://observer.com.ge/2015/05> „სოციალური ტაქსი“ ახალ სპონსორს ელის

4. <https://b2p.ge/finetshi-momavlis-skola-gaixsna/>

5. <http://forbes.ge/blog/215> რომელია საუკეთესო საგანმანათლებლო სისტემები მსოფლიოში? 01 დეკემბერი, 2016

6. <http://fortuna.ge/finetshi-yvela-umushevari-tveshi-560-evros-miighebs/> ფინეთში ყველა უმუშევარი თვეში 560 ევროს მიიღებს

7. <http://european.ge/dan-breznitz-inovaciuri-politika-da-saxelwmifo/> დენი ბრეჟნიცი: ინოვაციური პოლიტიკა და სახელმწიფო European.ge / 20.10.2016

8. <https://bnp.ge/ekonomika/35740-socialurad-progresul-qveynebs-shoris-saqarthvelo-53-e-poziciazea.html?lang=ka-GE> სოციალურად პროგრესულ ქვეყნებს შორის საქართველო 53-ე პოზიციაზეა

9. <https://rg.ru/2009/06/24/finland-site.html> 24.06.2009 18:15 Новации для человека Чему и как учились друг у друга Россия и Финлянд

10. <http://innovation.gov.ru/ru/node/36990/information> Финляндия Инновации в мире Инновационная система страны

11. <http://nn.by/?c=ar&i=195716&lang=ru> Секрет успеха Финляндии: 10 финских инноваций, которые могла перенять Беларусь

12. <http://finrussreports.livejournal.com/15455.html> 100 социальных инноваций Финляндии — Глава 8 | «Предотвращение коррупции»

INNOVATIVE SYSTEM OF THE REPUBLIC OF FINLAND

Summary

The paper deals with the national innovative system of the Republic of Finland as one of the most successful countries in Europe. All organizations or institutions that directly identify and guide the main directions of technological innovation policy are noted. The authors also report the problems facing by the system the so-called. "Finnish Paradox" and about the decisive role of the Finnish Government in their solution.

თამარ თაფლაძე

ქსპანეთის ინოვაციური სისტემა

ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას - ინოვაციური სისტემების როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. განხილულია ესპანეთის ინოვაციური სისტემა, განსაკუთრებით დაწვრილებით კი - განათლების სისტემა. ავტორი აღნიშნავს, რომ ესპანეთის განათლების სისტემა წარმატებით აერთიანებს როგორც კლასიკურ ფორმებს, ასევე ბოლონის პროცესის მიერ დასახულ სიახლეებს. ნაშრომში ასევე აღნიშნულია ინოვაციური სისტემის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტები, როგორცაა ბიზნესინკუბატორები, ტექნოპარკები და კლასტერები, მათი როლი არა მარტო ინოვაციური სისტემის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და წარმატებით განვითარებისათვის და ამით აღნიშნულ სფეროში ევროკავშირის ქვეყნებს შორის მოწინავე პოზიციების დაკავებისათვის.

* * *

ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოტენციალის განვითარების მაღალი დონის მიღწევა. ამ მხრივ ესპანეთში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომელიც 2012 წელს წარმოადგინა „ტექნოლოგიური ინოვაციების ფონდმა“, სამეცნიერო-კვლევით

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე (სკსსს) გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 1.35%-ია, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც ლისაბონის მიერ დასახულ სტრატეგიას - 3%-ს, ასევე სხვა განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს (გერმანია - 2.53%, აშშ - 2.66%, სამხრეთ კორეა - 3.21%, იაპონია - 3.44%).

2012 წლის დეკემბერში ესპანეთის მთავრობამ შეიმუშავა მდგრადი ეკონომიკური ზრდის სტრატეგია, რმელიც გათვლილია 2020 წლის პერიოდამდე. მისი ძირითადი მიზანი ისაა, რომ მოხდეს ეროვნული ეკონომიკის ზრდის განახლებული მოდელის შემუშავება მისი ინოვაციების საფუძველზე გადასვლის გზით.

ლისაბონის სტრატეგიის მიხედვით, კერძო სექტორის როლი სკსსს-ზე გაწეულ დაფინანსებაში 66%-ს უნდა აღწევდეს. ესპანეთში კი ეს მაჩვენებელი 2012 წლისათვის 55%-ს მიუახლოვდა მაშინ, როცა ევროკავშირის მიხედვით საშუალოდ ეს მაჩვენებელი 64.74 %-ია.

ესპანეთში ფუნქციონირებს მსხვილი კომპანიები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფინანსებენ სკსსს-ებს. 2012 წლის მიხედვით, ეს არის ბანკი Santander (856 მლნ ევრო) და სატელეკომუნიკაციო კომპანია Telefonica (777 მლნ ევრო). ეს ორი კომპანია შედის ევროკავშირის 50 უმსხვილეს კომპანიათა რიგში, რომლებიც განსაკუთრებულად დიდად აფინანსებენ სკსსს-ს.

განათლების სისტემის ხარისხზე დამოკიდებული ადამიანური კაპიტალის ხარისხი და, საბოლოო ანგარიშით, ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაციის პერსპექტივები განვითარების ინოვაციურ მოდელზე გადასვლის გზით.

განვიხილოთ ესპანეთის განათლების სისტემა. ზოგადი განათლება ესპანეთში მოიცავს: სკოლამდელ განათლებას (2-6 წლის ასაკში); დაწყებითი ან საბაზო სკოლა (6-12 წლის ასაკში); სავალდებულო საშუალო სკოლა (12-16 წლის ასაკში); საშუალო პროფესიული განათლება (ბაკალავრიატი) (16-18 წლის ასაკში) და უმაღლესი (18-24 წლის ასაკში).

სწავლა ესპანეთში სავალდებულო და უფასოა მხოლოდ საშუალო სკოლის პერიოდში, ანუ 6-დან 16 წლამდე მოზარდებისათვის. უცხოელებისათვის სწავლა ფასიანია.

სკოლამდელი სწავლა 2 საფეხურიანია: საბავშვო ბაღი და სკოლისათვის მოსამზადებელი ჯგუფები, სადაც შეიძლება იყოს მხოლოდ 5-10 ბავშვი და სადაც შეისწავლიან მუსიკას, ცეკვებს, კითხვას, ხატვას, ეთიკას და მათემატიკას. მათ ასევე აცნობენ კომპიუტერს და უტარდებთ ლოგიკის სავარჯიშოები.

დაწყებითი სკოლა შეიძლება იყოს სახელმწიფო, რელიგიური და კომერციული. ეს უკანასკნელი შეიძლება იყვნენ სრულიად დამოუკიდებელი ან ნაწილობრივ სახელმწიფო დაფინანსებაზე. მიუხედავად დაფინანსების ფორმისა, სასკოლო განათლების მთელი პროცესი - მისი ხარისხი, პელშემადგენლობა, შენობების აღჭურვა, მეთოდოლოგიური პროგრამები - სრულიად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფება.

საბაზო განათლება მიიღება 4 ეტაპად: დაბალი (6-8 წელი); საშუალო (8-10 წელი); მაღალი (10-12 წელი) და მეორე დონე - დამამთავრებელი ეტაპი (12-16 წელი). მხოლოდ საბაზო განათლების 10 წლიანი კურსის დასრულების შემდეგ მიეცემა მოსწავლეს საშუალო განათლების ატესტატი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ესპანეთის ე.წ. დახურული სკოლები, სადაც სწავლის პროცესი წარმართება ორმაგი პროგრამებით ერთდროულად რამდენიმე უცხო ენის შესწავლით. ამ საკმაოდ ძვირადღირებული კერძო სასწავლებლების პრესტიჟულობა დამტკიცებულია მათი დიპლომების საერთაშორისო აკრედიტაციით. ამ სკოლების მოსწავლეები უმეტესწილად უცხოელი ბავშვები არიან. ესპანეთში სწორედ ამ ტიპის და რელიგიური სასწავლებლები ითვლება ყველაზე პრესტიჟულად და რეიტინგის მიხედვით ყველაზე ხარისხიანად.

საბაზო საშუალო განათლების მიღების შემდეგ ესპანელი მოზარდები ირჩევენ გააგრძელონ სწავლა კოლეჯში ან ბაკალავრიატში, ან წავიდნენ სამუშაოდ.

ბაკალავრიატი საშუალო განათლების ციკლის არასავალდებულო საფეხურია. იგი 3 კურსისაგან შედგება და იძლევა პროფესიული განათლების მიღების საშუალებას. მოცემულ დონეზე ხდება მოსწავლეთა დაყოფა მათ მიერ არჩეული სპეციალიზაციის მიხედვით და იწყება პროფილური საგნების ღრმა შესწავლის პროცესი. სტანდარტული სასკოლო პროგრამა შედგება შემდეგი დისციპლინებისაგან: ხელოვნება, ჰუმანიტარული, საზო-

გადობრივი და სოციალური მეცნიერებები, ტექნოლოგიები, რელიგია, ეთიკა და პროფილის შესაბამისად შეისწავლება 2 დამატებითი საგანი..

ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აბარებენ გამოსაშვებ გამოცდებს, რაც ერთდროულად ითვლება უმაღლესში მისაღებ გამოცდადაც. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ესპანური უმაღლესი სკოლა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე კონსერვატიულად და წარმოდგენილია 3 კატეგორიის უნივერსიტეტებით: სახელმწიფო, კერძო და სასულიერო. საუნივერსიტეტო განათლება ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ფასიანია, მაგრამ ფასები მეტად დაბალია, ამიტომ ამ მხრივ ახალგაზრდებს პრობლემები არ ექმნებათ. ამასთან, სტუდენტებისათვის არსებობს სტიპენდიების, გრანტების და საერთაშორისო გაცვლის პროგრამების მოხერხებული სისტემა. ზოგადად უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე - ესპანურად, უცხოელებისათვის კი ესპანურის შესასწავლად და გასაუმჯობესებლად არსებობს მრავალრიცხოვანი კურსები. ესპანეთის უმაღლესი განათლება შედის ბოლონიის საერთოევროპულ სისტემაში და ითვალისწინებს განათლების 3 ხარისხის არსებობას:

1 - ბაკალავრი (grado) – სწავლების 4 წელი, ითვალისწინებს ნებისმიერი სპეციალობის მიღება;

2 - მაგისტრი (master) - სწავლების 1-2 წელი, ითვალისწინებს კონკრეტულ სფეროში ვიწრო სპეციალიზაციის მიღებას და მომზადებას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის;

3 - დოქტორი (doctorado) - სწავლების 1-2 წელი, ითვალისწინებს უშუალოდ სამეცნიერო საქმიანობას (ადრე ერქვა ასპირანტურა).

2015 წლისათვის ესპანეთში 71 უნივერსიტეტია, აქედან 51 სახელმწიფო და 20 კერძო. მათთან ერთად ფუნქციონირებს სხვა კერძო სამხატვრო, ხელოვნების, ტექნიკური, უმაღლესი და ბიზნესსკოლა, რომელთა დიპლომები ძალიან მაღალ შეფასებას იმსახურებს ევროპაში. სტანდარტული 3 საფეხურიანი სისტემის გარდა - ბაკალავრი - მაგისტრი - დოქტორი - ესპანური უნივერსიტეტები იძლევიან არაოფიციალური პროგრამების ხარისხებს - 1-2 წლიანი სწავლების კურსის გავლის შემდეგ შეიძლება სერტიფიკატის მიღება, რომლებიც შეიძლება სხვა ქვეყნების უნივერ-

სიტყვებმა არ ცნონ, მაგრამ ფასობენ სპეციალური პროფესიული მიმართულებებით (მაგ., დიზაინის მიმართულებით).

ესპანეთში ყველაზე ბევრი უნივერსიტეტი განლაგებულია მადრიდსა და ბარსელონაში. დღეს ესპანეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 1.8 მლნ ადამიანი, აქედან 50 ათასზე მეტი უცხოელია. უცხოელი სტუდენტები სწავლისათვის არცთუ ძალიან ბევრს იხდიან ესპანელებთან შედარებით. კერძო უნივერსიტეტებში სწავლა წელიწადში 5000-15000 ევროა. სახელმწიფო უნივერსიტეტებში ეს ციფრი შედარებით ნაკლებია - 1500-4000 ევრო წელიწადში.

ესპანური უმაღლესი განათლების სისტემაში ფართოდ გამოიყენება სტიპენდიები, გრანტები, შეღავათები, სპეციალური პროგრამები როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სტუდენტებისათვის. მათი დახმარებით სწავლის ვადა შეიძლება შემოკლდეს თითქმის 50%-ით. ეს კერძო სასწავლებლებსაც ეხება.

როგორც აღვნიშნეთ, უმაღლეს განათლებას ესპანეთში მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ტრადიციები აქვს. ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი დაფუძნდა ჯერ კიდევ XIII საუკუნეში.

ესპანეთში ერთ-ერთი უმსხვილესი და ასევე უძველესი უნივერსიტეტია მადრიდის უნივერსიტეტი - კამპლეტენსე, რომელიც დაარსებულია 1499 წელს. თუმცა მისი ჩამოყალიბება ჯერ კიდევ მე-13 საუკუნის ბოლოდან დაიწყო. აქ სწავლობდნენ გენიალური ლოპე დე ვეგა და სერვანტესი. დღეს აქ 26 ფაკულტეტია, სწავლობს 78000 სტუდენტი, მუშაობს 6000 პროფესორ-მასწავლებელი და 4000-ზე მეტი თანამშრომელი. სწავლება ესპანურ ენაზე მიმდინარეობს. მის სტრუქტურაში შედის 185 დეპარტამენტი, 7 პროფესიული სკოლა, 14 საუნივერსიტეტო საავადმყოფო და კლინიკა, 32 ბიბლიოთეკა, ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ცენტრი. იგი თანამშრომლობს 77 ქვეყნის 900 უმაღლეს დაწესებულებასთან.

ესპანეთში სიდიდით მეორეა ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტი, რომელიც 1968 წელს დაარსდა, მაგრამ მალევე გახდა ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო. იგი შედის მსოფლიო ლიდერების პირველ ათეულში. აქ სწავლობს 45000 სტუდენტი, აქედან 3500-ზე მეტი უცხოელია, მუშაობს 3600 პროფესორ-მასწავლებელი, 2350 ადმინისტრაციული პერსონალი. მისი სტრუქტურა მოიცავს 27

სამეცნიერო ცენტრს და ინსტიტუტს, 57 დეპარტამენტს, 225 კვლევით ჯგუფს. სწავლება ხორციელდება ესპანურ და კატალონურ ენებზე.

აღსანიშნავია ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, დაარსებული 1968 წელს, რომელიც ითვლება ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ტექნიკურ უნივერსიტეტად. მისი სტრუქტურა შედგება 3 ფაკულტეტის, 10 ტექნიკური კოლეჯის, 2 უმაღლესი პოლიტექნიკური სკოლის, 41 დეპარტამენტის და 43 სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და ინსტიტუტისაგან. სწავლება წარმოებს ესპანურ და ინგლისურ ენებზე.

ესპანეთის უნივერსიტეტების რეიტინგების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი სქემა (იხ. სქემა 1).

ესპანეთის უნივერსიტეტები და მათი რეიტინგი მსოფლიოში

№	რეიტინგი	დასახელება		ქალაქი
1	155	ბარსელონას უნივერსიტეტები	University of Barcelona	ბარსელონა
2	192	მადრიდის ავტონომიური უნივერსიტეტი	Autonomous University of Madrid	მადრიდი
3	197	ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტი	Universitat Autònoma de Barcelona	გარდანიოლა
4	210	უნივერსიტეტი კომპლუტენსე მადრიდში	Complutense University of Madrid	მადრიდი
5	247	უნივერსიტეტი პომპეუ ფაბრა	Universitat Pompeu Fabra	ბარსელონა
6	335	კატალონიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი	Polytechnic University of Catalonia	ბარსელონა
7	345	ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი	Polytechnic University of Valencia	ვალენსია
8	375	დე ნავარას უნივერსიტეტები	Universidad de Navarra	პამპლონა
9	378	გრანადის უნივერსიტეტი	University of Granada	გრანადა
10	413	კარლოს III-ის უნივერსიტეტები მადრიდში	Universidad Carlos III de Madrid	მადრიდი

სქემა 1

სამეცნიერო სისტემის კოორდინაციას ესპანეთში ახორციელებენ სახელმწიფო და მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანოები. სამეცნიერო და ტექნიკური კვლევების საერთო კოორდინაციის ფუნქციას ახორციელებს გენერალური ადმინისტრაცია, ხოლო სახელმწიფო კოორდინატორების სტატუსი გააჩნიათ შემდეგ დაწესებულებებს: სამეცნიერო კვლევების უმაღლესი საბჭო (CSLC), აეროკოსმოსური ტექნიკის ეროვნული ინსტიტუტი, კარლოს III-ის სახელობის ჯანდაცვის ინსტიტუტი (ISCIII), ესპანეთის გეოლოგიის და სამთო მრეწველობის ინსტიტუტი (IGME), ოკეანოგრაფიის ესპანური ინსტიტუტი (IEO), ენერგეტიკის, გარემოს და ტექნოლოგიების კვლევის ცენტრი (CIEMAT), სოფლის მეურნეობის და კვების ტექნოლოგიების ეროვნული კვლევითი ინსტიტუტი (LNIA), კანარის ასტროფიზიკის ინსტიტუტი (IAC).

სამეცნიერო და ტექნიკური კვლევების კოორდინაციის ძირითადი ორგანოა ეკონომიკის და კონკურენციის სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო პოლიტიკის, ტექნოლოგიების და ინოვაციების საბჭო. სამინისტროსთან ასევე ფუნქციონირებს მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების საკონსულტაციო საბჭო, რაც შეეხება დაფინანსებას, მას ახორციელებს სამეცნიერო კვლევათა სახელმწიფო სააგენტო და სამრეწველო და ტექნოლოგიური განვითარების ცენტრი.

ესპანეთის ინოვაციური განვითარების სტიმულირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესახებ კანონმა, რომელიც მიღებულ იქნა 2011 წელს. აღნიშნული კანონი აკონკრეტებს იმ მექანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობს მეცნიერების მართვას და მკვლევართა პროფესიული კარიერის რეგულირებას.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის კიდევ ერთი მიმართულებაა ტექნოლოგიურ კვლევათა კონსორციუმების (CENIT, HCKTI), „ფონდების ფონდი“-ს შექმნა და პროგრამა “Torres Quevedo“-ის განხორციელება. ტექნოლოგიური კვლევების ეროვნული სტრატეგიული კონსორციუმები წარმოადგენს სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების ურთიერთკავშირის გაუმჯობესების ამოცანების რეალიზაციის პრაქტიკულ ფორმას ამ კონსორციუმების შექმნისა და ერთობლივი დაფინანსების გზით.

ესპანური ეროვნული ინოვაციური სისტემის (ეის) წინსვლასა და განვითარებაში დიდი როლი მიეკუთვნება სამეცნიერო-ტექნიკური პარკების და კლასტერების ინტიტუტს. კლასტერი თავისთავად თანამედროვე ეკონომიკის ძლიერი შემადგენელი ელემენტია, რომელიც აყალიბებს რეგიონულ პოლიტიკას. როგორც წესი, კლასტერი უნდა „ემსახურებოდეს“ არანაკლებ 15 დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელთა 75% წარმოებით, ვაჭრობით ან მომსახურების გაწევით უნდა იყოს დაკავებული. კლასტერის წევრთა უმეტესობა (არანაკლებ 60%-სა) უნდა იყოს მცირე და საშუალო საწარმო. ასევე კლასტერები იქმნება იმ დარგებსა და რეგიონებში, სადაც საჭიროა ტრადიციული ეკონომიკური ურთიერთობების „გადატვირთვა“. ინოვაციური კლასტერები ესპანეთში წარმოდგენილია სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკებით. ბოლო წლებში საწარმოების, ფირმების, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც გაერთიანებული არიან ტექნოპარკებში გაიზარდა 11%-ით და გადააჭარბა 5100-ს. ყველაზე სწრაფად იზრდება სასოფლო-სამეურნეო, კვების მრეწველობის და ბიოტექნოლოგიების მიმართულების საწარმოთა რიცხვი - 23%-ით; აერონავტიკის და ავტომობილების წარმოება - 20%-ით; ენერჯეტიკა და გარემოს დაცვა - 14%-ით. აქ დასაქმებულთა რიცხვი გაიზარდა 7%-ით და 136 ათას სამუშაო ადგილს მიაღწია. ამასთან უშუალოდ მეცნიერ-მკვლევართა რიცხვი, რომლებიც სკ სსს-ით არიან დაკავებულნი 23%-ით გაიზარდა. მუშაკთა ეს რაოდენობა, ტექნოპარკის მუშაკთა საერთო რაოდენობის 17%-ს უდრის. 2010 წლისათვის ტექნოპარკების საწარმოთა სკ სსს-თვის 972 მლნ ევროზე მეტი დაიხარჯა, ანუ შეიძლება ითქვას, რომ დღეს ტექნოპარკები წარმოადგენს ინოვაციური საწარმოების თავმოყრის ადგილს და განსაკუთრებით ესმარებიან საწარმოებს კონკურენტუნარიანობის ამაღლების საქმეში.

ესპანეთში 1988 წლიდან ფუნქციონირებს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკების ასოციაცია ARTE, რომელიც პირველი 6 ესპანური ტექნოპარკის ინიციატივით შეიქმნა, რომელთა შორის წამყვანია ანდალუსიის ტექნოპარკი. ახლა ARTE აერთიანებს 44 ტექნოპარკს, ხოლო მისი აფილირებული (შვილობილი) წევრია 35 ტექნოპარკი, უნივერსიტეტი და ფონდი.

ესპანეთში ეის სრულყოფილი განვითარების და ამით ქვეყნის ფინანსური სიძნელეების დაძლევის მიზნით ქვეყნის მთავრობამ 2012 წლის დეკემბერში წარმოადგინა მდგრადი ეკონომიკური ზრდის სტრატეგია, რომლის რეალიზაცია გათვლილია 2020 წლამდე. ამ სტრატეგიის მთავარი მიზანი მდგომარეობს ეროვნული ეკონომიკის ეკონომიკური ზრდის მოდელის განახლებაში ინოვაციურ საფუძველზე მისი მოდერნიზაციის გზით.

აღნიშნული ამოცანის რეალიზაციის მიზნით, 2012 წლის ჯერ კიდევ ივლისში ესპანეთის მთავრობამ მოამზადა სახელმწიფო ინოვაციური სტრატეგია, რომლის მთავარი მიზანია ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების სტიმულირება, რისთვისაც გამოყო საქმიანობის 5 ძირითადი მიმართულება:

1. საწარმოთა ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ზრდისათვის აუცილებელი საფინანსო პირობების შექმნა;

2. საწარმოთა ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება ინოვაციურ პროდუქციაზე სახელმწიფოს მოთხოვნის ზრდის საფუძველზე. ამასთან გამოიყოფა შემდეგი ინოვაციური ბაზრები: ჯანდაცვა, „მწვანე“ ეკონომიკა, მეცნიერების ინდუსტრია, რომელიც აწარმოებს აუცილებელ მოწყობილობებს სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად და ქვეყანაში მართვის სისტემის მოდერნიზაცია;

3. ესპანური კომპანიების, რომლებიც იყენებენ ინოვაციებს, საქმიანობაზე ინტერნაციონალიზაციის ზემოქმედება;

4. ინოვაციურ სფეროში რეგიონული კოოპერაციის განმტკიცება;

5. ესპანურ საწარმოებში სპეციალისტების მომზადების სრულყოფა და მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მმართველების მოზიდვა ინოვაციურ სფეროში.

დასასრულ, ექსპერტების აზრით, ესპანეთის უპირატესობა მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყნებთან შედარებით, მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური აღმავლობის წლებში, მ.შ. უცხოური კაპიტალის შემოდინების წყალობით, მან შეძლო მრეწველობის რიგი მოწინავე დარგების შექმნა, როგორცაა საავტომობილო, საჰაერო-კოსმოსური მრეწველობა, ბიოტექნოლოგიური სექტორი, საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების წარმოება, ორიენტირებული გარემოს დაცვაზე, ენერჯის განახლებადი წყარო-

ების და ენერჯის ეფექტიანობის განვითარება, აგრეთვე აგროინდუსტრია. სწორედ ეს დარგები ფლობენ უდიდეს „მოდერნიზაციულ“ პოტენციალს, გვევლინებიან ეროვნული ინოვაციური სისტემის ძრავად და შეუძლიათ შეცვალონ ესპანეთის სახე მსოფლიო ეკონომიკაში. სწორედ ამ დარგებს გააჩნიათ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე მოთხოვნის გენერირების უნარი, გაზარდონ მსოფლიო ბაზარზე თანამედროვე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ექსპორტი. ამიტომ, გადამწყვეტი როლი დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში ესპანეთის სახელმწიფომ უნდა შეასრულოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.college-hq.com/ka/sistema-obrazovaniya-v-ispanii>
2. <http://studyabroad.edu.aris.ge/ge/espaneti/swavla-espanetshi>
3. <http://online.tsu.edu.ge/ge/science/9970/?p=17>
4. <http://farbet.ru/ka/interesting-facts-about-ancient-spain-interesting->
5. <https://www.allnews.ge>
6. <http://www.webeconomy.ru/index.php?pag> Испания: перспективы пере-хода к инновационной модели экономики
7. <http://my-spain.net/page.php?id=302>
8. <http://ati.su/Media/News.aspx?ID=46334&HeadingID=3> В Испании раз-работали инновационную систему сигнализации для спецтехники
9. <https://habrahabr.ru/post/238055/> Испания считает Bitcoin элек- тронной платёжной системой
10. <http://inno-mir.ru/innovation-culture/spain>
11. <http://www.vestnik.mgimo.ru/sites/default/files/pdf/> НАУЧНАЯ ПОЛИТИКА В ИСПАНИИ: ГОСУДАРСТВЕННЫЕ ПРОГРАММЫ И ВОСПРИЯТИЕ НАУКИ В ОБЩЕСТВЕ В.М. Новикова
12. <http://studyabroad.edu.aris.ge/ge/espaneti>
13. <https://vseobr.com/sistemy-obrazovaniya/ispaniya/> Система образо- вания в Испании

Tamar Tapladze

SPAIN'S INNOVATION SYSTEM

Summary

The work is dedicated to one of the most important problems of modernity - the role of innovation systems for the development of the country's econo-

my. The Spanish innovation system is discussed, especially in the education system. The author notes that the Spanish education system successfully combines classical forms as well as the novelty of the Bologna process. The paper also highlights the important elements of the innovation system, such as business incubators, technobars and clusters, not only for the innovation system, but also for the growth and successful development of the country's economy as a whole, and thus for the promotion of advanced positions between EU countries in this area.

ლია დვალიშვილი

დანის ინოვაციური და ინოვაციურ-ეკოლოგიური სისტემები

ანოტაცია. აღნიშნულია, რომ დანიაში ინოვაციები ანუ მიზანმიმართული და გეგმაზომიერი გარდაქმნები დაიწყო XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, რამაც დღის წესრიგში დააყენა ქვეყანაში ძლიერი ფინანსური ინსტიტუტების შექმნა.

ქვეყნის მასშტაბით პოსტინდუსტრიული და ინოვაციური განვითარება თითქმის ერთდროულად დაიწყო და ყველა რეგიონში მათი განვითარების დონე, ასე თუ ისე, გათანაბრდა.

დანის ინოვაციური სისტემის მთავარი მიზანი იყო სხვადასხვა ინოვაციურ სისტემებს შორის კოორდინაცია და კოოპერაცია, სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

ნაჩვენებია, რომ დანის ინოვაციური კომპანიები წარმატებით წყვეტენ დიდი ქალაქების პრობლემებს და ეს გადაწყვეტილებები მისაღებია არა მხოლოდ ადგილობრივი, ასევე გლობალური ბაზრისათვის ეფექტიანობისა და ეკოლოგიის თვალსაზრისით.

* * *

მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები, რომლებიც ინოვაციებს აქცევენ განვითარების პრიორიტეტულ წყაროდ, მოწინავე პოზიციებს იკავებენ მსოფლიოში ეკონომიკის განვითარების ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ბოლო 5-6 საუკუნის განმავლობაში ევროპელები უდავოდ მოწინავენი არიან მეცნიერებასა და ტექნოლოგიურ ინოვაციებში.

დასავლეთევროპელებმა თავისი განსაცვიფრებელი ენერჯით, ნებისყოფით და მრავალსაუკუნოვანი მიზანმიმართული საქმიანობით შეძლეს მსოფლიოს ცენტრში დაეყენებინათ თავიანთი პატარა ნახევარკუნძული. სწორედ აქ შეიქმნა ევროპელი ადამიანის საოცარი ფენომენი, მარად მაძიებელი, დაუკმაყოფილებელი, შემოქმედებითი, შემეცნების წყურვილით შეპყრობილი და ძალაუფლებისკენ მსწრაფი.

როგორც ჩანს, ასეთი ხასიათის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბუნებრივმა პირობებმა, ევროპული პეიზაჟების უდავოდ საოცარმა მრავალფეროვნებამ. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ პეიზაჟის მრავალფეროვნება აღვიძებს ადამიანის წარმოსახვასა და შემოქმედებით აქტიურობას. ასეა ეს თუ არა, უცნობია, მაგრამ, ფაქტია, რომ დასავლეთ ევროპის სუბკონტინენტის ხალხები მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ავლენენ შესაშურ აქტიურობას.

დანია ევროპის ყველაზე წარმტაც რეგიონში მდებარეობს. მისი ადგილმდებარეობა ხელს უწყობს მის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს როგორც ჩრდილოეთის, ასევე დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთევროპის ქვეყნებთან.

დანია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა განვითარების მაღალი დონით. ფლობს ერთ-ერთ საუკეთესო ეკონომიკურ სისტემას ევროპაში. ის ხასიათდება ბალანსირებული ბიუჯეტით, სტაბილური ვალუტით, დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, ინფლაციის და უმუშევრობის დაბალი დონით. მისი მშპ - 258,782 მილიარდი ამერიკული დოლარია, მოსახლეობის ერთ სულზე კი - 45723\$. მშპ-ის ზრდის ტემპი 1,6%-ია (2015 წ. მონაცემებით).

ქვეყნის ექსპორტის მოცულობა 94,1 მლრდ ამერიკული დოლარია, იმპორტის - 83,8 მლრდ (2015 წლის მონაცემებით). წამყვანი დარგებია: ლითონგადამუშავება, გემთმშენებლობა, ელექტროტექნიკური, ქიმიური და კვების მრეწველობა. მთავარ ადგილს იკავებს დანიის ტრადიციული და შემოსავლიანი დარგი - თევზჭერა. ქვეყანა წამყვან პოზიციას ინარჩუნებს გემთმშენებლობაში.

საკმაოდ ინტენსიურად აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ძირითადად, მეცხოველეობის სპეციალიზაციით. აქ ერთი ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქცია საკმარისია 80-ზე

მეტი ადამიანის გამოსაკვებად. შესანიშნავი ინფრასტრუქტურა და დიდი სახელმწიფო მხარდაჭერა (რეალიზაციის ფასის დაახლოებით 35%) ფერმერებს აძლევს საშუალებას, შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა.

დანია მდიდარია ბუნებრივი რესურსებით (ნავთობი, ბუნებრივი აირი, თევზი, მარილი, კირქვა...). აწარმოებს ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვებას. ენერჯიას განახლებადი ენერჯიის წყაროებით იღებს (განსაკუთრებით ქარის ენერჯია). ალტერნატიული ენერჯიის მოხმარება დანიის მთავრობის მიერ იმართება. დანიური ფირმები მსოფლიოში ქარის ტურბინების 38% აწარმოებენ.

დანიის ეკონომიკის და შრომითი ბაზრის უმთავრეს ნაწილს შეადგენს მომსახურების სფერო. მომსახურების სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურიზმი. დანიაში ტურიზმს საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის დაახლოებით 12% მოაქვს.

დანიის ეკონომიკა მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება. მშპ-ის 69% იქმნება მომსახურების სფეროში, 27% - მრეწველობაში და მხოლოდ 4% სოფლის მეურნეობაში. საქონელბრუნვის მოცულობით 1 სულ მოსახლეზე დანია მსოფლიოში პირველ ადგილზე იმყოფება.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დანიაში ცხოვრების დონე საკმაოდ მაღალია, ხოლო სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის - მცირე.

დანია ფლობს ძლიერ ინსტიტუტებს და მაღალგანვითარებულ ინფრასტრუქტურას, რაც ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, განათლების ხელშეწყობას, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში წარმატებებს.

შესანიშნავი ინფრასტრუქტურა და ეკონომიკური გარემო, ქვეყნის მოხერხებულ ადგილმდებარეობასთან ერთად, მეტ საინვესტიციო მიმზიდველობას აძლევს მას.

დანიურ ბიზნესში მკვეთრმა ტენდენციამ თავი იჩინა XX ს-ის ბოლო ათწლეულში. ახალი ტექნოლოგიების გაჩენამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყანაში ძლიერი ფინანსური ინსტიტუტების შექმნის აუცილებლობა. შედეგად, ფინანსურმა სექტორმა გაიარა გაერთიანების პერიოდი, რამაც ორჯერ შეამცირა ფინანსური ინსტიტუტების რიცხვი.

დანია ინოვაციურ მოდელზე უფრო გვიან გადავიდა, ვიდრე შვედეთი და ფინეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მასშტაბით პოსტინდუსტრიული და ინოვაციური განვითარება თითქმის ერთდროულად დაიწყო და მათი განვითარების დონე ყველა რეგიონში, ასე თუ ისე, გათანაბრდა. ქვეყანაში ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება დაიწყო ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფციის საფუძველზე.

დასახული მიზნის მისაღწევად ქვეყანამ გადაწყვიტა სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკის გადახედვა, ხოლო მისი უზრუნველყოფელი ინსტიტუციური სისტემა არსებითად გარდაიქმნა.

დანის ინოვაციური სისტემის მთავარი მიზანი იყო სხვადასხვა ინოვაციურ სისტემებს შორის კოორდინაცია და კოოპერაცია სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

დანია - ესა არის ქვეყანა მცირე საწარმოებითა და კომპანიებით, რომლებიც, როგორც წესი, უფრო დიდი ინოვაციური შესაძლებლობებით გამოირჩევიან.

ძირითადი დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციური პოლიტიკის კოორდინაციას, არის:

1. დანის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამინისტრო (2001);
2. დანის გლობალიზაციის საბჭო (2005);
3. დანის სამეცნიერო-პოლიტიკური საბჭო (2004).

2001 წელს საინოვაციო პოლიტიკის წარმოება გადაეცა დანის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამინისტროს. მასვე გადაეცა საუნივერსიტეტო სექტორიც. სამინისტროს სტრუქტურაში შედის დანის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტო, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების ეროვნული სააგენტო და საერთაშორისო განათლების სააგენტო

2002 წლიდან დაწყებული, გატარდა სამეცნიერო დაწესებულებების მთელი სისტემის რეფორმა ინოვაციებთან დამოკიდებულებაში.

2005 წ. აპრილში დანიის ლიბერალურ-კონსერვატიულმა მთავრობამ შეიმუშავა 2010 წლამდე ქვეყნის განვითარების პროგრამა (1,33 მლრდ ევრო), რომელიც გამიზნული იყო განათლების სისტემის, ინოვაციების, ბიზნესის განვითარებისათვის, ახალგაზრდებში სრული საშუალო და უმაღლეს განათლებულთა ხვ. წილის შემცირებისაკენ.

დანიის ეკონომიკა თითქმის მთლიანად დაფუძნებულია ადამიანურ რესურსებზე, ახალ ცოდნასა და ახალ ხედვებზე. თუმცა მთავარი ის არის, რომ ინოვაციური ეკონომიკის შექმნის იდეა სახელმწიფო რანგშია აყვანილი. ინოვაციათა წარმატებულობაში არსებით როლს თამაშობს ქვეყანაში შექმნილი ინოვაციური ბიზნესის სამართლებრივი გარემო.

ინოვაციები დანიის ეკონომიკის წარმატების გასაღებია. მიჩნეულია, რომ დანიის საზოგადოების მაღალი შეფარდებითი ერთფეროვნება ხელს უწყობს ე.წ. სოციალური კაპიტალის ჩამოყალიბებას, რაც განაპირობებს ინოვაციებს. პატარა ქვეყნებს ახალი ეკონომიკის შექმნის უფრო დიდი უპირატესობა გააჩნიათ, რადგან ასეთ ქვეყნებში ადვილია სამეცნიერო-ტექნიკური კოორდინაციის ორგანიზება, სიახლეების დანერგვა, რისკების წარმოება, ერთობლივი პასუხისმგებლობის ტარება.

მარტივი ჭეშმარიტებაა - რამდენადაც განათლებულია ერი, იმდენად წარმატებულია ქვეყანა. განათლებული ხალხები ქმნიან ძლიერ ინსტიტუტებს, რომელზეც შემდეგ ძლიერი და განვითარებული სახელმწიფო ფუძნდება.

დანია ჩრდილოეთ ევროპაში განათლებისა და მომსახურების საუკეთესო ცენტრია მისი მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი სახეებით. იქ არსებული სკოლები თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საუკეთესო მაგალითია.

მიმაჩნია, რომ ქვეყანა ინოვაციებისადმი ინტერესს მოსახლეობაში სწავლების პირველი საფეხურიდანვე დებს.

დანიის კონსტიტუციის თანახმად, სავალდებულო განათლების ასაკის ყველა ბავშვს აქვს უფასო განათლების მიღების უფლება საჯარო სკოლაში (ფოლკესკოლე).

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დანიაში სავალდებულოა განათლება და არა სკოლა. დანიის საგანმანათლებლო

სისტემის სხვადასხვა დონეები ფინანსდება ე.წ. „მრიცხველის სისტემით“ ანუ პრინციპით „ფული დაყვება მოსწავლეს“.

მრიცხველის სისტემა არის განათლების სამინისტროს საერთო მიზნის, სტრატეგიის და მენეჯმენტის ნაწილი. ამ სტრატეგიის ძირითადი პრინციპია ის, რომ განათლების საკითხებთან დაკავშირებით საუკეთესო გადაწყვეტილებას იყენებენ ის ადამიანები, რომელთა უშუალო კომპეტენციაში შედის განათლების სისტემაში არსებული პრობლემების გადაჭრა. სისტემა ეფუძნება დაწესებულებებისათვის გრანტების გაცემას მათი საქმიანობის მიხედვით.

დანიაში განათლების ხარისხის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებად აღიარებულია:

- მოქნილი საგანმანათლებლო წესები;
- მუდმივი დისკუსიები სპეციალური განათლების, სრული სპეციალური განათლების და ჩვეულებრივი განათლების შესახებ;
- მეთოდებისა და განათლების შესახებ წესების გაანალიზება-განახლება;
- კომუნიკაციის ახალი მეთოდებისა და საგანმანათლებლო მასალების შემუშავება;
- სკოლის ფიზიკური გარემოს კეთილმოწყობა;
- სკოლის შტატის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;
- მრავალმხრივი თანამშრომლობა როგორც შიდა, ასევე სკოლის, სექტორების, რეგიონების და ქვეყნის დონეზე.

ინოვაციური პროგრამების შესწავლას უფრო და უფრო მეტი სტუდენტი ცდილობს. ხელმძღვანელები ეძიებენ შემოქმედ, კვალიფიციურ, საღად მოაზროვნე ახალგაზრდებს.

დანია განსაკუთრებული ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია ბევრი რამ შესთავაზოს სხვა ქვეყნებიდან სასწავლებლად ჩამოსულ სტუდენტებს. ცხოვრების ხარისხი დამახასიათებელი ნიშანია დანიური საზოგადოებისათვის, მოიცავს საკუთარ თავში სოციალურ უზრუნველყოფას, სუფთა ეკოლოგიურ და მიმზიდველ საქმიან გარემოს მაღალი ხარისხის მქონე განათლებით და კვლევებით, ასევე საერთაშორისო პერსპექტივას.

დანის განათლების სისტემა იმყოფება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. განათლების ზოგად პრინციპებს განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოები. უმაღლესი განათლების სისტემა დანიაში წარმოდგენილია ორი სექტორის სახით: საუნივერსიტეტო და

კოლეჯის სექტორი. საუნივერსიტეტო სექტორი მოიცავს 12 უნივერსიტეტს, რომელთაგან რამდენიმე მათგანი ერთდროულად რამდენიმე ფაკულტეტს სთავაზობს მაშინ, როდესაც ზოგიერთი ორიენტირებულია გარკვეული სფეროების მიხედვით. ამას გარდა კიდევ არის 13 ინსტიტუტი, რომლებიც ასწავლიან სხვადასხვა სპეციალობებს. კოლეჯის სექტორი მოიცავს დაახლოებით 100-მდე სპეციალიზებულ ინსტიტუტს უმაღლესი განათლების განხრით, რომლებიც სთავაზობენ პროფესიულ პროგრამებს.

სტუდენტების განკარგულებაშია სწავლების შესანიშნავი პირობები, თანამედროვე კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები და აუდიტორიები როგორც ლექციებისათვის, ისე ინდივიდუალური მეცადინეობისათვის, კომპიუტერული კლასი უფასო ინტერნეტით ყველა სტუდენტისათვის.

ქვეყნის მასშტაბით კვლევების საერთო მოცულობა 8 მთავარ უნივერსიტეტსა და უმაღლეს სასწავლებლებში ხორციელდება. მსხვილ დანიურ კომპანიებს, როგორც წესი, გააჩნიათ საკუთარი კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები. რიგი პროგრამებით აქტიურად თანამშრომლობენ მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან. ამ სფეროში დასაქმებულია 25 ათასი სპეციალისტი. გარდა ამისა, სწავლების პერიოდში სტუდენტების 1/3 მონაწილეობს კვლევით სამუშაოებში.

2002 წლის მონაცემებით, დანიის მოსახლეობის 30%-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება. ყოველწლიურად ბიუჯეტის 1/10 ნაწილი განათლების სფეროსკენაა მიმართული, აქედან 20% - უმაღლესი განათლებისაკენ.

დანიის უმაღლესი განათლება უპირატესობას ტექნიკურ უმაღლეს განათლებას ანიჭებს. დანიური უნივერსიტეტების უმრავლესობა არა მარტო ხარისხიან სწავლებას ავლენს, არამედ თანამედროვე საერთაშორისო კულტურას მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტებთან ურთიერთობებში. დანიაში მაღალია განათლების ავტორიტეტი, თუმცა იგი კონკურენციას ვერ უწევს აშშ-ის და იაპონიის საგანმანათლებლო სტანდარტებს. დანიაში კარგი განათლების მიღება ბევრად იოლი და იაფია, ვიდრე ოკეანის გაღმა. მისი ხელმისაწვდომობა საშუალებას იძლევა, გამოავლინონ ნიჭიერი ახალგაზრდების დიდი ოდენობა დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან.

დიდია დანიის მიღწევები სამეცნიერო სფეროშიც, ფუნდამენტურ მეცნიერებებში, ბიოტექნოლოგიებში, კავშირის საშუალებები და სხვ.

დანიაში, ევროპის განვითარებული ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია) მსგავსად, მიუხედავად ტექნიკური მეცნიერების აბსოლუტურად ლიდერის პოზიციებისა, მეცნიერების სხვა სექტორების მიხედვით იკვეთება რიგი პრიორიტეტები. დანახარჯების 51% საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კვლევებში მოდის სახელმწიფო სექტორზე, დამუშავებების 81% ტექნიკურ მეცნიერებაში ფინანსდება სამეწარმეო სექტორის ხარჯზე.

დანიაში საკმაოდ გულუხვად ახდენენ როგორც ტექნოლოგიური კვლევების, ისე ფუნდამენტური მეცნიერებების ასიგნებას.

დღესდღეობით დანია ოდნავ ჩამოუვარდება შვედეთს და ფინეთს ახალი ფირმების შექმნით, განათლების სისტემის განვითარებით, უნივერსიტეტებსა და საწარმოებს შორის კოოპერაციით.

ქვეყნის რეგიონული პოტენციალი სრულად პასუხობს ჯანდაცვას, გარემომცველი ბუნების დაცვას, უმაღლესი განათლების, შრომის ბაზრის, ტრანსპორტის განვითარებას, ხოლო მუნიციპალიტეტები - ადგილობრივი საწარმოებისა და შრომითი მოწყობის განვითარებას.

დანიის სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროს ახასიათებს თეორიული კვლევებისა და მათი პრაქტიკულ რეალიზაციაზე ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონე. მთავარი როლი აქ ენიჭება ინოვაციურ ინკუბატორებს და ტექნოპარკებს, მათი მთავარი დანიშნულებაა ახალი იდეების კომერციული დაფუძნება.

ამგვარად, ინოვაციური ინკუბატორები იკავებენ ნიშას, კერძო კაპიტალის დახმარებით მოახდინონ სამეცნიერო იდეების პირველგამოჩენა და მისი შემდგომი განვითარება. საწყის ეტაპზე დანიაში ინკუბატორების განვითარება სახელმწიფოს აქტიური ფინანსური მხარდაჭერით მოხდა. კაპიტალის ძირითადი წყარო იყო საზოგადოებრივი ფონდები. გარდა ამისა, ყველა ინკუბატორში პრაქტიკულად ჩამოყალიბდა საკუთარი საინვესტიციო ფონდები, რომლებიც შეივსო ადრე განვითარებული მოვლენების წარმატებით განხორციელების გამო, გარდა ამისა, საზოგადოებრივ და კერძო ფონდებში ინვესტირებით. დანიის სამეცნიერო კლასტერების

საზოგადოებრივი მართვა დანიის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და განვითარების სამინისტროს მიერ ხორციელდება.

ზოგადად, ინოვაციების ეფექტურად განხორციელების საშუალებად მიხნეულია შემდეგი ცენტრები: ტექნოპარკები, ტექნოპოლისები, ფირმები-ინკუბატორები, სამეცნიერო-სამრეწველო კომპლექსები (კონსორციუმები), კლასტერები.

დანიის ოფიციალურად 7 ტექნოპარკია აკრედიტებული. ისინი ითვლებიან „დანიის სამეცნიერო პარკებისა და ინოვაციური ინკუბატორების“ ორგანიზაციის წევრებად.

თანამედროვე ეტაპზე ამ ორგანიზაციის „FOIN“-ის წევრებად ითვლება შემდეგი ტექნოპარკები:

- „Agro Business Park Ltd“
- „Forskerparken GAT“
- „INCUBA Science Park“
- „NOVI“
- „Scion DTU Ltd“
- „Science Park of Southern Denmark“
- „Symbion Science Park Ltd“

მათი უმეტესი ნაწილი დაფუძნებულია მოქმედი ინსტიტუტების, უნივერსიტეტების და ბიზნესსკოლების ბაზაზე, რომლებიც გზადაგზა კვებავენ მათ ინოვაციური იდეებით.

თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური ინკუბატორების საქმიანობა სამ ეტაპად ხორციელდება:

1. კვლევითი საქმიანობა
2. წინასწარი ანალიზისა და შეფასების პერსპექტივები
3. პროექტის წინასწარი დაფინანსება.

პირველ ეტაპზე სამინისტრო ყოველწლიურად განსაზღვრავს, თუ რა რაოდენობის სახსრები უნდა გამოიყოს საზოგადოებრივი ფონდებიდან ტექნოპარკების კვლევითი საქმიანობისათვის.

მეორე ეტაპზე სამეცნიერო იდეებისა და მათი კომერციული დაფუძნების სიცოცხლისუნარიანობის მიზნით თითოეულ პროექტზე კეთდება წინასწარი ანალიზი. ინოვაციური ინკუბატორები კი ამ მიზნისათვის თითოეულ პროექტზე 50 ათას კრონამდე (9.8 ათასი დოლარი) თანხას გამოყოფენ.

მესამე ეტაპი მაშინ დგება, როცა პროექტი კომერციული განხორციელების პერსპექტივებზე პოზიტიურ მოსაზრებებს იღებს.

ამ ეტაპზე სახელმწიფო ფონდებიდან მაქსიმალური დაფინანსების ნორმა 750 ათას კრონს (147 ათას დოლარს) შეადგენს 3 წლის განმავლობაში.

აქ ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა კერძო ინვესტორების მხრიდან პროექტის პარალელური დაფინანსება.

განსაკუთრებით საინტერესო პროექტები შეიძლება იქნეს წარდგენილი სახელმწიფო ფონდებიდან დამატებით წინასწარ დაფინანსებაზე 2 მლნ კრონის ფარგლებში (180 მლნ დოლარი) ორი წლის განმავლობაში.

დანის ერთ-ერთი უმსხვილესი კერძო ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს ახალი პროექტების კვლევებს, განვითარებასა და განხორციელებაზე წარმოადგენს „ზრდის ფონდი“ – „Vækstfunder“, რომელიც კომერციულ საწყისებზე მუშაობს. ამ ფონდმა დაარსების მომენტიდან, 1991 წლიდან, ფინანსური მხარდაჭერა 3500 დანიურ კომპანიას აღმოუჩინა 6.5 მლრდ კრონის ფარგლებში (1.3 მლრდ დოლარი).

დანიაში ასევე ყურადღებას იმსახურებს „დანის ავტორიზებული სამსახურის ინსტიტუტი“ – „GTS-nettet“, რომელიც კონსულტაციებსა და ინოვაციურ-კვლევით საქმიანობას ეწევა, მათ შორის საერთაშორისო დონეზეც. მისი წლიური ბრუნვა 2.54 მლრდ კრონია (498 მლნ დოლარი). აქ დაახლოებით 4 ათასი სპეციალისტია დასაქმებული. ყოველწლიურად ის ათასამდე დანიურ კომპანიას ემსახურება, ასევე კლიენტებს საზღვარგარეთიდან (2010 წლის მონაცემებით პროექტებით დაკავებული იყო 100 წევყანა).

დანიაში ასევე ფუნქციონირებს დამოუკიდებელი და კერძო ორგანიზაციებისა და ფონდების ჯგუფი, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებაში. მას შეიძლება მივაკუთვნოთ დანიის ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ფონდი - „Denmarks Grundforskningsfond“, რომელიც 1991 წელს შეიქმნა. ეს ფონდი 33 სამეცნიერო ცენტრთან თანამშრომლობს. მისი წლიური ბიუჯეტი 275 მლნ კრონია (55 მლნ დოლარი).

ინოვაციურ პარკებში იქმნება ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციურ საქმიანობას, სკოლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ორგანიზაციების შექმნის

ჩათვლით. დანია ფლობს კარგ კვლევით ბაზებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში.

დანიაში კვლევითი საქმიანობა, საინოვაციო კლასტერები, მერიის ტექნოპარკები სრულად შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს. ევროკავშირის კვლევების თანახმად, რამდენიმე მაჩვენებლით, რომელიც ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს ახასიათებს, დანია შედის ლიდერთა შორის. სახელდობრ ისეთი მაჩვენებლით, როგორიცაა ადამიანური რესურსების განვითარების დონე. ის მიღწეულია ახალი ცოდნით, ინოვაციური კოოპერაციით, ვენჩურული კაპიტალით.

ქვეყნის მასშტაბით, ყველა დარგში მიღწეული წარმატებები ზოგადად სპეციალისტთა მაღალი კომპეტენტურობით აიხსნება.

დანის ზოგიერთი კვლევითი სფერო მაღალ საერთაშორისო დონეზე იმყოფება (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგია, ბიოტექნოლოგია, ალტერნატიული ენერჯია, ეკოლოგია, სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა).

მეცნიერებისა და ტექნიკის პრიორიტეტული სფეროების, როგორცაა ნანო, ბიო, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მხარდაჭერის მიზნით 2005 წელს შეიქმნა „მოწინავე ტექნოლოგიების ეროვნული ფონდი“ – „Højteknologifonden“, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამ ფონდმა დაახლოებით 90 სამეცნიერო პროექტს დაუჭირა მხარი საერთო თანხით 2,2 მლრდ კრონი (440 მლნ დოლარი). გრანტების 40.7% გამოიყოფა ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების სფეროზე, 26.9% - საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, 20% - ნანოტექნოლოგიებზე და დაახლოებით 14.4% - სხვა კვლევებზე. ეს ფონდი სრულად პასუხობს დანიის საერთაშორისო მოთხოვნებს.

დანის სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობით ქვეყანაში კვლევების დაფინანსების განაწილების საკმაოდ ეფექტური სისტემა მოქმედებს. ზოგიერთი კომპანია თავად აფინანსებს სიახლეებსა და კვლევებს. კერძოდ, ფარმაცევტული კომპანიის შემოსავლის 17% მიმართულია თავისი კვლევებისა და განვითარებისაკენ.

დანის ინოვაციური სისტემის პრიორიტეტული მიმართულებებია: საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფარმაცია, სამედიცინო

ტექნიკა, ბიოტექნოლოგია, ალტერნატიული ენერჯია, სატელევიზიო კავშირები, ბიზნესმომსახურება.

დანის ბიოტექნოლოგიური სფეროს კვლევები ძირითადად კონცენტრირებულია ერენსუსის რეგიონში, სადაც აღმოსავლეთ დანისა და დასავლეთ შვედეთის კომპანიები და ლაბორატორიები ერთიან კვლევით ცენტრში - „Medicon Valley Alliance“ არის გაერთიანებული.

დანიაში ბიოტექნოლოგიის განვითარება სრულად პასუხობს ფარმაცევტიკის შემდგომ განვითარებას. იგი მრეწველობის მსხვილი საექსპორტო სფერო გახდა. ფარმაცევტული მრეწველობის ზრდის ტემპმა უკანასკნელ 10 წელიწადში 250% შეადგინა.

დანის ინოვაციური კომპანიები წარმატებით წყვეტენ დიდი ქალაქების პრობლემებს და ეს გადაწყვეტილებები მისაღებია არა მხოლოდ ადგილობრივი, ასევე გლობალური ბაზრისათვის ეფექტიანობისა და ეკოლოგიის თვალსაზრისით.

ახლო მომავალში დანია ბუნებრივი აირის მზის ენერჯით შეცვლას გეგმავს. მოცემული პროგრამა ენერგომომარაგების პრობლემების გადაჭრას ემსახურება. დაგეგმილია 17000 კვ/მ მზის ბატარეების აგება, რომელიც წელიწადში 60000 მეგავატსაათ ელექტროენერჯიას გამოიმუშავებს. ღირებულება - 35 მლნ კრონი. ეკონომიის გარდა, ეკოლოგიასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მზის მოწყობილობები ნახშირორჟანგის გამოყოფას ყოველდღიურად 1,5-2 ტონამდე შეამცირებს.

დანია ლიდერია „მწვანე ინოვაციების სფეროში“. მოცემულ ეტაპზე ქვეყანა ეკოლოგიის სფეროში სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო პირობებს ფლობს. ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ პირველად სუფთა ტექნოლოგიების სფეროში გლობალური ინოვაციური ინდექსის შემომდებნი. სპეციალისტებმა შეისწავლეს 38 მცირე მრეწველურად განვითარებული ქვეყანა. ეს ქვეყნები ითვლებიან ინოვაციების წყაროდ. ისინი საჭიროებენ ინოვაციურ მიდგომებს, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობას, უწყვეტ ინვესტიციებს.

აღნიშნული ქვეყნების პირველი ხუთეული ასე ნაწილდება:

ქვეყანა	პოზიცია	ინოვაციების ინდექსი	დანახარჯები ინოვაციებზე	ეფექტი ინოვაციებიდან
დანია	1	4.7	3.5	6.0
ისრაელი	2	4.1	2.5	5.7
შვედეთი	3	4.1	3.3	4.8
ფინეთი	4	4.0	3.6	4.5
აშშ	5	3.8	3.3	4.3

ქვეყნების ჩამონათვალში ბოლო ადგილზე რუსეთი აღმოჩნდა.

გლობალური მაკროეკონომიკური სურათი სუფთა ტექნოლოგიების ფონზე იცვლება, თუმცა ის არის ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი აქტუალური ასპექტი.

ბოლო პერიოდში დანია განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, როგორც ჩრდილოეთ ევროპის ფინანსური, მაღალტექნოლოგიური, ბიოტექნოლოგიური, ფარმაცევტული, სატრანსპორტო და ა. შ. ცენტრი. ცენტრი, რომელიც რეგიონში გლობალური ინოვაციური ინდექსის (გიი) მიხედვით 2015 წლის მონაცემების საფუძველზე, ინოვაციების ევროპულ ლიდერთა შორისაა, ფინეთსა და გერმანიასთან ერთად.

გლობალური ინოვაციების ინდექსის მაჩვენებლები დანიაში

მაჩვენებლები	2011	2012	2013	2014	2015	2016
ინოვაციურობის ინდექსი	57	59.9	58.3	57.5	57.7	58.5
დანახარჯები სკსსს-ზე, პროცენტულად მშპ-თან	2.97	3.03	3.08	3.08		
ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპორტი, %ლად საქონლის საერთო ექსპორტთან	3.42	3.29	3.26	3.61		
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, მლნ დოლ.-ში	9318.4	8742.03	9255.46	9758.84	9318.2	
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, წარმოებული საქონლის ექსპორტი %-ში	3.76	114.22	14.39	14.35	15.92	
რეზიდენტების განაცხადი პატენტებზე	1574	14.6	1341	1377		

წყარო: <http://ru.theglobaleconomy.com>

წამყვანი უცხოური კომპანიების მოსაზიდად დანიის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (სკსსს) ხორციელდება. მთელი ამ საქმიანობის მიზანია, ყოველმხრივ შეეწყოს ხელი ისეთ ინოვაციურ პროექტებს, რომელთა განვითარებასა და რეალიზაციას შეუძლია დანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მსოფლიო ბაზარზე, ტექნოლოგიური დონის ზრდა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში. ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და პროდუქციების კომერციალიზაციას.

დანიის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

წლები	რეიტინგი	შეფასება
2009-2010	5	5.46
2010-2011	9	5.32
2011-2012	8	5.4
2012-2013	12	5.29
2013-2014	15	5.18
2014-2015	13	5.3
2015-2016	12	5.33
2016-2017	12	5.3

წყარო: <http://gtmarket.ru/ratings/global-competitiveness-index>

დანიის ოფიციალური და საქმიანი სფეროების ამბიციური მიზანი ქვეყნის „მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკაში“ ღირსეული ადგილის შენარჩუნების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ინოვაციები და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, IX, თბ., 2015
2. ვეშაპიძე შ., გრიშიკაშვილი ა., ლეკაშვილი ე., ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა. თბ., 2008.
3. ქოქიაშვილი ლ., ქოქიაშვილი ნ. ინოვაციები, თბილისი, 2015
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 3, 1978.
5. Wikipedia.org, Экономика Дании
6. www.vneshmarket.ru/content, Общий обзор экономики Дании

7. svspb.net ВВП Дании на душу населения
8. sice.ru, Инновации: датский стиль
9. mrmarket.ru, Инновации Дании
10. gossmi.ru, Инновационное кластеры в Дании
11. gtmarket.ru/ratings/global-competitiveness-index
12. [http:// www.erepont.ru](http://www.erepont.ru)1
13. <http://theglobaleconomy.com>
14. www.sakpatenti.ge
15. www.energy safe.ru
16. www.gtmarket.ru
17. www.vipo.int
18. www.time.innov.ru
19. www.mir.geo.ru
20. ved.gov.ru
21. www.bpn.ge
22. www.masterstudiess.ru

Lia Dvalishvili

DANISH INNOVATION AND INNOVATIVE ECOLOGICAL SYSTEMS

Summary

It is noted that innovations in Denmark, or deliberate and measurable transformations, began in the last decade of the 20th century, which put on the agenda the creation of strong financial institutions in the country.

On the country scale, post-industrial and innovative development has started almost simultaneously and their level of development in all regions is equal in any case.

The main goal of the Danish innovation system was to coordinate and cooperate with various innovation systems to improve scientific, technical, technological and innovation policies.

It is shown that Danish innovative companies successfully solve the problems of big cities and these decisions are acceptable not only for local but for global markets in terms of efficiency and ecology.

სხვა სამეცნიერო ნაშრომები

რამაზ აბესაძე

ვახტანგ ბურდული

საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის თანამედროვე მდგომარეობა და მისი ფორმირების პრიორიტეტები

შესავალი

ქვეყანაში ქმედითი ინოვაციური სისტემის არსებობის გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა და საჭირო დარგების განვითარება პერსპექტივაში ეკონომიკის თვითკმარობის მისაღწევად (თანამედროვე პერიოდში ქვეყანაში იმპორტის მოცულობა თითქმის 4-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე ექსპორტის, რაც განპირობებულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იმ მრავალი დარგის საქმიანობის შეკვეციტ, რომლებიც აწარმოებდნენ პროდუქციას როგორც შიდა მოხმარების, ასევე ექსპორტისათვის) [Абесадзе, 2014; Бурдули, 2015]. მართალია წინა ხელისუფლების დროს აშენდა რამდენიმე თანამედროვე იმპორტული ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმო, მაგრამ, ამავდროულად, ხდებოდა ინოვაციური სისტემის ზოგიერთი შენარჩუნებული კომპონენტის შეკვეცაც. ამიტომ ამჟამად ქვეყნის წინაშე მწვავედ დგას სრულფასოვანი ინოვაციური სისტემის ფორმირების ამოცანა, რისთვისაც საჭიროა საკმაოდ დიდი დრო და მსხვილი კაპიტალდაბანდებები. ეს ყველაფერი განაპირობებს მისი ფორმირების თანდათანობას. ამიტომ, მოცემულ ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ, გავაშუქოთ და დავასაბუთოთ ქვეყნის ეროვნული ინოვაციური სისტემის (ეის) განვითარების საპირველრიგო პრიორიტეტული მიმართულებები მისი ყველა საკვანძო ბლოკის ჭრილში.

საქართველოს ეის-ის თანამედროვე მდგომარეობა

თანამედროვე პერიოდისათვის ქვეყნის ინოვაციური სისტემა ძალიან განუვითარებული და არაეფექტიანია (თუმცა 2012 წელს, ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, დაიწყო გარკვეული ზომების მიღება მის გასაუმჯობესებლად, მაგრამ რეორგანიზაცია ძალიან ნელა მიდიოდა, მაგალითად, მხოლოდ 2016 წლის ივლისში იყო მიღებული “საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ”), კერძოდ:

1. საგადასახადო მდგომარეობაში იმყოფება ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი, ახალი მთავრობის მოსვლამდე მოხდა მეცნიერთა რაოდენობის ძლიერი შემცირება, დაიხურა რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, დარჩენილი მეცნიერების ხელფასები კი ფაქტობრივად სიმბოლური იყო; ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ ხელფასების მოცულობა 2-ჯერ გაიზარდა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტების მოსაზიდად. მოშლილია მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. **ფშპ**-ში, მეცნიერებისა კერძოდ და ინოვაციური საქმიანობისა საერთოდ, დაფინანსების ხვედრითი წონა თითქმის ყველაზე დაბალია მსოფლიოში.

2. სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს უმაღლესი, პროფესიული და უწყვეტი განათლების სისტემები, რომლებიც, მთლიანობაში, ჯერ კიდევ არ არიან ადეკვატურად ორიენტირებულები ეკონომიკის მოთხოვნებზე, სუსტადაა განვითარებული და არეაფექტიანია კადრების გადამზადების სისტემა და ა. შ.

3. ახლო წარსულამდე ფაქტობრივად არ არსებობდა და ამჟამადაც უმნიშვნელოა ინოვაციური საქმიანობის შედეგების წარმოებაში გადაცემის სისტემა (ტექნოლოგიების ტრანსფერის სამსახურები და მექანიზმები, ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, საკონსულტაციო სამსახურები, ინჟინირინგული და კონსალტინგური ფირმები).

4. როგორც საერთო-სახელმწიფოებრივ, ასევე რეგიონულ დონეებზე აქამდე არ არსებობს ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო საფინანსო და საბიუჯეტო-საგადასახადო მხარდაჭერის მექანიზმები.

5. არ გრძელდება უცხოელი დონორების მიერ განხორციელებული პროექტების შემდგომი მხარდაჭერა, რამაც ბევრ შემთხვევაში პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანა მათი საქმიანობის შედეგები.

6. განუვითარებელია საგრანტო სისტემა და დაბალია მისი მენეჯმენტი: სახელმწიფო არ აძლევს მეცნიერებს შეკვეთებს ინოვაციურ შემუშავებებზე; მართალია არსებობს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის სპეციალური ფონდი, რომელიც ყოველწლიურად გამოყოფს გრანტებს სამეცნიერო კვლევებზე სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის მიხედვით, მაგრამ ეს სამეცნიერო

შემუშავებები არ არის ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული.

7. სუსტია, ფაქტობრივად არ არსებობს კავშირი მეცნიერებას, ბიზნესს და სახელმწიფოს შორის.

8. თითქმის არ ხორციელდება საკუთარ გამოკვლევებზე დაფუძნებული ინოვაციები, ინოვაციების იმპორტი კი ძირითადად ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში ხდება, რაც იმით არის განპირობებული, რომ არსებობს ბევრი ფაქტორი, რომელიც ამუხრუჭებს ახალი საწარმოო ტექნოლოგიების იმპორტს – საჭირო ცოდნის, პოლიტიკური ნება-სურვილის და ინსტიტუციური მხარდაჭერის უქონლობა, მსხვილი ბიზნესის მხრიდან საფინანსო რისკის შიში მრეწველობის დარგებში რეალური ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში და ა. შ.

9. ინოვაციური საქმიანობის სამართლებრივი ბაზის ფორმირება ძირითადად მხოლოდ ახლა დაიწყო. თუმცა შეიძლება დავასახელოთ დოკუმენტები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად პასუხობს ინოვაციური განვითარების მოთხოვნებს (ეს დოკუმენტებია: “საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ (1994); “საქართველოს ინოვაციური კონცეფცია” (2012); საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია “საქართველო 2020”), მაგრამ ისინი აბსოლუტურად არ იყო საკმარისი ინოვაციური სისტემის შექმნისა და განვითარებისათვის. ამჟამად, როგორც იყო აღნიშნული, მიღებულია “საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ” [საქართველოს კანონი ..., 2016], რომლის დებულებები ვრცელდება ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებზე, ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის ინფრასტრუქტურაზე, ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებაზე და ინოვაციების კომერციალიზაციაზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს კანონი შემუშავებულია ძალიან მაღალ დონეზე, მასში გათვალისწინებულია ბევრი დებულება ისეთი კანონმდებლობის უზრუნველსაყოფად, რომელიც საჭიროა ქვეყანაში ეროვნული ინოვაციური სისტემის თანამედროვე მოდელის ფორმირებისათვის. კერძოდ, კანონის დებულებებში გათვალისწინებულია ზოგიერთი რეგულაცია ურთიერთობების ისეთი რეგლამენტაციისათვის სამ წამყვან ინსტიტუციურ სექტორს შორის (სახელმწიფო, ბიზნესი და მეცნიერება), რომელიც დამახასიათებელია “სამმაგი სპირალის

მოდელის” პრინციპების მიხედვით აგებული ეროვნული ინოვაციური სისტემისათვის. “სამმაგი სპირალის მოდელი” კი ამჟამად თანდათანობით მოდის ეგრეთ წოდებული “ევროატლანტიკური მოდელის” შემცვლელად, რომელიც აქამდე მოქმედებს აშშ-ში, კანადასა და ევროკავშირის ქვეყნებში.

10. საქართველოში ინოვაციური სისტემის შექმნის მიმართულებით გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა 2015 წელს, როდესაც აშენდა მაღალი ტექნოლოგიების და ინოვაციების პირველი ცენტრი (ტექნოპარკი) – “საქართველო”. ტექნოპარკის მიზანია ცოდნაზე დაფუძნებული სტარტაპებისა და მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, მათი განვითარების მიზნით, ძნელად მისაწვდომი რესურსების შეთავაზება. ტექნოპარკის მსგავსი ერთეულები არსებობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რაც ასევე წარმოადგენს გარკვეულ წინ გადადგმულ ნაბიჯს საქართველოში ინოვაციური ქსელების შექმნის მიმართულებით.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკა ჯერ არ ვითარდება ინოვაციური გზით. წინამორბედი მთავრობა ამას ხსნიდა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის უპირატესობებით, რომ, ვითომ, მხოლოდ საბაზრო მექანიზმმა უნდა დაარეგულიროს ეკონომიკის ყოველი სფერო. მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობდა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა, რადგან სახელმწიფო მასში უხეშად ერეოდა, მეორე, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა არ გამოირიცხავს სახელმწიფოს აქტიურ, ეფექტიან ჩარევას ეკონომიკაში, პირიქით, სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები ეკონომიკის სწორი მიმართულებით განვითარებისათვის. ამჟამად სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული ქვეყნის ინოვაციური განვითარების აუცილებლობა.

საქართველოს ეის-ის ფორმირების პრიორიტეტები

იმისათვის, რომ დავსახოთ საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირების პრიორიტეტული მიმართულებები, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მისი შემადგენელი ბლოკების მკვეთრი სტრუქტურირების ჩატარება. რიგ სამუშაოზე დაყრდნობით, სადაც ევროკავშირის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ეის-ის

კვლევის საფუძველზე განხორციელებულია ბლოკების სისტემატიზაცია [Зверев, 2009; Модели..., 2013; Национальные..., 2006], ასევე საკუთარ ნაშრომებზე დაყრდნობით [Абесаძე, 2016], შეიძლება ბლოკების შემდეგი სისტემის შემოთავაზება:

1. ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის უზრუნველყოფის ბლოკი: ა) ინოვაციური პოლიტიკის განმსაზღვრელი სამთავრობო ორგანიზაციები, სამინისტროები, უწყებები, სააგენტოები, ფონდები და სხვა მარეგულირებელი და დამაფინანსებელი ორგანიზაციები; ბ) ინოვაციური პოლიტიკის სტრატეგიები და პრიორიტეტები; გ) ინოვაციური საქმიანობის სფეროში ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, იმ დებულებების ჩათვლით, რომლებიც ურთიერთობების რეგლამენტაციას ახდენს მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის.

2. ინოვაციების წარმოების ბლოკი: ა) ბიზნესსექტორი (კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ინოვაციურ პროდუქტს – ინოვაციების შემმუშავებელი ქვედანაყოფები მსხვილ კორპორაციებში, მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ქმნიან ინოვაციურ პროდუქტს); ბ) ინოვაციური პროდუქტის შემმუშავებელი საწარმოები, რომელთა შექმნა მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებული იყო სახელმწიფოს მიერ (მაგალითად, სახელმწიფო ვენჩურის პრინციპის მიხედვით).

3. მეცნიერულ-კვლევითი სექტორი (უნივერსიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები).

4. ტექნოლოგიების ტრანსფერის (გადაცემის) ორგანიზაციები და ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები (ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოლოგიების ტრანსფერის და კომერციალიზაციის ცენტრები და ა. შ.). ყველა ამ სტრუქტურამ ხელი უნდა შეუწყოს როგორც სამამულო (რომელთა რაოდენობა პატარა ქვეყანაში მცირეა), ასევე, განსაკუთრებით, იმპორტული ახალი საწარმოო ტექნოლოგიების გამოვლენასა და წარმოებაში დანერგვას.

5. საერთაშორისო ინოვაციურ გარემოსთან ურთიერთქმედების სისტემა, ესე იგი ურთიერთკავშირები უცხოელ პარტნიორებთან ინოვაციური საქმიანობის სფეროში, როგორც ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების მიწოდებისა (ტრანსფერის), ასევე, ერთობლივი ინოვაციური შემუშავებების ჩატარების სფეროში.

6. ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ბლოკი: ა) ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო (ცენტრალური და რეგიონული) დაფინანსება; ბ) ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება ბიზნესსექტორის მიერ; გ) ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების სფეროში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა.

7. კადრების მომზადების ბლოკი.

8. დონორების მიერ განხორციელებული პროექტების მხარდაჭერის ბლოკი.

9. სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის ბლოკი.

ახლა ჩამოთვლილი ბლოკების ჭრილში განვიხილოთ ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირების პრიორიტეტული მიმართულებები.

1. სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის უზრუნველყოფის ბლოკი. “საქართველოს კანონში ინოვაციების შესახებ” განსაზღვრულია მთავრობის სათათბირო ორგანოს “კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს” ფუნქციები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ინოვაციების სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების კოორდინაცია და ეროვნული და რეგიონული ინოვაციების ეკოსისტემის განვითარების კოორდინაცია როგორც სახელმწიფო უწყებებს, ისე სახელმწიფო, კერძო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სექტორებს შორის. კანონში ასევე ზოგადად განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის “ინოვაციების და ტექნოლოგიების საქართველოს სააგენტოს” (შემდგომ – სააგენტო) ამოცანები, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციების კომერციალიზაციას და მოახდინოს ინოვაციების გამოყენების სტიმულირება, მაგრამ არაფერია ნათქვამი ინოვაციური ფონდის შესახებ, რომლის ნაირსახეობები არსებობს ზოგიერთ ქვეყანაში წარმატებულად განვითარებადი ინოვაციური სისტემით. რა თქმა უნდა, კანონში აღნიშნულია სააგენტოს მიერ ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსების წესები, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამის გარდა უნდა არსებობდეს ინოვაციური ფონდიც თანამედროვე პირობებში ყველაზე აქტუალური ინოვაციური ოპერაციების ან შემუშავებების დაფინანსების მიზნით (მთლიანად ან სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის წესის გამოყენებით).

ინოვაციური პოლიტიკის სტრატეგიაში უნდა განისაზღვროს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები და დაისახოს ის ძირითადი დარგები ინოვაციების სამრეწველო დანერგვის პერსპექტივით, რომლებზეც უნდა გამოიყოს ძირითადი სახელმწიფო რესურსები. ამასთან, უპირველესად ყურადღება უნდა მიექცეს იმ ტრადიციული დარგების ინოვაციურ განვითარებას, რომელთა საწარმოების უმეტესობაში მუშაობა 90-ანი წლების დასაწყისში შეწყდა მოძველებული ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და ცოდნის დეფიციტის გამო (სწორედ ამ საწარმოების მუშაობის შეწყვეტა გახდა ექსპორტირებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის ამჟამადაც არსებული უზარმაზარი დისბალანსის ძირითადი მიზეზი). ამის გარდა, სტრატეგიაში უნდა დაისახოს ეროვნული და რეგიონული ინოვაციური სისტემების ფორმირებისა და განვითარების საპირველრიგო ამოცანები და სახელმწიფო სექტორში შეირჩეს ეროვნული ინოვაციების შემუშავების პრიორიტეტული მიმართულებები. სტრატეგიის შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს ინოვაციური განვითარების სპეციალური პროგრამების შემუშავება, რაც შემოღებულია მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია “საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ”, საჭიროა ინოვაციური საქმიანობის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი განვითარება. ასე მაგალითად, ამ კანონის მესამე თავში (16 და 17 მუხლები) ხდება (ზოგადად) ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების საკითხების რეგლამენტირება. ამასთან, ბიუჯეტის შევსების ამჟამად არსებული ძალიან სუსტი საგადასახადო ბაზის არსებობის პირობებში ინოვაციური საქმიანობის მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსება აშკარად არასაკმარისი იქნება. ამიტომ ნათელია, რომ სააგენტოს საფინანსო რესურსები უნდა ივსებოდეს სახელმწიფო სასესხო საშუალებების ხარჯზეც, რაც ასახული უნდა იყოს კანონმდებლობაში ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტებში. მიზანშეწონილია ასევე კანონმდებლობაში იმ დებულებების შეტანა, რომ უნივერსიტეტებსა და სხვა კვლევით დაწესებულებებს უნდა ეკუთვნოდეს უფლება ინტელექტუალურ საკუთრებაზე, რომელიც წარმოიშვა იმ შემუშავებების შესრულების დროს, რომლებიც ჩატარებული იყო სახელმწიფოს საფინანსო მხარდაჭერით. კანონმდებლობაში ასეთი დებულების

არსებობა დამახასიათებელია იმ ეროვნული ინოვაციური სისტემებისათვის, რომლებიც აგებულია “სამმაგი სპირალის მოდელის” პრინციპების გათვალისწინებით [Модели..., 2013].

2. ინოვაციების წარმოების ბლოკი. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ინოვაციების უმეტესი ნაწილი იწარმოება ბიზნესსექტორში. საქართველოში ამჟამად ინოვაციების წარმოება ბიზნესსექტორში უმნიშვნელო დონეზეა. სამრეწველო სექტორში მსხვილი კორპორაციების რაოდენობა მცირეა, მართალია, მათი რაოდენობა ბევრია სავაჭრო სექტორში (ისინი ძირითადად ვითარდებიან სამომხმარებლო პროდუქციის იმპორტის და ქვეყანაში მისი გასაღების ხარჯზე), მაგრამ ამ სექტორში არ არსებობს ბევრი ახალი ტექნოლოგიის წარმოების აუცილებლობა. ამიტომ, იმისათვის, რომ მსხვილ კორპორაციებში შესაძლებელი გახდეს დიდი რაოდენობის ინოვაციური ქვედანაყოფების შექმნა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საქართველოს ეკონომიკის ჰიპერტროფიული დარგობრივი სტრუქტურის გარდაქმნა იმ მიმართულებით, რომ უფრო მეტი მსხვილი საწარმო გაჩნდეს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აქტუალურ დარგებში (ასეთი გარდაქმნის გზებზე და ამ გარდაქმნის უზრუნველყოფელი ეკონომიკური მექანიზმების შესახებ იხ. ჩვენს ნაშრომებში [Абесадзе, ..., 2014; Бурдули, 2015; Бурдули, 2016]). ამჟამად უფრო აქტუალურია მცირე კერძო ინოვაციური საწარმოებისა (რომლებმაც, უპირატესად, უნდა გამოიკვლიონ ახალი უცხოური ტექნოლოგიები საწარმოებში მათი მომდევნო გადაცემისათვის) და ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელის შექმნა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების დაჩქარებული განვითარება. თუმცა ზოგიერთ დარგში, მაგალითად, სწრაფად მზარდი სამშენებლო მასალების მრეწველობაში, ამჟამადაც მსხვილ კომპანიებში შეიძლება ინოვაციური ქვედანაყოფების შექმნა, ისინი, კერძოდ, ხელს შეუწყობენ ქვეყანაში ბევრი იმ თანამედროვე სამრეწველო მასალის წარმოების ათვისებას, რომელიც ამჟამად უცხოეთიდან შემოდის.

პრიორიტეტულია ასევე სახელმწიფო (ან სახელმწიფო-კერძო პარტნიორობაზე დაფუძნებული) მცირე ინოვაციური საწარმოების შექმნა სახელმწიფოს ინოვაციური სტრატეგიის იმპერატივების

მხედველობაში მიღებით (თუმცა უკანასკნელი ჯერ შემუშავებული არ არის).

3. სამეცნიერო-კვლევითი სექტორი. უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს იმ სამეცნიერო შემუშავებებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება ინოვაციურ გამოკვლევებზე.

განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში (ეის-ის ევროატლანტიკური მოდელით, რომელიც ამჟამად ტრანსფორმირდება “სამმაგი სპირალის მოდელის” პრინციპის მიხედვით აწყობილ ეის-ში) კვლევების და შემუშავებების გამტარებელ ეის-ის ფაქტობრივ ბირთვად გამოდიან უნივერსიტეტები და ზოგიერთი სხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები [Национальные..., 2015]. დღეისათვის აშშ-ის ეის-ის საფუძველს წარმოადგენს დაახლოებით 150 უნივერსიტეტი, რომლებშიც თავმოყრილია ძირითადი კვლევები ფუნდამენტური მეცნიერების სფეროში და გამოყენებითი კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი. უნივერსიტეტების გარდა აშშ-ში ფუნდამენტურ კვლევით საქმიანობას ეწევიან უმაღლესი კვლევების ინსტიტუტები. აშშ-ის ეის-ის შემდეგ სტრუქტურას წარმოადგენს ეროვნული ლაბორატორიები (უმსხვილესი ინსტიტუტები, რომლებიც ავითარებენ გამოყენებითი მეცნიერების რომელიმე მიმართულებას) [Модели..., 2013]. წამყვან როლს უნივერსიტეტები თამაშობენ ისეთ მსხვილ ევროპულ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია. მაგრამ საფრანგეთში ფუნდამენტური კვლევების უმეტესი ნაწილი ხორციელდება სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) ჩარჩოებში, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის ანალოგია. ქვეყანაში არსებობს სახელმწიფოსთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების კიდევ ორი კატეგორია: სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები; სახელმწიფო სამრეწველო-კომერციული დაწესებულებები, რომლებიც ძირითადად მუშაობენ ეროვნული მეურნეობის მეცნიერებატევად სექტორში [Национальные..., 2015]. ისეთ მცირე ქვეყანაში, როგორცაა დანია, უნივერსიტეტების გარდა ეის-ის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ამის გარდა არსებობს GTS-ინსტიტუტები (“მომსახურების დამტკიცებული ტექნოლოგიური მიმწოდებელი”), რომლებიც დამაკავშირებელ ელუ-

მენტებად გამოდიან სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურებს შორის. დანიაში ასევე შექმნილია მძლავრი ინოვაციური ინფრასტრუქტურა. მიუხედავად ამისა, ინოვაციური აქტიურობის უმეტესი ნაწილი შემოიფარგლება უმნიშვნელო ინოვაციებით, რომლებიც მიმართულია ადგილებზე საწარმოო პროცესის გაუმჯობესებაზე [Справка...: 5].

ამ გამოცდილებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მცირე ქვეყანაში შეუძლებელია ინოვაციური განვითარება უცხოეთიდან ახალი ტექნოლოგიების მსხვილმასშტაბიანი სესხების (იმპორტის) გარეშე. მით უმეტეს ასეთი სესხები საჭიროა საქართველოში, სადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საჭიროა ეკონომიკის პიპერტროფიული სტრუქტურის გამოსწორება. ამიტომ ქვეყანაში ინოვაციების წინ წაწევის ყოველ სტადიაზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინოვაციების (ე. ი. ახალი ტექნოლოგიების) სესხების (იმპორტის) პრობლემას. კერძოდ, სამეცნიერო-კვლევით სტადიაზე შესაბამის დაწესებულებებში (იქნება ეს უნივერსიტეტი თუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) საჭიროა ისეთი სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფის შექმნა, რომელიც განახორციელებს საჭირო (მოკითხული) უცხოური ინოვაციური ტექნოლოგიების კვლევას და შეიმუშავებს წარმოებაში მათი წინ წაწევის რეკომენდაციებს.

4. ტექნოლოგიების ტრანსფერის (გადაცემის) ორგანიზაციები და ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები. “საქართველოს კანონში ინოვაციების შესახებ” აღნიშნულია ინოვაციური ინფრასტრუქტურის შემდეგი ელემენტები: სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკი, ბიზნესინკუბატორი, ბიზნესამაჩქარებელი, ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FabLab), ინოვაციების ლაბორატორია (ILab), ინოვაციების ცენტრი, სხვა ინფრასტრუქტურა (ინოვაციური ინფრასტრუქტურის ელემენტებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ცენტრებს, რომელიც კანონში ცალკე არაა გამოყოფილი). ყველა ამ სტრუქტურამ ხელი უნდა შეუწეოს როგორც სამამულო (რომელიც მცირე ქვეყანაში არც ისე ბევრია), ასევე, და განსაკუთრებით, გადმოღებული (იმპორტული) ახალი საწარმოო ტექნოლოგიების გამოვლენას და წარმოებაში დანერგვას.

ამ სფეროში, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ფორმალურად რამდენიმე რეგიონში ტექნოლოგიური პარკის შექმნა, რომელთა დამფუძნებლები განსაზღვრავენ მათში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების წრეს, ხელს შეუწყობენ მეცნიერულ-კვლევით ორგანიზაციებსა და წარმოებას შორის ინოვაციური ურთიერთკავშირების დამკვიდრებას და გაღრმავებას, ასევე – ინოვაციური ინფრასტრუქტურის საჭირო ელემენტების შექმნას.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ტექნოლოგიების ტრანსფერი (“გადაცემა”). მაგრამ ტრანსფერის ქვეშ იგულისხმება ამოცანების უფრო ფართო წრე, ვიდრე ეს განსაზღვრულია ხსენებულ კანონში “ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრისათვის”. ფაქტობრივად ტრანსფერში პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტებიც. მაგალითად, ბიზნესამაჩქარებლების (აქსელერატორების) ამოცანა ჩვეულებრივ მდგომარეობს ინოვაციური სტარტაპებისათვის ტექნოლოგიების დანერგვა-ათვისების მხარდაჭერაში (მათ შორის ინვესტიციების სახით), რაც ასევე შეიძლება განიხილოს როგორც ტექნოლოგიების გადაცემის პროცესი. ამიტომ, ბიზნესინკუბატორებთან ერთად, პირველ რიგში, საჭიროა საქართველოს რამდენიმე რეგიონში ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრებისა და ბიზნესამაჩქარებლების დაფუძნება.

5. საერთაშორისო ინოვაციურ გარემოსთან ურთიერთქმედების სისტემა. საქართველო მცირე ქვეყანაა და ამიტომ არ შეუძლია დიდი რაოდენობის ახალი საწარმოო ტექნოლოგიების წარმოება (საერთოდაც ასეთი წარმოება ამჟამად უმნიშვნელოა). მან ძირითადად გეზი უნდა აიღოს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საწარმოო ტექნოლოგიების გადმოღებაზე (იმპორტზე) (რა თქმა უნდა, მსხვილ ქვეყნებშიც ხდება უცხოური ახალი ტექნოლოგიების მასობრივი იმპორტი და სამამულო ტექნოლოგიების ფართომასშტაბიანი ექსპორტი). ამიტომ ტექნოლოგიების ტრანსფერის სამამულო ცენტრებმა უნდა ითანამშრომლონ უცხოური ქვეყნების შესაბამის სისტემებთან, კერძოდ, სამამულო საწარმოებისათვის ხელშეწყობის გაწევით საპატენტო ლიცენზიებისა და ნოუ-ჰაუს შესაძენად, უცხოური ინჟინირინგული ფირმების მოსაზიდად მათ მიერ საზღვარგარეთ შესყიდული ახალი ტექნოლოგიების აწყო-

ბისა და მზა ობიექტების ჩაბარებისათვის “turnkey”, ასევე – ხელშეწყობით უცხოურ პარტნიორებთან ერთობლივი, კერძოდ, ვენჩურული საწარმოების შექმნაში.

ინოვაციურ საქმიანობაში საერთაშორისო თანამშრომლობის მეორე მიმართულებას წარმოადგენს თანამშრომლობა ინოვაციების შემუშავებისა და წარმოების სფეროში, კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი შემუშავებების სტადიაზე. ჯერჯერობით ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პრობლემა სათანადო დონეზე გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ევროკავშირის ქვეყნებთან არსებობს ასეთი თანამშრომლობის განვითარების ფართო პერსპექტივები საქართველოს ევროკავშირთან შეთანხმების VI კარის მე-12-ე თავის “თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში” დებულებებით ხელმძღვანელობის საფუძველზე, სადაც, კერძოდ, ნათქვამია: “მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას სამოქალაქო სამეცნიერო კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) ყველა სფეროში ორმხრივ სარგებელზე დაყრდნობით და ინტელექტუალური საკუთრების უფლების სათანადო და ეფექტიანი დაცვის დონეების უზრუნველყოფის შესაბამისად (მუხლი 342)”. “კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) კუთხით თანამშრომლობა მოიცავს: (a) დარგობრივ დიალოგს და სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლას; (b) თითოეული მხარის შესაბამის პროგრამებზე დაშვების სათანადო ხელშეწყობას; (c) კვლევითი შესაძლებლობებისა და ქართული კვლევითი დაწესებულებების მონაწილეობის გაზრდას ევროკავშირის კვლევით ჩარჩო-პროგრამებში; (d) ერთობლივი კვლევითი პროექტების ხელშეწყობას კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) ყველა სფეროში; ... (მუხლი 343)”.

6. ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ბლოკი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ინოვაციური საქმიანობის როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაფინანსება ძალიან დაბალ დონეზეა. ამასთან, ევროკავშირის ქვეყნებში წარმატებული ინოვაციური სისტემებით ასეთ დაფინანსებაზე დიდი სახსრები იხარჯება. ასე მაგალითად, 2009 წელს გამოკვლევებისა და შემუშავებების დაფინანსებაზე გაწეული დანახარჯების წილმა მშპ-ში შეადგინა:

ფინეთში – 3.70%, შვედეთში – 3.75%, 2.63%, ავსტრიაში – 2.66%, დანიაში – 2.72%, საფრანგეთში – 1.99% [Сочнов, 2011: 222]. ამასთან, დანახარჯების საერთო ჯამში სახელმწიფოზე (კერძო სექტორთან შედარებით) მოდის ნაკლები წილი, მაგალითად, ფინეთში – 25.4%, შვედეთში – 30.0%, საფრანგეთში – 36.2% (თუმცა მოგვიანებით საფრანგეთში სახელმწიფო დანახარჯების წილი გაიზარდა 49.9%-მდე [Национальные..., 2015]). ამიტომ, იმისათვის, რომ საქართველოში ეის-ის სრულფასოვანი ფორმირება და ამოქმედება მოხდეს, საჭიროა ამ სფეროში როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დანახარჯების მკვეთრი გაზრდა.

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსება დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესაძლებლობებზე. მისი შევსების დაბალი საგადასახადო ბაზის გამო, ასეთი დაფინანსება, როგორც აღინიშნა, ძალიან მცირეა. ამიტომ, სახელმწიფო დაფინანსების მისაღები ზომების უზრუნველსაყოფად საჭიროა საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება ზოგიერთი გადასახადის განაკვეთების გაზრდის ხარჯზე. კერძო კაპიტალი კი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ორგანიზებული იმისათვის, რომ გამოყოს საფინანსო სახსრების საკმარისი ოდენობა ეის-ის განვითარებისა და ინოვაციური საქმიანობისათვის. კერძო სექტორში თავისუფალი საფინანსო სახსრების უმეტესი ნაწილი თავმოყრილია სავაჭრო კაპიტალის სფეროში, რომელიც არაკომპეტენტურობისა და დიდი რისკის გამო, არ მიისწრაფვის მათი განთავსებისაკენ სამრეწველო სექტორის ინოვაციურ სფეროში. მაშასადამე, საჭიროა ბიზნესის თვითორგანიზაციის სისტემის გარდაქმნა. იმისათვის, რომ დავადასტუროთ ამ სფეროში ქვემოთ მოყვანილი ჩვენი წინადადებების სისწორე, თავდაპირველად მოვიყვანთ შემდეგ ციტატებს: “სამხრეთ კორეის სწრაფი წარმატებითი განვითარება შესაძლებელი გახდა საზღვარგარეთული ტექნოლოგიების აქტიური შესვებისა და მიზანმიმართული საპატენტო პოლიტიკის წყალობით. სამხრეთ კორეის “ეკონომიკურ სასწაულში” მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსხვილმა ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფებმა (ჩეოლგებმა), რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდნენ ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველს” [Справка...: 14]. “სამხრეთ კორეაში დასაწყისიდანვე მოდერნიზაცია აგებული იყო

საზღვარგარეთული ტექნოლოგიების **სესხებაზე**, რომელიც სხვადასხვა ფორმაში ხდებოდა: კონტრაქტები “გასაღების ჩაბარებით” (“turnkey”), ლიცენზირება, საკონსულტაციო მომსახურება. უცხოური გამოცდილების შესწავლა ძირითადად ხდებოდა იაპონელ პარტნიორებთან **ერთობლივი ვენჩურული ფირმების შექმნით**. ამჟამადაც, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კორეა ბევრი მაღალტექნოლოგიური პოზიციის მიხედვით ლიდერობს მსოფლიო ექსპორტში, ქვეყანა ძველებურად ბევრად დამოკიდებულია იმპორტულ ტექნიკაზე საკუთარი საბაზისო ტექნოლოგიების არასაკმარისი განვითარების გამო” [Справка...: 7, 8].

იმისათვის, რომ საქართველოში ბიზნესის ინვესტიციური აქტიურობა გაიზარდოს, სამხრეთ კორეის წინამძღვარი გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროა ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების (**ფსჯ**) შექმნა, მის შემადგენლობაში სამრეწველო კომპანიებთან ერთად სავაჭრო კომპანიების ჩართვით (აშშ-ის მაგალითის გათვალისწინებით [Цветков, 2000]), ბანკს კი **ფსჯ**-ის შემადგენლობაში უნდა ჰქონდეს საკმარისი კომპეტენცია იმისათვის, რომ აირჩიოს სამრეწველო სექტორში ინოვაციური ფირმების შექმნის დაფინანსების მიზანშეწონილი მიმართულებები არა მარტო დაკრედიტების, არამედ ვენჩურული კაპდაბანდებების სახით, რომლებსაც აწარმოებს როგორც უშუალოდ ბანკი, ასევე სხვა **ფსჯ**-ში შემავალი კომპანიები. ამ პროცესში შესაძლებელია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მექანიზმის გამოყენებაც, კერძოდ, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების საქართველოს სააგენტოს მონაწილეობით. ვენჩურული ინოვაციური კომპანიების შექმნა საჭიროა ასევე ერთობლივად უცხოელ პარტნიორებთან.

ვრცლად ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტირების სახელმწიფო და ბიზნესმექანიზმების სრულყოფის გზები ჩვენ მიერ მოცემულია [Бурдули, 2016]-ში.

7. კადრების მომზადების ბლოკი. ინოვაციური კადრების (მათ შორის ინოვაციური მენეჯერების) მომზადება არ შეიძლება არასისტემურად. ის უნდა შედგებოდეს ერთმანეთთან დაკავშირებული ცოდნის და კომპეტენციის ამადლების ეტაპებისგან. უნივერსიტეტებსა (რომლებიც ამზადებენ სპეციალისტებს ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერები სფეროში) და უშუალოდ ინოვაციური საქმიანობის სფეროსათვის ცოდნის მიწოდებაზე

ორიენტირებულ დაწესებულებებთან (მაგალითად, “ინოვაციური ცენტრი” “საქართველოს კანონის ინოვაციების შესახებ” ვერსიის მიხედვით) ერთად განვითარებულ ქვეყნებში დიდ როლს თამაშობს ეროვნული ინჟინერული სკოლები [Модели..., 2013; Сергеев, 2008: 8]. ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას, კერძოდ – მეცნიერებათა დოქტორების. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, მაგალითად, ნიდერლანდებსა და ავსტრიაში, შეიმჩნევა მეცნიერულ-ტექნიკური სპეციალობების მიხედვით მეცნიერებათა დოქტორების სულ უფრო მზარდი ნაკლებობა ან საერთოდ კომპენტენტური კადრების უკმარისობა, რაც განაპირობებს დაბალ უკუგებას სამეცნიერო-ტექნიკური შემუშავებებისაგან [Справка...: 6, 9, 10], მეცნიერებისა და ბიზნესის ურთიერთქმედების არასაკმარისი განვითარებულობა კი ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად გერმანიაში, უბიძგებს მათ უმაღლესი განათლების დაწესებულებებში მეწარმეობის კათედრების შექმნისაკენ, რომლებიც მოწოდებულები არიან, ხელი შეუწყონ შემუშავებების უფრო ფართო კომერციალიზაციას [Справка...: 12].

ჩვენი აზრით, საქართველოში მეცნიერებათა დოქტორების მომზადება საჭიროა არა მხოლოდ საუნივერსიტეტო კათედრებზე (როგორც ეს მიღებულია ამჟამად პრაქტიკაში), არამედ სპეციალიზებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებშიც, რომლებშიც ძირითადად ხორციელდება როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო შემუშავებები.

8. დონორების მიერ განხორციელებული პროექტების მხარდაჭერის ბლოკი. საქართველოში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა დონორების მიერ, მაგრამ მათი კომერციალიზაცია პრაქტიკულად არ ხდებოდა. მაშასადამე, უშედეგოდ იყო დახარჯული მნიშვნელოვანი საფინანსო და ინტელექტუალური საშუალებები. ამიტომ მომავალში ისეთი პროექტები უნდა განხორციელდეს, რომელთა შედეგები წარმოებაში აუცილებლად დაინერგება. ამისათვის, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით, საჭიროა დონორების მიერ განხორციელებული პროექტების მხარდაჭერი დროებითი ქვედანაყოფების შექმნა, რომლებიც განახორციელებენ პროექტების მონიტორინგს,

საჭიროების შემთხვევაში დამატებით დაფინანსებას, კომერციალიზაციას და სხვა საჭირო ღონისძიებებს.

9. სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის ბლოკი. ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობა უკიდურესად არაეფექტიანია: დაბალია მისი პროდუქტიულობა; არ არის მოწესრიგებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციულ-ინსტიტუციური ფორმები, კერძოდ, მეტად დიდია არასაბაზრო ხასიათის მცირე შინამეურნეობების რაოდენობა ძალიან დაბალი შრომისმწარმოებლურობით; მცირეა სპეციალისტების, კერძოდ აგრონომების რიცხოვნობა, რომლებიც მოწოდებულნი არიან, გაუწიონ კონსულტაცია სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს, და საერთოდ არ არსებობს მათი კონსალტინგური მომსახურების მოწესრიგებული სისტემა. ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო სექტორის ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის განკერძოებული სისტემის ფორმირება. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგიდით სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების სააგენტოს დაფუძნება, რომლის შემადგენლობაში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის საფუძველზე შეიქმება კონსალტინგური და სხვა საჭირო სამსახურები.

დასკვნა

მაშასადამე, ქვეყნის წინაშე დგას ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირების ურთულესი ამოცანა. მისი ფორმირებისას საჭიროა თანდათანობითობის პრინციპის მხედველობაში მიღება საპირველრიგო პრიორიტეტების გამოყოფით ინოვაციური სისტემის ყოველი საკვანძო ბლოკის ჭრილში. ინოვაციური განვითარების სტრატეგიაში გამოკვეთილი უნდა იყოს ძირითადი დარგები ინოვაციების სამრეწველო დანერგვის პერსპექტივით, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს იმ ტრადიციული დარგების ინოვაციურ განვითარებას, რომლებშიც წარმოება ძალიან შეიკვეცა ეკონომიკის პოსტკომუნისტური ნგრევის პროცესში. ინოვაციების წარმოების ბლოკის ჭრილში საჭიროა მსხვილი კორპორაციების შეგულისანება ინოვაციური ქვედანაყოფების შესაქმნელად, აქტუალურია ასევე მცირე კერძო და სახელმწიფო-კერძო პარტნიორობაზე დაფუძნებული ინოვაციური

საწარმოების შექმნა, რომლებმაც კერძოდ და უპირატესად უნდა აითვისონ ნასესხები (იმპორტირებული) ტექნოლოგიები. ქვეყანაში საჭიროა ტექნოლოგიების ტრანსფერის ქმედითი ქსელის შექმნა, რომელშიც, “ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრების” გარდა, მონაწილეობას მიიღებს ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტებიც. ტექნოლოგიების ტრანსფერის სამამულო ცენტრებმა უნდა ითანამშრომლონ საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სისტემებთან სამამულო საწარმოებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, საზღვარგარეთ შესყიდული ახალი საწარმოო ტექნოლოგიების ათვისების პროცესში. საჭიროა ინოვაციური საქმიანობის როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაფინანსების გაზრდა, რადგან ამჟამად ის უკიდურესად დაბალ დონეზეა განვითარებულ და წარმატებით განვითარებად ქვეყნებში დაფინანსების დონესთან შედარებით. კერძო სექტორში ამ პრობლემის მოგვარებას დაეხმარება ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ. 2016. – ელექტრონული რესურსი:

<https://matsne.gov.ge/ka/document/download/3322328/0/ge/pdf>

2. Abesadze R., Burduli V. Innovative Activities and Their Coordination under Advancing Globalization. – The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 3. Issue 4. CA&CC Press. SWEDEN, 2009. P. 68-79. – Электронный ресурс:

<http://cyberleninka.ru/article/n/innovative-activities-and-their-coordination-under-advancing-globalization>

3. Абесадзе Р., Бурдули В. Структурные и инновационные проблемы экономического развития. Тбилиси, 2014. 372 с. – Электронный ресурс:

http://pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/Abesadze_Burduli.pdf

4. Абесадзе Р. Инновации, инновационные сети и общие направления формирования инновационной экономики в Грузии. – В кн.: PRZEDSIĘBIORSTWO W STRUKTURACH SIECI. Lublin, Wydawnictwo KUL, 2016.

5. Бурдули В. Проблемы повышения уровня самодостаточности экономики Грузии (структурно-отраслевой аспект). – Центральная Азия и Кавказ. Журнал социально-политических исследований. Том 18. Выпуск 3-4. CA&CC Press®. ШВЕЦИЯ. 2015. Стр. 176-199.

6. Бурдули В. Формирование экономических механизмов привлечения свободных финансовых ресурсов национального бизнеса на создание производств в актуальных секторах экономики. – *Ekonomisti*, 2016, № 1 (Volume VIII). Стр. 46-66. – Электронный ресурс:

http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/jurnali_ekonomisti/_1-2016__.pdf

7. Зверев А.В. Формирование национальной инновационной системы: мировой опыт и российские перспективы. Автореферат диссертации д.э.н. М., 2009. – Электронный ресурс: <http://dissers.ru/avtoreferati-dissertatsii-ekonomika/a840.php>.

8. Модели формирования национальных инновационных систем. 13.09.2013. – Электронный ресурс: http://kapital-rus.ru/articles/article/modeli_formirovaniya_nacionalnyh_innovacionnyh_sistem/#

9. Национальные инновационные системы в России и ЕС. М.: ЦИПРАН РАН, 2006. Под редакцией: Иванова В. В. (Россия), Ивановой Н. И. (Россия), Розебума Й. (Нидерланды), Хайсберса Х. (Нидерланды).

10. Национальные инновационные системы крупных западноевропейских стран (Великобритания, Германия, Франция, Италия). Минск, 2015. – Электронный ресурс: http://knowledge.allbest.ru/economy/2c0a65635b2ac69b4d43b89421316d36_1.html

11. Сергеев В. М., Алексеенкова Е. С., Нечаев В. Д. Типология моделей инновационного развития. – Ж.: «Полития. Анализ. Хроника. Прогноз», 2008, №4(51). – Электронный ресурс: <http://cyberleninka.ru/article/n/tipologiya-modeley-innovatsionnogo-razvitiya>

12. Соснов Ф. Г. Роль Франции в процессе инновационного развития Европейского Союза на современном этапе. – Ж.: Известия Тульского государственного университета. Экономические и юридические науки. 2011, №1-2. – Электронный ресурс: <http://cyberleninka.ru/article/n/rol-frantsii-v-protsesse-innovatsionnogo-razvitiya-evropeyskogo-soyuza-na-sovremennom-etape-1>

13. Справка о международном опыте инновационного развития. Министерство экономического развития Российской Федерации. Департамент координации, развития и регулирования внешнеэкономической деятельности. – Электронный ресурс:

http://economy.gov.ru/minec/about/structure/depsvod/doc20110407_02

14. Цветков В. А. Финансово-промышленные группы в современном мире. Опубликовано в журнале «Промышленная политика Российской Федерации». 6. 2000. Электронный ресурс: <http://www.iprras.ru/articles/tsvet-00.htm>

*Ramaz Abesadze
Vakhtang Burduli*

CURRENT STATES AND PRIORITIES FOR THE FORMATION OF NATIONAL INNOVATION SYSTEM IN GEORGIA

Summary

The article characterizes the current state of the national innovation system of Georgia, it shows that the majority of its members are currently in their infancy. Then, in the context of a number of key blocks of the national innovation system (block providing innovation policy of the state, block of the production of innovation, research and development sector, organizations on a transfer (transmission) of technologies and other elements of the innovation infrastructure, the system of cooperation with international innovation environment, block of financing innovative activity etc.) are identified and justified priority directions of its formation.

როზეტა ასათიანი

ეკონომიკური უსაფრთხოება საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სისტემაში

ანოტაცია. ეკონომიკურ უსაფრთხოებას სათანადო ადგილი უჭირავს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაში. აქედან გამომდინარე, იგი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შემუშავებულია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, რომლის ლაიტმოტივია ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა და ა.შ. ეკონომიკურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკის ადეკვატური სტრუქტურული პოლიტიკის გატარე-

ბაში, ბაზრის სუბიექტებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში, ბაზრის სტიქიური ძალების აღკვეთაში, ინვესტიციების მოცულობისა და საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციაში, საინვესტიციო „კლიმატის“ შექმნაში, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებაში, ქვეყნის წარმოებრივი, სოციალური და ინტელექტუალური პოტენცილის შენარჩუნება-განვითარებაში და ა.შ.

სტატიაში განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების როლი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სისტემაში, ამ მხრივ არსებული მდგომარეობა საქართველოში, გაანალიზებულია მწვავე პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობები.

შესავალი

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობის მიღებისათვის აუცილებელია განისაზღვროს ქვეყნის ეროვნული ინტერესები, ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრული სიდიდეები რაოდენობრივი პარამეტრებით, რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ავლენს ზღვარს უსაფრთხო და საშიშ ზონებს შორის. ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალი დონე მიიღწევა მაშინ, როდესაც ინდიკატორთა მთელი სისტემა თავისი მანკიერი მნიშვნელობის დასაშვები საზღვრების ფარგლებშია.

ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფოს ეკონომიკური პრიორიტეტების განმსაზღვრელია და განიხილება მიკრო-, მაკრო-, მეზო- და მეგადონეზე. დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და უდიდეს გავლენას ახდენს თავდაცვით, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, სოციალურ, სასურსათო, დემოგრაფიულ, იდეოლოგიურ, ინვესტიციურ, საგარეო და ა.შ. უსაფრთხოებებზე და მათთან ერთად ქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სოციალური ორიენტაციის უზრუნველყოფა.

* * *

ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად სტრატეგიულ მიმართულებად აღიარებულია კონკურენციული ბაზრის შექმნა და დაცვა, რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოქნილი

კანონმდებლობის შემუშავებასა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებას, ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების გამოყოფას, მათდამი სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას, ეროვნული ვალუტის სიმყარის უზრუნველყოფას, საკუთრების დაცვასა და ა.შ.

კონკურენციის გარეშე ბაზარი ფიქციაა. უკანასკნელ პერიოდში კონკურენცია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გლობალური მასშტაბები შეიძინა. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, როგორც განვითარების უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი, ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტია და განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში. ქვეყანა რომ კონკურენტუნარიანი იყოს, მან უნდა გაყიდოს საზღვარგარეთ თავისი პროდუქცია საერთაშორისო საბაზრო ქსელის მეშვეობით. ეს არის დიდი სათამაშო ველი, რომელიც თავისებურ კომპასს წარმოადგენს თითოეული ქვეყნისთვის – რა გზას დაადგეს, რომელი დარგები განავითაროს, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია. დღეს აქცენტი კეთდება ისეთ ფასეულობებზე, როგორც არის ხარისხი, ნოუ-ჰაუ, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა და ა.შ.

დღეს ქვეყნები კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციებით, მაღალი ტექნოლოგიებით აღწევენ. ისინი აფუძნებენ ახალ სტრატეგიებს, ეუფლებიან წარმოების ეფექტიან მეთოდებს, ინვესტიციებს დებენ ცოდნის განახლებაში და ა.შ. ამიტომაცაა, რომ **XXI საუკუნეში სტრუქტურული გარდაქმნების ბირთვს ინოვაციური ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს.** დღეს ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველი მოძველებული ტექნოლოგიების ახლით შეცვლის უწყვეტი პროცესია, რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების განვითარებაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT). მათი განვითარება ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებაა. ეს პროცესი დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ მატერიალური რესურსების, არამედ ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხზე და განაპირობებს ცოდნის ფენომენის წინა პლანზე წამოწევას. XXI საუკუნე ხომ ინოვაციური ეკონომიკის საუკუნეა!

დღეს ტექნოლოგიური ბუმი ტრანსპორტიას უცვლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, უდიდესი პოზიტივი შეაქვს მასში,

რომლის არგათვალისწინება ჩამორჩენილობის დაუძლეველობას ნიშნავს და საექვოს ხდის ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით ინოვაციების განვითარება დღეს მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს რესურსად არის აღიარებული. იგი ვრცელდება არა მხოლოდ ტექნოლოგიებზე, არამედ ყველა ინსტიტუციურ ფორმასა და სტრუქტურაზე. გლობალურ ეკონომიკაში ინოვაციური ეკონომიკის უპირატესმა განვითარებამ მაღალი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების საფუძველი შექმნა. გლობალიზაციის პირობებში ინოვაციურმა პროგრესმა მძლავრი ბიძგი მისცა ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რომლის გარეშე შეუძლებელია კრეატიული პოტენციალის ყოველმხრივი განვითარება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია ითვალისწინებს აგრეთვე საბიუჯეტო-საგადასახადო უფლებამოსილების ოპტიმალურ ტერიტორიულ განაწილებასა და რეგიონების მიხედვით დისკრიმინაციის ლიკვიდაციას, სამამულო წარმოების პროდუქციის გასაღების ბაზრების დაცვას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი საზოგადოების სოციალურ დაცვას უჭირავს. მასში აისახება პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები და იგი ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების გარანტია. საზოგადოების სოციალური დაუცველობის შედეგი კი ნარკომანიის ზრდა, კრიმინოგენული სფეროს გაფართოება, სოციალური აფეთქებები, კატასტროფები და სხვა ნეგატიური მოვლენებია.

ეკონომიკურ უსაფრთხოებას დიდი როლი აკისრია ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში და აისახება ქვეყნის ცხოვრების დონეზე, ეკოლოგიაზე, სამართალწესრიგზე, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პოტენციალზე, დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, უმუშევრობასა და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან მიმართებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინსტიტუციური უმუშევრობის

პრობლემა. იგი ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა და, ქვეყანაში არსებული სუსტი ინსტიტუტებისა და შრომის ბაზრის მოუქნელი ფუნქციონირებიდან გამომდინარე, ვაკანტური სამუშაო ადგილების აუთოვისებლობით (მათი არსებობის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიუწვდომლობის გამო) არის გამოწვეული და, ბუნებრივია, უმეტესწილად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელია აგრეთვე ეკონომიკურ თეორიაში საკმაოდ გავრცელებული ტერმინი „მანკიერი წრე“ (“Vicious Circle”), რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და მდგომარეობს შემდეგში: ითვლება, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა, სადაც იწარმოება მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები, არ ექვემდებარება გარდაქმნას, ვინაიდან დაბალია წარმოების მთლიანი მოცულობა და უმნიშვნელოა სარეზერვო მარაგები. აქედან გამომდინარე, მოხმარების შემდეგ არ არსებობს ნამეტი კაპიტალის დაგროვებისათვის, რომლის გარეშეც ნაკლებად შესაძლებელია წარმოების გადიდება. „მანკიერი წრის“ გასაღები კაპიტალის დაგროვებაა. თუ ქვეყანა შეიძლება თავი დააღწიოს ამ წრეს, მაშინ წარმოიქმნება საწინააღმდეგო პროცესი: როგორც კი დაიწყება კაპიტალის დაგროვება, იზრდება წარმოების მოცულობა, ხოლო შემდეგ იწყებს ზრდას შემოსავლებიც, რომლებიც ქმნის ნამეტს ინვესტირებისა და დაგროვებისათვის.

ამრიგად, ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია უკავშირდება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებს და ეყრდნობა ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს. ამ უკანასკნელში თუ რამდენად არის ასახული ეროვნული ეკონომიკის ინტერესები, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური უსაფრთხოების როლს ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია არის ქვეყნის სტრატეგია მდგრადი და მუდმივად განვითარებადი ეკონომიკით, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ეკონომიკის სიცოცხლისუნარი-

ანობის განმტკიცებას, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისათვის სათანადო პირობების შექმნას, რესურსული პოტენციალისა და ინოვაციური ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმების დადგენა შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების გარეშე. ამ უკანასკნელში შედის ეკონომიკური საფრთხის რაოდენობრივი განსაზღვრა და მულტიპლიკაციური ეფექტის დადგენა.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება თუ ეროვნული და არა კომპრადორული ინტერესების მატარებელია, მაშინ მას უდიდესი როლი აკისრია ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების თვალსაზრისით. იგი მოიცავს რესურსული პოტენციალის, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, სოციალური სტაბილურობის, სოციალური კონფლიქტების დაძლევის შესაძლებლობების, უცხოური ვალუტის შეუზღუდავი შემოდინებით გამოწვეული შედეგების შეფასებასა და ა.შ.

თანამედროვე საბაზრო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება – ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლა ეფუძნება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც იძლევა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის თვისებრივ დახასიათებას და აისახება კრებნით ინდექსში – **სოციალურ ინდიკატორებში**. მასში შედის: შრომის პირობები, განათლების განვითარების დონე, ჯანდაცვისა და ტრანსპორტის მდგომარეობა და ხელმისაწვდომობა, შრომისუნარიანი მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა, ბავშვთა სიკვდილიანობა, კალორიის მოხმარება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა, ენერჯის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, სრული პირადი თავისუფლება, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა და ა.შ. სოციალური ინდიკატორები ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი მაჩასიათებლებია და გარკვეული თვალსაზრისით, უკავშირდება „ხაფანგის ეფექტით“ („Entrapment Effect“) ცნობილ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვით შრომის ბაზარი იყოფა პირველად და მეორეულ ბაზრებად. პირველადი სექტორი ხასიათდება მაღალი ანაზღაურებით, ზრდის პერსპექტივებით, უსაფრთხოებითა და დამატებითი სარგებლობით, მაშინ როდესაც მეორეული სექტორისთვის ნიშანდობლივია ნაკლებანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, არასრული დასაქმება, არასტაბილური და, როგორც წესი,

ნაკლებად მიმზიდველი სამუშაო. მეორეული სექტორიდან პირველად სექტორში გადასვლას აფერხებს არა იმდენად მუშაკთა კვალიფიკაციის დონეში განსხვავება, რამდენადაც ინსტიტუციური ბარიერები დისკრიმინაციის ფორმით.

ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ მეორეული შრომის ბაზრის პირობები წარმოადგენს მუშაკების მიერ ცუდი შრომის ჩვევების შექმნის მთავარ მიზეზს. „ცუდი“ სამუშაოს მქონე მუშაკები ხდებიან „ცუდი“ მუშაკები. ეს მოვლენა უკუკავშირის დიდი სისტემის მხოლოდ ერთი ასპექტია. მასზე გავლენას ახდენს რიგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა, მათ შორის, ოჯახური მდგომარეობაც. საბოლოო ანგარიშით, ყალიბდება „ხაფანგის ეფექტი“, რომელიც გამომდინარეობს „სიღარიბის კულტურის ჰიპოთეზიდან“ (“Culture of Poverty Hypothesis”).¹⁵ ამ შემთხვევაში სამთავრობო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს „კარგი“ სამუშაო ადგილების შექმნას კანონმდებლობით აკრძალული დისკრიმინაციის ნაცვლად, რაც დადებითად აისახება ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები: ქვეყანაში ეკონომიკის დამანგრეველი პროცესების, სტრუქტურული და ინსტიტუციური დეფორმაციების თავიდან აცილების შესაძლებლობები, ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის გამოყენების დონე, მასშტაბი და ხარისხი¹⁶, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა, ცხოვრების დონის ამაღლება და ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება,

¹⁵ „სიღარიბის კულტურის ჰიპოთეზა“ გამოხატავს ფუნქციონალურ დამოკიდებულებას სიღარიბესა და მის განმაპირობებელ ისეთ ფაქტორებს შორის, როგორცაა პიროვნების შეზღუდული, სუსტი ინდივიდუალური შესაძლებლობები, განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე, მუშაკთა ცუდი შრომითი ჩვევები, უნარები და ა.შ. შრომითი უნარების ხარისხს სპეციალისტები უკავშირებენ მეორეული შრომის ბაზრის პირობებს, სადაც, პირველადი შრომის ბაზრისაგან განსხვავებით, არსებული ცუდი პირობები უარყოფითად აისახება მუშაკთა კვალიფიკაციაზე და მათში ცუდ შრომით უნარებს აყალიბებს, საბოლოო ანგარიშით კი, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

¹⁶ „მესამე სამყაროს“ ქვეყნების სუსტი განვითარება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამ ქვეყნებში არსებული რესურსების გამოყენებლობის მაღალი დონით, იმ სტრუქტურული და ინსტიტუციური დეფორმაციებით, რომლებიც წარმოიშობა შიდა და გარე მიზეზების ერთობლივი ზემოქმედებით. ეს ჰიპოთეზა ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია „სტრუქტურული გარდაქმნების თეორიის“ (“Structural Changes Theory”) სახელწოდებით.

დანაკარგებისა და რისკების მინიმიზაცია, კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდა, მოსალოდნელი კატასტროფული პროცესების არდაშვება, არაკვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების უპირატესი გამოყენებიდან კვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე გადასვლის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა და ა.შ.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების დონის მანკიერი მნიშვნელობის დასაშვებ საზღვრებში მოქცევა განაპირობებს ეკონომიკური საფრთხის თავიდან აცილებას, ხოლო გადაჭარბება ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრულ მნიშვნელობებზე¹⁷ ქვეყანაში წარმოქმნის არაორდინარულ სიტუაციას: ზღვრულ სიდიდეებზე მაღალი ფაქტობრივი პარამეტრები დიდი რისკის შემცველია, რომელთა არგათვალისწინებას გამოუსწორებელი შედეგები მოაქვს მოცემული ქვეყნისთვის, იწვევს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ დანაკარგებს.

საქართველოში „ჰოლანდიურმა დაავადებამ“ თავი იჩინა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ოღონდ კლასიკური მოდელისაგან განსხვავებით, მის წარმომშობ მიზეზებში წინა პლანზე წამოიწია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საერთაშორისო დახმარების მოზღვავებამ, აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები, ან დროებით იქ დასაქმებული ჩვენი თანამემამულეების მიერ ფულადი ტრანსფერების ნაკადებმა და ბოლო დროს საქართველოში უცხოელების მიერ განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა პრივატიზაციამ.

ბოლოპერიოდში არა მხოლოდ პოსტინდუსტრიულ, არამედ მრავალ ახალინდუსტრიულ ქვეყანაშიც მეცნიერება განიხილება უმნიშვნელოვანეს ნაციონალურ პრიორიტეტად. ამ ქვეყნებმა ორჯერ გაზარდეს თავიანთი ინოვაციური პოტენციალი და უახლოვდებიან ევროპული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა ჩინეთშიც. ინოვაციური ეკონომიკის

¹⁷ ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრული მნიშვნელობებია: მშპ-ის დაცემის დონე – 30%, უმუშევრობის დონე – 7%, სამრეწველო წარმოების დაცემის დონე – 30%, მოსახლეობის რაოდენობა საარსებო მინიმუმის ქვემოთ – 10%, საგარეო ვალი მშპ-თან – 25%, ბიუჯეტის დეფიციტი – 5%, იმპორტის წილი შიდა მოხმარებაში – 30%, დანახარჯები მეცნიერებაზე მშპ-ში – 2%, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – 70% და ა.შ.

განვითარების თვალსაზრისით, უდიდეს წარმეტებას მიაღწიეს ევროკავშირის ქვეყნებმა, მაგალითად, ირლანდია ჩამორჩენილი ქვეყნიდან იქცა ინოვაციური კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთ მიმზიდველ ქვეყანად, რაც დაეტყო კიდევ მის განვითარებას.

ინოვაციური პროცესების სტიმულირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი **ვენჩურული დაფინანსების ინსტიტუციები** გახდა. ამჟამად მსოფლიოში, მაღალტექნოლოგიური წარმოების პირველ ათეულში შედიან: ფინეთი, აშშ, შვედეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და სინგაპური.

საქართველო ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის მიხედვით, მსოფლიოში ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია მოქცეული. საქართველოში, რა თქმა უნდა, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, უნდა განვითარდეს აგრარული სექტორი, რომელიც დღეს რთული პრობლემების წინაშეა. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა, მათ შორის შიდა ბაზრის დაცვა და პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება, სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება, შრომითი რესურსების ადგილზე დამაგრება, მწარმოებელთა წახალისება, თევზჭერისა და სატყეო მეურნეობის განვითარება (და არა ტყეების გაჩეხვა და უცხოელებზე გასხვისება), შესაბამისი კადრების მომზადება და ა.შ. ამას თვით ეროვნული ტრადიციები გვკარნახობს. **სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს და არა გენერალური სტრატეგია.** აგრარულმა სექტორმა უნდა შეძლოს შიდა საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნის გარკვეულწილად დაკმაყოფილება. ამას თვით ქვეყნის ერთ-ერთი ეკონომიკური სტრატეგიის – ტურიზმის განვითარებაც გვკარნახობს, რასაც სავსებით ვეთანხმებით და რის შესახებაც მსჯელობა არა ერთხელ გვქონდა სხვადასხვა პუბლიკაციასა თუ საჯარო გამოსვლაში.

საქართველომ აუცილებელია განსაკურებული ყურადღება მიაქციოს კონკურენტუნარიანობის მოთხოვნებს, შეივრძნოს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პულსი.

კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდ-

ელს, რომელშიც „პირველი ვიოლინოს“ როლს ინტელექტუალური კაპიტალი ასრულებს. საქართველომ აუცილებლად უნდა შექმნას ახალი ინოვაციური სისტემა, ვინაიდან კონკურენციაში წარმატებას აღწევს ის ვინც ქმნის ბაზარს, ე.ი. ვინც ბაზარს სთავაზობს ინოვაციებს. დღეს მსოფლიოში პოპულარულია შემდეგი მოწოდება: „დღევანდელი ინოვაციებით მოაძველეთ თქვენი გუშინდელი პროდუქცია“. ეს თეზა მეტად საგულისხმოა ისეთი პატარა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი პოტენციალის მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

დღეს საქართველოში „ინოვაციური სურათი“ არასახარბიელოა. მაღალეფექტიან ინოვაციურ განვითარებას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს, სახელდობრ: ა). წარმოების დანახარჯებში, მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების გაუთვალისწინებლობა; ბ). ქვეყნის ინტერესებიდან და განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და საინვესტიციო პოლიტიკის შეუმუშაველობა; გ). ინოვაციული პოლიტიკის მიმართულებებისა და პრიორიტეტების განუსაზღვრელობა; დ). მოქმედი კანონმდებლობის გაუარესების გამო ინოვაციური საქმიანობის დაურეგულირებლობა, რასაც, მრავალ სხვა ფაქტორთნ ერთად, კონკურენციული ბაზრის არარსებობა განაპირობებს; ე). ნაკლები ყურადღება ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და ინფორმაციული პოლიტიკის განვითარებისადმი. ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობა და შესაბამისი ღონისძიებების არგატარება ზიანს აყენებს საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში განხორციელებულმა მასშტაბურმა გარდაქმნებმა, ეკონომიკური სისტემის შეცვლასთან ერთად, უდიდესი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში და წინა პლანზე ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა წამოსწია. ამასთან, ისე აქტუალური ეს პრობლემა, როგორც დღეს არის, შეიძლება ითქვას, არ ყოფილა ქვეყნის განვითარების ყველაზე რთულ პერიოდშიც კი. დღეს საქართველოს არა აქვს ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა [2;3]. არადა, იგი უდიდეს როლს ასრულებს ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის დამყარებაში, სტაბილურობისა და დამოუკიდებლობის მიღწევა-შენარჩუნებაში, სამოქალაქო სა-

ზოგადოების ჩამოყალიბებაში. ამ პრობლემისადმი სახელმწიფო რეგულაციის და აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი სექტორის შესუსტება მრავალ ნეგატიურ ტენდენციას განაპირობებს, რომელთა ნეიტრალიზაცია უდიდეს მატერიალურ და ფინანსურ სახსრებს მოითხოვს, არღვევს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, მის კულტურას და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებრიობას.

პოსტსაბჭოთა საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის სიმწვავეს ისეთი ფაქტორები განაპირობებს, როგორცაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის არაადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის არსებობა, საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრებით გამოწვეული პროცესებისა და ბიზნესის სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბების თანმხლები უარყოფილი ეფექტები (მონოპოლიზაციის მაღალი დონე; კერძო საკუთრებისა და მეწარმეობის დაუცველობა; მცირე ბიზნესის განვითარების დაბალი დონე; ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანობა; ეკონომიკის კრიმინალიზაცია; შიდა ინვესტიციური კრიზისი; არასაბაზრო სექტორის განუვითარებლობა; დაბალი საქმიანი აქტიურობა; დაბალკონკურენტიანი სამუშაო ძალა, აქედან გამომდინარე კი, უმუშევრობისა და სიღარიბის კატასტროფული ზრდა; თავისუფლების იდეაშივე ჩაკვლა; ახალ ვითარებაში ეკონომიკის მართვის გამოუცდელობა; ხელისუფლებისადმი საზოგადოების უნდობლობის გაღრმავება და ა.შ.) [12]. ამიტომ ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებაში დიდი მნიშვნელობა ეკონომიკური საფრთხის რაოდენობრივ განსაზღვრასა და მულტიპლიკაციური ეფექტის დადგენას ენიჭება.

ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ხარისხი ეკონომიკურ ინდიკატორებშიაისახება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის ინდიკატორები.

ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის ინდიკატორები აერთიანებს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიც არის: სამომხმარებლო კალათის სტრუქტურის ზღვრული ნორმის განსაზღვრა; საარსებო მინიმუმისა და სამომხმარებლო კალათის თანაფარდობა; მინიმალური ხელფასისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობა; საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში; პენსიებისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობაში ცივილიზებული გამოცდილების

გათვალისწინება; დაქირავებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების წილი მოსახლეობის მთლიან შემოსავლებში; ბუნებრივი კატასტროფებისა და ეკოლოგიური დაბინძურების ზონებში მცხოვრებთა წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში; სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში; ჯინის კოეფიციენტი (შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხის აგრეგირებული რაოდენობრივი მაჩვენებელი); მოსახლეობის მაღალშემოსავლიან 10%-სა და დაბალშემოსავლიან 10%-ს შორის დასაშვები თანაფარდობის გარღვევის სიდიდე (შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი); შემოსავლებისა და მოხმარების მკვეთრი დიფერენციაცია; მოხმარების საშუალო ნორმის შემცირების საფუძველზე კვების სტრუქტურის გაუარესება; სიღარიბის ზრდა იმ პირთა აბსოლუტური და შეფარდებითი გადიდებით, რომელთა შემოსავლები საარსებო მინიმუმზე დაბალია. ამ ჯგუფში ასახვას პოვენს აგრეთვე ცხოვრების დონის და ხარისხის ისეთი ინდიკატორები, როგორცაა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების საშუალო წლიური ზრდა, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა, კალორიის მოხმარება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა, ენერჯის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, პირადი თავისუფლების დონე და ა.შ.

თუ ამ ინდიკატორების ზღვრულ სიდიდეებზე მაღალია ფაქტობრივი პარამეტრები, მაშინ ქვეყანა იმყოფება საშიშ ზონაში, რომლის გაუთვალისწინებლობას მისთვის მძიმე შედეგები მოაქვს, იწვევს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ დანაკარგებს. სახელმწიფო ვალდებულია არ დაუშვას მოსალოდნელი კატასტროფული შედეგები, რომელთა მულტიპლიკაციური ეფექტი მაღალია და დიდ ზემოქმედებას ახდენს დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ, თავდაცვით, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, ინფორმაციულ და ა.შ. უსაფრთხოებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 90-იანი წლებისადა მომდევნო პერიოდის ნგრევითი პროცესებისგან განსხვავებით, შემდგომ პერიოდში საქართველოში გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა საბაზრო ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით, დღეს მაინც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი მეტად

რთულად და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. ეკონომიკის რეფორმირებამ დეფორმაციული ხასიათი მიიღო, ჩამოყალიბდა ვირტუალური ეკონომიკა [4].

ეკონომიკის გამოცოცხლებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას არ იძლევა ქვეყნის განვითარების დაბალი დონე.

ეკონომიკურ სისტემასთან ერთად შეიცვალა საზოგადოებაც. დარღვეულია თანაცხოვრების ჰარმონია. ეკონომიკურმა რეფორმებმა მოითხოვა არა მარტო ცხოვრების ახალი პირობებისადმი შეგუება, არამედ ეკონომიკური ქცევის შეცვლაც, რისთვისაც მზად არ იყო საქართველო.

ეკონომიკის კონვერსიის მოუფიქრებელმა, სხვისი კარნახით განხორციელებამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის აუცილებელი ცოდნის მწვავე დეფიციტმა საფრთხის წინაშე დააყენა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება [6]. ეს პრობლემა არ არის მარტო ჩვენი ქვეყნის სატკივარი, იგი გლობალური პრობლემაა და მის „სუსსს“ განსაკუთრებით სუსტად განვითარებული ქვეყნები გრძნობენ.

საქართველოს, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში, კლასიკური ფორმით ეკონომიკური ზრდის არც ერთი მოდელი არ გამოუყენებია. ეკონომიკის განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო ის უცხოური რეკომენდაციები, რომლებიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ, ხოლო მისი აღმავლობის საწინდარი გადატაკებული მკვიდრი მოსახლეობის გადახდისუნარიანობის ამალგებაშია. ამისათვის კი დროა საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის მესვეურებმა გაითვალისწინონ მსოფლიოში საკმაოდ აპრობირებული გამოცდილება. არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გავლენით, საქართველოს ფულადსაკრედიტო სისტემა ვერ ჩამოყალიბდა ისეთ მდგრად ინსტიტუტად, რომელიც გაართმევდა თავს ქვეყანაში კაპიტალის ქრონიკულ უკმარისობას და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის დაბალ ტემპებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ლაგის ფაქტორი (ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ გად-

აწვევტილების მიღებიდან დღემდე განვლილი პერიოდი) მოქმედებს, იქნებ ახლა მაინც იყოს შესაძლებელი „ახალი ნეოკლასიკური სინთეზის“ პოსტულატების ჩართვა ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში.¹⁸

გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის რეალური შესაძლებლობებიც სწორედ ქრისტიანულ ეთიკაზე, ქრისტიანულ ზნეობრივ მოძღვრებაზე აგებულ ამ ჰუმანურ თეორიაშია, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები [8]. რაც შეეხება მონეტარიზმს, რომელიც, ჩვენი აზრით, შორსაა ქრისტიანული ზნეობრივი მოძღვრებიდან, ლომის წილი მიუძღვის ჯერ მსოფლიო ფინანსური, ხოლო შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობაში. ეკონომიკურ პოლიტიკაში გაბატონებულმა ამ მიმართულებამ განიცადა „ინტელექტუალური კოლაფსი [9; 10] და თვით აშშ-შიც კითხვის ქვეშ დააყენა ულტრალიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში საკმაოდ წარმატებული „ნეოკლასიკური სინთეზის“ ადგილი დაიკავა. ამ პერიოდიდან მოყოლებული ეკონომიკურ პოლიტიკაში საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების იგნორირებამ და, აქედან გამომდინარე, ფისკალური პოლიტიკის როლის დაკნინებამ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულატორების შესუსტებამ, წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ და ფულით ფულის კეთებისთვის მწვანე შუქის მიცემამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას და სერიოზული პრობლემები წარმოშვა რეალურ სექტორში. ამას მოჰყვა ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და ერთობლივი მოთხოვნის დაცემა. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მთელი სიგრძე-სიგანით გამოავლინა მონეტარიზმის „მომხიბვლელობა“. ცივილიზებული სამყარო ისევ კეინზიანური მოდელისკენ შემობრუნდა, რაც ნაწილობრივ აისახა კიდევ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში, თუმცა, ამ მხრივ, როგორც აღინიშნა, ეკონომიკური პოლიტიკა აშშ-ში ჩამოყალ-

¹⁸ მართალია, დღეს „ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“ ჩამოყალიბების პროცესშია, მაგრამ ჩვენ შევძელით მისი ძირითადი პოსტულატების ფორმულირება. იხილეთ: „ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“ – ახალი ეკონომიკური მიმდინარეობა. „ახალი ეკონომისტი“, 2017, №4.

იბების პროცესშია.

მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული პოზიტიური ნაბიჯებისა და საკუთრების მრავალფორმიანობის არსებობისა, საქართველოში საკუთრების პლურალიზმი ვერ ჩამოყალიბდა. არსებული კაპიტალიზმი სრულიად შეუთავსებელია დემოკრატიულ განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკასთან. ამიტომ ასეთ პირობებში, ამმხრივთუარმოსხდაარსებითიცვლილებები, საქართველო დემოკრატიული ვერასდროს გახდება.

საქართველოში ფართომასშტაბურმა პრივატიზაციამ, მათ შორის, ბუნებრივი რესურსების გაყიდვამაც, ყოველგვარი სამომავლო შესაძლებლობების თუ უარყოფითი გარე ეფექტების გაუთვალისწინებლად, რასაც არაფერი აქვს საერთო ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან, ღრმა ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. საქართველოში პრივატიზაცია ქვეყნის ხაზინის შევსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა, ინფლაცია კი შთანთქავს მშპ-ის გარკვეულ ნაწილს. იზრდება უმუშევრობა, დატაკდება მოსახლეობა (ოფიციალურ უმწეოთა რაოდენობამ 1 მლნ-ს მიაღწია, ამასთან, ამ სტატუსის მიღებაზე კიდევ 600 ათას კაცს აქვს განაცხადი). საქსტატისბოლო მონაცემებით, დაბალშემოსავლიან ადამიანთა რიცხოვნობამ 2,4 მლნ შეადგინა.

საქართველოში მეწარმეობის დიდი ტრადიციები, არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია პრივატიზაციისადმი საკუთარ მიდგომას მოითხოვს. საკუთრების განსახელმწიფოებრიობის პროცესში გასათვალისწინებელია ეროვნული ფასეულობები, ეროვნულ თვითმყოფადობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ინტერესები და ქვეყნის განვითარების თავისებურებები, ბუნებრივია, ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც.

ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემა როგორც მსოფლიო, ისე შიდა ბაზრებზე ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი მხარეა, თუმცა, ჯერ კიდევ არ გადადგმულა პრაქტიკული ნაბიჯები მისი გადაჭრისთვის. საქართველოში მიმდინარე ფსევდორეფორმებმა დასცა სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა წარმოების განვითარებაზე და კიდევ უფრო გააღრმავა

ეკონომიკური კრიზისი.

განუვითარებელი ადგილობრივი წარმოება საქართველოში ვერ აკმაყოფილებს საშინაო ბაზრის მოთხოვნებს, ამიტომ მოსახლეობის დამოკიდებულება იმპორტზე დიდია. ერთობლივი მოთხოვნის უდიდესი ნაწილი იმპორტირებული პროდუქტით კმაყოფილდება. არასახარბიელოა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც, რომელშიც ჭარბობს ბუნებრივი რესურსები და ნედლეული. ბევრი ტრადიციული საქონელი, რომლის საწარმოებლად ქვეყნას აქვს გარკვეული აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობა, შემოდის უცხოეთიდან. ამიტომაცაა, რომ საქსტატის 2016 წლის ოფიციალური მონაცემებით, საქართველო მშპ-ის 1990 წლის დონის 92%-ს აწარმოებს.

გარემოს დაცვა სოციალური მნიშვნელობის პრობლემაა და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო რეგულაციის მნიშვნელოვანი სფერო. ბიზნესის განვითარების საფუძველზე გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების სულ უფრო მეტი რაოდენობით წარმოებაში ჩართვის შედეგად იზრდება ექსტერნალების უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე. იგი პერმანენტული პროცესია, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას. ეს განსაკუთრებით ეხება განვითარებად ქვეყნებს, სადაც კაპიტალის მიწოდების შეზღუდულობა, ახალი ტექნოლოგიების ხელმიუწვდომლობა, მწირი სამეწარმეო გამოცდილებადიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განუვითარებლობაში. ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე აიძულებს ამ ქვეყნებს მოახდინონ მოძველებული ტექნოლოგიების იმპორტი, რომელთა გამოყენების გრძელვადიანი შედეგის შესახებ ინფორმაციასაც კი არ ფლობენ. ამიტომ დაბალი საინვესტიციო შესაძლებლობები, ინტენსიური შრომამოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებას განაპირობებს. ასეთი ტექნოლოგიები ხელს უწყობს ეკოლოგიური კატასტროფების წარმოქმნას და გარემოს დაბინძურებას.

იგივე მდგომარეობაა საქართველოში. ქვეყანაში გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რესურს- და ენერგო-ტევადი მოძველებული ტექნოლოგიებია. სიტუაციას ამძიმებს ეკოლოგიურად საშიში საქონლის იმპორტი, მათ შორის, ეკოლოგიური საფრთხის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმად არ შეიძლება არ დავასახელოთ ჯანმრთელობისთვის საშიში კვების პროდუქტები,

რაც სასურსათო უსაფრთხოებას ეჭვქვეშ აყენებს. ამასთან, დემპინგური ფასებით სურსათის იმპორტი არყვეს ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობას და აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, სადაც ამჟამად მშპ-ის მხოლოდ 8% იქმნება.

აუცილებელია დასაშვებ ნორმაში მოექცეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ისეთი მომწამვლელი გაზებით, როგორცაა ნახშირორჟანგის, აზოტისა და გოგირდის ორჟანგის გამონაბოლქვები, წარმოებული მყარი მავნე ნარჩენები, სამრეწველო დასაყოფაცხოვრებო ნარჩენები და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაბინძურებისაგან წყლის რესურსების დაცვას, ავტომანქანების ტექნიკური გაუმართაობის აღკვეთას. ავტომანქანების გამონაბოლქვი აირების, კონცეროგენული ფისოვანი ნივთიერებების, აზოტის ორჟანგის მაღალი კონცენტრაცია, რომელიც თბილისში 20-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას, ძალზე სახიფათოა ჯანმრთელობისთვის. ბენზინის შემადგენლობაში ტყვიის წილის 60-68%-ია, ხოლო თბილისში 80%-ს აღემატება.

ამრიგად, ეკოლოგიური რეგულირება და, აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური ნორმა ზღვრული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ქვეყნის სოციალური ორიენტაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია. საქართველოში, დღეს ეკოლოგიური წონასწორობა ისეა დარღვეული, რომ თუ სამეურნეო განვითარების თანამედროვე ტენდენციები არ შეიცვალა, მოსალოდნელია ეკოლოგიური კატასტროფები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Corden Max W., Nearvy Peter J.** Booming Sector and Deindustrialization in a Small open Economy. "The Economic Journal". Vol. 92, 1982;

2. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. იხ.: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. VII ტომი. ნ. ჭითანავას რედაქციით. თბილისი, 2003;

3. **ასათიანი რ.** საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014;

4. **პაპავა ლ.** არატრადიციული ეკონომიკისი. თბილისი, 2011;

5. **ასათიანი რ.** თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპე-

დია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014;

6. **ასათიანი რ.** ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2000, №8;

7. **Asatiani R.** Globalization and Economic Theory. “The Caucasus & Globalization”. Vol. 2 (1), Sweden, 2008;

8. **ასათიანი რ.** საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2017;

9. **Krugman P.** The Return of Depress on Economics and the Crisis of 2008. New-York, “Norton & company”, 2008;

10. **კრუგმანი პ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10.

11. **Колодко Г.** Глобализация и сближение уровней экономического развития: от спада кресту в странах с переходной экономикой. “Вопросы экономики”, 2000, №10;

12. **ასათიანი რ.** XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2015;

13. **ასათიანი რ.** „ახალი ეოკლასიკური სინთეზი“ – ახალი ეკონომიკური მიმდინარეობა. „ახალი ეკონომისტი“, 2017, №4.

Rozeta Asatiani

ISSUES OF ECONOMIC SECURITY STRATEGY IN GEORGIA

Summary

Even in the most arduous periods of the development of Georgia the problem of economic security was never so urgent as at present. On this most difficult stage of Georgian history the provision of economical security is not first-priority among its target goalposts. Economical safety is the decisive condition of national safety as the condition of realization of national interests. It plays the greatest role in economical order establishment, in stability and in civil society formation in the country. Depletion of State control to this problem stipulates many negative tendencies, breaks country’s economical potential, its culture and threatens the statehood.

The acuteness of the problem of economical security in Post-Soviet

Georgia is, in the first place, conditioned by inadequate economical policy. In spite that as differing from the wrecking processes in the 90ies of the past century, in the subsequent period some positive steps were made with the view of development of market relations, today the social-economic state of the country is yet very grave, the process of economy transformation proceeds in a very complicated and conflicting way; reformation of economy took deformed character, virtual economy has been formed.

The work elucidates indicators of social orientation of economy and their role in provision of economical security, analyses the causes of generation of bitter social background in Georgia and the ways out of deep economical crisis.

ილია (აზიკო) სისვაძე

სასაქონლო ბაზრის ფინანსური წონასწორობისა და ვასწარმოქმნის კონცეპტუალური პრობლემები

ანოტაცია. ნაშრომში, ეკონომიკური რეალობის ადეკვატურ ახალ პარადიგმებზე დაყრდნობითა და ნატურალური მოთხოვნის ფასობრივი ელასტიკურობის ფაქტორის გათვალისწინებით, მიღებულია ღირებულებითი მოთხოვნის ამსახველი ახალი ფუნქციები, რომლებიც შეიძველთა სამომხმარებლო ხარჯებს განსაზღვრავს. ამასთან, დასაბუთებულია, რომ ისინი ელასტიკურობის თითოეული ფორმისათვის ექსტრემუმის თვისებით ხასიათდებიან, რაც ვასწარმოქმნის ალტერნატიული კონცეფციის შემუშავების წინაპირობებს ქმნის. კერძოდ, ელასტიკური მოთხოვნისათვის არსებობს ფასის ისეთი კრიტიკული დონე, რომლისთვისაც სამომხმარებლო ხარჯები მინიმალურია, ხოლო ნეიტრალურად ელასტიკური და არაელასტიკური მოთხოვნისათვის სამომხმარებლო ხარჯები მაქსიმალურ მნიშვნელობას იღებს.

II. მოთხოვნის კანონის ალტერნატივა ვასობრივი

ელასტიკურობის სხვადასხვა ფორმის პირობებში

1. მოთხოვნის კანონის ნეოკლასიკური კონცეფციის კრიტიკული ანალიზი

თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ეკონომისტი პ. სამუელსონი ბაზარს, მისი ვასწარმოქმნის მექანიზმით, კაცობრიობის „კოლექტიურ გონს“ უწოდებს, რომელიც აკვლავწარმოებს, არეგულირებს და აწონასწორებს ურთულეს ეკონომიკურ სისტე-

მას და ამასთან, მის ეფექტიანობასაც უზრუნველყოფს. ფასწარმოქმნის რეალურ პროცესსა და მომიჯნავე ეკონომიკურ მოვლენებს შორის ასეთი მჭიდრო კავშირის არსებობის გამო ფასწარმოქმნის თეორიის ძირითადი დასკვნები მიკრო- და მაკროეკონომიკის ფუნდამენტური პრობლემების გადაწყვეტის ურყევ პარადიგმადაა მიჩნეული. შესაბამისად, ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებებზე ჩვენი წარმოდგენა სრულფასოვანია იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება რეალობას საყოველთაოდ აღიარებული ფასწარმოქმნის თანამედროვე თეორია, რომლის საფუძვლები ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ იქნა შემუშავებული ეკონომიკის ნეოკლასიკური სკოლის მიერ.

ამ თვალსაზრისით პრობლემის საფუძვლიანი კვლევა აჩვენებს, რომ იგი სათანადოდ ვერ ასახავს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს და ამდენად, სიღრმისეულ მოვლენებს ვერ ხსნის. ბუნებრივია, ამგვარი ცოდნის საფუძველზე მიღებული მიკრო- თუ მაკროეკონომიკური თეორიული დასკვნები პრაქტიკისაგან მოწყვეტილია და მათ საფუძველზე შემუშავებული სამეურნეო პროგრამები სასურველ ეფექტს ვერ მოიტანს. აქედან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ ფასწარმოქმნის უკვე დოგმად ქცეულ ნეოკლასიკურ შეხედულებათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე პრობლემის რეალობის ადეკვატური გადაწყვეტა, რამაც, თავის მხრივ, მისი ძირითადი პარადიგმების პრინციპული გადაფასება მოითხოვა, უპირველესად მოთხოვნისა და მიწოდების კანონების შესახებ. პრობლემისადმი ასეთმა მიდგომამ ფასწარმოქმნის ალტერნატიული კონცეფციის შემუშავების იდეა წარმოშვა, რომელიც განზოგადებული სახით სტატიათა ციკლის პირველ ნაწილში აისახა [11, გვ. 443-456]. ამჯერად მოთხოვნის კანონის კვლევის ახალ შედეგებს შემოგთავაზებთ შემდეგი მიმართულებით:

პირველი, პრობლემა განიხილება ფასისა და მოთხოვნის ცვლილების ეკონომიკურად დასაშვებ რეალურ საზღვრებში; **მეორე,** დაზუსტდება მოთხოვნის

კანონის ამსახველი ფუნქციის და შესაბამისი მრუდის ფორმა მისი საზღვრების და ფასობრივი ელასტიკურობის ფორმების გათვალისწინებით; **მესამე,** აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით ნატურალურ მოთხოვნასთან მჭიდრო კავშირში იქნება გამოკვლეული ღირებულებითი მოთხოვნის დინამიკური კანონზო-

მიერებები; მეოთხე, განისაზღვრება მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯების დამოკიდებულება ფასთან ელასტიკურობის ფაქტორის მხედველობაში მიღებით.

მოთხოვნის ტრადიციული მრუდის ანალიზი. მოთხოვნის კანონის ტრადიციული გააზრების თანახმად, ფასსა და ნატურალურ ერთეულებში გამოხატულ მოთხოვნას შორის, სხვა თანაბარ პირობებში, უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს – ფასის ზრდა ნატურალური მოთხოვნის სიდიდეს ამცირებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დამოკიდებულება თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ეკონომიკის ზოგად თეორიაში არ არსებობს აზრთა ერთიანობა მისი ამსახველი ფუნქციისა და გრაფიკის ფორმის შესახებ. უცხოელ ავტორთა ერთი ნაწილი აღნიშნულ დამოკიდებულებას არაწრფივად, დაღმავალი მრუდით გამოსახავს, რომელიც კოორდინატთა სისტემის დადებით მეოთხედში ზედა მარცხენა კუთხიდან ქვედა მარჯვენა კუთხისაკენ ეშვება, კლების ტემპს თანდათანობით ანელებს და სულ უფრო უახლოვდება ნულს. ავტორთა მეორე ჯგუფი საანალიზო დამოკიდებულების ადეკვატურად დაღმავალ წრფეს მიიჩნევს, რაც, ჩვენი აზრით, პრინციპულად მიუღებელია რეალურ პროცესებთან შეუსაბამობის გამო. ამ ავტორთა ერთი ნაწილი წრფეს იყენებს, როგორც საკითხის შესწავლის გამარტივების საშუალებას, ხოლო მეორენი მის ერთადერთობას კატეგორიულად ამტკიცებენ.

პრობლემისადმი ასეთი ზედაპირული მიდგომა, ჯერ ერთი, მის გაღრმავებულ თეორიულ კვლევას აბრკოლებს და მეორე, გამოყენებითი ხასიათის ამოცანების პრაქტიკასთან შეუსაბამო გადაწყვეტამდე მიყვავართ. საანალიზო მოვლენებს შორის ზოგად წრფივ კავშირს, ცალკეული გამონაკლისების გარდა, პირველ რიგში ის გარემოება გამორიცხავს, რომ იგი, ფასის განსაზღვრული მნიშვნელობის შემდეგ, უარყოფითი მოთხოვნის არსებობას უშვებს, რაც რეალურ პირობებში შეუძლებელია. ფასსა და მოთხოვნას შორის მრუდხაზოვანი დამოკიდებულება ობიექტური ფაქტორებისა და უეჭველი ეკონომიკური კანონზომიერებების გარდაუვალი, უშუალო, ლოგიკური შედეგია, რაც ქვემოთ განხორციელებული კვლევიტაც დასტურდება.

მოთხოვნის ტრადიციული ფუნქციის ანალიზი. საქონლის ფასსა და ნატურალურ მოთხოვნას შორის არსებული თვალ-

საზრისის შესაბამისი მრუდხაზოვანი დამოკიდებულება, პირველადი მიახლოების ფორმით, ჰიპერბოლას შემდეგი მარტივი ფუნქციით გამოისახება:

$$Q_D = \frac{a}{\varphi} \quad (1)$$

სადაც Q_D ნატურალური მოთხოვნის სიდიდეა; a – მუდმივი კოეფიციენტი; φ – ფასი.

მოთხოვნის კანონის შესახებ ნეოკლასიკური წარმოდგენის ამსახველი ეს არაწრფივი ფუნქცია შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: **პირველი**, მოთხოვნა გამოხატულია ნატურალურ ერთეულებში; **მეორე**, ფასი და ნატურალური მოთხოვნა იცვლება განუსაზღვრელ შუალედში; **მესამე**, ფუნქცია ასახავს საანალიზო მოვლენათა შორის მრუდხაზოვან კავშირს, რომლის შესაბამისად ფასის ზრდის პირობებში მოთხოვნის სიდიდე შენელებული ტემპით იკლებს და სულ უფრო უახლოვდება ნულს; **მეოთხე**, ასეთი დამოკიდებულება შეესაბამება მხოლოდ ფასის მიმართ ელასტიკურ მოთხოვნას. თუმცა შემდეგ ვნახავთ, რომ ფასობრივი ელასტიკურობის სხვა ფორმების შესატყვისი მრუდები და ფუნქციები რამდენადმე განსხვავებულია; **მეხუთე**, a კოეფიციენტს განსაზღვრული მათემატიკური და ეკონომიკური შინაარსი აქვს.


მათემატიკური ინტერპრეტაციით a კოეფიციენტი განსაზღვრავს ფუნქციის კლების ტემპს არგუმენტის ზრდასთან დაკავშირებით. რაც უფრო მცირეა იგი, მით სწრაფად ეცემა ნატურალური მოთხოვნის სიდიდე და პირიქით, მისი დიდი მნიშვნელობისათვის შემცირების ტემპი ნაკლებია. ეკონომიკური თვალსაზრისით a კოეფიციენტს მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. ერთი მხრივ, იგი ასახავს მოთხოვნაზე მოქმედ ფაქტორთა მთელ სპექტრს, ხოლო მეორე მხრივ, მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯებს. კერძოდ, (1) ფორმულიდან:

$$a = \varphi \cdot Q_D.$$

მოცემული გამოსახულების შესაბამისად, a გვიჩვენებს **ღირებულებით მოთხოვნას**, რომელიც, ავტორის აზრით, მისი ბუნებიდან გამომდინარე, საქონლის ყიდვის აქტის შემდეგ **სამომხმარებლო ხარჯების** ფორმას იღებს. ამ უკანასკნელს, ერთი მხრივ, ფასი და ფასობრივი ფაქტორები განსაზღვრავს, ხოლო მეორე მხრივ, მოთხოვნა და შესატყვისი არაფასობრივი ფაქტორები. **ფა-**

სობრივი ფაქტორები ხსნის, თუ რატომ იცვლება ფასი მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად. არაფასობრივი ფაქტორები კი მოთხოვნაზე ფასისაგან დამოუკიდებლად ზემოქმედებს და, ტრადიციული თვალსაზრისით, შესაბამის მრუდს საწყისი მდგომარეობიდან მარცხნივ ქვემოთ ან მარჯვნივ ზემოთ პარალელურად გადაადგილებს (იხ. გრაფ. 1. მრუდები Q_{D1} და Q_{D2}). თუმცა, ქვემოთ დავრწმუნებით, რომ რეალურად ასეთი გადაადგილება შეუძლებელია.

გრაფიკი 1. მოთხოვნის მრუდის გადაადგილება ტრადიციული თვალსაზრისით



ამრიგად, α კოეფიციენტიში აისახება ნატურალურ მოთხოვნაზე მოქმედი როგორც ფასობრივი, ისე არაფასობრივი ფაქტორები. მათ შორის, ფასობრივი ფაქტორები განსაზღვრავს მოთხოვნის შემცირების ტემპს, ხოლო არაფასობრივი ფაქტორები, არსებული შეხედულებით, მოთხოვნის მრუდს მარცხნივ ქვემოთ ან მარჯ-

ვნივ ზემოთ გადაადგილებს. მრუდის თითოეული წერტილის შესაბამისი მოთხოვნისა და ფასის ნამრავლი გვიჩვენებს, ერთი მხრივ, მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯების ოდენობას, ხოლო მეორე მხრივ, ფირმის შემოსავალს, თუ იგი მიწოდებას სრულად შეუსაბამებს მოთხოვნას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია შევადგინოთ ღირებულებითი მოთხოვნის შესაბამისი სამომხმარებლო ხარჯების ამსახველი ტოლობა:

$$Q_{D\phi} = \phi \cdot Q_D = \alpha \quad (2)$$

სადაც $Q_{D\phi}$ საქონლის მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯებია.

აღწერილ მიზეზშედევობრივ კავშირს, იმის გამო, რომ მოთხოვნა ნატურალურ ერთეულებშია გამოსახული, შეიძლება ნატურალური მოთხოვნის კანონი ეუწოდოთ. შემდეგში ვნახავთ,

რომ ასეთ დაკონკრეტებას პრობლემის გადრმავებული კვლევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ კანონის კრიტიკული ანალიზი აჩვენებს, რომ კიდევ ერთ არგუმენტირებულ ეჭვს იწვევს დაშვება ნატურალური მოთხოვნისა და ფასის ცვლილების არეალის შემოუსაზღვრელობის შესახებ. ეს გარემოება, თავის მხრივ, რეალობის შეუსაბამო დასკვნების მთელ წყებას განაპირობებს და საბოლოოდ ფასწარმოქმნის პროცესზე არაადეკვატურ, მცდარ წარმოდგენას აყალიბებს.

2. ფასისა და ნატურალური მოთხოვნის ცვლილების კანონზომიერებანი

კვლევის შედეგების შესაბამისად, დამკვიდრებულ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ, როგორც ფასს, ისე ნატურალური მოთხოვნის სიდიდეს ქვედა და ზედა ეკონომიკურად დასაშვები საზღვრები გააჩნია, რის გამოც მათი ცვლილების არეალი შემოფარგლულია. გარდა ამისა, მოთხოვნის კანონი მხოლოდ ნატურალურ ერთეულებში განიხილება, მაგრამ, პრობლემა იმის შესახებ, თუ როგორ იცვლება ღირებულებითი მოთხოვნა ფასის გავლენით, ეკონომიკის მეცნიერებაში ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ამ მიმართულებით განხორციელებული გამოკვლევა პრინციპულად ახალი თეორიული და გამოყენებითი ხასიათის დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ქმნის.

ფასის ცვლილების საზღვრები. ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების ფუნდამენტური პრინციპიდან გამომდინარე, ფასის უმცირესი ნორმატიული სიდიდე არ შეიძლება წარმოების ხარჯებზე ნაკლები იყოს და, ამდენად, იგი ფასის დაკლების ქვედა საზღვარია. მისი თეორიულად დასაშვები მაქსიმალური დონე კი განპირობებულია მყიდველთა სამომხმარებლო ბიუჯეტის იმ ნაწილით, რომელიც მოცემული კატეგორიის საქონლის შესაძენადაა განკუთვნილი. ეს დასკვნა უშუალოდ გამომდინარეობს ენგელის კანონიდან, რომლის თანახმად, ფიქსირებული შემოსავლების პირობებში მოსახლეობა მის მკაცრად განსაზღვრულ ნაწილებს ხარჯავს სასურსათო, არასასურსათო ან ფუფუნების საგნების შესაძენად. თუ მომხმარებელი რაიმე გაძვირებული მისთვის პრიორიტეტული საქონლისათვის ზომაზე მეტ თანხას გამოიყენებს, ეს გამოიწვევს სხვა კატეგორიის საქონელთა მოხმარების შეკვეცას, რომლებსაც შესაძლოა მისთვის სასიცოცხ-

ლო მნიშვნელობა ჰქონდეს. ამიტომ, საქონელთა შესაძენი ნაკრების ოპტიმიზაციის მიზნით, იგი შეეცდება მოხმარების სტრუქტურის ისეთი ცვლილება მოახდინოს, რომ საკუთარი სამომხმარებლო ბიუჯეტიდან არ გამოვიდეს. ამდენად:

საქონლის ფასის მინიმალური საზღვარია მისი წარმოების ხარჯები, ხოლო მაქსიმალურ საზღვარს წარმოადგენს ფასის ისეთი უდიდესი ღონე, რომლის გადახდა შემოქმედით მომხმარებლებს გააძვირებელი საქონლის პრიორიტეტულად მიჩნევის შემთხვევაში სხვათა მოხმარების შემცირების ხარჯზე, იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელზე მოხმარების თუნდაც სასიცოცხლოდ აუცილებელი მინიმალური ნორმები შენარჩუნებული იქნება.

ნატურალური მოთხოვნის ცვლილების საზღვრები. მოთხოვნის ბუნებიდან გამომდინარე, მაქსიმალური მოთხოვნა წარმოიშობა მინიმალური ფასისათვის, ხოლო მაქსიმალურ ფასს მინიმალური მოთხოვნა შეესაბამება. ამ პირობებში მისი ზედა ბარიერია გაჯერებული მოთხოვნა, რომელიც მომხმარებელთა მთლიანი მასის მიერ მინიმალური ფასისათვის ყალიბდება. ფასის ზრდასთან დაკავშირებით მოთხოვნის სიდიდე მცირდება, მაგრამ ნულის ტოლი ვერ გახდება, რადგან ყოველთვის იარსებებს მოსახლეობის იმდენად შეძლებული ფენა, რომელიც გაძვირებული საქონლის განსაზღვრულ რაოდენობას, თვით მაქსიმალურად შესაძლო ფასადაც კი შეიძენს, თუნდაც სნობისტური განწყობის გამო. მინიმალურ მოთხოვნას მომხმარებელთა სწორედ ეს კატეგორია ქმნის. ამდენად:

ნატურალური მოთხოვნის მინიმალური საზღვარი ყალიბდება მაქსიმალური ფასისათვის,

რომელიც მაღალშემოსავლიან მომხმარებელთა მოთხოვნას შეესაბამება, ხოლო მაქსიმალურ საზღვარს მომხმარებელთა მთლიანი მასის გაჯერებული მოთხოვნა წარმოადგენს.


ნატურალური მოთხოვნის ალტერნატიული ფუნქცია ცვლილების საზღვრებით. ცვლილების საზღვრების გათვალისწინებით ფასისა და მოთხოვნის ფუნქციური კავშირი ქმნის მკაფიოდ გამოკვეთილ ციკლს, რომელიც იწყება მინიმალური ფასის პირობებში მომხმარებელთა მთლიანი მასის სრულად დაკმაყოფილებული გადახდისუნარიანი მოთხოვნით და მთავრდება მაქსიმალური ფასის ადეკვატური მინიმალური მოთხოვნით, რომელსაც მაღალშემოსავლიანი მომხმარებლები აყენებენ. მთლიან-

ნი პროცესი, რომელშიც ფასის ცვლილების დასაშვებ საზღვრებში მოთხოვნა მაქსიმალური მნიშვნელობიდან მინიმუმამდე მცირდება, ნატურალური მოთხოვნის სრულ ციკლს შეადგენს, რომელიც ამ საზღვრების შესაბამისი ასიმპტოტებითაა შემოფარგლული. ამ გარემოების შესაბამისად, ნატურალური მოთხოვნის მრუდი მისი დინამიკის სრულ ციკლში უკუპროპორციული დამოკიდებულების ამსახველი მოდიფიცირებული ჰიპერბოლას ფუნქციით და შესატყვისი გრაფიკით გამოიხატება (იხ. გრაფიკი 2):

$$Q_D = Q_{\min} + \frac{a}{\varphi - \varphi_{\min}} \quad (3)$$

სადაც Q_D არის ნატურალური მოთხოვნის სიდიდე; Q_{\min} – მინიმალური მოთხოვნა; a – მუდმივი კოეფიციენტი; φ – ფასი; φ_{\min} – მინიმალური ფასი.

გრაფიკი 2. მოთხოვნის მრუდი ცვლილების საზღვრებით



თეორიულად მოთხოვნის მრუდს ოთხი ასიმპტოტი შემოსაზღვრავს. მაგრამ იმის გამო, რომ შესაბამის ფუნქციაში მათი ერთდროული ასახვა გამოთვლებს უკიდურესად ართულებს, კვლევის პროცესში გადასაწყვეტი ამოცანის სპეციფიკის მიხედვით გაითვალისწინება მხოლოდ ორი ძირითადი

ასიმპტოტი ან საზღვრითი პარამეტრი, რაც საკმარისია ნაშრომში ჩამოყალიბებული ვარაუდების დასამტკიცებლად. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში განიხილება მარცხენა ვერტიკალური და ქვედა ჰორიზონტალური ასიმპტოტი. მათ შორის, ფუნქციის მარცხენა ასიმპტოტია φ_{\min} წერტილზე აღმართული ვერტიკალური წრფე, ხოლო ქვედა ასიმპტოტი – Q_{\min} წერტილზე გამავალი ჰორიზონტალური წრფეა. მათი შემოტანა გამართლებულია იმ შემთ-

ხვევაში, თუ შესრულება პირობები: როდესაც $\varphi \rightarrow \varphi_{\min}$, მაშინ Q_D ფუნქციის მნიშვნელობა უსასრულოდ დიდი გახდება, ხოლო როდესაც $\varphi \rightarrow +\infty$, ფუნქციის ზღვარი იქნება Q_{\min} . მართლაც:

$$\lim_{\varphi \rightarrow \varphi_{\min}} Q_D = Q_{\min} + \frac{a}{\varphi - \varphi_{\min}} = Q_{\min} + \frac{a}{0} = Q_{\min} + \infty = +\infty$$

ასევე:

$$\lim_{\varphi \rightarrow +\infty} Q_D = Q_{\min} + \frac{a}{\varphi - \varphi_{\min}} = Q_{\min} + 0 = Q_{\min}$$

ნატურალური მოთხოვნის ფუნქციაში ფიქსირებული ასიმპტოტების არსებობა ეჭვქვეშ აყენებს დამკვიდრებულ შეხედულებას შესაბამისი მრუდის პარალელური გადაადგილების შესახებ, რადგან დროის მოკლევადიან მონაკვეთში წარმოების ხარჯები და მინიმალური მოთხოვნა არ იცვლება. მოთხოვნის მრუდი ამ ფორმით მხოლოდ იმ შემთხვევაში იმოძრაებს, როდესაც ორივე ასიმპტოტი წარმოების პირობების და საბაზრო კონიუნქტურის ცვლილების გამო ზემოთ ან ქვემოთ, მარჯვნივ ან მარცხნივ თანაბარი ზომით პარალელურად გადაიწევს, რომლის ალბათობა საკმაოდ მცირეა. თუმცა, სხვა ტიპის გადაადგილების შესაძლებლობას თვითონ a კოეფიციენტი უშვებს. საკითხის გასარკვევად (3) ფუნქციაში დავუშვათ, რომ $Q_{\min} = 0$. მაშინ მივიღებთ:

$$Q_D = \frac{a}{\varphi - \varphi_{\min}}$$

ამ პირობებში განვიხილოთ სიტუაციები, როდესაც, $a=1$, $0 < a < 1$ და $a > 1$.

პირველ შემთხვევაში, როდესაც $a=1$, ფუნქციას შემდეგი სახე ექნება:

$$Q_{a2} = \frac{1}{\varphi - \varphi_{\min}},$$

რომლის შესაბამისი მრუდი სტანდარტული ჩაზნექილობით – ხასიათდება (იხ. გრაფიკი 3, მრუდი II).

მეორე შემთხვევაში, როდესაც $0 < a < 1$, მაშინ:

$$\frac{a}{\varphi - \varphi_{\min}} < \frac{1}{\varphi - \varphi_{\min}}$$

ცხადია, ამ პირობებში $Q_{D1} < Q_{D2}$, რომლის შესაბამისად მრუდი მარცხნივ შეიზნიქება და იმავდროულად ქვემოთ ჩამოიწევს, ხოლო მოთხოვნა დაეცემა და შემცირდება მრუდის დახრი-


ლობის კუთხე (იხ. გრაფიკი 3, მრუდი I). ამდენად, ფასის ზრდა მოთხოვნის კიდევ უფრო სწრაფ კლებას გამოიწვევს.

მესამე შემთხვევაში, როდესაც $a > 1$, მაშინ:

$$\frac{a}{\varphi - \varphi_{\min}} > \frac{1}{\varphi - \varphi_{\min}}$$

ამ გარემოების გამო – $Q_{D3} > Q_{D2}$, რაც საპირისპირო შედეგს იწვევს – მრუდის ჩაზნექვა შემცირდება. ამავე დროს იგი გარკვეული ზომით გასწორდება და მარჯვნივ ზემოთ აიწვევს – გაიზნიქება, მოთხოვნა მოიმატებს. მაგრამ ეს, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, პარალელური გადაადგილება არ იქნება (იხ. გრაფიკი 3, მრუდი III). III მრუდის შესაბამისად, რომელიც II მრუდთან შედარებით ნაკლები დახრილობისაა, ფასის ზრდასთან დაკავშირებით მოთხოვნის სიდიდე ასევე ნაკლები ტემპით მცირდება.

გრაფიკი 3. ნატურალური მოთხოვნის ფუნქციის ბრაზიკი ახიმატოტების პირობებში, როდესაც $0 < a < 1$, $a=1$ და $a > 1$.



ამრიგად საბუთდება, რომ იმ არაფასობრივი ფაქტორების ზემოქმედებით, რომლებიც a კოეფიციენტში აისახება, ნატურალური მოთხოვნის მრუდი შეიზნიქება მარცხნივ ან გაიზნიქება მარჯვნივ ისე, რომ მრუდების საწყისი და ბოლო წერტილები

უცვლელი დარჩება. ამ პირობებში ფასის φ_1 ფიქსირებული მნიშვნელობისათვის მოთხოვნა შემცირდება ან გაიზრდება.


3. ნატურალური მოთხოვნის ფასობრივი ელასტიკურობა

ნატურალური მოთხოვნის მრუდები ფასობრივი ელასტიკურობის სხვადასხვა ფორმის პირობებში. ნატურალური მოთხოვნის კანონი, მათ შორის, ცვლილების საზღვრების გათვალისწინებით, გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს ფასი ეკონომიკის ამ ფუნდამენტურ მოვლენაზე. მაგრამ იგი ვერ ზომავს სხვადასხვა ელასტიკურობის საქონლთა რეაქციას ამ პროცესზე. ამასთან, მოცემული ფაქტორის გათვალისწინებით ვერ არკვევს, როგორ ზემოქმედებს ფასი მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯებსა და ფირმების შემოსავლებზე. ამ გარემოების მხედველობაში მიღებით პროცესს გამოვიკვლევთ ელასტიკური, ნეიტრალურად ელასტიკური და არაელასტიკური მოთხოვნისათვის. ამავე პირობებში შესწავლილი იქნება ღირებულებითი მოთხოვნის რეაქცია ფასის ცვლილებზე.

განსხვავებული ელასტიკურობის საქონელთა ნატურალური მოთხოვნის მრუდები და წრფე წარმოდგენილია მე-4 გრაფიკზე პროცენტულად სტანდარტიზებულ კოორდინატთა სისტემაში. ასეთ სისტემაში ფასისა და მოთხოვნის დინამიკა პროცენტებშია მოცემული, რაც ნებისმიერ საქონელს მიესადაგება. ეს კი საკვლევ პროცესზე უფრო სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის, განსაკუთრებით კი შედარებითი ანალიზის თვალსაზრისით. გრაფიკის ვიზუალური განხილვა აჩვენებს, რომ:

პირველი, **ელასტიკური მოთხოვნის შესაბამისი მრუდი** ფასისა და მოთხოვნის ცვლილების დასაშვებ არეალში ზედა მარცხენა კუთხიდან ეშვება და მოთხოვნის კლების ტემპის თანდათანობითი შენელების კვალობაზე მინიმალურ საზღვარს უახლოვდება. ამასთან, საწყის სტადიაზე მოთხოვნა უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე იზრდება ფასი. შესაბამისად, ელასტიკურობის კოეფიციენტი $E_p(Q_p) > 1$;

ბრაზიკი 4. ფასის მიმართ ელასტიკური, ნეიტრალურად ელასტიკური და არაელასტიკური მოთხოვნის საქონელთა ბრაზიკები



მეორე, ნეიტრალური ელასტიკური მოთხოვნა გარდამავალი ფორმაა ელასტიკურ და არაელასტიკურ მოთხოვნას შორის, რომლის დროსაც ფასი და მოთხოვნა თანაბარი ტემპით იცვლება. შესაბამისად, ელასტიკურობის კოეფიციენტი – $E_{\varphi}(Q_D) = 1$. ასეთ მოთხოვნას შეესაბამება წრფე, რომელიც გრაფიკის ზედა მარცხენა კუთხიდან ქვედა მარჯვენა კუთხისაკენ ეშვება. მისთვის ფასის მატების პროცენტული ზომა მოთხოვნის შემცირების პროცენტულ ოდენობას ემთხვევა;

მესამე, არაელასტიკური მოთხოვნისათვის ფასის ზრდის ტემპი მოთხოვნის კლების ტემპს აღემატება და ამდენად, ელასტიკურობის კოეფიციენტი – $E_{\varphi}(Q_D) < 1$. საყურადღებოა, რომ ჩვენთვის ცნობილი ყველა ავტორი არაელასტიკური მოთხოვნის მრუდს ელასტიკური მოთხოვნის მრუდის მსგავსად წარმოადგენს, ოღონდ ნაკლებად დახრილი კუთხით. მაგრამ რეალურად მოთხოვნის სრულ ციკლში ასეთი გამოსახვა შეუძლებელია. მისი არსებობის ერთადერთი შესაძლო ვარიანტი ნაჩვენებია მე-4

გრაფიკზე ნეიტრალური ელასტიკურობის მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გამოზნექილი მრუდის ფორმით. მასზე უდიდეს არაელასტიკურობას ადგილი აქვს ციკლის დასაწყისში, ფასის ზრდის კვალობაზე იგი თანდათანობით იკლებს, რადაც კრიტიკულ წერტილში ელასტიკურობაში გადადის და ბოლო სტადიაზე ელასტიკურობა მაქსიმალური ხდება.

ელასტიკური და არაელასტიკური მოთხოვნის მრუდების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ელასტიკურად მიზნეული მოთხოვნისათვის ამ მოვლენას ადგილი აქვს მხოლოდ მრუდის პირველ ნახევარში, ხოლო მეორე ნახევარში იგი არაელასტიკურია. არაელასტიკური მოთხოვნისათვის კი საპირისპირო სიტუაციაა – დასაწყისში მკაფიოდ გამოკვეთილ არაელასტიკურობას შემდეგ მკვეთრი ელასტიკურობა ენაცვლება. შესაბამისად, ფასის სხვადასხვა მნიშვნელობაზე მოთხოვნა, ელასტიკურობის თვალსაზრისით, არაერთგვაროვნად რეაგირებს. მაგონად, განხილულ შემთხვევებში მტკიცება იმისა, რომ რაიმე საქონელზე მოთხოვნა ფასის მიმართ ფასობრივი ელასტიკურობის ამა თუ იმ ფორმით ხასიათდება, პირობითია. თუ მოთხოვნის სრული ციკლის დასაწყისში ეს პროცესი ელასტიკურია, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ ელასტიკურ მოთხოვნასთან გვაქვს საქმე, ხოლო თუ იგი არაელასტიკურობით იწყება, მაშინ ჩაითვლება, რომ მოთხოვნა არაელასტიკურია. ელასტიკური და არაელასტიკური მოთხოვნის მრუდების იმ წერტილებს, სადაც ელასტიკურობის მოცემული ფორმა საპირისპიროთი იცვლება, გარდამავალი ელასტიკურობის წერტილი ვუწოდოთ.

მე-4 გრაფიკიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს: ელასტიკური მოთხოვნისათვის გარდამავალი ელასტიკურობის წერტილის შესაბამისი ფასი და მოთხოვნა ნაკლებია არაელასტიკური მოთხოვნის მრუდის შესატყვისი წერტილის პარამეტრებზე. იმის გამო, რომ მისი ფორმირების კანონზომიერებანი ფასწარმოქმნის პროცესის უფრო რეალისტური ხედვის შესაძლებლობას ქმნის, ამ საკითხს საგანგებოდ გამოვიკვლევთ.


ელასტიკური და არაელასტიკური ნატურალური მოთხოვნის მრუდების დინამიკური კანონზომიერებანი. ელასტიკური

და არაელასტიკური მოთხოვნის მრუდების დინამიკა განვიხილოთ სამომხმარებლო ხარჯებთან მიმართებაში.


ელასტიკური ნატურალური მოთხოვნის მრუდი, მისი დინამიკის თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით, პროცენტულად სტანდარტიზებულ კოორდინატთა სისტემაშია გამოსახული (იხ. გრაფიკი 5), რომლის შესაბამისად მთლიანი **AC** მრუდის პირველ **AB** მონაკვეთში ფასის ზრდასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემცირების ტემპი მაღალია, ხოლო მეორე **BC** მონაკვეთში – დაბალი. კერძოდ, **AB** მონაკვეთში ფასის 20%-ით ზრდა მოთხოვნას 60%-ით ამცირებს. **BC** მონაკვეთში ფასის 80%-იანი ზრდა მოთხოვნის მხოლოდ 40 პროცენტული პუნქტით შემცირებას იწვევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საანალიზო მრუდის **AB** მონაკვეთში სამომხმარებლო ხარჯები მცირდება, გარდამავალი ელასტიკურობის წერტილისათვის, რომელსაც ფასის კრიტიკული φ^* მნიშვნელობა შეესაბამება – მიაღწევს მინიმუმს, ხოლო მომდევნო **BC** მონაკვეთში მოიმატებს. ასეთი დამოკიდებულების უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ **AB** მონაკვეთში მოთხოვნა უფრო სწრაფად მცირდება ვიდრე ფასი იზრდება, რის გამოც მათი ნამრავლი (სამომხმარებლო ხარჯები) მცირდება, **BC** მონაკვეთში კი ფასის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება მოთხოვნის შემცირების ტემპს, რაც სამომხმარებლო ხარჯების ზრდას განაპირობებს.

ფასის მიმართ არაელასტიკური ნატურალური მოთხოვნის მრუდის დინამიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარდამავალი ელასტიკურობის **B** წერტილამდე ფასის 70%-ით ზრდამ მოთხოვნა მხოლოდ 30%-ით შეამცირა (იხ. გრაფიკი 6). ამ წერტილის შემდეგ ფასის 30%-ით ზრდის პირობებში მოთხოვნა 70%-ით დაეცა. ამდენად, არაელასტიკური მოთხოვნის მრუდის **AB** მონაკვეთში ფასისა და მოთხოვნის ნამრავლი ანუ ღირებულებითი მოთხოვნა (სამომხმარებლო ხარჯები) იზრდება, **B** წერტილში აღწევს მაქსიმუმს, ხოლო **BC** მონაკვეთში მცირდება, რაც საშუალებას იძლევა აიგოს ნატურალური მოთხოვნის მრუდისაგან სრულიად განსხვავებული ღირებულებითი მოთხოვნის მრუდისა და ამდენად, სამომხმარებლო ხარჯების ამსახველი გრაფიკი.

ბრაზიკი 5. ნატურალური მოთხოვნის ელასტიკურობის დამოკიდებულება ფასზე



ბრაზიკი 6. არაელასტიკური მოთხოვნის დამოკიდებულება ფასზე



არაელასტიკური მოთხოვნისათვის ასეთი დამოკიდებულების არსებობას ის გარემოება განაპირობებს, რომ **AB** მონაკვეთში ფასის ზრდის პირობებში მოთხოვნა გაცილებით ნელა მცირდება, რის გამოც მათი ნამრავლი (სამომხმარებლო ხარჯები) იზრდება, **BC** მონაკვეთში კი ფასის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოთხოვნის შემცირების ტემპს, რაც სამომხმარებლო ხარჯების შემცირებას განაპირობებს. გარდა ამისა, თუ ელასტიკური მოთხოვნისათვის გარდამავალი ელასტიკურობის წერტილის შესაბამისი ფასი მისი ცვლილების პირველ ნახევარში მდებარეობს, არაელასტიკური მოთხოვნის მრუდისათვის იგი ფასის ცვლილების მეორე ნახევარში მიიღწევა.

აღნიშნულის გარდა, ფასის მიმართ ელასტიკური და არაელასტიკური ნატურალური მოთხოვნის მრუდების გრაფიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმ მონაკვეთებზე, სადაც მოთხოვნა ელასტიკურია, სამომხმარებლო ხარჯები მცირდება, ხოლო არაელასტიკურ მონაკვეთებზე – იზრდება. მათ კვეთაზე კი ამ ხარჯების მინიმუმი ან მაქსიმუმი მიიღწევა. ეს გარემოება სამომხმარებლო ხარჯების ფუნქციის ექსტრემუმის თვისების არსებობაზე მეტყველებს.

4. სამომხმარებლო ხარჯების ფორმირება ელასტიკური ნატურალური მოთხოვნის პირობებში

სამომხმარებლო ხარჯების ფუნქციის მოდელირება და მისი შედეგები. როგორც დავრწმუნდით, ნატურალური მოთხოვნის ფასობრივი ელასტიკურობის ცვლილების კანონზომიერებანი განსაზღვრავს ღირებულებითი მოთხოვნის ელასტიკურობას და შესაბამისად, მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯებს. ასეთი მიმართების არსებობამ საფუძველი შექმნა ფასსა და სამომხმარებლო ხარჯებს შორის დამოკიდებულების

პრობლემა გრაფიკულთან ერთად ფუნქციური ანალიზითაც გადაგვეწყვიტა.

ელასტიკური ნატურალური მოთხოვნის (3) ფუნქცია, მარცხენა ვერტიკალური და ქვედა პორიზონტალური ასიმპტოტებით, შესაძლებელს ხდის ღირებულებითი მოთხოვნა მისი დინამიკის სრულ ციკლში ფასის ფუნქციის ფორმით გამოვსახოთ. ამ მიზნით

ღირებულებითი მოთხოვნის (2) ფორმულაში ჩავსვათ ნატურალური მოთხოვნის (3) ფუნქცია:

$$Q_{D\varphi}(\varphi) = \varphi \cdot Q_D = \varphi \cdot \left(Q_{\min} + \frac{a}{\varphi - \varphi_{\min}} \right) \\ = \varphi \cdot Q_{\min} + \frac{a \cdot \varphi}{\varphi - \varphi_{\min}} \quad (4)$$

სადაც $Q_{D\varphi}(\varphi)$ ღირებულებითი მოთხოვნაა φ ფასის პირობებში.

ღირებულებითი მოთხოვნის ახალი (4) ფუნქცია ასახავს: **პირველი**, მოცემული საქონლის მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯებს ფასის თითოეული მნიშვნელობისათვის; **მეორე**, მწარმოებელი ფირმების შემოსავლების ოდენობას იმ შემთხვევაში, თუ საქონლის წარმოება და რეალიზაცია მოთხოვნის შესაბამისად მოხდება. შემდგომი კვლევა აჩვენებს, რომ ღირებულებითი მოთხოვნის დინამიკური კანონზომიერებანი ნატურალური მოთხოვნისაგან არსებითად განსხვავდება, განსაკუთრებით – ელასტიკურობის ფაქტორის გათვალისწინებით.

დავსვათ საკითხი: დადგენილი გრაფიკული კანონზომიერებებიდან გამომდინარე, ნატურალური მოთხოვნის ელასტიკურობის ცვლილების ერთ ციკლში ხომ არ არსებობს ფასის ისეთი გაზომვადი კრიტიკული დონე, რომლისთვისაც მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯები ექსტრემალური იქნება?

ასეთი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას ქმნის ღირებულებითი მოთხოვნის (4) ფუნქციის პირველადი ანალიზიც. კერძოდ, ფასის მატება წინააღმდეგობრივ გავლენას ახდენს ღირებულებითი მოთხოვნის სიდიდეზე ერთდროულად ზრდისა და შემცირების მიმართულებით, რაც ფუნქციის ექსტრემუმის არსებობაზე მეტყველებს. საწყის ეტაპზე შესაბამისი გამოკვლევა (4) ფუნქციის მიმართ მოვახდინოთ. ამ მიზნით გამოვითვალოთ მისი პირველი რიგის წარმოებული და მიღებული შედეგი გავუტოლოთ ნულს:

$$Q'_{D\varphi}(\varphi) = Q_{\min} - \frac{a \cdot \varphi_{\min}}{(\varphi - \varphi_{\min})^2} = 0$$

განტოლების ამოხსნით მიიღება ფასის ისეთი კრიტიკული მნიშვნელობა, რომლისთვისაც სამომხმარებლო ხარჯები ექსტრემუმს აღწევს:

$$\varphi^* = \varphi_{\min} + \sqrt{\frac{a \cdot \varphi_{\min}}{Q_{\min}}} \quad (5)$$

სადაც φ^* არის ფასის საძიებელი კრიტიკული მნიშვნელობა.

φ^* კრიტიკული ფასისათვის სამომხმარებლო ხარჯები მინიმალურია, რადგან ფუნქციის მეორე რიგის წარმოებული დადებითია:


$$Q''_{\varphi}(\varphi) = \frac{2a \cdot \varphi_{\min}}{(\varphi - \varphi_{\min})^3} > 0$$

ამრიგად, მტკიცდება, რომ: ელასტიკური მოთხოვნის საქონელზე ღირებულებითი მოთხოვნის და ამდენად, სამომხმარებლო ხარჯების ფუნქციას შემსახამება ჩახნაქილი მრუდი ფასის ისეთი კრიტიკული დონით, რომლისთვისაც ეს ხარჯები მინიმალურ მნიშვნელობას იღებს.

მოთხოვნის მრუდის ელასტიკურობის ანალიზიდან გამომდინარე, ფასის კრიტიკული მნიშვნელობა მინიმალური სამომხმარებლო ხარჯებით მიიღწევა გარდამავალი ელასტიკურობის E წერტილის შესაბამისი ფასისათვის (იხ. გრაფიკი 7). საწყის ეტაპზე ფასის ზრდის პირობებში სამომხმარებლო ხარჯები მცირდება, φ^* -სათვის აღწევს მინიმუმს, ხოლო შემდეგ იზრდება.

მიღებულ შედეგს თეორიულთან ერთად გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს ბიზნესის ფასობრივი პოლიტიკის შემუშავებისათვის. კერძოდ, თუ ფირმა ფასების მანევრირების შესაძლებლობებს ფლობს, მაშინ $\varphi_{\min}, \varphi^*$ შუალედში ფასის ზრდა, სხვა ფაქტორების უცვლელობისას, რეალიზაციას შეამცირებს და ზარალს მოიტანს. თუ იგი ფასს φ^* -ის დონეზე დაგეგმავს, მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯები მინიმალური იქნება ასევე მინიმალური საკუთარი შემოსავლებით, რის გამოც ფასის ეს დონე და მისი მიდამო ბიზნესისათვის ყველაზე სახიფათოა. φ^* , φ_{\max} შუალედში კი რეალიზაციის და შემოსავლის მატება გარანტირებულია მყიდველთა მზარდი სამომხმარებლო ხარჯებით.


ბრაზიკი 7. ნატურალური მოთხოვნისა და სამომხმარებლო ხარჯების დინამიკა ფასობრივი ელასტიკურობის პირობებში



ნატურალური მოთხოვნის და სამომხმარებლო ხარჯების მრუდების ცვლილება ელასტიკურობის სხვადასხვა მნიშვნელობის პირობებში. სამომხმარებლო ხარჯების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების პროცესმა აჩვენა, რომ ფასის კრიტიკული დონე ემთხვევა ნატურალური მოთხოვნის მრუდზე გარდამავალი ელასტიკურობის წერტილს, რომელიც, თავის მხრივ, საქონლის ელასტიკურობის დონესა და შესაბამისად, მოთხოვნის მრუდის მდებარეობაზეა დამოკიდებული. ამიტომ გავარკვიეთ, თუ როგორ გადაადგილდება ეს წერტილი მოთხოვნის ელასტიკუ-

რობის ცვლილების შედეგად. ამისათვის დაბალი, საშუალო და მაღალი ელასტიკურობის მრუდები პროცენტულად სტანდარტიზებულ კოორდინატთა სისტემაში გამოვსახოთ (იხ. მე-8 გრაფიკის პირველი ნაწილი).

გრაფიკი 8. ნატურალური მოთხოვნისა და სამომხმარებლო ხარჯების მრუდების გადაადგილება ელასტიკურობის ცვლილების გავლენით



პროცესის გრაფიკული ანალიზი აჩვენებს, რომ მაღალი ელასტიკურობის საქონლისათვის გარდამავალი ელასტიკურობის წერტილი საშუალოსთან შედარებით მარცხნივ მდებარეობს, ხოლო დაბალი ელასტიკურობისა – მარჯვნივ. ამ პირობებში, თითოეული მრუდის თავი და ბოლო **A** და **C** წერტილებითაა ფიქსირებული, მაგრამ ელასტიკურობის დონის ცვლილებით საანალიზო მრუდები კოორდინატთა სისტემის სათავეზე გავლენიანი ბისექტრისის გასწვრივ შეიზნიქებიან მარცხნივ ან გაიზნიქებიან მარჯვნივ. მათთან ერთად არაფასობრივი ფაქტორების ზემოქმედებით მარცხნივ ქვემოთ ჩამოიწვეს ან მარჯვნივ ზემოთ აიწვეს გარდამავალი ელასტიკურობის **B** წერტილიც. ამასთან, ქვემოთ გადაადგილებულ **B** წერტილს შეესაბამება ნაკლები ფასი და მოთხოვნა, ხოლო ზემოთ გადაადგილებულს – მაღალი ფასი და ასეთივე მოთხოვნა. მე-8 გრაფიკის მეორე ნაწილის თანახმად, ნატურალური მოთხოვნის მრუდთან და შესაბამის გარდამავალი ელასტიკურობის **B** წერტილთან ერთად სინქრონულად გადაადგილდება სამომხმარებლო ხარჯების მრუდიც. ამასთან, ძლიერად ელასტიკური მოთხოვნის შესატყვისი სამომხმარებლო ხარჯების მრუდისათვის ფასის კრიტიკული მნიშვნელობა და მინიმალური სამომხმარებლო ხარჯები ნაკლებია სხვა მრუდების ანალოგიურ პარამეტრებზე. სუსტად ელასტიკური ნატურალური მოთხოვნის მრუდისათვის კი მდგომარეობა საპირისპიროდ იცვლება – სამომხმარებლო ხარჯების მრუდზე ფასის კრიტიკული მნიშვნელობა და მინიმალური სამომხმარებლო ხარჯები დანარჩენი მრუდების ასეთივე პარამეტრებს მნიშვნელოვნად აღემატება. ამრიგად: რაც უფრო დიდია ფასის მიმართ ცალკეულ საქონელთა მოთხოვნის ელასტიკურობა, მით დაბლანაა გარდამავალი ელასტიკურობის წერტილი როგორც ფასის, ისე მოთხოვნის მიმართ და შესაბამისად, ნაკლებია ფასის კრიტიკული მნიშვნელობა, რომლისთვისაც სამომხმარებლო ხარჯები მინიმალურია და პირიქით, ნაკლები ელასტიკურობის პირობებში ზემოთ აიწვეს გარდამავალი ელასტიკურობის წერტილი და გაიზრდება ფასის კრიტიკული მნიშვნელობა შესაბამისი მაღალი მოთხოვნით.


5. სამომხმარებლო ხარჯების ფორმირება ნეიტრალურად ელასტიკური ნატურალური მოთხოვნის პირობებში

მე-4 გრაფიკის თანახმად ნეიტრალურად ელასტიკურ ნატურალურ მოთხოვნას დადამავალი წრფე შეესაბამება. ამასთან, გაითვალისწინება, რომ მოთხოვნა ნაკლებია მის მაქსიმალურად დასაშვებ Q_{max} დონეზე, ხოლო ფასი ასევე მაქსიმალურ საზღვარს – φ_{max} -ს ვერ გასცდება. ამ პირობებს შეესაბამება წრფივად კლებადი ფუნქცია, რომელსაც ზემოდან Q_{max} , ხოლო მარცხნიდან φ_{max} წერტილი შემოსაზღვრავს (იხ. მე-9 გრაფიკის პირველი ნაწილი):

$$Q_D = Q_{max} - b \cdot \varphi \quad (6)$$

სადაც b კოეფიციენტი, რომელიც მოთხოვნის შემცირების ტემპს ასახავს.

ბრაზიკი 9. ნატურალური მოთხოვნისა და სამომხმარებლო ხარჯების დინამიკა ნეიტრალური ფასობრივი ელასტიკურობის პირობებში



წარმოდგენილი ფუნქცია წრფივად კლებადია, რადგან უარყოფითია მისი პირველი რიგის წარმოებული: $Q_D' = -b$. ნულოვანი φ -ისათვის $Q_D = Q_{max}$, რაც მოთხოვნის წრფის მიერ Q_D ღერძის გადაკვეთის წერტილს შეადგენს. როდესაც $Q_D=0$, მაშინ $Q_{max} = b \cdot \varphi$, საიდანაც $\varphi = \frac{Q_{max}}{b}$. სწორედ ესაა საანალიზო წრფის მიერ φ ღერძის გადაკვეთის წერტილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს უკანასკნელი ფასის მაქსიმალური საზღვარია, შესაბამისი ჩასმით მიიღება, რომ $\varphi_{max} = \frac{Q_{max}}{b}$, საიდანაც $b = \frac{Q_{max}}{\varphi_{max}}$. ე. ი. b -ს მოცემული მნიშვნელობისათვის მოთხოვნის მრუდი აბსცისთა ღერძს ფასის მაქსიმალურ საზღვართან გადაკვეთს.

ნეიტრალურად ელასტიკური ნატურალური მოთხოვნის შესაბამის სამომხმარებლო ხარჯების ფუნქციას შემდეგი სახე აქვს:

$$Q_{D\varphi}(\varphi) = \varphi \cdot Q_{max} - b \cdot \varphi^2 \quad (7)$$

ექსტრემუმის წერტილის პარამეტრების გამოსათვლელად გავწარმოთ მოცემული ფუნქცია და მიღებული შდეგი გაუტოლოთ ნულს:

$$Q_{D\varphi}'(\varphi) = Q_{max} - 2b \cdot \varphi = 0$$

საიდანაც $2b \cdot \varphi = Q_{max}$. განტოლების ამოხსნით მიიღება ფასის კრიტიკული მნიშვნელობა, რომლისთვისაც სამომხმარებლო ხარჯები ექსტრემალურია:

$$\varphi^* = \frac{Q_{max}}{2b} \quad (8)$$

სადაც φ^* არის ფასის საბიებელი კრიტიკული მნიშვნელობა.

ფუნქციის მეორე რიგის წარმოებული უარყოფითია და შეადგენს:

$$Q_{D\varphi}''(\varphi) = -2b < 0$$

ე. ი. მტკიცდება რომ:

თუ საქონელზე ნატურალური მოთხოვნის ფასობრივი ელასტიკურობა ნეიტრალურია, მაშინ მისი ღირებულებითი მოთხოვნის და ამდენად, სამომხმარებლო ხარჯების ფუნქციას შეესაბამება ამოხმეილი მრუდი ფასის ისეთი კრიტიკული დონით, რომლისთვისაც ეს ხარჯები მაქსიმალურ მნიშვნელობას იღებს (იხ. მე-9 გრაფიკის მეორე ნაწილი).


ასეთი კანონზომიერების არსებობა ხელსაყრელ პირობებში ჩააყენებს ფირმას, თუ იგი საქონლის რეალიზაციას კრიტიკული ფასის მიხედვით მოახდენს.

ცხადია, ნეიტრალურად ელასტიკური მოთხოვნის ამსახველი წრფე და შესაბამისი სამომხმარებლო ხარჯების მრუდი, სხვა თანაბარ პირობებში, იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ გადაადგილდება, რომ მათი საწყისი და ბოლო წერტილები დროის მოკლევადიან მონაკვეთში ფიქსირებულია. მაგრამ თუ ამოქმედდება იმდენად ძლიერი არაფასობრივი ფაქტორები, რომლებიც საანალიზო წრფის გამრუდებას გამოიწვევენ, მაშინ იგი ელასტიკური ან არაელასტიკური მოთხოვნის მრუდად გარდაიქმნება.

6. სამომხმარებლო ხარჯების ფორმირება არაელასტიკური ნატურალური მოთხოვნისათვის

სამომხმარებლო ხარჯების ფუნქციის მოდელირება და მისი შედეგები. იმის გამო, რომ არაელასტიკური ნატურალური მოთხოვნის მრუდის შესატყვისი დამოუკიდებელი ელემენტარული ფუნქცია მათემატიკურ ანალიზში არ განიხილება, მისი მიღება შესაძლებელი გახდა ამოხმეილი კვადრატული პარაბოლას ფუნქციის განსაზღვრულ ეკონომიკურ ჩარჩოებში მოქცევის გზით. კერძოდ, რეალური პირობების შესაბამისად მოხდა დაშვება, რომ: იგი სიმეტრიულია y ღერძის მიმართ და კვლევითი მიზნებისათვის გამოიყენება მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს კოორდინატთა სისტემის დადებით მეოთხედში, ფუნქცია ხასიათდება მზარდი კლებადობით და, ამასთან, შემოსაზღვრულია მაქსიმალური მოთხოვნითა და ასეთივე ფასით (იხ. მე-10 გრაფიკის პირველი ნაწილი).

ბრაზიკი 10. ნატურალური მოთხოვნისა და სამომხმარებლო ხარჯების დინამიკა არაელასტიკურობის პირობებში



ამ გარემოებათა გათვალისწინებით ნატურალური მოთხოვნის ფუნქციას შემდეგი სახე აქვს:

$$Q_D = Q_{max} - c \cdot \varphi^2 \quad (9)$$

სადაც c არის კოეფიციენტი, რომელიც ასახავს ფუნქციის კლების ტემპს, მოთხოვნაზე არაფასობრივი ფაქტორების ზემოქმედებას და შესაბამისი მრუდის ცვლილების შესაძლებლობას.

რეალურ პროცესთან ამ ფუნქციის შესატყვისობას მისი ძირითადი თვისებების გამოკვლევაც ადასტურებს. იგი კლებადია, რადგან ფუნქციის პირველი რიგის წარმოებულ უარყოფითია:

$$Q_D' = -2c \cdot \varphi < 0$$

იმ შემთხვევაში, როდესაც $\varphi = 0$, ფუნქცია ორდინატთა ღერძს კვეთს Q_{max} წერტილში და ამდენად, $Q_D = Q_{max}$. ფუნქცია Q_D აბსცისთა (ფასის) ღერძს მისი ნულოვანი მნიშვნელობისათვის კვეთს და შესაბამისად: $0 = Q_{max} - c \cdot \varphi^2$, ე. ი. $Q_{max} = c \cdot \varphi^2$. საიდანაც მიიღება, რომ კვეთის წერტილი შეადგენს:

$$\varphi' = \sqrt{\frac{Q_{max}}{c}}$$

სადაც φ' მოთხოვნის მრუდის მიერ φ ღერძის გადაკვეთის წერტილია.

მიღებული გამოსახულებიდან შეგვიძლია განვსაზღვროთ c კოეფიციენტის ისეთი მნიშვნელობა, რომლისთვისაც საანალიზო მრუდი აბსცისთა ღერძს φ_{max} -სთვის გადაკვეთს. ამისათვის შევადგინოთ განტოლება და მოვახდინოთ გარდაქმნები: $\varphi_{max} = \sqrt{\frac{Q_{max}}{c}}$, $\varphi_{max}^2 = \frac{Q_{max}}{c}$. მოცემული ტოლობიდან მიიღება, რომ:

$$c' = \frac{Q_{max}}{\varphi_{max}^2}$$

სადაც c' c კოეფიციენტის მნიშვნელობაა, რომლისთვისაც მოთხოვნის მრუდი აბსცისთა ღერძს φ_{max} წერტილში კვეთს.

არაელასტიკური ნატურალური მოთხოვნის შესაბამის სამომხმარებლო ხარჯების ფუნქციას შემდეგი სახე აქვს:

$$Q_{D\Phi}(\varphi) = \varphi \cdot Q_{max} - c \cdot \varphi^3 \quad (10)$$

სადაც $Q_{D\Phi}(\varphi)$ სამომხმარებლო ხარჯების ფუნქციაა.

ფუნქციის ექსტრემუმზე გამოკვლევის მიზნით გამოვითვალოთ მისი პირველი რიგის წარმოებულ და მიღებული შედეგი გავეტოლოთ ნულს:

$$Q'_{D\varphi}(\varphi) = Q_{max} - 3c \cdot \varphi^2 = 0$$

განტოლების ამოხსნით მიიღება, რომ:

$$\varphi^* = \sqrt{\frac{Q_{max}}{3c}} \quad (11)$$

სადაც φ^* არის ფასის კრიტიკული მნიშვნელობა, რომლისთვისაც სამომხმარებლო ხარჯები ექსტრემალურია.


იმის გამო, რომ ფუნქციის მეორე რიგის წარმოებული უარყოფითია – $Q''_{D\varphi}(\varphi) = -6c \cdot \varphi < 0$, იგი φ^* კრიტიკული ფასისათვის მაქსიმალურ მნიშვნელობას იღებს (იხ. მე-10 გრაფიკის მეორე ნაწილი).

ამრიგად, **საქონელზე ფასის მიმართ არაელასტიკური ნატურალური მოთხოვნის აღებვითური ღირებულებითი მოთხოვნის და შესაბამისად, სამომხმარებლო ხარჯების უზნაძვია გამომისახება ამოხნაქილი მრუდით, რომლისთვისაც არსებობს ფასის ისეთი კრიტიკული ღონე, როდესაც აღნიშნული ხარჯები მაქსიმალურია.**

თუ ფირმა არაელასტიკური მოთხოვნის საქონელს გაყიდის მოთხოვნის შესაბამისად φ^* ფასად, მაშინ იგი სრულად მოახდენს მის რეალიზაციას და სხვა თანაბარ პირობებში, მაქსიმალურად შესაძლო შემოსავალს მიიღებს.

ნატურალური მოთხოვნის და სამომხმარებლო ხარჯების მრუდების გადაადგილება. არაელასტიკური ნატურალური მოთხოვნის მრუდის გადაადგილება არაფასობრივი ფაქტორების ზემოქმედებით ნაჩვენებია პროცენტულ კოორდინატთა სისტემაში (იხ. მე-11 გრაფიკის პირველი ნაწილი), რომლის შესაბამისად, რაც უფრო ძლიერად არაელასტიკურია მოთხოვნა, მით მარჯვნივ გაიზნაქება შესაბამისი მრუდი და ამასთან, გარდამავალი ელასტიკურობის B წერტილს უფრო მაღალი ფასი და მოთხოვნა შეესაბამება. სუსტად არაელასტიკური მოთხოვნისათვის სიტუაცია საპირისპიროა – მოთხოვნის მრუდი მარცხნივ შეიზნაქება და იმავედროულად დაბლა დაიწევს გარდამავალი ელასტიკურობის წერტილი, ხოლო შესაბამისი ფასი და მოთხოვნა შემცირდება.

გრაფიკი 11. ნატურალური მოთხოვნისა და სამომხმარებლო ხარჯების მრუდების გადაადგილება არაელასტიკური საქონლისათვის



მე-11 გრაფიკის მეორე ნაწილზე ჩანს, რომ არაელასტიკური ნატურალური მოთხოვნის მრუდებთან და მათი გარდამავალი ელასტიკურობის წერტილებთან ერთად სინქრონულად გადაადგილება შესაბამისი სამომხმარებლო ხარჯების მრუდებიც.

ამასთან, სუსტად არაელასტიკური ნატურალური მოთხოვნის შესატყვისი სამომხმარებლო ხარჯების მრუდისათვის ფასის კრიტიკული მნიშვნელობა და მინიმალური სამომხმარებლო ხარჯები სხვა მრუდების ანალოგიურ პარამეტრებზე ნაკლებია. ძლიერად ელასტიკური მოთხოვნის მრუდისათვის კი მდგომარეობა საპირისპიროდ იცვლება – სამომხმარებლო ხარჯების შესაბამის მრუდზე ფასის კრიტიკული მნიშვნელობა და მინიმალური სამომხმარებლო ხარჯები სხვა მრუდების ამ პარამეტრებს აღემატება.

ამრიგად: **რაც უფრო ძლიერად არაელასტიკურია ცალკეულ საქონელთა მოთხოვნა, მით მაღლა (მარჯვნივ) მდებარეობს გარდამავალი ელასტიკურობის წერტილი, როგორც ფასის, ისე მოთხოვნის მიმართ და შესაბამისად, მეტია ფასის კრიტიკული მნიშვნელობა, რომლისთვისაც სამომხმარებლო ხარჯები მაქსიმალურია. სუსტად არაელასტიკური მოთხოვნისათვის გარდამავალი ელასტიკურობის წერტილი დაბლა (მარცხნივ) ჩამოიწვივს და ნაკლები ბახდება ფასის კრიტიკული მნიშვნელობა შესაბამისი დაბალი მოთხოვნით.**

ყველა შესაძლო შემთხვევათა შორის უდიდესი სამომხმარებლო ხარჯები მიიღწევა გრაფიკის ზედა მარჯვენა კუთხეში მაქსიმალური ფასისა და მოთხოვნის პირობებში.

7. სამომხმარებლო ხარჯების ანალიზის შედეგები

განსხვავებული ელასტიკურობის ნატურალური მოთხოვნის საქონელთა ჯგუფებზე სამომხმარებლო ხარჯების დინამიკის კვლევა გვიჩვენებს, რომ ყველა შემთხვევაში შესატყვისი ფუნქციები და მრუდები ექსტრემუმის თვისებით ხასიათდება. შესაბამისად, არსებობს ფასის ისეთი კრიტიკული დონე, რომლისთვისაც ღირებულებითი მოთხოვნა და, ამდენად, სამომხმარებლო ხარჯები ექსტრემალურია, ხოლო შესატყვისი მრუდები ამოზნექილი ან ჩაზნექილი. კერძოდ, ელასტიკური ნატურალური მოთხოვნის შესატყვისი ღირებულებითი მოთხოვნის მრუდზე ფასის კრიტიკული მნიშვნელობისათვის სამომხმარებლო ხარჯები მინიმალურ მნიშვნელობას იღებს, ხოლო ნეიტრალური და არაელასტიკური ნატურალური მოთხოვნისათვის კრიტიკული ფასის შესაბამის წერტილში სამომხმარებლო ხარჯები მაქსიმალურია.

ამასთან, ელასტიკური მოთხოვნის პირობებში ფასის კრიტიკული მნიშვნელობა ყალიბდება მისი ცვლილების არეალის

პირველ ნახევარში, ნეიტრალურად ელასტიკური მოთხოვნისათვის – შუა ნაწილში, ხოლო არაელასტიკურ მოთხოვნაზე – ფასის ცვლილების მეორე ნახევარში.

მოთხოვნის ფასობრივი ელასტიკურობის ცალკეული ფორმების შესაბამისი სამომხმარებლო ხარჯების მრუდები არაფასობრივი ფაქტორების ზემოქმედებით გადაადგილდებიან მარცხნივ ან მარჯვნივ, აიწვეიან ზემოთ ან ჩამოიწვეიან ქვემოთ ისე, რომ საწყისი და ბოლო წერტილები უცვლელი რჩება. მათი ასეთი მოძრაობა კი ბაზარზე ფასების დინამიკას განსაზღვრავს.

ნატურალური მოთხოვნის მრუდის ფორმა განაპირობებს შესატყვისი ღირებულებითი მოთხოვნის მრუდის ფორმასაც. კერძოდ, თუ ნატურალური მოთხოვნის მრუდი შეზნექილია მარცხნივ, მაშინ ღირებულებითი მოთხოვნის მრუდი ჩაზნექილია მინიმუმის წერტილით. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ნატურალური მოთხოვნის მრუდი გამოზნექილია მარჯვნივ, მაშინ ღირებულებითი მოთხოვნის მრუდი ამოზნექილია და მაქსიმუმის წერტილით ხასიათდება.

როგორც ვხედავთ, სახეზე გვაქვს მოთხოვნის კანონის განსხვავებული ფორმა.

ღირებულებითი მოთხოვნის კანონი ასახავს მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების დამოკიდებულებას ფასთან, რომლის კალითაც სხვადასხვა ელასტიკურობის მქონე ჩაზნექილი ან ამოზნექილი მოთხოვნის უზნექიები და უზნექიების მრუდები ექსტრემუმის – მინიმუმის ან მაქსიმუმის ტიპებით ხასიათდებიან ფასის უზნექიების კრიტიკული მნიშვნელობით.

სხვადასხვა ელასტიკურობის საქონელთა სამომხმარებლო ხარჯების დინამიკის კანონზომიერებათა გამოკვლევით მიიღება ბიზნესისათვის უადრესად სასარგებლო დასკვნები, რაც ოპტიმალური ფასობრივი პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას ქმნის. კერძოდ, თუ ფირმას ფასებზე ზემოქმედების შესაძლებლობა აქვს და ამასთან, თავის საწარმოო გეგმებს მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯებს შეუსაბამებს, მაშინ: **პირველი**, ელასტიკური მოთხოვნის საქონელზე ფასების მომატება გამართლებულია მხოლოდ მისი კრიტიკული დონის შემდეგ, როდესაც მოხმარებელთა სამომხმარებლო ხარჯები იზრდება; **მეორე**, ნეიტრალურად ელასტიკური და აერაელასტიკური მოთხოვნის

საქონელზე ფასების გაზრდა მიზანშეწონილია მხოლოდ ფასის კრიტიკულ დონემდე, სადამდეც სამომხმარებლო ხარჯები გადიდების ტენდენციით ხასიათდება; **მესამე**, ნეიტრალურად ელასტიკური და არაელასტიკური მოთხოვნის საქონლის ფასის კრიტიკული დონე უდიდესი სამომხმარებლო ხარჯებით ოპტიმალურია ფირმის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან თუ იგი წარმოებისა და გასაღების გეგმებს ნატურალურ მოთხოვნას მორგებს, მაშინ კრიტიკული ფასისათვის, სხვა თანაბარ პირობებში, მაქსიმალურ შემოსავალს მიიღებს.

კვლევის შედეგებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისათვის ირიბი გადასახადების (დღგ და აქციზი) ნაწილში, რამდენადაც მათი ცვლილება უშუალოდ აისახება საქონლთა ფასებზე. ეს გარემოება კი პირდაპირ გავლენას ახდენს ფირმების შემოსავლების და აქედან გამომდინარე ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ოდენობაზე.

სამომხმარებლო ხარჯების დინამიკური კანზომიერებებიდან გამომდინარე შედეგები ღირებულებით მიწოდებასთან კავშირში ფასწარმოქმნის პრობლემის გადრმავებული თეორიული კვლევის შესაძლებლობას ქმნის მისი უფრო რეალისტური გააზრების თვალსაზრისით, რომლის შედეგებს ნაშრომთა ციკლის მომდევნო ნაწილებში შემოგთავაზებთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ბარი, პოლიტიკური ეკონომია, ტომი I, თარგმანი ფრანგულიდან რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1995, გვ. 456-464, 479-480.
2. უ. ბომოლი, ა. ბლანდერი, ეკონომიკის: პრინციპები და პოლიტიკა, ტომი I, თბილისი, 2006, გვ. 97-145.
3. ე. დოლანი, დ. ლინდსეი, ბაზარი: მიკროეკონომიკური მოდელი, თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1996, გვ. 31-58.
4. პ. ზერაგია, უმაღლესი მათემატიკა, ტ. I, თბილისი, 1984, გვ. 389.
5. კ. მაკონელი, ს. ბრიუ, ეკონომიკის, ნაწილი III, თბილისი, 1997, გვ. 4-50.
6. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2008, გვ. 67-74.

7. დ. ნატროშვილი, ლ. გორგაშვილი, გ. ჯაშიაშვილი, მათემატიკა ეკონომისტებისათვის, თბილისი, 2008, გვ. 289-367.

8. ვ. ნიკოლსონი, ქ. სნაიდერი, მიკროეკონომიკის თეორია, თბილისი, 2014.

9. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკა ტ. I, თბილისი, 2000, გვ. 125-149.

10. დ. სლომანი, ეკონომიკის საფუძვლები, თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე, მოსკოვი, 2004, გვ 35-46.

11. ი. (აზიკო) სისვაძე. სასაქონლო ბაზრის ფინანსური წონასწორობისა და ფასწარმოქმნის კონცეპტუალური პრობლემები, ნაწილი I. სასაქონლო ბაზრის ფინანსური წონასწორობა და ფასწარმოქმნა ფასის მიმართ ელასტიკური მოთხოვნა-მიწოდებისათვის. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი IX. თბილისი, 2016, გვ. 443-456.

12. ს. ფიშერი, რ. დობრუში, რ. შმალენზი. ეკონომიკა, ტომი I, თბილისი, 1997, გვ. 122-154.

Ilia (Aziko) Sisvadze

CONCEPTUAL PROBLEMS OF FINANCIAL EQUILIBRIUM OF COMMODITY MARKET AND PRICING

Summary

In the article on the basis of adequate new paradigms of economic realia and taking into account of the factor of a price elasticity of natural demand we have obtained new functions representing price demand. These functions determine consumption expenditures of buyers.

ს ვ ტ ო რ ე ბ ი

1.	აბესაძე რამაზი	- ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი
2.	არევაძე ნანუში	- ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
3.	ასათიანი როზაბა	- ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი
4.	ბერულავა ბიორბი	- ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
5.	ბიბილაშვილი ნანა	- ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
6.	ბრეგვაძე ბიორბი	- ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
7.	ბურდული ვახტანგი	- ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
8.	ბოზოხია თეიმურაზი	- ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
9.	დავლაშვიტი ნატა	- ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
10.	დათუნაშვილი ლინა	- ეკონომიკის დოქტორი, დოცენტი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
11.	დვალაშვილი ლია	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
12.	თაფლაძე თამარი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
13.	თეთრაული ციციწო	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
14.	კაკულია ეთერი	- ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
15.	კვარაცხელია მურმანი	- ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
16.	კურატაშვილი ალფრედი	- ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
17.	ლაზარაშვილი თეა	- ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
18.	მელაშვილი მელა	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
19.	ნოზაძე ზურაბი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

20.	პაპავა ვლადიმერი	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
21.	სიბუა ბიორბი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
22.	სისვამე ილია (აზიკო)	– ეკონომიკის დოქტორი
23.	ქავთარაძე თენგიზი	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
24.	ქველამე ქეთევანი	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
25.	ქისტაური ნუნუ	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
26.	ჩხეიძე თინა	– სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე
27.	ცუცქერიძე მარინე	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
28.	ხუციშვილი მამუკა	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
29.	ჯავახიშვილი რევაზი	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

A U T H O R S

1.	ABESADZE RAMAZ	– Director of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Doctor of Economic Sciences, Professor
2.	AREVADZE NANULI	– Doctor of Economics, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
3.	ASATIANI ROZETA	– Doctor of Economic Sciences, Professor of Georgian Technical University, Scientific Consultant of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
4.	BERULAVA GEORGE	– Doctor of Economic Sciences, Professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
5.	BIBILASHVILI NANA	– Doctor of Economics, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
6.	BREGVADZE GIORGI	– Doctor of Economics, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
7.	BURDULI VAKHTANG	– Doctor of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
8.	CHKHEIDZE TINA	– Doctor of Agricultural Sciences, Professor, Chairman of Scientific Council of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
9.	DATUNASHVILI LINA	– Doctor of Economics, Docent, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
10.	DAVLASHERIDZE NATA	– Doctor of Economics, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
11.	DVALISHVILI LIA	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
12.	GOGOKHIA TEIMURAZ	– Doctor of Business Administration, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
13.	JAVAKHISHVILI REVAZ	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
14.	KAKULIA ETER	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
15.	KAVTARADZE TENGINZ	Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
16.	KHUSKIVADZE MAMUKA	– Doctor of Economics, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
17.	KISTAURI NUNU	– Doctor of Economics, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
18.	KURATASHVILI ALFRED	– Doctor of Economic Sciences, Professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
19.	KVARATSKHELIA MURMAN	– Doctor of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
20.	KVELADZE KETEVAN	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
21.	LAZARASHVILI TEA	– Doctor of Economics, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
22.	MELASHVILI MEDEA	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
23.	NOZADZE ZURAB	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU

24.	PAPAVA VLADIMER	– Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Academician of National Academy of Georgia, Doctor of Economic Sciences, Professor
25.	SIGUA GEORGE	– Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
26.	SISVADZE ILIA (AZIKO)	– Doctor of Economics
27.	TAPLADZE TAMAR	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
28.	TETRAULI TSITSINO	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
29.	TSUTSKIRIDZE MARINE	– Doctor of Economics, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	5
ბებეშური სამეცნიერო ნაშრომები	
პრობლემა 1.	
<i>რამაზ აბესაძე</i> ევროკავშირის ინოვაციური სისტემა	7
<i>ვლადიმერ პაპავა</i> ტიქნოლოგიური ჩამორჩენილობის დაკლევვაში ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ინოვაციური სისტემების გამომწვევა	31
პრობლემა 2.	
<i>ალფრედ კურატა შვილი</i> ევროკავშირის ინოვაციური სისტემის სამართლებრივი საფუძვლები	49
პრობლემა 3.	
<i>ვახტანგ ბურდული</i> ეროვნული ინოვაციური სისტემის ტრანსფორმაციის თავისებურებანი მსოფლიოს ზოგიერთ მოწინავე ქვეყანაში	68
<i>ქეთევან ქველაძე</i> ინოვაციური სისტემის ფორმირება და განვითარება ევროკავშირის ტურიზმში	90
პრობლემა 4.	
<i>გიორგი ბერულავა, ეთერ კაკულია, თეიმურაზ გოგობია</i> ინოვაციური მცირე ფირმების (ბიზნესის) ფუნქციონირების თავისებურებები ევროკავშირის ქვეყნებში	110
პრობლემა 5.	
<i>თეა ლაზარა შვილი</i> ევროკავშირის ინოვაციური სისტემის ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფის თავისებურებები	140
<i>გიორგი სიგუა</i> ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ფინანსური წყაროები და ინსტრუმენტები ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში	159
პრობლემა 6.	
<i>მამუკა ხუსკივაძე, ზურაბ ნოზაძე</i> ევროკავშირისა და საქართველოს ეკოლოგიური სისტემების შეფარებითი ანალიზი	174

<i>თინა ჩხეიძე</i> ევროკავშირის ინოვაციური ეკოლოგიური სისტემების ფორმირება და განვითარება	206
პრობლემა 7.	
<i>ლინა დათუნაშვილი</i> ინოვაციური სისტემა საზრანბეთის სოფლის მეურნეობაში	220
<i>თენგიზ ქავთარაძე</i> აშშ-ის აბრარული სექტორის ინოვაციურ სისტემებში კლასტიკურიზაცია, როგორც მცირე ბიზნესის განვითარების საშუალება და მათი გამოცდილების განზოგადება საქართველოში	242
პრობლემა 8.	
<i>მურმან კვარაცხელია</i> ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაკონის ინოვაციური სისტემები	259
<i>რევაზ ჯაფარიშვილი</i> შვედეთის ეროვნული ინოვაციური სისტემა: ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებები	267
<i>ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი</i> სინგაპურისა და მაღაიზის ეროვნული ინოვაციური სისტემების მდგრადი განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებები	287
<i>თინა ჩხეიძე</i> პორტუგალიის ინოვაციური ეკოლოგიური სისტემების ფორმირება და განვითარება	296
<i>ეთერ კაკულია</i> ირლანდიის ინოვაციური სისტემა	310
<i>ნატა დავლაშერიძე</i> პოლონეთის ინოვაციური სისტემა	330
<i>გიორგი ბრეგვაძე</i> ბელგიის ინოვაციური სისტემა	341
<i>ქეთევან ქველაძე</i> იტალიის ეროვნული ინოვაციური სისტემა, განვითარებისა და ფუნ- ქციონირების თავისებურებანი	347
<i>ციცინო თეთრაული</i> ხორვატიის ინოვაციური სისტემები	367
<i>მედეა მელაშვილი</i> ჩხეთის რესპუბლიკის ინოვაციური სისტემა	380
<i>მარინე ცუცქერიძე</i> სლოვენის ინოვაციური სისტემა	394
<i>ნუნუ ქისტაური</i> ფინეთის რესპუბლიკის ინოვაციური სისტემა	412
<i>თამარ თაფლაძე</i> ესპანეთის ინოვაციური სისტემა	433

<i>ლია დვალიშვილი</i> დანის ინოვაციური და ინოვაციურ-ეკოლოგიური სისტემები	443
სხვა სამეცნიერო ნაშრომები	
<i>რამაზ აბესაძე ვახტანგ ბურდული</i> საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის თანამედროვე მდგომარეობა და მისი ფორმირების პერიოდიტივები	458
<i>როზეტა ასათიანი</i> ეკონომიკური უსაფრთხოება საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სისტემაში	476
<i>ილია (აზიკო) სისვაძე</i> სასაქონლო ბაზრის ფინანსური წონასწორობისა და ფასწარმოქმნის კონცეპტუალური პრობლემები	494
ავტორები	526

C O N T E N T S

PREFACE	5
PLANNED SCIENTIFIC WORKS	
PROBLEM 1.	
<i>Ramaz Abesadze</i> EU INNOVATION SYSTEM	7
<i>Vladimer Papava</i> EXPERIENCE OF INNOVATION SYSTEMS OF THE POST-COMMUNIST COUNTRIES IN OVERCOMING TECHNOLOGICAL BACKWARDNESS	31
PROBLEM 2.	
<i>Alfred Kuratashvili</i> LEGAL FOUNDATIONS OF INNOVATION SYSTEMS OF THE EUROPEAN UNION	49
PROBLEM 3.	
<i>Vakhtang Burduli</i> PECULIARITIES OF THE TRANSFORMATION OF NATIONAL INNOVATION SYSTEMS IN SOME DEVELOPED COUNTRIES	68
<i>Ketevan Kveladze</i> FORMATION AND DEVELOPMENT OF INNOVATION SYSTEM IN EU TOURISM	90
PROBLEM 4.	
<i>George Berulava, Eter Kakulia, Teimuraz Gogokhia</i> FEATURES OF INNOVATIVE SMALL FIRMS (BUSINESS) IN THE EU COUNTRIES	110
PROBLEM 5.	
<i>Tea Lazarashvili</i> THE PECULIARITIES OF FINANCIAL PROVISION OF EU INNOVATION SYSTEM FUNCTIONING	140
<i>George Sigua</i> THE FINANCIAL SORCES AND INSTRUMENTS OF INNOVATION DEVELOPMENT OF ECONOMY IN EUROPEAN UNION COUNTRIES AND GEORGIA	159
PROBLEM 6.	
<i>Mamuka Khuskivadze, Zurab Nozadze</i> COMPARATIVE ANALYSIS OF ECOLOGICAL SYSTEMS OF THE EU AND GEORGIA	174

<i>Tina Chkheidze</i> FORMATION AND DEVELOPMENT OF EU INNOVATION ECOLOGICAL SYSTEMS	206
PROBLEM 7.	
<i>Lina Datunashvili</i> INNOVATION SISTEM IN THE AGRICULTURE OF FRANCE	220
<i>Tengiz Kavtaradze</i> CLUSTERING IN INNOVATIVE SYSTEMS OF THE US AGRARIAN SECTOR AS A SMALL BUSINESS DEVELOPMENT OPPORTUNITY AND THEIR EXPERIENCE	242
PROBLEM 8.	
<i>Murman Kvaratskhelia</i> US AND JAPANESE INNOVATIVE SYSTEMS	259
<i>Revaz Javakhishvili</i> SWEDISH NATIONAL INNOVATION SYSTEM: FEATURES OF FORMATION AND FUNCTIONING	267
<i>Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili</i> FEATURES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT AND FUNCTIONING OF NATIONAL INNOVATION SYSTEMS OF SINGAPORE AND MALAYSIA	287
<i>Tina Chkheidze</i> FORMATION AND DEVELOPMENT OF INNOVATION ECOLOGICAL SYSTEMS OF PORTUGAL	296
<i>Eter Kakulia</i> INNOVATION SYSTEM OF IRELAND	310
<i>Nata Davlasheridze</i> INNOVATION SYSTEM OF POLAND	330
<i>Giorgi Bregvadze</i> INNOVATION SYSTEM OF BELGIUM	341
<i>Ketevan Kveladze</i> ITALIAN NATIONAL INNOVATION SYSTEM, FEATURES OF DEVELOPMENT AND FUNCTIONING	347
<i>Tsitsino Tetrauli</i> CROATIAN INNOVATION SYSTEMS	367
<i>Medea Melashvili</i> INNOVATIVE SYSTEM OF THE CZECH REPUBLIC	380
<i>Marine Tsutskiridze</i> INNOVATION SYSTEM OF SLOVENIA	394
<i>Nunu Kistauri</i> INNOVATIVE SYSTEM OF THE REPUBLIC OF FINLAND	412
<i>Tamar Tapladze</i> SPAIN'S INNOVATION SYSTEM	433

<i>Lia Dvalishvili</i> DANISH INNOVATION AND INNOVATIVE ECOLOGICAL SYSTEMS	443
OTHER SCIENTIFIC WORKS	
<i>Ramaz Abesadze, Vakhtang Burduli</i> CURRENT STATES AND PRIORITIES FOR THE FORMATION OF NATIONAL INNOVATION SYSTEM IN GEORGIA	458
<i>Rozeta Asatiani</i> ISSUES OF ECONOMIC SECURITY STRATEGY IN GEORGIA	476
<i>Ilia (Aziko) Sisvadze</i> CONCEPTUAL PROBLEMS OF FINANCIAL EQUILIBRIUM OF COMMODITY MARKET AND PRICING	494
AUTHORS	528

დაიბეჭდა თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

გამომცემლობის რედაქტორი სესილი ხანჯალაძე

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი, გ. ქიქოძის № 14
99 68 53, 93 22 60
ელფოსტა: economics_institute@yahoo.com

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში
0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0128
t. 995 (32) 2251432, 995 (32) 2252736
www.press.tsu.ge